თ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტთან არსებული ვეფხისტყაოსნის
აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

სარგის ცაიშვილი

წინამორბედნი და თანამედროვენი

(წერილები და გამოკვლევები)

თბილისი
„მეცნიერება"
1986

83.Гр 1—8
Ц 159

წინამდებარე ნაშრომი ავტორის ნაწერების კრებულია. იგი შეიცავს გამოკვლევებსა და წერილებს XIX და XX საუკუნის ქართული მწერლობის აქტუალურ პრობლემებზე, ლიტერატურულ პორტრეტებსა და ესეებს, მოგონებებს ცნობილ ქართველ მწერლებზე, მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებზე, აგრეთვე ფილოლოგიური ხასიათის ეტიუდებსა და შენიშვნებს. წიგნში მოთავსებულია რამდენიმე პუბლიცისტური წერილიც. ავტორის აღნიშნული წიგნი ფაქტიურად აგრძელებს 1984 და 1985 წლებში გამოცემულ ნაშრომების (წერილები და გამოკვლევები) პრობლემატიკას.

რედაქტორი ცოტნე კიკვიძე

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატები:
ჯ. ბარდაველიძე, თ. ჩხენკელი

Ц 4603010201 / М 607 (06)—86 129—86 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

XIX საუკუნის ქართული მწერლობა

1. „მერანი“ და მისი ავტორი

ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი პოეტური შთაგონება მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ მისსავე თანამედროვეებს. 1846 წელს ლევან მელიქიშვილი ასეთი სიტყვებით ეთხოვებოდა უდროოდ დაკარგულ მეგობარს: „რამდენად მძიმეა სულიერი დაობლება! მაგრამ განა მარტო მე დამატყდა თავს ეს საშინელი უბედურება. საქართველომ მისი სახით დაკარგა მთელი თავისი პოეტური არსებით მასზე შეყვარებული ადამიანი, რომელიც ამ სიყვარულს ჰრაცხდა ყველა სხვა მოვალეობაზე მაღლა, უცხო და ბრწყინვალე ტალანტის მქონე ახალგაზრდა, რომლისაგან სამშობლო მოელოდა ბევრად მეტს, ვიდრე რომელიმე მისივე თანამედროვისაგან“.

ლევან მელიქიშვილის ეს სიტყვები ფაქტიურად გამოხატავს იმ ხანების მოწინავე ქართული საზოგადოების აზრს და ერთგვარად აბათილებს იმ მცდარ შეხედულებას, თითქოს ბარათაშვილის ეპოქა ყრუ და უსულგულო აღმოჩნდა და ვერავინ შეამჩნია, თუ რა ვეებერთელა ტალანტმა ჩაიქროლა დროის მცირე მონაკვეთში.

მაგრამ მაინც პირველი სერიოზული და, აქვე დავსძენთ, პროფესიული განსჯა ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაზე, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის თაობამ დაიწყო. ფაქტიურად ილია ჭავჭავაძემ ახლად „აღმოაჩინა“ დიდი წინამორბედი და იგი ახალი ქართული პოეტური სიტყვის მამამთავრად აღიარა.

დრომ, შემდგომმა კვლევა-ძიებამ თვალნათლივ დაადასტურა ილია ჭავჭავაძის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დებულების მართებულება და კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ნიკოლოზ ბარათაშვილის როლი ქართული პოეტური სიტყვის აღორძინებაში.

როგორც ცნობილია, დღეს ამ საკითხებზე დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს კიდეც აადვილებს და, არა მგონია პარადოქსად ჩაითვალოს ასეთი მოსაზრება, რამდენადმე კიდევაც ართულებს მკვლევარის ამოცანას, რომელიც ჩვენ წინაშე წარმოდგება ახალი გამოკვლევითა თუ მონოგრაფიით

ქართველი მკითხველისათვის ისეთ ახლობელ და ნაცნობ თემაზე, როგორიცაა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება.

ამ სიძნელეთა წინაშე უდავოდ იდგა გურამ ასათიანი, როდესაც ფართო სამსჯავროზე გამოიტანა თავისი ნაფიქრი და ნააზრევი იმ წიგნის სახით, რომლის სახელწოდებაა „მერანი“ და მისი ავტორი“.

გურამ ასათიანის წიგნში ეს დაბრკოლება წარმატებითაა დაძლეული და აქვე შევნიშნავთ, რომ, ჩემის აზრით, ეს წარმატება პირველ რიგში განაპირობა საკვლევი საკითხებისადმი მეტწილ შემთხვევაში ახლებურად მიდგომამ, ფართო მასშტაბურობამ. „მერანი“ და მისი ავტორი“ დაწერილია იშვიათი შემოქმედებითი გატაცებით. ლიტერატურულ მსჯელობათა მაღალი ხარისხი თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ ტრაფარეტს, ხოლო გონებამახვილური დაკვირვებები ახლებურ შუქს ჰფენენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთულეს და ღრმა რეფლექსიებზე დამყარებულ პოეტურ მემკვიდრეობას.

ქვემოთ მე მინდა შევეხო მხოლოდ რამდენიმე საკითხს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენა გურამ ასათიანის წიგნში „მერანი“ და მისი ავტორი“.

გურამ ასათიანის წიგნი მოცულობით არაა დიდი, მაგრამ აქ აღძრულია საკითხების საკმარისად დიდი რაოდენობა და ფართო პანორამაა მოხაზული. წიგნი კომპოზიციურად საინტერესოდ არის აგებული. რასაკვირველია, წიგნის განსაზღვრული მოცულობა ავტორს არ მისცემდა საშუალებას ერთნაირი სისრულით მიმოეხილა საკითხები. ამიტომ მას შემოქმედებითად სწორი გზა შეურჩევია. კვლევა-ძიების სიმძიმე უმთავრესად გადატანილია ისეთ საკითხებზე, რომელთაგან რიგი ან საერთოდ არ იყო დამუშავებული, ან, ავტორის აზრით, ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს. თუ მონოგრაფიული სისრულის თვალსაზრისით ნაშრომის ასეთი აგებულება შეიძლება სადავო იყოს, კვლევა-ძიების ასეთი აქცენტირება არამც თუ გამართლებულია, არამედ, ვფიქრობ, აუცილებელიც. იგი საშუალებას აძლევს ავტორს ჩაწვდეს საკვლევი ობიექტის უფრო ღრმა შრეებს და რიგი ახალი პერსპექტივა დასახოს ბარათაშვილის პოეზიასთან დაკავშირებულ რთულ პრობლემატიკაში.

ერთ-ერთ ასეთ ცდად და წიგნის უაღრესად საგულისმხო მონაკვეთად უნდა მივიჩნიოთ ნაშრომის პირველივე თავი, რომელიც ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ეროვნული ძირების კვლევა.

ბარათაშვილზე არსებულ პირველ ნაშრომებში, და, შეიძლება ითქვას, ამას გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტებიც განაპირობებდა, უფრო მეტად იყო ხაზგასმული „მერანის“ ავტორის ახალი პოეტური კრედო. სწორედ ქართველი რომანტიკოსების და, პირველ

რიგში, ბარათაშვილის მისამართით წარმოიშვა შემდეგ მხატვრულ-ტექნიკურ ტერმინად ქცეული ცნება „ევროპეიზმი“, ხოლო ბარათაშვილოლოგიურ კვლევას საფუძვლად დაედო, როგორც უკვე ითქვა, ილიას ცნობილი შეხედულება ბარათაშვილის პოეზიის ზოგადკაცობრიულ ხასიათზე.

მაგრამ თუმცა ასე დასმული კითხვა ერთი უმთავრესთაგანია ნიკოლოზ ბარათაშვილის ადგილის განსაზღვრის დროს ქართული პოეტური სიტყვის დიდ მაგისტრალზე, მაგრამ მაინც არ ამოწურავდა თვით პოეტისავე შემოქმედების ერთ მთლიანობაში გააზრების პრობლემას.

ისევე, როგორც ყველა დიდი შემოქმედის მიმართ, აქაც უფრო მწვავედ უნდა დასმულიყო ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი, რადგან საყოველთაო აღიარებით ნოვატორობა გულისხმობს და სრულიადაც არ გამორიცხავს ტრადიციის სრულყოფილ დაუფლებას, რის გათვალისწინების გარეშე უეჭველად ცალმხრივ სურათს თუ მივიღებდით.

მე არ ვიტყვი, რომ კვლევა ამ მიმართულებით არ წარმოებულიყოს (სხვათა შორის, ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1881 წელს გამოქვეყნებული წერილი, სადაც მითითებულია, რომ ბარათაშვილის პოეზია „საქართველოს ნიადაგზედ არის აღმოცენებული“), ამას არც წიგნის ავტორი ამტკიცებს და ასახელებს კიდეც ცალკეულ მკვლევართ, რომელთაც არა ერთი საგულისხმო პარალელი და შეხვედრა დაუძებნიათ ძველი ქართული მწერლობიდან (მაგ. იონა მეუნარგია, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ს. ჩიქოვანი, ა. ბარამიძე, ა. გაწერელია და სხვ.), მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ასე ფართო მასშტაბით მსგავსი კვლევა-ძიება მანამდე არ ყოფილა ჩატარებული.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი. შედარებითი კვლევა აქ არ იფარგლება პოეტური გამომსახველობების ოდენ დამთხვევათა მინიშნებით და ითვალისწინებს სხვადასხვა ასპექტებს. გურამ ასათიანი იკვლევს არა მარტო ბარათაშვილის პოეტური ენის შესაძლებელ კავშირებს ძველ-ქართულ მწერლობასთან, არამედ ცდილობს გამონახოს გარკვეული იდეოლოგიური კორელატები, საერთოდ ქრისტიანულ მწერლობასთან ბარათაშვილის მიმართების თვალსაზრისით და ამდენად, ერთ მთლიანობაში გამოკვეთოს დიდი შემოქმედის პოეტური პროფილი.

პირველ ასპექტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მკვლევარი არა მარტო ითვალისწინებს მანამდე არსებული კვლევის შედეგებს, არამედ სრულიად ახალი და საკმაოდ უხვი მასალით ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ენის, გამომსახვე-

ლობით საშუალებათა აშკარა კავშირზე ძველქართულ, როგორც საწყულიერო, ისე საერო მწერლობასთან.

მაგალითად, ზუსტი ლექსიკური, თუ ფრაზეოლოგიური შეხვედრის არა ერთი საგულისხმო მაგალითია მოტანილი ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობის ნიმუშებიდან, რაც მანამდე ჩვენთვის საერთოდ უცნობი იყო. პირდაპირ განსაცვიფრებელია აქ წარმოდგენილი ზოგიერთი მასალა. ერთ ჰიმნოგრაფთან ვკითხულობთ: „შენ რომელი წყაროჲსა მისგან ცხოვრებისა ასუამ...“ ეგეგე თემა გაშლილია მეორე დიდ ქართველ ჰიმნოგრაფთან... „ღელვანი ამაონი. გულის სიტყვანი ჩემნი მჯდომ მეჭმნეს მე. უწყალოდ აღძრულნი მტერისა მიერ ზაკუვით. არამედ შენ ქალწულო, მიმიძეღუ მე მყუდროსა ნავთსაყუდელსა...“ ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ შინაგანად აშკარად ეხმაურება ასეთივე სულიერ განწყობილებას: „ცხოვრების წყარო, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა, დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა! არა დაჰჭროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“

მსგავსი საგულისხმო მაგალითები წიგნში, როგორც ითქვა, საკმარისად არის მოტანილი და ცთუნებაც, ამასთან, შესაბამისად იზრდება, მაგრამ მკვლევარი უშუალო წყაროების ძიებათაგან შეგნებულად იკავებს თავს და მართებულად შენიშნავს, რომ ასეთი შეხვედრების არსებობა განპირობებული უნდა იყო, უწინარეს ყოვლისა, საერთო პირველწყაროს — ძველი და ახალი აღთქმის საერთო და განუზომელი გავლენით მთელს ძველ სულიერ კულტურაზე.

წიგნში წარმოდგენილი მდიდარი ფაქტიური მასალა (მე საგანგებოდ მოვერიდე სხვა აგრეთვე საგულისხმო მაგალითების მოტანას როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობიდან) აშკარად ხდის დებულებას, თუ როგორ ღრმად იცნობდა, შეთვისებული ჰქონდა პოეტს უმდიდრესი ძველი ქართული მწერლობის ადრიდანვე დახვეწილი პოეტური ენა, რაფინირებული გამომსახველობითი საშუალებანი, ფრაზათა ნატიფი მიმოხრა, იქნებ ეს, უეჭველად არქაული იერი, ქმნიდა აგრეთვე შთაბეჭდილებას, რომ „მერანის“ ავტორი ენის საკითხში წინა ეპოქებთან დაეკავშირებინათ. გურამ ასათიანი ვრცლად ჩერდება ამ საკითხზეც და, ჩემის აზრით, დამარწმუნებელია შემდეგი დებულება. მართალია, „მერანის“ ავტორის ენა სპეციალისტების მტკიცებით უხვად შეიცავს არქაულ ელემენტებს, მაგრამ პოეტური მეტყველების ფორმა ბარათაშვილის შემოქმედებაში მაინც აშკარად ნოვატორულია, რადგან იგი, როგორც მთლიანი პოეტური სტილი, მხატვრული აზროვნების თვისობრივად ახალი პრინციპების რეალიზაციას მოასწავებს, როგორც მხატვრული ხერხი,

ეს იყო ერთადერთი შესაფერისი საშუალება ეროვნული თვითშეგნების ისტორიული შინაარსის გამოსახატავად (გვ. 12).

მე ვფიქრობ, რომ ეს არის მნიშვნელოვანი დასკვნა და მას ალბათ სათანადო ანგარიში გაეწევა ამავე საკითხის შემდგომ კვლევაში, მაგრამ ამჯერად აქ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი. გურამ ასათიანი აქედანვე ამახვილებს ყურადღებას მეორე ასპექტზე, რომელიც ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ შრეებში იჭრება და ამასთან ცდილობს წარმოადგინოს თვით რომანტიკულ პოეზიაზე გარკვეული ფვალსაზრისი.

ამ შემთხვევაში მკვლევარი იმარჯვებს ე. წ. ტიპოლოგიური კვლევის მეთოდს და ამოსავალ დებულებად იყენებს რომანტიკული მიმართულებისათვის ამჟამად აღიარებულ რამდენიმე უნივერსალიას. კიდევ ერთხელ ამოწმებს მათ ქართულ მასალაზე და საგულისხმო დასკვნები გამოაქვს: „რომანტიკულმა მიმდინარეობამ ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ნაციონალური ელფერი მიიღო — ყველგან, სადაც კი მას შესაფერისად მყარი კულტურული ფუძე დახვდა“ (გვ. 12).

ხოლო მეორე უნივერსალია კიდევ უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველია: „XIX საუკუნის ევროპული რომანტიზმისთვის ბიბლია — საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურა იქცა თითქმის ისეთივე მნიშვნელობის წინამძღვრად და საყრდენად, როგორსაც კლასიკური მწერლობისათვის ბერძნული მითოლოგია და მის ნიადაგზე აღმოცენებული ანტიკური ხელოვნება წარმოადგენდა... ქრისტიანული მწერლობა იყო ძირითადი არსენალი რომანტიკოსთა მრავალრიცხოვანი ლიტერატურული რემინისცენციებისა...“ (გვ. 14).

ორივე ეს დებულება, მიუხედავად თავისი ზოგადი ხასიათისა, უეჭველად იძლევა სტიმულს კონკრეტული კვლევა-ძიებისათვის და, მართლაც, წიგნში უხვი მასალის მოშველიებით, ხაზგასმულია შეხედულება, რომ ეროვნული თვითმყოფობის ეს უაღრესი განცდა ახალი დროის ქართულ მწერლობაში სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამკვიდრა. „მერანი“, ისევე როგორც „ეპოვე ტაძარი“ — დაასკვნის ამასთან დაკავშირებით ავტორი — უწინარეს ყოვლისა პოეტის პირადი განცდის, პ ი რ ა დ ი ს უ ლ ი ე რ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ა, მაგრამ როგორც ეპოქალური ნაწარმოებები, როგორც გენიალური მხატვრული ქმნილებები, თავისი შინაარსით ამავე დროს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა ს ა ც ე მ ყ ა რ ე ბ ი ა ნ (გვ. 33).

რაც შეეხება მეორე დებულებას, აქაც თვალსაჩინოდ არის გადმოცემული (კერძოდ, წიგნის ზემოაღნიშნულ პირველ თავებში) ბარათაშვილის, როგორც რომანტიკული მიმდინარეობის აშკარა წარმომადგენლის, უცილობელი კავშირი ქრისტიანულ კულტურასთან. ბა-

რათაშვილის მსოფლმხედველობრივი შენობა წარმოუდგენელია ამ იდეოლოგიური ნაკადის გარეშე, მაგრამ სწორედ აქედანვე იწყება ის უმთავრესი იდეოლოგიური ჰიდილი, რომელიც ერთნაირად მსჭვალავს პოეტის შემოქმედებას და თვისობრივად ახალი მსოფლშეგრძნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თანდაყოლილი ცოდვისა თუ ხსნის ქრისტიანულ მოტივებს თუმც იცნობს ბარათაშვილი, მაგრამ განსახილველი წიგნის ავტორის მართებული დასკვნით „ეს ძველისძველი გზა ხსნისა — ქრისტიანული მართლმორწმუნეობის გზა უიმედოდ დახშულია „შემოღამების“ იჭვით აღშფოთებული ავტორისათვის. ამის გამოა, რომ იგი ასეთი გამძაფრებით დაეძებს ახლა რწმენას, ახალ გზებს და ახალ იმედებს“ (გვ. 31). ჩემის აზრით, წიგნის ის თავები, რომლებიც ამ თემის დასაბუთებას ეძღვნება, ყველაზე ფასეულია და მახვილგონივრულ დაკვირვებებს ემყარება. აქ არა მარტო პოეტის ინდივიდუალური მიდრეკილებანი თამაშობენ გარკვეულ როლს, და ეს ხაზგასმულია კიდეც, არამედ ის ფაქტორები, რამაც ძირითადში განაპირობა საერთოდ ქართული რომანტიზმის იდეოლოგიური მიმართულება. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი თვალსაზრისი კიდევ უფრო საცნაური ხდება, როცა წიგნის ავტორი პოეტის უმთავრეს შედევრთა ყოველმხრივ ანალიზს გვთავაზობს, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა ლიტერატურათმცოდნეობაში საერთოდ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემას, როგორიცაა თვით რომანტიკული მიმდინარეობის ძირითადი ნიშნების დადგენა. წიგნის ავტორი გრძნობს ამ სიძნელეებს, მიმოიხილავს ძირითად ლიტერატურას და ერთგვარი კამათის წესით გვთავაზობს მისთვის უფრო მისაღებ თვალსაზრისებს.

მე ზემოთ აღვნიშნე ორი უმთავრესი ნიშანი, რომელიც თითქმის უზოგადეს პრინციპად არის აღიარებული (ვგულისხმობ ეროვნული თვითშეგნების პრიმატსა და ქრისტიანულ კულტურასთან კავშირს), მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ნიშნები იმდენად არის უნივერსალური, რამდენადაც სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში ელინდება. ამ მიმართულებით წიგნში მოტანილია კიდეც სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც, როგორიცაა, მაგალითად, „გრძნობის“ კულტი, როგორც „რაციონალიზმის“ ანტითეზა, წარსულის იდეალიზაცია აწმყოს უარყოფის პათოსით და ა. შ. მაგრამ ცალკე აღებული ეს ნიშნები ფაქტიურად ნაკლებ მეტყველია და მხოლოდ რაღაც მთლიანობაში თუ იძენს გარკვეულ მნიშვნელობას. არანაკლებ რთული ჩანს ვითარება, როცა ჩვენ კონკრეტულად ქართული რომანტიზმის თავისებურებათა დახასიათებას ვცდილობთ. აქ მართლაც ბევრი რამაა ბუნდოვანი და დასაზუსტებელი. ამასთან დაკავშირებით დამაფიქრებელია ავტორის

შემდეგი სიტყვები: „ბოლო დროს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მეღავნდება ერთი, ჩვენი ფიქრით, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი ტენდენცია: ყველაფერი, რაც კი თავისი მხატვრულ-იდეური სპეციფიკით განზე რჩება XIX საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარების მთავარი გზიდან, გადატანილ იქნას რომანტიული მიმდინარეობის რკალში". ეს დაკვირვება, მართლაც, ანგარიშგასაწევია და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ლიტერატურული პროცესების კვლევის დროს თავიდან უნდა ავიცილოთ ობიექტურად არსებულ მრავალფეროვნებათა ნიველირების იოლი ხერხები.

გურამ ასათიანის წიგნი „მერანი და მისი ავტორი", როგორც უკვე ითქვა, უურადღებას იპყრობს კვლევის ფართო დიაპაზონით, სამაგალითო ერუდიცია, ლიტერატურის საკვანძო საკითხებში ორიენტირება, მრავალფეროვანი მასალის მოხმობა შემეცნებითი თვალსაზრისით საინტერესო საკითხავს ხდის წიგნს. არა მარტო სახელების ჩამოთვლა, რის მოწმენიც ჩვენ ხშირადა ვართ, არამედ კალდერონიდან მოკიდებული XIX საუკუნის რომანტიკოსებამდე და ნაწილობრივ სიმბოლიზმის ზოგიერთ წარმომადგენლამდე, არცერთი სახელი ან ლიტერატურული ფაქტი, რომელიც კი გამოყენებულია რაიმე თვალსაზრისის წარმოსაჩენად აქ შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. მაგალითად, საგულისხმოა დაკვირვება ადამ მიცკევიჩის ფარისის იდეურ შინაარსზე, ჯაკომო ლეოპარდის უაღრესად სევდიან მოტივებზე, რომლებიც კიდიც ენათესავებიან ბარათაშვილის კაეშანს, მაგრამ ამავე დროს, გარკვეულად ეთიშებიან კიდეც მას ყოვლის მომცველი ბოროტი საწყისის აღიარებით და ა. შ.

საგულისხმოა აგრეთვე პრობლემატური საკითხებისადმი ლტოლვა, რაც შემოქმედებით ელფერს ანიჭებს განსახილველ ნაშრომს. მაგრამ მე აქ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო წიგნის ის თავები, რომლებიც ეძღვნება ბარათაშვილის შედევრთა კონკრეტულ მხატვრულ-ლიტერატურულ ანალიზს.

მე ზემოთ ვახსენე, წიგნის ავტორის მოსაზრებები ბარათაშვილის ცნობილ ლექსებზე „ჰპოვე ტაძარი", „ჩემი ლოცვა". ასევე სანიმუშოდ არის გარჩეული აგრეთვე ერთი უპირველესი შედევრთაგანი „ფიქრნი მტკვრის პირას". გურამ ასათიანი შენიშნავს ერთგან, რომ გენიალობა სრულიადაც არ გამორიცხავს რაიმე კომპრომისებს, არამარტო ცხოვრებაში, არამედ შემოქმედებაშიც. ასეთ ნიშნებს, მისი აზრით, ერთგვარად ატარებენ ბარათაშვილის ცნობილი ლექსები: „ომი საქართველოს თავად-აზნაურთა-გლეხთა პირისპირ დაღესტნისა და ჩეჩნელთა...", „საფლავი მეფის ირაკლისა", და ა. შ. „ფიქრნი მტკვრის პირას" — ეს წმინდა მედიტაციური ხასიათის ლექსი, რომ-

ლითაც ბარათაშვილი „უახლოესი დროის ქართული ლირიკის წინამორბედად“ წარმოგვიდგება — თავისთავში გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს. ფილოსოფიურ ასპექტში გაშლილი განსჯა, რომელიც ღრმად ადამიანურ ნაკლოვანებაზე მიგვანიშნებს (შდრ. „აღუსებელი საწყაულის“ თემა), ერთგვარ ანტითეზაში გადადის, როცა პოეტი თითქოსდა იძულებით შემარიგებელი კილოთი გვთავაზობს ასეთი ხასიათის დასკვნას: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა, არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“ ძალზე ფასეულია წიგნის ავტორის დაკვირვება, რომელიც, რამდენადაც ვიცი, მანამდე არავის გამოუთქვამს, რომ „ეს შერიგების ინტონაცია, რომელიც მთელ სტროფს მსჭვალავს, აშკარად აცდენილია ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ ძიებათა მთავარ წარმმართველ ნაკადს“ (გვ. 24).

ყოველმხრივ მხატვრულ ანალიზზე დაყრდნობით გურამ ასათიანი სრულიად მართებულად ბარათაშვილის ერთ-ერთ შედევრად მიიჩნევს მის პირველ ფილოსოფიურ ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“, რომელშიც უკვე ასე ჰარბადაა გამჟღავნებული პოეტის მისწრაფება ფიქრისა და ძიებისაკენ. ასევე საგულისხმოა დებულება, რომ თუმცა ლექსები „სული ობოლი“ და „სულო ბოროტო“ „მერანის“ შემდეგ დაიწერა, მაგრამ მაინც აღიქმება როგორც პრელუდია და აქ დასმულ კითხვებზე პასუხს სწორედ „მერანში“ ვპოულობთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების ერთ მთლიანობაში გააზრებით ნაშრომში ხაზგასმულია ღრმა სულიერი შრეებიდან დაძრული ტრაგიზმი და ავი წინათგრძნობის მანიშნებელი ქვეცნობიერი იმპულსები, რომლებიც მეტნაკლებად ჟონავს პოეტის თითქმის ყველა სრულყოფილ ქმნილებაში, რაც ასე აშკარად გამოხატულ ინდივიდუალურ დაღს ასვამს პოეტის მთელ შემოქმედებას.

მაინც თავისი მასშტაბით და უდიდესი მნიშვნელობით უპირველესი ადგილი უჭირავს ორ თხზულებას, რომლებშიც მთელი ძალით არის გამჟღავნებული ასე ღრმად ინდივიდუალური შემოქმედისათვის თითქოსდა მოულოდნელი განზოგადოების არაჩვეულებრივი ტალანტი.

წიგნში, ბუნებრივია, ვრცელი მსჯელობაა ორივე ამ შედევრზე და ავტორი, ჩემის აზრით, მართებული პოზიციებიდან გვიხსნის ორივე ნაწარმოების შინაგან პათოსს. ეს საცნაური ხდება თუნდაც იმ გარემოებით, რომ გურამ ასათიანი ამჩნევს ურღვევ შინაგან კავშირს თავისი გარეგნული ფორმით, თუ მხატვრული გადაწყვეტით თითქოსდა დიამეტრალურად განსხვავებულ ქმნილებათა შორის. მისი აზრით, „მერანი“ „ბედი ქართლისას“ ბუნებრივი გაგრძელებაა და თა-

ეის მხრივ ახალი ეროვნული დრამის პროლოგს წარმოადგენს. მართლაც, „მერანის“ უმთავრესი იდეა ადამიანის შემოქმედი სულისა და თავისუფალი ნების სამკვდრო-სასიცოცხლო, უკომპრომისო ბრძოლაა ბრმა აუცილებლობის მტრულ ძალებთან, როგორც კაცობრიობის ისტორიის ჭეშმარიტი აზრი და გამართლება — თავისი ზოგადი შინაარსით ამომწურავ პასუხს იძლევა იმ კითხვაზე, რომელიც 22 წლის ბარათაშვილმა „ბედი ქართლისაში“ დასვა. ამ გაგებით ეროვნული საკითხი, რომელიც გარეგნული ნიშნებით თითქოს არც კი ჩანს „მერანში“, გადაჰრილია სრულიად ახალ სიბრტყეზე და უნივერსალურ პრობლემათა რანგშია ამაღლებული.

„ბედი ქართლისა“ ეროვნული საკითხების ესოდენ მძაფრად წარმოჩინებასთან ერთად, იმითაც იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ აქ თვით მოქმედებაში, რის საშუალებასაც მოვლენათა ეპიურ სტილში გაშლა უწყობს ხელს, კონკრეტულად და ძალზე ხელშესახებად არის გამოკვეთილი ბრმა აუცილებლობისა და ადამიანის თავისუფლებისაქენ მიდრეკილების მარადიული წინააღმდეგობრიობა, გურამ ასათიანი სწორედ ასეთი კუთხით აშუქებს „ბედი ქართლისას“ ძირითად იდეურ შინაარსს და არა ერთ ორიგინალურ დაკვირვებას გვთავაზობს, რომელთა ჩამოთვლა ჩვენ აქ შორს წაგვიყვანდა. მაგრამ მოვიტან მხოლოდ ერთ ამონაწერს, რომელიც ეფუძნება ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის, ხოლო შემდეგ სოლომონისა და მისი მომხიბლავი სულიერი წყობის მქონე მეუღლის, სოფიოს, დიალოგის ღრმა ანალიზს, რომელშიც მოჩანს მკვლევარის ფხიზელი თვალთახედვა: „მიუხედავად თანდაყოლილი რომანტიკული სულიერი წყობისა „ბედი ქართლისას“ ავტორს აღმოაჩნდა რეალობის უაღრესი გრძნობა.

ბარათაშვილის პოემაში საბოლოოდ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ მაინც ერეკლეს აზრი იმარჯვებს...

ისტორიული ბედისწერის დიქტატი აუქმებს ყველა აღტყინებულ სწრაფვას, სიმართლისა და სამართლიანობის სასარგებლოდ მოტანილ ყველა მშვენრმეტყველურ საბუთს, ყველა ოპტიმისტურ ილუზიას, რომლებიც პოემის დასასრულს თითქოს მხოლოდ იმისთვის აღმოცენდებიან, რათა ერთი საბედისწერო დასკვნით გაცამტვერდნენ (გვ. 138). ზუსტი და მართებული დასკვნაა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ფხიზელი პოზიციებიდან გვისხნის რეალურად გათამაშებულ დრამას და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს დიდი პოეტის მიერ ერთ პირად საუბარში წამოძახილ სიტყვებს: „ვაი! ჩვენო ქართლის ბედო!“

გურამ ასათიანმა თავის მონოგრაფიას ნიკოლოზ ბარათაშვილზე სახელწოდებად შეურჩია სათაური „მერანი“ და მისი ავტორი“. წიგნის გაცნობა საფუძვლით გვარწმუნებს არჩევანის სისწორეში, რადგან

მისივე საგულისხმო დაკვირვებით „მერანის“ თითქოსდა ერთგვარად აბსტრაქტული თემა მეტ-ნაკლებად მონაწილეობს პოეტის თითქმის ყველა ქმნილებაში და მათში აღძრული ცალკეული თემატიკური მოტივები თუ პირადი განცდებიდან აღმომხდარი ქვეცნობიერი იმპულსები თავის დამთავრებულ სახეს სწორედ ამ უდიდეს ქმნილებაში ღებულობენ. „მერანი“ ფაქტიურად ბარათაშვილის მთელი შემოქმედების აპოთეოზად აღიქმება, რადგან ყველაზე სრულყოფილად აქ არის წარმოჩენილი გონებისა და რწმენის ის საკვირველი შერწყმა, რაც ასე ხიბლავს და აჯადოებს მკითხველს. ბარათაშვილმა „ბრმა ბედისწერასთან თავგანწირულ, ტიტანურ ჰიდიელში დაინახა ადამიანის არსებობის უმაღლესი აზრი და გამართლება“, რაც თავისთავად სრულიად ახალი მსოფლშეგრძნების დამკვიდრებას მოასწავებდა.

ზემოთ უკვე შევნიშნე, რომ ავტორი წიგნში სპეციალურად მიმოიხილავს ამ შემთხვევაში უმთავრესი ცნების („რომანტიზმი“, „რომანტიკული მიმართულება“) შინაარსის გაგების საკითხებს და გადმოგვცემს ცნობილ ავტორიტეტთა შეხედულებებსაც (მაგ. ჰეგელის აზრი რომანტიკულ პოეზიაზე, ჰიუგოსა და ბრანდესის შეხედულებები და სხვ.), მაგრამ ერთგან ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ საერთოდ რომანტიზმზე, კერძოდ, ე. წ. რომანტიკულ სულზე აბსტრაქტულ მსჯელობას მრავალ შეუსაბამობამდე მივყავართ. ასეთი მსჯელობის ერთადერთ მყარ საფუძველს მხოლოდ ისტორიზმის პრინციპი წარმოადგენს (გვ. 61).

მაგრამ, ჩემი აზრით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ეს „ისტორიზმის პრინციპი“ ნაშრომში ბოლომდე ვერ არის ხაზგასმული, რაც, ვფიქრობ, ერთგვარ დაღს ასვამს ზემოთ აღნიშნული პრობლემის თანმიმდევრულ კვლევას.

საქმე ის არის, რომ რომანტიკული მიმდინარეობისათვის ღამახასიათებელ ცალკეულ ნიშანთა განკერძოებით წინ წამოწევის ტენდენციის წინააღმდეგ მიმართული მახვილი შენიშვნების შემდეგ თვით ავტორი მხარს უჭერს ისეთ პრინციპს, რომელიც თვითონ არის გარკვეული ისტორიულ-კულტურული პროცესის შედეგი და მის ერთადერთ, საყოველთაო პოსტულატად წარმოდგენა, თავისთავად ასეთივე მეთოდოლოგიურ შეცდომას შეიცავს.

ავტორის აზრით (სხვათა შორის იგი აქ იშველიებს პუშკინის ცნობილ გამონათქვამს კლასიკურ და რომანტიკულ პოეზიაზე), რომანტიკული მიმდინარეობის თვისება უნდა ვეძებოთ არა მის „მსოფლმხედველობრივ შინაარსში“ არამედ ფორმის დამკვიდრებაში, რადგან, მაკალითად, „XIX საუკუნის ევროპული რომანტიზმი, როგორც მხატვრული ფორმა, მკვიდრდება და ვითარდება როგორც კლასიკური ფორმის უარყოფის შედეგი. ეს არის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება,

რომელიც ასე თუ ისე დამახასიათებელია ყველა ქვეყნის და თითქმის ყველა კონკრეტული პერიოდის რომანტიკული მიმდინარეობისათვის (გვ. 61. ხაზი ჩვენია).

ავტორი ასაბუთებს ამ დებულებას, სხვათა შორის, მოაქვს კარლ მარქსის ცნობილი სიტყვებიც, რომლითაც რომანტიზმი საფრანგეთის რევოლუციის ბუნებრივი რეაქციის შედეგად ვითარდება, რის გამოც „ყველაფერი იძენდა შუა-საუკუნეობრივ ელფერს, ყველაფერი რომანტიკული სახით წარმოდგებოდა“, მაგრამ ეს დებულება სწორედ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას გულისხმობდა და ძნელია, ანალოგიის პრინციპით, იგი საყრდენად გავიხადოთ ქართული რომანტიზმის კვლევის დროსაც, რადგან ეს უკანასკნელი მისთვის სპეციფიკური წინამძღვრებითაა უწინარეს გაპირობებული.

აქ ჩვენ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, ჩემი აზრით, ასეთივე მაცთუნებელი ჰიპოთეზა, როცა ქართულ რენესანსს მექანიკურად უსადაგებენ ევროპულ რენესანსს, ერთგვარად ავიწროებენ ამ ცნების შინაარსს და ქართულ სინამდვილეშიც იმავე ნიშნების „აღმოჩენას“ ცდილობენ, რაც ფაქტიურად დასავლეთ-ევროპული ამავე ტიპის იდეოლოგიური მოძრაობისათვის არის დამახასიათებელი.

ეს მე იმიტომ გავიხსენე, რომ ანალოგიური ცთუნების ერთგვარი ნიშნები უეჭველად ეტყობა განსახილველი წიგნის ავტორსაც, რომელიც ქართულ სინამდვილეში ხედავს თითქოს „რომანტიკული მიმდინარეობის“ შეუპოვარ წინააღმდეგობას „განმანათლებლობასა“ და „კლასიციზმთან“ და ასევე კვლევის სიმძიმის ცენტრი „ახალი ფორმის“ დამკვიდრებაში გადააქვს.

ჩემი ეს შენიშვნა, რასაკვირველია, შეუვალი არ არის. შესაძლებელია ზოგი რამ ახალი ფაქტი „ქართული კლასიცისტური მიმდინარეობის“ შესახებ ახალი მსჯელობის საგნად იქცეს (შდრ. მაგალითად ალ. კალანდაძის ახალი წიგნი „ლიტერატურული ნარკვევები“), მაგრამ როგორც ითქვა, ამ საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტას მეტი კონკრეტული ფაქტიური მასალა უნდა დაედოს საფუძვლად, რასაკვირველია, არც ის მიმაჩნია მართებულად, რომ „ქართული რომანტიზმი“ მსოფლიო მწერლობასთან იზოლირებულად განვიხილოთ, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, რომ სწორედ „ისტორიზმის პრინციპის“ შემოქმედებითად გამოყენება მეტად გვავალებს უფრო ღრმად დავუკვირდეთ „ქართული რომანტიზმის“ წარმოშობის ეროვნულ კონცეფციას.

„მერანი“ და მისი ავტორი“ არსებითად კვლევითი ხასიათის ნაშრომია, თუმცა რიგ შემთხვევაში მსჯელობანი ერთგვარად ესსეს სტილშია მოცემული, რის გამოც, მე ვფიქრობ, ავტორს მითითებათა გარეშე

დარჩენია მანამდე არსებული რიგი ანგარიშგასაწევი შეხედულებები. მაგალითად, როგორც ცნობილია, „მერანის“ ეროვნულ კონცეფციაზე ერთ-ერთმა პირველთაგანმა სიმონ ჩიქოვანმა გაამახვილა ყურადღება. ლევან ასათიანმა ქართველ მკვლევართა შორის ასევე პირველმა მიუთითა გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში დადასტურებულ ბუნების ძალზე თავისებურ შეგრძნებაზე, ადრევე იყო გამოთქმული აგრეთვე მოსაზრება ბესიკის პოეზიის დრამატულ ხასიათზე და ა. შ.

წიგნში თუმცა ხშირადაა მოხსენიებული ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი და მისი პოეზიის უბადლო მცოდნე იონა მეუნარგია, მაგრამ ზოგი მისი დაკვირვება (კერძოდ, ბარათაშვილის პოეზიის კავშირი ბიბლიურ მოტივებთან) მხედველობიდანაა გამორჩენილი.

მაგრამ, რასაკვირველია, როგორც იტყვიან, არცერთი ეს შენიშვნა არ ჩრდილავს წიგნის ძირითად ღირსებებს, მის დამამკვიდრებელ პათოსს — მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგინოს დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის შემოქმედებაშიც „ქართველი ერის პოეტური გენია თვალისმომჭრელ სიმაღლეებს მისწვდა“.

გურამ ასათიანის წიგნი „მერანი“ და მისი ავტორი“ ბარათაშვილის მაღალ პოეზიის საიდუმლოებათა წვდომაში ეხმარება მკითხველს და ამაშია სწორედ მისი გამარჯვების უპირველესი საწინდარი.

1974 წ.

2. წიგნი — გახსენება

იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედაენის“ ასი წლისთავი უდიდესი თარიღია ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

მაგრამ შეიძლება ყველას არ ახსოვდეს, რომ სწორედ იმავე წელს გადაიდგა მეორე საგულისხმო ნაბიჯიც. ზუსტად ასი წლის წინ, 1876 წელს, ბეჭდურად გამოქვეყნდა ბარათაშვილის ლექსების პირველი კრებული. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ წიგნით ბარათაშვილის დიდი პოეტური მემკვიდრეობა, ფაქტიურად, გადაურჩა განადგურებას.

არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა დღეში იყო იმ ხანებში ქართული წიგნის გამოცემის საქმე. ბარათაშვილზე დიდი პოეტიც რომ დაბადებულიყო იმ დროს საქართველოში, იმასაც საკუთარი ნაწერები უბით უნდა ეტარებინა და მომავლისათვის შეეკედრებინა თავისი იმედები—

ეს სიტყვები იონა მეუნარგიას ეკუთვნის და, მართლაც, ზუსტად გამოხატავს მაშინდელი კულტურული ცხოვრების შემზარავ სურათს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მძიმე პიროვნული ხვედრი, როგორც ცნობილია, გაიზიარა მისმა შემოქმედებამაც. პოეტს სიცოცხლეში საკუთარი ლექსების სტრიქონიც კი არ უნახავს დაბეჭდილი. უფრო მეტიც, მომდევნო წლებში ერთეულნი თუ იცნობდნენ და ისიც მხოლოდ მის ზოგიერთ პოეტურ ქმნილებას.

პოეტის ხელიხელსაგოგმანები ლექსები თვალდახელშუა ნადგურდებოდა (დღეს ზოგი მათგანის მხოლოდ სათაურია გვაქვს შემორჩენილი).

მე აქ მკითხველს მინდა შევახსენო ერთი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, თუ დავიწყების „მსახვრალი" ხელი როგორ მუსრავდა პოეტის დიდ შთაგონებას.

დოკუმენტი წარმოადგენს პირად წერილს, რომლის ავტორია ბარათაშვილის სიყრმის მეგობარი ლევან მელიქიშვილი, ხოლო ადრესატი — პოეტის სათაყვანებელი ბიძა გრიგოლ ორბელიანი. წერილი დათარიღებულია 1846 წლის 19 იანვრით, ე. ი. ერთი წელიც არაა გასული პოეტის გარდაცვალებიდან და აი, რა შემაშფოთებელი ცნობებია აქ გადმოცემული ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ.

მოვიტან მხოლოდ ერთ ნაწყვეტს: „...ახლა კი უნდა გაგახარო, — წერს მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს, — იმ მადლიერების გამო, რასაც მისი ხსოვნისა და ნიჭის მიმართ იჩენენ განსვენებულის ახლო ნაცნობები. 14 იანვარს (ნინოობას) რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი სადილად ვისხედით რევაზ ანდრონიკაშვილის ოჯახში. ჩვენს შორის იყო ყაფლანიც (ყაფლან ორბელიანი, პოეტის დედის ეფემიას ბიძაშვილი. — ს. ც.), რომელსაც ვთხოვეთ ემღერა „სულო ბოროტო". მაგრამ შეგიძლია კი წარმოიდგინო, რომ არც მას, არც რომელიმე ჩვენთაგანს ზეპირად აღარ გვახსოვდა და არც შემოგვინახავს პოეტის მშვენიერი ლექსები? ყველას ღრმა სინანულის გრძნობა დაგვეუფლა, რომ ასე იღუპებოდა დიდებული ნაწარმოები.

მეორე დღესვე დავიწყეთ ზრუნვა ხელისმოწერაზე. ვთხოვდით ნაცნობებსა და განსვენებულის ნაცნობებს, გაეღოთ შემოწირულება სრული კრებულის (მათ შორის თარგმანების) დასაბეჭდად. ხომ უნდა შემოვუნახოთ შთამომავლობას პოეტის თხზულებები...

ხუთ დღეში 17 კაცმა გაიღო 1000 მანეთი ვერცხლით. აქედან შეგიძლია დაასკვნა, თუ როგორ ჰყვარებიათ იგი ახლობლებს.

უკვე ვაგროვებთ განსვენებულის თხზულებებს. გვინდა გამოვცეთ ერთ წიგნად, რომელსაც დაერთვის მისიეე პორტრეტი"...

ლევან მელიქიშვილი ამასთანავე თხოვდა გრიგოლს, რომ დაეწერა წიგნისათვის შესავალი წერილი, გამოეგზავნა მის ხელთ არსებული ლექსები პოეტისა და საჭირო თანხაც.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, რასაკვირველია, გრიგოლ ორბელიანი დიდი სიხარულით შეხვედრია უდროოდ დაღუპული პოეტის უკვდავსაყოფად გადადგმულ ამ კეთილშობილურ ნაბიჯს, მაგრამ შეუსრულებია კიდეც ყველა ეს დავალება, თუმცა, სამწუხაროდ, ბარათაშვილის თხზულებებს, ვინ იცის რა მიზეზთა გამო, არც მაშინ და არც შემდეგ კარგა ხანს არ უხილავს მზის სინათლე...

მაგრამ მაინც ეროვნულ აღორძინებასთან ერთად გარდაუვალი იყო ბარათაშვილის ხელახალი აღმოჩენა. ამ დიდი წინათგრძნობითაა გამსჭვალული გიორგი ერისთავის მშვენიერი პოეტური ფრაზა: „ვუყურებ, ტატო რომელ ვარსკვლავად გამობრწყინდების“. სხვათაშორის, მანვე გამოაქვეყნა „ცისკარში“ (1882 წელს) პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი, რითაც პატივი მიაგო მეგობარი პოეტის ნათელ ხსოვნას.

ბარათაშვილის პოეტურმა სიტყვამ მთვლემარე ვულკანივით ახალი ძალით იფეთქა. ამ საქმეში განუზომელია და ალბათ ეს კანონზომიერიც იყო, როლი ილია ჭავჭავაძისა, რომელმაც სრულიად ახალ პერსპექტივაში განსჭვრიტა გენიოსი პოეტის ადგილი ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

ილია ახალგაზრდობაშივე ეზიარა ბარათაშვილის შემოქმედებას. როგორც ცნობილია, ეს მოხდა თვით ბარათაშვილისავე არაერთი შედევრის შთამაგონებელის ეკატერინე დადიანის შემწეობით ჯერ კიდევ პეტერბურგში, და ცნობილია ისიც, თუ რა სულიერი ძვრები გამოიწვია ამ შეხვედრამ ახალგაზრდა პოეტში, „ვერ წარმოიდგენთ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“. — იგონებდა შემდეგ მისივე სიყრმის მეგობარი კოხტა აფხაზი.

მთავარი კი მაინც ის იყო რომ ილიასთვის იმთავითვე ნათელი შეიქნა: „მერანისა“ და „ბედი ქართლისას“ ავტორი ერთი იმ ურყევი ბურჯთაგანია, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ჩვენი ხალხის ეროვნული და კულტურული აღორძინება. ამისი ერთ-ერთი გამოხატულება იყო სწორედ ზრუნვა პოეტის თხზულებათა კრებულის გამოცემისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბარათაშვილის ეს წიგნი პირველ ნომრად დაიბეჭდა იმ სერიაში, რომელსაც „ქართული მწერლობა“ ერქვა და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ხალხში გავრცელებას ისახავდა მიზნად. აქედანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდ როლს აკუთვნებ-

დნენ მაშინდელი მესვეურნი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ სიტყვას.

ამ წიგნით ბარათაშვილი თითქოს მკვდრეთით აღდგა და სამუდამო სამკვიდრებელი ჰპოვა ქართველი კაცის გულში, ხოლო ამასთან ეს იყო დასაწყისი იმ დიდი გზისა, რომლითაც მისი პოეზია ასეთი ტრიუმფით, უკვე ჩვენს დროში, დაიძრა მსოფლიო პოეზიის პანთეონისაკენ.

არ უნდა დავივიწყოთ აქ ერთი გარემოება: პოეტის პირველი წიგნის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ იგი ფაქტიურად ავტოგრაფს წარმოადგენს.

ხელნაწერი, როგორც ამას გამომცემლები გვაუწყებენ შესავალ წერილში, მათთვის გრიგოლ ორბელიანს მიუწოდებია (იქნებ სწორედ ის ლექსები, რომელზედაც საუბარია ლევან მელიქიშვილის ზემოთ მოტანილ წერილში). ეს ხელნაწერი, რომელიც ამჟამად დაკარგული უნდა იყოს, თვით ბარათაშვილის ხელით ყოფილა შესრულებული (საბედნიეროდ პოეტის სხვა ავტოგრაფულმა ნუსხებმა ჩვენამდე მშვენივრად მოაღწიეს); ასევე უცვლელად დაუბეჭდავთ, — არაფერი მათ შორის, ორთოგრაფიაც კი, არ შეუცვლიათ. ეს მომენტიც რაღაცნაირ მიმზიდველობას ჰმატებს მას და უფრო გვაახლოებს „მერანის“ ავტორის პოეტურ სამყაროსთან.

მაგრამ, რასაკვირველია, ამ პირველი წიგნით არ დასრულებულა ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის აღმოჩენის ისტორია. შემდეგ გამოვლინდა ზოგი ისეთი შედევრი, ურომლისოდაც თანამედროვე მკითხველს ვერც კი წარმოუდგენია მისი შემოქმედება.

საკმარისია აქ გავიხსენოთ ბრწყინვალე ლექსები: „ძია გ-სთან“ („ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი...“), „ღამე ყაბახზედ“, „როს ბედნიერ ვარ“ და ქართული რომანტიზმის ისეთი დიდებული ქმნილება, როგორიცაა „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“. ბარათაშვილის ამ ლექსმა დიდიხანია გადალახა „ბედის სამძღვარი“ და სხვა ლექსებთან ერთად გახმიანდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებზე.

ჩვენს დროს წარმოუდგენლად წინ წავიდა ბარათაშვილის შესწავლის საქმე. პოეტის ლექსები არაერთხელ გამოქვეყნდა აკადემიური გამოცემის სახით, მაგრამ მაინც ბარათაშვილის თხზულებათა პირველი წიგნი მარადსახსოვარი ნიშანსვეტი იქნება დიდი პოეტის უკვდავყოფის გზაზე.

და აი, ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა „ნაკადულმა“ შემოგვთავაზა მომხიბვლელი საჩუქარი: — ახლახან წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა მომცრო წიგნაკი, რომლის ყდაზე ძველი, აწ მივიწყებული შრიფტით აღბეჭდილია მისი სახელწოდება: „ლექსნი

თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან. თფილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1876".

ეს წიგნი ზუსტად იმეორებს 1876 წელს გამოცემულ ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველ კრებულს. იგი მართლაც ძვირფასი რელიქვია იქნება მათთვის, ვისაც ჰეშმარიტად უყვარს წიგნი, ბარათაშვილის მარადცოცხალი პოეზია.

ეს პატარა წერილიც სწორედ ამ საგულისხმო ფაქტის გამო აღძრულმა მადლიერების გრძნობამ დამაწერინა.

1976 წ.

3. ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ორბელიანმა სიყვარულით გამთბარი ლექსები მიუძღვნა თავის ქვეყანას, მის დიდებულ წარსულს. ეს თემა ჩვენში რომანტიკოსი პოეტების სახელთანაა დაკავშირებული. ისინი პირველნი აღვივებდნენ ნაპერწკალს, რომელიც შემდეგში ილიასა და აკაკის წინამძღოლობით ხანძარიევით მოედო გამოღვიძებულ საქართველოს. ეროვნული გრძნობის გამოთქმაში ქართველ რომანტიკოსთაგან ყველაზე თანმიმდევარი ვახტანგ ორბელიანი იყო. ილია ჭავჭავაძე ხშირად შენიშნავდა, რომ ისე სულითა და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრასა და სიყვარულს, როგორც ვახტანგ ორბელიანი: „ამისთანა ერთგული მოყვარეც წარსულისა საჭირო იქ, სადაც იგი დავიწყებულია, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა".

ვახტანგ ორბელიანის დედა იყო ერეკლე მეორის ქალი, ჩვენს ხალხურ ლექსებში კარგად ცნობილი, თეკლა ბატონიშვილი, ხოლო მამა— აგრეთვე დიდი ფეოდალი ვახტანგ ორბელიანი. 1812 წელს თეკლა ბატონიშვილმა მიიღო საბედისწერო წერილი. მისი მეუღლე, როგორც მეფის რუსეთის სამსახურში მყოფი ოფიცერი, იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო კახეთის გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში. „...მითამ იმათის (მეფის რუსეთის) ერთგულებისათვის ხვალ ძლიერ ომის ცეცხლში შეეალ, ეგება მომკლან, ან როგორმე თავი შევაკლა ვისმე... ხვალ კახელების დამარცხებას, იმათ სისხლისღვრას უნდა ეუყურო... და მე კიდევ მოვითმინო ეგა?.."

ამ წერილთან ერთად თეკლა ბატონიშვილს ვახტანგის დაღუპვის ამბავიც მოუტანეს. ტრაგიკულად დაღუპული მამის სახსოვრად იმ დღეებში დაბადებულ მის ვაჟსაც ვახტანგი დაარქვეს. ეს ერთი ფაქ-

ტიც საგულისხმოა, თუ როგორ ატმოსფეროში მოხვდებოდა თავიდანვე მომავალი პოეტი. იგი იზრდებოდა ქართველ დიდ ფეოდალთა, ბატონიშვილების გარემოცვაში და მათთან ერთად განიცდიდა ძველი საქართველოს დაცემულ დიდებას. შორს რომ არ წასულიყო, იგი დედამისის თეკლა ბატონიშვილის პოეზიაში იპოვიდა მწუხარე გრძნობის უშრეტ წყაროს. ბატონიშვილების პოეზიაში პირადულმა დაჩრდილა უმთავრესი. ისინი სრულიად მოკლებულნი იყვნენ ახალი ვითარების შეფასებისა და ქართველი ხალხის რეალური პერსპექტივის დანახვის უნარს, მათი პოეზია სიზმარივით ჟღერდა; ვახტანგ ორბელიანი სიჭაბუკეში მთლიანად ამ განცდით იყო შეპყრობილი. იგი პრაქტიკულადაც ჩაება ძველი საქართველოს აღდგენის საქმეში და 19 წლის ჭაბუკი თავის უფროს ძმასთან ერთად 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილეა. როგორც ცნობილია, შეთქმულება ადრევე გამომჟღავნდა მისი ერთ-ერთი მონაწილის იასე ფალავანდიშვილის წინდაუხედაობის გამო და ვახტანგ ორბელიანი, სხვა მონაწილეებთან ერთად, მკაცრად დაისაჯა. სწორედ ამ ხანებში დაიწერა პოეტის რამდენიმე ნაწარმოები, რომელთა შორის საყურადღებოა ლექსი „გამოსალმება“. გადასახლებაში მიმავალი პოეტი მარადიულ სიყვარულს უმჟღავნებს სამშობლო ქვეყანას:

... მთანო ამაყნო, ახოვანნო, ცად მიბჯენილნო!
წყალნო ალმასნო, მოციხარნო, მოკამკამენო!
მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო, ჩემო მამულო,
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი.
გმირთ ძეთ სამარეც, იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,
სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი!

გადასახლებიდან დაბრუნებული პოეტი, სხვა მის თანამებრძოლებთან ერთად იძულებულია ფორმალურად შეურიგდეს მეფის ხელისუფლებას; იგი ჯერ სამხედრო სამსახურშია და გენერალ-მაიორის მაღალ საფეხურსაც კი აღწევს, ხოლო შემდეგ სამოქალაქო დარგით აგრძელებს მოღვაწეობას.

მაგრამ მის გულში ყოველთვის ღვივოდა სიჭაბუკეში დანთებული გრძნობა, ეროვნული ტკივილები იყო მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი. საქართველოს ისტორია მისი შთაგონების დაუშრეტელი წყაროა, ხოლო ერეკლე მეფე ამ ისტორიის უბადლო გმირი. ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ლეიტმოტივად გამოდგებოდა მისი შესანიშნავი ლექსის „იმედის“ შემდეგი სიტყვები:

ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამა, გულთსაკლავი და სავალალო.

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება.

ერთ თავის ლექსში ვახტანგ ორბელიანი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებს „ნანგრევეთა შუა ლამპარს“ და ამით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ხმალთან ერთად დიდმა აზრმა და მწერლობამ გადაარჩინა ქართველი ხალხი რბევასა და გადაგვარებას.

ქართველი ხალხის წარსული დიდების ახლად გახსენებას, მისი ისტორიის სახელოვანი გმირების მოხმობას სხვაგვარი მნიშვნელობა ეძლეოდა გამოღვიძებული ქართველი ხალხის დიდ გამათავისუფლებელ მოძრაობაში და სწორედ ამ თვალით აფასებდნენ ჩვენს რომანტიკოსებს მე-19 საუკუნის დიდი მესვეურები. ვახტანგ ორბელიანი თუმცა მწუხარე თვალით შეჰყურებდა აწმყოს, ზოგჯერ აჭარბებდა კიდეც წარსულის შეფასებაში, მაგრამ მის პოეზიას ამშვენებს იმედის ნაპერწკალიც. ერთ ლექსში მას მშვენიერი ასულის სახით გამოეცხადა იმედის ანგელოზი და ასეთი სიტყვებით ანუგეშებს მწუხარე პოეტს:

გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათ არ განჰქრებიან,
გწამდეს, ეს შთენნი დიდებულნი კვლავ აღსდგებიან.

60-იანი წლების შემდეგ, როცა ახალმა თაობამ ბევრი ახალი საკითხი წამოაყენა, როცა ახალ ფაზაში შევიდა დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, უკვე ხანშიშესული პოეტი იმედის თვალით შესცქერის მომავალს. იგი თვითონაც სიხარულით მონაწილეობს ყოველ ეროვნულ საქმეში, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებაა თუ სხვა რამ ღონისძიება. ფართოვდება მისი პოეზიის თემატური რკალი და ახალი ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხებიც ჰპოვებენ თავის ასახვას. ამიტომ იყო, რომ 1890 წელს ასეთი მწუხარე სიტყვებით გააცილა მხცოვანი პოეტი ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერიამ“: „კიდევ ერთი სახელოვანი კაცი გამოაკლდა ჩვენს ღარიბს ლიტერატურას!.. გარდაიცვალა ჩვენი ტკბილი-მთქმელი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი, ამისთანა კაცის დაკარგვა საყოველთაოდ სამწუხაროა და სამგლოვიარო. ნუგეშად მხოლოდ ის გვრჩება, რომ მისდა სახსენებლად იქნება მისი ლექსები“...

1962 წ.

4. ნარკვევი ილია ჭავჭავაძეზე

ა) ილია ჭავჭავაძე*

„საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დადგი გრძნობის ტაძარიო".

ვაჟა-ფშაველა

ქართველი ხალხის სულიერი მოღვაწეობის დიდ გზაზე ილია ჭავჭავაძე ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.

ილიას მონოლითურ პიროვნებაში თითქოს სრულყოფა ჰპოვა მშობელი ხალხის საუკეთესო თვისებებმა: დიადი აზრით გატაცება, გაუტეხელი ნება მრისხანე და ზარდამცემ ძალად იყო შენივთებული მის ხასიათში.

შარავანდედითაა მოსილი ილიას მოწამებრივი ღვაწლი, შეუპოვარი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის.

განსაკუთრებული იყო ისტორიული ვითარება და განსაკუთრებული შეიქნა ის მისიაც, რომელიც ასეთ დროს უნდა ეტვირთა ერის მეთაურს.

ეროვნული აღორძინება უნდა შეხებოდა თითქმის ყველა სფეროს, მატერიალურსა და სულიერს. ყოველივე ამან განაპირობა მისი მოღვაწეობის უნივერსალური ხასიათიც. მართლაც, ილიას მთელი მოღვაწეობა აშკარად განმანათლებლური იერით არის აღბეჭდილი.

განსაცვიფრებელია მისი მოღვაწეობის დიაპაზონი: პოეზია და პროზა, კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია, პუბლიცისტიკა და სოციოლოგია, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და ფინანსები. რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს. არ დარჩენილა იმ ხანებში რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება, რომლის ინიციატორი ან უშუალო მონაწილეც იგი არ ყოფილიყოს.

გასაგები მიზეზების გამო, გასული საუკუნე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნით წარიმართა, ხოლო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ გადამწყვეტი მოძრაობის უპირველესი ლიდერი სწორედ ილია ჭავჭავაძე შეიქნა. ამ უწმინდეს მიზანს დაუქვემდებარა მან მთელი თავისი მოღვაწეობა და შემოქმედებითი ძალმოსილება.

ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც გასხივოსნებულია მიზანთა ერთობლიობით, მეტყველი მაგალითია მამულისათვის უანგარო თავდადებისა.

---

* პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს, როგორც ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწარმოებების ხუთტომეულის შესავალი წერილი.

ასეთი უკომპრომისო ცხოვრებით იცხოვრა მან და დაფნის გვირგვინთან ერთად, როგორც გარდუვალი ხვედრი, საკუთარ თავზე იწვნია გამწირაობის მწარე სუსხიც.

საკაცობრიო გამოცდილება კი ღაღადებს: დიადი მსხვერპლი დიადი იდეალებისაკენ მიმართავს ხალხს. ამავე ჰეშმარიტების ძალით უდავოა შემდეგიც: ქართველი ერის მომავალი აღზევებაც სამუდამოდ იქნება დაკავშირებული წიწამურის ტრაგედიის ნათლითმოსილი გმირის სახელთან.

*
* *

ილია ჭავჭავაძეს — პოეტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, შეიძლება ითქვას, დაუძლეველი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი.

ილიას და მის გარშემო შემოკრებილ ახალ თაობას, როგორც ითქვა, მძიმე და ძალზე სპეციფიკურ ისტორიულ ვითარებაში მოუხდა გამოსვლა საქვეყნო ასპარეზზე.

ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ენერგია ამ დროს თითქოსდა მთვლემარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირება, რითაც ქართველი ერი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველა პრობლემის მოგვარებას. კულტურული თვითმყოფობის საფუძველზე მას საკუთარი გზების ძიება მართებდა, მაგრამ მიძინებული ეროვნული გრძნობის ფონზე თითქოს აღარც ჩანდა ხვალინდელი დღის პერსპექტივა. მიმბაძველობისა და პროვინციალიზმის მძიმე სნეულება სულიერი და ზნეობრივი გადაგვარებისაკენ ეზიდებოდა ქართველ ხალხს.

საჭირო იყო უდიდესი თავგამეტება, უშრეტი ძალისხმევა, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიული ცხოვრების ახალი დიდი მიჯნა გადაელახა.

ეს სასწაული, მართლაც, გაცხადდა, ხოლო მის პირველ მეკვლედ და სულის ჩამდგმელად ჩვენს ხალხს სწორედ ილია ჭავჭავაძე მოევლინა.

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული“ — ეს სიტყვები ილიამ მოღვაწეობის ქვაკუთხედად აქცია და მთელი მისი არსება ამ უწმინდეს მიზანს დაუქვემდებარა.

ილიას უწინარეს ღრმად ჰქონდა შეცნობილი, რომ ხალხის ასამოძრავებლად აუცილებელია თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი იდეალების საყოველთაო ათვისება. ყოველი ცალკეული პიროვნება უნდა გრძნობდეს დიადი მოძრაობის ერთიან ტალღას. ასეთ დროს

ძალები ორკეცდება და ყოველი მათგანი ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილად თვლის თავს.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა". „ქართვლის ბედის" წაღმა შემობრუნებისათვის ზრუნვა იყო ის უმთავრესი ძალა, რითაც ილიამ გაიყოლია ბრძოლის ასპარეზზე თანამებრძოლები, მთელი ქართველი ერი.

* * *

ეროვნული, სოციალური თუ ზნეობრივი აღორძინებისათვის ბრძოლაში, სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიც იყო, ილია ჭავჭავაძე სასტიკი და შეუპოვარი იყო საქართველოს აშკარა თუ უჩინარი მტრების მიმართ. ეს მან არაერთგზის დაამტკიცა შავრაზმელთა, კატკოვებისა და იანოვსკების მსგავსთა თავხედური გამოხდომებისას, რომლებიც ასე უგუნურად ცდილობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობათა აბუჩად აგდებას, მისი უძვირფასესი საუნჯის, ქართული ენის ხელყოფას.

მაგრამ თავისივე პრინციპების ბოლომდე ერთგული, ილია არც საკუთარ ხალხს აპატიებდა იოტისოდენა ნაკლს. წყლულს დაფარვა და მიფუჩეჩება კი არ შველის, მხილება და მკურნალობა სჭირდება. მისივე უსაყვარლესი გმირის — ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, მოფერებით არავინ გასულა ფონს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია!"
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!"

საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულთან ერთად, გონიერება და სიბრძნე იყო მისი დიდი მოღვაწეობის მანათობელი.

* * *

ილიას ეროვნული კონცეფცია იმ დროისათვის სამაგალითო იყო და აშკარად ეხმიანებოდა მსოფლიოში დაჩაგრული ხალხების უთანასწორო ბრძოლას სოციალური, ეროვნული და კულტურული აღორძინებისათვის. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ეს კონცეფცია გამოირჩეოდა კონკრეტული ამოცანების სიცხადით და დაფუძნებული იყო საკუთარი ხალხის ისტორიული ცხოვრების გამოცდილებაზე.

XIX საუკუნეს ილია „ძლევამოსილს“ უწოდებდა და მას მსოფლიო მასშტაბით ძირეულ გარდაქმნებს უკავშირებდა. უნივერსალურია ამ თვალსაზრისით იდეა ადამიანის გონების უძლეველობისა და რწმენა მარადიული პროგრესისა, რომლებიც აგრერიგად მსჭვალავენ მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ქმნილებებს.

საყურადღებოა ისიც, რომ გასული საუკუნის სამოციანი წლებისათვის ეს იდეები ულტრათანამედროვე იყო, ხოლო მათი ავტორი მთლიანად ითვალისწინებდა როგორც მსოფლიო, ისე რუსეთის მოაზროვნეთა უკეთეს მონაპოვართ. მაგრამ, როგორც ითქვა, ამ შემთხვევაშიც თავიდათავი ის არის, რომ ილია ამ დიადი მოძრაობის მიღმა სრულიად ნათლად ჭვრეტდა საკუთარი ხალხის სპეციფიკურ გასაჭირს და საბრძოლო ამოცანებს: „ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... — წერდა იგი თავის ერთ-ერთ საპროგრამო წერილში — ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს... ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნა დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვ ი ნ ა ო ბ ი ს აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელი ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზე ცხადია... რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს“...

* * *

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, და ესეც ნიშანდობლივია ისეთი უნივერსალური ტიპის მოღვაწისათვის, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე, მის მიერ წამოყენებული ეროვნული კონცეფცია სავსებით იყო განძარცვული ყოველგვარი ნიჰილიზმისა და სხვა ეროვნებათა მიმართ უპატივცემულობისაგან: „სხვისი ნუ გინდა რა, შენი იქმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი. ეს არის დედაბოძი ზნეობისა... ერი, როგორც კრებული ისტორიით შეჯუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუით მყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველს შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე პატივდაუდებლობა, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია“.

ხალხთა ურთიერთმიმართ გამოვლენილ შემწყნარებლურ პოზიციას იგი სანთელივით ეძებდა ჩვენივე ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში და სამომავლო გზის მანათობლად მიიჩნევდა მას.

ასეთი არაერთი ფაქტი გამოავლინა კიდეც მან, ხოლო ჩვენში ასეთი გონიერი ქმედების უპირველეს წინამორბედად, და ესეც ძალზე ნიშანდობლივია, იგი უწინარეს დავით აღმაშენებელს სახავდა, პიროვნებას, რომელმაც, მართლაც, უველაზე ღონიერი ნაბიჯი გადადგა ძველი საქართველოს ფიზიკური და სულიერი აღორძინებისათვის: „მისი კაცთმოყვარეობა, პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა, — წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე, — საკვირველი და საოცარი მაგალითია მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან". ილიას აქ მოტანილი სიტყვები დავით აღმაშენებლის ღვაწლის ზუსტ შეფასებასთან ერთად აშკარად ცხადყოფს თვით მისივე ეროვნული კონცეფციის ძირითად შინაარსს.

* * *

საკუთარი ხალხის მომავლისაკენ ლოგიკური გზების ძიება ილიას შემოქმედებაში წარსულის ღრმა ანალიზზე იყო დაფუძნებული.

სწორედ ამიტომ ქართველი ერის აღორძინების ძნელად სავალ გზაზე მას ერთ უპირველეს მოკავშირედ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის წარმოჩენისათვის ბრძოლა და ისტორიული წარსულის შემეცნება მიაჩნდა.

წარსული, აწმყო და მომავალი მას უწყვეტ ჯაჭვად ჰქონდა გააზრებული და ერთი რგოლის ამოვარდნაც კი ეროვნული უბედურების მაცნედ წარმოედგინა.

იგი მთელი არსებით გრძნობდა ამ უღრმეს შინაგან კავშირს. ამიტომაც ასე გაითავისა და თავის საპროგრამო ლექსს „ქართვლის დედა" ეპიგრაფად წარუმძღვარა დიდებული სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა".

ისევე როგორც ზოგადად, კულტურის საკითხებშიაც ილია ჭავჭავაძე ყოველგვარი იზოლაციის, კარჩაკეტილობის შეუპოვარი მოწინააღმდეგე იყო. ამიტომ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა შინნასწავლ ფსევდოლიტერატორებს და მწერლებს. იგი ჩვენი ხალხის წარსულ კულტურას მსოფლიო ხალხების კულტურასთან კავშირში აღიქვამდა.

ასევე სძაგდა მას წარსულის უსაგნო განდიდება. მან ერთმა პირველთაგანმა არაერთხელ დაასაბუთა კიდეც, რომ ხალხს ჩვენი წარსულის მხოლოდ და მხოლოდ მართალი სურათი უნდა წარმოვუსახოთ.

ეს პოზიცია გამოკვეთილად ჩანს როგორც მის ისტორიულ თხზულებებში, ისე მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებშიც.

მისი აზრით, ჭეშმარიტი ისტორიკოსი ფაქტების ზედაპირზე კი არ უნდა მოექცეს, არამედ უწინარეს იმ მამოძრავებელი ძალების აღმოჩენისაკენ უნდა იღტვოდეს, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე წარმართავდნენ ერის ცხოვრებას.

ეს დღეს აღიარებული და სახელმძღვანელო დებულებებია, მაგრამ ჩვენში მის დამკვიდრებას საკმაო ხანი დასჭირდა. კარგად არის ცნობილი, რომ ეროვნული თვითშემეცნების მწყობრ, მეცნიერულ სისტემაში მოქცევა ერის ცხოვრებაში თვისობრივ ნახტომს მოასწავებს.

პირველი სვრელის გატანა ამ მიმართულებით წილად ხვდა სწორედ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს. ილიას ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილი ფრაზა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“.

ილიამ, როგორც მხატვრულ შემოქმედებაში (საკმარისია აქ ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებულის“ გახსენება), ისე ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში, წარსულის გააზრების მაღალი მეცნიერული ნიმუშები გვიანდერძა და ისტორიული განვითარების დაფარულ მიზეზთა ძიება დაიწყო.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციები, მისივე შემოქმედების მთავარი რწმენის შესაბამისად, წარსული ცხოვრების რეალისტურ შეფასებაზე იყო დაფუძნებული. ილია ამ პოზიციებიდან მკაცრად აკრიტიკებდა „ქართლის ცხოვრების“ ძველ-ქართულ მატიანეთა მიდრეკილებას ოფიციალურ მოვლენათა აღწერისაკენ, ცნობილია ილიას სიტყვები: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“. ილიასთვის, რასაკვირველია, ისიც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ მსგავსი მიდრეკილება საერთოდ შუა საუკუნეთა ქრონიკების მოარული სენი იყო და გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც ქართველი ჟამთააღმწერლები იყვნენ.

ილია ჭავჭავაძეს ამის გამო კარდინალურ საკითხად მიაჩნდა იმის გამოკვლევა, თუ რა შინაგანი ძალების დაძაბვით შეძლო ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გადაეარჩინა საკუთარი არსებობა, კულტურა, ენა... ან რომელ ცდუნებას აჰყვა იგი ჭარტეხილებით აღსავსე ნარეკლიან გზაზე.

„ჩვენ ერს, — წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე, — ორი ათასი წელი მაინც უცხოვრია ისტორიული ცხოვრებით. ბევრიც მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძრკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამისი საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ

ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს, ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებს ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამასთან ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიაში. რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაგვიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც, და თუ ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი".

ისტორიულ მოვლენათა ღრმა გაგებასთან ერთად, ამ სიტყვებში ხაზგასმულია წარსულის, როგორც ისტორიული გაკვეთილის, მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის. წარსულზე დაფიქრებასთან ერთად აქ კარგად მოჩანს დიდი მოღვაწის მომავლისაკენ მზირალი თვალი.

მართლაც, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ილია ჭავჭავაძემ პირველთაგანმა კვლევის სიმძიმის ცენტრი სოციალური და ეკონომიური საფუძვლების კვლევაზე გადაიტანა, რადგანაც ქართველი ხალხი, როგორც ამას ილია ამბობდა, რასაკვირველია, მხოლოდ „მკლავითა და გულადობით" ვერ შეძლებდა ისტორიის მძიმე ჯაპანის ზიდვას.

*
* *

ქართველი ხალხი დიდი სულიერი კულტურის მემკვიდრეა. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, სწორედ ასეთი საამაყო წარსულის შესწავლასა და მართებულ შეფასებას უნდა წარმოეჩინა ჩვენი ხალხის კულტურული სახეც და ეროვნული თავისუფლებისათვის გამწვავებულ ბრძოლაში დაესაბუთებინა მისი არსებობის უფლება.

განსაკუთრებით კი ქართული კულტურის ყველაზე დიდი მონაპოვრის, ქართული მწერლობის დიდი ტრადიციების აღორძინება დაისახა მიზნად. ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში გარდასულ საუკუნეთა მწერლობა მას უპირველეს მოკავშირედ ეგულებოდა[1].

---

[1] ილიას ღვაწლზე ძველი ქართული მწერლობის შესწავლაზე დაწვრ. იხ. ჩვენ წიგნში „მარადიული სახეები", 1981 წ.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა „გააღვიძეს სიყვარული და გაამახვილეს ყურადღება შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი. თითქოს მათ მოაწყვეს არქეოლოგიური გათხრები და ისტორიის წიაღში დაფარული პოეტური სიტყვის ღვთაებრივი ძეგლები ისევ მზის სინათლეზე გამოიტანეს. ამ ძეგლების შესწავლის საქმე სახალხო საქმედ აქციეს“ (ს. ჩიქოვანი).

სანიმუშოდ აქ იკმარებდა ის განსაკუთრებული პოზიცია, რომელიც გამოავლინა მან „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის მიმართ. უწინარეს კი იგი „ვეფხისტყაოსნის“ მგზნებარე დამცველი და დამფასებელია. ილიას სიტყვებით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის ის უპირველესი წიგნია, რომელსაც „მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.

ამიტომ, როგორც ეს ადრე აღნიშნული გვაქვს სპეციალურ წერილში ილია ჭავჭავაძეზე, იგი მკაცრად ემიჯნებოდა საერთოდ პოეტური ქმნილებისა და, მით უფრო, „ვეფხისტყაოსნის“ ცივი გონებით, ე. წ. „მეცნიერული პედანტიზმის“ პოზიციებიდან შეფასებას. აქ ფართო თვალთახედვაა საჭირო, რადგან „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით, მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა“.

მაგრამ იგი კიდევ უფრო სასტიკი იყო იმათ მიმართ, ვინც, ნებსით თუ უნებლიედ, ზოგჯერ კი უცოდინარობის გამო, სწორად ვერ აფასებდა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას და ამით მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

„ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, — დასძენდა ამასთან დაკავშირებით ილია, — თუ რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“, კარგად იციან, — რა ბურჯია ჩვენის თავმოწრნებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს. აქედამ შეგვინგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა“.

სამაგალითოა ამ თვალსაზრისით ილიას პასუხი ივანე ჯაბადარის (იგივე „ნარ-დონის“), ნიკო მარისა და სხვათა მიმართ. ილიამ გამიზნულად მიმართა თავისი დროის საზოგადოებრივი აზრი კულტურული მემკვიდრეობისა და, კერძოდ, რუსთაველის შეფასების მნიშვნელობისაკენ. მართებულად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ბარამიძე: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაბმული ქართველი საზოგადოებისათვის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა ისეთი მნიშვნელობის მხატვრულ მოვლენას, რომელსაც უნდა

დაესაბუთებინა ქართველი ერის კულტურული მოწიფულობა, სოციალური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის კანონიერი უფლებები. ამიტომაც იყო შეუპოვარი ქომაგი რუსთაველის ღირსებისა და დაუნდობელი მებრძოლი ქართველთა ამ ეროვნული დიდების განმაქიქებელთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა ივ. ჯაბადარს, მან არ დაინდო არც ნ. მარის ზოგიერთი შეუფერებელი გამოსვლა. ნიჰილისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ილიას მხარში ამოუდგნენ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართველთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმომადგენლები". სწორედ ასეთი პოზიციიდან აფასებს დღეს ქართული მეცნიერება იმ ბრძოლებს რუსთაველის გარშემო, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გადაიხადა ქართველმა ხალხმა XIX საუკუნეში.

ასევე განსაკუთრებულია ილია ჭავჭავაძის წვლილი თვით „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა-შეფასების საქმეში. აქაც იგი ნიმუშის მომცემი იყო. დღესაც გზის გამკაფავია ილიას სიტყვები, რომ „ვეფხისტყაოსანი" არა მხოლოდ იმიტომაა ჩვენთვის ძვირფასი, რომ იგი ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეს წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსანი" თავისი მხატვრული თუ იდეური ღირსებებით, მაღალი ჰუმანიზმის მსოფლიო მასშტაბის ქმნილებაა და იგი გვერდს უმშვენებს ისეთ გიგანტებს, როგორიცაა ჰომეროსი, შექსპირი და, როგორც ილია იტყოდა, „ძმანი მათნი".

ამიტომ იყო, რომ რაიმე შეღავათი „ვეფხისტყაოსნის" მიმართ ილიას დაუშვებლად მიაჩნდა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი" თვითონვე გაიკვლევდა გზას მსოფლიო ასპარეზზე, ხოლო ეს იქნებოდა ქართველი ხალხის მაღალი პოეტური კულტურის ჰეშმარიტი აღიარება.

დღეს, როცა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი", წინასწარმეტყველებასავით ჟღერს ილიას სიტყვები.

ასევე სამაგალითოა „ვეფხისტყაოსნის" ილიასეული მხატვრული ანალიზი. მის წერილებში სრულიად ახლებური კუთხით გაშუქდა „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სამყარო, სიუჟეტური თავისებურებანი და პერსონაჟები. ილია ადასტურებდა ქართული ცხოვრების, ქართული სინამდვილის ანარეკლს პოემაში, რაც თავისთავად უარყოფდა პოემის ე. წ. უცხოური წარმოშობის უნიადაგო თეორიას. ილიას რწმენა ამ საკითხში ურყევი იყო, რაც სავსებით დაადასტურა კიდეც რუსთველოლოგიის შემდგომმა განვითარებამ.

ილიამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აღმოაჩინა" პოემის ზოგი იშვიათი მხატვრული მიგნება და ღრმა ფსიქოლოგიზმი, წარმოაჩინა პოე-

მაში ჩაქსოვილი ზოგადსაკაცობრიო იდეები, რითაც „ვეფხისტყაოსანი“ ახალ საუკუნეებში აღმოცენებულ უდიდეს პოეტურ ქმნილებათა წინამორბედად გვევლინება.

ილია ჭავჭავაძემ თავისი დიდი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის, „ვისრამიანის“, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვა ძეგლთა თუ ავტორთა გამოცემაში. ეს, როგორც ითქვა, მას პირველ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა.

ილიას, მრავალი საზოგადოებრივი საქმისაგან დამაშვრალს, არც დრო და არც მოცალეობა უწყობდა ხელს ქართული მწერლობის სისტემური კურსის შესაქმნელად, რაც დიდი განძი იქნებოდა დღევანდელი ჩვენი მწერლობისა და მეცნიერებისათვის.

ეს განზრახვა კი, როგორც ჩანს, პოეტს ჰქონია. ჩვენამდე შემონახულა ამ დიდი ჩანაფიქრის კონსპექტური გეგმა, რომელშიც ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპებია მინიშნებული და წარმოჩენილია არაერთი თავისებურება.

მაინც მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ძველი საქართველოს არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მწერალი.

საკმარისია დავასახელოთ დავით გურამიშვილი, რომლის შემოქმედების ეროვნულ ძირებზე მითითებასთან ერთად, ილიამ მის პოეზიაში დაინახა სწრაფვა სრულიად ახალი ნაპირებისაკენ, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა მე-19 საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში. აღმოსავლური პოეზიის წამლეკავი გავლენისაგან განთავისუფლება ილია ჭავჭავაძემ „ევროპეიზმის“ სახელით აღნიშნა, ხოლო მის სათავეში სრულიად მართებულად დავით გურამიშვილი დააყენა.

ილიას ალღო წარსულის მემკვიდრეობის შეფასებაში უცდომელი იყო, ხოლო მეთოდოლოგია — ზუსტი და მკაცრი; აქაც არ ღალატობდა იგი თავისი ცხოვრების წესს, აზროვნების პრინციპს. იგი ორიენტაციას იღებდა მხოლოდ უკეთესზე (გავიხსენოთ მისი მკაცრი მსჯავრი ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ წარმომადგენელზე, რომლებსაც იგი პოეტური სიტყვით თვითმიზნურ გატაცებას უსაყვედურებდა), რადგან მიაჩნდა, რომ ხელაღებით წარსული მემკვიდრეობის შეფასება ზიანის მომტანია და სხვა არაფერი.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ასეთი პრინციპული პოზიცია დღესაც სანიმუშოა.

*
* *

ზღვასავით ვრცელია და უნაპირო ილიას ღვაწლი. განუზომელია მისი დამსახურება ქართული მხატვრული სიტყვის შემდგომ განვითა-

რებაში. „განდეგილისა“ და „აჩრდილის“ ავტორის დიადი ნააზრევი ჩვენი ეროვნული საუნჯის ოქროს ფონდს განეკუთვნება და სამარადჟამოდაა აღბეჭდილი ქართველი კაცის ცნობიერებაში:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

*
* *

ახლოვდება დიადი თარიღი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სრულდება 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. მადლიერი შთამომავლობა კიდევ ერთხელ სასოებით გადაავლებს თვალს დიდი წინამორბედის უკვდავ შემოქმედებას, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება შემწე უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

ბ) „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა“...

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი აღზევების გზაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ოთარაანთ ქვრივსა“ და „განდეგილს“. ორივე ეს დიადი თხზულება დაიწერა თითქმის ერთიმეორის მიყოლებით და სიმწიფეში შესული შემოქმედისათვის წლების მანძილზე გულში ნატარები „სულთა კვეთების“ მხატვრულ მატიანედ მოგვევლინა.

მძაფრი პრობლემატიკის კვალდაკვალ „ოთარაანთ ქვრივი“ ქართული ხასიათის ძიების გზაზე ერთი უპირველესი დოკუმენტია და მეტწილ შემთხვევაში თვით ავტორისავე პიროვნულ თვისებათა მხატვრული გარდასახვის შედეგს წარმოადგენს.

„რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“? იგი მთელ მოთხრობას ლეიტმოტივად გასდევს და თვით ავტორისეულ კრედოს შეიცავს. მკაცრი სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, ჩვენი ხალხი დიდმა მოჭირნახულემ საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების პრინციპად აქცია.

ეროვნული, სოციალური თუ ზნეობრივი აღორძინებისათვის ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე სასტიკი და შეუპოვარი იყო საქართველოს აშკარა თუ უჩინარი მტრების მიმართ. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა შავრაზმელთა წინააღმდეგაც, რომლებიც ასე უგუნურად ცდილობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობათა და მისი უძვირფასესი განძის, ქართული ენის ხელყოფას.

მაგრამ, მისივე პრინციპებიდან გამომდინარე, იგი არც საკუთარი ხალხის თუნდაც იოტისოდენა ნაკლის დამთმობი არ იყო. წყლულს

დაფარვა და მიფუჩეჩება კი არ შველის, მხილება და მკურნალობა სჭირდება. მისივე უსაყვარლესი გმირის ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, მოფერებით არავინ გასულა იოლად ფონს: „ჩემზე ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია!“ ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“...

საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულთან ერთად გონიერება და სიბრძნე იყო მისი დიდი მოღვაწეობის მანათობელი.

მამათა და შვილთა საუკუნის ბრძოლაგამოვლილია ილია, და ეს განსაკუთრებით საგულისხმოა მის პიროვნულ თვისებათა დახასიათების დროს, ასეთივე მკაცრ პოზიციას ირჩევდა მომავალი თაობების მიმართაც. ამის მაგალითად მარტო მისი კრიტიკული წერილი „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ იკმარებდა. სათბურში ნალოლიავებ ყვავილებად მიაჩნდა ნებიერად გაზრდილი ახალგაზრდობა და მზის ქვეშეთში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად შეუპოვარი ბრძოლებისაკენ უხმობდა მათ.

თაობათა ბრძოლაც ასევე წარმოედგინა მას და იგი ამ საკითხშიც ბოლომდე თანმიმდევრული დარჩა. მაგალითად, ახალგაზრდების ერთი ჯგუფის შემოტევისას უკვე ხანდაზმულ ილიას უთქვამს, რაც ფიქსირებულია კიდეც მისი ბიოგრაფების მიერ: არავითარი დათმობა, რადგან დათმობა დაღუპვას მოასწავებს და მხოლოდ საამო ბანგით დაათრობს იოლი გამარჯვების მოყვარულთ. თუ მძლევენ პატიოსან ბრძოლაში, დაე მძლიონ და მაშინ, მხოლოდ მაშინ აღიარებაცა და საქვეყნო საქმის თავკაცობაც მათთვის უპრიანი და ალალიც იქნებაო.

და ეს სიტყვები ეკუთვნის სწორედ იმ პიროვნებას, რომელიც ასეთი ზარზეიმით შეხვდა ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ქართული მწერლობის დიდ ასპარეზზე.

*
* *

ილიას ყოვლისმომცველი და ჩაღრმავებული ბიოგრაფია ჯერ კიდევ ელის თავის ავტორს, თუმცა ზოგი ძირითადი შტრიხი მისი პიროვნული თვისებებისა, ასე თუ ისე, მაინც არის ცნობილი. იყო მკაცრი სხვათა საქციელის შეფასებისას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. საქმე ის არის, რომ, როგორც ეს დიდბუნებოვანთა წესია, ილია საკუთარი თავის მიმართაც ასევე მომთხოვნი და კრიტიკული იყო.

დრომ განამტკიცა და ილიამ, რაც მისთვის აგრე რიგად დამახასიათებელია, აშკარად გადასინჯა თავისი უმკაცრესი პოზიცია ძველი

თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ. რად ღირს მარტო მისი პირუთვნელი სიტყვა თავისი მოღვაწეობის მომდევნო პერიოდში თვით გრიგოლ ორბელიანის პოეზიაზე ან კი მისი გამოსათხოვარი სიტყვა თქმული დიდი წინამორბედის გარდაცვალების გამო: გრიგოლ ორბელიანი ილიას აღიარებით „იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენი სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელი“. ილიამ კარგად იცოდა, რომ ზემონათქვამ სიტყვებს გაფაციცებით უგდებდა ყურს მთელი საქართველო და მისი ალღოც, როგორც ყოველთვის, ახლაც უცთომელი აღმოჩნდა.

მაგრამ, რაც უმთავრესია, იგი ასეთივე კრიტიკული იყო საკუთარი შემოქმედების მიმართ და უდრტვინველად იღებდა მართალ შენიშვნებს, თუნდაც იგი მისი ლიტერატურული „მტრების“ ბანაკიდან ყოფილიყო გამოსროლილი.

„ოთარაანთ ქვრივისა“ და „აჩრდილის“ ავტორი პირველი მოქართულე და მშობლიური ენის შეუპოვარი დამცველი იყო. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ მის პირველ, სიჭაბუკისდროინდელ ლექსებში აქა-იქ გაპარულია დაუხვეწავი ფრაზა ან ქართულისათვის უცხო კონსტრუქცია (რაშიც, ჩემის აზრით, გარკვეული როლი ითამაშა ამ წლებში პოეტის მშობლიური გარემოდან მოწყვეტამაც). ეს შენიშნეს და არ აპატიეს კიდეც მისმა მოპაექრეებმა „მამათა“ ბანაკიდან. თვით ილიასგან ასე სამართლიანად განჭიქებული გიორგი ბარათაშვილი შენიშნავდა საპასუხო წერილში: „ელეგიაში“ უფალი ჭავჭავაძე ამბობს: „როსღა გვექნება ჩვენ გაღვიძება“. უთუოდ, ხუმრობით მოსვლია ასეთი ლექსი, თორემ განა თვითონ უფალმა ჭავჭავაძემ არ იცის, რომ არ ითქმება „გვექნება გაღვიძება“ და უნდა იყოს „როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება“?

ილიამ არამც თუ ყურად იღო ეს შენიშვნა, არამედ მომდევნო პუბლიკაციებში გაასწორა იგი და რაც საგულისხმოა, გაასწორა თითქმის ისე, როგორც ამას სთავაზობდა მისივე რეცენზენტი: „ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ ამ გასწორების შემდეგ მხატვრული თვალსაზრისით ილიას დიდებული „ელეგია“ კიდევ უფრო უზადო შეიქნა.

ილია არც თვით ბარბარე ჯორჯაძის განაწყენებული წერილის კილოს მოერიდა და ცნობილ ლექსში „გაზაფხული“ უხერხული ფრაზა „ტყეს ესხმება ფოთოლი“ გაასწორა ისე, როგორც მას დღეს იცნობს ყოველი ჩვენთაგანი: „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ჰყივის...“

მართლაც, როგორ არა ჰგავს ასეთ დროს დიდი პოეტი ზოგიერთ მის თანამოკალმეს, რომელთა შეუვალობა მათივე უმწეობის ერთადერთი იარაღია.

ქვემოთ, ჩვენ საგანგებოდ გვინდა შევეხოთ „განდეგილის“ ერთ უცნობ ლიტერატურულ წყაროს. მაგრამ სწორედ „განდეგილთან“ დაკავშირებით კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი პოემის შექმნის ისტორიიდან, რომელიც, ამასთან, დიდი პოეტის თავმდაბლური დამოკიდებულების ზემონათქვამ ფაქტებს ეხმიანება.

როგორც ცნობილია, ილია თავის მნიშვნელოვან თხზულებებს, მას ეს წესად ჰქონდა დათქმული, წინასწარ კითხულობდა ხოლმე მეგობართა წრეში, უკითხავდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთ და, როგორც გადმოგვცემენ, ეს კითხვაც ერთ რამედ ღირდა. ეს იყო თურმე, მართლაც, ნიმუში ქართული მეტყველებისა და ამ შემთხვევაშიც ილია როგორც ლექსის, ისე პროზის კითხვისას შეუდარებელი ყოფილა.

გამოქვეყნებამდე ანალოგიური გზა განელო ილიას დიდებულმა „განდეგილმაც“, მაგრამ უმჯობესია, აქ სიტყვა მივცეთ ილიასავე განუყრელ თანამშრომელსა და ერთ-ერთ პირველ ბიოგრაფს გიგა ყიფშიძეს: „საზოგადო და საჟურნალო მოღვაწეობით გართულმა ილიამ, — გვიამბობს მოგონების ავტორი, — უკლო მგოსნობას, პატარ-პატარა ლექსების შექმნას, მაგრამ სამაგიეროდ მის გულის სიღრმეში ჰღვიოდა თურმე ამ დროს თესლი იმ ნაწარმოებისა, რომელიც ილიამ შესძღვნა თავის ქვეყანას 1882 წელს.

ეგ ნაწარმოებია „განდეგილი“, რომლის თითქმის შობასაც ვუცქირე და ნათლობასაც დავესწარი. დილა იყო, როცა მივედი ივანე მაჩაბელთან ერთად ილიასთან სახლში საქმეების გამო (აქვე იყო მოთავსებული „ივერიის“ რედაქციაც — ს. ც.) დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორი გამოვა, გვითხრა ილიამ, საქმეების გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა; მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანი მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალ-წინ წარმომიდგა. თითქოს თავ-ბრუ დამესხა, გამოვუყუჩდი და თითქმის ვეღარა გავიგე-რა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათავებლად.

„განდეგილი“ დამთავრდა და წაკითხულ იქმნა განსვენებულ დავით სარაჯიშვილის სახლში, — განაგრძობს შემდეგ ავტორი, — მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო.

თუ ხსოვნა არ მღალატობს, წამოდგა ი. მ-ა, ცნობილი მოყვარული ქართულის მწერლობისა და სთქვა აღტაცებით: მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავ, თვით განდეგილის სურათს, მისი გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსაო.

გაიმართა საუბარი, კამათი...

ილიამ დაბეჭდა თავისი პოემა „ივერიაში“ 1882 წელს, თებერვლის ნომერში და შიგ გაჩნდა მეხუთე ხანად აღწერა განდეგილის სურათისა: „არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა. ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა. სახე გამხდარი, კუშტი და მწყარალი სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა, და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს, შარავანდედი გადაჰფენოდა...“

აქვე დავძენ, რომ შენიშვნის ავტორი, რომელიც გიგა ყიფშიძეს ინიციალებით აღუნუსხავს, იყო ცნობილი ქართველი მწერალი და ლიტერატორი, ილიას დიდი ნიჭის უსაზღვროდ თაყვანისმცემელი იონა მეუნარგია. აღსანიშნავია ისიც, რომ „განდეგილის“ გარშემო პირველი კრიტიკული წერილი იმავე 1883 წელს ბეჭდურად გამოაქვეყნა სწორედ იონა მეუნარგიამ და პოემის მხატვრულ ადგილთაგან ზემოთციტირებული ნაწყვეტიც აღნიშნა.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ როგორც ცნობილი გახდა, დიდმა ილიამ, მართლაც, ყურად იღო მეგობარი თანამოკალმის შენიშვნა და ახალი თავი, რომლის ერთი ნაწყვეტიც ზემოთ მოვიტანეთ, დაუმატა კიდეც პოემის დასაბეჭდად მომზადებულ ვარიანტს. დაუმატა, მაგრამ არა ისეთი სახით, როგორც ეს, ალბათ, წარმოედგინა თვით შენიშვნის ავტორს. ეს მაინც არ არის პლასტიკური ხერხებით ნაწერი რეალისტური პორტრეტი მეუდაბნოე მწირისა. ასეთი პორტრეტი, ჩვენის აზრით, აშკარად სტილურ აღრევას შეიტანდა მთელი პოემის არქიტექტონიკაში, რომელიც ითვალისწინებდა შუა საუკუნეთა ამ ტიპის თხზულებათა მყარ ტრადიციას. პოემაში სიმძიმის ცენტრი, ხოლო ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს დიდი პოეტის უტყუარ მხატვრულ ალღოზე, გადატანილია სულიერ მოძრაობებზე, მინიშნებებზე და მეუდაბნოეს პორტრეტიც, ფაქტიურად, მსგავსი ხერხითაა შესრულებული. გავიხსენოთ თუნდაც გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ანალოგიური სტილით ნაწერი გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი, რომელიც მაინც-დამაინც სულიერ სიქველეს უფრო გადმოგვცემს და არა გმირის დეტალურად აღწერილ გარეგნობას (იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლადკეთილ, სრულიად გუამითა მრთელ“).

რაც შეეხება თვით იმ უნივერსალურ იდეას, როგორც ითქვა და რაც საფუძვლად უდევს „განდეგილს“, ილია სიჭაბუკის წლებიდანვე ატარებდა და აკი სცადა კიდეც ადრევე მისი მხატვრული განხორციე-

ლებაც. მე აქ, რასაკვირველია, პირველ რიგში ვგულისხმობ მის „მგზავრის წერილებს“. მყინვარისა და თერგის მხატვრულ სახეთა შორის აშკარად გამოსჩანს ამ იდეის ხორცშესხმის პირველი ნაბიჯები.

მაგრამ გავიდა წლები. შემოქმედებითი სიმწიფის ჟამის დადგომასთან ერთად, ილია კიდევ უფრო ღრმად დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას, კერძოდ კი ქრისტიანულ სასულიერო კულტურას, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო ახლო გაეცნო აღნიშნული თემის დამუშავების არაერთ ცდას მსოფლიო ლიტერატურაში (რაც აღნიშნულია კიდეც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში), და როგორც ჩანს, მის მხატვრულ წარმოსახვაში თანდათან იკვეთებოდა ცხოვრებასთან დამოკიდებულების საკუთარი კონცეფცია, რომელსაც მხატვრული არსებობის უფლება სწორედ მის ახალ პოემაში უნდა შეეძინა.

ტანჯვითა და ძიებით აღსავსე იყო ეს წლები, რომელსაც შემოქმედი „განდეგილის“ გასრულებამდე უნდა მიეყვანა. თითოეული ეპიზოდის მოფიქრებას, ცალკეული ფრაზისა თუ სიტყვის შემოტანას უმკაცრესი სტილით ნაწერ მხატვრულ ქსოვილში, როგორც ეს თვით თხზულების შემოქმედებითი ისტორიიდანაც ჩანს, ალბათ, პოეტი არაერთ უძილო ღამეს უძღვნიდა.

შორს რომ არ წავიდეთ, ამაზე მეტყველებს დაკვირვება თვით პოემის სათაურზეც, რომელიც რამდენიმე ვარიანტითაა ცნობილი. პირველი განზრახვით პოემის სათაური წარმოდგენილი იყო „მეუდაბნოეს“ სახით, რომელიც შემდეგ დედანშივე გადაუხაზავს და სათაურად მისთვის „ბეთლემი“ შეურჩევია. როგორც ჩანს, ორივე ეს ვარიანტი ძალზე ზოგადი შინაარსის მქონედ მოსჩვენებია და მის ცნობიერებაში, ალბათ, ისევ და ისევ ძველი ქართული სიტყვის საბადოების მოძიების შედეგად ამოტივტივებულა უფრო კონკრეტული შინაარსის მქონე სიტყვა „განდეგილი“.

მაგრამ აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც. იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ დღესდღეობით მოგვეპოვება, ასეთი ფორმით ამ სიტყვას ძველი ქართული მწერლობა არ იცნობს. მაგრამ ძველი ქართული ძეგლების გაცნობა გვიდასტურებს, რომ ანალოგიურ შინაარსს გამოხატავს შუა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული სიტყვა „განდგომილი“. იგი ნაწარმოებია სიტყვიდან „განდგომა“ და ნიშნავს განცალკევებულს, განყენებულს, განშორებულს (დაწვრ. იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი). „განდეგილის“ ფორმით ამ სიტყვას არ იცნობს თვით საბაც, რომელიც შედარებით ახალი ქართულის ფაქტებსაც ასახავს თავის „სიტყვის კონაში“ (იხ. განდგომა — გაცლა, განდგომილი — გაცლილი).

როცა ამ სიტყვით „განდეგილი“ დავინტერესდი და უიმედოდ ვეძებდი ძველი ქართული მწერლობის მასალებში (მათ შორის

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის უმდიდრეს კარტოტეკაში), ამ ფაქტმა ჩემი ისეთივე განცვიფრება გამოიწვია, როგორც ერთ დროს იმის აღმოჩენამ, რომ, მაგალითად, რუსთველი არ იცნობს და არც ერთხელ არ იყენებს ისეთ სიტყვას, როგორიცაა „მეგობარი“ ან „მეგობრობა“, თუმცა ეს სიტყვა დადასტურებულია თვით უძველეს ქართულ ძეგლებშიც კი. (რამდენი წერილი და წიგნი კი დაწერილა რუსთველის მიერ აღწერილ, მართლაც, შეუდარებელ მეგობრობაზე? და რამდენადაც ვიცი არც ერთხელ კი არავის აღუნიშნავს, რომ ასეთ სიტყვას თვით „ვეფხისტყაოსანი“ თურმე საერთოდ არ იცნობს).

ხოლო რაც შეეხება ფორმას „განდეგილი“, იგი ფაქტიურად ნეოლოგიზმის ტიპის სიტყვაა და ძველ-ქართულ „განდგომილის“ საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. იგი მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დასტურდება კანტიკუნტად და, როგორც ჩანს, სწორედ ილიას დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა, რომ იგი ძველ-ქართული „განდგომილის“ ნაცვლად ასე ფუნდამენტურად დამკვიდრდა თანამედროვე ქართულ მეტყველებაში.

*
* *

მგონი ფლობერს მიეკუთვნება ხატოვანი თქმა, რომ დაბადების პროცესში მყოფი ქმნილებისათვის მიგნებული პირველი მარჯვე ფრაზა მწერლური გამარჯვების ნახევრის ტოლფასი მაინც არისო. გიგა ყიფშიძის ზემოთმოტანილი მოგონებიდან სხვათა შორის მშვენივრად ჩანს ისიც, თუ „განდეგილის“ წერისას როგორ ემზადებოდა პოეტი ასეთი ნახტომისათვის და თავის მეგობრებს როგორ გაანდო ბოლომდე, თუმცა მოფიქრებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუწერელი პოემის პირველი ფრაზები: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან, სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია, სად მეუფება ჰქონ-ჭუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია“.

პოემის პირველ სტრიქონებს, რომლებიც სამუდამოდ არიან აღბეჭდილნი ქართველი კაცის ცნობიერებაში, გიგა ყიფშიძესთან ერთად უსმენდა ისეთი დიდი მესაიდუმლე ქართული სიტყვისა, როგორიც ივანე მაჩაბელი იყო. მათი აღტაცება დასტური იყო იმისა, რომ ჩანაფიქრის მომავალი ხორცშესხმის გზაზე ერთი მთავარი ციხე-კოშკი ძირს იყო გართხმული.

* * *

ხოლო იმის დასტურად, რომ დიდი ილია წლების მანძილზე, მართლაც, ეძიებდა, ამუშავებდა ძველ-ქართულ ძეგლებს, დიდსა თუ მცირეს, რათა შესაფერი კილო თუ გამოთქმა შეერჩია პოემის წერისას, მკითხველს მინდა გავუზიარო ერთი დაკვირვება თვით პოემის ლიტერატურული წყაროების ისტორიიდან.

ძველ-ქართულ მწერლობაში არის ერთი ნაკლებად ცნობილი თხზულება, რომელიც სამოგზაურო ჟანრს განეკუთვნება. მისი სახელწოდებაა „მცირე ანდერძი", ხოლო ავტორია ქართულ მწერლობაში ასევე ნაკლებად ცნობილი პიროვნება გაბრიელ გელოვანი.

თხზულების ავტორი თან ახლდა ვახტანგ მეექვსეს, როცა იგი მრავალრიცხოვანი ამალით კავკასიონის უღელტეხილის გავლით რაჭიდან რუსეთისაკენ დაიძრა. ოტია ფავლენიშვილის „ვახტანგიანთან" ერთად გაბრიელ გელოვანის „მცირე ანდერძი", რომელშიც აღწერილია ვახტანგის მიერ განვლილი ფათერაკებით აღსავსე გზა რაჭიდან ასტრახანამდე, არის თითქმის ერთადერთი საიმედო წყარო, რომელმაც შემოგვინახა ქართული ისტორიული ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი, თუმცა ტრაგიკული მოგზაურობის ამბები.

ჩვენთვის კი ამჯერად მთავარი ის არის, რომ ზვიადი კავკასიონის შეუპოვარი ბუნებით განცვიფრებული ავტორი აღწერს, თუ როგორ შეუდგა ვახტანგის მრავალრიცხოვანი ამალა (რომელთა შორის მრავლად იყვნენ ქალები და ბავშვები) კავკასიონის ერთ-ერთ უღელტეხილს: „მაშინ აღდგა მეფე და განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მაღალსა კავკასიისასა მსგავსსა ჯოჯოხეთისასა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამომდინარე თოვლითა და ყინულთაგან, ესრეთ ძნიად განსასვლელ იყო კაცთათვის. უკუეთუ შთავარდნილ იყოს ქვესკნელსა მას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა არწივი, მასცა ვერღა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცაღა თუ ესოდენთა ურიცხვთა დედაწულთა".

და აი, თითქოს იბადება კიდეც „განდეგილის" პირველი სტრიქონები, რომლებიც მაღალი შემოქმედებითი წარმოსახვით გვიხატავს კავკასიონის ზეცამდე ატყორცნილი ყინულეთის მარადიულ სამეფოს: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან"...

მაგრამ იქნებ ეს შემთხვევითი შეხვედრაა, რომელიც თვით კავკასიონის უშუალო ხილვის დროს დაიბადა (ილიაც ხომ ხშირი სტუმარი იყო ხევის პატარძლისა, როცა იგი ამ გზით მოგზაურობდა რუსეთსა და საქართველოს შორის).

მაგრამ ფრაზა „ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან“ ვფიქრობ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას. გამორიცხავს მას აგრეთვე ერთი უტყუარი ფაქტი, რომელიც, ჩემის აზრით, გადამწყვეტია ასეთი ლიტერატურული შეხვედრის გენეზისის კვლევის დროს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა გაბრიელ გელოვანის ზემოაღნიშნულ თხზულებას. იგი პირველად თვით ილიასავე სანქციით დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წელს. დიახ, სწორედ „ივერიაში“, რომლის სულისჩამდგმელი და მთავარი რედაქტორი იყო თვით „განდეგილის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე. ფაქტია, რომ „მცირე ანდერძის“ ზემოთმოტანილმა ფრაზებმა მისცეს ერთგვარი ბიძგი „განდეგილის“ იმდაგვარ დასაწყის სიტყვებს, რომლებიც ასეთ პარალელებს ამჟღავნებენ გაბრიელ გელოვანის თხზულებასთან. (გაბრიელ გელოვანის აღნიშნული თხზულება ჩვენ დროს ხელმეორედ გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა წიგნში „დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში“. 1955 წ.).

ზემოთმოტანილი დაკვირვება, ჩემის აზრით, საგულისხმოა სხვა მხრითაც. იგი ცხადყოფს, რომ „აჩრდილისა“ და „განდეგილის“ ავტორის შემოქმედებითი ინტერესის სფეროში მოქცეული იყო არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის უპირველესი ავტორები (ეს საკითხი დღესდღეობით შედარებით უკეთაცაა შესწავლილი). იგი აკვირდებოდა და შემოქმედებითად ითვისებდა თვით ისეთ უჩინო და უცნობ თხზულებებსაც, როგორიცაა ამ შემთხვევაში გაბრიელ გელოვანის „მცირე ანდერძი“.

ამ მიმართულებითაც გაწეული მომავალი კვლევა-ძიება, ვინ იცის, რამდენ საგულისხმო ფაქტს წარმოაჩენს დიდი პოეტის თხზულებათა ლიტერატურული ისტორიიდან.

1982 წ.

ბ) „მრავალნი არიან ჩინებულ“...

ეს მცირე ეტიუდიც ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება, კერძოდ, კი მის დამოკიდებულებას ქართული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლის მიმართ, როგორიცაა ბიბლიური ტექსტები. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ძველი და ახალი აღთქმის ქართულ

თარგმანებს, რომელთა გარეშეც, მართლაც, წარმოუდგენელია ქართული შუა საუკუნეების სულიერ კულტურაზე რამდენიმე სერიოზული საუბარიც კი (თუმცა ასეთი რეციდივების არაერთი ფაქტი დადასტურებულია არც თუ შორეულ წარსულში).

ილია ჭავჭავაძის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ნაწარმოებთა ერთი თვალის გადავლება უმალ ცხადჰყოფს, თუ რა საფუძვლიანად და ღრმად იცნობდა დიდი ილია ძველ-ქართულ როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობას. ეს ფაქტი საგულისხმოა არამხოლოდ მწერლის კულტუროლოგიური პოზიციის გასარკვევად, არამედ ისეთი ფენომენის ჩამოყალიბების საქმეშიც, როგორიცაა მწერლისათვის მხატვრული სიტყვა. ილიას უზადო ქართულის ცოცხალი სალაპარაკო მეტყველება და დიდი მწიგნობრული ტრადიციები ჰკვებავდა. ყოველივე ეს კი დიდად განაპირობა იმანაც, რომ იგი სიყმაწვილიდანვე ეზიარა განათლების ისეთ ფორმას, რომელიც სასულიერო წიგნების შესწავლას ემყარებოდა. ილიას პირველი აღმზრდელი მისივე სოფლის მთავარი იყო, რომელსაც მწერალი ნიადაგ ასეთი სიყვარულით იგონებდა (ფიქრობენ, მაგალითად, რომ იგია სწორედ ერთ-ერთი პროტოტიპი მღვდლის დიდებული სახისა „გლახის ნაამბობში“).

„ეს გარემოება თუა, სხვათა შორის, მიზეზი იმისა, — იგონებს მწერლის ერთ-ერთი ბიოგრაფი, — რომ ილიას თითქმის მოხუცებულობამდე შერჩა სიყვარული საღმთო წერილის კითხვისა, მისის ქართულის ენამზიანობისა და სიღრმე-ძალისა, აგრეთვე სახარების კარგის, კილოიანის კითხვისა ეკლესიაში. ილია იმ აზრს ადგა, რომ ქართულის ღრმად და ყოველმხრივი შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა კითხვა საღმრთო წიგნებისა, ცოდნა ძველის ქართულისა. ქართულს ის შეისწავლის საფუძვლიანად, ვინც ხშირად კითხულობს საღმრთო წერილის წიგნებს, კითხულობს შეგნებით და უკვირდება ძველის ქართულის საგრამატიკო ფორმებს, მის მიმოხვრასა, სინტაქსისსაო. თვითონაც ხშირად კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს, სახარება-სამოციქულოს და მოსმენაც უყვარდა ეკლესიაში მათის წაკითხვისა. ისე აღდგომა არ გათენდებოდა თითქმის, რომ განსაკუთრებული გულისძგერა არ აშლოდა და არ მოენდომებინა ეკლესიაში წასვლა, უფრო-კი სახარების კითხვის მოსასმენად.

აქ ცხადად სჩანს ის გავლენა, ის ღრმა შთაბეჭდილება ყმაწვილობისა, რომელიც დაუტოვებია ილიას ნორჩ გულში საეკლესიო წიგნების კარგის კითხვით სახელგანთქმულს მთავარსო“.

ბავშვობის წლებიდანვე აღმოცენებული ეს დიდი სიყვარული ილიამ შემდეგში ორი მიმართულებით წარმართა. როგორც მოღვაწემ

მან დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული კულტურის გამომზეურებისა და შესწავლის საქმეს. ეროვნული თვითმყოფობისათვის უთანასწორო ბრძოლაში გარდასულ საუკუნეთა მწერლობა მას უპირველეს მოკავშირედ ეგულებოდა.

ხოლო როგორც პოეტი და მოაზროვნე, ამავე მწერლობაში ჰპოვებდა იგი შთაგონების უშრეტ წყაროს.

საჭიროებისამებრ, ასევე ხშირად მიმართავდა ილია ქართული ბიბლიური წიგნების ტექსტებს და საკუთარ თხზულებებში ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა მათ (ამ მხრივ მარტო „აჩრდილის“ ლიტერატურულ წყაროებზე დაკვირვება იქნებოდა საკმარისი).

მაგრამ ასეთი თვალსაზრისით პოეტის მემკვიდრეობის შესწავლამ გამოავლინა აღნიშნული ტექსტებისადმი მისეული დამოკიდებულების ერთი დამაფიქრებელი თავისებურება, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გამოირკვა, მაგალითად, რომ რიგ შემთხვევაში ილიას ახალ ქართულზე გადმოჰქონდა მანამდე ძველი რედაქციებით ცნობილი ბიბლიური ტექსტები, რაზედაც, როგორც ჩანს, მწერალს საკუთარი პოზიცია ჰქონდა შემუშავებული.

მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. გადმოგვცემენ, რომ ილიას ხშირად უყვარდა ხოლმე და მისი გავლენით მასვე იმეორებდნენ მისივე ახლობელი თანამოკალმენიც, სახარების ერთი შეგონების გახსენება. საქმე ეხება ისეთ პირთ, რომლებიც ეწევიან ხოლმე ისეთი სახით მოღვაწეობას, რაც მათი ჭეშმარიტი მოწოდება არ არის. თავის ცნობილ წერილში „შინაური საქმეთა გამო“ (1886 წ.) ილია ეხება, მისი სიტყვით ზოგიერთ უხეირო კალმოსანს, და აღნიშნავს, რომ „მრავალნი არიან წვეულ და მხოლოდ მცირედნი რჩეულ“.

ეს ფრაზა, არც მეტი არც ნაკლები, არის ციტატა მათეს სახარებიდან (შდრ. 20, 16 და 20, 14).

მაგრამ შედარება ცხადჰყოფს, ხოლო ეს არის ამ შემთხვევაში საგულისხმო, რომ აღნიშნული ადგილი სხვაგვარად იკითხება სახარების ძველ-ქართულ კანონიკურ ტექსტებში. მართლაც, სახარების გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (შდრ. ეგეთე ადგილი სახარების უფრო ძველ, ადიშისა და ჯრუჭ-პარხლის, რედაქციებში: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“...).

ილიას დაფიქრება, ყველაფრიდან ჩანს, გამოუწვევია სიტყვას „ჩინებული“. სხვა მხრივ, როგორც ვნახეთ, ციტატა ზუსტადაა მოხმობილი.

„ჩინებული“ დღეს გავრცელებული სიტყვაა და თანამედროვე ქართულით ნიშნავს შესანიშნავს, დიდებულს, საუცხოოს (შდრ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). როგორც ვხედავთ, თუ ამ მნიშვნელობას დავუჭერთ მხარს, იგი სავსებით უარყოფს ზემოთმოტანილ კონტექსტს და ფაქტიურად უაზრობა გამოდის (ე. ი. მრავალნი არიან დიდებულნი, ხოლო მცირედნი რჩეულ!!!).

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ სიტყვას, ისევე, როგორც არაერთ ძველ ქართულ სიტყვასა თუ გამოთქმას, დროთა მანძილზე შინაარსი უცვლია და შეუსაბამობაც აქედან მოდის.

რაც შეეხება ძველ ქართულს, აქ „ჩინება“ წვევას, დაძახებას, ხოლო „ჩინებულება“ წვევას, მოპატიჟებას ნიშნავს. (იხ. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი, შდრ. საბა: „ჩინებული — ესე არს რომლისა ბრძანება აშუნდეს დარბაზს მოსვლისა“). ასეთი გაგებით კი ეს სიტყვა, როგორ ვხედავთ, სავსებით ეგუება ზემოთმოტანილ კონტექსტს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მრავალ წვეულთა შორის მხოლოდ მცირედი თუა რჩეული და ღირსეული. შდრ. აგრეთვე ამავე ადგილის რუსული ტექსტი სახარებიდან («Ибо много званных, а мало избранных»).

ზემოთ მოტანილ უხერხულობათა გამო, როგორც ჩანს, ილიას შეუცვლია აღნიშნული ადგილის ტრადიციული ტექსტი და ფაქტიურად მოუცია მისი ისეთი თარგმანი, რომელიც გასაგები და ახლობელი იქნებოდა თანამედროვე მკითხველისათვის, ე. ი. „მრავალნი არიან წვეულ, ხოლო მცირეოდენი რჩეულიო“.

ასევე საკუთარი რედაქციითაა ილიასთან წარმოდგენილი ცნობილი შეგონება მათეს სახარებიდან: „მოდით მაშვრალნო და ტანჯულნო და მე განგისვენებთ თქვენ“. შდრ. ანალოგიური ადგილი გიორგი ათონელის კანონიკურ ტექსტიდან: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენოთ თქვენ“ (მათ. 11, 12). ილიას არამარტო შეუცვლია თანამედროვე მკითხველისათვის ნაკლებად გასაგები სიტყვა „ტვირთმძიმე“ სიტყვით „ტანჯული“, არამედ მიუმართავს ზმნურ ფორმათა თანამედროვე წარმოებისათვის (მოვედით = მოდით, განგისუენოთ = განგისვენებთ და ა. შ.).

ასეთი მაგალითების გამრავლება ილიას ნაწერებიდან კვლავაც შეიძლება, მაგრამ იგი არსებითად სურათს ვეღარ შეცვლის. ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძეს სავსებით დასაშვებად მიაჩნდა ძველი ბიბლიური ტექსტების გათანამედროვეულობა და ამას საჭიროების შემთხვევაში თვითონვე ახორციელებდა კიდეც. როგორც ჩანს, იგი ითვალისწინებდა სხვა ენებზე არსებული ბიბლიური ტექსტების მოდერნიზაციის მისი დროისთვის უკვე საკმაოდ დაკანონებულ პრაქტიკასაც. ბიბლიურ წიგნებში შემონახული ენციკლოპედიური ცოდნის საყო-

ველთაო გავრცელებისათვის ასეთი გზა, დიდი ილიას აზრით, საჭირო და მეტად პერსპექტიული ჩანდა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს საკითხი ჩვენში დღესაც აქტუალურ საკითხთა რიგში დგას. ბიბლიური კანონიკური ტექსტების მეცნიერულ გამოცემასთან ერთად, რომელიც ბოლო წლებში ასეთი ინტენსიურობით მიმდინარეობს (საკმარისია, აქ ბიბლიის მცხეთური ხელნაწერის ახალი გამოცემის გახსენება), ალბათ, უფრო მწვავედ დადგება ამავე ტექსტების თანამედროვე ქართულზე გარდაქმნის საჭიროებაც, რის პირველი ნაბიჯებიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უკვე გადაიდგა კიდეც. ვფიქრობ, დიდი ილიას პოზიციისა და მის მიერვე ჩატარებული მუშაობის შედეგების გათვალისწინება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ამ საშვილიშვილო საქმის ღირსეულად გასრულებას.

1982 წ.

დ) ილია ჭავჭავაძე და გეორგ გრანდეში

(რამდენიმე შენიშვნა და პარალელი)

„მათ ხელში ობლად კანკალებს ზეთი
მწუხარე ლანდათ.
გარეთ ქარი ჰქრის, არ არის ბედი,
დააგვიანდათ“.

გალაკტიონი

ყოველი მნიშვნელოვანი საზრისი კონკრეტულ ისტორიულ მოვლენათა ანალიზს ემყარება. მაგრამ იგი მაინც უკმარი დარჩება, თუ მას დერიტად უნივერსალური სიდიდეები არ დაედება. მხოლოდ ასეთ გაუთიშველ ერთობლიობაზე დამყარებული კონცეფციები გამოხატავენ დროის მოთხოვნას და მათ არც სამომავლოდ გაუდით ყავლი.

დიდ ქართველ მოაზროვნეთაგან ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ რჩეულთაგანია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ფართო თვალთახედვით ჰვრეტდა საკუთარი ქვეყნის წარსულსა და მომავალს.

მას საქართველო იოტის წამისად არ ჰქონდა წარმოდგენილი რაღაც განკერძოებულ კუნძულად. მსოფლიო ისტორიის ძალთა კვეთებაში ცდილობდა ამოეცნო, თუ რა შინაგანი ძალების დაძაბვით შეძლო ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გადაერჩინა საკუთარი არსებობა, კულტურა, ენა... ან რა ოპტიმალური გზა უნდა გამოენახა, რათა

არ ჩამორჩენოდა ახალი ნაპირებისაკენ დაძრულ მსოფლიოს სხვა მოწინავე ერებს.

მთელი მისი შემოქმედება, პარქტიკული მოღვაწეობა ამ კარდინალური კითხვებისაკენ იყო მიმართული.

* * *

ის, რაც დღეს უნდა ითქვას, ხვალ მისი თუნდაც მჭევრმეტყველური ღაღადისი ღია კარების მტვრევაა მხოლოდ. ილიას დიადი გონების უპირველესი შარავანდედი იმითაც ბრწყინავს, რომ მან წინათვე იგრძნო არა მარტო ის, თუ რა უნდა ეთქვა, არამედ როდის უნდა შემდგარიყო მაღალ სამრეკლოზე, რათა საღათას შემპარავი ძილიდან ეხსნა საკუთარი ხალხი. მან ზუსტად, თავის დროზე ჩამოჰკრა ზარი და ერის მეთაურის გუმანით განსჭვრიტა კიდეც, თუ ვის უხმობდა იგი.

ილიას კარგად ჰქონდა გათავისებული ძველთაძველი შეგონება სიძისა და ათი ქალწულის მოლოდინის შესახებ, რომელიც მარადიულ მზადყოფნაზე მიგვანიშნებს.

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“ — ჩამქრალი ლამპრით მოსულთ სასუფევლის კარი მტკიცედ აქვთ დახშული. სულიერი აღორძინების გარეშე მართლაც ფუჭია ყოველგვარი ძალისხმევა.

დიადი წუთის მოლოდინში თვით ერი უნდა იყოს მზად, ერთიანობის ურყევი ძაფებით შეკავშირებული. რადგან „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაუშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“.

ილიას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ურყევი ჰეშმარიტება, რომ თავისუფლება გამოცხადების სასწაულივით როდი მოევლინება „მშიერთ“ და „მწყურვალთ“.

ამისათვის ბრძოლა და ნიადაგ მზადყოფნაა საჭირო.

იმედთან ერთად ყოვლისმომცველი შიშიც არ ტოვებდა ნიადაგ ერის წინამძღოლს. ყველაფერი უნდა ეღონათ, რათა ისტორიული ცხოვრების ახალ მიჯნაზე ქართველი ხალხი სულიერი აღორძინების დიადი მოძრაობით ყოფილიყო განმტკიცებული.

ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ენერგია კი ამ დროს თითქოსდა მთვლემარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირება, რითაც ქართველი ხალხი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველა პრობლემის მოგვარებას. კულტურული თვითმყოფობის საფუძველზე მას საკუთარი გზების

ძიება მართებდა, მაგრამ მიძინებული ეროვნული გრძნობის ფონზე თითქოს აღარც ჩანდა ხვალინდელი დღის პერსპექტივა. მიმბაძველობისა და პროვინციალიზმის მძიმე სნეულება სულიერი და ზნეობრივი გადაგვარებისაკენ ეზიდებოდა ქართველ ხალხს.

საჭირო იყო უდიდესი თავგამოდება, უშრეტი ენერგია, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიული ცხოვრების ახალი დიდი მიჯნა გადაელახა.

ეს სასწაული, მართლაც, გაცხადდა, ხოლო მის პირველ მეკვლედ და სულის ჩამდგმელად ჩვენ ხალხს სწორედ ილია ჭავჭავაძე მოევლინა.

„XIX საუკუნეში, როცა ქართველ ერს პოლიტიკური დამოუკიდებლობა აღარ ჰქონდა, დიდმა ქართველმა მწერლებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ეროვნული გემის მესაჭეობა იკისრეს ქარიშხლიან ზღვაზე. მათ ძალიან ამაღლებული წარმოდგენა ჰქონდათ თავიანთ როლსა და მოვალეობაზე“ (გერონტი ქიქოძე).

ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც გასხივოსნებულია მიზანთა ერთობლიობით, მეტყველი მაგალითია მამულისათვის უანგარო თავდადებისა.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა“. ქართველი რომანტიკოსების ყველაზე ღირსეულმა მემკვიდრემ, ილია ჭავჭავაძემ ჯერ სიჭაბუკის წლებიდანვე მტკიცედ განსაზღვრა ახალ ვითარებაში სამოქმედო პროგრამა და მძიმე ჯვარივით ზიდა იგი საკუთარი ცხოვრების გოლგოთას მთამდე.

მთელი ეს მოღვაწეობა კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი ტიპის განმანათლებლური იერით იყო აღბეჭდილი, ხოლო ეროვნული კონცეფციის მთავარი შენობა ქართველი ხალხის კულტურულ აღორძინებას ეყრდნობოდა.

ილიას ღრმა რწმენით, მხოლოდ კულტურული აღორძინების გზით იყო შესაძლებელი ეროვნული თვითმყოფობის დასაბუთება და ქვეყნის მომავალი პოლიტიკური ავტონომიისაკენ სწრაფვა. სწორედ ამიტომ ქართველი ერის აღორძინების ძნელად სავალ გზაზე მას ერთ უპირველეს მოკავშირედ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის წარმოჩენისათვის ბრძოლა და ისტორიული წარსულის შემეცნება მიაჩნდა.

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება თუ პრაქტიკული მოღვაწეობა აღნიშნულ დებულებათა განმტკიცებისაკენ იყო მიმართული, ხოლო შედეგი თუ რამდენად გრანდიოზული აღმოჩნდა, ამაზე მსჯელობა აქ შორს წაგვიყვანდა.

•

• •

ახლოვდება დიადი თარიღი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სრულდება 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. ილიას დიადი აზრით განათებული მემკვიდრეობა კვლავ და კვლავ ახალი ასპექტებით შესწავლას მოითხოვს.

ილიას როგორც სოციალური, ისე ეროვნული კონცეფციები თავისი დროისათვის ულტრათანამედროვე იყო, ხოლო მათი ავტორი მთლიანად ითვალისწინებდა როგორც მსოფლიო, ისე რუსეთის მოაზროვნეთა უკეთეს მონაპოვართ.

ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნეს „ძლევამოსილს" უწოდებდა და მას მსოფლიო მასშტაბით ძირეულ გარდაქმნებს უკავშირებდა. უნივერსალურია ამ თვალსაზრისით იდეა ადამიანის გონების უძლეველობისა და რწმენა მარადიული პროგრესისა, რომლებიც აგრერიგად მსჭვალავს მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ქმნილებებს.

ასევე სამაგალითო იყო ილიას ეროვნული კონცეფცია და აშკარად ეხმიანებოდა მსოფლიოში დაჩაგრული ხალხების უთანასწორო ბრძოლას სოციალური, ეროვნული და კულტურული აღორძინებისათვის.

როგორც ცნობილია, მსოფლიო მასშტაბით ამ დროისათვის არც საქართველო იყო გამონაკლისი და არც ილია ჭავჭავაძე იყო ერთადერთი საკუთარი ხალხის თვითმყოფობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

•

• •

მცირერიცხოვან და დაჩაგრული ერების ისტორია სწორედ ამ ხანებში ბევრ ანალოგიას წარმოაჩენს, რომელთა ტიპოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა საგულისხმო მასალას გვაწვდის თვით მსგავსი ეროვნული კონცეფციების ბუნების გასაგებად.

წინამდებარე წერილში ამასთან, თუნდაც ორიოდე სიტყვით, მკითხველს მინდა გავახსენო ანალოგიური სურათი ეროვნული ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც საქართველოდან ძალზე შორეულ ქვეყანას ეხება და რომელსაც სხვებთან ერთად სათავეში ედგა ასევე გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და თავისივე ქვეყნის აღორძინებისათვის მებრძოლი პიროვნება.

1894 წელი, პირველი თებერვალი, კოპენჰაგენი. დანიელი ახალგაზრდობის დიდ ფორუმზე სიტყვით გამოდის იმ დროს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე გეორგ ბრანდესი.

მაგრამ ვიდრე აღნიშნულ სიტყვას შევეხებოდეთ, აქ ორიოდე შენიშვნა თვით მის ავტორზე.

იგი წარმოშობით დანიიდან იყო, თუმცა სხვადასხვა დროს (პოლიტიკურ ვითარებათა გამო) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ ბრანდესი ილია ჭავჭავაძეზე ოდნავ უმცროსი იყო (დაიბ. 1842 წელს) და იცოცხლა ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლომდე (1927 წ.).

თავისდროზე დიდად იყო გახმაურებული და დღესაც ერთ-ერთ მოქმედ წიგნებად ითვლება მისი მრავალტომიანი ნაშრომი „მე-19 საუკუნის ევროპული ლიტერატურის უმთავრესი მიმდინარეობები". აღსანიშნავია მისი ჩინებული მონოგრაფიები შექსპირზე, გოეთეზე, ვოლტერზე, კირკეჰარდზე, აგრეთვე რუსეთის ისეთ უპირველეს მწერლებზე, როგორიცაა ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და მაქსიმ გორკი. მის სახელგანთქმულ ფსიქოლოგიურ-ბიოგრაფიულ პორტრეტებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი სინთეზის სახით შერწყმულია კულტურის ისტორიკოსის იპოლიტ ტენისა და სენტ-ბევის ფსიქოლოგიზმის იმ დროისათვის დიდი სიახლის შემცველი შემოქმედებითი ძიებები. მაღალმხატვრული სტილით შესრულებული მისი პორტრეტები მეტწილად ესეისტური ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშებია.

გეორგ ბრანდესი ამასთან აშკარად გამოხატული დემოკრატიული მიმართულების მოღვაწე იყო და წლების მანძილზე იბრძოდა თავისი სამშობლოს, დანიის კულტურული აღორძინებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ამასთან თვალყურს ადევნებდა აგრეთვე სხვა, მცირერიცხოვანი ერების ისტორიულ ცხოვრებას და, როგორც პუბლიცისტი, არაერთხელ გამოსულა კიდეც მათ დასაცავად.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, როგორც ჩანს, ილია იცნობდა კიდეც მის ზოგიერთ ლიტერატურული ხასიათის ნაშრომს. მაგალითად, ილიას პირადი არქივის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მას დიდი ყურადღებით წაუკითხავს 1881 წელს რუსულად გამოცემული გეორგ ბრანდესის ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომი („უმთავრესი მიმართულებანი"...) და დაურთავს კიდეც ტიპოლოგიური ხასიათის შენიშვნები: ბენჟამენ კონსტანის ელეონორა — თინათინი; დე-სტალის შემოქმედების გან-

ჩილვასთან კი არის ასეთი მინაწერი — ავთანდილი და ნესტან-ტარიელის გამარჯვება“ (იხ. თ. მაჭავარიანი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფიის მოამბე, 1948, № 4—5; აგრეთვე, ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. VI, 1975, გვ. 278).

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ყურადღების საგანია გეორგ ბრანდესის როგორც დემოკრატიული და ეროვნული მიმართულების მოღვაწის ევოლუცია, რომელიც აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებულ ეროვნულ კონცეფციასთან, თუმცა ყველაფრიდან ჩანს ისიც, რომ ილია მათ არ იცნობდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ილიას ეროვნული თვალსაზრისი უკვე 60-იანი წლებიდან ყალიბდებოდა, როგორც სამოქმედო პროგრამა, ხოლო ბრანდესის შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომები ამავე საკითხზე მხოლოდ 90-იან წლებიდან ხდება ცნობილი.

მტკივნეული და ძიებებით აღვსილი გზა საკუთარი პიროვნების შეცნობიდან საზოგადოებრივ ამოცანათა გათავისებისაკენ, სხვათაშორის, შთამბეჭდავადაა გადმოცემული ბრანდესის ერთ-ერთ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომში (იხ. ჟურნალი „რუსკაია მისლ“, 1907 წ. № 8).

და ბოლოს, განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ქართველი მკითხველისათვის არც თუ ცნობილი გეორგ ბრანდესის ზემოაღნიშნული სიტყვა: „რა არის ნაციონალური გრძნობა“, რომელიც მას, როგორც ითქვა, წარმოუთქვამს 1894 წელს (რუსულად გამოიცა ცალკე წიგნაკის სახით 1912 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში. აქვე შევნიშნავთ, რომ იგი ჩვენ ვერ დავადასტურეთ რუსულ ენაზე გამოსულ მწერლის თხზულებათა კრებულებში).

*
* *

გეორგ ბრანდესის ეს სიტყვა ორატორული ხელოვნების ნიმუშია და გამოირჩევა დიდი გზნებით.

ვიდრე არსებითად წარმოადგენდა ეროვნული გრძნობის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, მის მნიშვნელობას ერის თავისუფლებისა და კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში, იგი პირველ რიგში მსჯელობას აგებს თავისი ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების ანალიზზე. როგორც ცნობილია, მისი სამშობლო, დანია იმ ხანად პრუსიული რეჟიმის დამთრგუნველი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

აქ ბევრი რამ არის საგულისხმო და აშკარად ეხმიანება ილიასეულ ეროვნულ თვალსაზრისს, როცა ხაზგასმულია, თუ რა სიკეთე მოაქვს თვით პიროვნებისათვის ასეთ მოძრაობას და რომ მხოლოდ ასეთ და-

ძაბულ ვითარებაში გრძნობს ცალკეული ადამიანი თავს ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილად (აქვე ავტორს მოაქვს საგულისხმო მაგალითები სხვა ქვეყნების, კერძოდ კი იტალიისა და ნორვეგიის განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიიდან).

მხოლოდ ერთიანი და სახალხო სულისკვეთებაა ის წყარო — დასძენს ამასთან დაკავშირებით გეორგ ბრანდესი — საიდანაც ცალკეული პიროვნება ისრუტავს უშრეტ ენერგიას, საკუთარი ძალების რწმენას, ორკეცდება ინიციატივა, ხოლო სამშობლო ქვეყნის სიცოცხლისა და ნათელი მომავლის რწმენით აღვსილი მზადაა შეუპოვარი ბრძოლისა და თავგანწირვისათვის. აი, რა უნდა ჩავუნერგოთ ჩვენ ყოველ ჩვენ თანამედროვეს, ყოველ ახალგაზრდას.

ილიას ეროვნულ კონცეფციაში, როგორც ცნობილია, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ერებთან ურთიერთობის საკითხს და იგი განძარცვულია ყოველგვარი ნიჰილიზმისაგან. სამაგალითოა ამ თვალსაზრისით ბრანდესის კონცეფციაც, რომელიც ერთა შორის ურთიერთობის ღრმა ანალიზზე იყო დამყარებული. მისი აზრით, ნამდვილი ინტერნაციონალისტი წარმოუდგენელია განვითარებული ეროვნული გრძნობის გარეშე. უნივერსალურია თვით დასკვნაც: ეროვნული და ინტერნაციონალური არა მხოლოდ ამდიდრებს, არამედ ახალი შინაარსით აღავსებს პროგრესის გზაზე შემდგარ კაცობრიობას.

მთელი თავისი მოღვაწეობის ძირითადი პათოსი, როგორც ზემოთაც ითქვა, ილიამ საკუთარი ხალხის კულტურული აღორძინებისაკენ მიმართა, რადგან სხვა მხრივ წარმოუდგენელი იყო ეროვნული თვითმყოფობისაკენ სვლა, საკუთარი ადგილის შენარჩუნება სხვა ერთა შორის. თითქოს ამ თეზისს აგრძელებს დანიელი მეცნიერი, როცა ილაშქრებს პროვინციალიზმისა და მიმბაძველობის წინააღმდეგ (აქ უნებურად გაახსენდება მკითხველს ილიას პირველი წერილიდან „კოზლოვის თარგმანზედა“... მოკიდებული მთელი ის დიდი ბრძოლები, რომელიც გადაიხადა ერის მესვეურმა ათეული წლების მანძილზე).

თვითმყოფი კულტურის გარეშე უიმედო საქმეა ერის მომავალზე საუბარი. სწორედ იმ ხანების დანიის კულტურული ცხოვრების ერთგვარი დაქვეითების შიშმა, მიმბაძველობის სენმა, დაბოლოს დამთრგუნველი რეჟიმის აშკარა ნაყოფმა: საშუალო და ცრუ ტალანტების მოძალებამ ათქმევინა მას მართლაც შემზარავი სიტყვები:

„ჩვენ დანიელები დიდხანს ვიყავით პატარა, მაგრამ საინტერესო ხალხი. გავიდა არც თუ ცოტა დრო და ცხადი შეიქნა ჩვენთვის, რომ უკვე აღარა ვართ საინტერესონი“ (გვ. 5) — ეს იყო, მართლაც, გულისტკივილით ნათქვამი, მაგრამ მომავალი აღორძინებისათვის აუცილებელი სიმართლე.

ნიშანდობლივია აგრეთვე ნაშრომში განვითარებული აზრი, რომელიც ეხება ყველაზე საჭირბოროტო და ამასთან უნივერსალურ საკითხს.

ამა თუ იმ ერმა, ისტორიულ უკუღმართობათა გამო, შესაძლოა, რომ დაკარგოს კიდეც პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ თავდება საქმე. სწორედ ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე, ერმა ერთი წუთითაც არ უნდა დაუშვას გულგრილი დამოკიდებულება კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლის ფრონტზე, რადგან ასეთ დროს მოქმედებს გარდუვალი კანონი: მხოლოდ ის ერი ინარჩუნებს თავის კუთვნილ ადგილს სხვა ხალხებს შორის და მიიწევს წინ, რომელიც ნიადაგ ზრუნავს საკუთარი კულტურის განვითარებისათვის.

არც ჩვენ (დანიელებს) არ მოგვეპოვება — დასძენს ბოლოს ნაშრომის ავტორი — სხვა გზა და საშუალება. საჭიროა თავდადებული ბრძოლა კულტურის ასპარეზზე, ვიყოთ ნამდვილი პატრიოტები, რათა მოვიპოვოთ პატივისცემა მსოფლიოში... უნდა ვისწრაფოდეთ, რომ ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა კულტურის ახალი გზების ძიებაში (გვ. 13).

დიახ, ეს სიტყვები წარმოითქვა 1894 წელს. ამ დროს კი, როგორც ცნობილია, ილიას უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ჰქონდა ამ საკითხებზე საკუთარი კონცეფცია და მაინც საგულისხმო აქ სხვა რამ გახლავთ. ზემოთ მოტანილი მცირე ფრაგმენტებიდანაც კარგად ჩანს შემდეგი. რამდენად ეხმიანებიან ერთურთს ის თვალსაზრისები, რომლებიც. ამავე საგანზე შემუშავებული აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე მცირერიცხოვანი და დაჩაგრული ერების საუკეთესო შვილებს.

1985 წ.

ე) ილია ჭავჭავაძის გვარის ისტორიიდან

(რამდენიმე ცნობა და ვარაუდი)

ჭავჭავაძეების საგვარეულო სახლმა არაერთი სახელოვანი პიროვნებით დააშვენა ჩვენი ქვეყანა. შედარებით ახალი დროიდან საკმარისია აქ გავიხსენოთ გამოჩენილი დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე, ქართული რომანტიზმის მამამთავარი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ბოლოს დიდება ქართული აზრისა — ილია ჭავჭავაძე.

ისტორიის სარბიელზე გამოჩენილ საგვარეულო სახლების წარმოშობისა და მათი განსახლების შესწავლა რომ აუცილებელი რგოლია ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმეში, ამას ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი და, როგორც ყველაფერში, ამ საშვილიშვილო საქმეშიც იყო იგი სანიმუშო და მისაბაძი.

ქართველ ისტორიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი რამ ამ მიმართულებით დღესდღეობით მოძიებული და შესწავლილიცაა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც ჭავჭავაძიანთ გვარის ისტორია გახლავთ.

„საძირკვლად აზრი ჩაგდე, ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი", დიახ, ილია ჭავჭავაძე მაინც უწინარეს არის პოეტი და ახალი ქართული მწერლობის ბაირახტარი. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მისი ბიოგრაფიის საკითხებს წლების მანძილზე ასეთი მონდომებით იკვლევენ ქართველი მწერლები, ლიტერატორები, საერთოდ ჩვენი კულტურის მკვლევარნი. მრავალთა შორის აქ უწინარეს უნდა გავიხსენოთ გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი და პავლე ინგოროყვა, რომელთაც უეჭველად ითავეს ამ საკითხების პირველ გზამკვლევთა მძიმე და საპატიო ტვირთი.

* * *

რასაკვირველია, სწორედ ასეთი ერთობლივი კვლევა-ძიების შედეგია, რომ ჭავჭავაძიანთ სახელოვანი გვარის ისტორიიდან დღეს უკვე დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა.

მაგრამ ირკვევა, ისიც, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ნათელი, ხოლო ზოგი რამ მოსაძიებელი და დასადგენია. მით უფრო, რომ ახლოვდება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთი დიადი თარიღი, როგორიცაა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასორმოცდაათი წლისთავი.

რაც შეეხება წინამდებარე წერილს, იგი მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაზე ჩვენ მიერ გაწეული კვლევა-ძიებიდან მკითხველს წინასწარი ცნობისა თუ ერთგვარი ვარაუდის სახით გააცნოს მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც ეხება სწორედ ჭავჭავაძიანთ გვარის ისტორიას.

* * *

მაგრამ ვიდრე მათ უფრო არსებითად შევეხებოდე, აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ყველაფრიდან ჩანს, რომ ჭავჭავაძეები არ უნდა

ეკუთვნოდნენ ძირ-ძველ ფეოდალთა ოჯახს და მათი აღზევება შედარებით უფრო ახალ საუკუნეებშია დაწყებული.

ისტორიული წყაროებიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ მათ ასეთი აღზევება თავგანწირვისა და სისხლის ფასად ჰქონდათ მოპოვებული. საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ერთი ცნობა, სადაც თეიმურაზ პირველი გონიერებასა და სიქველეს უქებს ლეკებთან ბრძოლაში გარსევან ჭავჭავაძეს, რომელიც ჩვენი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის არც თუ შორეული წინაპარი ჩანს. კიდევ უფრო საგულისხმო სიტყვებს ვკითხულობთ ჩვენ ჭავჭავაძეთა დამსახურებაზე კონსტანტინე კახთა მეფის მიერ 1726 წელს გაცემულ სიგელში: „ერთგულებასა, სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს (თქვენი მამა-პაპანიო — ს. ც.), რამეთუ მრავალნი შრომანი და ჭირნი თავს ესხნეს; და მრავალჯერ ექსორია ქმნილ-იყვნეს უცხოთა ადგილთა და ქვეყანათა კურთხეულთა მათ — მეფეთა და სანატრელთა კელმწიფეთა მამათა და პაპათა ჩვენთა თანა. ხოლო აწ, რომელნიცა დაშთომილ იყვენით — შვილნი მათნი, უფროსნი მსახურებანი აღასრულენით, რამეთუ არა ჰრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად".

სრულიად განსაკუთრებულია ასევე ყვარლელ ჭავჭავაძეთა თავდადება და ღვაწლი ერეკლესა და თეიმურაზ მეორის მეფობაში, საკმარისია აქ გახსენება ყვარლის ციხის სახელოვანი ბატალიებისა, რომლებიც ხუნძახის ბატონის სასტიკი დამარცხებით დასრულდა. ერთ-ერთ საბუთში პირდაპირაა ნათქვამი ისიც, რომ ჭავჭავაძეებმა „ოცდასამი დღე ლომებივით იბრძოლესო".

*
* *

ხოლო რაც შეეხება საერთოდ ჭავჭავაძიანთ მოხსენიებას, მათი სახლის შვილები უკვე XV საუკუნიდან უფრო და უფრო ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის ისტორიულ ქრონიკებსა თუ ნარატიულ წყაროებში. ისიც დამახასიათებელია, რომ მათი მოქმედების ასპარეზი ძირითადად ისტორიული კახეთის მიდამოებით იფარგლება.

მაგალითად, ჭავჭავაძიანთ საგვარეულოდან ერთ-ერთი პირველთაგანი მოხსენიებულია ვინმე ფეროდი, რომელიც ზოგი მკვლევარის აზრით XV საუკუნის ისტორიული პირი ჩანს, ხოლო საქმე ეხება მცხეთის საყდრისა და საგარეჯოს კუთვნილი მამულების შეუვალობას, რომლებიც გარე კახეთისა და ერწო-თიანეთის სანახებშია განლაგებული.

მომდევნო ხანის საბუთებში მოხსენიებულია სხვებიც, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჭავჭავაძეები ამ დროს მხოლოდ აზნაურთა პატივში

არიან აყვანილნი, ხოლო შემდგომი აღზევება უკვე XVI საუკუნიდან არის საგულვებელი.

არსებობს ამის მოწმე სხვა საბუთებიც, მაგრამ აქ საკმარისია მოვიტანოთ იოანე ბატონიშვილის საგულისხმო ნაშრომი „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა...“, რომელიც ავტორს შეუმზადებია რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ტრაქტატის ერთგვარ დანართ-განმარტებად (გამოქვეყნებულია „ივერიის“ 1884 წლის ნომრებში მძიმე შეცდომებით. ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—3729, საიდანაც მოგვაქვს ნაწყვეტი).

აქ დაცულია ძვირფასი ცნობები ორი ძირითადი, ყვარლელ და წინანდლელ ჭავჭავაძეთა შტოზე, მათ წარმომავლობასა და თავადობის ხარისხში აღზევებაზე.

აღწერაში ვკითხულობთ: „ჭავჭავაძენი არიან ორ გვარად, პირველნი რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა. იგინი არიან ძველადგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყვნენ ფშავის მთითვე ჭავჭეთის ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გარდმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა მეფემან ადგილნი, რომელნიცა აწ არიან 1) გლახას შვილები და ძმათა ამისისა, 2) მელქისადეკისა შვილები.

ხოლო მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდგან მოსრულნი, რომელნიც ანმბობდენ მონათესაობასა მათსა. გარნა არა აქვნდათ მათთან მამული და ამათ მსახურეს ერეკლე მეფესა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა (?). შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდალსა და მიიღო აზნაურად. შემდგომად მეფემან თეიმურაზ (თეიმურაზ II—ს. ც.) აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდნენ მამუჩის შვილებად და რომელნიცა ახლაცა იწოდებიან მამუჩის შვილებად: 1) ივანეს შვილები, 2) ბერი ნაზირის შვილები და 3) გარსევანის შვილები და სხვანი“.

როგორც ვხედავთ აქ საუბარია სწორედ ილიასა და ალექსანდრეს ანუ ყვარლისა და წინანდლის ჭავჭავაძეთა შტოზე და მათ წინაპრებზე. აღსანიშნავია, რომ მრავალი წლის შემდეგ იოანე ბატონიშვილი კვლავ იმეორებს თავის „ქალმასობაში“, რომ ჭავჭავაძეები უფრო ადრე ყვარელში დამკვიდრებამდე მთაში ცხოვრობდნენო (იოანე ცხარე პოლემიკისას გარსევან ჭავჭავაძეს ათქმევინებს: „მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მ ტ რ ო ბ ა ჩ ა ვ ა ჩემს გულში, აღარ ამოვაო“).

•
• •

აი, ის ძირითადი წყარო, სადაც ჰავჰავაძეთა გვარის აღზევებასთან ერთად, ჩანს ამ გვარის მთიდან წარმომავლობა, ხოლო შემდეგში კი კახეთის გაღმა მხარსა (ყვარელი) და წინანდალში დამკვიდრება. ამასვე მოწმობს მრავალი ისტორიული საბუთი, რომელთა აქ მოტანა ზედმეტად მიმაჩნია, რადგან მათ შესახებ ხშირადაა საუბარი ჰავჰავაძეთა გვარის ისტორიაზე დაწერილ ნაშრომებში (შდრ. ჯიბო ლომაშვილი, ეტიუდები, 1984, გვ. 114—136).

მაშასადამე, ჰავჰავაძეთა შედარებით გვიანდელი საცხოვრისი სწორედ ისტორიული კახეთი ჩანს. რიგი მასალები და მათ შორის ჰავჰავაძიანთ ზოგი საოჯახო გადმოცემა მათ კახეთში დამკვიდრებამდე მთაში ყოფნას ადასტურებს. აქ აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ ის არის, რომ ხან ფშავი და ერწო-თიანეთია დასახელებული, ხან კი ხევსურეთი და თუშეთი (ერთი გადმოცემით ილია ხევსურეთში ეძებდა თავის წინაპართ სამყოფს, ილიას თურმე უთქვამს ერთი ხევსურისათვის, „ჯვარის ყმაი ვარ“, ხევსური არ ვარ, მაგრამ ჩემს წინაპრებს ერთ დროს იქ უცხოვრიათო“. იხ. ა. გაჩეჩილაძე, მასალები... ლიტ. ძიებანი, VIII, 1953, გვ. 364).

არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ ფშავში აწ ნასოფლარ ყვარადან უნდა იყვნენ გადმოსახლებული ყვარლის მოსახლეობა, თუმცა ამას პირდაპირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს თვით ჰავჰავაძეთა საგვარეულო სახლებთან, რომლებიც უფრო მოგვიანებით გამოჩნდნენ ისტორიული კახეთის მიდამოებში.

•
• •

ასე რომ მართებული ჩანს იოანე ბატრნიშვილის დებულება იმის შესახებ, ჰავჰავაძენი ჯერ მთაში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ კი საბოლოოდ დამკვიდრდნენ კახეთში. ოღონდ აქ ერთი ცნობა, ჩემის აზრით, არ უნდა იყოს ზუსტი. კერძოდ, იგი ეხება ტოპონიმს „ჰავჰეთი“, რომელიც თითქოს ფშავში ივარაუდება და ამდენად ჰავჰავაძეთა გვარს უკავშირდება, ვინც იოანეს ზემოთ დასახელებულ აღწერას...“ თვალს გადაავლებს, აშკარად დარწმუნდება, რომ იგი მეტწილად გვარების წარმოშობის თაობაზე ძალზე ნებისმიერ მეთოდებს მიმართავს და ხშირად მის მიერვე გამოგონილ ტოპონიმებსა და სახელებს უკავშირებს. მხოლოდ ორიოდე მაგალითი: „აზნაური მაჭავარიანი: ამათნი წინაპარნი იყვნენ ყარაბაღის კერძოდ, ადგილსა მა-

ჭარაკამურს მოსახლენი"; „აზნაურნი ბასილაშვილი: ამათნი წინაპარნი ესახლენ პირველ ადგილსა ბასიანსა შინა"; „აზნაური ჩუბინის-შვილი: ამათნი წინა-პარნი არიან დროსა რუსუდან დედოფლისა ნოინთაგან შთამომავლობათაგან ჩუბინ ნოინისაგან" და ა. შ. ასევე საეჭვო ჩანს ფშავის ე. წ. ჭავჭავეთის ჭავჭავაძეთა თავდაპირველ საცხოვრისად გამოცხადება.

* * *

მაგრამ თუ როგორ მოხვდნენ ჭავჭავაძენი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში ამის გარკვევა ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული მასალებით არც ისე ძნელია, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

ამ საკითხზე მომუშავე მკვლევართაგან რატომღაც ნაკლები ყურადღება მიეპყრო ერთ ცნობას, რომელიც ეკუთვნის თვით ილიას თანამებრძოლსა და მეგობარს, ილია ჭავჭავაძის პირველი ფუნდამენტური ბიოგრაფიის ავტორს გრიგოლ ყიფშიძეს. ყურადღების ცენტრში ძირითადად იყო მოქცეული კახეთი და, როგორც ითქვა, საქართველოს აღმოსავლეთი მთიანეთი. საქმე კი, როგორც ჩანს, მთლად ასე არ არის.

მართალია გაკვრით, მაგრამ სრულიად გარკვეით ამ ნაშრომში სხვა ზემოთ დასახელებულ ცნობებთან ერთად პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ჭავჭავაძენი „აქა-იქ გლეხკაცებად სცხოვრობს დღეს ქართლშიაც, მაგალითად, ცერონის — ავლევშიო". სხვათაშორის იცნობს და ასახელებს ამ ცნობას იოსებ გრიშაშვილიც. ხოლო თბილისსა და ქართლში თითო ოროლა ჭავჭავაძის არსებობაზე, თუმცა რაიმე დასკვნების გარეშე, რამდენიმე საგულისხმო საბუთი მოპოვებული აქვს აგრეთვე ილიას ბიოგრაფიის ერთ-ერთ მკვლევარს ა. გაჩეჩილაძეს.

ამ მიმართულებით კი სპეციალური კვლევა-ძიება არავის უწარმოებია, მაშინ როცა, როგორც ირკვევა იგი აშკარად იმსახურებს მეტ ყურადღებას.

* * *

იქნებ მართლაც აქვს რაიმე არსებითი კავშირი ჭავჭავაძიანთ გვარს ისტორიულ ქართლთან, ან იქნებ აქ შემთხვევით არის მოხვედრილი ჭავჭავაძიანთ გვარის წარმომადგენლები სწორედ იმავე მთიანეთიდან ან უფრო მოგვიანებით კახეთიდან. მომავალი კვლევა-

ძიება კი, ჩემის აზრით, უეჭველად მეტ სიცხადეს შეიტანს ამ საკითხში.

მანამდე კი მკითხველს, როგორც ზემოთაც ითქვა, მინდა გავუზიარო მხოლოდ ზოგი ახალი ცნობა და წინასწარი ვარაუდები.

მაგრამ ვიდრე გავყვებოდეთ იმ კვალს, რომელზეც ასე ორიოდე სიტყვით (და როგორც შემდეგ გაირკვევა არც ზუსტად) უთითებს გრიგოლ ყიფშიძე, საჭირო შეიქნა ამ მიზნით თვით შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მასალების შესწავლა, ძველი ქრონიკებისა და შემორჩენილი ტოპონიმების შესწავლა.

მართლაც, პირველი შედეგები, ჩემის აზრით, არც ისე უმნიშვნელო შეიქნა, გაირკვა, რომ ისეთი ტოპონიმი, რომელსაც შესაძლოა რაიმე კავშირი ჰქონდეს საძიებელი გვარის ისტორიასთან, აღმოჩნდა რამდენიმე ძველსა და სანდო ისტორიულ წყაროში.

მათ შორის ერთი პირველთაგანი უნდა დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ძეგლი, როგორიცაა რკონის სიგელი ანუ რკონის „დაწერილი“. სიგელი მიეკუთვნება საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილ ფეოდალს კახა თორელსა და მის მეუღლეს ხათუთას, გრიგოლ სურამელის ასულს. იგი შესრულებული უნდა იყოს არაუგვიანეს 1260 წლისა. ტექსტი მოგვყავს სიგელის უკანასკნელი გამოცემის მიხედვით (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984 წ. შეადგინეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა).

„დაწერილის“ ერთ-ერთ მუხლად იკითხება შემდეგი: „ქ. ესე, ვითა პატრონსა კახასა და მე დაუწერია და მოუკსენებია ხოვლე რკონისა ღმრთისმშობელსა, მე, ხათუთა ჩემითა კელითაცა ამასვე მოგაჯსენებ და გვედრებ სულსა ჩემსა, შენ იცი და ძემან შენმან. რომელიცა სამკუიდრო არის, ჩუენ ამისთუის არ მოგაჯსენეთ, თქუენთა აუცილებელი: გოგოსი, ბოსელა, ხირიკე, ჭავჭავისი, მერია, გარკალი. ამის მიწასა ვინც ხნევდენ თქუენი ყმანი, ღალა თქუენია. და სანადიროსა ზეთი და სანთელი მოგართონ. ესე დასაბამითგან თქუენი სამკუიდროა, თქუენ დიდებულისა ღ/მრთ/ისმშობელისა. ნუ ვინ იკადრებს ცილებად. რამანცა კაცმან კელჰყოს შემოცილებად, შერისხდი შენ და ძე შენი. აღმოფხურენ ძირნი მისნი საკვირველთაგან განრისხებითა შენ, დიდებულისათა და იესოს შენგან ჯორცშესხმიულისათა და რომელნი ძესა შენსა სათნო ეყუნეს“.

*
* *

როგორც ვხედავთ, აქ არც მეტი, არც ნაკლები რკონისა და თეძმის ხეობის მიდამოებში დასტურდება ტოპონიმი „ჭავჭავისი“, რომელიც

ჯერ კიდევ XIII საუკუნის შუა წლებში მოქმედი ჩანს და რკონის მონასტრის მამულად ითვლება, ისევე როგორც ის სოფლები, რომლებიც მის გვერდითაა დასახლებული.

მაშასადამე, ტოპონიმი „ჰავჰავისი“ დასახელებულია როგორც ერთ-ერთი სოფელი სწორედ შიდა ქართლში.

„ჰავჰავისი“ რომ ერთ-ერთი ძველი დასახლებაა ამასვე ადასტურებს, თანაც კიდევ უფრო აზუსტებს მის ადგილსამყოფელს სხვა საბუთებიც, რომელთაგან მოკლე ამონაწერი მომაქვს წიგნიდან „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის“ (წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ, და შ. ბურჯანაძემ, 1964, გვ. 265).

„ჰ ა ვ ჰ ა ვ ი ს ი სააკაძისეული სოფელი, გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო გახდა. შემდეგში როსტომ მეფემ კვლავ იორამ სააკაძეს უბოძა (1652 წ. Hd—13956); როდესაც დიდი მოურავი საქართველოდან გადაიხვეწა სააკაძეების მკვიდრი მამული ჰ ა ვ ჰ ა ვ ი ს ი გორგაძეებმა და რთველიაშვილებმა პაპუნა ჩივაძისაგან იყიდეს. მას შემდეგ, რაც როსტომ მეფემ ჰ ა ვ ჰ ა ვ ი ს ი კვლავ უბოძა სააკაძეებს, თარხანმა იორამმა გიორგაძეებსა და რთველიაშვილებს პაპუნა ჩივაძისათვის მიცემული ფასი უკან დაუბრუნა (1677—1688), Hd—1446) და ა. შ.

* * *

მაგრამ სამწუხაროდ, „ჰავჰავისი“, ისე როგორც მის გვერდით დასახელებული რიგი სოფელი დღეს მიტოვებული და ოდენ ნასოფლარებს წარმოადგენს. აქვე შევნიშნავ, რომ ჩემ ხელთაა თეძმის ხეობის ნასოფლარების გრძელი სია, რომელიც მომაწოდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა ივანე ბერიაშვილმა. მათ შორის აღწერილია ნასოფლარი „ჰავჰავისიც“.

* * *

სად წავიდნენ, სად გადაიხვეწნენ „ჰავჰავისის“ მკვიდრნი, ან რა გვარის მოსახლეობით იყო იგი დასახლებული? მომავალმა კვლევა-ძიებამ იქნებ მოგვცეს კიდეც ამაზე პასუხი, ამჯერად კი ამაზე უნდა შევწყვიტოთ ვარაუდები და გავყვეთ იმ კვალს, რომელიც ასე ორიოდე სიტყვით მიგვანიშნა ზემოთდასახელებულ ნაშრომში გრიგოლ ყიფშიძემ.

თეძმის ხეობის ნასოფლარების მიდამოების „მოხილვის“ გარდა, სადაც გვეგულება ძველი „ჰავჰავისი“, პირველ რიგში საჭიროდ ვცანით, შუა ქართლში გრიგოლ ყიფშიძის მიერ მითითებული სოფლების ავლევისა და ცერონისის გზას გავყოლოდით, ხოლო შემდეგ უფრო ზემოთაც სოფ. ნულისკენ გაგვეგრძელებინა ძიება.

მაგრამ წინასწარ მინდა შევნიშნო შემდეგი: ზემოთ მოკვლეული წინასწარი ცნობები გავაცანი ჩვენ ცნობილ ისტორიკოსებს დავით მუსხელიშვილსა და ნოდარ შოშიაშვილს. ისინი არათუ დაინტერესდნენ, არამედ გამოთქვეს სურვილი უშუალო მონაწილეობა მიეღოთ დაწყებულ ძიებაში. ასე რომ შედგა პატარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითმოქმედი ექსპედიცია, რომელიც შეუდგა ქართლში ამ მიზნით ზემოთ აღნიშნული ადგილების შესწავლას.

ბარემ აქვე ისიც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თეძმის რეგიონის დაზვერვითი მოხილვის შემდეგ, როგორც ითქვა, გეზი შუა ქართლში, ქარელისა და ზნაურის რაიონებისაკენ იქნა აღებული.

პირველი მიახლოება არც თუ სანუგეშო აღმოჩნდა. გრ. ყიფშიძის მიერ დასახელებულ სოფლებში ავლევსა და ცერონისში ჰავჰავაძეთა არავითარი კვალი არ აღმოჩნდა (აქვე ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვრაცხ მადლობა გადავუხადო ადგილობრივ მცხოვრებთ, რომლებიც დაუზარებლად დაგვყვებოდნენ ავლევ-ცერონისის მიდამოებში ადგილობრივ ხანდაზმულთა გამოკითხვისას).

სოფელ ატოცში, რომელიც ავლევთან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, დაადასტურეს ჩვენი ვარაუდი, რომ ჰავჰავაძეთა დასახლება უფრო ჩრდილოეთით ავლევ-ნულის მიდამოებშია საძიებელი.

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა თვით სოფელ ნულის შესახებ.

სოფელი ნული ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა და მოხსენებულია არა-ერთი ძველ წყაროში. იგი შედიოდა ფეოდალ დავითაშვილების სამფლობელოში, თუმცა ამ ადგილებს მათ თავადი ხერხეულიძენიც ეცილებოდნენ. ვახუშტი ასახელებს ამ მიდამოებში ნულის ზევს, რომელიც მოერთვის დასავლეთიდან წუნარის წყალს და აგრეთვე ნულის ციხეს. აღსანიშნავია, რომ ნულის სანახებში ჩატარებული გათხრებისას, რომელსაც უკანასკნელ წლებში ცნობილი არქეოლოგი ო. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, აღმოჩენილ იქნა ადრე ბრინჯაოს ხანის უნიკალური სამარხები, იარაღები, სხვადასხვა სახის

ძვირფასი ჭურჭელი და სამკაულები (აღსანიშნავია, რომ მანამდე აქ უმუშავიათ ფჩელინა-სმირნოვისა და კუფტინის ექსპედიციებს).

ამჟამად ნული შედის ავნევის სოფსაბჭოში (ზნაურის რაიონი), გაშენებულია მთის შეფერდებაზე (ზღვის დონიდან 840 მ.), აქვს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, სკოლა, მედპუნქტი და ა. შ. ახლაც დგას აქ ძველი ეკლესიისა და საკმარისად მოზრდილი ციხის ნანგრევები.

მაგრამ, რაც მთავარია, გამოირკვა მართლაც განსაცვიფრებელი რამ, რისთვისაც, როგორც ჩანს, ამაოდ არ ჩაუელია ჩვენს ძიებას.

ჩვენ თვალწინ აღმოჩნდა ჭავჭავაძეთა დასახლების ერთი დიდი ბუდე. როგორც ირკვევა, ერთ დროს იგი მთლიანად ჭავჭავაძეებით ყოფილა დასახლებული, როგორც ადგილობრივმა მცხოვრებ ჭავჭავაძეებმა მოგვითხრეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე ათეულ წელში აქედან გადასახლდა ჭავჭავაძეთა რამდენიმე სახლი ამჟამად სოფელში მაინც დარჩენილა ჭავჭავაძეთა გვარის 26 ოჯახი. აქვე შევნიშნავ იმასაც, რომ სოფელს, რომელიც ძირითადად ჭავჭავაძეებით არის დასახლებული, უკანასკნელ ხანებში დასავლეთ საქართველოდან შემომიტებია ტაბატაძეების რამდენიმე ოჯახიც.

სოფელში ეკლესიის მახლობლად არის აგრეთვე ჭავჭავაძეთა სასაფლაო — ძვალთშესალაგი. სასაფლაო ძველ-ქართული ტიპისაა, ოღონდ საფლავის ქვები ძალზე დაზიანებული და მოუვლელი. მცირე დროში, რომელიც ჩვენ იქ დავყავით, შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ მე-19 საუკუნის რამდენიმე წარწერის ამოკითხვა.

ამით დაამთავრა ჩვენმა დაზვერვითმა ექსპედიციამ ერთგვარი წინასწარი სამუშაო.

საკვლევი და საფიქრალი კი წინ მრავალზე მრავალია. საიდან დამკვიდრდნენ აქ ჭავჭავაძეები? რაიმე კავშირი ხომ არ არსებობს თეძმის ხეობის ნასოფლარ „ჭავჭავისსა“ და აქაურ დასახლებას შორის? ბოლოსდაბოლოს სად იყო დიდი ილიას წინაპართა თავდაპირველი სამკვიდრო: ქართლში, მთიანეთში თუ კახეთში?

რაიმე მტკიცე დასკვნების გამოტანა, ჩემის აზრით, ნაადრევი ჩანს, თუმცა, როგორც აღვნიშნე, რამდენიმე წინასწარ ვარაუდს მაინც გავუზიარებ მკითხველს. ნოდარ დუმბაძის არ იყოს, ოცნებას კაცი არ მოუკლავს, არც წინასწარი ვარაუდის გამოთქმით დაშავდება რამე.

ერთი რამ ცხადია, კახეთში ჭავჭავაძეთა დამკვიდრება შედარებით ახალი დროის ფაქტია, რომელსაც ერთხმად უჭერს მხარს როგორც ზემოთ მოტანილი რამდენიმე წყარო, ისე სხვადასხვა სახის ქრონიკებში დაცული მრავალზემრავალი საბუთი. ჭავჭავაძეთა ერთი შტო (რომელიც შემდეგ გაიყო) კახეთში დაწინაურებულა, აღზევებულა

ჯერ აზნაურის, ხოლო შემდეგ თავადობის პატივში და უკვე XVII, XVIII საუკუნიდან მკვიდრად დასახლებულან შიდა და გაღმა-მხარის კახეთში.

ასევე, ჩემის აზრით, მინიშნება მათი მთის ადგილებიდან წარმოშობაზე, მომდინარეობს იქიდან, რომ კახეთის ჭავჭავაძეები ერთ დროს მთის მოურავებად ემსახურებოდნენ კახეთის მეფეებს და მრავალი წლის მანძილზე კახეთში საბოლოოდ დამკვიდრებამდე ცხოვრობდნენ ერწო-თიანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რომელიღაც იმ დროს სამოურაოდ ქცეულ ადგილას. აქედან უნდა მოდიოდეს მათ საგვარეულო გადმოცემებში მთასთან ეგოდენ მჭიდრო კავშირის ამბავი. ეს ვარაუდი რომ მართებული ჩანს, აქ მოვიტან მხოლოდ ორიოდე ცნობას. იგივე იოანე ბატონიშვილი სხვა ადგილას პირდაპირ არნიშნავს, რომ ჭავჭავაძენი „გაათავადა მეფემან ერეკლე პირველმან ოდეს მოვიდა რუსეთიდამ თუშეთსა შინა, მუნ მსახურა ჭავჭავაძემან...“ (ხელნაწერთა ინსტ. S—3729, 82v). ასეთივე მოსაზრებისაა ამ საკითხის გარშემო პავლე ინგოროყვაც, რომელიც სხვადასხვა წყაროს მონაცემებზე დაყრდნობით შენიშნავს: „ჭავჭავაძეთა სამოურავოს უძველეს ხანაში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ეს კუთხე, კახეთის მთიულეთი (ახმეტა-თიანეთის მხარე, ფშავ-ხევსურეთით): ამიტომაც ჭავჭავაძენი „მთის კაცთა“ სახელით მოიხსენიებიან“.

აქ, სხვათაშორის, ისიცაა საგულისხმო, რომ მოურავებად მთის ადგილებში ქართველი მეფეები მეტწილად საკუთარ ფეოდალთა სახლების წარმომადგენლებს სხამდნენ. როგორც ცნობილია თეიმურაზ მეორისა და ერეკლეს დროს მთიულეთის მოურავობა ჩოლოყაშვილებს ეპყრათ. მაგალითად, პლატონ იოსელიანის ცნობით დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ფშავის, ხევსურეთისა და თუშეთის მოურავი ყოფილა.

* * *

დასასრულს კი, კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ქართლში ასე მრავალრიცხოვნად განსახლებულ ჭავჭავაძეთა შტოს. გარდა მრავალრიცხოვნებისა აქ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აქაური მკვიდრი ჭავჭავაძენი გლეხები არიან. ძნელი წარმოსადგენია, რომ კახეთში ჯერ აზნაურად, ხოლო შემდეგ თავადად აღზევებულ ჭავჭავაძეებს ქართლში ჩამოსახლებისას დაეკარგათ ყველა ეს პატივი და უბრალო გლეხკაცებად დასახლებულიყვნენ აქ. პირიქით კი შესაძლებელი და სავსებით მოსალოდნელია. აქედან დაძრულ ჭავჭავაძეთა რომელიღაც

შტოს შესაძლოა მთიულეთსა და შემდეგ კახეთში მოეპოვებინა ის პატივი, რომელზეც ჩვენ ზემოთ არაერთგზის გვქონდა საუბარი.

ვგონებ არც ის არის დასავიწყი, რომ სოფელ ნულიდან არც ისე შორს მდებარე აწ ნასოფლარი „ჭავჭავისი“ ბევრად ადრეა მოხსენიებული ისტორიულ წყაროებში, ვიდრე ჭავჭავაძეთა ერთი საგვარეულო სახლი ისტორიული კახეთის სხვადასხვა ადგილებში (ყვარელი, წინანდალი) მოიხვეჭდა წოდებას და იქ დამკვიდრდებოდა საბოლოოდ.

•
• •

და მაინც, როგორც ითქვა, ყოველივე აქ თქმული არის მხოლოდ ვარაუდი. წინ ამ მიმართულებით კი დიდი სამკალია და მომკელიც ალბათ მრავალი გამოჩნდება.

საჭიროა უფრო ფუნდამენტური კვლევა-ძიება და ახალი, უკვე სპეციალური ექსპედიციების მოწყობაც დასახელებულ ადგილებში.

დარწმუნებული ვარ, აქ დასმულ საკითხებს გამოეხმაურებიან სათანადო დაწესებულებები, მწერლები და მეცნიერები და, პირველ რიგში კი, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღის აღმნიშვნელი ავტორიტეტული კომისია. დიდი ილიას სახელი ყოველმხრივ იმსახურებს ასეთ ყურადღებას.

1984 წ.

P. S. ზემოთ წარმოდგენილი ნარკვევი პირველად გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (1984 წ. 19 ოქტომბერი). როგორც მოსალოდნელიც ჩანდა, აქ აღძრულმა საკითხებმა გარკვეული ინტერესი გამოიწვია. მივიღე რამდენიმე წერილი, ასევე არაერთი ზეპირი შეკითხვა შემოვიდა ილიასადმი მიძღვნილ ლექციებსა და კონფერენციებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც ამ საუბრიდან ჩანდა, იწვევდა რკონის „დაწერილის“ უძველესი ცნობა თეძმის ხეობის აწ გადაშენებულ სოფელ „ჭავჭავისზე“ და ზნაურის რაიონის სოფელ ნულზე, სადაც ასე კომპაქტურად აღმოჩნდა განსახლებული ჭავჭავაძეების გვარი.

ასევე საინტერესო გახლავთ აგრეთვე რ. თოფჩიშვილის გამოხმაურება ჩემს ნარკვევზე, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (1985 წ. 2 აგვისტო). ცნობილ მასალებთან ერთად აქ წარმოდგენილია რიგი საგულისხმო ცნობა, მათ შორის ზოგი საგვარეულო გადმოცემა ანუ ე. წ. ანდრეზი. ავტორი ამასთან იზიარებს და დამატებით მასალებითაც განამტკიცებს თვალსაზ-

რისს, რომ ჭავჭავაძეები ადრიდანვე ქართლის მკვიდრები ჩანან, ოღონდ, მისი აზრით, ქართლისა და ერწო-თიანეთის ჭავჭავაძეები (რომლებიც შემდეგ კახეთში გადასულან) დამოუკიდებელი წარმოშობისანი უნდა იყვნენო. რასაკვირველია, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ეს მოსაზრებაც ვარაუდების სფეროს ვერ გასცილდება, მით უფრო, რომ კახელი ჭავჭავაძეების თავდაპირველი სამშობლო ჯერ კიდევ საძიებელია (გაიხსენეთ ზემოთ ჩვენს წერილში მოტანილი თვით ილიასგან მომდინარე ცნობა, რომ ჭავჭავაძეები მთაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ადგილობრივი მკვიდრნი არ იყვნენო. იხ. ა. გაჩეჩილაძე, მასალები... ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 364).

ვარაუდებით კი ვარაუდების უარყოფა ისევე სახიფათოა, როგორც სახიფათოა წყაროების ცალმხრივი მომარჯვება.

ერთი რამ კი ცხადია, ჭავჭავაძეები აღმოსავლეთ საქართველოში გაჭრცელებული გვარი ჩანს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს თავდაპირველ სამკვიდროს ან კი, როგორც ითქვა, მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოშობის ვარაუდის სისწორეს.

5. წერილები ვაჟა-ფშაველაზე

ა) ვაჟა-ფშაველას სიბრძნის სამყაროში

„მაგრამ გავიგებთ ერთხელაც,
ვინ ახლო ვსდგევართ ღმერთთანა...“

ვაჟა-ფშაველას ამ ცხოვრებიდან ბევრი გულისტკივილი გაჰყვა. მათ შორის განსაკუთრებული იყო უკმაყოფილება მისივე თანამედროვე კრიტიკოსთა მიმართ. გულწრფელი ქება და აღტაცება ვერ შველოდა საქმეს. სახალხო მგოსნის ეპითეტებით ამკობდნენ პოეტს, ჭეშმარიტი სიღრმისეული შრეები კი თვალთახედვის მიღმა რჩებოდა. ცთუნების ერთი მიზეზი, უნდა ვიფიქროთ, პოეტის მარტივი გარეგნული ყოფა და მისივე პოეზიის სადა პოეტური ფორმა იყო. კერძოდ, ხალხურ კილოზე ამღერებული მისი ლექსები განამტკიცებდნენ ასეთ თვალსაზრისს. ვაჟა-ფშაველას რამდენიმე წერილი ამ გაუგებრობის გაფანტვის ცდა იყო უთუოდ.

ერთადერთი გამონაკლისი, შეიძლება ითქვას, ილია ჭავჭავაძე იყო, რომელიც სხვა პროექციით ჭვრეტდა ვაჟას გოლიათურ შთაგონებას. სამწუხაროდ, ილიას წერილობით არ გამოუთქვამს თავისი აზრი, მაგრამ მისი ცალკეული გამონათქვამები, რომელიც ზეპირად იცის ყოველმა ქართველმა და ბოლოს სიტყვები — რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭით დაჯილდოებული პოეტი არა გვყოლია — თავისთავად ცხადჰყოფენ, თუ რა პოეტურ სიმაღლეებს უკავშირებდა იგი „ბახტრიონისა“ და „გველის მჭამელის“ ავტორს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება სიბრძნისა და პოეზიის უშრეტი წყაროა. უდრეკი ტალანტის ძალა მის თითქმის ყოველ ქმნილებაში გამოსჭვივის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვაჟას რთული და მრავალი ასპექტის შემცველი პოეზია ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. ალბათ თაობებია საჭირო, რათა ყოველ მხრივ იქნას გააზრებული იდუმალებით დაღდასმული დიდი პოეტის უცნაური შთაგონება. ამ შემთხვევაშიც ვაჟა-ფშაველა გენიალურ შემოქმედთა გარდუვალ ხვედრს იზიარებს.

ამიტომაც არის, რომ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ყოველი ახალი ნაშრომი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მით უფრო, თუ ეს უკანასკნელი გამოირჩევა საკითხის ორიგინალურად დასმით და კვლევა-ძიებათა სიახლეებით. მე ვფიქრობ, რომ უეჭველად ასეთი ნაშრომია თამაზ ჩხენკელის წიგნი „ტრაგიკული ნიღბები“, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც გამოქვეყნდა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თანამედროვეობა და წარსული რაღაც უცნაურად არის გადახლართული. ხედვის სიღრმე და სამყაროს მთლიანობაში აღქმის წარმართული უნარი ისევე ბუნებრივია მისთვის, როგორც თანამედროვეობის იჭვითა და ტკივილით გამსჭვალული მსოფლშეგრძნება. სხვადასხვა კულტურული შრეებიდან მომდინარე ნაკადთა ეს იშვიათი შერწყმა კარგად არის დახასიათებული გერონტი ქიქოძის შემდეგ სიტყვებში: „ვაჟამ თავის პოეზიაში მოგვცა ორი ერთიმეორეს დაშორებული სოციალ-კულტურული ფორმაციის სინთეზი, რომელთაგან ერთი თითქმის წინაისტორიულ ხანას ეკუთვნის, ხოლო მეორე კაცობრიობის განვითარების უკანასკნელს საფეხურს. მის შემოქმედებაში ორგანიულად შეერთებულია კაცობრიობის დილისა და მწუხრის, გულუბრყვილო სიჭაბუკისა და მომწიფებული ვაჟკაცობის შეგრძნება, მისი გმირებიდან ზოგიერთნი ბედნიერ ბავშვებს ჰგვანან, ზოგიერთნი კი დაფიქრებულ ბრძენთ, რომელთაც შუბლი დანაოჭებული აქვთ მტანჯველი იჭვით“.

ეს თავისთავად სწორი დებულება მიგვანიშნებს, მაგრამ არ კი გვიხსნის პოეტის იდუმალებით მოცულ შემოქმედებას. ვაჟა-ფშაველ-

ლას პოეზიის მთლიანობაში გააზრების მომავალ გზაზე მის შემოქმედებაში დადასტურებული ცალკეული ასპექტების შესწავლა პირველი და გადაუდებელი ამოცანაა.

კვლევის ერთი ასეთი ასპექტია ვაჟა-ფშაველა და მითოსური სამყარო. მართლაც, ვაჟას შემოქმედების ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება, უეჭველად, მისი პოეტური აზროვნების არქაულ იერს გულისხმობს. სამწუხაროდ, კვლევა ამ მიმართულებით მხოლოდ უკანასკნელ ხანებში აღორძინდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ცალკეული და საკმაოდ მნიშვნელოვანი წერილები ანალოგიურ საკითხებზე უფრო ადრეც, ამ ნახევარი საუკუნის წინ, დაიწერა და რიგ შემთხვევაში მათი გამოძახილია თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში გამოთქმული ასეთივე თვალსაზრისი.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უღრმესი კავშირები ქართულ წარმართობასთან საკმარისად არის ხაზგასმული გერონტი ქიქოძის, სერგი დანელიას, გრიგოლ კიკნაძის ნაშრომებში. საგულისხმო მოსაზრებებია წარმოდგენილი ამ თვალსაზრისით სიმონ ჩიქოვანის, მიხეილ კვესელავას და განსაკუთრებით აკაკი გაწერელიას წერილებში, რომლებიც აგრეთვე ბოლოხანებში გამოქვეყნდა.

საკითხის ასეთივე დასმით და რაც, ჩემის აზრით, ძალზე ფასეულია, კონკრეტული კვლევა-ძიებით გამოირჩევა თამაზ ჩხენკელის ლიტერატურულ-კრიტიკული მონოგრაფია „ტრაგიკული ნიღბები“, რომელშიც კვლევის ძირითად ობიექტად აღებულია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძვლები ვაჟა-ფშაველას პოემებში.

ვაჟა-ფშაველას რთული პოეტური მემკვიდრეობა, როგორც ითქვა, მრავალი სიძნელის წინაშე აყენებს მკვლევარს. ეს ეხება როგორც ღრმა ქვეტექსტების შემცველ პოეტურ ენას, ისე აზროვნების სრულიად უნიკალურ ფორმებს. ავიღოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიცაა ვაჟას პოეტური სემანტიკა, რომელიც ღრმა ჩაკვირვებას მოითხოვს. თავის წერილში სიმონ ჩიქოვანი შენიშნავდა ვაჟას პოეზიის განსაკუთრებულ სიახლოვეს ხალხის მხატვრულ აზროვნებასთან. ამ თვისებათა გათვალისწინების გარეშე ჩვენ შესაძლოა მცდარი კვალიფიკაცია მივცეთ ამა თუ იმ პოეტურ სახესა თუ ცალკეულ გამოთქმას. ვაჟა-ფშაველას ერთ პირველივე ლექსში, მაგალითად, ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „შავეთში გამგზავრებულსა ცხენი წამექცეს გზაშია; ქვეყნისგან შაჩვენებულმა ბინა დავკარგო ცაშია, გამიწყდეს ბეწვის ხიდაი, ჩავვარდე კუპრის ზღვაშია“. აქ გამოყენებული ზოგიერთი სახე ჩვეულებრივ მეტაფორად მოეჩვენება მკითხველს, თუ მათ მოვწყვეტთ იმ ბუნებრივ გარემოს, რომელთანაც პოეტი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული. „შავეთი“ აქ მიცვალებულთა

ქვეყანას ნიშნავს, სადაც, ფშაველთა მითოლოგიური წარმოდგენით, ადამიანმა ცხენით უნდა გადალახოს „ბეწვის ხიდაი“, რომელზე მშვიდობით გავლა მხოლოდ „მართალთა“ ხვედრია. „ცის ბინა“ სამოთხე, ხოლო „კუპრის ზღვა“ ჯოჯოხეთის ხალხური წარმოდგენაა— ასეთივე ღრმა ქვეტექსტების მატარებელია ვაჟასთან სიტყვები თუ გამოთქმები, როგორიცაა „სამზეო“, „სულეთის ბატონი“, „დავლათიანი“, „ბედგაუტეხელი“ და სხვა მრავალზე მრავალი, რომელთა ერთობლიობა თავისი მნიშვნელობით აშკარად სცილდება მხოლოდ და მხოლოდ სტილურ მახასიათებლებს, როგორც ეს ზოგ მკვლევარს ახლაც მიაჩნია.

ვაჟას ასეთი გაგება აუცილებელი და პირველი საფეხურია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჰეშმარიტი სირთულეები აქედანვე იწყება. საქმე ის არის, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უღრმესი კავშირების გამოვლენა ძველ-ქართულ წარმართულ აზროვნებასთან საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. იგი, როგორც ითქვა, არც პოეტური სტილის ჩარჩოებში თავსდება და ვაჟა-ფშაველას მსოფლშეგრძნების, მხატვრული აზროვნების სპეციფიკის განეკუთვნება.

მართლაც, მხოლოდ გენიოსის უკიდეგანო ტალანტის სფეროშია შესაძლებელი თანამედროვეობისა და არქაულის ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური შერწყმა, რაც თვალნათლივ დასტურდება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ წარმოსახვაში. ვაჟა-ფშაველას თანამედროვეობის განცდით დამუხტული პოეზია მარადიული პრობლემატიკითაა დატვირთული. ხოლო ასეთ მხატვრული ამოცანების პოეტისათვის, და საიდუმლოების სათავე სწორედ აქ არის დამარხული, მითოსური მასალა შეუდარებლად ფართო ასპარეზს სთავაზობს შემოქმედს. კონკრეტულისა და ზედროულის ერთიანობა მითოსის უმთავრესი ნიშან-თვისებაა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ასპექტს წამოწევს წინ გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი კლოდ ლევი-სტროსი, როცა მითის ზოგად ბუნებას ეხება: „მითი ყოველთვის დაკავშირებულია წარსულ ამბებთან... მაგრამ მითის შინაგანი ღირებულება იმაში გამოიხატება, რომ დროის გარკვეულ მომენტში მომხდარი ეს ამბები ქმნიან მუდმივ სტრუქტურას, რომელიც შესაბამისდროულია, როგორც წარსულისათვის, ისე აწმყოსა და მომავლისათვის“.

ვაჟას უღრმესი პოეტური ინტუიცია, ამ შემთხვევაშიც, უცთომელი აღმოჩნდა. მით უფრო, რომ ობიექტური ვითარებაც აქეთკენ წარმართავდა მინდიას სიბრძნით შთაგონებულ პოეტს. თამაზ ჩხენკელის წიგნის — „ტრაგიკული ნიღბების“ უმთავრესი პათოსი სწორედ ამ დებულების დამტკიცებაში მჟღავნდება და იგი შესავალშივე მოხდენილად შენიშნავს, რომ „არ არის გასაკვირი, რომ სწორედ აქ, კურთხეული ფშავის თბილსა და პოხიერ ნიადაგზე, სადაც სასწაუ-

ლებრივად ჯერ კიდევ იშმუშნებოდნენ წინარე ქრისტიანული იბერიის წარმართულ-მითოსური ფესვები, დაბადებულიყო პოეტი, რომლის დიონისურმა შთაგონებამ კვლავ მკვდრეთით აღადგინა მივიწყებული ღმერთები და გმირები, თანამედროვეთა მტკივნეული განცდით აღბეჭდილი ნიღბები ააფარა მათ სახეებს და თვალნათლივ დაგვანახა ტრაგიკული ხვედრის მქონე ადამიანის მარადიული სახე".

როგორ და რა დოზით იყენებს ვაჟა მითოლოგიურ მასალას. ახდენს მათ მოდერნიზებას, თუ, პირიქით, აღადგენს არქაულ სტრუქტურებს. ყოველივე ეს მკვლევარისაგან მოითხოვს სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის გათვალისწინებას. პირველ რიგში, ვაჟასთან დადასტურებული მითოლოგიური პასაჟების კვლევის დროს შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აღდგეს არქაული სტრუქტურები. კვლევის თანამედროვე დონე ტიპოლოგიურ კვლევა-ძიებას გულისხმობს და ქართულ მასალასთან ერთად სხვა ხალხთა მითოლოგიურ მასალის გამოყენებასაც. ქართული მითოლოგია ამ თვალსაზრისით საკმარისად არის შესწავლილი და თამაზ ჩხენკელი მიზნის შესაბამისად უხვად და წარმატებით იყენებს ამ შედეგებს და, რიგ შემთხვევაში, საკუთარი დაკვირვებებითაც ამდიდრებს მათ. ქართულ მასალაში დადასტურებულ ზოგად სტრუქტურებს საგულისხმო პარალელები მოეპოვება ანტიკურ და სხვა კულტურულ წრეში აღმოცენებულ მითოლოგიაში. მითი რამდენადაც ეთნიკურია, იმდენადვე ზოგად ხაზებში ზეეროვნულიც. იგი, ფაქტიურად დაწურული ფორმით უძველესი ადამიანის წარმოდგენაში მოცემული სამყაროს სურათია. ეს სურათი, — შენიშნავს წიგნის ავტორი, — ადამიანისათვის გაშინაგნებული სამყაროს მოდელს ასახავს. ამის გამოა, რომ ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებისათვის მიახლოებით ერთნაირია, ზოგჯერ იდენტური.

აშკარა უნივერსალიების დონის ფაქტებად აღიქმება, მაგალითად, სრულიად სხვადასხვა ხალხების წარმოდგენებში დადასტურებული მსგავსი ანთროპომორფისტული შეხედულებები უსულო თუ ცხოველური ბუნების შესახებ, თითქმის იდენტურია გზა ბუნების გაღმერთებიდან ასტრალური პანთეონის ჩამოყალიბებამდე. ძველი კოლხური პოეზიის იშვიათი ნიმუში „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი"... ასეთივე მახლობელი მოჩანს სრულიად განსხვავებულ ხალხთა მითოლოგიისათვისაც. ქართული მითოლოგიის იზოლირებული შესწავლით ჩვენ უეჭველად გაგვიჭირდებოდა ისეთი საკრალური აქტების გაცნობიერება, როგორიცაა ვაჟა-ფშაველასთან ასე ხშირად წარმოდგენილი „გველის ხორცისა" თუ „კაცის ხორცის" შეჭმა-ფერისცვალება, რაც მ ი ღ ე ბ უ ლ ი ტერმინოლოგიით, დიონისური ორგიაზმის კულტს უკავშირდება.

თუ რამდენად სანდო მასალას გვაწვდის კვლევის ასეთი მეთოდი, ეს ჩანს ვაჟას შემოქმედების ცალკეული პასაჟების ანალიზის დროს. მე აქ ერთ დაკვირვებას შევეხები მხოლოდ.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ხილვის სიღრმე და იდუმალება გამჟღავნდა ჯერ კიდევ მის ერთ ადრეულ ლექსში „დევების ქორწილი“, რომელიც 1886 წელს დაიწერა. ეს ხილვა, მართლაც, ფანტასტიკურია და ძალზე დამახასიათებელია პოეტის მხატვრული აზროვნების შინაგანი მიდრეკილებებისათვის. ის რაც აქ ერთგვარი ემბრიონის სახითაა მოცემული, თანდათან მთიდან მომსკდარი ზვავით წამლეკავი ხდება და თვისობრივად ახალი სიმაღლეების დაუფლებას მოასწავებს.

ბუნების გრანდიოზული მღელვარების ფონზე შემდეგი სურათია გადმოცემული. დევების ქორწილზე მიპატიჟებულს კაცის ხორცს სთავაზობენ. შეძრწუნებულ სტუმარს ვიღაცის განწირული კვნესა მოესმის „უკვენას ყურეშიითა“, რომლისთვისაც ალბათ ასევე კაცის ხორცი დაუძალებიათ დევებს. აქ თითქმის ყოველ სახეში მითოლოგიური დეტალი გამოსჭვივის. „ბუნების არეულობა“ აქ იგივე გაზაფხულის ავდარს უკავშირდება, ხოლო დევები, ქართულივე მითოლოგიით, ნაყოფიერებისა და ვეგეტაციის დემონებს განასახიერებენ. „კაცის ხორცის დაძალება“ ორგიასტული პასაჟია და ადამიანურზე დევური საწყისის ზიარების მცდელობაა. თამაზ ჩხენკელის მართებული დაკვირვებით ფრაზა: „სამპირად ცეცხლი დაენთოთ, ზედ სამი ქვაბი შხიოდა“, ქართული „ამირანიანის“ გამოძახილია (სამი ქვაბი ბადრი, უსუპ და ამირანისთვის უნდა იყოს განკუთვნილი). უფრო მეტიც, ვაჟა აღრმავებს ფოლკლორულ წყაროს, რომელშიც ასეთივე პასაჟები „ბუნების არეულობის“ გარეშეა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც რიგ სხვა შემთხვევებში, ვაჟა საოცარი შთაგონებით აღადგენს სავარაუდებელ მითოლოგიურ არქეტიპს. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს დეტალი „უკვენა ყურეშიითა კვნესის ხმა გამოდიოდა“? ფაქტია, რომ წინამორბედ სტუმარს ურჩობა გამოუჩენია და ამიტომ „მას კაცის ხორცის არშეჭმის ალტერნატივად თვითონ მოელის დაკვლა“ და თამაზ ჩხენკელი აქ მარჯვედ იყენებს ანალოგიური პასაჟების შემცველ სხვა ხალხთა მითოლოგიურ მასალას. პროპი თავის ცნობილ წიგნში „ჯადოსნური ზღაპრების ისტორიული ძირები“, ასახელებს არა ერთ ფაქტს, როცა ასეთივე ორგიასტული პასაჟი „მეზობელ ოთახში“ („იაკუტური ზღაპარი“), „საკუჭნაოში“ (გრიმები) ხდება იქ, „სადაც აკრძალულია შეხედვა“. აღსანიშნავია,— დასძენს თამაზ ჩხენკელი, — რომ პროპის მიერ მოტანილი მასალა უცნაურ წვრილმანებამდე ემთხვევა „დევების ქორწილის“ ზოგიერთ დეტალს... „უკვენა ყურე“ — ადამიანის მსხვერპლშეწირვის უძველეს რიტუალში (რომლის ფორმები ისტორიულად ცვალებადი იყო)

ყველაზე მდგრადი ელემენტია... როგორც ჩანს. ვაჟა სწორ და ღრმა გაგებას იძლევა მითისას, რომლის არქეტიპულ მოდელს იგი გენიალური ინტუიციით წვდება.

მითოლოგიური მასალის ასეთი ფართო პლანით კვლევა საცნაურს ხდის არა მარტო ცალკეული დეტალების მნიშვნელობას, არამედ გარკვეულად მიგვანიშნებს მხატვრული ქმნილების დედააზრზეც. ეს ამ ლექსის ანალიზის დროსაც ხელშესახებად გამოჩნდა. დევური და ადამიანური საწყისების მარადიული მეტოქეობა, რომელიც „დევების ქორწილის“ ფანტასტიურ ხილვებშია წარმოდგენილი, ერთ უმთავრეს ლეიტმოტივად გასდევს ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებას.

მითოსური მასალა კიდევ უფრო ღრმად და მრავალფეროვანი ასპექტით არის დამუშავებული ვაჟა-ფშაველას ისეთ დიდებულ ქმნილებებში, როგორიცაა „კოპალა“ და „ალუდა ქეთელაური“. „კოპალა“, თავისი ფაქტურით, ჯადოსნური ზღაპრის ყველა ნიშანს ამჟღავნებს, მაგრამ მისი ქვეტექსტი თანამედროვეობის სულითაა აღბეჭდილი.

კოპალა — დევებთან მებრძოლი, კაცობრიობის განმასახიერებელი გმირია. კოსმიურ ძალთა ჰიდილის ფონზე გადმოცემულია დევთა მიერ კაცთა მოდგმის დამორჩილების შემზარავი სურათები. წიგნის ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას ამ, მართლაც, განსაცვიფრებელ „კოპალას“ რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მკვლევარები, მაშინ როცა, იგი ყველაზე ხელშესახებად ავლენს ვაჟას მითოსური აზროვნების ძირითად თვისებებს. გარეგნულად კოპალას სახე წარმართული პანთეონის ღვთაებათა (კოპალა-იახსარი, წმინდა გიორგი, კვირია), მოდელის მიხედვითაა შექმნილი, მაგრამ შინაგანად იგი ახალ რწმენასა და ახალი ღვთაების ნებას განასახიერებს. სწორედ მისი შემწეობით ამარცხებს იგი დემონურ ძალებს და ახალი რწმენისათვის ათავისუფლებს კაცთა მოდგმას. ეს ახალი ღმერთი ქრისტიანულია და „დევებისა და დევურის დამარცხება პოემაში სასტიკი და დრომოჭმული მსოფლმხედველობის ახალ ეთიკურ ღირებულებებთან დამარცხების ბადალია“.

თვით ქართული მთის მითოლოგიური მასალა, რომელშიც, როგორც ცნობილია, წარმართულისა და ქრისტიანულის მსოფლგანცდის უნიკალური შეჯვარების მდიდარი ნიმუშებია წარმოდგენილი, თავისთავად იძლეოდა ნაყოფიერ ნიადაგს, მაგრამ ვაჟასთან ეს მომენტი კონცეფციის ძალას იძენს და, როგორც წიგნის ავტორი შენიშნავს, „კოპალაში“ გაშლილი ფილოსოფიურ-ეთიკური ხასიათის კოსმოსური დრამა თითოეული ადამიანის გულში მიმდინარე შინაგანი ბრძო-

ლის ანარეკლიცაა და ამ აზრით, ეს პოემა ახალი დროის სულით აღბეჭდილ მისტერიად წარმოგვიდგება“.

თამაზ ჩხენკელის წიგნის ერთი დიდი ნაწილი ეძღვნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უპირველეს შედევრს „ალუდა ქეთელაურს“. ეს გასაგებიცაა, რადგან გარდაქმნა-ფერისცვალების კათარტიკული აქტი ყველაზე რელიეფურად სწორედ ამ პოემაშია გამოკვეთილი: „ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი“, — ეკითხულობთ პოემის დასაწყისშივე და ეს უკვე მინიშნებაა, რომ ალუდა შინაგანად გამორჩეული პიროვნებაა („დავლათიანი“ იღბლიანს, ვაჟასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, წინ წასულს ნიშნავს, სხვათა შორის, ამ სიტყვის ეს საკრალური მნიშვნელობა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეიქნა ცნობილი. იხ. ალ. ჭინჭარაულის ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი), ხოლო მისი თავგადასავალი „სხვა-რიგის“ ვნებებითაა პირობადებული.

„ალუდა ქეთელაურზე“, და ეს გასაგებიცაა, ბევრი დაწერილა, კარგიცა და ავიც, ჭკვიანურიცა და უმეცრულიც. აქ აღძრული მარადიული პრობლემები არაერთგზის ვიწრო თემატური საკითხების დონემდე ჩამოუქვეითებიათ და ხელის მოკვეთა-არმოკვეთის აზრი პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ჩვეულებათა გადმონაშთების უარყოფაში დაუნახავთ. თამაზ ჩხენკელის წიგნში ამ საკითხებს ეძღვნება ერთ-ერთი ცენტრალური ნაკვეთი — „ალუდა ქეთელაურის ვნებანი“ და აქვე ვიტყვი, მე არ მეგულება სხვა ნაშრომი, რომელშიც ასეთი მთლიანობით, ორიგინალური დაკვირვებებით იყოს წარმოდგენილი „ალუდა ქეთელაურის“ მხატვრული ანალიზი.

სკრუპულოზულ დაკვირვებათა საგნად არის ქცეული პოემის თითქმის ყველა პასაჟი, ცალკეული გამოთქმა თუ დეტალი და ყოველივე ეს პროეცირებულია სწორი მიდგომით, ვაჟას მსოფლგანცდის მართებული შეფასებით. აქ მე მინდა ორ უმთავრეს მომენტს გავუსვა ხაზი. უნივერსალური პრობლემატიკით გატაცება ბედისწერასავით თანდაყოლილი თვისებაა ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედებისათვის. ყველაზე უფრო კონცენტრირებულად და მხატვრული შთაგონებით ეს განხორციელდა „ალუდა ქეთელაურში“ და ვაჟას უდიდესი მხატვრული მიღწევა სწორედ ის არის, რომ იგი ძალზე მიწიერ, ხელშესახებად ცხოვრებისეულ სახეებში ახერხებს არაჩვეულებრივად მასშტაბურ განზოგადოებებს. ალუდა ქეთელაური ახალი რწმენის დამკვიდრებისათვის შეუპოვარი მებრძოლის უნივერსალური სახეა. სწორედ ასეთ, ჭეშმარიტების მაძიებელ გმირთა გამო შენიშნავდა უილიამ ჯემსი, რომ „ასეთი გმირები არღვევენ უკუნს, ისინი არიან წინამორბედნი ახალი ცხოვრებისა... მათი ცხოვრების მოწოდებაა

გაანაყოფიერონ მსოფლიო, გამოაცოცხლონ სიკეთის ის მარცვლები, რომლებიც უმათოდ ვერ გაიხარებს. იმის შემდეგ, რაც (ასეთი კაცი) გაიცლის ჩვენს წინაშე, ჩვენ მეტად აღარ შეგვეძლება ისეთნაირები ვიყოთ, როგორებიც მანამდე ვიყავით, ცეცხლის ალი ყოველთვის ცეცხლსა შობს". ამასთან დაკავშირებით, ანალოგიური პრობლემების შკვლევართა დამოწმებით თამაზ ჩხენკელი მართებულად დასძენს: „ისინი (ეს პიროვნებანი) რეალურად იმარჯვებენ, ვინაიდან პიროვნება შეკუმშული ანუ დაწურული სახით მოცემული საზოგადოებაა და პიროვნების ზნეობა საზოგადოების შინაგანი საწყისია... და ამდენად პირველის შინაგანი მონაპოვარი, ადრე თუ გვიან, მეორის მონაპოვრად იქცევა". მხოლოდ ამ კონტექსტშია შესაძლებელი „ალუდა ქეთელაურის" კათართიკული ბუნებისა და დაუოკებელი იმპულსების ახსნა და შეფასება.

მაგრამ ყოველივე ამის შეფასება-განმარტებისათვის პირველ რიგში საჭირო იყო ნაწარმოების ღრმა და ყოველმხრივი მხატვრული ანალიზი.

რა გზით, როგორი შთაგონებით გადაწყვიტა პოეტმა მის წინაშე აღმართული უძნელესი მხატვრული ამოცანა. ეს არის ყველაზე ფასეული მომენტი აღნიშნულ გამოკვლევაში.

ავიღოთ მაგალითისათვის თუნდაც ისეთი ფაქტი, როგორიცაა მტრისათვის ხელის არმოკვეთა, რომელიც თვით ვაჟასავე მოწმობით ხალხურ თქმულებებში არაა და საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ვაჟამ, და ეს არის სიმძიმის ერთ-ერთი ცენტრი, იმით გაამძაფრა ეს კოლიზია, რომ იგი შედარებით არქაულ თემში გადაიტანა. თამაზ ჩხენკელის დაკვირვებით ვაჟა ამას ყოველთვის არ აკეთებდა (შდრ. მაგალით. გოგოთურ და აფშინას სამოქმედო ისტორიული ფონი). ზუსტი მხატვრული ინტუიცია კარნახობდა პოეტს, რომ ამით ეს კოლიზია ღრმა და ამასთან საკრალურ იერს შეიძენდა, ხოლო პოემაში გაშლილი მითოსური პლანი ბევრად უფრო ნოყიერ ნიადაგს მისცემდა ზოგადადამიანურ ვნებათა განზოგადებისათვის.

ავიღოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პასაჟი პოემიდან, რომლის სწორი გაგება, ტექსტზე დაკვირვება, რადიკალურად ცვლის ადრეულ ინტერპრეტაციას. გავიხსენოთ ალუდას თითქოსდა უცნაური საქციელი მოკლული ქისტი-მუცალის ცხედართან: „გულზე ძეგლიგი დაადვა, მკლავზედ ფრანგული ხმალიო, მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა, ცოდვა არიო". აქ ეს სიტყვა „ცოდვა" სწორად არ ესმოდათ: ალუდას კი არ შეეცოდა მუცალი, არამედ ცოდვად მიიჩნია მისთვის მკლავის მოჭრა. რომ ეს ასეა, მისგანვე სხვაგზის თქმული ადასტურებს: „ვაი, ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა".

ეს დაკვირვება სრულიად სხვაგვარ შუქს ჰფენს ამ ეპიზოდის გაგებას, საიდანაც იწყება ალუდას ფერისცვალების მძიმე და მტანჯველი გზა, რომელსაც გმირი ახალი რწმენის აღიარებამდე მიჰყავს. მუცალმა თავისი შეუპოვრობით დაუმტკიცა ალუდას, რომ იგიც „კაი ყმაა“, მას არაფრით ჩამოუვარდება, მისი მსგავსია და მისივე მსგავსის მოკვლა, მით უფრო, შეურაცხყოფა, არაკაცური, ადამიანური საწყისის საწინააღმდეგო ქმედებაა და ალუდას პიროვნებაში პირველად იღვიძებს ახალი და დიადი გრძნობა...

ასეთი საინტერესო დაკვირვებები სხვაცაა ნაშრომში, მაგრამ ჩემის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის მიგნება „ალუდა ქეთელაურში“ წარმოდგენილი მოქმედების პარალელურ შრეებზე. მხოლოდ ფაბულური პლანი ჩვენ ვერ აგვიხსნის ალუდას ფერისცვალების რეალურ მიზეზებს, თუ ჩვენ თვალს არ გავადევნებთ გარეგნულ მოქმედებაში ჩამარხულ ფარულ აზრს. გარეგნული დაპირისპირებანი და კონფლიქტები ფაქტიურად მოტივირებულია შინაგანი, რიგ შემთხვევაში, თვით გმირისათვის გაუცნობიერებელი კონფლიქტებით, რომლებიც კონტრაპუნქტივით ბოლოს ერთ წერტილში იყრის თავს. ფაბულისათვის თავისთავად მნიშვნელოვანი პასაჟები, როგორიცაა ალუდასა და ხევსურთა შეპაექრება თუ კონფლიქტი ხევისბერთან, არ იძლევა მთლიან წარმოდგენას ალუდას საქციელის რეალურ ხარისხზე. მართლაც, ისეთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როგორიცაა ხატობაზე ალუდას მიერ გამოვლენილი ურჩობა, ფაქტიურად ცრუ ფაბულურ კვანძს წარმოადგენს, რადგან ალუდას პიროვნებაში გარდატეხა უკვე ფაქტად არის ქცეული და ხატობაზე ჩვენ უკვე მისი ქცევის მხოლოდ ერთ-ერთ შედეგს ვაწყდებით. ეს მოქმედება გაუგებარია ფაბულური პლანის ფარგლებში, რაკი მისი ფესვი ალუდას ქვეცნობიერებაშია დაფარული, რაც პოემაში ვიზიონითა და სიზმრით არის პროეცირებული და ავტორის დასკვნით: „ალუდა ქეთელაურის“ შინაგან ცენტრს სწორედ ეს ადგილები წარმოადგენს!

„ალუდა ქეთელაურის“ მხატვრული ანალიზის დროს სიზმარში მოცემულ ფანტასტიურ ხილვებზე აქცენტირება მკვლევარს აძლევს საშუალებას გასაგები გახადოს დიადი მხატვრული ჩანაფიქრი. ხელშესახები ხდება აგრეთვე აქ გამოყენებული მითოსური მასალის შინაგანი ფუნქცია. ბრძოლიდან დაბრუნებული ალუდას შემზარავი ჩვენება „ვისაც მტერობა მოსწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითონაც შიგვე მდგარია“ და დიონისური ორგიაზმით დაღდასმული სიზმარი („ვსჯამდი, მზარავდა თუმცაღა კაცის თავფეხი ძვლიანი“) ალუდას სულში დატრიალებული მორალური ტანჯვის უკუფენაა და ამავე დროს კათართიკული ფერისცვალების უდიდესი ნიშანსვეტი. პოემის ყველა მხატვრული ასპექტის გათვა-

ლისწინებამ მკვლევარს მისცა საშუალება ამავე დროს თვალი გაედევნებინა ალუდას სულიერი ზეაღსვლის ცალკეული მონაკვეთებისათვის, რის მხატვრული მოდელიც წიგნში ასეა გადმოცემული: „პოემაში ალუდას ინდივიდუაცია, მისი პიროვნული თვითდადგინების ცალკეული ეტაპები ასეთი გრადაციით საჩინოვდება: ფერისცვალების იმპულსი (ბრძოლა) — იჭვი (ხევსურებთან დიალოგი) — წუთისოფლის ხილვა (იმედას ქავი, მტერობა) — ახალ ღმერთთან ზიარება (სიზმარი) — გადაწყვეტილების მიღება (უჩინარი პაუზა) — რწმენის განხორციელება (ხატობა)“. აქ, ჩემის აზრით, სრულყოფილადაა წარმოსახული მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვით შეკავშირებული მოქმედების შინაგანი და გარეგანი პლანი, რომელთა მეშვეობით შეუპოვარი მხატვრული ძალითაა წარმოჩენილი ახალი პიროვნების დაბადება. ალუდა ქეთელაური, როგორც ითქვა, მაძიებელის სულისა და თავისუფალი ენების მატარებელი გმირის უკვდავ სახედ აღიქმება.

ამავე საკითხებზე წიგნში არა ერთ სწორ და საგულისხმო დაკვირვებებს შეხვდება მკითხველი. ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედების გათვალისწინებით ავტორი მართებულად ასკვნის, რომ ალუდას ახალი ღმერთიც ასევე ჰუმანიზირებული ქრისტიანობის წიაღშია საძიებელი, ან მისივე სიტყვებით რომ ითქვას: „მზისებრ ამომხდარი მახვილით ქეთელაური ანგრევს შატილის თავზე დამხობილ ტომობრივად შეზღუდული სარწმუნოების „კლდის ცას“, რათა დაანახოს თვისტომთ უსასრულო, მარადიული ცა კაცობრიული ღმერთისა“. ასევე საგულისხმო მოსაზრებებია წარმოდგენილი ამავე თავში მუცალისა და ალუდას მძვინვარე შერკინების ანალიზის დროს და გააზრებულია ამ ბრძოლის განსაკუთრებული მნიშვნელობა ალუდას სულში ჩასახული იჭვისა და ახალი რწმენის შემდგომ განვითარებაში, მაგრამ მათი უბრალო ჩამოთვლაც აქ შორს წაგვიყვანდა. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო ერთი ძალზე სასიამოვნო მოვლენა, რომლითაც ჩვენ არც ისე ვართ განებივრებული. განსაკუთრებით ეს ითქმის სწორედ იმ თავზე, რომელიც მთლიანად „ალუდა ქეთელაურს“ ეხება. ეს არის არაჩვეულებრივი ტაქტი და ფაქიზი მიდგომა მხატვრული ფაქტებისადმი და ეს ანალიზი იმდენად ოსტატურად არის შესრულებული, რომ მთელი ეს თავი თავისთავად მხატვრული ქმნილების შთაბეჭდილებას ახდენს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით წინა თავებზე, რომლებშიც ზოგჯერ მასალობრივი სიჭარბე ხელს უშლის მკითხველს თხრობის ძირითადი ძარღვის ბოლომდე აღქმაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პიროვნების ფერისცვალების მითოსური საფუძვლების კვლევის დროს, რასაკვირველია, განსაკუთრებით უხვ მასალას შეიცავს ისეთი მნიშვნელოვანი პოემა, როგორიცაა „გველის მჭამელი“, რომელიც ფაქტიურად ასრულებს ანალოგი-

ური ციკლის ვაჟასეულ ქმნილებებს. მინდიას სიბრძნე და ტრაგედიაც ასევე მითოსურ პლანშია მოაზრებული და ადამიანის დანიშნულების უნივერსალურ საკითხს დასტრიალებს თავს. ალუდას სახე, — შენიშნავს ერთ ადგილას სიმონ ჩიქოვანი, — შორეულად ავტორის მიდრეკილებათა ანარეკლია და მისი ხასიათის ორეული". ეს კიდევ უფრო დაბეჯითებით უნდა ითქვას მინდიას სახეზეც. მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ ბუნებასთან თანაზიარობის საოცარ დამთხვევებს. სიბრძნისა და შთაგონების მიმოქცევა თვით პოეტისავე სულში აღძრული შინაგანი ტრაგიზმის ერთგვარი გამოძახილია. შინაგანი წუხილისა და ღვთაებრივთან თანაზიარობის ცვალებადობას ვაჟას არა ერთ ქმნილებაში გამოუყენავს. თითქოს მინდიას ტრაგედიაა ტრანსფორმირებული პოეტის ერთ გვიანდელ ლექსში „მარტოობა", რომელშიც ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „როცა არწივი წამივა, ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა. დამმალეთ, ნუ გამომაჩენთ, არ შესცდეთ, დამსვათ ჯარზედა".

„გველის მჭამელთან" დაკავშირებული ძირითადი საკითხების მთელი წყება ასევე ფართო პლანითაა განხილული. სწორია ავტორის წინასწარი დებულება პოემაში წარმოჩენილ მითოსურ საფუძვლებზე: „გველისაგან გმირის შთანთქმა და პირუკუ, გველის ხორცის შეჭმა ერთი და იმავე მნიშვნელობის ფაქტია და ორივე მის ქვესკნელში ყოფნასა და მითოსურ პლანში მის ინიციაციაზე, მაგიური ცოდნის მოხვეჭაზე და ზეგარდმო გულთმისნობაზე მიგვითითებს", ასევე დამაჯერებელია ავტორის დასკვნა, რომ მხოლოდ „უდიდესი ტანჯვის საზღაურად შეიძლება გადალახოს კაცმა ადამიანური საზღვარი" და როგორც ეს ადრე იყო შენიშნული, ტრაგიკული ვნებაც სწორედ აქედან იღებს სათავეს. ღვთაებრივ ცოდნასთან ადამიანის თანაზიარობის შეუძლებლობის პირველ მაგალითს, ჩემის აზრით, ბიბლიური ლეგენდა გვიცხადებს და გარკვეული თვალსაზრისით მინდიას ტრაგედიაც მისი ერთგვარი გამოძახილია. მე ვფიქრობ, რომ ასეთივე ასპექტი იგულისხმება წიგნის ავტორის სიტყვებში, როცა იგი მინდიას ტრაგიკული ბედის გარდუვალობაზე საუბრობს: „ადამიანური ყოფისა და ღვთაებრივი არსებობის შერიგება კრახით დასრულდა, ბუნებას, სამყაროს პირველ დასაბამს, ღვთაებრივ წიაღს მოწყვეტილი ადამიანი თავს იკლავს და ეს ბუნებრივი დასასრულია, რაკი ბუნებისა და ღმერთის სავსებასთან ზიარებულისათვის მასთან თანაზიარობის დაკარგვა თავისთავად უდრის სიკვდილს".

ისევე, როგორ „ალუდა ქეთელაურის" მაგალითზე ვნახეთ, აქაც არაჩვეულებრივი სიზუსტითაა გაანალიზებული მნიშვნელოვანი ეპიზოდები, თითქოსდა ერთი შეხედვით შეუმჩნეველი დეტალები. მაგალითად, საგულისხმო დაკვირვებად მეჩვენება გარეგნულად თითქოსდა

უმნიშვნელო დეტალი. მინდიამ ცოლისაგან გამომცხვარი „მოწამლული ქადა“ ჭამა და თანდათან დევურ ცხოვრებას ეზიარა, ისევე, როგორც ფშაურ „ამირანიანში“ დევთაბერის მიერ გამოცხობილი ქადა, რომელშიაც კაცის თავფეხია ჩატანებული, მაცთუნებელ შეჭამანდს განასახიერებს. სხვა დეტალებთან ერთად ამ დაკვირვებითაც ნათელი ხდება, რომ მინდია მდედრულ-მატერიალური ყოფისაგან მოცთუნებული აღმოჩნდა და საკუთარი რწმენის ღალატის გზას დაადგა. ასეთივე მნიშვნელოვანი ქვეტექსტებია გამოვლენილი პოემის ისეთ პასაჟებში, როგორიცაა მზიას სიზმარი, მინდიას ფანტასტიკური ხილვები და ა. შ., რომელთა ანალიზის დროს გათვალისწინებულია ვაჟას მთელი პოეტური სამყარო და მდიდარი ქართული (და არა მარტო ქართული) მითოლოგიური პარალელები.

ასევე საგულისხმოა ავტორის მოსაზრება, როცა იგი ორ უმნიშვნელოვანეს პოეტურ სახეს ალუდასა და მინდიას ურთიერთმიმართებაში ახასიათებს. ამ შემთხვევაში უფრო რელიეფურად იკვეთება მათი, როგორც გამორჩეულ გმირთა მარადიული პროფილები: „ალუდა ზეაღმავალი გმირია, მინდია ქვედაღმავალი. ალუდა ტიტანური ძალისხმევით არღვევს საზოგადოების დახშულ მორალსა და რელიგიის გაქვავებულ დოგმებს. უნივერსალურ ღმერთთან ზიარებული, იგი ზეკაცურ თავისუფლებას იხვეჭს. ხოლო ზეკაცურ ცოდნასა და ბუნების საიდუმლოსთან წილნაყარი მინდია ჰკარგავს ღვთაებრივ ზეცნობას, რაკი საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელს ხდის მის შენარჩუნებას და თავისსავე თავში დამარცხებული თავს იკლავს“. აქ და სხვა შემთხვევაშიც სწორი თავლთახედვით არის დანახული ტრაგიკული ხვედრის მქონე ბრძენი მინდიას სახე და უეჭველად, აქ გამოთქმული მოსაზრებები თავის წვლილს შეიტანს ამ ურთულესი პოეტური ქმნილების შემდგომ კვლევა-ძიებაში.

...მე აქ მინდა შევეხო აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხსაც, რომელიც აღძრულია თამაზ ჩხენკელის წიგნის ფურცლებზე და რომელსაც, ვფიქრობ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ვაჟა-ფშაველას მრავალმხრივი შემოქმედების სწორი შეფასებისათვის.

პირველ რიგში მე აქ მინდა ისევ დავუბრუნდე „გველის მჭამელის“ მხატვრულ თავისებურებებს. მიუხედავად იმისა, რომ პოემაში თითქმის თავიდანვეა მინიშნებული უმთავრესი პრობლემა და გამოკვეთილია კიდეც გმირის სახე, აშკარად შესამჩნევია რიგი წინააღმდეგობა, რომელიც ერთგვარად აძნელებს მხატვრული ჩანაფიქრის ბოლომდე ათვისებას. ეს მომენტი შენიშნულია კიდეც ჩვენს კრიტიკაში და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციაც მოიპოვება ამ საკითხზე. ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: ცალკეული ეპიზოდები აქ ვაჟასეული წვდომით, დიდი მხატვრული ძალით არის გადმოცემული (მაგალ. მინდიას ბუნე-

ბასთან თანაზიარობა, კონფლიქტი ოჯახთან, მზიას სიზმარი, ქალთა კრებულის დიალოგები, მინდიას სიკვდილი და ა. შ.), მაგრამ პოემას ამასთან გარკვეული ხარვეზები დაჰყვება, რაც ხელს უშლის ერთ მთლიანობაში მის აღქმას. ამ მოსაზრებას იზიარებს წიგნის ავტორიც და მიუთითებს კიდეც ამის ზოგიერთ მიზეზს. „გველის მჭამელში“ ბოლომდე არაა მიყვანილი მითოსური პლანი და მასში არაორგანულად იჭრება სხვა გარეშე ნაკადები, რის გამოც აქ უეჭველად შეინიშნება შინაგანი წინააღმდეგობანი (კერძოდ, მითოსური და სოციალური პლანი შეუთავსებელი რჩება). ეს ჩანს, მაგალითად, პოემის იმ მოტივებში, სადაც მინდია ბუნების ქომაგად გვევლინება, მაგრამ ამავე დროს იგი აქ ბოლომდე თანმიმდევრული არაა (შეტიც, იგი „ქვეყნის სარგოდ“ კაცსაც კლავს, რაც ღვთაებრიობის საწინააღმდეგო ქმედებაა). თამაზ ჩხენკელის დაკვირვებით ასევე არა ზუსტი, უფრო მეტიც, თვით ვაჟას შემოქმედებისათვის უცხო მოტივია, როცა მინდიას თავთავები მომკას შესთხოვენ ისევ და ისევ „კაცთა სარგოდ“, მაშინ, როცა მითოსური შინაარსი ამ პასაჟისა უფრო ღრმაა და საკრალურ ქვეტექსტებს უნდა შეიცავდეს (მარცვლის დაღუპვა გააზრებული უნდა იყოს, როგორც ნაყოფიერების ღმერთის დაღუპვა). აქ „მიზანი“ შეცვლილია და მითის ისეთ პროფანირებასთან გვაქვს საქმე, რასაც ვაჟა ჩვეულებრივ არ მიმართავს და მისთვის სრულიად უცხო მხატვრული ხერხია. ასევე გონივრული ჩანს დაკვირვება თვით პოემის სტილურ თავისებურებებზე. მითოლოგიურ ჩარჩოში ჩაქსოვილ უტილიტარისტულ მოტივებს, ბუნებრივად, თან დაჰყვა უცხო ინტონაციები და, როგორც მკვლევარი დასძენს, მაგიურობას მოკლებული, პუბლიცისტური ხასიათის ლექსიკა და ფრაზეოლოგია (ამის დამადასტურებელი რამდენიმე საგულისხმო მაგალითია მოტანილი ნაშრომში). უნებლიეთ თუ იქნებ შეგნებულად დაშვებული ასეთი მხატვრული „უზუსტობანი“ უეჭველად გარკვეულ დაღს ასვამს პოემის მხატვრულ მთლიანობას და ერთგვარად გამოარჩევს მას ვაჟას სხვა პოემებისაგან.

პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძვლები ასევე ფართო მასშტაბითაა განხილული ვაჟას სხვა პოემების მაგალითებზე და არა ერთი საგულისხმო დაკვირვებებია მოტანილი ისეთი პოემებიდან, როგორიცაა „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „ახუნდი“, და სხვ. მაგრამ ჩემის აზრით, ავტორი ზოგჯერ ისეა გატაცებული მითოლოგიზაციის პრობლემით, რომ აშკარად ზედმეტ დატვირთვას ანიჭებს სრულიად სხვა პლანში მოაზრებულ ცალკეულ პასაჟებს. სხვას რომ თავი დავანებოთ, აშკარად მითოლოგიური მოდელების თარგზეა წარმოდგენილი წიგნში „გოგოთურ და აფშინას“ ანალიზი, მაშინ, როცა მითოლოგიური შრე აქ ძალზე მცირე დოზითაა წარმოდგენილი. თვით აფშინას სახეც ნაკლებ არქაულ იერს ატარებს და პოემის საერთო

ფაქტურაც ბევრად უფრო აღბეჭდილია თანამედროვეობის ნიშნით, ვიდრე ეს ზემოთ ნახსენებ სპეციფიკურ პოემებში დასტურდება. ასევე, ჩემის აზრით, ნაძალადევი ჩანს აფშინას პიროვნების გარდაქმნის მითოლოგიურ დონეზე განხილვა და მისი ალუდას მსგავსად „ზეაღმავალ“ გმირად დასახვა. ამაზე მიუთითებს თვით პოემის ფინალი (აფშინას ხმა: „ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო, ცოცხლად დამარხვავ თავისა“). მითოსური შრე ერთი დიდი, მაგრამ არა ერთადერთი შენაკადია ვაჟა-ფშაველას მრავალმხრივ პოეტურ სამყაროში. ამაზე მეტყველებს სხვა მხატვრული ქმნილებები და განსაკუთრებით კი მისი ლირიკული შედევრები, მაგრამ მათზე საუბარი აქ შორს წაგვიყვანდა.

წიგნის დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, საკუთრივ მითოლოგიური მასალის კვლევა-აღდგენას ემსახურება და ზოგადი სტრუქტურების ტიპოლოგიურ დახასიათებას ეძღვნება. მაგრამ ზოგადი სტრუქტურების წიაღ მითოლოგიაში, ისევე, როგორც ყოველ სულიერ ფენომენში, აშკარად დასტურდება, და არც შეიძლება. სხვაგვარად წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ ხალხისათვის, თუ ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვალთახედვა, გამოხატვის ფორმები (ე. წ. ველტბილდი), რომელთა უგულვებელყოფა აშკარად აღარიბებს მთლიან წარმოდგენას ამა თუ იმ ხალხის საკუთარ წვლილზე. ამ მიმართულებით წარმართულ კვლევას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ვაჟა-ფშაველას მითოსური აზროვნების წყაროების გამოვლენის საქმეში.

მით უფრო, რომ ვაჟა-ფშაველა მთლიანად და არსებითად სწორედ ქართული მითოლოგიის არსენალით საზრდოობს და მისი პოეტური ენა თუ მხატვრული აზროვნება ყველა ნიუანსში ეროვნულ ძირებს უკავშირდება. ისიც ნიშანდობლივია, რომ სწორედ ფშავ-ხევსურულმა (და საერთოდ, ქართულმა მთამ) შემოგვინახა მითოლოგიური არქეტიპი, რაც განაპირობა მთლიანი საქართველოს ისტორიულმა ცხოვრებამ (საქართველოს მაგალითი ბარისა და მთის თავისებური ისტორიული ცხოვრების უნიკალურ სურათს გვაწვდის). აქ არ უნდა დავიწყოთ დიდი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური დასკვნა, რაც მან ქართველ ტომთა მითოლოგიის რეტროსპექტული კვლევის შედეგად გამოიტანა: „ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის, მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა... ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“. ვაჟა-ფშაველა ამ თვალსაზრისითაც, მიუხედავად ქართული მთის მიკროლოკალის მითოლოგიური ჩარჩოსი, ფაქტიურად ზოგადი ქართული ეროვნული ძირებით საზრდოობდა. ისევე როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში აღიბეჭდა თავისი დროის საქართველოს სულიერი ტკივილები.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის მითოლოგიური ძირების კვლევაში, როგორც ითქვა, თამაზ ჩხენკელს ჰყავს წინამორბედები, მაგრამ ასეთი უხვი და მდიდარი მასალა საკვლევი ობიექტის გარშემო მანამდე არ იყო წარმოჩენილი. ამავე დროს ავტორის უპირველესი დამსახურებაა თვით ამ მასალის მხატვრული ფუნქციის ზუსტი კვალიფიკაციები. ნათლად გამოჩნდა არა მარტო ის, თუ რა დოზით, არამედ რა მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად იყენებდა მათ გენიალური პოეტი.

და ამ ფონზე მოულოდნელი ჩანს, ჩემის აზრით, ავტორის დებულება, რომ „საეჭვოა 27 წლის ვაჟას ბოლომდე ჰქონოდა გაცნობიერებული მითოსური საფანელი „ალუდა ქეთელაურისა“, რომლის უმნიშვნელოვანეს პასაჟებში ახალი დროის დიდი შემოქმედის ინტუიცია და უძველესი მითოსის ხილვები ურთიერთს ერწყმიან, რათა კრანდიოზული პოეტური მასშტაბით წარმოგვისახონ ადამიანის ფერისცვალების სიღრმე და მისი ამაღლება წარმავალზე“. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჰეგელის ცნობილი შენიშვნა იმის თაობაზე, რომ აშკარად შეცდომაა ვიფიქროთ, რომ თითქოს ნამდვილმა ხელოვანმა არ იცის რას და როგორ აკეთებს. თვით ვაჟას კრიტიკული წერილები აშკარად მეტყველებენ ამ აზრის სასარგებლოდ.

ინტუიციური წვდომის აგრერიგად წინ წამოწევის გამო, უნდა ვიფიქროთ, წიგნის ავტორს მხედველობიდან გამორჩა ვაჟას როგორც ძალზე თავისებური შემოქმედის ერთი თვისება. მაგრამ ვიდრე ამ თვისებაზე შევჩერდებოდე, მე მინდა აქ დავიმოწმო ერთი ამონაწერი აკაკი გაწერელიას ნაშრომიდან, რომელიც მახვილ დაკვირვებას შეიცავს: „ვაჟა-ფშაველა თავისი დროის თვალსაზრისით აფასებს ფშაველთა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას ეთნოგრაფიულ ნარკვევებში. მაგრამ პოეზიაში იგი ახდენს ფშაური წარმოდგენების მხატვრულ ფიქსაციას თავისი გმირების სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ფსიქოლოგიური პრიზმით და ყოველგვარი ავტოჩარევისა და სკეპტიკური შენიშვნების გარეშე“. ამ შენიშვნას იცნობს „ტრაგიკული ნიღბების“ ავტორი, მაგრამ მე არ ვიცი, როგორ ხსნის თვით ამ ფაქტს ზემოთ მოტანილი შენიშვნის ავტორი. თამაზ ჩხენკელი კი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, იზიარებს სერგი დანელიასა და კორნელი ზელინსკის მოსაზრებას, რომლითაც ვაჟას მითოლოგიური წვდომები რელიქტურ საოცრებად აღიქმება, ხოლო თვით ვაჟა „უკანასკნელ დიდ პოეტად კაცობრიობის პირველქმნილი ბავშვობისა“. აქედან კი არც ისე შორსაა იმ მცდარი შეხედულებებისკენ, რომლითაც ვაჟა ჩამორჩენილ თუ პრიმიტივისტის დონის მოაზროვნედ ცხადდებოდა.

მე აქ არ ვაპირებ ამ საკითხებზე ვრცლად შეჩერებას, სხვა დროს გვექნება ალბათ მათზე საგანგებო საუბარი, მაგრამ დავასახელებ იმ თვისებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს

აღნიშნული საკითხის სწორ გაგებაში მითოლოგიური წარმოდგენების ზუსტი წარმოსახვების დროს. ჩემი დაკვირვებით, უპირველეს როლს ვაჟას არაჩვეულებრივი გარდასახვის უნარი თამაშობს. მას ისევე, როგორც ანტიკური ტრაგედიის რეტროსპექტული განცდით დაჯილდოებულ მაყურებელს, გაშინაგნებული და რწმენის სიმაღლემდე აქვს აყვანილი შემოქმედებითი აქტის ჟამს მითოსურ ნიადაგზე გათამაშებული ტრაგიკული კოლიზიები და ამით ღრმა დამაჯერებლობის ილუზიას ქმნის. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო სრულყოფილად იჩენს თავს ვაჟას შეუპოვარი ტალანტის ძალმოსილება.

1975 წ.

ბ) ვაჟაური მოტივები

ვაჟა არ იყო ლამაზი, არც მოხდენილი, იყო ახოვანი, მთელი ფიგურა — არქაული, იგი კი არ დადიოდა — იზლაზნებოდა, როგორც ჰერალდიური ნადირი. და ფსევდონიმი კი ცოტას ამბობს? — ვაჟა-ფშაველა — ამ მაგარ სიტყვაში და უფრო ა-ნით დაბოლოებაში სჩანს დედამიწის ძალა...

ვახტანგ კოტეტიშვილი

ხშირად ხდება ხოლმე, როცა ერთი ძირითადი თემა წლების მანძილზე თან სდევს შთაგონებულ ხელოვანს. იგი გამუდმებით ატარებს მას ყოველდღიური ზრუნვით აღვსილ ჩვეულებრივ ყოფაში თუ სხვა, ზოგჯერ გადამკვეთ თემაზე მუშაობის დროსაც. განხორციელებამდე ეს თემა იდეის სახით მწიფდება მასში. ჰეშმარიტი შემოქმედი თითქოს აყოვნებს ამ პროცესს, უფრთხის და ელოლიავება მას, რადგან ოდნავი აჩქარებაც კი ასეთ დროს კატასტროფას უდრის.

„არსად ქმნის“ ეს ერთი უმკაცრესი კანონი მე უნებლიეთ გამახსენა გიორგი ოჩიაურის გატაცებამ ვაჟას იდუმალი პიროვნებით. ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ თემას მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

მხატვრის შინაგან მიდრეკილებებთან ერთად ალბათ სხვა ფაქტორებმაც ითამაშეს ამაში გადამწყვეტი როლი. გიორგი ოჩიაური თავისი ცხოვრებით, ბიოგრაფიით სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ფშავ-ხევსურეთის მადლიან მიწასთან, რომელმაც მისცა დასაბამი ვაჟა-ფშაველას საოცრებებით აღსავსე შთაგონებას.

ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროც იმთავითვე მისთვის ნაცნობი და ახლობელი შეიქნა. ამიტომაც არის მხატვრის ქმნილებები თავი-

სუფალი ყოველგვარი ეგზოტიზმისაგან, რაც არც ისე იშვიათია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასა თუ პიროვნების შეფასების დროს. გიორგი ოჩიაური თავისი პროფესიით უწინარეს მოქანდაკეა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მან ვაჟასადმი თავისი დამოკიდებულების გამჟღავნება პირველად სხვა ჟანრში სცადა. მე ვგულისხმობ მის გრაფიკულ ნახატებს, ვარიაციებს ვაჟას თემებზე, მართლაც, ეს თითქოს ერთგვარი შემზადება იყო უმთავრესი ამოცანის გადაწყვეტის გზაზე.

გიორგი ოჩიაურის ეს ნახატები ყურადღებას იქცევს არა მარტო შესრულების მანერით (მკვეთრი, მხატვრული ფუნქციით დატვირთული ლაკონური შტრიხები, რაც ასე ესადაგება ვაჟას პოეზიის სადა ფორმებს), არამედ ჩანაფიქრის ორიგინალობითაც: ვაჟას პოეტური ბუნება, სამყაროს მრავალფეროვან მთლიანობაში აღქმის ჭეშმარიტად წარმართული უნარი მათში საინტერესო მხატვრულ დაკვირვებათა საგნადაა ქცეული. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნახატების თემა ვაჟას ლირიკული ლექსებია და ამდენად, მათივე გმირიც უშუალოდ თვითონ პოეტია.

მე მინდა ორიოდე სიტყვით შევჩერდე ზოგიერთ მათგანზე. ვაჟას მსოფლგანცდაში, რომელიც წარმართულისა და ახალ საუკუნეებში აღმოცენებული იდეალების იშვიათი შერწყმის ნიმუშია, ასეთი საფანელი ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ნათელი და ჯანსაღი რწმენისათვის. ვაჟას აზრით (ეს უფრო მის ლირიკულ ლექსებში იჩენს თავს), ადამიანი ბუნების ღვიძლი შვილია, როგორც ყველაფერი, რასაც ჩვენი თვალი უმზერს და გონება სწვდება. ადამიანის ბედნიერების წყაროც ის არის, რომ მან ამ ერთი მთლიანობის ორგანულ ნაწილად იგრძნოს თავი. ბუნებაში არ არსებობს დიდი და პატარა და ყოველ მათგანს თანაბარი უფლება აქვს (ან უნდა ჰქონდეს) დატკბეს „უთვალავი ფერით“ შემკულ სამყაროში.

ადამიანისა და ბუნების განუყოფელ მთლიანობად განცდის ეს დიდი სიხარული შთამბეჭდავად არის გაცოცხლებული გიორგი ოჩიაურის ერთ ძალზე დამახასიათებელ გრაფიკულ ნამუშევარში, რომელიც მას ჯერ კიდევ 1960 წელს შეუსრულებია.

მზით განათებულ, მრავალსახოვან პეიზაჟში, რომელიც ერთიანად აღიქმება (აქ შეგნებულად არც არის მინიშნება კომპოზიციურ ცენტრზე) ჩახატულია თვით პოეტის ფიგურა. აქ სწორედ იგივე აზრია გატარებული: ადამიანი, ამ შემთხვევაში პოეტი, ისეთივე ღვიძლი შვილია ბუნებისა (შორს გაწვდილი ხელი და სხეულის ძალდაუტანებელი შემართება სილაღეს უსვამს ხაზს), როგორც მის მიერვე ათასჯერ ამღერებული ნაკადული და მთის ქუჩი, ცამდე აწვდილი კლდე თუ ხმელი წიფელი:

უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ღოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მხატვრის მიერ ცალკეულ საგანთა კონტურები ისეთი შტრიხებითაა შესრულებული, რომ ყოველი მათგანი რაღაცით ერთმანეთს ჰგავს, როგორც თვით პოეტი მისსავე სათაყვანებელ ბუნების შვილებს.

დიდი ლირიზმითაა შესრულებული გიორგი ოჩიაურის მეორე ნახატი. პირობითად მას შეიძლება ია ეწოდოს. მასში აღბეჭდილია ბუნების იდუმალებაში ღრმად ჩანთქმული პოეტის სახე. მსუყე შტრიხებით შესრულებულ კომპოზიციაში, მუქი, ტანადი ტყის ფონზე, რომელსაც სილრმიდან ანათებს „მზეჲ სიმართლისა“, გამორჩეულია ლურჯთვალა იასთან თავდახრილი პოეტი. ზურგიდან მონათებული მზის სხივები ვერ აღწევენ პოეტის მწუხარე, ფერმკრთალ სახემდე. მე ვფიქრობ, რომ ეს მშვენიერი, ემოციურად დატვირთული კომპოზიცია შთაგონებულია ვაჟას ერთი, ძალზე დამახასიათებელი ლექსით: „იას უთხარით ტურფასა“, რომელშიც პოეტი მარადისობიდან „სამზეოში“ მოსწრაფე იის გარდუვალ ხვედრზე ჰგოდებს. თითქოს ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებში: „ნუ მოხვალ მიწას ეფარე, მოსვლაში არა ჰყრიაო“ — ეკლესიასტეს მარადიული მოტივი ჩაგვესმის. მართლაც, ერთი რიგის ლექსებში ეს განწყობილებებია ხაზგასმული, რაც ვაჟას მრავალფეროვან პოეტურ პალიტრაზე მეტყველებს. ბუნების მარადიულობის განცდის სიხარულს სიკვდილ-სიცოცხლის მეტოქეობის ულმობელ კანონებზე დაფიქრება ცვლის. ასეთ დროს ვაჟას მკაცრ, გმირულ შემართებით აღსავსე ხმაში თავისთავად იჭრება თბილი და მგრძნობიარე ინტონაციები.

წარმართული შრეებიდან დაძრული ნაკადი პირველად გამჟღავნდა ვაჟას ერთ ადრეულ ლექსში, რომლის სათაურია „დევთა ქორწილი“ (იგი დაიწერა 1886 წელს, როცა ვაჟა 25 წლის ჭაბუკი იყო). გაოცებას იწვევს მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტის ხედვის სილრმე და იდუმალება. ეს ხილვა, მართლაც, ფანტასტიკურია და ძალზე დამახასიათებელი პოეტის მხატვრული აზროვნების შინაგანი მიდრეკილებებისათვის, რომლებიც თავის სრულყოფას მოგვიანებით შექმნილ კლასიკურ პოემებში აღწევენ.

ბუნების გრანდიოზული მღელვარების ფონზე ლექსში შემდეგი სურათია წარმოსახული: დევების ქორწილზე მიპატიჟებულ კაცს ხორცს თავაზობენ. აქ თითქმის ყოველ დეტალში მითოლოგიური აზრი გამოსჭვივის... დევები ადამიანური საწყისის ხელყოფას ცდილო-

ბენ, რაც მხოლოდ გადატანით უნდა გავიგოთ. ადამიანმა უნდა დაძლიოს ყოველგვარი ცთუნება, ან როგორც რუსთველი იტყოდა:

მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნიეთთაგან რჩებიან,
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან;
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან...

დევური (ეშმაური) და ადამიანური საწყისების მეტოქეობა რომელიც „დევთა ქორწილის“ ფანტასტიკურ ხილვებშია წარმოდგენილი, ერთ უმთავრეს მოტივად გასდევს ვაჟა-ფშაველას მთელს შემოქმედებას, რომლის გადაწყვეტაში თავს იჩენს ვაჟას მაღალი ჰუმანიზმი.

მხატვრის გუმანზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გიორგი ოჩიაურმა ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება ვაჟას შემოქმედებისათვის ამ ძალზე ნიშანდობლივ ლექსს. მის ერთ ნახატში ეს თემა ახალი დეტალებითაა გამდიდრებული. ადამიანური მასშტაბებიც აქ თითქოს დარღვეულია. შთამბეჭდავია ნახატის ცენტრში მოთავსებული სტუმრის. ამ შემთხვევაში თვით პოეტის, შეძრწუნებული, მაგრამ მაინც ბრძნული სიდინჯით აღბეჭდილი სახე. წინა პლანზეა გამოტანილი ახალგაზრდა დევის უხამსი ფიგურა, რომელსაც ფიალით ხელში იერიში მიაქვს სტუმარზე, ხოლო მეორე მხარეს ცბიერი, მომლოდინე მზერით გარინდებული დევია გამოსახული, რომელიც წინასწარ ტკბება თითქოს ამ „ძირმწარე“ ფიალის დაცლით გამოწვეული შედეგით. ასევე საგულისხმო და დასამახსოვრებელია რენესანსული შტრიხებით შესრულებული სახე დევთა ქორწილის პატარძლისა, რითაც ხაზგასმულია აქ დატრიალებული ცთუნებათა მზაკვრული ხასიათი.

და აი, ბოლო გრაფიკული ნახატი, რომელიც, ჩემის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ფაქტიურად იგი დაედო საფუძვლად იმ მონუმენტს, რომლის განხორციელებისაკენ წლების მანძილზე ილტვოდა მხატვარი. კოსმიურ ფონზე ღმერთკაცივით აღმართული ვეებერთელა ფიგურა ფეხშიშველა მოაბოტებს ჩვენკენ. სქელი ნაბადი თითქოს ხელს უშლის, მისგან განთავისუფლება სწადია (ეს ძალზე მრავლისმეტყველი მინიშნებაა), რათა კიდევ ერთხელ განამტკიცოს დიადი რწმენა:

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

ვაჟა-ფშაველა მთელი თავის არსებით ღრმად ეროვნული პოეტია. ეროვნულის განცდა მას ყველგან და ყველაფერში უნათებდა გზას: „ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ“. მაგრამ

ჰეშმარიტად ეროვნული და მაღალი ჰუმანიზმი მის შემოქმედებაში არასოდეს არ ქმნის გადამკვეთ წერტილებს. ყოველგვარი ეროვნული შეზღუდულობა ისევე უცხო იყო მისთვის, როგორც მის მიერ წარმოსახულ გმირთათვის ჩამორჩენილი და ყალბი ზნეობრივი არტახები. ამ თვალსაზრისით ვაჟასთან ზოგადკაცობრიულიც ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული.

საუკუნეთა სიღრმიდან თითქოს დაიძრნენ კლდესავით უდრეკი, მარადისობით დაღდასმული გმირთა სახეები, რათა კიდევ ერთხელ გვეგრძნო დიად ადამიანურ ვნებათა უკვდავება. ვაჟას შემოქმედებაში ახალი ძალით იფეთქა ქართველი ხალხის დიდმა სულიერმა ენერგიამ, რაც ეროვნული მასშტაბით საკუთარ ძალებში ურყევ რწმენას განამტკიცებდა. ამის გამო შეიყვარა იგი თავისმა ხალხმა და უკვდავთა შორის შერაცხა.

სულ ახლახან თბილისში, ვაჟას სახელობის პროსპექტზე, აღიმართა პოეტის დიდებული მონუმენტი. ეს იყო, მართლაც, სიხარულის მომგვრელი დღეები. დაგვიანებით, მაგრამ მაინც განხორციელდა სანუკვარი ოცნება. ვაჟა-ფშაველა თითქოს საბოლოოდ დამკვიდრდა იმ ქალაქში, საითკენაც იგი ყოველთვის ისწრაფვოდა, რათა დიდი შთაგონება ასე უხვად გაეწილებინა მშობელი ხალხისათვის.

ყოველი ჩვენთაგანი მოუთმენლად ელოდა საბურველის ჩამხსნას. მაინც როგორი სახით უნდა წარმომდგარიყო ჩვენ წინაშე ბრინჯაოში განსახიერებული დიდი პოეტი?

ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხის გაცემა ალბათ ძალიან გაჭირდებოდა. მოქანდაკის ამოცანას ართულებდა ისიც, რომ რამდენიმე სურათში აღბეჭდილი ვაჟას სახე ყველასთვის კარგად არის ცნობილი. გიორგი ოჩიაურს ზომიერების დაცვა ჰმართებდა და ეს მან შეძლო კიდეც. ვაჟა კიდევაცა ჰგავს ჩვენთვის ცნობილ სახეს და ამასთან ახალი შტრიხებითაა იგი გაძლიერებული. ხაზგასმულია მთავარი და ყველაზე დამახასიათებელი, როგორც სახის ნაკვთებში, ისე მთლიანი ფიგურის წარმოსახვაში.

ვაჟას ანტეოსივით მშობლიურ წიაღში ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ბრინჯაოში განხორციელებული, მარადისობად ქცეული სახე პოეტისა სიბრძნესა და დაუოკებელ ენერგიას გამოსცემს. ვაჟას სახე, რომელიც თანდათან იხვეწებოდა მხატვრის გრაფიკულ ნახატებში, აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვაგვარი პლასტიკურ ხერხებითაა ამეტყველებული. შეგნებულად დაშვებული ასიმეტრიულობა (განსაკუთრებით გვერდზე გასროლილი უზარმაზარი ხელი, გულმკერდის სხვადასხვა პროპორციებით წარმოდგენილი ტეხილი ხაზები), რაღაც გოლიათურ ძალას ანიჭებს მთელ ფიგურას, ხოლო შიგნიდან

შეზნექილი მუხლები ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს ფიგურა მიწიდან არის ამოზრდილი. მონუმენტის ასეთი გადაწყვეტა სიმტკიცესა და შეუპოვრობას უსვამს ხაზს, მიგვანიშნებენ ვაჟას სისხლხორცეულ კავშირზე მშობლიურ წიაღთან, საიდანაც ისრუტავდა იგი მაცოცხლებელ ძალას: „თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ, ღალიან-ბარაქიანი“.

სახის ნაკვთები დამუშავებულია მკაცრი და ძუნწი პლასტიკური ხერხებით. წინ წამოწეული ყვრიმალები, გამხდარი სახე და ღრმად ჩამჯდარი თვალები სიბრძნესთან ერთად პოეტის უდრეკ ბუნებაზე მიგვანიშნებენ. ათასნაირ ასოციაციებს ბადებს ფრთებივით წამოსხმული ნაბადი, არწივივით ოდნავ წინ გადადრეკილი ქედი... კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს ზღვასავით უკიდეგანო შემოქმედების სივრცეებზე, „დაჭრილი არწივის“ ტრაგიკულ ხვედრზე.

რასაკვირველია, ჩემი ეს მოსაზრებები მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებებია. გიორგი ოჩიაურის მიერ შექმნილ ვაჟას მონუმენტი ღრმა და პროფესიულ ანალიზს მოითხოვს, რაც ალბათ მომავლის საქმეა. ამჯერად კი მთავარი იმის აღიარება იყო, რომ მოქანდაკის თვალსაზრისი სწორი და თანამედროვეა. გამარჯვების საიდუმლოებაც, პირველ რიგში, აქ უნდა ვეძიოთ.

1965 წ.

ბ) ვაჟა-ფშაველა

(პარალელები და შენიშვნები)

ვაჟა-ფშაველას მთელს შემოქმედებას ღრმადა აქვს გადგმული ფესვები ქართველი ხალხის საგმირო ეპოსში. იგი ამ ეპოსით სუნთქავს და საზრდოობს. „საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყავდი, — გადმოგვცემს პოეტი, — და სწორედ ის ხანა დაედგა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედებას“. ვაჟას პოეზიაში ორგანულად შემოდის ან ქართული ფოლკლორის მარად უკვდავი სახეები, მხატვრული მოტივები; მაგრამ ვაჟა ჭეშმარიტად დიდია, როცა იგი ამ სახეთა პოეტურ გარდაქმნას იწყებს და მათ სრულიად ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. ვაჟა-ფშაველა მისთვის ჩვეული სიცხადით გვიხსნის თავისი პოეზიისა და ფოლკლორის დამოკიდებულებას: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს — ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა;

ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს“...

ვაჟა თვითონვე შენიშნავდა, რომ მაგალითად, გველის შეჭმის მოტივი, რომელიც ფოლკლორში არავითარ დრამატიზმს არ შეიცავს, სულ სხვა მხატვრულ აზრს იძენს პოემაში „გველის მჭამელი“. ასევე სულ სხვა პოეტურ განათებას იღებს ვაჟასთან ხალხური საგმირო პოეზიაში ფრიად გავრცელებული მოტივი მტრისათვის ხელის მოკვეთისა, რაც არა ერთგზის აღუნიშნავთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარებს. ალუდა ქეთელაურის მიერ ხელის მოკვეთის ჩვეულების უკუგდება უდიდეს ჰუმანურ აქტად აღიქმება მკითხველის ცნობიერებაში.

მე მინდა აქ შევეხო ერთ მოტივს, რომელსაც ავრეთვე ხშირად ვხვდებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. გმირი, ვაჟკაცი „სვილის ფერაი“, ყველასათვის სათაყვანებელია, გმირის შეფასებაში პირველი სიტყვა დიაცს ეკუთვნის. ეს მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური ტრადიციების გამოვლინებაა და ვაჟა ამ შემთხვევაშიც მტკიცედ დგას მშობლიურ ნიადაგზე. ერთ თავის ეთნოგრაფიული ხასიათის წერილში ვაჟა საგანგებოდ შენიშნავს: „თემის არსებობა ძველად დამოკიდებული იყო ვაჟკაცებზე. მამაკაცებზე. ბრძოლაში მათი გამამხნევებელი დედაკაცი იყო. დიაცის ქება მამაკაცისათვის დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარია. ვაჟკაციც მუდამ ცდილობდა ქალების საქებური ყოფილიყო, იმათის დიფირამბების ღირსი. ქალები ხშირად ვაჟკაცებს ვაჟკაცობისათვის ალექსებდნენ კიდეც, ქება-დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში და წაწლადაც გამოჩენილს, გულადს, მუხლადს, მტრისათვის რისხვის მიმცემს ვაჟკაცს იკიდებდნენ, მხდალს აძაგებდნენ ფერხულში ჩაბმული სათემო დღეობის დროს“.

ეს მოტივი (ქალისაგან ვაჟკაცობის შექება) ხშირზე ხშირია ჩვენს ხალხურ პოეზიაში და მათზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. მაგრამ აქ მე მინდა მოვიტანო ორიოდე პარალელი იმ ხალხური ლექსებიდან, რომლებიც განსაკუთრებით ეხმაურებიან ვაჟა-ფშაველას ცნობილ პოემას „სტუმარ-მასპინძელს“.

ხალხურ წყაროებზე საუბრის დროს ვაჟა-ფშაველა შენიშნავდა, რომ მისი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული. თავის ცნობილ წერილში „ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“ ვაჟა სხვა მის პოემებთან ერთად „სტუმარ-მასპინძელზეც“ ჩერდება და ორიოდე სიტყვით გადმოგვცემს: „ზეპირ-გადმოცემამ მომცა მხოლოდ ერთი ადამიანის, ზვიადაურის სახელი და ერთი ეპიზოდი, სახელდობრ ის, როცა მას ქისტები თავიანთი მკვდრის, დარლას საფლავზე ჰკლავენ, ხანჯალს ურჭობენ ნელ-ნელა ყელში და ცდილობენ როგორმე შეაშინონ, მოდრიკონ, რომ მსხვერპლად გამოდგეს. მაგრამ ზვიადაური

ქვავდება და გაიძახის: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ როგორც ცნობილია, ვაჟას პოეტურმა გენიამ სულ სხვა ჟღერადობა მიანიჭა ამ თავისთავად საინტერესო მასალას.

ჩვენს მეცნიერებაში შენიშნულია, რომ ეს მოტივი — მტრის საფლავზე დაკვლა და გმირის შეუდრეკლობა გადმოცემულია სხვა ხალხურ ლექსებშიც. სადაც ზვიადაურის ნაცვლად ლუის ლუხუმი გამოდის. ამ ლექსების ციკლში გადმოცემულია ლეკების მიერ გმირი ლუხუმის ანაზღდეული შეპყრობა — მძინარე ვაჟკაცი მკლავის გამართვასაც ვერ მოასწრებს, ლუხუმი ლეკეთში გადაჰყავთ და მის მიერ მოკლულ მტრის საფლავზე ჰკლავენ. ლუხუმი გმირულად იტანს განსაცდელს და როგორც ხალხური მელექსე გვაუწყებს, „გამათამაშდაო საფლავზე“. აკაკი შანიძე მართებულად შენიშნავს ამის თაობაზე: „საფლავზე სისხლის აღების ამბავი ვაჟა-ფშაველას გამოყენებული აქვს თავის „სტუმარ-მასპინძელშიო“ (ხევსურული, ტ. I, გვ. 419).

მაგრამ „ლუის ლუხუმსა“ და „სტუმარ-მასპინძელს“ შორის ჩვენ სხვა პარალელური მოტივიც უნდა დავინახოთ. ლუის ლუხუმის გმირობით აღტაცებულია ვიღაც თუში ქალი, რომელიც ტყვედ უნდა იყოს წამოყვანილი ლეკეთში, და აღაზას მსგავსად ცრემლსა ღვრის ლუხუმის გამო: „თუშის ქალმ იცნა, შასტირნა: ლუხუმს ნუ მახკლავთ, ბრალია!“ ქალის შემოყვანა ამ პასაჟში ლუხუმის ლექსს უეჭველად ანათესავებს ვაჟას „სტუმარ-მასპინძელთან“.

ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო საინტერესოა ერთი მშვენიერი ხალხური ლექსი, რომელსაც მსჭვალავს დიდებული ვაჟკაცისადმი დიდი გულისტკივილი:

ლომო, შე ლომის მოკლულო, ბუსნი ჭალაის პირსაო,
ვინ შეგიღება წითლადა ბეჭები პერანგისაო;
ვინ გაგიმეტა სათოფრად პატრონი ბევრის ცხვრისაო,
ჯავრისგან დაგიღრეჯია კბილები ბროლებისაო
ლამაზად დაგიტირებდი, ხათრი არ მჭონდეს ქმრისაო.

აქაც ქალი დასტირის ლომგულ ვაჟკაცს (რომელსაც ლომი თუ დასძლევდა — დიდებული სახეა!). მაგრამ მკითხველი შეამჩნევდა ერთ მომენტს, რითაც ეს ლექსი კიდევ უფრო ახლოს მიდის ვაჟას პოემასთან. აღაზას მსგავსად „ბუსნი ჭალაის“ — ლექსის გმირი ქალიც ქმრიანია (შდრ. — ამ ლექსის ბოლო სიტყვები: „ლამაზად დაგიტირებდი, ხათრი არ მჭონდეს ქმრისაო“, ცნობილ ადგილს „სტუმარ-მასპინძლიდან“: „სტიროდა, მაგრამ ტირილი არ იყო, ეხათრებოდა“), და ეს თითქოს ბთრკავს მას გრძნობათა გამოთქმაში. საგულისხმოა, რომ ამ ერთი შეხედვით საჩოთირო მომენტს ვაჟაც დაუფიქრებია და პოეტი კარგა ხანს ეძებდა თურმე შესაფერ მხატვრულ გადაწყვეტას:

„წერის დროს, — გვიამბობს ვაჟა, — ზოგიერთს ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შეუყოვნებივარ, ცოტა რამეს, ერთ ორ ტაეპს, ზოგისას დასასრულს. „სტუმარ-მასპინძელში“, მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს აღაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმრის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისათვის, როგორ შეხვედრიყო აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნება ზვიადაურზე: „ცრემლები შემიწირია იმ შენი მეგობრისთვისო“.

ვაჟას მხატვრულმა აზრმა ამ ადგილას ნამდვილ სრულყოფას მიაღწია. აღაზას უწმინდეს გრძნობებს მოუნახა შესაფერი პოეტური ფორმა და ჯოყოლას ათქმევინა უკეთილშობილესი სიტყვები:

იტირე? მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

ამ ერთი მოტივის თვალის გადევნებაც უკვე გვაძლევს ნათელ სურათს, თუ ხალხური პოეზიის ნოყიერ ნიადაგზე დაყრდნობით, მისი განვითარებით რა მხატვრულ სიმაღლეს აღწევს დიდი პოეტი.

ვაჟას ბუნების სურათებში იას განსაკუთრებული ადგილი უკავია:

იას, ბნელს ხევში მოსულსა,
დიდი ჰადრები ჰფარავდა,
ეწადა დიდხანს სიცოცხლე,
წადილს აღარა ჰმალავდა.

თუ რატომ, ეს კარგად ჩანს ვაჟას შემდეგი სიტყვებიდან: „ნუთუ ია ბუჩქებით და ეკლებით დაჩრდილული არ მოგვაგონებს დაჩაგრულ სიმართლეს?“ (ტ. VII, გვ. 370). მე მგონი ყველასათვის გასაგები იყო, რა შინაარსს დებდა პოეტი დაჩაგრული იას სიმბოლიკაში. ვაჟა-ფშაველას პოეზიაში არის ერთი ლექსი, რომელიც აგრეთვე იას მიემართება: გარკვეული ინტერესის გამო მომაქვს იგი მთლიანად:

იას უთხარით ტურფასა,
მოვა და შეგეპამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსელაში არა ჰყრიაო,
ნუ ნახავს მზესა, ცინანებს,

განა სულ მუდამ მზეაო!
მიწაც, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, უმშობლე,
როგორაც შენი ზნეაო.

ამ ლექსში ვაჟა ანალოგიურ სიმბოლიკას მიმართავს და დედამიწას სთხოვს, რომ მფარველი ხელი არ მოაკლოს ლურჯთვალა იას. მაგრამ აქ მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო თვით ლექსის პოეტურ ფორმაზე, რომელიც ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელ ამღერებაზეა გაწყობილი. ამ ლექსს სხვა თავისებურებაც ახასიათებს. თუ ვაჟას მეტი წილი ლირიკული ლექსები მთის ფოლკლორთან უფრო ამჟღავნებენ ნათესაობას, აქ უფრო ზოგად-ქართული, ბარის ხალხური პოეზიის სურნელი იგრძნობა. როგორც ლიტერატურული პარალელი, აქ შეიძლება გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ლექსი: „ურიული მოთქმით ტირილი საქართველოში“, რომელიც ვაჟას ლექსზე რამდენიმე წლით გვიან დაიწერა. აკაკიმ ამ თავის ლირიკულ შედევრში გამოიყენა ხალხური პოეზიის ანალოგიური ფორმა. თუ რა ახლოს დგას იგი ვაჟას ზემოთ მოტანილ ლექსთან, დავინახავთ პირველივე სტრიქონებიდან:

ახა, ნარინჯო, ნარინჯო,
შე ბროწეულო, იაო...
დაგიკრეფია ხელები,
თვალები დაგხუჭვიაო.
მოგელის ბნელი სამარე,
საფლავის კარი ღიაო...
ახა, ნარინჯო, ნარინჯო,
შე ბროწეულო, იაო!
მიდიხარ... თუ არ დაგიხვდეს
სამოთხის კარი ღიაო...

როგორც ვხედავთ, ერთნაირ ხალხურ კილოზე ამღერებით ორივე პოეტს შეუქმნია სულ სხვადასხვა ხასიათის ლირიკული ნაწარმოები. საინტერესოა, რომ ხალხური ლექსის ამგვარი კილო და პოეტური ფრაზეოლოგია (რომელიც ძირითადში ბარის ფოლკლორის არსენალიდანაა, გავიხსენოთ ცნობილი ლექსი: „მოვკვდები, გაუხარდება სამარის კარსა ჭიასა“... და სხვ.) უცხო არ ყოფილა ძველ ქართველი პოეტებისათვისაც. თეიმურაზ პირველის გაბაასებაში („შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“): არის ერთი ადგილი, სადაც იმავე ხალხური კილოთია გადმოცემული შემოდგომის შეპასუხება:

ჩემ დროს ასხია ხეზედან, ნარინჯ-თურინჯი, ბიაო,
ბროწეული და ყურძენი, არც ერთი დაჰკლებიაო.

თეიმურაზი, აკაკი და ვაჟა ამ შემთხვევაში სხვადასხვა მიზნით იყენებენ ქართული ხალხური ლექსის ერთ-ერთ მზამზარეულ ფორმას.

1956 წ.

XX საუკუნის ქართული მწერლობა

1. გალაკტიონი

„ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე"

(რამდენიმე შტრიხი გალაკტიონის შემოქმედებით წყაროებზე)

თუ მშვენიერების შეგრძნება დაკავშირებულია ისეთ ფენომენთან, რომლის გარდაქმნა, რაიმეს მიმატება ან შეცვლა შეუძლებელია — ეს ჰეშმარიტება არაერთხელ გვაგრძნობინა „ლურჯა ცხენებისა" და „ნიკორწმინდას" ავტორმა. შეიძლება ანალიზის სფეროს არც კი ემორჩილებოდეს ის ფაქტი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან", როგორ შემოიჭრა ქართველი კაცის შემეცნებაში პოეტის უცნაური შთაგონება.

გალაკტიონი ახალი ქართული ლექსის არა მარტო მამამთავარია, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მკაცრი მსაჯულიც. გალაკტიონის პოეზიას ნაზიარები მკითხველი ადვილად არ გაჰყვება „მელექსეობის" საცთურს.

დღეს აღიარებული ფაქტია, რომ გალაკტიონმა ისეთივე გადამწყვეტი როლი ითამაშა ახალი ქართული პოეზიის აღორძინებაში, როგორც თავის დროზე, თავის ეპოქაში შოთა რუსთაველმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, საერთოდ, ჩვენმა დიდმა კლასიკოსებმა.

ჩემის აზრით, ამ ეტაპზე მხოლოდ ძირითად ხაზებში შეიძლება საუბარი იმ ნოვატორულ ძიებებზე, რომელიც გალაკტიონის სახელთანაა დაკავშირებული, რადგან ეს საკითხი ჯერ კიდევ ღრმა და სკრუპულოზურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ერთი რამ ცხადია: XX საუკუნის ათიანი წლებიდან ქართულმა პოეზიამ ერთბაშად გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ, როგორც ტიციან ტაბიძე იტყოდა, „მსოფლიო რადიუსზე გაიმართა" და უნივერსალიზმის ფართო მაგისტრალზე სცადა გამოსვლა. ქართული პოეზია ეზიარა ევროპული თუ რუსული მოდერნისტული სკოლების უახლოეს მიღწევებს და ამ ურთულეს პროცესს, რომელსაც ჰქონდა

ხანგრძლივ დაღმასვლა თუ უარყოფითი მხარეები, უკვალოდ არ ჩაუვლია ქართული პოეტური კულტურის თვისობრივ ფერისცვალებაში.

საგულისხმო და მნიშვნელოვანი ძვრების ასპარეზად იქცა ეს ხანა ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში. აქ ორი უმთავრესი პოეტური წესწორება „ცისფერყანწელების“, და, მეორე მხრივ, გალაკტიონ ტაბიძისა, კიდეც ავსებდა და უპირისპირდებოდა ერთურთს და ამ თავისებურ პოეტურ ჰიდილში იკვეთებოდა ის გეზი, რომლის ორიენტირად იმთავითვე იქცა გალაკტიონის პოეტური სიტყვა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური გამარჯვება ბედისწერასავით გარდაუვალი შეიქნა. მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ მან, ისე, როგორც ეს ჰეშმარიტ ტალანტს ძალუძს, სიმბოლიზმისა თუ სხვა დეკადენტურ მიმდინარეობათა თვალსაჩინო მიღწევების დაუფლება და საკუთარ პოეტურ თვისებად გარდაქმნა შეძლო, არამედ პირველ რიგში სწორედ ის, რომ იგი ერთი წუთითაც არ მოწყვეტილა მშობლიურ ნიადაგს, უღრმესი ინტუიციით გრძნობდა პოეტური ტრადიციის ცხოველმყოფელ ძალას, დაბოლოს, ქართული სინამდვილის ღრმა შემეცნება იყო მისი ტკივილებისა თუ სიხარულის ამოურწყავი წყარო, რამაც ახალი საქართველოს უპირველეს მომღერლად აქცია.

ტიციან ტაბიძის პოეტური გზისადმი მიძღვნილ ერთ წერილში გვქონდა საშუალება უფრო დეტალურად შევეხებოდით, საერთოდ, „ცისფერყანწელთა“ პოზიციასა და შემოქმედებით პრაქტიკას ათიანი წლების ქართული პოეზიის ახალ ძიებათა ფონზე, რის გარკვევაც ჩვენი თანამედროვე კრიტიკული აზრის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. უწინარეს საჭიროა, თვით „ცისფერყანწელთა“ დეკლარაციების მიღმა შევიჭრათ და უფრო არსებითად განვიხილოთ ჩვენი დღევანდელი მწერლობისათვის განუზომელი როლის მქონე ათიანი წლების რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე მთელი ეპოქა, მისი მნიშვნელობა ქართული პოეტური კულტურის ახალი თვალსაწიერის შემუშავების საქმეში.

მიუხედავად ტიტანური ძალისხმევისა, უცილო ჩანს ის ფაქტი, რომ „ცისფერყანწელებმა“ მყარი, გარკვეულ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე დამყარებული სკოლის ჩამოყალიბება ვერ შეძლეს, ხოლო რიგ შემთხვევაში მათივე შემოქმედებითი ნიმუშები პირველ ხანებში მაინც აშკარად სცოდავენ ეკლექტიზმით და ოდენ მიბაძვის დონეზე რჩებიან. მათი დამსახურება უფრო სხვა მიმართულებითაა საძიებელი. დღეს, მართლაც, მკრეხელობა იქნებოდა ქართული ლექსის მოდერნიზაციისა და შესაძლებლობათა უმაგალითოდ გაფართოების გზაზე „ცისფერყანწელთა“ ღვაწლის იგნორირება.

მაგრამ თავიდათავი ის არის, რომ გალაკტიონ ტაბიძე ანალოგიურ ძიებათა გზაზე შორს გასცილდა თავისსავე მეტოქეებს და იმთავითვე

მოხაზა საკუთარი პოეტური სამყარო, რომელიც მაცოცხლებელ „წვენს“ უწინარეს სწორედ მშობლიური ნიადაგიდან ისრუტავდა. თამაზ ჩხენკელი ძალზე საგულისხმო წერილში გალაკტიონზე, ჩემის აზრით, ყველაზე მართებულ პოზიციას ამჟღავნებს გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა“ შეპირისპირების საფუძველზე. იგი გავლენათაგან დაძრული ნაკადების ათვისებას „ყანწელებთან“ ხან სიმბიოზის, მეტწილად კი იმიტაციის დონეზე განიხილავს (აქვე შევნიშნავ, რომ სიმბიოზის ცნება ამ შემთხვევაში არაა ზუსტი) და დასძენს, რომ „გალაკტიონ ტაბიძე ამ მხრივ, არსებითად სინთეზურია. იგი იმთავითვე მეტ-ნაკლები ჰარმონიულობით ახდენს ევროპული მოდერნიზმის ასიმილირებას და მისი ზოგიერთი მსოფლმხედველობრივი ელემენტის სრულ აკლიმატიზაციას. გალაკტიონის შემოქმედებაში უმეტეს შემთხვევაში ჰარმონიულად არის წარმოდგენილი როგორც ბუნებრივ-ტრადიციული, ისე დეკადენტური მსოფლშეგრძნებით აღბეჭდილი პიროვნული განცდა. ამის გამოა, რომ აღნიშნულ დროულ მონაკვეთში დაწერილი „ყანწელთა“ ლექსები თანამედროვე მკითხველზე ევროპულ-რენესანსული შოდერნიზმის გადმონაშთის შთაბეჭდილებას სტოვებენ მაშინ, როცა ამავე პერიოდის გალაკტიონის ლექსები ცოცხალ პოეზიად აღიქმება“ (წერილები, 1972, გვ. 12).

გალაკტიონის ვეებერთელა ტალანტი და მის პოეტურ ბუნებაში იმანენტურად არსებული ეროვნულ-ტრადიციული დვრიტა გამარჯვების უპირველესი გარანტია იყო. მისი ინტუიცია უცთომელი აღმოჩნდა, თუმცა თეორიულ წერილებში რომელიც .ამავე ხანებშია დაწერილი, იგი „ცისფერყანწელთა“ მსგავსად კულტურული ტრადიციებისადმი გარკვეულ ნიჰილიზმსაც კი ავლენდა (რაც მანვე შემდეგში რადიკალურად უარჰყო).

გალაკტიონი ახალი ქართული ლექსის დიდ რეფორმატორად მოგვევლინა და ეს ეხება არა მარტო ლექსის ფორმისმიერ მხარეებს (მაშინ არც რეალურ რეფორმაციასთან გვექნებოდა საქმე), არამედ გულისხმობს ქართული ლექსის მიერ ახალი სივრცეების დაპყრობას, მანამდე უცნობი სიღრმისეული შრეების წარმოჩენას.

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა...

იდუმალებით მოცულ გალაკტიონის ლექსში ქართველმა კაცმა იგრძნო თითქოს მანამდე უცნობი თრთოლვა. სხვაგვარად შეხედა „უთვალავი ფერებით“ დამშვენებულ სამყაროს, კიდევ ერთხელ იწამა პოეზიის უსაზღვრო შესაძლებლობები.

გამოუცნობი, უხილავი სივრცეებისაკენ ლტოლვა განსაკუთრებით ათიანი წლების შემდგომ თითქოსდა მისი პოეზიის თანდაყოლილ

თვისებად გადაიქცა: „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში! არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი, ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე". „ლურჯა ცხენების" (1915 წ.) ეს თემა შემდეგ და შემდეგ სხვადასხვა ვარიაციით იჩენს თავს და მანამდე შეუღწეველ სულიერ სიღრმეებში იკაფავს გზას პოეტურ დაოსტატებასთან ერთად.

პოეტის საუკეთესო ლექსებში სიტყვებიც იდუმალ შეფერილობას იძენენ. მისივე ერთ-ერთი სულიერი მოძღვრის სტეფან მალარმეს მსგავსად გალაკტიონს უცილოდ შეეძლო ეთქვა, რომ სიტყვები მომხიბვლელნი არიან არა ჩვეულებრივი, არამედ მათში ჩადებული შესაძლებელი შინაარსის გამო: „სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს" („გზაში"). საოცარია სიტყვათა მიმოხრა, ხოლო უკეთეს ლექსებში როგორც წესი, მხატვრული დახასიათებანი მოულოდნელი და იდუმალი მინიშნებითაა დატვირთული. ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონის წარმოსახვას უნდა ვუმადლოდეთ, რომ „არსებობს" თურმე „გადაზნექილი სიზმრებით წელი", „ივლისისფერი ყინვის თასები", „ცბიერი პერანგი" თუ „თმაგაწეწილი ქარი". იმპრესიონისტების მსგავსად, ნახევარტონებითაა ნაწერი სურათი: „მაგრამ მზე იყო რბილი და მკრთალი სიყვითლე, ნება ხეთა კვდომისა". ხოლო პოეტური სახეები მის ლექსებში იმთავითვე საგანთა უჩინარ კავშირებს ავლენდა „და ჩვენ საოცარ გზაზე, ლენორა, რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი". სინანულისა და წარმავლობის განცდა ფიქსირებულია განსაცვიფრებელი გრადაციებით: „ძვირფასო, სული მევსება თოვლით: დღეები რბიან და მე ვბერდები! ჩემს სამშობლოში მე მოვკვდე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები", ან „მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი, ატირდება დრო და ჩემი ლექსი".

გავრცელებული განსაზღვრებით სინამდვილის მსგავს მხატვრულ დაუფლებას სამართლიანად უწოდებენ სუბიექტურ რეალიზმს და გალაქტიონი შემოქმედების ამავე პერიოდიდანვე მას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ფლობდა. პოეტს, მართლაც, იმთავითვე შეეძლო ეთქვა შემდეგ ასე გახმაურებული პოეტური ფრაზა: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა". აშკარად სიმბოლისტური ხელწერით აღბეჭდილი მისი ცნობილი ლექსების გვერდით („მზეთინბათვისა"..., „მას გახელილი დარჩა თვალები", „ედგარი მესამედ" და მრავალი სხვა) განუმეორებელი შეგნებით ბრწყინავენ ასევე აშკარად იმპრესიონისტული ფერწერით შესრულებული შედევრები („ათოვდა ზამთრის ბაღებს", „შერიგება", „თოვლი" და სხვ.), მაგრამ ნიშანდობლივია ისიც, რომ რიგ ლექსებში ორივე ზემოთ აღნიშნული

მხატვრული სტილი თუ თვისება ერთმანეთშია გადაჯაჭვული და საკუთარ პოეტურ ბუნებასთან ორგანულად შერწყმული (რასაკვირველია, სხვა კიდევ უფრო ძლიერ მაცოცხლებელ ფერმენტებთან ერთად, რომელთა გამო გაკვრით ზემოთაც ითქვა).

სხვათა შორის, აქვე შევნიშნავ, რომ თვით პოლ ვერლენმა და სტეფან მალარმემ, რომლებიც ფრანგმა სიმბოლისტებმა, როგორც ცნობილია, თავიანთ უშუალო წინამორბედებად აღიარეს, სიმბოლისტური და იმპრესიონისტული ხატვის მანერათა შერწყმით არაერთი შედევრი შექმნეს და განუზომელი გავლენა იქონიეს ე. წ. „გვიანი სიმბოლიზმის“ წარმომადგენლებზე.

უცნაური ხილვები, სახეთა კონსტრუირებისას „თავისუფალი“ არჩევანი გალაკტიონთან დატვირთულია დიდი შინაგანი თრთოლვითა და მძაფრი დრამატიზმით (პოეტი თვითონვე მიგვანიშნებს ამ მომენტზე: „მაგრამ მე რა ვქნა, მე ვისაც სული დაწეწილი მაქვს მძაფრი ქარებით“), რის გარეშე, რასაკვირველია, ამაო იქნებოდა საუბარი უმაღლესი რანგის პოეზიაზე. გალაკტიონის უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ ყოველივე ეს მოწოდებულია უზუსტესი მუსიკალური ბგერადობით, პოლიფონიზმის ვირტუოზული გამოყენებით, რაც მის ხელში განუმეორებელ ელფერს ანიჭებს ახალ ქართულ ლექსს.

მუსიკალური ფენომენი გალაკტიონის ლექსში ცალკე შესწავლის საგანია და იგი ოდენ ფორმისმიერი ეფექტით არ ამოიწურება. საგულისხმოა, რომ პოეტს ეს შინაგანი თვისება, როგორც ჩანს, გაცნობიერებული ჰქონია, რაც დადასტურებულია კიდეც მის ერთ აღსარებაში.

გალაკტიონის აზრი მუსიკასთან დამოკიდებულებაზე შემოუნახავს ჩვენ სახელოვან პოეტს სიმონ ჩიქოვანს. იგი დღიურის სახითაა ჩემს მიერ ჩაწერილი 1961 წლის ორი თებერვლის თარიღით. ბატონ სიმონთან ვიყავით სტუმრად: არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი და ამ სტრიქონების ავტორი. საუბრის თემა ჩვეულებისამებრ ისევ და ისევ პოეზიის საკითხები და ქართული მწერლობა იყო. მასპინძელმა გვიამბო: ქართველ მწერალთა ვიწრო წრეში ერთ-ერთ მორიგ სერობაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი და კიდევ რამდენიმე მეგობარი, გალაკტიონს განუცხადებია შემდეგი: ჩემის აზრით, ღრმად სცდებიან ისინი, ვინც მე მაიაკოვსკის მადარებს (რაც, სხვათა შორის, ერთ დროს მოდაშიც კი იყო — ს. ც.). ჩემი პოეტური ბუნება უფრო ახლოა მაგალითად ბლოკთან (მას დაუსახელებია აგრეთვე, რომელიღაც ფრანგი თუ ინგლისელი პოეტი). მე ვფიქრობ, რომ საგნებს აქვთ თავისი მუსიკა და პოეტმა სწორედ მას უნდა მიაგნოს, შესაფერისად აახმიანოს, რასაც შეძლებისამებრ ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ

კიდეცო. ხოლო მაიაკოვსკი, ეს მისი ერთი უეჭველი თავისებურება იყო, ყველაფერს უმორჩილებდა მისსავე საკუთარ ხმას, საკუთარ ინტონაციასო. ვფიქრობ პოეტის ეს მოსაზრება ნიშანდობლივია და ორიენტირადაც გამოდგება მისი ლექსის მუსიკალური მოწესრიგებულობის კვლევის დროს.

გალაკტიონის დიდ პოეტურ გზაზე მრავალფეროვან ძიებებს უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ ყოველგვარი ნოვატორული ნაბიჯები, ყოველი სიახლე უკვე თავისთავად გულისხმობს მის დამოკიდებულებას წინამორბედ ვითარებასთან, რადგან სხვანაირად არავითარ სიახლეზე თუ ნოვატორობაზე არც შეიძლება საუბარი. ანალოგიურ შემთხვევასთან დაკავშირებით XX საუკუნის დიდი ფრანგი პოეტი პოლ ვალერი ასე ახასიათებდა ამ, შეიძლება ითქვას, უნივერსალურ პროცესს. რამდენადაც ორიგინალურია პოეტი, იმდენადვე ნაკლებად ვამჩნევთ, თუ როგორ გამოვლინდნენ მასში სხვები. ვხედავთ დაპირისპირებულობას, მაგრამ ხელიდან გვისხლტება ურთიერთდამოკიდებულება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი უშუალოდ ღვთისაგან იღებენ დასაბამს, მაშინ, როცა იგი რაღაცნაირად ყოველთვის იმეორებს წინამორბედებს და ახალ ინტონაციებში ცვლის დატვირთვის ხარისხს.

ეს ღებულება, როგორც ითქვა, უნივერსალურია იმდენად, რამდენადაც იგი ეხება მდიდარი პოეტური კულტურის მქონე ქვეყნებს (რამეთუ „არარაისაგან არ იქნება არარაისი“), რომელთაც მოეპოვებათ ის საგანძური, რის ათვისებაზე თუ დაძლევაზეცაა აქ საუბარი.

რასაკვირველია, წინამდებარე წერილში შეუძლებელია მრავალფეროვანი და მდიდარი ქართული პოეტური კულტურის უბრალო მიმოხილვაც კი. იშვიათია ხალხი, და ბუნებრივია, ეს კანონიერი სიამაყით გვავსებს, რომელსაც ასეთი ძველი და თითქმის უწყვეტი პოეტური კულტურის ისტორია გააჩნდეს. ფრაგმენტების სახით მოღწეული უძველესი წარმართული ტექსტები, უმდიდრესი ქრისტიანული ჰიმნოგრაფია, რომელმაც შემოგვინახა ჩვენთა წინაპართა ულრმესი განცდები, დიდი ქართული საერო მწერლობა, რომლის აპოგეამ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მიაღწია; აღორძინების ხანის (XVI—XVIII სს.) საოცრად მრავალფეროვანი პოეზია და, ბოლოს, XIX საუკუნის დიდი მწერლობა ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და ვაჟას გენიით განათებული. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პროცესი ერთიანი და უმტკივნეულო არ იყო და ისევე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანას, ქართულ მწერლობასაც აღზევებასთან ერთად მარცხისა და დაცემის მწარე დღეებიც დადგომია.

და აქ ჩვენს წინაშე დგება სწორედ ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. რა იტაცებდა უფრო მეტად ძველი კულტურული მემკვიდრეობიდან გალაკტიონს და ან

როგორი ფორმით ითვისებდა მას. მაგრამ ვიდრე ყველაზე მთავარს, პოეტის შემოქმედებას შევეხებოდეთ, საგულისხმოა, გარკვეული თვალსაზრისით, თვით გალაკტიონის ზოგიერთი შეხედულება ამავე საკითხზე.

არსებობს, სხვათა შორის, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება პოეტისა, რაც მისი ცხოვრების შედარებით ადრეულ წლებზე მოდის. ეს საინტერესოა თუნდაც იმით, რომ ეს პროცესი არც ისე უმტკივნეულო და თავისთავად იყო მოცემული, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

ამავე ხანებს ეკუთვნის, მაგალითად, პოეტის ერთგვარი ნიჰილიზმი მემკვიდრეობისადმი, როცა არ იყო ნაგრძნობი ის მარადიული ფასეულობები, რომლითაც ძვირფასია ყოველი დროის ჭეშმარიტი ხელოვნება. მაგრამ, რასაკვირველია, ეს აშკარად ყალბი მოდური გავლენის შედეგი ჩანს, რადგან ფაქტიურად სრულიად საწინააღმდეგო აზრებს ვპოულობთ მის სხვა სტატიებსა თუ ჩანაწერებში, რომელთა ნაწილი ახლახან გამოქვეყნდა:

„ვაჟა-ფშაველას სიმღერებიდან გამოკრთის უმაღლესი სული, როგორც ვეფხისტყაოსნის გმირებში. არავის არ შეეძლო ლიტერატურულ მასწავლებელთა პატივისცემა და შეყვარება ისე, როგორც ვაჟას, ის ყოველთვის მზად იყო მუხლი მოეყარა მათ წინ, მაგრამ არა როგორც მონას, ის ხომ თვითონ იყო მეფე, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი. ოქროს სჭრიდა საკუთარი შტამპით...“

განსაკუთრებით კი საგულისხმოა მეორე ამონაწერი: „ჩემი ლექსების პოეტიკის ძირები ღრმად და მტკიცედ ჩაეზარდნენ ეროვნულ ნიადაგს, და მთელი შემოქმედების მანძილზე მას უხვად ასაზრდოებდა მშობლიური მიწის წვენი. ჩემს ლექსებში გამომჟღავნდა მტკიცე კავშირი ეროვნულ-პოეტურ კულტურასთან, მის ხალხურ და კლასიკურ ფორმასთან, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ჩვენი პოეზია დღეს არ იქნებოდა ის, რაც არის, რომ არ ყოლოდა ისეთი სახელები, როგორიცაა რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, აკაკი, ვაჟა... მაგრამ მე მტკიცედ მჯეროდა: პოეზიაში რომ თქვა ახალი და დიდი სიტყვა, ამის აუცილებელი პირობაა — გქონდეს ბუნებისაგან მონიჭებული განსაკუთრებული ტალანტი. დაუფლებული იყო მაღალ პოეტურ კულტურას, გახასიათებდეს ლექსის გრძნობა, ძიების უნარი და სიახლისადმი მისწრაფება. ჭეშმარიტი პოეტი უნდა ზრუნავდეს ორიგინალურ საზომებზე, რითმაზე და რიტმზე, პოეზიის ყველაზე დიდი მტერია სტანდარტი და ეპიგონობა. ჩემი ლექსები ჩემი სულის ანაბეჭდია — შთაგონებული ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებით“.

ეს სიტყვები შეიძლება ერთგვარად დეკლარაციულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი ეკუთვნის ისეთ დიდ შემოქმედს, როგორიც გალაკ-

ტიონი იყო და ამდენად, სრულიად სხვაგვარ მნიშვნელობას იძენს ჩვენს შემეცნებაში და კიდევ უფრო წარგვმართავს იმ საკითხისაკენ, რომელიც ამჯერად ჩვენი საუბრის საგანია.

მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი, ჩემის აზრით, საგულისხმო ფაქტი, რომელიც საყოველთაო ჭეშმარიტების მნიშვნელობას იძენს: არ არის სწორი, თითქოს ნოვატორობა, ახალი გზების გაკაფვა კლასიკოსებთან ბრძოლაში იწრთობოდეს (რასაკვირველია, მე აქ არ გავრიცხავ შემოქმედებით მეტოქეობას). ნოვატორობა სწორედ ეპიგონობასთან (საერთოდ, ეპიგონურ მწერლობასთან) ბრძოლაში ვაჟკაცდება და იგი ებრძვის არა კლასიკას, არამედ კლასიკოსთა ეპიგონურ მიმდევრებს, რომლებიც თავისი შემოქმედებით ყველაზე უფრო ააშკარავებენ ნაკლოვანებებს (ს. ჩიქოვანი).

გალაკტიონის პოეტური პრაქტიკა ამის უტყუარ მაგალითებს იძლევა, რადგან მისი პირველი ნაბიჯები, და ეს სადავო არ უნდა იყოს, იწრთობოდა სწორედ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის ზღვასავით წამლეკავ ეპიგონურ ლიტერატურასთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა მწვავე და მტკივნეული იყო და ზოგჯერ შექცევად ხასიათსაც იღებდა (თვით გალაკტიონის პირველ ლექსებს ატყვია კიდეც მისი სტილური ნიშნები), მაგრამ „განახლების სიმღერა" მაინც ითქვა და მისი პირველი შემოქმედი გალაკტიონი იყო.

მაგრმ მე აქ მინდა ხაზი გავუსვა, ჩემის აზრით, ერთ მნიშვნელოვან მომენტს. გალაკტიონ ტაბიძე ერთბაშად არ მისულა ძველი ქართული მწერლობის ანკარა სათავეებთან და ეს პროცესი თანდათან მის პოეტურ ზრდა-განვითარებასთან ერთად ხდებოდა.

მისი პირველი ქურუმები, სულიერი მოძღვრები, მისი შედარებით უახლოესი წინამორბედები იყვნენ. რასაკვირველია, აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი.

მაგრამ არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ მის პოეზიაში რემინისცენციების, ილუზიების ფორმით თუ აშკარა გამოძახილის სახით თავს იჩენს აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილიასა და ვაჟას სახეები თუ თემები. გავიხსენოთ ცნობილ ინტონაციებზე დაწერილი გალაკტიონის მუნასიბი: „მივალ, გადავკოცნი ჩემსა მთვარესა, სიტყვებს გადავტყორცნი მწარე მწარესა", ხოლო ლექსი „ხვალემ იზრუნოს ხვალისა" აშკარა ვარიაციაა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასევე ცნობილი ლექსის „ღიმილმან კარი ლალისა". მის ლექსებში ალაგ-ალაგ გაიელვებს გრიგოლ ორბელიანის კოლორიტული ფიგურა. ეს დამოკიდებულება შემდეგში პოეტმა ძველ თბილისთან სინანულიანი გამოთხოვების განცდით აღბეჭდა, ხოლო ლექსსაც შეუფარავად „ჩემო იარალი" უწოდა.

ხოლო რაც შეეხება პოეტის ცნობილ ფრაზას: „წიწამურთან რომ

მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, კარგად ამხელს დიდი წინამორბედის ეპოქალური მნიშვნელობის ღვაწლს. ასევე მრავალგზის დასტურდება გალაკტიონის პოეტურ სიტყვაში ვაჟასა და XIX საუკუნის ცნობილი პოეტების ექო.

მაგრამ, როგორც ითქვა, გასული საუკუნის კლასიკოსთაგან მის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბარათაშვილსა და აკაკის, რაც სათანადოდ აღნიშნულია კიდეც ჩვენს თანამედროვე კრიტიკაში (ამდენად ვერ გავიზიარებ ი. კენჭოშვილის საინტერესო მონოგრაფიაში „გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა“ გამოთქმულ, ჩემის აზრით, ზედმეტად მაქსიმალისტურ მოსაზრებას, რომ „გ. ტაბიძემ პოეზიის რაობისა და დანიშნულების გაგება იანდერძა არა აკაკისა და ილიასაგან, არამედ სიმბოლიზმისაგან“, (გვ. 19).

გავრცელებული აზრით, გალაკტიონი ნიკოლოზ ბარათაშვილის უშუალო გამგრძელებელი იყო, რასაკვირველია, ახალ ეპოქაში და ახალი მხატვრული საშუალებებით. „მთაწმინდის მთვარისა“ და „ლურჯა ცხენების“ ავტორს პირველ რიგში ნიკოლოზ ბარათაშვილის მღელვარე პოეზიას უკავშირებდნენ.

არის ბგრეთვე შეხედულება, რომლითაც გალაკტიონის პოეტური ბუნება აკაკის მელოდიურ ლექსს უკავშირდება, რასაც ერთგვარად თვით გალაკტიონის სიტყვებიც ადასტურებს: „აკაკი წერეთელი, — წერდა იგი ერთ ადგილას, — ჩემი სამოქალაქო ლირიკის ყველაზე ძლიერი წინამორბედია“.

მაგრამ, ჩემი აზრით, წარსულის მემკვიდრეობასთან კავშირის თვალსაზრისით, ეს მაინც სწორხაზობრივი (და ამდენად, ცალმხრივი) შეხედულებებია. გალაკტიონ ტაბიძესთან, და ეს სპეციალური კვლევის საგანია, ჩვენ არ შეიძლება, განსაკუთრებით მისი შემოქმედების შედარებით უფრო ადრეულ საფეხურებზე, ბარათაშვილისეულ განწყობილებათა მძლავრი აპერცეფცია არ დავინახოთ (შდრ., ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“, „დაჰქროლა რისხვით ქარმა სასტიკმა“, „ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჭრიან ლურჯა ცხენები“ და მრავალზე მრავალი). მაგრამ თვით ლექსის შინაგანი რიტმებით, განწყობილებათა მელოდიური სადინარით იგი, მით უფრო, შემდეგ და შემდეგ, აკაკისეული ლექსის ბუნებას ენათესაებოდა და თვისობრივად ახალ პოეტურ ეტაპს უყრიდა საფუძველს.

მაგრამ ეგენი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ გალაკტიონის ღრმა კავშირს უშუალო წინამორბედებთან (ბარათაშვილი, აკაკი, ილია), ამავე დროს თავისთავად გულისხმობს სწორედ ასეთი გზით მის კავშირს ძველქართულ მწერლობასთანაც, რადგან მეცნიერების თანამედროვე კვლევა-ძიების დონეზე აშკარად არის წარმოჩენილი ქართველ რომანტიკოსთა და, საერთოდ, XIX საუკუნის ქართველ კლა-

სიკოსთა უღრმესი შემოქმედებითი კავშირები ძველი საქართველოს დიდ პოეტურ კულტურასთან.

გალაკტიონის პოეზიაზე შემდგომი დაკვირვება, და აქეთკენ არის ამჯერად მიმართული ჩვენი ყურადღება, კიდევ უფრო საინტერესო ვითარებაზე მიგვანიშნებს. თანდათან, მის პოეტურ ზრდასიმწიფესთან ერთად გალაკტიონში ახალი ძალით იღვიძებს შინაგანი სწრაფვა — უშუალოდ დაუკავშირდეს ძველი ქართული პოეზიის საუკეთესოებს და განსაკუთრებით კი მის უდიდეს წარმომადგენლებს, შოთა რუსთაველსა და დავით გურამიშვილს.

უკვე ოციანი წლებიდან მოკიდებული გალაკტიონის პოეზიაში უღრმესი შრეების სახით „უთვალავ ფერებად" ვლინდება ეს ცხოველმყოფელი კავშირი ძველქართულ პოეტურ კულტურასთან. პოეტური აზროვნების კლასიკურ სიმაღლეებს მომხიბლავად ერწყმის გარდასულ დროთა" სურნელით აღბეჭდილი სახეები, ასოციაციები, სიტყვათა თავისებური მიმოხრა, საერთოდ, კლასიკური სტილის მანიშნებელი პოეტური ფაქტურა. „შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა, აიმართნენ კოშკები ცისა და ნესტანისა". რასაკვირველია, ძნელი არ უნდა იყოს მტკიცება, თუ რა მიზნითაა აქ მოხმობილი პოეტური სახე „ნესტანის კოშკი". იგი აშკარად ხელს უწყობს იდუმალის, ამაღლებულის განცდას მკითხველში, რაც მთლიანად მსჭვალავს პოეტის ამ ერთ-ერთ უბრწყინვალეს ლექსს. პოეტური სინტაქსის თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა ძველქართული კონსტრუქციების თანდათანობითი მომძლავრება. თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება პოეტური ფუნქციით დატვირთული სიტყვათა ინვერსიული მწკრივები: „შენმა ღიმილმა უბოროტესმა", „ჰაეროვანი ფრთა შემოდგომის", „ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს", „ბინდი ღამისა გაქრა, ვით მოჩვენება მკრთალი", „ეს ლექსი ხანას იგონებს ნეტარს", „რომელი იყო პოეტი წრფელი", „ხაზებში ანთია ცეცხლი მისარქმელი" და ა. შ. ან გავიხსენოთ ცალკეული ფრაზები, რომლებიც ძველქართული მეტყველებიდან იღებენ სათავეს. „კარნი განახვნეს", „განვლიე ტევრი", „არარა ჰგიეს", „წელნი ილტვიან" და მრავალი სხვა. ასევე საგულისხმოა ძველქართული ფორმებისა თუ ლექსიკის დასესხება: „გარდამოვიდეს", „არა მგამა", „ჵმუნვა", „ზენაარი", „კდემა", „სახმილი", რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი ამჯერად შორს წაგვიყვანდა.

რუსთველურ პოეტიკასთან კავშირის თვალსაზრისით აღსანიშნავია ერთი თავისებურება, რაც შენიშნულია კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში. ძველქართული ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული წესი სიტყვათა გაკვეთისა, რაც ტმესის სახელითაა ცნობილი

(„მო-ცა-კვდა“, „შე-ვინ-ვიდო-დეს“, „მო-თუ ვინმე-კუდეს“ და ა. შ.). რუსთველთან არათუ დასტურდება ასეთი ფორმები, არამედ ბევრად უფრო გართულებულია და პოეტური სინტაქსის უნიკალურ ჟღერადობას აღწევს. აქ უკვე ხშირია შემთხვევები, როცა გაკვეთილია არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ სინტაგმები (ვთქვათ, მსაზღვრელ-საზღვრული) და ზოგჯერ მთელი წინადადებებიც კი. მხოლოდ ორიოდე მაგალითი: „მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“ ან „დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“. თუ პირველ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულს „თინათინის წამწამთა ჯარის“ შორის ჩასმულია ორი სიტყვა „შვენება ჰკლევდის“, მეორე მაგალითში წინადადება „დავჯე მისთვის გულლახვარსობილი“ გაკვეთილია სიტყვებით „რუსთველმან გავლექსე“, რაც, თავის მხრივ, მომდევნო სტრიქონს უკავშირდება.

გალაკტიონი, ერთი პირველთაგანი ახალ ქართულ პოეზიაში, უხვად და ძალზე მოხდენილად იყენებს დიდი წინამორბედის ამ, მართლაც, მშვენიერ პოეტურ „აღმოჩენას“. აქაც მხოლოდ რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდებით: გავიხსენოთ 1927 წლით დათარიღებული მისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსის „ვარდები“ პირველივე სტრიქონები: „მე, ზამთრისაგან ჯაჭვაწყვეტილი, ნაცნობ ბაღისკენ მივემართები, სად ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი, ზამთარ და ზაფხულ ყვავის ვარდები“. აქ „ვარდი“ დაშორებულია თავისავე ეპითეტებს „ფერად უცხო“ და „ყნოსვად კეთილი“ წინადადების სხვა წევრებით, რაც სტროფის საერთო არქაულ იერთან ერთად (ინვერსიული მწკრივი: ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი) ძალზე ამაღლებულ პოეტურ ეფექტს ქმნის. ასეთი პოეტური ფრაზები დამახასიათებელია გალაკტიონის პოეზიისათვის, და, რაც მთავარია, პოეტურ სიმწიფესთან ერთად, იგი უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს. შდრ. „მზის ამოენთე ბრწყინვა“, „ხეთა ავარდა წყება“, „რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა, თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს“, „მარტოობასაც ავიტან მწარეს, უმეგობრობას ავიტან მძიმეს“, „შენი მე სახება დამდევს თან“ და ა. შ.

ალიტერაციის თუ, საერთოდ, ბგერათა შეხამების ერთი უპირველესი ოსტატი ასევე დაუფლებულია ისეთ სპეციფიკურ რუსთველურ ხერხს, რომელსაც პირობით ვერბალურ ალიტერაციას უწოდებენ („მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“). შდრ. გალაკტიონის ცნობილ პოეტურ ფრაზეოლოგიას: „ზღვა ახმაურდა ყრუ ხმაურობით“, „შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა“, „სიო დაიბერა, ჩალა გაიჩალა“, „რომ არ ეტყობათ რტოებს რტოობა“, „სულში სიმშვიდე არის ისეთი, თითქოს დროებით ართმევს დრო-

ბას". „ცელი კივის და ველები, სურნელება დადგა თივით, თივას თიბვენ მთიბველები, ცა ლურჯია გუმბათივით", „გრგვინვა ციდან ცით მიაგვირგვინებს ელვას — კივილთა აკიაფებით".

თუმცა ნაკლები დოზით, და ეს სავსებით გასაგები უნდა იყოს, დასტურდება პარალელები რუსთველურ მეტაფორისტიკასთან, მაგრამ ზემოთ აღნიშნულიც, ჩემის აზრით, სავსებით ცხადჰყოფს ჩვენი დროის უდიდესი პოეტის სისხლხორცეულ კავშირს ძველქართულ პოეტურ ტრადიციებთან.

აქ შეიძლებოდა ძველი ქართული პოეზიის სხვა წარმომადგენელთა დასახელება (მაგ. ჰიმნოგრაფების, დავით გურამიშვილის, ბესიკის), მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ პოეტურ სიმაღლეთა „არსთა წვდომის" ეტალონად მას ისევ და ისევ რუსთველი მიაჩნია. „ვეფხისტყაოსნის" სახეებით შთაგონებული პოეტისათვის (აქ შეიძლებოდა ლექსების მთელი ციკლების გახსენება) ნათლად იკვეთება რუსთველის მზიური პოეზია. მისი უმაღლესი ადგილი ქართული პოეზიის პანთეონზე, რაც რუსთველური აპოლოგიის სახით განხორციელებულია კიდეც პოეტის ცნობილ ლექსში „თენდება, გათენდა": „იმ ექვს მწვერვალთა გვეფარა ჩრდილი: ვინ მოგვილია, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ჩვენი ილია, აკაკი, ვაჟა გასაკვირველი — დიდება დროთა, და მათ გვირგვინად მუდამ პირველი, ტიტანი შოთა!"

„შემოქმედების გვიანდელ პერიოდში გალაკტიონს ქართული კულტურის ფესვეული მოდელის მოაზრებისა და აპოლოგიის პათოსი იპყრობს" (თ. ჩხენკელი, იხ. აგრეთვე ი. კენჭოშვილის დასახელებული წიგნი, 1974 წელი, გვ. 52). და რასაკვირველია, ეს თანდათანობითი ფერისცვალება მხოლოდ პოეტიკის სფეროს (რის ნიმუშებიც ზემოთ იყო მოტანილი) როდი გულისხმობს, მართლაც, გალაკტიონის პოეზია შემოქმედების ძნელსა და ქარტეხილიან გზებზე თანდათან იძენს ასეთ თვისებებს, მზიური ბრწყინვალება და სამყაროს ჰარმონიულ მთლიანობაში აღქმის პოეტური ძალმოსილება თანდათან მისი პოეზიის მაგისტრალური ნაკადი ხდება, „ვარდების", „ვით არ მიყვარდეს სამშობლო, ლამაზ და სურნელოვან ველებით სავსე" და „ნიკორწმინდას" ავტორის შემოქმედებაში მზიური ბრწყინვალებით გასხივოსნებული რუსთველური პოეზიის აპოლონური საწყისები ახალი ძალით ახმიანდნენ:

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მოვლია მე გზები;
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.

მის პოეზიაში ქართული თემის კიდევ უფრო აღზევებასთან ერთად ახალი და ახალი ძალით იჭრება სულიერ „სიმაღლეთა წვდომის" რუს-

თველური სწრაფვა და პოეტურ ფორმათა ისეთი მომხიბლაობა, რომელიც გენიოსური ხედვის უტყუარ ნიშნებს ატარებს:

მედგრად! გრძნობამ რომ წინ წაიწიოს,
მეშინის ვისი, მეკრძალვის რაის?!
ამ ნანგრევებთან მშობლიურ სიოს
მარად ვუპოვიო უჭკნობელ მაისს
და მგზნებარ ხელით ჩართულ-გადართულს —
რით კაცი გულში ხანჯალს ჩაიგებს —
ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.

აღმოჩენათა საუკუნის შემდგომ, — წერდა არცთუ დიდი ხნის წინათ ერთი ცნობილი ფრანგი მწერალი, — მსოფლიოს კიდევ უფრო ჰირდება ჰეშმარიტი პოეტები, რომლებიც მაღალი ხელოვნებით ფლობენ სიტყვას და ძალუძთ გვაგრძნობინონ დღევანდელობის უმთავრესი პრობლემები. ევროპა იღუპება ცუდი ენის გამო. ჯერ კიდევ ადრეა გამოვავლინოთ ჩვენი დროის უმთავრესი ნიშანი, მაგრამ თუ ჩვენი ისტორია არ დამთავრდება კატასტროფით, ამ ეპოქის ნიშანი იქნება არა უარყოფა იმისა, რაც გააკეთა XIX საუკუნემ, არამედ აღიარება მეცნიერებისა და მასთან, აღიარება გონით განათებულ პოეტურ მიღწევათა ფასეულობისა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი ეპოქის ერთ ყველაზე უკეთეს გონებად პოეტი გვეველინება. დღეს ყოველ ცივილიზებულ ერს უნდა ჰყავდეს ასეთი პოეტი.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალ საუკუნებში ქართველ ხალხს ჰყავს ასეთი პოეტი და მისი სახელია გალაკტიონ ტაბიძე.

1973 წ.

2. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

(რამდენიმე შტრიხი ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედებიდან)

ზუსტად ოცი წელი გავიდა ლეო ქიაჩელის გარდაცვალებიდან. ეს არც ისე დიდი დროა, რათა რაღაც ხაზგასმულად წარსულის ინტონაციებს მივმართოთ. იგი ფაქტიურად ჩვენი თანამედროვე იყო და თითქოს გუშინ წავიდა ჩვენგან...

მაგრამ ყველა ჩვენთაგანი, ვინც კი იცნობდა მას პირადად, იმასაც შეამჩნევდა, რომ წელთა სიმძიმესთან ერთად დიდოსტატის მშვიდსა

და წუნარ გამოხედვაში რაღაცნაირი დაოკებით თვლემდა გარდასულ ეპოქათა მინავლებული ცეცხლი. და ეს მაშინ, როცა ყველამ კარგად ვიცოდით, თუ რა მღელვარე მოვლენათა მომსწრე და მონაწილე იყო იგი თავად. ჭირთა ძლევის შიგნიდან დაძრული ხმა განსაკუთრებულად მეტყველ ძალას ანიჭებდა მის გონივრულსა და დაფიქრებულ საუბარს. „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი“.

მართლაც, ახალი საუკუნის მიჯნიდან მოკიდებული ლეო ქიაჩელი ერთი იმ რჩეულთაგანია, ვინც ასე სტოიკურად გაუძლო ათასგვარ ქარტეხილს, მზაკვრულ და მაცთუნებელ წყალქვეშა დინებებს, პირადად საკუთარ თავზე, მისსავე ოჯახზე დატეხილ ბედის დარტყმებს, მაგრამ ისე, როგორც ეს საზოგადოდ რჩეულთ შეჰფერის, შეუმღვრევლად და სუფთად ატარა ქართველი მწერლის მაღალი და პატიესადები სახელი.

ლეო ქიაჩელმა XIX საუკუნიდან გადმოაბიჯა ჩვენს საუკუნეში. მის მომხიბლავ პიროვნებას სხვაგვარ ელფერს ანიჭებდა ის რაღაც მეტად ტკბილი და ძველი, რომელსაც ისევ და ისევ სწორედ გარდასულ დროებს ვუკავშირებთ, როცა საფუძველი ეყრებოდა ქართული კულტურის ახალ შენობას, ღრმად ეროვნულ (ეს ძირითადად XIX საუკუნის ცხოველმყოფელი ინერციის შედეგი იყო) და ფართო მასშტაბურს, გადაშლილს ახალი ევროპული კულტურის რადიუსზე.

ლეო ქიაჩელის მთელი შემოქმედება ამ ბედნიერი შერწყმის, როგორც იტყვიან, ამ თავისებური სიმბიოზის, ნიშნით იყო აღბეჭდილი. ასეთი თვალსაზრისი კიდევ უფრო ნათელი და ხელშესახებ შეიქნება, თუ ჩვენ ლეო ქიაჩელთან ერთად კიდევ ერთხელ გავიხსენებთ კიტა აბაშიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძისა და სხვათა სახელებს, რომლებმაც არა მხოლოდ შემოქმედებითი ინტერესებით, აზროვნების სტილითაც განუზომელი გავლენა მოახდინეს იმ დროისათვის სრულიად ულტრათანამედროვე ლიტერატურული ატმოსფეროს ჩამოყალიბების საქმეში.

*

* *

„შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა აღვირახსნილი სტიქიის ორომტრიალს გაშლილ ზღვაზე უცხო გუგუნი შეერია.

ბრძოლაში გამომწყვედ შეძახილივით, და წყვდიადის ამძვინვარებული ტანი სინათლის ლარივით სწორმა სვეტმა შეაპო და შეანგრია, ღრუბლებისა და ტალღების შავ ლაშქარს შიგ შუაგულში შეეჯრა და ოთხივ კუთხით უგზო-უკვლოდ მიმოაბნია.

ეს იყო რკინისა და ფოლადისაგან შეკრული კრეისერი „შმიდტი“, რომელიც ზღვის სიღრმისაკენ შეუპოვრად გზას მიიკვლევდა ცეცხლით, ორთქლით და მებრძოლ ადამიანთა უდრეკი ნებისყოფით აღჭურვილი.

ტალღების გორგალზე ქანაობით გადადიოდა. ხან თავით უფსკრულს ჩაინთქებოდა, ხან გვერდიდან გვერდზე წვებოდა, მაგრამ მაინც უვნებელი რჩებოდა და უწყვეტი ქშენითა და გუგუნით წინ მიიწევდა.

კაპიტანის საგუშაგოზე კუზმა-მრისხანე იდგა. მარცხენა ხელით რკინის ხვედს ჩასჭიდებოდა, მარჯვენით პროექტორს მართავდა.

მკერდმაღალი ტანი წინ სივრცეში შეემართა, თავი მაღლა ჰაერში შეეგდო და თავდამსხმელ სტიქიონის ბნელ ძალებს პირდაპირ შესცქეროდა პირიქით შეტევით“.

ეს პატარა ნაწყვეტი ლეო ქიაჩელის ერთი ყველაზე საუკეთესო მოთხრობიდან არის მოტანილი („ჰაკი აძბა“). როგორი დინამიზმითაა გადმოცემული შერკინება თავაწყვეტილ სტიქიონთან. ცალ-ცალკე აღებულ ვეება ტალღებად დაძაგრული ზღვაც, თავაწყვეტილი ქარიშხალიცა და კრეისერი „შმიდტი“ თითქოს საკუთარ ხმას გამოსცემენ, რომლებიც კონტრაპუნქტივით კუზმა-მრისხანეს გაუტეხელ ნებაში იყრიან თავს. ბრძოლისა და შეუპოვრობის ხაზგასმული პათოსი აშკარად მიგვანიშნებს მთავარზე: კრეისერი „შმიდტი“, „ადამიანთა უდრეკი ნებისყოფით აღჭურვილი“, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შებმია აბობოქრებულ სტიქიონს — წინ დიდი და მრისხანე ბატალიებია მოსალოდნელი. ამასთან ეგეევ ეპიზოდი ამზადებს ახალსა და არანაკლებ მძაფრ სცენას, რომელიც სულ მალე გათამაშდება კიდეც გემის ბაქანზე.

კრეისერ „შმიდტის“ ზღვის სტიქიონთან გამათული ორთაბრძოლა უნებურად გვაგონებს ჰერმან მელვილის დიდებულ რომანში „მობი დიკ“ ჩაქსოვილ სულისკვეთებას: ქროლვაში გამოვლენილი ბრძოლის რომანტიკას.

მხატვრული სინამდვილის წარმოსახვის გზაზე ლეო ქიაჩელი ტექსტისა და ქვეტექსტის მონაცვლეობის ურთულეს ხერხებს იშვიათი ოსტატობით იყო დაუფლებული. ამ თვალსაზრისითაც იგი ერთი გზამკვლევთაგანია თანამედროვე ქართულ პროზაში.

ლეო ქიაჩელის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები მეტყველი მაგალითია ძველთაძველი და ალბათ მარად შეურყეველი ჭეშმარიტებისა: მხატვრული სიმართლე ყველაზე დიდი, მშვენიერებისაგან განუყოფელი სიმართლის დაუფლებაა. „ჰაკი აძბას“ და „თავადის ქალი მაიას“ ავტორისათვის მხოლოდ ასეთი არჩევანია ყველაზე ახლობელი. მისი უპირველესი მწერლური თვისება, ეს ხაზგასმით უნდა ითქვას, სიმართლის არაჩვეულებრივად ღრმა შეგრძნებაა. ეს უკანასკნელი

თითქოს თავისთავად კარნახობს მწერალს ერთადერთსა და სწორ გადაწყვეტილებას. ამიტომაც არის, რომ იგი არც თუ იშვიათად ისეთ სიმაღლეებს წვდება, რომელიც, მართლაც, მაღალი შთაგონებით დაღდასმულ დიდოსტატთა ხვედრია მხოლოდ.

მე აქ ზედმეტ გარჯად მიმაჩნია, შევეკამათო ლეო ქიაჩელის შემოქმედების ზოგიერთ მკვლევარს. ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, თვალში საცემია მეტად ვაუბრალოებული კრიტერიუმები. მწერლის ჩანაფიქრის ზედაპირული ანალიზი. ეს ეხება ისეთ ღრმა მინიშნებებით დატვირთულ მოთხრობასაც კი, როგორიცაა მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები „ჰაკი აძბა“.

მათი აზრით, მოთხრობის პათოსი თითქოს იქითკენაა მიმართული, რომ კუზმა კილგას, იგივე კუზმა-მრისხანის ხელით ხორციელდება რევოლუციის წინაშე დამნაშავე პირების დასჯის აქტი. ზოგი მკვლევარი იქამდეც კი მიდის, რომ უჯუშ ემხა გამოჰყავს მეზღვაურებთან შეტაკების ინიციატორად, რათა ხაზი გაესვას მის დანაშაულს (როგორც მკითხველს მოეხსენება, ვითარება სრულიად საწინააღმდეგოა და ამაშია სწორედ მწერლის ოსტატობაც).

მწერლის მხატვრული ძიებები კი ადამიანურ ურთიერთობათა ბევრად ღრმა შრეებს წვდება. „ჰაკი აძბა“ იშვიათი მხატვრული სრულყოფილებით წარმოგვისახავს არა მხოლოდ რევოლუციით გამოწვეულ სულიერი რღვევის ატმოსფეროს, არამედ იმ ადამიანებსაც, რომელთა გარდუვალი შერკინების ფონზე იქმნება ის მღელვარე კოლიზიები, რომელთაც მხატვრული რეალიზაცია აშკარად ამხელენ მათი ავტორის უცთომელ მხატვრულ ალღოს.

როგორც კუზმა-მრისხანე, ისე უჯუშ ემხა და ჰაკი აძბა თავისთავში სრულიად დასრულებული, მონოლითური სახეებია. მათ აქვთ საკუთარი სიმართლე და ღირსების მაღალი გრძნობაც.

სანიმუშოა ამ თვალსაზრისით უჯუშ ენბას მხატვრული პორტრეტი. როგორი ზეადამიანური ძალით ებრძვის იგი მისივე სულის სიღრმიდან დაძრულ ფატალურ შიშს, განწირულობის გარდუვალობას. ძილია თუ ღვიძილობა, ტრაგიკული წინათგრძნობა ერთი წუთიც არ ტოვებს მას. მხოლოდ ერთი ფრაზით გვიმხელს ავტორი, თუ რა ჯოჯოხეთური ძალთა კვეთება აქვს გამოვლილი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში რუსეთიდან დაბრუნებულ თეთრ ოფიცერს, უჯუშ ემხას. სანაცვლოდ კი ძალზე მეტყველი სურათით შემოჰყავს იგი მოთხრობის ფურცლებზე.

უჯუშს სძინავს, ხოლო მისი მეგობრები სასტუმროს იმავე ნომერში ბანქოს თამაშით არიან გართულნი: „ახლაც, თუმცა სავარძელში იწვა და ეძინა, მაგრამ ისე ბორგავდა და იკრუნჩხებოდა, რომ ეტყობოდა ამ ლანდებისაგან ძილშიაც მოსვენება არ ჰქონდა. მართლაც,

უცნაური რამ ემართებოდა. დროგამოშვებით მთელი ტანის ცახცახი აუვარდებოდა და მერე მთელი ტანითვე ისე შეკრთებოდა, თითქოს უფსკრულს უნდა გადაჩეხილიყო და თავი ძლივს შეიმაგრაო. თან ტუჩებს რაღაც საკვირველი ღრაჯნით მუწაჯდა და შლიდა. უცხო, გაუგებარი სიტყვების ნაწყვეტი შიშინით ამოუდიოდა პირიდან და ისევ გაინაბებოდა. სუნთქვაც კი შეუწყდებოდა და, დასასრულ, ისეთი კვნესა აღმოსდებოდა მკერდის სიღრმიდან, რომ თავდავიწყებამდე აზარტში შესული მისი პარტნიორები ამის გაგონებაზე თამაშს შეწყვეტდნენ და შეცებულები სავარძლისკენ მოიხედავდნენ — ეს რა საცოდაობის ხმა გაისმაო.

როცა ეს რამდენჯერმე განმეორდა, მოთამაშეებმა ვერ მოითმინეს და მძინარეს ერთხმად შესძახეს გამოსაღვიძებლად:

— უჯუშ!

დაძახება და უჯუშის წამოვარდნა სავარძლიდან ერთი იყო.

ფეხზე დამდგარმა, მაგრამ ისევ მძინარემ ტანი ისე მოიმარჯვა, თითქოს მოსისხლე მტერს უტევსო — წელზე წაივლო ხელები, სადაც სატევარი ეგულებოდა: მარჯვნით ტარს ეძებდა, მარცხენით — ქარქაშს. როცა ვერც ერთი ვერ მონახა, ხელი რევოლვერისკენ გააქანა. ესეც რომ არ აღმოჩნდა, კანკალი დააწყებინა, ბრაზისაგან გაგუდა. ის იყო სასოწარკვეთილების გმინვა უნდა აღმოხდენოდა პირიდან, რომ ამ საოცრების შემყურე მოთამაშენი თავიანთი ადგილებიდან წამოიშალნენ და გარსშემოერტყნენ, დაბალი, მოალერსე ხმით მიმართეს. ტკბილი სიტყვები უთხრეს.

— უჯუშ, ჰა უჯუშ! რა მოგივიდა? აქ ვართ, ნუ გეშინიაო. ახლოს მისვლა საკვირველ მძინარესთან და ხელის მოკიდება მაინც ვერ გაბედეს.

ერთხანს შემდეგ უჯუშმა უცებ შეწყვიტა მოძრაობა და ტანი გაისწორა. მერე თვალებიც გაახილა და მის წინ მდგომ ოთხსაე მეგობარს ერთბაშად შეანათა.

მოწითალო მწვანე ფერით არაამქვეყნიური შუქი გამოკრთა.

ეს იყო შიში, რომლის მსგავსი არც ერთს აქ მყოფთაგანს მოჩვენებითაც კი არასოდეს არ მოჩვენებიათ.

უკან დაიხიეს ძალაუნებურად".

საოცრად პლასტიკური ნახატი სურათია. ბევრ რამეზე, კერძოდ კი უჯუშ ემბვას თავს გარდახდომილ საშინელებათა შესახებ მხოლოდ ამ ეპიზოდითაც ჩვენ უკვე ნათელი წარმოდგენა გვექნება. მაგრამ აქ მთავარი მაინც სხვაა. უჯუში, მოთხრობის ფურცლებზე თანდათან იკვეთება მისი პიროვნული თვისებები, იოტის წამისად არსად არ ღალატობს საკუთარ იდეალებს, ადამიანურ ღირსებათა მისთვის საყალდებულო კოდექსს. რასაკვირველია, სხვა საქმეა, თუ რამდენად სწო-

რია მისი ცხოვრებისეული პოზიცია სრულიად ახალ და მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელ ისტორიულ ვითარებაში. ამის მაგალითად, კმარა მისი რაინდული საქციელი, როცა იგი თავისი ნებით ჩაბარდება გამძვინვარებულ მტერს, რათა იხსნას საყოველთაო მრისხანებისაგან მისი ახლობლები. ხოლო ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ყოვლისმომცველი შიში დაუფლებია უჯუშ ემხვას, მაგრამ გაიელის სულ მცირე დრო და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი მედიდური ღიმილით ეგებება იგი გემის ბაქანზე უეჭველ სიკვდილს. რა ზეადამიანურ ძალთა მოხმობაა ამისთვის საჭირო.

ასეთივე მართალი შტრიხებითაა წარმოსახული მოთხრობაში ჰაკი აძბა და კუზმა-მრისხანე. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ისევე გაუგებარია კუზმასათვის აფხაზი გლეხის, ჰაკი აძბას რაღაც მისტიკურ სიმაღლემდე აყვანილი ერთგულება ძიძიშვილისადმი (კუზმა ამ გრძნობას „მონურს“ უწოდებს), როგორც უცხოა და ზიზღისმომგვრელი მისთვის უჯუშ ემხას და მისი წრის სხვა ადამიანთა არისტოკრატიული გამორჩეულობა. ასევე შესაძლოა ბოლომდე არც კია კუზმა-მრისხანესათვის გაცნობიერებული რევოლუციის მიზნები და ამოცანები, მაგრამ მას რაღაც წმინდა, შეურყეველი სასოებით სწამს ერთხელ არჩეული გზა და ესაა სწორედ მისი ძალაცა და გაუტეხელი ნებაც.

მათი მორიგება ისეთივე ნონსენსია, როგორც ცეცხლისა და წყლის, სიკვდილისა და სიცოცხლის. სწორედ ამ ტრაგიზმის უცთომელი სიმართლით წარმოსახვაშია „ჰაკი აძბას“ მხატვრულ ღირსებათა სათავე, ფასი დიდ სიმართლისა.

„ჰაკი აძბა“ განსაკუთრებულად მომხიბვლელია აგრეთვე თხრობის საოცარი უბრალოებით. სრული ილუზიაა, რომ თქვენ კითხულობთ სამოქალაქო ომის ქრონიკას და არა ძალზე მნიშვნელოვანი განზოგადოებებით დატვირთულ მხატვრულ მატიანეს. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ის ეპიზოდები, რომლებშიც გადმოცემულია სოხუმში ბოლშევიკების კრეისერის „შმიდტის“ გამოჩენა, მენშევიკური მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთა უხერხემლობა და ქალაქის მესვეურთა რაღაც ცხოველური შიში მოსალოდნელი ისტორიული ძვრების წინაშე. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“ ქართული მხატვრულ-დოკუმენტური პროზის კლასიკურ ქმნილებათა რიგში დგას.

*
* *

სხვა ფაქტორებთან ერთად მხატვრული სიტყვის ამ უმაღლეს თვისებათა შესისხლხორცებაში, ჩემის აზრით, მწერლის მდიდარმა ცხოვრებისეულმა ბიოგრაფიამაც შეასრულა გადამწყვეტი როლი. მის

მღელვარე პერიპეტიებში გატარებულ ცხოვრებას იმთავითვე მოქმედების კანონი წარმართავდა და ახალგაზრდობის წლებიდანვე იგი უშიშრად გადაეშვა ბრძოლისა და ცხოვრების მშფოთვარე ტალღებში.

ბრძოლა და მოქმედება კი ადამიანს ასწავლის იმ სიბრძნეს, რომელსაც იგი წიგნებიდან ვერასოდეს ამოიკითხავს. ასწავლის ცხოვრების ფასს, სამშობლოს, ადამიანის სიყვარულსა და განსაკუთრებით უღვივებს მეგობრობის იმ უძვირფასეს თვისებებს, რომელთა გარეშე ადამიანის არსებობა საცოდავი და შესაბრალისია.

უნივერსალურია ცხოვრების კანონი — ბრძოლა და მოქმედება ჰბადებს ჭეშმარიტ ადამიანს.

ცხოვრების გარიყრაჟზე შეძენილმა დიდმა გამოცდილებამ შემდეგ და შემდეგ, როცა „ტარიელ გოლუას“ და „ჰაკი აძბას“ ავტორი ერთთავად ჩაიძირა შემოქმედებით მუშაობაში, თავისთავად იჩინა თავი, მწერალი აღჭურვა იმ ძნელადმოსაპოვებელი თვისებებით, რომელთა გარეშეც, მართლაც, წარმოუდგენელია მაღალი და ჭეშმარიტად პოეტური სიტყვა. ადამიანისადმი რწმენა და ოპტიმიზმი შარავანდედად ადგას ლეო ქიაჩელის მთელ შემოქმედებას.

*

* *

ლეო ქიაჩელის მხატვრული სიტყვა მომხიბლავია თავისი სისადავითა და უბრალოებით. იგი არ ღალატობს მას თვით უმძაფრესი ვნებებისა თუ ღრმა ფსიქოლოგიური პასაჟების გადმოცემის დროსაც. რასაკვირველია, ეს ძნელად მოსახვეჭი თვისება, პირველ რიგში, თვით ავტორის შინაგანი ბუნებიდან იღებს სათავეს, მაგრამ აქ არ არის დასავიწყებელი შემოქმედებით ძიებათა ის მტანჯველი გზა, რომელთა დაძლევის გარეშე არასოდეს შექმნილა ჭეშმარიტი და ფასეული რამ.

ასეთ ძიებათა აშკარა ანარეკლია მისი პირველი ლიტერატურული ნაბიჯები, ადრეული მოთხრობები თუ ესკიზები, რომლებსაც უცილოდ აზის იმ ხანებში თითქმის საყოველთაო და აღიარებული მხატვრული მიმდინარეობის — იმპრესიონიზმის: მძლავრი კვალი.

როგორც ცნობილია, ისევე, როგორც მხატვრობასა და მუსიკაში, მხატვრული სიტყვის სარბიელზეც ეს იყო სრულიად ახალი აღმოჩენა, რომელიც აგრე რიგად აფართოებდა აღქმის არეალსა და მხატვრის პალიტრას.

საგულისხმოა ამასთან, ლევ ტოლსტოის მიერ გამოთქმული ერთი შენიშვნა: სისადავე და უბრალოება მიაჩნდა დიდ მწერალს აღნიშნული მიმდინარეობის უმთავრეს სტილურ ნიშნად.

აქვე ისიც უნდა ითქვას, მასვე, კლასიკური პროზის ერთ უპირველეს დიდოსტატს, ცხოვრების მიწურულს გამოთქმული აქვს ერთგვარი სინანულიც. რომ წერის მსგავსი ხერხები პირადად მისთვის უკვე დაგვიანებული აღმოჩენა იყო (ტოლსტოი ამ შემთხვევაში კონკრეტულად გულისხმობდა ივან ბუნინის პროზას).

ლეო ქიაჩელის შემოქმედებაზე, მისი სტილის საბოლოო ჩამოყალიბებაზე ამ მიმდინარეობამ უეჭველად ითამაშა გამანაყოფიერებელი როლი. სტილის ლაკონიზმსა და უბრალოებასთან ერთად „ალმასგირ კიბულანისა“ და „თავადის ქალი მაიას“ ავტორს განუვითარა ღრმა ქვეტექსტებისა და იდუმალის გრძნობის გამძაფრებისაკენ მიდრეკილება. ყოველივე ეს კი ძალზე თანამედროვე და გაუხუნარ იერს ანიჭებს მის საუკეთესო ქმნილებებს.

ჩემის აზრით, დღევანდელი ქართული ბელეტრისტიკა უეჭველად არის დავალებული თავის სახელოვანი წინამორბედებისაგან (ლეო ქიაჩელთან ერთად წინამორბედთა შორის, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე ნიკო ლორთქიფანიძე). ესეც ჰეშმარიტი მწერლური ტალანტის უკვდავების ერთი პირველი საბუთთაგანია.

*

* *

ლეო ქიაჩელი ეროვნული თემების, ეროვნული კოლორის მხატვრული წარმოსახვის ჩინებული ოსტატია. ამასთან დამახასიათებელია, ფერწერის ენით რომ ვთქვათ, ფრთხილი და ძუნწი მონასმი. იგი საერთოდ მხატვრული მასალის ერთგვარი დაოკების გზას ადგას. ტაქტი და ზომიერების ძალზე გამახვილებული გრძნობა გზას უხშობს ყოველგვარ ეგზოტიკურსა და მოჩვენებითს.

თვალსაჩინოა ამ თვალსაზრისით საყოველთაოდ ცნობილი პროთხრობა „თავადის ქალი მაია“, რომელიც მასალის დაუფლების ნიშნითაც ერთი ყველაზე დამახასიათებელი მხატვრული ტილოა მის შემოქმედებაში.

ლეო ქიაჩელმა, ერთმა პირველთაგანმა ახალ ქართულ ლიტერატურაში, კვლავ გააცოცხლა ანტიკური ხანის შემდეგ აგრერიგად მიყვწყებული კოლხეთის ლეგენდარული თემა (საერთოდ კი მითოსის. ცხოველმყოფელი ნაკადი, მე მგონი ეს საკამათო არ უნდა იყოს, ძალუმად მსჭვალავს იმ ავტორთა შემოქმედებას, რომლებიც წარმოშობით კოლხეთის მკვიდრნი არიან. საკმარისია, აქ კონსტანტინე გამსახურდიას, თედო სახოკიას, დემნა შენგელაიას, ხოლო შედარებით ახალი დროის ავტორთაგან ნოდარ წულეისკირის და სხვათა გახსენებაც)..

კოლხეთის მიწის ნისლიანი პეიზაჟები, ჰაობებისა და ოჩოკოჩებით დასახლებული იდუმალი მხარე. ყველაფერი ეს მისთვის მშობლიურია, დედის აკვნიდან შესისხლხორცებული. ყოველ ფრაზაში, ყოველ ჩანახატში გრძნობს ამას მკითხველი. ცალკეული ღეტალები ზუსტი და მიგნებულია, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა ორგანულად ერწყმის უმთავრესი მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემას — უნიადაგო იცნებათა მსხვრევას, გარდაუვალობის უმკაცრესი განაჩენის აღსრულებას, რაც თავადის ქალის მაიას ურთულეს მხატვრულ სახეში იძენს სრულყოფილებას და მძაფრი კოლიზიების ფონზე ვითარდება.

ადამიანურ სიკეთესთან ერთად შური და ვერაგობა უკანასკნელი თავშესაფარია, რათა მაიამ ასე ადვილად არ დათმოს თავისი არსებობა. ლეგენდარული მედეას კვალდაკვალ, სამუდამოდ დაამახსოვროს ყველას შურისა და ეჭვის ნიადაგზე აღმოცენებული გესლი. ღრმა ქვეტექსტი და რაღაც სინანულის აღმძვრელი შინაგანი თემა (მაიას ტრაგედია აღიქმება როგორც მისივე წრის ადამიანთა განწირულობის გარდაუვალი ხვედრი) არაჩვეულებრივ პოეტურობას სძენს მთელს მოთხრობას, რომელიც არა მარტო ლეო ქიაჩელის, არამედ ახალი ქართული მწერლობის ერთ უპირველეს ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ.

*

* *

ლეო ქიაჩელს ჩვენი თაობა უკვე ხანდაზმულს შეესწრო. თითქოს მისივე სამრმავლო პორტრეტია წარმოსახული მწერლის ერთ ადრეულ თხზულებაში, სადაც საუბარია ერთ მოხუც თავადზე: „მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბექირბი ჩაჩბა ისე უმწიკვლოდ და შეუვალად ატარებდა თავისი მოდგმის არისტოკრატულ ღირსებებს, რომ ყოველი თავმომწონე აფხაზი მოვალედ თვლიდა თავს მიებაძნა მისი დარბაისლური სიტყვა-პასუხისათვის, მოქცევა და ჩაცმა-დახურვისათვის".

ლეო ქიაჩელის ახალგაზრდობის დროის შესახებაა აღწერილი ერთ მოგონებაში, რომელიც ეკუთვნის მწერლის დიდ თაყვანისმცემელს, ხოლო შემდეგ წლებში ახლო მეგობარს, მწერალსა და ლიტერატურის მკვლევარს, სოლომონ ცაიშვილს. სხვა ფაქტებთან ერთად აქ გადმოცემულია ბ-ნ ლეოს პირველი ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილება:

„1918 თუ 1919 წლის შემოდგომის პირი იყო. ზუგდიდში მასწავლებელთა ერთ-ერთ შეკრებაზე მოვხვდი. უმთავრესად ახალგაზრდა ქალები იყვნენ. მათ შორის ცხარე კამათი გაიმართა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო:

-- ტყუილია, ლეოს ბადალი აქ არავინ იყო, — ამბობდა ერთი.

— რას ამბობ, ბადალი კი არა მზესავით ანათებდა აქაურობას. ანათებდა. — დაუმატა მეორემ.

— საკვირველია ბუნების წესი — დასძენდნენ სხვები, თუ დააჯილდოებს ერთს ვინმეს, ყველა სიკეთეს მას დააყრის: განათლება, ჭკუა, ნიჭი, ასეთი სილამაზე, იშვიათი ხასიათი, ადამიანობა — ერთ კაცს არგუნა, მეორესთან კი შეიძლება სულ მთლად შემოაღამდეს და არც ერთი თვისება არ აღირსოს.

საუბარში ჩავერიე. ვინ ყოფილა ასეთი კლასიკური სილამაზის კაცი-მეთქი. ასევე ერთხმად მიპასუხეს:

— აი, ის ლეო ქიაჩელი (შენგელია). „ტარიელ გოლუა“ რომ დაწერა.

— მერე, სად ნახეთ იგი? — ვკითხე ცნობისმოყვარეობამორეულმა.

— კრებაზე იყო, ახლაც აქ არის სასახლეში.

მაშინვე იქ გავჩნდი. ლაპარაკობდა დინჯად, ნელა, ხავერდოვანი ბარიტონით და ლამაზი ქართულით. ქალები მართალნი აღმოჩნდნენ. მართლაც, კლასიკური სილამაზე წარმომიდგა თვალწინ. ოქროცურვილი პენსნე კიდევ უფრო ამშვენებდა მის კოხტაულვაშებიან თეთრ და ნატიფად გამოქანდაკებულ სახეს. ოდნავ ქერა თმის კულულებს, ხანდახან შუბლზე რომ გადმოეფინებოდა, ხელით გვერდზე გადასწევდა. ვიდრე ეს თავყრილობა მიმდინარეობდა, მას ვუცქეროდი. „ტარიელ გოლუას“ ავტორში ვეძებდი ტარიელის, ლევანის, ბეჟანის და ამავე მოთხრობის სხვა გმირთა ხასიათებს, მათი სულისკვეთების გამოვლინებას. მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს ყველა ეს გმირი ერთად აღებული ლეო იყო, რისთვისაც იმ მრისხანე ხატის სახელი მიუთვისებია-მეთქი. მაგრამ უფრო საკვირველი ის იყო, რომ იგი სრულიად უბრალო ხასიათის, ყოველგვარ მრისხანებასა და გოროზობას მოკლებულ ადამიანად, მშვენიერი გარეგნობის მქონე მამაკაცი მოსჩანდა. შინ დაბრუნებულს მიმიხაროდა, რომ შორიდან მაინც ვნახე და მოვუსმინე ერთ ცოცხალ მწერალს. მაშინ ჯერ ისევ საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი დედაქალაქი არ მქონდა ნანახი და არც ერთ მწერალსაც არ ვიცნობდი პირადად“.

მკითხველი აქვე მიაქცევდა „მრისხანე ხატის“ თითქოსდა უადგილო ხსენებას. ამავე მოგონებაში, რომლის ერთი ფრაგმენტი გამოქვეყნდა 1954 წელს, მისმა ავტორმა სოლომონ ცაიშვილმა ვგონებ ერთმა პირველთაგანმა „გაამჟღავნა“ მწერლის ფსევდონიმის „ქიაჩელის“ საიდუმლოება, რომლის შესახებაც თვით ლეო ქიაჩელი რატომღაც სდუმდა.

„ქიაჩი“ წმინდა გიორგის ხატის სახელია და სამეგრელოში მასზე გადასცემდნენ (მეგრულად „გინოჩამა“) მტყუანსა და მავნეს. ხატის განაჩენი ყოველთვის მკაცრი და რისხვით აღსავსე იყო — დასძენენ ახლაც აქაურნი მკვიდრნი. თვით ხატი ადრევე წამოუღიათ ოჩამჩირის მახლობლად მდებარე სოფელ ქიაჩიდან (აწ ნასოფლარის კვალია დარჩენილი) და დაუსვენებიათ ლეო ქიაჩელის მშობლიური სოფლის ობუჯის მონასტერში. ერთ დროს კი ხატის მფლობელები ლეო ქიაჩელის წინაპრები შენგელიები (ძველი წყაროებით „შერგელაიაები“) ყოფილან. თვით იმ უბანსაც კი ობუჯში, სადაც ეს მრისხანე ხატი ესვენა, ბოლო დროს ასევე ქიაჩი შეერქვა. აი, სწორედ აქედან იღებს, როგორც ჩანს, სათავეს ჩვენი გამოჩენილი მწერლის ლეო ქიაჩელის (შენგელაიას) ფსევდონიმიც. სხვათაშორის, უკანასკნელ ხანებში ამავე ფსევდონიმის წარმომავლობის სახელს ვრცლად შეეხო ლეო ქიაჩელის შემოქმედების მკვლევარი აკაკი თოფურია, თუმცა, სამწუხაროდ, აქ ერთი სიტყვაც არაა დაძრული ზემოთ დასახელებულ მოგონებაზე, სადაც პირველადაა გაცხადებული მისი „საიდუმლოება“ (შდრ. აკაკი თოფურია, ლეო ქიაჩელი, ცხოვრება და შემოქმედება, 1977 წ., გვ. 93—101).

*

* *

ლეო ქიაჩელის ოთხტომეულს (1946—1955) წამძღვარებული აქვს პატარა და ლაკონიური მიძღვნა: „შვილს, მეგობარს, იმედს ოთარ შენგელაიას“. ამ ერთი შეხედვით, უბრალო სიტყვებში მან გამოხატა მის არსებაში სამუდამოდ დასადგურებული უმძაფრესი ტრაგედია. თითქოს იმთავითვე, როცა მწერალი ჯერ სრულიად ახალგაზრდა იყო, გრძნობდა შორიდან დაძრულ უმძიმეს ხვედრს და თავის ქმნილებებში („ტარიელ გოლუა“, „ალმასგირ კიბულან“, „მთის კაცი“) ერთი უველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მიანიჭა მამა-შვილობის დიდსა და ყოველისმომცველ ადამიანურ გრძნობას, რომელიც ისევე უკვდავია, ვით კაცობრიობა.

ლეო ქიაჩელმა ფართო სოციალური ტილოებით და დიდებული მხატვრული სახეებით გაამდიდრა თანამედროვე ქართული მწერლობა. რამდენად გაღარიბდებოდა იგი ამ მომხიბლავი სახელის გარეშე და ალბათ სწორედ ეს არის ჰეშმარიტად ღირსეული მწერლის შეფასების ყველაზე მტკიცე კრიტერიუმი.

მისი შემოქმედება დღესაც ახალი სიცოცხლით ფეთქავს და მხნედ მიაბიჯებს თანამედროვე ქართული მწერლობის მხარდამხარ. მე მინდა

ეს ჩემი წერილიც დავამთაერო მწერლისავე სიტყვებით, რომელშიც მან ღრმა, სიმბოლური შინაარსი ჩააქსოვა:

„ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროის ქარიშხლით ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვმაგარი და ტანძლიერი ძველი ცუდა დგას ხოლმე ახლად ავარდნილ მწვანე ნორჩ ტყეში“.

1983 წ.

3. სიტყვა ნიკო ლორთქიფანიძეზე

ნიკო ლორთქიფანიძეს საჭელი ქართული მწერლობის დიად აღმავლობასთანაა დაკავშირებული.

ახალი მიჯნა კი ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო, როცა ჩვენში თანდათან ყალიბდებოდა მწერლის სრულიად განსხვავებული ტიპი.

ასპარეზზე გამოდის ევროპული კულტურის ახალ მიღწევებს ზიარებული, ფართო მასშტაბის სააზროვნო ამოცანებს შეჩვიდებული თაობა, რომელმაც მხატვრული სიტყვის ტოტალური განახლება დაისახა მიზნად.

ის იყო მძაფრი ძიებებით დატვირთული ხანა. ახალ თაობას მთლიანად უნდა ეკისრა აწ უკვე თავისთავში დასრულებული და ვალმოხდილი ქართველ განმანათლებელთა მემკვიდრეობა: „წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“.

გალაკტიონის ეს მარადსახსოვარი სიტყვები გამოხატავს აგრეთვე ახალი მიჯნების დაუფლების გარდუვალობას.

ძიება და ეპიგონია. თუმცა არც ისე ახლო მდგომი ცნებებია, მაგრამ ასეთ დროს ზოგჯერ ერთი მოუზომავი ნაბიჯია საკმარისი და მთელი შემოქმედებითი დინება გამოუვალ ჩიხში მოექცეს.

ძიებათა რეზულტატი, მართლაც, განსაცვიფრებელი აღმოჩნდა და აღნიშნულმა ეპოქამ თავისი მნიშვნელობით წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მწერლობის შემდგომი აღმავლობის გზაზე.

ქართული მხატვრული სიტყვის რეფორმაციისათვის ბრძოლა, რომელიც ევროპული კულტურის მიღწევათა დონეზე მიმდინარეობდა, აშკარა გამარჯვებით დასრულდა.

ნიკო ლორთქიფანიძე ამ დიდი მოძრაობის სათავეებთან იდგა. თუ ერთი მხრივ გალაკტიონის და აგრეთვე ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და „ცისფერყანწელთა“ ორდენის სხვა წევრთა სახელებთა-

ნაა დაკავშირებული ქართული პოეტური კულტურის ახალი მიჯნების დაუფლება, ასევე ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი იყვნენ ის პირველი მეკვლეები, რომელთა ძალისხმევის შედეგად ქართული პროზა ერთბაშად აღზევდა ისეთ სიმაღლემდე, რასაც ინატრებდა ყველა მოწინავე კულტურის მქონე ქვეყანა და რომლის ნაყოფს ჩვენ აგრე რიგად ვგრძნობთ ახლაც.

მაგრამ არც ერთი თვალსაზრისით არ ვიქნებოდით სწორი, რომ ნიკო ლორთქიფანიძის დიდი ღვაწლი მხოლოდ მეკვლეობით შემოგვეფარგლა.

ჩვენდა საბედნიეროდ, მწერლის შემოქმედებითი ცხოვრება შემდეგშიაც ასევე აღმავალი გზით მიემართებოდა, ხოლო მისი ყოველი ახალი ქმნილება აღიქმებოდა როგორც მწერლური ოსტატობის უზადო ნიმუში.

„მრისხანე ბატონისა“ და „დანგრეული ბუდეების“ ავტორი თვით ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებამდე ქართული პროზის აღმავლობის ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე გახლდათ.

ნიკო ლორთქიფანიძის პროზა თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი უპირველესი მონაპოვარია. განსაცვიფრებელია, თუ როგორ გრძნობს იგი დროთა კავშირს, როგორი სიფაქიზით მოაქვს ჩვენთან თითქოსდა მინავლებული წარსული, ან კი როგორი რაკურსით გვიჩვენებს დღევანდელობის უმთავრეს შტრიხებს, რათა ფუყე ზერელობიდან გაძარცული უკეთ გვაგრძნობინოს მისი ხვალინდელი დღის ძირითადი კონტურები.

მან ერთმა პირველთაგანმა გვასწავლა, თუ რა ფასი აქვს ჩურჩულით ნათქვამ სიმართლეს და ნიადაგ განამტკიცებდა თვალსაზრისს, რომ მაღალი ფრაზები მეტწილ შემთხვევაში ოდენ შირმაა სიყალბის დასაფარავად.

როგორი მკაცრი სელექციით ერჩოდა იგი სიტყვას, სისადავისა და უბრალოების რა სიმაღლეებს წვდებოდა იგი თავის მინიატურებში. ზოგჯერ მხოლოდ ერთი მინიშნება და ჩვენ თვალწინ გაიელვებს ადამიანურ ვნებათა ისეთი სიღრმეები, რომელთა დანახვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

თუ რა ნაყოფიერი ზეგავლენა იქონია მწერალზე ადრეულ წლებიდანვე დაუფლებულმა წერის იმპრესიონისტულმა მეთოდმა, ეს თითქმის უკლებლივ ატყვია ყოველ ცალკეულ მხატვრულ სურათსა თუ ეპიზოდს: „ყეფდა ძაღლი, სახურავიდან ამოდიოდა კვამლი და იყო პატარა ოჯახი“. რამდენი ინტიმია ჩაქსოვილი ამ სამიოდე ლაკონიურ ფრაზაში, რა თბილ მოგონებებს აღუძრავს იგი ყველას, ვისაც ერთხელ მაინც უგრძვნია ქართული სოფლის განუმეორებელი სურნელი.

დიდი ლირიზმით დამუხტული ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები თუ მცირე ფორმის მოთხრობები თანამედროვე ქართული პოეტური პროზის უპირველესი ნიმუშებია როგორც ქრონოლოგიურად, ისე თავისი უნიკალური მხატვრული ღირსებებითაც.

მართლაც, „თავსაფრიანი დედაკაცის“ ავტორის მთელი შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეუბრალებელი სიმკაცრით ექცეოდა იგი საკუთარ თავს, ძიებათა რა ტანჯვის გზაზე ვიდოდა, რათა ზუსტი და უცთომელი ყოფილიყო ნათქვამი.

მწერლობის (და არა მხოლოდ მწერლობის) ყველაზე დიდ მტრად უღიმღამო საშუალოობას, ზერელობას თვლიდა და ყოველ ასეთ ფაქტს, ამას მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება განამტკიცებს, ეროვნულ უბედურებად მიიჩნევდა. საშუალოობა და სტანდარტიზაცია ხელოვნებაში ყოველთვის იყო და არის უნიჭოთა თავშესაფარი, ხოლო მათი მომრავლება კი ერთი ყველაზე სახიფათო სენია ეროვნული თვითგამოხატვის ძნელადსავალ გზაზე.

მაგრამ, საბედნიეროდ, სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის მსგავსი მაღალი სახელები განამტკიცებს საწინააღმდეგო თვალსაზრისს. ქართველი ხალხი სწორედ საკუთარი და არა სხვათაგან ნაწყალობები სიბრძნით არის საინტერესო მსოფლიო კულტურის დიდ სარბიელზე.

*

* *

„განმარტოებით მოსახლე იმერელი გლეხი ერთი ებრძვის მტერს, ეხმარება მოყვარეს; განიცდის სიმარტოვის სიდუხჭირეს, თან ჰყლაპავს დამოუკიდებლობის გამამხნევებელ ნექტარს.

იმერეთში რამდენი კორტოხია, იმდენი ბატონია“.

პიროვნული თავისუფლების თემა ისევე აჰყვა ნიკო ლორთქიფანიძის პირველ სტრიქონებს, როგორ მზისაკენ მოსწრაფე ვაზი საიმედოდ დაგებულ ხარდანს.

ღვთივმომადლებულ ნიჭს მხოლოდ მაღალი ზნეობა ანიჭებს სიმტკიცეს. უახლოეს ქართულ მწერლობაში ამის უტყუარი მაგალითი სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის სახელთანაა დაკავშირებული. მანვე დაგვანახვა, თუ როგორ სათუთად უნდა უფრთხილდებოდეს მწერალი საკუთარ სახელს.

ამიტომაც იყო, რომ მისივე დიდი მოძღვრის, ილია ჭავჭავაძის, კვალდაკვალ მან მოიპოვა უფლება ეთქვა იმდენად მწარე სიმართლე, რომლის გახსენება შეაძრწუნებდა ისეთ ადამიანსაც კი, რომელიც იქნებ ერთხელაც არ დაფიქრებულა მისივე ქვეყნის ხვალინდელ-

დღეზე: „საქართველო იყიდება. მინდორ-ველით, მთაგორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვებედით".

თუ როგორ იწვის და უსაგნოდ იფერფლება სამშობლოს მიღმა გარჩენილი კაცის გული, ეს მან ასევე ადრე დაწერილ მინიატურებში შთამაგონებლად დაგვიხატა და შემდეგაც მთელი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე ნიადაგ უბრუნდებოდა ადამიანთა მოდგმის ამ უწმინდესი გრძნობის გაღვივებას.

ჰუმანიზმი და მომხიბლავი კეთილშობილება, დიდ, ადამიანურ სევდაში ჩაქსოვილი იმედის ნაპერწკალი მუდმივად ახლავს მის საუკეთესო ქმნილებებს, რომლებიც წარუვალი მშვენიერების განცდით აგრე რიგად არიან დამუხტულნი.

ნიკო ლორთქიფანიძის საყოველთაოდ ცნობილ მოთხრობაში „დანგრეული ბუდეები" არის ერთი ისეთი ეპიზოდი, რომელშიც ნანგრევთა სტატიურ სევდასთან ერთად მათივე რაღაცნაირი დაუოკებელი სიამაყეა გადმოცემული: „ყოველი ქვა თითქოს ვიღაცას ემუქრება მწუხარებისაგან გააფთრებული, რაც მომივიდა, მომივიდა — მეტს ვეღარაფერს დამაკლებო".

იქნებ დრო-ჟამმა რაღაც მოაკლოს, ფერი უცვალოს, მაგრამ მთლიანობაში ვერ შეარყევს ნიკო ლორთქიფანიძის მტკიცედ ნაშენებ პოეტურ სიტყვას და ისევე შემორჩება . იგი მომავალ საუკუნეებს, როგორც ჟამთა სიავეს გადარჩენილი, პიტალო კლდეებზე ამაყად აღმართული ჩვენი დიდებული ციხე-სიმაგრეები და საომარი კოშკები.

1982 წ.

4. მწერლის დიდი მისია*

(კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა)

კონსტანტინე გამსახურდიას სახელთან ქართული მწერლობის არაერთი სიახლეა დაკავშირებული. ნახევარი საუკუნის მანძილზე მონუსხულივით შეჰყურებდა მას მკითხველი და ეს უკანასკნელი არც არასოდეს გაწბილებულა. არაორდინალური არაფერი დასცდენია მის კალამს. არა მხოლოდ პირადი მაგალითი, არამედ საჯარო გამოსვლები-

* მოხსენება, წაკითხული კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო საღამოზე, რომელიც შედგა 1983 წლის 6 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

თაც სასტიკად ებრძოდა უღიმღამო საშუალოობას, რაც უნიჭოთა საიმედო თავშესაფარი იყო და იქნება ნიადაგ.

კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მწერალს, კულტურის მოღვაწეს, დიდი მისია დაეკისრა იმთავითვე და ოდნავადაც არ გადაუხვევია ერთხელ დასახული მიზნიდან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ თვალსაზრისით იყო ზრუნვა ქართული მხატვრული სიტყვის თვისობრივი გარდაქმნებისათვის.

მე აქ ვგულისხმობ ჩვენი საუკუნის ათიან წლებს, როცა ბრძოლამ ქართული კულტურის განახლებისათვის საოცრად ფართო მასშტაბები შეიძინა. გარეგნულად იგი ჩვენ გვაგონებს გასული საუკუნის სამოციან წლებს, თუმცა თავისი შინაარსით ახალი ეპოქა სხვა ამოცანების წინაშე იდგა. სხვაგვარი იყო თვით ქართული მხატვრული სიტყვის რეფორმაციისათვის წამოწყებული ბრძოლის შინაარსიც.

მეოცე საუკუნის დასაწყისი, ახალი რევოლუციების ეპოქა, პირველი მსოფლიო ომის მძიმე შედეგები სრულიად სხვადასხვაგვარად სვამდა დიდი თუ მცირერიცხოვანი ერების მომავალი არსებობის საკითხებს, ძალთა გადაადგილება ახლებურ პერსპექტივებს (ხოლო ზოგჯერ უპერსპექტივობასაც) სახავდა მის წინაშე. ერის მომავალზე რეალისტური განსჯა მხოლოდ და მხოლოდ გლობალური მასშტაბების გათვალისწინებით იყო შესაძლებელი.

პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისი თანაბრად შეეხო ჩვენი ქვეყნის კულტურულ ატმოსფეროსაც. კარჩაკეტილობისა და მოძალებული პროვინციალიზმის დაძლევა არც ისე ადვილი შეიქნა. ბრძოლამ, რომელმაც ათეული წლები გასტანა, მძაფრი ხასიათი მიიღო.

ისევე როგორც პოლიტიკურსა და სოციალურ ასპექტში, ჩვენ ხალხს კულტურის სფეროშიც ახალი მიჯნების გადალახვისათვის უნდა ეზრუნა და ბოლოს და ბოლოს მან ეს შეძლო კიდეც.

ქართული მხატვრული სიტყვის რეფორმაციისათვის ბრძოლა, რომელიც ევროპული კულტურის მიღწევათა დონეზე მიმდინარეობდა, აშკარა გამარჯვებით დასრულდა.

მაგრამ უცხოური კულტურის დაძლევისა და გაშინაგნების მტკივნეულ გზაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რაიც ამ თაობის წარმომადგენელთა უტყუარ ალღოზე მიუთითებდა, რომ მათ არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ ძირებთან, ქართული მწერლობის დიდ ტრადიციებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს კი ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, მათი ეს ძიებები, ალბათ, „მოდის“ ფარგლებს ვერ გასცილდებოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ „სამშობლოს თემა“ მეტწილ შემთხვევაში ასე ორგანულადაა განცდილი, მათ უკეთეს მხატვრულ ქმნილებებში. ამის დავიწყება კი, რაც სამწუხაროდ არც ისე იშვიათი შემთხვევაა,

მხოლოდ ყალბ წარმოდგენას განამტკიცებს ჩვენი კულტურისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ეპოქის შეფასების ჟამს.

კონსტანტინე გამსახურდიას, სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან ერთად, თვით ისტორიულმა ვითარებამ დააკისრა ქართული კულტურის განახლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მესვეური ყოფილიყო. თუ ერთი მხრივ გალაკტიონის და აგრეთვე ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და „ცისფერყანწელთა“ ორდენის სხვა წევრთა სახელებთანაა დაკავშირებული ქართული პოეტური კულტურის ახალი მიჯნების დაუფლება, ასევე ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია იყვნენ ის პირველი მეკვლეები, რომელთა ძალისხმევის შედეგად ქართული პროზა ერთბაშად აღზევდა ისეთ სიმაღლემდე, რასაც ინატრებდა ყველა მოწინავე კულტურის მქონე ქვეყანა და რის კეთილ ნაყოფს ჩვენ აგრე რიგად ვგრძნობთ თანამედროვე ქართული პროზის ამჟამინდელ წარმატებებშიც.

კონსტანტინე გამსახურდია ამ საშვილიშვილო მოძრაობის ავანგარდში იდგა და როგორც უკვე ითქვა, ქართული მხატვრული სიტყვის არაერთი სიახლე, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან, სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული.

მწერლის ფართო თვალსაწიერი და ესთეტიკური მრწამსი უეჭველად განაპირობა ევროპული კულტურის შემოქმედებითმა ათვისებამ, მაგრამ გამარჯვების უპირატესი გარანტია მაინც ეროვნული კონცეფციის შემუშავება იყო.

მე აქ ვერ ვხედავ საჭიროებას, რომ თუნდაც ორიოდე სიტყვით შევეხო მის უაღრესად საინტერესო ცხოვრების გზას. ქართული მწერლობის ყოველმა მოყვარულმა იგი ზეპირად იცის. უფრო მეტიც, ამ დარბაზში ბრძანდება ბევრი მათგანი, ვისაც კარგად ახსოვს მისი მართლაც განსაკუთრებული იერით აღბეჭდილი სახე, მკაცრი პროფილი და ელეგანტური მიხრა-მოხრა. მისმა თაყვანისმცემლებმა ზუსტად იცოდნენ, თუ როდის ან რომელ ქუჩებზე უყვარდა ჩამოსეირნება დიდ მწერალს ან რომელ ადგილსა და სავარძელს ირჩევდა მწერალთა კავშირის სასახლეში აქ გამართული ხშირი დისკუსიების ჟამს. იგი არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ საკუთარი არსებობითაც უწყობდა ხელს ინტელექტუალური ატმოსფეროს შექმნას, რომლის გარეშეც ერთი ნაბიჯიღა რჩება პროვინციალიზმისა და მეშჩანობის გამოუვალი ჩიხიდან.

მაგრამ, როდესაც ჩვენ ხაზს ვუსვამთ მწერლის მაღალ განსწავლულობას, მისი განათლების ენციკლოპედიურ ხასიათს, აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის წლები, რომლებიც მწერალმა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გაატარა, კერძოდ, იგი ერთხანს იმყოფებოდა

პეტერბურგში, სწავლობდა ლაიფციგის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტებში. აქვე ბერლინში დაიცვა მან ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, მოვლო მაშინდელი ცივილიზებული მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხე და, როგორც იტყვიან, საკუთარი ფილტვებით შეისრუტა მაშინდელი მსოფლიოს ქარიშხლიანი ატმოსფერო.

ათიანი წლების ბოლოს, საქართველოში დაბრუნებულ სხვა მის თანამოკალმეებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიამ მოიტანა სრულიად ახალი პრობლემები, რომლებიც მაშინდელ მსოფლიოს აღელვებდა, დაისვა შემოქმედებითი თვალსაზრისით ახალი კითხვები, საჭირო გახდა მხატვრული განსახოვნების სრულიად ახალი ფორმების ძიება, მაგალითისათვის ვიტყვი, რომ ქართულ მწერლობაში ამ დროიდან საოცრად მოხშირდა ისეთი სახელების ხსენება, როგორიცაა: არტურ შოპენჰაუერი და ფრიდრიხ ნიცშე, ანრი ბერგსონი და ოსვალდ შპენგლერი, ფრანგული დეკადენტური სკოლების კორიფეები: სტეფან მალარმე და პოლ ვერლენი, შარლ ბოდლერი და არტურ რემბო, აღარაფერი რომ ვთქვათ „პარნასელ" პოეტებზე, რომელთა ხმა უკვე შორეულ ექოსავით თუ აღწევდა ათიანი წლების საქართველოში.

ასევე ქართულ პროზაშიც, სადაც აშკარად შეიმჩნეოდა იმპრესიონისტული მხატვრული ხედვის აშკარა გავლენები (ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი), ხოლო თვით კონსტანტინე გამსახურდიას პირველ მხატვრულ ქმნილებებს არცთუ უხილავი ძაფებით აკავშირებს ექსპრესიონისტულ მსოფლგანცდასთან.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მე შორსა ვარ, მეტი რომ არა ვთქვათ, იმ აშკარად მიამიტური შეხედულებისაგან, რომელიც ზოგჯერ ახლაც გაისმის ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში. საქართველოში თითქმის იმდენივე მიმართულებაა აღნუსხული, რამდენიც მაშინდელ ევროპასა და რუსეთში.

მაშინ, როცა აქ მთავარი იყო ძიებათა პროცესი და პოეტური მცდელობა, ამ ხანის საუკეთესო ქართველმა მწერლებმა უშურველად გაუღეს კარი მოდერნისტულ პოეტიკას და გაბედულად მიმართეს მრავალფეროვან ექსპერიმენტს. ხოლო ძიებათა ასეთმა შეუპოვრობამ საოცრად გააფართოვა სინამდვილის მხატვრული დაუფლების არე და სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა უღრმესი სულიერი შრეების წვდომისათვის.

მართლაც, აშკარად ექსპრესიონისტული მსოფლგანცდის ელემენტები ატყვია კონსტანტინე გამსახურდიას პირველ ნოველებს, სადაც ფსიქოლოგიზმს ცვლის ანტიფსიქოლოგიზმი, ხოლო სინამდვილის მხატვრულ გარდასახვას — თვით მწერლისავე ექსტაზური წვდომით აღმოჩენილი რეალობის აღწერა. გაუცხოების ეგზისტენციალური თემა, რომელმაც სწორედ იმ დროიდან ტოტალურად მოიცვა მსოფ-

ლიოში მხატვრული სამყარო (ჯოისი, კაფკა და ა. შ.) არც ქართველი მწერლისათვის არის უცნობი. აშკარად ეგზისტენციალური კრედოა გადმოცემული მის ადრეულ ნოველაში „მკვდართან შეხვედრა“, სადაც ასეთი ფრაზით თავდება შემაძრწუნებელი მხატვრული სურათი: „ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდივართ დღე და ღამ და გამვლელ-გამომვლელს ვეღრიჭებით: „ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო...“

ექსპრესიონისტული პროზისათვის დამახასიათებელი მხატვრული საშუალებები, სიმბოლიკური ჰიპერტროფირება აშკარად იჩენს თავს მწერლის სახელგანთქმულ რომანში „დიონისოს ღიმილი“. ხოლო ყოველივე ეს მაშინაც, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ჩვენ დროსაც, ცდუნების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ გამომსახველობითი ხერხების მიღმა არ იყო შემჩნეული თვით ამ შესანიშნავი მხატვრული ქმნილების ძირითადი და მამოძრავებელი თემა, რაც საერთოდ უცხოა ზემოთ ნახსენები ტიპის დეკადენტური მწერლობისათვის. სხვაგვარად რომ ითქვას, აქ მთავარი ის კი არ არის, რომ თვით კონსტანტინე საგარსამიძის სახე ნაწერია დეკადენტური პოეტიკის ხერხებით, არამედ ის, რომ აქ მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი პიროვნების ტრაგედიაა გადმოცემული: „ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში... ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა... ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან... თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალია...“

პიროვნებისა და საზოგადოების, პიროვნების და მისი მიმართებისა ეროვნულ ძირებთან აქ ისეთი რაკურსითაა წარმოსახული, რომ უკვე პრინციპულად უარყოფს ექსპრესიონიზმის ძირითად პოსტულატებს და, ჩვენის აზრით, სწორედ ეს არის თავიდათავი.

ხოლო ამასთან ზემონათქვამი იმასაც გულისხმობს, რომ „დიონისოს ღიმილი“ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ეტაპური მნიშვნელობის მქონეა და მწერლის მრავალწლოვან ძიებათა გამარჯვებით დასრულების უპირველესი მაცნე. „მითქვამს და ვიმეორებ: თავანკარა ნაციონალური მწერლობა იქ იწყება, სადაც დაძლეულია უცხოთა ზეგავლენა...“ წერდა ამასთან დაკავშირებით შემდეგ „დიონისოს ღიმილის“ ავტორი.

კონსტანტინე გამსახურდიას პირველი შედევრების დაწერიდან გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი. ეს არც ისე პატარა დროა, რათა ბზარი გაუჩნდეს ფუყედ ნაგებ გალავანს, ფერი დააკლდეს უმწიფარი ხელით შესრულებულ ნახატს.

როგორ კითხულობს დღეს ჩვენი თანამედროვეობა კონსტანტინე გამსახურდიას? რა არის ფასეული და წარუვალი, რა არის მედინი და

ეფემერული? აი, კითხვები, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს ჩვენმა თანამედროვეობამ და, რასაკვირველია, ჩვენმა მომდევნო თაობებმაც. რადგან ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი მხატვრული შემოქმედება ახალ და ახალ კითხვებს აღძრავს და ახლებური წაკითხვისაკენ მიმართავს ყოველ მომდევნო თაობას.

ერთი რამ კი ამთავითვე ცხადზე უცხადესია. ქართული მხატვრული პროზის ნოვაციის გზაზე კონსტანტინე გამსახურდია ერთი პირველთაგანია. ამ თვალსაზრისით მას ზემოთ ნახსენებ ქართველ მწერლებთან ერთად ისეთივე ზეამოცანის დაძლევა მოუხდა, როგორც ეს ქართულ პოეტურ მეტყველებაში განახორციელეს გალაკტიონმა და მასთან ერთად „ცისფერყანწელთა“ ორდენით სახელდებულმა პოეტების მთელმა თაობამ.

ასევე ფასდაუდებელია კონსტანტინე გამსახურდიას ღვაწლი ქართული მწერლობის წინაშე, როცა მან ერთმა პირველთაგანმა ჩვენში შექმნა ისეთი ფართო პლანის რომანები, როგორიცაა „დიონისოს ღიმილი“, ტრილოგია „მთვარის მოტაცება“. საერთოდ, მისმა ესოდენ დიდმა ძალისხმევამ ამ დარგში, სამართლიანობა მოითხოვს ეს აღინიშნოს, გზა გაუკაფა თანამედროვე ქართული რომანის დღევანდელ აღმავლობას.

. ყველას ახსოვს კონსტანტინე გამსახურდიას ერთგვარი დაჟინებული მსჯელობა მის მიერვე წამოყენებულ ე. წ. „დისტანციის თეორიის“ გარშემო. თითქოს მწერალი უფრთხოდა და საცეცებით მიიწევდა წინ, რათა მხატვრული ასახვის საგნად ექცია ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული გრანდიოზული სოციალური ძვრები. თეორია თეორიად დარჩა და მასში მაინც გაიმარჯვა მხატვრის დაუოკებელმა ლტოლვამ: ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტი მწერლისათვის თანამედროვეობის მხატვრული წარმოსახვა ყოველთვის იყო და არის შემოქმედებითი ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ამასთან სახიფათო გამოცდა.

შედეგი კი მართლაც გრანდიოზული აღმოჩნდა. „მთვარის მოტაცება“ ბეერად უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის განვითარების ოცდაათიანი წლების მატიანე: ეს არის ფართო მასშტაბის მხატვრული ეპოპეა, რომელშიც ასეთი მაღალი ოსტატობით არის აღბეჭდილი ეპოქის სული, წარმოსახულია ახალი ისტორიული ძვრებით გარდაქმნილ ადამიანთა სახეები, მხატვრულად დასაბუთებულია სამომავლო პერსპექტივების ავტორისეული თვალსაზრისი... თანამედროვე რომანის განვითარების გზაზე „მთვარის მოტაცება“ როგორც მხატვრული, ისე იდეური თვალსაზრისით, ერთი უპირველესი შემოქმედებითი მიღწევაა არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ მთელი საბჭოთა მწერლობის მასშტაბით.

კონსტანტინე გამსახურდია ასევე ერთი ყველაზე აღიარებული ფუძემდებელთაგანია ქართული ისტორიული რომანისა. ჩვენში ამ ძალზე ტევადი ჟანრის აღორძინებაში მას, როგორც იტყვიან, ლომის წილი უძევს. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მწერლის განათლების ენციკლოპედიური ხასიათი, ისტორიულ მოვლენათა ღრმა შემეცნების უნარი.

ახალი ისტორიული რომანის თვისობრივი განსხვავება ძველი, მათ შორის ანტიკური ეპოქის ქრონიკებისაგან, ძირითადად ერთ მნიშვნელოვან ასპექტში ვლინდება. ისტორიულ მასალას ასეთ შემთხვევაში აღარცა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, აქ წარსულიც თანამედროვეობის პრობლემატიკით სუნთქავს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ამ დებულების საილუსტრაციოდ უმდიდრეს მასალას შეიცავს. საკმარისია ამ შემთხვევაში ისეთი კოლოსების გახსენება, როგორებიც იყვნენ შექსპირი, ტოლსტოი, ფლობერი... საბჭოთა ისტორიული რომანიც იმთავითვე წარსული მემკვიდრეობის მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობა. ისტორიული თემატიკის ათვისების ასეთ გზაზე დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა მწერლობამაც, რომლის ერთი პირველი მებაირახტრე სწორედ კონსტანტინე გამსახურდიაა.

ისტორიული რომანი, უწინარეს, ეროვნული ხასიათების წარმოჩენითაა ფასეული, რის გარეშეც იგი ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცდება უბრალო ისტორიული ქრონიკის ფარგლებს. კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ამ მიმართულებით მიიკვლევდა გზას ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისაკენ. ამასთან იგი, როგორც ისტორიკოსი, მკაცრი მსაჯულიც იყო. მწერალმა ჩინებულად გვაგრძნობინა, რომ ისტორია ია-ვარდებით მოფენილი სარბიელი არასოდეს ყოფილა, მით უფრო, როცა ერის ისტორიული ცხოვრება პოლიტიკურსა თუ სოციალური გარდატეხის ფაზაში აღმოჩნდება. აქ ერთი წამით უნდა გავიხსენოთ, რა ახლო დგას ეს თვალსაზრისი ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ კონცეფციებთან და რა შორს ყალბი სტილით შესრულებულ, თავმოწონების „ბანგით“ გაჟღენთილ ე. წ. „ისტორიული ბელეტრისტიკის“ ნიმუშებისაგან, რომლებიც, ცოტა არ იყოს, არცთუ იშვიათი ხილი შეიქნა თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

მწერლის სასარგებლოდ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიული მასალის დაუფლებისას კონსტანტინე გამსახურდია, ისევე, როგორც თავის დროზე ფლობერი, ძნელად სავალ ბილიკს ირჩევს. სიმძიმის ცენტრი მას კოლორიტის შექმნაზე, ისტორიულ აქსესუარების ზუსტ აღწერაზე გადააქვს, რითაც იგი გარდასულ ეპოქათა მხატვრულ ილუზიას ქმნის და მკითხველის დიდ ნდობას იმსახურებს. მაგრამ მაინც სტრიქონსა და სტრიქონს შუა, ჩვენ კარგად ვგრძნობთ ჩვენი თანა-

შედროვე ეპოქის მაჯისცემას, იმ პრობლემატიკას, რომელიც არა მხოლოდ გუშინ, არამედ დღესაც გვაღელვებს და დაგვაფიქრებს ხვალინდელ დღეზე... აი, სწორედ ეს დროთა კავშირის მახვილი გრძნობა, წარსულისა და აწმყოს იშვიათი სიმბიოზი ანიჭებს კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანებს ასეთ სიმტკიცეს, რასაც წელთა მძლეობა აგრე ადვილად ფერს ვერ შეუცვლის.

ფართო განათლება, ისტორიის საზრისზე აშკარად თანამედროვე კონცეფცია, იმთავითვე იფარავდა მწერალს ყოველგვარი კარჩაკეტილობისა და ნაციონალისტური შეხედულების მძიმე სენისაგან. იგი ერთიანი, მთლიანი საქართველოს ერთი უპირველესი მეხოტბე იყო. ამასთან ღრმად სწამდა, რომ ქართველი ხალხი ღირსეულ წვლილს შეიტანდა სხვა მოძმე ხალხებთან ერთად მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

კონსტანტინე გამსახურდია, საერთოდ, არ ილტვოდა სოციალური ხასიათების ფიქსაციისაკენ. როგორ ჩანს, ეს მისი მხატვრული ამოცანის მთავარი მიმართულება არც იყო, მით უფრო ეს ვლინდება მის ისტორიულ რომანებში, სადაც მეტწილად პრობლემები და მწვავე ისტორიული ეპოქების მხატვრული სურათებია წარმოჩენილი. მაგრამ მას, როგორც მხატვარს, მომადლებული ჰქონდა ერთი ისეთი ზეგარდმო თვისება, რომელიც მწერლის იშვიათ ტალანტზე მიგვანიშნებს. იგი ხასიათის შენობას უწინარეს ეროვნულ საფუძველზე აყრდნობს. ამიტომაც არის, რომ მის მიერ დახატული მეფე თუ მწყემსი, ინტელიგენტი თუ უბირი მიწის მუშაკი, შემოქმედი თუ კირითხურო, უწინარეს ქართულ წიაღში აღმოცენებული მხატვრული სახეებია, რომელთაც, გარდა ამისა, არც სოციალური ნიშან-თვისება და არც შესაბამისი იდეური დატვირთვა აკლიათ. ამიტომაც არიან ჩვენთვის აგრე რიგად ახლობელნი, თითქოს შინაურნიც, კონსტანტინე სავარსამიძე თუ თარაშ ემხვარი, გიორგი მეფე თუ დიდოსტატი არსაკიძე, დავით აღმაშენებელი თუ გიორგი ჭყონდიდელი, კოლონკელიძის ასული შორენა, დედისიმედი თუ თამარ შარვაშიძე. ყველა ეს ძვირფასი სახელები რაღაც განსაკუთრებული ინტიმითაა დამკვიდრებული ჩვენი ხალხის ცნობიერებაში და მწერლის სწორუპოვარი გამარჯვების უტყუარი მაცნეა.

კონსტანტინე გამსახურდია ქართული მითოსის, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის უბადლო მცოდნე იყო და მარჯვედ გამოიყენა კიდეც ეს იშვიათი ცოდნა თავის შედევრებში. ერთიან, მთლიან საქართველოზე მისი თვალსაზრისი მწერალმა გამოამჟღავნა აგრეთვე ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მხატვრული ფუნქციით გამოყენების ჩინებული მაგალითებით.

კონსტანტინე გამსახურდიამ მარადდაუვიწყარ ლეო ქიაჩელთან ერთად პირველთაგანმა აამეტყველა ანტიკური ხანის შემდეგ მივიწყებული კოლხეთის ლეგენდარული თემა.

კოლხეთის, სამეგრელოს მიწის ნისლიანი პეიზაჟები, ჭაობებისა და ოჩოკოჩებით დასახლებული იდუმალი მხარე — ყოველივე ეს მისთვის ძალზე ახლობელია, მშობლიურია და ყოველ ფრაზაში, ყოველ ჩანახატში გრძნობს ამას მკითხველი. აქაც იგი დაბეჯითებით განამტკიცებდა შეხედულებას მონათესავე ქართველ ტომთა სულიერ სიახლოვეზეც, რამაც ისინი ერთიანი საქართველოს სამარადისო მთლიანობის შეგნებამდე მიიყვანა.

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის გზაზე კონსტანტინე გამსახურდიამ ერთმა პირველთაგანმა შემოგვთავაზა პოეტური პროზის იშვიათი ნიმუშები. ასევე ერთი პირველთაგანი დაეუფლა იგი ტექსტის და ქვეტექსტის ულტრათანამედროვე მეთოდებს. ამიტომაც ასე იოლად ვერ ნახავთ მწერლის ნაჭედ სტრიქონებში ემპირიულ სიბრტყეზე გართხმულ ფრაზებს. სიღრმე და იდუმალება კი, როგორც მოსალოდნელია, ჭეშმარიტი მშვენიერების სასიამოვნო განცდას ბადებს.

რასაკვირველია, მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი უკმარი იქნება, თუ არ გავიხსენებთ მის დიდ ღვაწლს მსოფლიო მწერლობის შედევრების თარგმნაში. აქ მარტო გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის“ უზადო თარგმანი იკმარებდა, რომელზედაც ჩვენში მთელი თაობები აღიზარდა. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონსტანტინე გამსახურდიამ აგრე რიგად ცნობილი ესეისტური ხასიათის წერილებით. მკითხველის ინტელექტუალური აზროვნების გაფართოებასთან ერთად, ეს კი დაბეჯითებით უნდა ითქვას, ამ წერილებმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენში კრიტიკული აზროვნების თანამედროვე სტილის დანერგვას.

კონსტანტინე გამსახურდია ქართველი ერის არა მხოლოდ დამცველი, არამედ მისი გამდიდრებისა და გამშვენიერების ერთი ყველაზე თავგამოდებული მესვეური იყო. როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს შეჰფერის, მან შექმნა არა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილი, არამედ დაუშრეტელი ძიებებით ახალი ელვარება შეჰმატა საუკუნეთა მანძილზე ნაჭედ ქართულ სიტყვას. ქართული ენის ბუნებრივი განვითარების ჟამთა უკუღმართობით გაწყვეტილი კავშირების აღდგენის საქმეში მან წარუშლელი კვალი დატოვა — ამაზე ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქმის, ალბათ, მომავალში. ამიტომაც ამ საკითხზე მე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ოღონდ დავსძენ, რომ ამ შემთხვევაში დიდი მწერალი და მოქალაქე დღესაც ჩვენ ცოცხალ მოკავშირედ რჩება.

კონსტანტინე გამსახურდია თავისი ბუნებით არ იყო ოდენ წყნარი კაბინეტის ბინადარი. მე არ მეგულება ნახევარი საუკუნის მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი სოციალური თუ კულტურული წამოწყება, რომელშიც მწერალს სიტყვით თუ საქმით მონაწილეობა არ მიეღოს. ახლაც კარგად გვახსოვს მისი ბობოქარი გამოსვლები ან მწვავე პოლემიკური წერილები რაიმე ნაჩქარევსა თუ უკუღმართად გადადგმულ ნაბიჯზე. ასეთი იყო თვით ღრმა ხანდაზმულობის წლებშიც, როცა იგი დიდის აღტაცებით შეეგება ჩვენში გაჩაღებულ ბრძოლას სულიერად ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის. ცხოვრებისეული ტენდენციებისაგან განაპირებული მწერლობა — დიდოსტატის აზრით, იმთავითვე სასიკვდილოდ იყო და იქნება განწირული.

* *
* *

ხელოვანის ბედს და მის ყველაზე უწმინდეს მისიას — იყოს მშობლიური ხალხის სანუკვარ ოცნებათა გამომხატველი — უძღვნა სახელოვანმა მწერალმა თავისი შემოქმედებითი გვირგვინი „დიდოსტატის მარჯვენა".

ისევე როგორც გალაკტიონმა ნიკორწმინდას, კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი სიცოცხლე შთაბერა საქართველოს ერთიანობის მარადიულ სიმბოლოს — სვეტიცხოვლის დიდ ტაძარს. „ხელოვნება თავად უკვდავებაა... მხოლოდ ოსტატს არ დაეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი".

დაე, სვეტიცხოველივით უკვდავების თანაზიარი იქმნას მისი სახელი ქართველი ხალხის ცნობიერებაში. ამ დიდ პატივს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე იმსახურებს ქართული მხატვრული სიტყვის ჰეშმარიტი დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია.

1983 წ.

5. ტიციან ტაბიძის პოეტური ღვაწლი

ტიციან ტაბიძე კვლავ დაუბრუნდა ქართველ მკითხველს. ახლახან, თითქმის ზედიზედ გამოვიდა სხვადასხვა ხასიათის ორი კრებული, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და თვალნათლივ წარმოაჩენენ XX საუკუნის ქართული პოეზიის ჰეშმარიტ რაინდს, პოეტს, მოაზროვნესა და მწერალს.

შე აქ ვგულისხმობ ტიციან ტაბიძის ლექსებსა (1955 წ.) და წერილების კრებულს (1957 წ.), რომელთა გამოცემას ასეთი სიყვარულით შოჰკიდებია შალვა დემეტრაძე — პოეტის მეგობარი და თაყვანისმცემელი (იხ. აგრეთვე სამტომეული, რომელსაც ერთვის დევი სტურუას საინტერესო წერილი).

ტიციან ტაბიძის უცნაური შთაგონება ყოველთვის იყო პოეზიის მოყვარულთა განსაკუთრებული ინტერესის საგანი. რასაკვირველია, ამ ინტერესს ამძაფრებდა პოეტის ტრაგიკული ხვედრი, რაც წინათგრძნობის სახით ახლავს კიდეც მის ზოგიერთ ლექსს: „მე ყაჩაღებმა შომკლეს არაგვზე, შენ ჩემ სიკვდილში არ გიდევს ბრალი“.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველი მკითხველის თვალში ტიციან ტაბიძე და ახალი ქართული პოეზიის მძლავრი მაჯისცემა გაუთიშველად არის დაკავშირებული. მართლაც, დიდი უმადურება იქნებოდა ამის დავიწყება. წინამდებარე წერილიც ყოველივე ამის კიდევ ერთხელ შეხსენებას ისახავს მიზნად.

ერთი რამ ამთავითვე ცხადია: ტიციან ტაბიძე თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის იდგა ახალი ქართული პოეტური კულტურისათვის გაჩაღებული ბრძოლის წინა ხაზზე. მეტი რომ არ ვთქვათ, იგი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც კამერტონივით გრძნობდა ფერისცვალების მოახლოებულ ტალღას. მართლაც, ბრძოლა და ძიება, სიახლეებისაკენ სწრაფვა ტიციან ტაბიძის პიროვნული თვისება აღმოჩნდა, ხოლო ყოველივე ეს ბეჭედივით აზის როგორც მის ბრწყინვალე ლექსებს, ისე ფიქრისა და აზროვნების ყოველგვარ გამოვლინებას, რაც სიტყვიერი კულტურის სხვადასხვა ფორმაში იყო გამჟღავნებული.

მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ტიციანის პოეტური ბუნება თითქოს უნისონში აღმოჩნდა მისსავე ეპოქის მღელვარე სულთან. სოციალური თუ კულტურული კრიზისიდან თავის დაღწევა პირველი რიგის ამოცანა შეიქნა. ამ თვალსაზრისით მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის შემდგომი განვითარების გზაზეც ჩვენი საუკუნის ათიანი წლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ეს იყო, მართლაც, ძნელად დასაძლევი გზაჯვარედინი და გაბედულ ძიებათა გარეშე წარმოუდგენელიც ჩანდა ახალი ნაპირების აღმოჩენა. არც ის არის დასამალი, რომ წარუმატებლობა და მარცხიც თან ახლდა ძიებათა ასეთ გზას, მაგრამ გულწრფელობა და თავგამეტება მას ერთი წუთითაც არ მოჰკლებია.

აქ ზოგჯერ ინტუიტური სწრაფვა ინტელექტზე ნაკლებ როლს როდი ასრულებდა, პირველ-მებრძოლნი, რომელთა შორის ტიციან ტაბიძე ყოველთვის გამოირჩეოდა, თითქოს საცეცებით მიიწევდნენ წინ. რასაკვირველია, მაქსიმალურად ჟღერს სხვა შემთხვევის გამო

ნათქვამი არტურ რემბოს სიტყვები, როცა იგი ინტუიციის სასარგებლოდ დაუღვინებელ აზრთა მოძალებას წმიდათაწმიდა პროცესად მიიჩნევს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ანალიზს ზოგჯერ გუმანი უსწრებს წინ და ეს არც ისე იშვიათი მოვლენაა ამა თუ იმ ხალხის სულიერი კულტურის განვითარების უღელტეხილზე.

სპეციფიკური ვითარების წინაშე აღმოჩნდა ჩვენი საუკუნის დასაწყისშივე ქართული პოეტური კულტურა და მე მგონი ამას არც სჭირდება ზედმეტი მტკიცება. მართლაც, XIX საუკუნის დიდი ქართული მწერლობა, რომელსაც აგრე გამოკვეთილად ჰქონდა თავისი მიზანი, გამოხატვის ფორმები, დაშრეტის პირას იყო მისული და მხოლოდღა ინერციის ძალით განაგრძობდა ფეთქვას. ინერცია კი ისეთი ნავთსაყუდელია, რომელსაც ხალისით აფარებს თავს ყოველგვარი ფსევდოკულტურული მოძრაობა. ეს ეპიგონიზმის ერთ-ერთი უნივერსალური კანონია და ამ შემთხვევაში 10-იანი წლების ქართული პოეზიის ზუსტი განმსაზღვრელიც.

დიდი ეროვნული თუ სოციალური ვნებათაღელვით დამუხტული კლასიკური პოეზია დაგვიანებული სატელიტების ხელში უნიჭო მელექსეობად იქცა, ხოლო გერმეტიზმის კვალით დაღდასმულმა კარჩაკეტილობამ აშკარა პროვინციალიზმის იერი მიიღო.

გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა" ორდენის უდიდესი დამსახურება უწინარეს მათ წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლის გამოცხადება იყო. ამის პირველი მაცნე გალაკტიონის უცნაური თრთოლვით აღბეჭდილი ლექსები, ხოლო მეორე მხრივ „ცისფერყანწელთა" ორდენის (1916 წ.) დაარსება იყო, რომლის თავკაცები; როგორც საკუთარი პოეტური პრაქტიკით, . ისე თეორიული დეკლარაციებით აშკარად ამყღავნებდნენ მეამბოხურ განწყობილებას. ტიციან ტაბიძე ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის.

მაგრამ უარყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამკვიდრებას. რთული და მტკიცნეული აღმოჩნდა ეს პროცესი და ზოგჯერ ესა თუ ის დებულება აშკარა აბსურდსაც შეიცავდა. იშვიათი არ იყო აგრეთვე თვალსაზრისთა აღრევა და ურთიერთგამომრიცხველ მოსაზრებათა წამოყენება. უარყოფის აშკარად გადაჭარბებული პათოსი ახასიათებდა, მაგალითად, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის დეკლარაციებს, რომლებიც „ცისფერი ყანწების" პირველივე ნომრებში იყო გამოქვეყნებული. პაოლო იაშვილი თავის წერილში, რომელიც პირველთქმის სათაურით იყო გამოქვეყნებული, წარსულის მსხვრევის ესთეტიკას ადიდებდა და ადრინდელ ქართულ პოეზიას ოდენ სიმშვიდისა და ფრინველთა გალობის მეხოტბედ წარმოგვიდგენდა. ტიციანის ზოგი წერილი ამ ხანებში ასეთივე ნიჰილიზმით სცოდავდა და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას მხოლოდ „თერგდალეულობით" გან-

საზღვრავდა. თითქოს მხოლოდ ეს იყო ილიასა და მისი თაობის ერთადერთი მისია, ხოლო „თერგდალეულთა“ გამარჯვება „ეს დამარცხებაა მთელი შემდგომი ხელოვნებისა. ამ დღიდან, — დასძენდა ტიციან ტაბიძე, — ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა (აშკარა ციტატა გრიგოლ ორბელიანიდან, — ს. ც.) მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია „გაზეთად“ („ცისფერი ყანწები“, № 2).

მაშინ, როცა „ძველი ქართული სულის“ განახლება ახალ ეპოქათა შუქზე (გავიხსენოთ თვით ილია ჭავჭავაძისავე დამკვიდრებული „ახალი ცნება „ევროპეიზმისა“) იყო რომანტიკოსთა, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის და მისი თაობის უდიდესი გმირული ღვაწლი. აქვე შევნიშნავ, რომ ტიციან ტაბიძემ, დიდი ეროვნული სულისკვეთების პოეტმა, რასაკვირველია, შემდგომში საბოლოოდ უარყო მისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე გამოთქმული ამკარად მცდარი მოსაზრებები.

მაგრამ ამ უარყოფაში იყო ჰეშმარიტების დიდი მარცვალი და იგი ბოლოს და ბოლოს მაინც ამ ხანებში გამეფებულ ეპიგონობისა და პროვინციალიზმის წინააღმდეგ იყო პირველ რიგში მიმართული. მაგრამ „ცისფერყანწელთა“ იერიში ამაზე არ მთავრდებოდა და აქ უნდა დავინახოთ უწინარეს მათი დიდი დამსახურება. ქართული პოეტური კულტურის განახლებისათვის ბრძოლა მათ თანამედროვე მსოფლიო კულტურის გამოცდილების გათვალისწინებაზე დაამყარეს, ბუნებრივია, რომ მათი მზერა პირველ რიგში დასავლეთ ევროპასა (კერძოდ, საფრანგეთსა) და რუსეთს სწვდებოდა, სადაც იმ ხანებში ასეთი გამოცდილების გაზიარებისა თუ გადმონერგვისათვის შესაფერი კულტურული ატმოსფერო სუფევდა. შესაძლოა, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი, მაგრამ მომავალი რაღაც სინთეზის მომასწავებელი წინათგრძნობაა გამოთქმული ტიციანის ერთ, თითქმის საპროგრამო მნიშვნელობის ლექსში, რომელიც 1916 წელსაა დაწერილი:

გაფიზის ვარდი, მე პრუდომის[1]
ჩავდე ვაზაში.
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის
ბოროტ ყვავილებს.
(„ჭალდეას ქალაქები“)

არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრთა უმრავლესობა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში იყ-

[1] ტიციან ტაბიძის გამოცემებში (და შესაბამისად მასზე არსებულ კრიტიკულ წერილებში) პირველი სტრიქონი ამ ლექსისა ასეა წარმოდგენილი: „გაფიზის ვარდი, მე პრუდონის ჩავდე ვაზაში“, მაშინ, როცა აქ პრუდონი არაფერ შუაშია. უნდა იყოს პრუდომი, უფრო ზუსტად პრიუდომი და იგულისხმება ცნობილი ფრანგი პოეტი და ესეისტი სიული-პრიუდომი (1839—1907 წწ.).

ვნენ ნამყოფნი და არა მხოლოდ წიგნებით, არამედ პირადი კონტაქტებითაც ჰქონდათ ათვისებული ბევრი რამ. ქართული ლექსის ნოვაციისათვის ბრძოლაში ყოველი ახალი მიმდინარეობა, რომლებიც სოკოსავით მრავლდებოდა იმ ხანებში, მათი განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა (ზოგჯერ განურჩეველადაც). სწრაფვა მსოფლიო პოეტური კულტურის ათვისებისაკენ გამოკვეთილად არის წარმოჩენილი ტიციანის ერთ ცნობილ წერილში, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა „რუბიკონის“ პირველ ნომერში, 1923 წელს.

შეიძლება ზოგი დებულება ამ წერილისაც არ იყოს ზუსტი, მაგრამ სიახლისა და მასშტაბების გაფართოების მოთხოვნის პათოსით იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, მოვიტან მხოლოდ ორიოდე ნაწყვეტს: თუმცა XIX საუკუნის ლიტერატურა, ტიციან ტაბიძის აზრით, გამორჩეოდა ამავე ხანების ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურებისაგან მაღალი ხარისხით, მაინც „ეს ლიტერატურა ვერ იდგა თანამედროვე ევროპული ხელოვნების მთელს სიმაღლეზე და ვერ შეეფერებოდა საქართველოს ბრწყინვალე ტრადიციებს (ამ შემთხვევაში, ტიციანი, პირველ რიგში, გულისხმობდა რუსთაველის ეპოქის მწერლობას, რაც მის სხვა წერილებიდანაც ჩანს. — ს. ც.). ჩვენ ვიცით ეპოქები, როცა ქართული მწერლობა წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას მსოფლიო ხელოვნების საზომით. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა მსოფლიო, ამ შემთხვევაში, ევროპული ხელოვნების რადიუსით არის პროვინციული ლიტერატურა, თავისი ვიწრო შემოფარგვლით, პროვინციული ინტერესებით და ესთეტიკური გაუმართობით... ქართულ მწერლობაში შემოდის ახალი ესთეტიკური კულტურა (იგულისხმება 10-იანი წლები და შემდგომ, — ს. ც.). ქართული მწერლობა თავს აღწევს გაუვალ პროვინციალობას და ექცევა მსოფლიო ლიტერატურის საერთო რკალში“.

ძიების პროცესში, რომელშიც აშკარა მიბაძვებიც არ ასრულებდა უკანასკნელ როლს, უტყუარი აქტი იყო ახალი მიმდინარეობებით საოცარი დაინტერესება. ასეთ გატაცებებზე გვიამბობს პოეტი გვიან, ერთ თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილშიც, რომელშიც მოსკოვში მისი სტუდენტური წლებიცაა აღწერილი. „1914—1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო, თუმცა უკვე იგრძნობოდა სიმბოლიზმის კრიზისი. შვეიცარიიდან ახლადდაბრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა თავისი ბუნდოვანი მისტიკური დაქანცულობა, ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები ჟესტ-მიმიკის თეატრზე. მახსენდება სკრიაბინის სიკვდილი და მისი დაკრძალვა, სკრიაბინისავე მუსიკის კულტი, იგორ სევერიანინის პოე-

ზიის უთვალავი საღამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სხდომები და ფორმულა „კანტიდან პრუდონამდე“, რუსეთის ჯარის წასვლა გერმანიის ფრონტზე, მარინეტისა და ემილ ვერჰარნის ჩამოსვლა მოსკოვში, „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების“ სხდომა ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში და ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, აკმეისტებისა და დადაისტების შეტევა სიმბოლისტების წინააღმდეგ. ნაცნობობა ბალმონტთან, რომელიც მაშინ რუსთაველის ვეფხისტყაოსანს თარგმნიდა, გატაცება ბლოკით და ინოკენტი ანენსკით, დაბოლოს, მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკის, ხოლო უფრო გვიან — ხლებნიკოვისა და სხვა რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მაღელვებდა და მიტაცებდა, და ასე თუ ისე აისახა კიდეც ჩემს შემდგომ მუშაობაში. პოლიტიკურ ამბებში მე სავსებით ნათლად ვერ ვერკვეოდი. ჩემი დამოკიდებულება რუსულ და ფრანგულ სიმბოლიზმთან სრულიად არაკრიტიკული იყო“.

მაგრამ ზუსტი დეფინიცია ამ კავშირებისა არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. არც „ცისფერყანწელთა“ ზუსტი ლიტერატურის პროფილის განსაზღვრაა უბრალო საქმე (ჩემის აზრით, გალაკტიონის ამ პერიოდის ლირიკის თვისებათა დახასიათებაც ბევრ გაუგებრობას ბადებს).

როგორც ცნობილია, ამ საგანზე, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, ბევრი რამ დაწერილა და ალბათ, კვლავაც არაერთგზის მოუხდება ქართულ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას მასზე ყურადღების გამახვილება. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ მოვლენათა არა მხოლოდ ზედაპირულ შრეებს და გაიოლების ნაცად ხერხებს არ გამოვედევნებით, რაც, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია.

ასეთი გაიოლების ან უფრო ზუსტად, საკითხის არასწორად დასმის ერთ-ერთ ნიმუშად მე მაინც მიმაჩნია შემდეგი: პირველი კითხვა შეეხება იმას, არსებობდა თუ არა ჩვენში ისეთი დასრულებული დეკადენტური მიმდინარეობა, როგორიცაა, მაგალითად, ფრანგული ან რუსული სიმბოლიზმი და გვაქვს თუ არა უფლება მას „ქართული სიმბოლიზმი“ ვუწოდოთ. მეორე კითხვა, რომელიც ასევეა გავრცელებული ლიტერატურულ წრეებში, პირველიდან მომდინარეობს და ერთგვარად სოციალურ ასპექტში გადააქვს საკითხის სიმძიმე. ბოლოს და ბოლოს, იყო თუ არა შესაფერი ნიადაგი საქართველოში, რათა ფეხი მოეკიდა ამ ტიპის მიმდინარეობას.

წინასწარ შევნიშნავ, რომ პირველ კითხვაზე ამ საკითხის მკვლევართა უმრავლესობის ნაშრომებში დადებით პასუხს ვიპოვით. მეტიც, ზოგს საწინააღმდეგოს მტკიცებაც კი უხერხულობად მიაჩნია. რაც შეეხება მეორე კითხვას, აქ, მართლაც, მეტი კდემა იჩენს თავს, ხოლო ზოგი კი საერთოდ გვერდს უვლის ზემოთქმულ ასპექტს. აქ იგულის-

ხმება შემდეგი: ფრანგული სიმბოლიზმი, მიუხედავად გარკვეული იდეოლოგიური ზეგავლენებისა (მათ შორის ივარაუდება უცხოურიც, კერძოდ, ვთქვათ ედგარ პოს როლი ფრანგული მისტიკური პოეზიის ადრეულ წარმომადგენლებზე), სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, თვით საფრანგეთის სინამდვილის პირმშოა, რომლის ერთი უპირველესი ნიშანი განვითარებული კაპიტალიზმის უკიდურესი ფორმაა, რასაკვირველია, გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ელფერით.

ანალოგიური ვითარების დადასტურება ქართული სინამდვილის მაგალითზე, მეტი რომ არ ვთქვათ, გამოუვალ ჩიხში მოამწყვდევდა ამ საკითხების ზედმეტად გაბედულ მკვლევარს. მაგრამ ეს წინააღმდეგობა თითქოს ქრება კიდეც, როცა ჩვენში უბრალოდ სიმბოლიზმის გადმონერგვის ცალკეულ ცდებზე ან სიმბოლიზმის ელემენტების მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ გამოვლინებაზეა საუბარი.

ჩემის აზრით, ამ საკითხებს ჩვენ უფრო ღრმად უნდა შევხედოთ, მაგრამ ამჯერად ორიოდე სიტყვით ისევ ტიციან ტაბიძის შემოქმედების ზოგიერთ მხარეზე გვექნება საუბარი, რადგან ზოგი დასკვნისათვის სწორედ მისი პოეზია თუ ცალკეული ნააზრევიც მოგვცემს გარკვეულ მასალას.

„ცისფერი ყანწების“ ორდენის დაარსების პირველსავე დღეებში მის აქტიურ წევრთათვის თითქოს ეს საკითხი გარკვეულიც იყო. ამაზე თვალნათლივ მიუთითებს ტიციან ტაბიძის მიერ ამავე ჟურნალში მოთავსებული დეკლარაციული ხასიათის ნაწყვეტი მისიჟე წერილიდან: კითხვაზე, არის თუ არა ჩვენში შესაფერი ნიადაგი სიმბოლიზმისათვის, იგი ასეთ პასუხს გვთავაზობს: „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. მას უნდა მუდამ სხვა იყოს, მას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არის. ამას ჩვენში დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზაციაა ცხოვრების. ეს ბუნება შეუსწავლელია ჯერ სრულიად. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბის, და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია. ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისათვის“.

უფრო მოგვიანებით ვალერიან გაფრინდაშვილი პირდაპირ აცხადებდა, იგი იზიარებდა პაოლო იაშვილის აზრს, რომ პირველი ლიტერატურული სკოლა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით ჩვენში მხოლოდ „ცისფერყანწელებმა“ შექმნეს.

ეჭვს გარეშეა, რომ ტიციანის ზემოთ მოტანილ ციტატაში ყველაფერზეა საუბარი (კერძოდ, ფსიქოლოგიაზე, ერის ხასიათზე და ა. შ.), და არა იმაზე, რასაც ამ შემთხვევაში ცნება „ნიადაგი“ გულისხმობს საზოგადოდ.

მაგრამ ბრძოლის პათოსით აღტყინებულთ მათ სწორედ ასე სწამდათ, რასაც მხარს უმაგრებდა მათივე პოეტური მცდელობა. მათ უშურველად გაუღეს კარი მოდერნისტულ პოეტიკას და გაბედულად მიმართეს მრავალფეროვან ექსპერიმენტს. „სიტყვათა „ალქიმიასთან“ (არტურ რემბო) ერთად მათ ლექსებში ისადგურებს სიმახინჯისა თუ ავადმყოფურ განწყობილებათა ესთეტიკა, ირღვევა რეალური პროპორციები, ყალბი პოზა და ბუტაფორია ცვლის ერთმანეთს. გავიხსენოთ ისევ ტიციანის ცნობილი ლექსი „ბირნამიის ტყე“, სადაც თითქოსდა თავს იყრის მართლაც უცნაური და მოულოდნელი პოეტური ხილვები:

ბირნამიის ტყე... ქალდეას ჩრდილო,
ლორდი პიერო მოღუნულ კუზით,
ლედი მაკბეტი პერანგგახდილი
გადამთვრალ სტუმრებს მუხლებზე უზით.

მოჰყავთ არტური ავადმყოფ ჰინკებს,
მოწყვეტილ ფეხით ჰიანურს უკრავს,
თავისმკვლელები ავსებენ ჰიქებს
და ულოცავენ ამაყ მოურავს.

ყვითელ მალაელს მოსდევს პაოლო,
ფარშევანგების შვმოკრა ალყა,
და ოფელიამ თეალი მოაცლო —
ვალერიანმა ჰამლეტს გაარტყა.

დგება ტაძარი სახრჩობელაზე
ფეერიული და ეფემერი.
არვის ვენდობი, მაგრამ ყველაზე
უფრო მაწვალებს სინაზით მერი.

და კოლომბინას ჭლექის ხველაზე
შეატრიალებს კარს ნოემბერი.

ბოჰემური არტისტიზმითა და ავადმყოფობის აპოლოგიით კიდევ უფრო მძაფრია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „ბოჰემის მონოლოგი“, სადაც დიდ წინაპართა აჩრდილებთან გათიშვის კულტია წარმოჩენილი: „სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა, გარდა თვითმკვლელობის. არ მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო ან აკაკი, მე მირჩევნია დავიღუპო როგორც ბოჰემა, სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა, გარდა სიგიჟის, პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა: სიგიჟე, ჭლექი და თვითმკვლელობა“.

ნიმუშების გამრავლება აქ უსასრულოდ შეიძლება, მით უფრო, თუ მათში ჩავრთავთ „ცისფერყანწელთა“ ორდენის სხვა წარმომად-

გენლებსაც, მაგრამ ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა, ხოლო სურათი თვისობრივად ანალოგიური იქნებოდა.

მაინც, ჩემის აზრით, და მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მარტო არა ვარ, როგორც დეკლარაციაში (რომელთა ზოგი ნიმუში ზემოთ მოვიტანეთ), ისე პოეტური პრაქტიკით „ცისფერყანწელები" ერთსულოვანი არ იყვნენ და ამასთან ზოგი რამ მათთვის ჯერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებულიც არ იყო.

წინასწარ შევნიშნავ, რომ საუკუნის მიჯნაზე მრავალფეროვანი მოდერნისტული სკოლები თვით საფრანგეთსა და რუსეთშიც გამიჯნული არ იყო. კარგა ხნის მანძილზე, მაგალითად, პოლ ვერლენს (1844—1896 წწ.) სიმბოლისტად მიიჩნევდნენ თუნდაც იმიტომ, რომ არტურ რემბო (1854—1891) მისი უახლოესი მეგობარი იყო წლების მანძილზე, მაშინ, როცა ვერლენის ცნობილი ლექსების ციკლი „რომანსები უსიტყვოდ" („Romances sans paroles") ფრანგული ლიტერატურის თანამედროვე მკვლევართა აღიარებით მსოფლიო მასშტაბის მჭონე იმპრესიონისტული ხასიათის შედევრია. დაახლოებით ასეთი ვითარებაა სტეფან მალარმეს (1842—1898) პოეზიის შეფასებისას და სრულიადაც არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ ე. წ. „დაწყევლილი პოეტები" მას თავიანთ წინამორბედად და, ამდენად, სიმბოლიზმის მამამთავრად მიიჩნევდნენ ფრანგულ პოეზიაში. ასეთი მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ აქ დავსძენ, რომ რიგ შემთხვევაში ასეთივე ვითარება ხშირად იჩენს თავს რუსული სიმბოლიზმის (ამ ტერმინს ფართო მნიშვნელობით ვიყენებთ) ცალკეულ წარმომადგენელთა ზუსტი პროფილის გამოკვეთის ცდისას (საკმარისია გავიხსენოთ წინააღმდეგობანი ა. ბელის ან ვ. ბრიუსოვის შემოქმედების დახასიათების დროს).

მე, რასაკვირველია, შორს ვარ, მეტი რომ არ ვთქვათ, იმ სქოლასტიკური კვლევის მეთოდებისაგან, როცა ამა თუ იმ პოეტის შემოქმედება მიმდინარეობათა მკაცრ მიჯნებშია მოთავსებული, მაგრამ ძირითადი ტენდენციები თუ მსოფლშეგრძნების მთავარი ხაზი მაინც გვაძლევს გასაღებს აღნიშნულ მიმდინარეობებთან მათი დამოკიდებულების გასარკვევად.

მით უფრო რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა ვცდილობთ გავერკვეთ ათიანი წლების ქართული მწერლობის, კერძოდ კი, „ცისფერყანწელთა" ორდენის ძირითად ტენდენციებში და ზუსტ კვალიფიკაციებს დავუმორჩილოთ მათი მხატვრული მიდრეკილებანი.

არც ის არის დასავიწყი, რომ იმ დროს, როცა ტიციან ტაბიძის სიტყვით „ევროპულ რადიუსზე გამართვისაკენ" მიისწრაფოდა ქართული მწერლობის ავანგარდული ფრთა, დეკადენტურ მიმართულებათა დიდი ნაწილი ფაქტიურად უკვე აღარც არსებობდა, ახალ მიმდი-

ნარეობებში იყო გადაზრდილი ან კი მხოლოდ შორეულ მოგონებადღა რჩებოდა.

ეს წინააღმდეგობანი და ზოგჯერ აშკარა დაბნეულობაც მსჭვალავს არა მარტო მათ მიერ გამოქვეყნებულ თეორიული ხასიათის დეკლარაციებს, არამედ მათსავე პოეზიას, სადაც რემინისცენციები, ცალკეული პასაჟები თუ ალუზიები აშკარად მომდინარეობს სრულიად სხვადასხვა მიმდინარეობათა, განსხვავებული სკოლებისა თუ პრინციპულად ერთმანეთის გამომრიცხველ მხატვრულ მიდრეკილებათა მქონე პოეტებისაგან.

ამის უტყუარი მაჩვენებელია თუნდაც ტიციან ტაბიძის ზემოთმოტანილი საპროგრამო ხასიათის ლექსი: „გაფიზის ვარდი, მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“, სადაც ერთმანეთის გვერდით დასახელებულია აშკარა პარნასელი პოეტი სიული პრიუდომი და „დაწყევლილ პოეტთა“ ერთერთი ლიდერი შარლ ბოდლერი (1821—1867).

„ცისფერყანწელთა“ ორდენის პოეტების ქმნილებათა უბრალო თვალის გადავლება მყისვე დაგვარწმუნებს, რომ აქ ზუსტი პრინციპები არ იყო დაცული და პარნასელების გვერდით ასევე ხშირად არიან წარმოდგენილები იმპრესიონისტები, სიმბოლისტური პოეტიკის სახეებს ენაცვლებიან ულტრამემარცხენე მიმდინარეობათა (ფუტურიზმი, დადაიზმი) პოეტური ფორმულები და საერთოდ სხვადასხვაგვარი „იზმიდან“ მომდინარე გავლენები.

ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ ამ გავლენათაგან ბევრი რამ აშკარად უცხო ჩანდა და ფაქტიურად არც იყო ბოლომდე გაშინაგნებული (რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად). ალბათ, ესეცაა უპირველესი მიზეზი, რომ სწორედ ამ ხანებში მათ პოეზიაში ბევრია ძიება, მაგრამ იგივე არაა პირდაპირ პროპორციული მათივე შედევრებისა. პოზა, ზოგჯერ დაუსაბუთებელი განცდები, ბუტაფორია თუ ავადმყოფურ განწყობილებათა ყალბი ესთეტიკა, თავი რომ დავანებოთ სრულიად უცხო ურბანისტულ ნაკადს, აშკარად მიგვანიშნებენ ზემონათქვამზე და სხვაგვარად, მართლაც, წარმოუდგენელიც იქნებოდა.

ხოლო ყოველივე ამის გამო, ჩემის აზრით, ე. წ. წმინდა ქართული სიმბოლიზმი სადავო რამ არის, რაგინდ დაჟინებული ჩანდეს „ცისფერყანწელთა“ სურვილი, მათ გატაცებას მყარი ფილოსოფიურ-ესთეტიკური სკოლის სახე მიეღო. მე აქ ვგულისხმობ მსოფლშეგრძნების ერთობლიობას და ოდენ სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელ პოეტიკას, რის გარეშეც რაიმე სპეციფიკური, სხვათაგან განსხვავებული, ნიშნების მქონე სკოლა წარმოუდგენელია. მით უფრო, რომ ამ „სკოლამ“ ვერცერთი ტიპიური, სულით ხორცამდე აშკარა წარმომადგენელი სიმბოლისტური მიმართულებისა ვერ მოგვცა და, ალბათ, ეს

შეუძლებელი იყო. (იხ. აგრეთვე თ. ჩხენკელი, წერილები, გვ. 12).

„ცისფერყანწელთა“ დიდი დამსახურება ჩვენ სხვაგან უნდა დავინახოთ და არა ე. წ. ქართული სიმბოლისტური სკოლის დაარსებაში.

მოძალებულ ეპიგონობასა და პროვინციალიზმთან ბრძოლაში მათ ფართოდ გაუღეს კარი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის გამოცდილებას და იგი ქართული ლექსის განახლების ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნიეს (გარკვეული სოციალური პირობების გამო არც დეკადენტური განწყობილებები იყო მათთვის მთლიანად უცხო). მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მათ ეს ძიებები არ შემოუფარგლავთ რომელიმე ერთი სკოლის ფარგლებით და „პარნასელებიდან“ მოკიდებული მათი დაჟინებული მზერის არეში მოექცა თითქმის ყველა იმ ხანად არსებული ახალი მოდერნისტული სკოლა.

სინამდვილის მხატვრული დაუფლების არე ყოველივე ამან საოცრად გააფართოვა და სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა უღრმესი სულიერი შრეების წვდომისათვის. ქართული ლექსი ტევადი გახდა და პოეტიკის მრავალფეროვანი ხერხებით აღიჭურვა. იმპრესიონისტული ფერწერა თუ სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი დაინტერესება ირაციონალური სამყაროთი ქართული ლექსის მომავალი განვითარების გზაზე ახალ პერსპექტივებს სახავდა და ეს განხორციელდა კიდეც. გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა“ ზოგი წარმომადგენლის პოეტური პრაქტიკა შემდეგ და შემდეგ ამის საუცხოო მაგალითად გამოდგება.

გადამწყვეტი როლი ითამაშა იმანაც, ეს მათ უტყუარ ალღოზეც მიუთითებდა, რომ არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ ძირებთან, ქართული პოეზიის დიდ ტრადიციებთან (ეს ხაზი უფრო მათ პოეტურ პრაქტიკაში გამოვლინდა) და, ამდენად, არც სამყაროს რეალისტური აღქმის ნიშანდობლივი თვისებები გაჰქრობიათ ხელიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ეს ძიებები „მოდის“ ფარგლებს ვერ გასცილდებოდა. ამიტომ იყო, რომ „სამშობლოს“ თემაც ხშირ შემთხვევაში ასე ორგანულადაა შესისხლხორცებული მათ საუკეთესო პოეტურ ქმნილებებში.

ამავე ჯგუფის პოეტებისათვის, როგორც ჩანს, კარგად იყო ცნობილი პოლ კლოდელის (1868—1955) ვერლიბრებში სიმბოლისტების საწინააღმდეგო თემა „მიწის სინედლის უკვდავ გრძნობაზე“, რომელიც ეხმაურება „ცისფერყანწელთა“ შემოქმედების მომდევნო ეტაპზე წამოყენებულ დებულებას „მიწასთან დაბრუნების“ შესახებ (ვალერიან გაფრინდაშვილის ფრაზაა).

განახლებული და მდიდარი პოეტური შესაძლებლობებით აღჭურვილი ქართული ლექსი თამამად გამოვიდა დიდ მაგისტრალზე და სავ-

სებით მზადმყოფი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ახალ ნაბიჯებთან მიმართებაში. ქართული ლექსის რეფორმაციის პირველი მაცნეები სწორედ „ცისფერყანწელები“ იყვნენ და მათვე შემდეგ ბრწყინვალე შედევრებით გაამდიდრეს თანამედროვე ქართული პოეზია.

ტიციან ტაბიძის პოეტური გზაც ამის აშკარა დადასტურებაა.

წინამდებარე პოეტური კრებული, სამწუხაროდ, არ იძლევა საშუალებას მთლიანობაში წარმოვადგინოთ პოეტის მთელი შემოქმედება და ეს, ალბათ, მომავალში განხორციელდება. ამიტომ შევჩერდით მის ზოგ ადრეულ ლექსზე, რომელიც წინა კრებულში (1934 წ.) ან ათიანი წლების პრესაშია მიმოფანტული. აქ არც ის რამდენიმე ლექსია (მაგალ. „სერგეი ესენინს“, „ილაიალი“, „ნინა მაყაშვილს“, „ოცდასამი აპრილი“ და მრავალი სხვა), რომლებიც ტიციანის შემოქმედების უფრო გვიან პერიოდს ეკუთვნის და კარგად ამხელს, თუ რა ტკივილებით, მტანჯველი განცდებით მიიწევს წინ ახალი სინამდვილისაკენ მისი პოეტური სიტყვა.

ძველთან განშორებისა და ახლის მოლოდინი ნიადაგ ავსებდა მის სულს, რადგან ამას გარდუვალობის კანონი კარნახობდა: „ჯერ კიდევ ვზივარ ძველებურ ტივზე, ეტირი შეკრული ფიჭვის გედებით, არ შევჩერდები მე ამ მოტივზე, მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით“ („თბილისის ღამე“, 1927 წ.).

ბრძოლასა და ჭიდილში გამობრძმედილი მისი პოეტური სიტყვა ახალ ეღერადობას იძენს, ხოლო სათქმელის მაღალი ოსტატობა მხარს უმაგრებს სამყაროს ნათელ აღქმას, ჰარმონიისაკენ სწრაფვას. მისი ხმა ფოლადს გამოსცემს, ხოლო პოეტური ხილვები ძლიერი და მასშტაბურია. ამის დასტურია ტიციანის პეიზაჟური ლირიკის ერთ-ერთი შედევრი „ამოდის, ნათდება“, რომელიც აგრეთვე 1927 წელსაა დაწერილი:

ამომავალ მზის ოქროს ნათელი
თავზე ადგება საქართველოს მთებს
და ნამქერებში ღამენათევი
მთვარე ანათებს და არც ანათებს.

ზევით ღრიალით მიგორავს თერგი,
ქვევით გრიალი გაუდის არაგვს
მზეს გაუდენია ყინულის ქერქი,
მთა დაუფშვნია უხილავ წერაქვს.

ქარს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს,
გადაეფარებს ყაზბეგს შვინდებად,
შერცხვეს ეაჟკაცი, თუ ამ მზეს ხედავს
და სიკვდილს კიდევ შეუშინდება.

მიეჩერებიყარ ცას გაკვირვებით
და აღმიტაცებს სიცოცხლის ფეთქვა.
ვაჟა-ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით,
ხიმიკაურის გული ჩამედგა.

მზიური ფერები, სიცოცხლის მძლავრი მაჯისცემა და ეროვნული აღორძინების რწმენა უხვად იღვრება მის ახალ ლექსებში, რომლებიც ოციანი წლების ბოლოსაა შექმნილი. იმ თემებშიც კი, რომლებიც მის შემოქმედებას თავიდანვე დაჰყვა, როგორც რაღაც იმანენტური და მარადიული, იგი გარდასახვის საოცარ თვისებას ავლენს.

პოეტი ერთგან არაჩვეულებრივი გულწრფელობით მიგვანიშნებს მთელი მისი შთაგონების ერთ-ერთ ყველაზე მაცოცხლებელ ფესვზე: „და აწვალებდა მას სიკვდილამდე, ქართული მზე და ქართული მიწა“. მე უკვე ზემოთ აღვნიშნე, რომ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში ეროვნული სულისკვეთება ყოველთვის ძალუმად ფეთქდა და იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფერმენტი იყო მათი პოეზიის თვითმყოფადობის გზაზე.

ტიციან ტაბიძესთან ეს თემა, შეიძლება ითქვას, ყველაზე გამოკვეთილად იგრძნობა და სხვადასხვა ვარიაციებში ვლინდება. ზოგჯერ აქ ერთგვარ გადაჭარბებასაც ჰქონდა ადგილი, როცა მის ცნობილ პოემაში „ცხენი ანგელოსით“ ქართველი ხალხის განსაკუთრებულობა ე. წ. მესიანიზმის იდეითაა გამოხატული. ისტორიზმის თავისებური განცდა, ძველი საქართველოს იდეოლოგიიდან ცნობილი მოტივები ავტორის პოეტური ამოცანის კვალობაზე ერთმანეთშია გადახლართული და ტრაგიკულ ტონალობას იძენს:

აქ რომ სტიროდა ამირანი, ვინ გააპარა?
აქ რომ სტიროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა?
აქ რომ იბრძოდა საააკაძე, ვინ დააკავა?

სახე-იდეა „ცხენი ანგელოსით“ ალუზიაა წმინდა გიორგის მხედარზე და „მარად უკვდავი სულის“ ახლებური გააზრებაა. ხოლო „გაშლილი ველი საქართველოს, აზიის სარკე“... თარეშისა და განადგურების სარბიელია, რომელსაც ბედისწერასავით ასკდება უხეში და დამთრგუნველი ტალღები „მაჰმადის ხმლით“ ხელში და ხან კი „ყვითელი ურდო ვიწრო თვალებით“. პოემის პათოსი იქითკენ მიგვმართავს, რომ ყოველივე ეს გარდუვალობის კანონია, ქართველი ხალხის ბედისწერაა. ასე იყო და ალბათ მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ მაინც აპოთეოზად აღიქმება პოემის ფინალი. ქართველი ხალხი ყოველთვის მაღალი, წმინდა იდეების დამცველია, იგი გამორჩეულია და მას მარად დაიფარავს წმინდა მხედარი, როგორც ეს იყო შორეულ და საშინელ

საუკუნეებში. წარსულის რომანტიკული განცდის ძალზე თავისებური ნიმუშებია მისი ცნობილი ლექსების ციკლი „წიგნიდან ქალდეას ქალაქები“ და რამდენიმე სხვაც. ეს ლექსებიც, მეტწილ შემთხვევაში, როგორც მსოფლშეგრძნების გარკვეული ნაკადით, პოეტური ხილვებითა და მხატვრული ხერხებით დეკადენტური პოეტიკის საკმარისად დიდი დოზითაა შეფერილი.

ახალ კრებულში მოთავსებული ლექსებიდან, ამ თვალსაზრისით, რამდენიმე ლექსი იქცევს ყურადღებას. მათ არ აკლიათ არც თავგამეტება (რაც საერთოდ დამახასიათებელია მისი პოეზიისათვის), არც სიმძაფრე, მაგრამ აქ ტრაგიკულ ნოტებს ცვლის მღელვარე პათოსი, მოზღვავებული სიხარულის გრძნობა, განცდა იმისა, რომ იგი ბედნიერი და ულამაზესი ქვეყნის შვილია, მონაწილე და თვითმხილველი ეროვნული აღორძინებისა. პოემაში „ცხენი ანგელოსით“ ჩაქსოვილი იდეა მარად უკვდავებისა სრულიად ახლებურადაა აფღერებული ლექსში „სამშობლო“: „ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება, ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი, არ უნდა კვესით გულს ამღერება, ცეცხლმოუდებლად იწვის აბედი“. ეს ლექსი იმითაცაა დამახასიათებელი, რომ საქართველოს ისტორიული წარსულის პოეტურ სახეებში გადმოცემას რეალისტური კონცეფცია უდევს საფუძვლად. არა ბედისწერამ, ან გამოცხადების აპოკალიფსურმა იდეებმა, არამედ ქართველი კაცის მხნეობამ, სულიერმა სიმტკიცემ და დაუღლელმა გარჯამ გადაარჩინა. ჩვენი ქვეყანა „აღგვას პირისაგან მიწისა“.

ამღერებით, ლაღი ინტონაციებით განსაკუთრებულია ამავე თემით შთაგონებული ტიციან ტაბიძის ცნობილი ლექსი „მაშ, გამარჯვება“. პოეტური კილოს შერჩევისას აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ ილიას ცნობილი ფრაზები: „კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ, ლამაზად მორთულ და მოკაზმული, მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“. ღრმა დაფიქრებისა და წუხილის განცდას, რომელიც ილიას ლექსს ელეგიურ ტონალობას ანიჭებს, აქ ენაცვლება კონტრასტული ხერხით გამოთქმული, მოულოდნელობის ეფექტზე აგებული სტრიქონები, რომელიც ლექსის საერთო მაჟორულ ქსოვილს შეეფარდება:

ნეტა სადა აქვს ამ ზეარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი,
სჯობს ალარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

ტიციან ტაბიძის ეს ლექსი დაუოკებელი სიხარულის განცდას ბადებს და ისე, როგორც პოეტის შედევრთა უმრავლესობა, თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა წარმოთქმული, ხოლო საოცრად მიგნებული

პოეტური გრადაციები მას განუმეორებელ ელფერს ანიჭებს. აქ არის ინტიმი, რაღაც მღელვარება, როცა პოეტი ლექსს იწყებს შემდეგი სიტყვებით: „თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე და დავუჩოქებ მიწას მუხლებით“, მაგრამ მისი ხმა შემდეგ და შემდეგ პათეტიკური ხდება და მოწოდებასავით გაისმის ფრაზები: „...მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს, რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს“. მაგრამ იგი ბოლომდე არ ენდობა მხოლოდ პათეტიკურ ხმას და ცხოვრებისეული, მსუყე სახეებით აძლიერებს პოეტურ სურათს. მისი პალიტრა ამ შემთხვევაშიც უხვია და მრავალფეროვანი:

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,
სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს!

სამყაროს სილამაზით აღტყინება, სამშობლოსთან თანაზიარობა და მისი პირადი, ადამიანური მოვალეობის მძაფრი შეგრძნება კომპოზიციურ სრულყოფილებას ანიჭებს ლექსის, მართლაცდა, დიდებულ ფინალს:

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი;
— მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ
დავრჩებით ერთად ჩვენ კანუყრელი!..

ახალ ლექსებში მძლავრ ნაკადადაა შესული განახლების, საკუთარი პოეტური გზის გადაფასების თემა, რომელიც სხვადასხვა ნიშნით ვლინდება თითქმის მის ყოველ ქმნილებაში, მათ შორის პუბლიცისტურ წერილებსა თუ კრიტიკულ სტატიებში. აქ მინდა გავიხსენო ერთი ადგილი 1928 წელს დაწერილი ლექსისა, რომელიც უძღვის პოეტის ცნობილ „დადაისტურ მადრიგალებს“ („რა საჭიროა აქ პირფერობა, მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „დადა“), სადაც ძველის გადაფასების, ახლისაკენ სწრაფვის თემა საინტერესო პოეტური სახითაა გადმოცემული: „დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს, ცარცით კი არა სისხლით რომ ვწერდი, საბჭოთა მიწა! გიკოცნი ფესვებს, ახალ ცხოვრების ვარ ალაverდი“. ეს ლექსი იმითაც არის საგულისხმო, რომ, ჩემის აზრით, აქ არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კონკრეტული მინიშნებით ეკამათება მის ადრეულ ლექსში გამოვლენილ დეკადენტურ განწყობილებას. მართლაც, ადრე დაწერილ ლექსში „სეზონის ფალავანი“, რომელშიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღდგენილი პოეტის სულში დარღვეული სულიერი თანაფარდობა, არის ასეთი სტრიქონები:

ეს სულ ერთია, მაინც გაუკეთარია,
შეიძლება წერა იეროგლიფებით,
თითქოს პატარა ბავშვი ვარ გრიფელით
და ჩემი სულიც სხვას ამბარია.

აშკარაა, რომ აქ უკვე არის დაძრული ის განწყობილება, რომელიც ზემოთ მოტანილი ლექსის ხაზგასმულ სტრიქონებში უკვე ჩამოყალიბებული კონცეფციის მნიშვნელობას იძენს.

ტიციანი მთელი თავისი არსებით სუნთქავდა პოეზიით და ახალ ვითარებაშიც თავდავიწყებამდე მისული შთაგონებით უმღერდა ძვირფას ადამიანურ საუნჯეებს, აღორძინების გზაზე შემდგარ მისთვის „მარად უბერებელ“ სამშობლოს. მის ლექსებს ბოლო ხანებში ყოველივე ამან არაჩვეულებრივი პუბლიცისტური შემართება მიანიჭა და იგი იქცა ნამდვილ პოეტ-ტრიბუნად. ამ მხრივ, დაუვიწყარია მისი პოემები „რიონი-პორტი“, „თერამეტი წელი“ და ზოგი სხვა ლექსიც.

ძიებათა დახლართულ გზაზე, ეს ძალზე ნიშანდობლივია მისი პოეზიისათვის, იგი იძენდა გამოხატვის ახლებურ ფორმებს, დაჟინებით ებრძოდა პოეტურ სიტყვას, მიისწრაფოდა ახალი სივრცეებისაკენ, მაგრამ მისი პოეტური ტალანტის უმთავრესი თვისებები შეუდრეკელი აღმოჩნდა და მხოლოდ შემდგომი სრულყოფისაკენ ილტვოდნენ.

პირველივე ლექსებში გამოვლენილი სიმძაფრე, ცხოველი პერცეფცია, სულიერ წინააღმდეგობათა დაურიდებელი გამჟღავნება, საოცარ დაძაბულობას ანიჭებდა მის პოეტურ ხილვებს. წარუშლელ განწყობილებას ბადებდა ისიც, რომ თითქოს მას ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს, ბოლომდე გაემჟღავნებინა მოზღვავებული სათქმელი, რომელიც ფორმისმიერ ასპექტში დანაწევრებულ პოეტურ ფრაზებსა და სიტყვებში ვლინდებოდა. ამასთან დაკავშირებით, მართებულად შენიშნავდა სიმონ ჩიქოვანი, რომ „ტიციან ტაბიძეს, როგორც სიტყვის ოსტატს, პოეტურ ფორმაში შეიძლება არ ჰქონდა ისეთი თავისუფალი სუნთქვა, როგორც გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს ანდა პოლო იაშვილს, არც ლექსის ისეთი ნაჭედობა და დახვეწილობა, როგორც მისი თაობის ზოგიერთი სიტყვის ოსტატს, მაგრამ მას ჰქონდა გასაოცარი ლირიკული სიმძაფრე და თავგამეტება. პატრიოტულ თუ სატრფიალო ლექსებში თავდავიწყებამდე მისული გატაცება და მის სტრიქონს გრძნობის უჩვეულო ტევადობა ახასიათებდა. მაშინდელ ქართულ პოეზიაში ასეთი დრამატიზირებული ხმის პოეტი მე არ მეგულება. ლექსის წერის დროს იგი თითქოს სისხლიდან იცლება და ყველა ჭრილობას პირი გახსნილი ჰქონდა, სიხარულის ყველა თასი დაცლილი იყო...“

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.

ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

შორს რომ არ წავიდეთ, ამ თვისებებს საოცრად ამხელს ტიციან ტაბიძის ცნობილი სატრფიალო ლირიკის შედევრი „ანანურთან“ (თამუნია წერეთელს), სადაც გამეღავნებულ გრძნობას, რომელსაც არც სიყვარულის სუბლიმირება და არც განცდათა სიფაქიზე აკლია, ამძაფრებს მასში ჩაბუდებული რაღაც წინასწარგანჭრილი ტრაგიკული აღსასრულის მოლოდინი. ლექსი თითქოს ნეიტრალური ფრაზით იწყება: „შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის მომაგონდები ამ ანანურთან“, მაგრამ იგი გამძაფრებულია თავისთავადი, პარალელური წყვილით: „შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“. მაგრამ ლექსის ფინალში ისიც ირკვევა, რომ აქ „ანანური“ შემთხვევითი მინიშნება არაა და განშორების გულისტკივილთანაა დაკავშირებული, როცა, ალბათ, კიდევ ერთხელ იელვებს მისთვის ესოდენ ძვირფასი სახე მიჯნურისა: „ასე კვდებოდა ალბათ ათასი და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური, ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკელელობის იავნანური“. ლექსში „ვრუბელის მიერ დახატულ თამარის სახეს“, „ნაზ მოგონებებს“ ლეიტმოტივად გასდევს უღრმესი შრეებიდან დაძრული საშინელი წინათგრძნობისა თუ გარდუვალი განშორების სიმძიმილი, რაც მისთვის დამახასიათებელ ენერგიულ სტრიქონებშია გამჟღავნებული:

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.

ასეთი ინტონაციები, რაღაც შინაგანი წუხილი, ასევეა ჩაქსოვილი მის მშვენიერ ლექსებში, რომლებშიც ბუნების პოეტური სურათებია გადმოცემული. პოეტურ თვისებად ქცეული ეს სიმძაფრე განუმეორებელ ელფერს ანიჭებს მის პეიზაჟურ ლირიკასაც. მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ ადრეულ ლექსებს, რადგან მათში ამ განწყობილებებს გაბატონებული ადგილი უკავია. ახალ ლექსებშიც, როცა იგი ბუნების სურათებს ხატავს, ასევე პერსონიფიცირების ხერხებს მიმართავს. პლასტიკური სურათების ხატვაზე უფრო მას საკუთარ განწყობილებათა გამჟღავნება იტაცებს, თუმცა ბუნების გრანდიოზულობის აღქმის მაღალი ნიჭი ერთი მისხლითაც არ აკლია: „წამექცა თავზე ცა გარღვეული და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა, და დარიალით გადარეული თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს“ ან „და გადავყურებ ალმასს უფსკრულებს, კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს“, სიხარულის ბუნ-

დოვანი, პირველი გამოღვიძების სიხარულის გამოსახატავად მას ძალუძს წარმოგვისახოს ბუნების დიდებული პოეტური სურათი:

მე დავიბადე აპრილის თვეში,
ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან,
მაშვიმს სითეთრე და წვიმის თქეში
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან.

ასეთ დროს მრავალფეროვანია მისი პალიტრა, მკაცრი ბუნების სურათებს, რომლებიც ასეთივე ენერგიული ინტონაციებითაა გადმოცემული („შორით კი მოჩანს თეთრი მყინვარი... თითქოს ყაზბეგი სულში მძვინვარებს"), სხვა ლექსებში, ასევე მაუწყებელი მის სულიერ განწყობილებათა ცვალებადობისა, ენაცვლება პეიზაჟის ხატვის სხვაგვარი მანერა, მსუბუქი და მშვიდი ტონები:

ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი,
რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არა.
ერთად გააღო ცამ შვიდი კარი
და ზღვას სარტყელად გადაუარა.

პოეტის არტისტული ბუნება თვითგამოხატვის სხვადასხვაგვარ საიდუმლოს ფლობდა. შემოქმედებითი სიხარულის დიადი წუთები მისთვის ძალზე ნაცნობი და ახლობელი იყო. მას ეს გრძნობა არა ერთგზის გაუზიარებია კიდეც მკითხველისათვის:

მივალ, მივდივარ, და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩ-მიუდებლად რომ იკოცნება.

„ქართული მზე" და „ქართული მიწა" ნიადაგ აწვალებდა მასზე უსაზღვროდ შეყვარებულ პოეტს და ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად. მან შეძლო სამუდამო კვალი დაემჩნია ჩვენი სულიერი კულტურის ისეთ დიდ ასპარეზზე, როგორიცაა ქართული პოეზია.

ცნობილი ფრანგი პოეტი ლუი არაგონი შენიშნავს ერთ თავის წერილში, რომელიც გზაჯვარედინზე მდგომი პოეტების შემოქმედებას ეხება, აქ საუბარია იმაზე, რომ მათ მხოლოდ იმ ნიშნით კი არ უნდა ვაფასებდეთ, თუ საიდან, რომელი მიმდინარეობიდან გამოვიდნენ ისინი, არამედ, მთავარია, საბოლოოდ სად მივიდნენ.

ტიციან ტაბიძემ შინაგანი ბრძოლითა და არაჩვეულებრივი ძალისხმევით გადმოლახა ყველა ზღუდე და მოაშურა იმ დიდ პოეზიას, რომელსაც მშობლიური ხალხის დიადი სიმღერა უნდა წარმოეთქვა.

ტიციან ტაბიძე, როგორც ითქვა, კვლავ დაუბრუნდა ქართულ მკითხველს და იგი ჩვენთან მოვიდა არა მარტო ლექსების კრებულით, არამედ როგორც საინტერესო მოაზროვნე და მხატვრული პროზის თვალსაჩინო ოსტატი. ამის უტყუარი მოწმეა მისი წერილებისა და ნარკვევების წიგნი. რასაკვირველია, როგორც ზემოაღნიშნული ლექსების კრებული, ისევე წერილების ეს წიგნი სრულიადაც ვერ ამოწურავს პოეტის მთელ მემკვიდრეობას (განსაკუთრებით დასანანია, რომ აქ არ არის მისი პირველი პერიოდის საინტერესო წერილები და დეკლარაციები), მაგრამ აქაც ნათლად ჩანს ის ფართო ლიტერატურული ჰორიზონტი და მაღალი გემოვნება, რაც უდავოდ იყო ტიციან ტაბიძის მთელი შემოქმედების მთავარი ნიშან-თვისება. მკითხველი აქ ნახავს შესანიშნავ წერილებს ქართულ კლასიკურ მწერლობაზე, დაწყებული გურამიშვილითა და ვაჟა-ფშაველათი და გათავებული ვასილ ბარნოვითა და შიო არაგვისპირელით, რუსული ლიტერატურის კორიფეებზე, პუშკინზე და ტოლსტოიზე, ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობაზე, რომლის გულწრფელი მომღერლები იყვნენ საიათნოვა, შირვან-ზადე და ოვანეს თუმანიანი. განსაკუთრებულ ინტერესს ქმნის აგრეთვე ტიციან ტაბიძის წერილები ანდრეი ბელიზე და ვლადიმერ მაიაკოვსკიზე. შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ავტორი ახლოს იცნობდა XX საუკუნის რუსული ლიტერატურის ამ ორ სრულიად განსხვავებული ბუნების შემოქმედს. მემუარულ სტილში დაწერილი ეს ორი პორტრეტი საგულისხმო მასალებს შეიცავს რუსული ლიტერატურათმცოდნეობისათვისაც.

ტ. ტაბიძემ თავის დროზე შესანიშნავი წერილები უძღვნა ჩვენ სახელოვან თეატრალურ მოღვაწეებს — ალექსანდრე სუმბათაშვილს, ზაქარია ფალიაშვილს, კოტე მარჯანიშვილს, ნატო ვაჩნაძესა და სხვებს. კრებულში ამ წერილების მოთავსება ერთხელ კიდევ ცხადყოფს მათი ავტორის მრავალმხრივ ინტერესს. თუ ამას დავუმატებთ დიდი სიყვარულით დაწერილ სტრიქონებს სახალხო მხატვარ ნიკო ფიროსმანზე და მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეზე, თვალწინ წარმოგვიდგება კაცი რომელიც ყოველთვის იყო ჩვენი კულტურული ცხოვრების შუაგულში და მთელი თავისი არსებით ეკუთვნოდა ამ ლიტერატურას.

ტიციან ტაბიძე განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით და ეს არ იყო შემთხვევითი. ტიციანს უდავოდ ბევრი რამ აახლოებდა ქართული პოეზიის ამ გოლიათთან, მაგრამ ეს სიახლოვე სრულიადაც არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს ერთ დროს ესმოდათ ქართველი სიმბოლისტების დიდ უმრავლესობას

და ნაწილობრივ ტ. ტაბიძესაც. ცნობილია, რომ, მაგალითად, „ცისფერ ყანწელთა“ ჯგუფის თეორეტიკოსებმა ვაჟა-ფშაველას დიდი მიდრეკილება ჯანსაღი და ნათელი სიმბოლური სახეებისაკენ გაათანაბრეს წმინდა დეკადენტურ სიმბოლოებთან, სადაც ყოველთვის მისტიკური გამოდის როგორც დომინანტი. ამაზე დაყრდნობით ფიქრობდნენ, რომ ვაჟა-ფშაველა ამოვარდნილია მთელი ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი რგოლიდან, და იგი არის ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი ჭეშმარიტი მამამთავარი. მიუხედავად ტიციანის ადრე გამოთქმულ ასეთივე შეხედულებებისა, ქართული სიმბოლიზმის გენეზისის საკითხებზე, იგი თავისი პოეზიის შინაგანი ბუნებით აშკარაჲ ბევრ რამეში ენათესავებოდა ვაჟა-ფშაველას და ეს უფრო ცხადი შეიქნა მას შემდეგ, როცა დაშორდა თავის ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელ მრწამსს და შემოქმედებითად მიდიოდა იმ მდიდარ ტრადიციებთან, რასაც დიდი ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი გულისხმობს. ვაჟა-ფშაველასთან ზოგი რამ, მართლაც, აახლოებს ტიციანს. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოეტური გამომსახველობის სისადავე და ის დიდი უშუალობა, რაც ორივე პოეტმა თავისი შემოქმედების ძირითად პოეტურ ხერხებად აქცია. ვაჟა-ფშაველა რომ იტყვის:

ხარს ვგევარ ნაიალღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

არ შეიძლება ამ უშუალობაში, სათქმელის ყოველგვარი ზედმეტი სამკაულის გარეშე გამოხატვაში, არ იგრძნო პოეტის სულში ნიაღვარივით დაგუბებული ენერგია. პოეტური სიტყვის ამ საიდუმლოებას ოსტატურად ფლობდა ტ. ტაბიძეც. ავიღოთ თუნდაც ტ. ტაბიძის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი: „მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს“.

აქაც ისეთივე დიდი უშუალობაა და სალექსო ფრაზის ვაჟკაცური მოქნევა, რაც ვაჟას მთელი პოეზიის ბუნებაში ზის. მაგრამ ამავე დროს ტიციანის ლექსს ყოველთვის თან ახლავს მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სულიერი თრთოლვა და შინაგანი დრამატიზმი. სწორედ ზემოაღნიშნული სიახლოვე ვაჟა-ფშაველასთან, ვფიქრობ, აძლევდა ტ. ტაბიძეს ყველაზე მეტ შესაძლებლობას რომ ერთერთ პირველთაგანს ჩვენს ახალ მწერლობაში სწორად შეეგრძნო ვაჟას გენია. მართალია, თავის შედარებით უფრო ადრე დაწერილ წერილში იგი ჯერ კიდევ პრიმიტივიზმის ზოგ გამოვლინებას ხედავს ვაჟას პოეზიაში, რაც, როგორც ცნობილია, იყო მაშინდელი კრიტიკუ-

ლი აზრის დიდი შეცდომა, მაგრამ აქვე იგი სწორად შენიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გაგებისათვის ჩვენ არ გამოგვადგება სხვა ქვეყნების მწერლებისათვის შემუშავებული მზამზარეული ფორმულები, როგორც ამას სჩადიოდა ზოგი კრიტიკოსი. აქ უმჯობესია სიტყვა თვით ტ. ტაბიძეს მივცეთ: „ეს ჩვენთვის თითქოს გასაგებიც არის, რადგან, ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, საქართველოში კრიტიკა ყოველთვის ჩამორჩებოდა მწერლობას. კრიტიკას ჰქონდა თავისი გათლილი ყალიბი და წინდაწინ შემუშავებული ფორმულები, რომელთა დაკანონებისათვის სხვა ქვეყნებში სულ სხვა ხალხი იბრძოდა. ვაჟა-ფშაველა კი ისეთი ცომისაგან იყო მოზელილი, რომ არც ერთ ქვეყანაში ამის პურს არ სჭამენ... და გასაგებია, რატომ უპასუხა ასე ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ჩვენმა ქართულმა მწერლობამ“. და როგორც აღვნიშნეთ, ტ. ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩვენს ახალ მწერლობაში სწორად მიუთითა ვაჟა-ფშაველას პოეზიის ძირითად ნიშნებზე და ვაჟას გენიის ძალა მის ხალხურობასა და ღრმა ეროვნულობაში დაინახა. მან თავის დროზე ყველაზე მკაფიოდ აღნიშნა ვაჟას ღრმადგადგმული ფესვები ქართულ სინამდვილეში და განსაკუთრებული კავშირი ჩვენს კლასიკურ მწერლობასთან. ტიციანი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ვაჟას ცნობილ ლექსზე, რომელშიც პოეტი ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას გურამიშვილთან:

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო.
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემი გრძნობების ფაფაო.

„უფრო აშკარად, — წერს ტ. ტაბიძე, — არ შეიძლება პოეტმა გამოამჟღავნოს თავისი პოეტური ვინაობა, როგორც ეს ამ ლექსშია გამოთქმული. მხოლოდ რაღაც გაუგებრობაა, რომ ამ გულცხელი აღიარების შემდეგ კიდევ სხვაგან ეძებენ ვაჟას შემოქმედების სათავეს. თვითონ პოეტმა მაგისტრალური ხაზებით გახსნა და გაშალა თავისი გენეალოგია... ორი მთავარი ხაზი — ერთი ეროვნული და მეორე ხალხური — აერთებს და ანათესავებს დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას“. საინტერესოდ აყენებს საკითხებს ტ. ტაბიძე ვაჟას ენის შესახებ, საერთოდ ეპიკურ საწყისებზე ვაჟასა და ნ. ბარათაშვილის პოემებში, ვაჟასა და გურამიშვილის ზოგ საერთო პოეტურ ხერხებზე, ილიასა და აკაკის პოემების შთაგონების წყაროებზე.

აქ არის გონებამახვილური დაკვირვებანი, რომელთაგან ზოგიერთს შეიძლება ვერ დაეთანხმოთ (მაგ. ილიასა და აკაკის პოემებში ეპიური საწყისების მთავარ საფუძვლებზე და სხვ.), მაგრამ უველგან ჩანს დიდი სიყვარული და საკითხებისადმი მძაფრი შემოქმედებითი მიდ-

გომა. ტ. ტაბიძის აქ გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებით აღინიშნება წინასიტყვაობა, რომელიც მან მაშინ ერთგვარად მივიწყებული მწერლის უიარაღოს „მამელუკის“ ახალ გამოცემას დაურთო 1935 წელს და პატარა პორტრეტი ვ. ბარნოვისა, რომელიც გამიზნული იყო იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს დღის სინათლეზე ეხილა ამ იშვიათი პიროვნების ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ძვირფასი მემკვიდრეობა.

რაც შეეხება ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტს, ეს არის დიდი გულისტკივილით აღდგენილი და მომავალი თაობებისათვის ხელშესახებად ქცეული სახე დიდი ქართველი სახალხო მხატვრისა. ეს პორტრეტი შესრულებულია ისეთი უშუალობით, ისეთი შინაგანი სიმძაფრით, რომ მკითხველიც მონაწილე ხდება ამ შესანიშნავი ხელოვანის გასაოცარი ბედისა. რასაკვირველია, ეს პორტრეტი როდია გამონაკლისი ამ წიგნში. მართებულად შენიშნავს ამ წიგნის რედაქტორი გ. მარგველაშვილი, რომ მიუხედავად წიგნის მრავალფეროვნებისა, იგი გამსჭვალულია ერთიანი სულისკვეთებით და საკვირველი შინაგანი მთლიანობით ხასიათდება, და მართლაც, ეს არის პატრიოტი მწერლის თვალით დანახული სამყარო, აღსავსე ისეთი ძვირფასი აღმოჩენებით, რომელიც თვით აკადემიურ ლიტერატურათმცოდნეობას მისცემს მდიდარ საკვებს, უბიძგებს ახალი ჰორიზონტებისაკენ.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე რამდენიმე მხატვრული ნარკვევი. ეს არის უშუალო გაგრძელება ტ. ტაბიძის პოეტური შემოქმედებისა. სხვა ქართველ მწერალთა იმდროინდელ ნარკვევებთან ერთად მაღალი ოსტატობით შესრულებული ეს ნარკვევებიც უდავოდ ქმნიან გარკვეულ ეტაპს ჩვენში ამ ჟანრის დამკვიდრებაში და მისგან თანამედროვე ქართული ნარკვევის ოსტატებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ.

1958—1961 წწ.

6. ერთგნული საუნჯის სამსახურში

(თედო სახოკია)

ერთი შეხედვით იგი უფრო შინ მომუშავე, კაბინეტში კარჩაკეტილ მეცნიერს ჰგავდა. თხელი, კაფანდარა ტანისა, სახე — სწორი და დახვეწილი, ოდნავ მოყვითალო ფერის, ფოლიანტების ხშირ სტუმარს რომ გადაჰკრავს ხოლმე, ულვაშები ძველებურ ყაიდაზე დაბლა დაშ-

ვებული, მაღალი „შლიაპა“ და ასეთივე მაღალი, გახამებული საყელო. ასეთი ახსოვთ თედო სახოკია მის მახლობლებს, მეგობრებსა და პატივისმცემლებს.

მაგრამ მისი ახლო გაცნობა, მასთან საუბარი მყისვე დაგარწმუნებდათ, რომ იგი მარტო წიგნის კაცი არ იყო. ხალხის სამსახურში, ყოველდღიურ ბრძოლა-ჭიდილში ჰქონდა გამობრძმედილი საკუთარი ხასიათი. თედო სახოკიას პიროვნებაში ბედნიერად იყო შერწყმული სახალხო მოღვაწისა და მეცნიერის, პრაქტიკულად მებრძოლისა და კალმის უანგარო მსახურის თვისებები. არა მარტო გარეგნობით, არამედ მრავალმხრივი საქმიანობის ხასიათითაც იგი XIX საუკუნის მოღვაწეთა ტიპიური წარმომადგენელი იყო.

პიროვნების ჩამოყალიბების ერთი საყოველთაო მოქმედი კანონის მიხედვით ადამიანი ახალგაზრდობაშივე ეზიარება, ითვისებს აზროვნების წესს, ახალ იდეებს, საკუთარი ცხოვრების მიზნად აქცევს ამ უკანასკნელთ და შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე მის განხორციელებას ემსახურება.

თედოს სიჭაბუკე დაემთხვა სწორედ ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ეპოქას, როდესაც კვლავ არნახული ძალით იფეთქა ჩვენი ხალხის წიაღში მიმალულმა მთვლემარე ძალებმა, ხოლო საზოგადო ასპარეზზე გამოსული მოღვაწის უწმინდესი ვალი, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერის წყლულთა“ განკურნება შეიქნა.

თედო სახოკია თავის დიდ მოძღვრად სწორედ ილია ჭავჭავაძეს თვლიდა და ნიადაგ ცდილობდა ურყევად ეცლო ერთხელ დასახული მიზნისაკენ.

ამიტომ არის, რომ თედო სახოკიას სახელს ჩვენ უფრო ხშირად XIX საუკუნეს ვუკავშირებთ. იგი ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე მაჩაბლის უმცროსი თანამებრძოლი იყო, მათთან ერთად ეწეოდა საზოგადო მოღვაწის მძიმე უღელს. საბედნიეროდ, მან დიდხანს იცოცხლა და გადმოაბიჯა კიდეც ახალი საუკუნის მეორე ნახევარს (თედო 1956 წელს გარდაიცვალა), მოგონებებში აღგვიდგინა თანამედროვეთა ნათელი სახეები და სიჭაბუკეში წამოწყებული ბევრი დიდი საქმე ბრწყინვალედ დაასრულა. თედო სახოკია იყო დიდებული მთარგმნელი, ჟურნალისტი, შესანიშნავი ეთნოგრაფი და ლექსიკოლოგი, ქართული სიტყვისათვის ვალმოხდილი მებრძოლი.

თედოს არაჩვეულებრივად საინტერესო ცხოვრების გზა ჰქონდა გავლილი.

სიყმაწვილის პირველი წლები სამეგრელოსა და აფხაზეთში გაატარა. თედო დაიბადა სოფელ ხეთაში 1868 წლის 14 მარტს, ხოლო მამამისი ტიმოთე სახოკია მღვდელი იყო და სხვადასხვა სოფლებში (მათ შორის ერთხანს ქალაქ სოხუმშიც) უხდებოდა სამსახური. თედო

შემდგომ სიყვარულით იგონებდა მისთვის დაუვიწყარ სოფლებს — ხეთას, შხეფს, აქაურ გლეხკაცობას, განსაკუთრებით კი სოფელ ბიას, სადაც იგი ძველთა ჩვეულებისამებრ იზრდებოდა ძიძის (მეგრულად „მორდუ“) იოსავას ოჯახში. ეს პირველი შთაბეჭდილებები, აქაური ყოფა ძალზე ცოცხლად აღიბეჭდა კიდეც მის შესანიშნავ ეთნოგრაფიულ წერილებში, რასაც იგი უმადლოდა აქ გატარებულ წლებს. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით თვით მწერლის ერთი ჩანაწერი, რომელშიც პირველ ბავშვურ ხილვებს გვიზიარებს:

...სახლი გვედგა უდაბურს ტყეში. სულ ექვსასი-შვიდასი წლის მუხებით იყო იქაურობა სავსე. შიგა ბუდობდა ათასგვარი ნადირი, აუარება ფრინველი, განსაკუთრებით ხოხობი. ტყეშივე ჰქონდათ მწყემსებს კარვები და ზამთარ-ზაფხულს აქვე ცხოვრობდნენ, უვლიდნენ ძროხებს. გლეხების კარ-მიდამოები ერთი მეორისაგან აქ ნახევარი და მეტი კილომეტრით იყო დაშორებული. მეგრელის ფანტაზია აქაურობას ავსებდა ყოველგვარი მავნე სულებით და ჩემს ნორჩს წარმოსახვასაც აუარებელი მასალა ეძლეოდა საზრდოდ. აქ ჩაეყარა ჩემს გონებას წარმოდგენა ოჩოკოჩებზე, ტყის მეფეებზე, ჭინკებზე... როგორც ერთი, ისე მეორე და მესამე შეადგენდა ცეცხლა პირას ყოველდღიური ბაასის საგანს და იმდენადაც იყო პატარებისა თუ დიდების გონება ამ ბაასით შეპყრობილი, რომ მზის ჩასვლის შემდეგ სამზარეულოდან სახლში შესვლა მარტოს გვეშინოდა, მეტადრე ბნელს ღამეში. და დღესაც, უკვე სამოცდამეთექვსმეტე წელში ფეხგადადგმულს, თითქოს მთელი ქვეყნიერება შემოვლილს და ამდენის ვისიმე და რისიმე მნახველს გულწრფელად არ შემიძლია იმის თქმა — ბავშვობის შთაბეჭდილებათა გავლენისაგან სრულებით თავისუფალი ვარმეთქი... იმდენად შეეწოვა ჩემს ნორჩ სისხლსა და ხორცს, იმდენად აღებეჭდა ჩემს ფსიქიკას პირველყოფილი ადამიანის ეს შიში და ზარი...

პატარა თედო 1877 წელს მიაბარეს მარტვილის (ამჟამად გეგეჭკორი) სასულიერო სასწავლებელში (სწორედ აქაური სწავლების უკუღმართ წესებზე მოგვითხრო მან შემდეგ მშვენიერ წიგნში „როგორ ვიზრდებოდით ძველად“), ხოლო 1883 წელს იგი სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. უნდა ითქვას, რომ აქედან იწყება მისი მღელვარე ცხოვრების გზა და ახლებურ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. აღსანიშნავია, რომ მან სემინარიაშივე უარყო მშობლების არჩევანი, რომლებიც ტრაპეზის მსახურის უშფოთველ მომავალს უმზადებდნენ თავიანთი პირმშოს. სემინარიაშივე შეიძინა პირველი მეგობრები: იოსებ ლაღიაშვილი და შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი). მათივე შთაგონებით აირჩია სამოღვაწეო ასპარეზი.

შეურიგებელი და პრინციპული იყო თედო საზოგადო საქმეში, უკანდახევა უცნობი იყო მისთვის. ჯერ სემინარიიდან გარიცხული,

ხოლო შემდეგ პატიმრობიდან თავდაღწეული თედო 1898—1900-იან წლებში საცხოვრებლად სოხუმში გადავიდა. როგორც ცნობილია, ეს იყო ცხარე ბრძოლების პერიოდი. რუსეთის ცარიზმი უკვე აშკარად მოქმედებდა, ცდილობდა საქართველოსათვის მოეწყვიტა ეს მხარე, ავიწროებდა ადგილობრივ მკვიდრთ და ასახლებდა კოლონიზატორებს. ცარიზმი სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც კი ამ საქმეში უშლიდა ხელს. ხელისშემშლელთა შორის ერთი პირველთაგანი სწორედ თედო სახოკია იყო. ცნობილია კიდეც მაშინდელი კავკასიის მხარის კანცელარიის ოფიციალური დოკუმენტი, სადაც პირდაპირ არის დასახელებული თედო და მისი თანამებრძოლნი, რომლებიც ხელს უშლიდნენ ცარიზმის ბნელ პოლიტიკას. თუ არა ის დიდი ბრძოლა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გადაიხადეს ქართველმა მოღვაწეებმა, მეფის აგენტურა მიაღწევდა კიდეც საწადელს. თედო სახოკია, — გვიამბობს ამ ბრძოლების ერთი მომსწრე, — თბილისსა, სოხუმსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საიდუმლო წრეებში დაჰქროდა, ენერგიული მუშაობით ყველგან სიცოცხლე შეჰქონდა. იგი განუხრელად მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ ბოლოს და ბოლოს, სწორ გზაზე შემდგარი რევოლუციური მოძრაობა გაიმარჯვებდა და სამარცხვინოდ დაეცემოდა ის ხელისუფლება, რომელიც რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე და განაპირა ქვეყნებში მოსახლეობას სულს ხდიდა და ცხოვრების ყოვლად აუტანელ პირობებს უქმნიდა.

თედოს უდრეკ ხასიათს კარგად ამხელს ერთი შემთხვევა: სწორედ ამ ხანებში დანიშნული იყო სოხუმის ქალაქისთავის არჩევნები (მანამდე თურმე სოხუმს გოგოლის მიერ გამასხარავებული „გოროდნიჩის“ ტიპის ხელისუფალი მართავდა). ცარიზმის აგენტებმა თავის კანდიდატურად ვინმე შავრაზმელი ბერენსი წამოაყენეს. არჩევნებმა შედეგი არ გამოიღო, რადგან თედო სახოკიას და მის თანამებრძოლთა თაოსნობით ქართველთათვის სასურველმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს. თუმცა ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა არჩევნები და სოხუმის ქალაქისთავად მაინც დანიშნეს ორჯერ გაშავებული ბერენსი. და აი, როცა ქალაქისთავი გამოცხადდა თავის პოსტზე, მან მოიწვია ხმოსანთა კრება და შეეცადა თავაზიანი ქცევით დაეფარა გულისწყრომა. იგი დარბაზში სათითაოდ ართმევდა თურმე ხელს კრების მონაწილეებს. ჯერი თედოზე მიდგა, მაგრამ თედომ ხელი არ გაუწოდა ქალაქისთავს და პირში მიახალა: ლაფდასხმულს მე ხელს არ ვართმევო! თედოს გაბედულ საქციელს დიდი სენსაცია გამოუწვევია და საბოლოოდ შეურყევია ქალაქისთავის ავტორიტეტი, თედო კი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას.

თედოს სოხუმში მოღვაწეობის პერიოდიდან აღსანიშნავია, სხვათა შორის, ერთი საგულისხმო ისტორიული ფაქტი. ქართველ და

აფხაზ ინტელიგენტთა თაოსნობით აქ გაიხსნა რეალური სასწავლებელი, რაც ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის საწინააღმდეგო აშკარა აქცია იყო. ამ თაოსნობას გულმხურვალედ მიესალმა ილია ჭავჭავაძე და დაესწრო კიდეც სასწავლებლის საზეიმო გახსნას. ილიას აქ წარმოუთქვამს საგულისხმო სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით არის გატარებული დიდი მოაზროვნის მიერ წლების მანძილზე შემუშავებული თვალსაზრისი სოციალურსა და ეროვნული ერთიანობის საკითხებზე. თავისი დიდი მოძღვრის ეს სიტყვა თედოს სტენოგრაფიული სიზუსტით ჩაუწერია და შემოუნახა კიდეც ჩვენს შთამომავლობას (იგი ინახება მის არქივში). გარკვეული ინტერესის გამო მოვიტან ამ სიტყვასაც:

„ბატონებო! დიდის პატივისცემით მოგესალმებით, ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს კალმით დახატულ კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს. მადლობელი ვარ თქვენი დახვედრისათვის, ჩემი პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ეგრე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. აქ რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერით, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის საქართველოსათვის მაინცმეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელს ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, ეგებ რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილა ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილი იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჰიდილში ფონს გავიდეს: ასეთ ერს, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით ასცთება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს. ყველასაგან გათელილი, ყველასაგან დაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავისი ძალღონით არ ჰლამის ღელოს გატანას ცხოვრების მოედანზე.

თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიური მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავს, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენ ხელშია; აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ; გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ, უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი-ორად აქცი-

ოთ თხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისთვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაადერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს; თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძოთ, ერთობლივი, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულს ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ.

მაშ, გაგიმარჯოთ, ბატონებო! ჩვენი ქვეყნის აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს! ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ხალხის სანუგეშოდ და წარსამატებლად". ისიც საგულისხმოა, რომ ილიას ეს სიტყვა წარმოუთქვამს 1903 წელს.

თედო სახოკიას ძალზე საინტერესო თავგადასავლიდან (მას მოვლილი ჰქონდა ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა) აღსანიშნავია მისი რევოლუციური მოღვაწეობის ერთი ეპიზოდი: 1905 წლის მღელვარე ამბების დროს თედო პარიზში ცხოვრობდა სხვა გადახვეწილ ქართველებთან ერთად. მათ გადაწყვიტეს დახმარებოდნენ აჯანყებულებს. გ. დეკანოზიშვილის თხოსნობით გემი „სირიუსი", მოადგა საქართველოს ნაპირებს, რათა აჯანყებულთათვის მიეწოდებინა საომარი იარაღი. დიდი ნაწილი იარაღისა დაურიგდა შავი ზღვის სანაპიროზე აჯანყებულ რაზმებს, მაგრამ თედოს აქტიური მონაწილეობა გამჟღავნდა და მან საპატიმროში ამოყო თავი.

ეს იყო თედო სახოკიას ცხოვრების უმძიმესი წლები. განაჩენი ულმობელი იყო. მას მთელი სიცოცხლე ციმბირის შორეულ გუბერნიაში უნდა გაეტარებინა. მაგრამ სულიერ მხნეობას არც ახლა უღალატია მისთვის, საოცარი მოხერხებულობის წყალობით (ეს ამბები თედომ აღწერა თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაში — „ციმბირში", რომლის მხოლოდ ერთი ნაწილია გამოქვეყნებული) იგი თავს აღწევს საუკუნო ტყვეობას და სამშობლოში ჩამოდის, მო-

ნახულებს თავის გატანჯულ ოჯახს, მეგობრებს და მათივე დახმარებით ლაზეთის გზით ევროპაში მიემგზავრება. თითქმის მთელი 15 წლის მანძილზე იგი ევროპის სხვადასხვა ქალაქში იტანდა ემიგრანტის უსიხარულო დღეებს და ელოდა უკეთეს მერმისს. ბრიუსელში ყოფნის დროს თედოს ხშირი სტუმარი იყო თურმე მაშინ ახალგაზრდა გერონტი ქიქოძე. თედოს თავის პატარა ოთახში, — იგონებდა შემდეგში გერონტი ქიქოძე, — მაგიდაზე ტაბელ-კალენდარი ედო და ყოველდღე შლიდა განვლილ დღეებს, მაგრამ დღის გასვლის შემდეგ კი არა, არამედ დილითვე. როცა ერთხელ გერონტის უკითხავს, შე კაცო, დღევანდელი დღე ეს-ესაა მხოლოდ დაიწყო, შენ კი გადაგიხაზავსო, თედოს უპასუხნია: ემიგრანტისათვის რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა ტანჯავს, ყოველი გათენებული დღე უკვე განვლილი დღეაო.

რევოლუციის შემდეგ თედო დაუბრუნდა სამშობლოს. ევროპაში გატარებულ წლებს უქმად არ ჩაუვლია მისთვის. დიდად განსწავლული და რამდენიმე ევროპული ენის ცოდნით აღჭურვილი თედო გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მოღვაწეობას, რათა თავისი წვლილი შეეტანა განახლებული ქართული კულტურის აღორძინებაში.

ახლა, როცა იგი ისტორიას ეკუთვნის და კიდევ ერთხელ ვიგონებთ, ვაჯამებთ თედოს ნაღვაწს, შეუძლებელია არ განგვაცვიფროს იმ დიდმა მემკვიდრეობამ, რომელიც მან თავის ხალხს დაუტოვა.

ჯერ კიდევ 1889 წლიდან შიდა ქართლის სოფელში, ტირძნისში მასწავლებლად მყოფი თედო ჩვენი ცნობილი ხალხოსანი მწერლის ნიკო ლომოურის წაქეზებით ხელს ჰკიდებს საშვილიშვილო საქმეს: კრებს მასალებს ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების ლექსიკონისათვის. მან კარგად იცოდა, რომ იმას, რაც ლიტერატურაში შემოვიდა, დაკარგვა აღარ უწერია და ყველაზე საშურია ხალხში გაბნეულის საუნჯის მოგროვება; ის, რაც დღეს ზეპირ თქმაში ცოცხლობს, შეიძლება ხვალ სამუდამოდ გაქრეს და უცნობი შეიქნას შთამომავლობისათვის.

აი, როგორ იგონებდა შემდგომ თავის პირველ ნაბიჯებს ამ მიმართულებით მწერალი: „ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოვყევი ქართლის სოფელში. თუმცა ქართულს ენას ძალიან ვეტანებოდი და მეგონა სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა ასე თუ ისე ვიცოდი-მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართლელების მეტყველებამ დამარწმუნა, რომ დიდი და დიდი მუშაობა მჭირდებოდა ამ ენის შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა. პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვიერებამ, ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ!.. აქვე ჩაეყარა ჩემს მიერ ქართული ხატო-

ვანი თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზათა შეკრების საქმეს. ქართული მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემი სიცოცხლის მიზნად. ამ ათ წელს წინად (ეს მოგონება დაწერილია 1943 წელს — ს. ც.) შეუდექი ჩემის ახალგაზრდობის დროის ნაღვაწის დალაგებას წესრიგზე, დასაბეჭდად დამზადებას. და თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყოდი, რომ იმედი მაქვს, როცა გამოქვეყნდება, მომავალი თაობა არ დაიშურებს ლოცვა-კურთხევით მომიხსენიოს-მეთქი".

ნახევარ საუკუნეზე მეტი იშრომა თედომ შვილივით საყვარელ წიგნზე, გზადაგზა ხვეწდა, ახალი მასალებით ავსებდა და აი, ამ ათიოდე წლის წინ ქართველმა მკითხველმა მიიღო მშვენიერი საჩუქარი. ფიგურალური თქმების სამტომიანი ლექსიკონი.

ლექსიკონში მოხვედრილ ყოველ ხატოვან სიტყვაში აღბეჭდილია ქართველი ხალხის მხატვრული ნიჭიერება, სიტყვათშემოქმედება. ამავე დროს ფორმალურად ქცეული ყოველი გამოთქმა მთელი ისტორიაა, შეკუმშული და განზოგადებული სახით გადმოცემული.

ამასთან, თედო შესანიშნავად აგრძელებდა ჩვენი ლექსიკოგრაფების სახელოვან ტრადიციას: სულხან-საბას, ვახტანგ VI და სხვათა მსგავსად, ყოველი მისი განმარტება მარჯვეა, ლაკონიურია, თვითონ არის ნიმუში დახვეწილი ქართული ენისა. თედოს ლექსიკონის ასეთ ღირსებას ქებით იხსენიებს ჩვენი ცნობილი ეთნოგრაფი გიორგი ჩიტაია და სანიმუშოდ ერთ განმარტებას ასახელებს. ხატოვანი გამოთქმა „ოწინარით ასაწევი" ასეა განმარტებული: „დაცინვით, საქირდავად თქმა. ამით მიმართავენ მცონარა ადამიანს, რომელიც სულ სხვას შესცქერის თვალ-წარბში, ერთთავად სხვათა მოიმედეა და თვითონ კი ესიკვდილება განძრევა და ფხის გამოჩენა". აბა, დააკვირდით მთელ წინადადებას, ზარმაცი კაცის უკეთ დახატვა მართლაც რომ შეუძლებელია, ხოლო თედოსეული „ესიკვდილება" და „ფხის გამოჩენა" თვითონვეა ხატოვანი მეტყველების მშვენიერი ნიმუშები.

ასეთივე უნიკალური შრომაა თედოს მიერ შეკრებილი ქართული ანდაზები. რამდენადაც ვიცი, ეს ყველაზე სრული და მნიშვნელოვანი კრებულია და ამ შემთხვევაშიც დაუფასებელია თედო სახოკიას ღვაწლი.

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს მაღალი მთარგმნელობითი კულტურით, ამ დარგის ბრწყინვალე დიდოსტატებით. რამდენად დაღარიბდებოდა ჩვენი მწერლობა იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელების, ეფრემ მცირისა და სარგის თმოგველის დიდებული თარგმანების გარეშე. ან იგივე სულხან-საბა და ვახტანგ VI, ხოლო შემდეგ XIX საუკუნის მთარგმნელთა ახალი სკოლა ილიასა და ივანე მაჩაბლის მეთაურობით! მათ განუზომელი ღვაწლი დასდეს ქართული სა-

ლიტერატურო ენის განვითარებას, მსოფლიო კულტურას აზიარებს ქართველი მკითხველი. თედო სახოკია ეკუთვნოდა გაზეთ „ივერიასთან“ ჩამოყალიბებულ ჟურნალისტთა და მთარგმნელთა წრეს, რომელსაც ამშვენებდნენ ი. მაჩაბლის, ი. მაჭავარიანის, ნ. ავალიშვილის, ი. აგლაძის, ძმები ყიფშიძეებისა და სხვათა სახელები. ეს იყო მრავალმხრივი კულტურული პროცესი, შემეცნებით დანიშნულებასთან ერთად ეს იყო დიდი ბრძოლა ქართული სიტყვის ახალი სიმაღლეების დასაპყრობად. თედო ამ ბრძოლის ერთ-ერთი ღირსეული მონაწილე იყო.

იშვიათია ისეთი ქართველი მკითხველი, რომელიც არ იცნობდეს ბოკაჩიოს, მოპასანის და ჰიუგოს თედო სახოკიასეულ თარგმანებს.

თედომ თარგმნა აგრეთვე გარიბალდის „კლელია“, ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“, ვოლტერის, ალფონს დოდეს, ფრანსუა კოპეს, ოქტავ მირბოს, ემილ ზოლას, ანდერსენის და სხვათა თხზულებები.

გარკვეულ ეროვნულ მიზნებს ისახავდა თედოს მიერ ბულგარული მწერლობის ნიმუშების თარგმნა (ი. ვაზოვის „დამონებულნი“ და სხვ.), რადგან ამ წიგნებში აღწერილი იყო დამპყრობთა წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ამდენად მახლობელი უნდა ყოფილიყო ქართველი მკითხველისთვისაც.

როგორც ზემოთაც ვთქვი, თედო რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა, მაგრამ მისი, როგორც მთარგმნელის, უპირველესი ღირსება მხოლოდ აქ არ უნდა ვეძიოთ. იგი კარგი მოქართულე იყო და შესანიშნავად გრძნობდა მშობლიური ენის დედაბუნებას. მისი ენა არ იყო მშრალი, მწიგნობრული, არამედ ზომიერად შეზავებული ხალხური სასაუბრო მეტყველებით. განსაცვიფრებელი მხატვრული ტაქტით თარგმნიდა იგი ისეთი განსხვავებული ეპოქისა და ხასიათის თხზულებებს, როგორიცაა „დეკამერონი“ ან მოპასანის მოთხრობები, ჰიუგოს რომანტიკული მოთხრობა ან ბარბიუსის დოკუმენტური იერის მქონე პროზა. სამწუხაროდ, თედოს, როგორც მთარგმნელის, ღირსებები და თავისებურებანი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული.

თედო ამავე დროს ერთ-ერთი პირველი ქართველი ეთნოგრაფია. პარიზში ყოფნის დროს მან წლები მოანდომა ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა შესწავლას, იგი ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა პარიზში ცხოვრების ამ პერიოდს: „1900 წლის ზაფხულში ჩამოსული პარიზში, — წერს თედო თავის ერთ ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებაში, — მსოფლიო გამოფენის დათვალიერების შემდეგ, შემოდგომაზე შევდივარ პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოებასთან ცნობილ ანთროპოლოგ ბროკას მიერ დაარსებულ საანთროპოლოგიო უმაღლეს სკოლაში, სადაც პრო-

ფესორებად იყვნენ მაშინდელი ისეთნი მნათობნი საანთროპოლოგიო მეცნიერებათა, როგორებადაც ითვლებოდნენ: შარლ ლეტურნი, ანდრე ლეფევრი, ლ. მანუვრი და სხვ. ჩემის სიცოცხლის საუკეთესო, უტკბესი დრო იყო ის ოთხი წელიწადი...“

მან არა მარტო შეისწავლა ორივე ეს რთული დარგი, არამედ თვითონაც შეეცადა გაეცნო ფრანგთათვის ქართული ეთნოგრაფიული ყოფა და მდიდარი ქართული ფოლკლორი. ანთროპოლოგიურ საზოგადოებაში იგი კითხულობს რამდენიმე მოხსენებას, მათ შორის, ქართულ ხალხურ სამკურნალო მედიცინაზე — „ყვავილ-ბატონები სამეგრელოში“. საქართველოში შემორჩენილმა ავადმყოფობის პერსონიფიცირების უნიკალურმა ჩვეულებამ, საერთოდ ძალზე ორიგინალურმა მასალებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მოხსენება მალე ფრანგულ ენაზეც დაიბეჭდა, ხოლო მისი ავტორი საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად იქნა არჩეული.

თედოს, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს საგულისხმო ნარკვევები ქართული ეთნოგრაფიიდან, რომლებიც შემდეგში ერთ წიგნად გამოიცა სათაურით — „ეთნოგრაფიული წერილები“.

თედოს ბელეტრისტის ნიჭი და ეთნოგრაფის მახვილი თვალი შერწყმულია ისეთ შესანიშნავ ნარკვევებში, როგორიცაა მოგზაურობანი გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში. სოლომონ ცაიშვილი, ერთ-ერთი პირველი აღმწერი თედო სახოკიას ღვაწლისა, „მოგზაურობებს“ განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს: „ავტორი ამ ნაშრომებში, — წერს იგი, — არ არის ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის უბრალო შემკრები ან რომელიმე ძველი ლიტერატურის, რელიგიური რწმენის, ხალხის ზნე-ჩვეულების, სამეურნეო წყობის, არსებული ყოფა-ცხოვრების უბრალო აღმნუსხველი, იგი მოვლენათა ანალიზით სათანადო დასკვნებს აკეთებს და ამბობს რაღაც ახალს. მოგზაურობათა ეს კრებული თავისი დროის ერთგვარი მატიანეა, მაგრამ არა ძველ მატიანეთა მსგავსი, არამედ ხალხის ყოფა-ცხოვრებით და ხასიათით დაინტერესებული. ამასთანავე ავტორი ამ მოგზაურობის მიხედვით დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ოსტატია“.

თედო სახოკია თავისი ცხოვრების და შემოქმედების ყველაზე დიდ მასწავლებლად, როგორც ითქვა, აღიარებდა ილია ჭავჭავაძეს. თავისი დიდი მოძღვრისაგან შეითვისა აგრეთვე განსაკუთრებული სიყვარული ქართული სიტყვისადმი. იგი განსაცვიფრებელი პრინციპულობით იცავდა ქართული ენის სიწმინდეს.

არა მარტო მწერლობაში, არამედ ჩვეულებრივი საუბრის დროსაც თედო განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ქართულ ენას, ვაი მას, ვინც უხეირო ქართულით მეტყველებდა ან „უცხო“ სიტყვებით აჭრელებდა სასაუბრო ქართულს. თვითონ, პირადად, ბევრჯერ შევსწრებივარ ამგვარ სცენას, თედო ჯერ გაკიცხავდა, მერე დაარიგებდა ცუდ მოქართულეს. იგი ამ საკითხში არავის ინდობდა. თედოს აზრით, ქართველმა მწერალმა არა მარტო წიგნებში, არამედ თვით ცხოვრებაში, პრაქტიკულად უნდა იბრძოლოს მშობლიური ენის სიწმინდისათვის.

მხცოვანი მწერალი სიკვდილამდე ინარჩუნებდა მხნეობას და გატაცებით მუშაობდა, რათა საბოლოოდ მოეწესრიგებინა თავისი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა. სიკვდილმა მას 88 წლის ასაკში მოუსწრო; თუმცა არა, კი არ მოუსწრო, ეწვია, რადგან თედომ თითქმის დაასრულა კიდეც თავისი შემოქმედებითი ცხოვრება და ბიბლიური სიმშვიდით ელოდა გარდუვალი კანონის აღსრულებას.

1968 წ.

7. იპოლიტე ვართაგავა

(ეტიუდი)

იგი ზორბა, გოლიათური აღნაგობის მოხუცია, თითქოს უჭირს ვეება სხეულის ტარება და ნებ-ნება, სვენებ-სვენებით მისეირნობს საყვარელი ქალაქის ქუჩებში. განსაკუთრებით რუსთაველის პროსპექტი უყვარს და ახლაც ხშირად დაინახავთ ლენინის მოედნის შესაყართან, მოაჯირზე მიყრდნობილს. დინჯი, ჩაფიქრებული მზერით გაჰყურებს ქუჩას და თითქოს წუხს, რომ ყრმობის ახლობელ მეგობართაგან თითქმის ვერავის ხედავს, კანტი-კუნტად თუ მოკრავს თვალს ნაცნობ სახეს. აბა რა გასაკვირია! ოთხმოცდაათი წელი ადამიანისთვის რამხელა სავალი გზაა, მით უფრო, როცა მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურში გაუტარებია.

მაგრამ აბა მიდით, გამოეცნაურეთ და ჰკითხეთ თანამედროვე მწერლობის ამბები. მყისვე გამოცოცხლდება და საოცარი ენთუზიაზმით დაგიწყებთ საუბარს: იგი ჩვენი მწერლობით, ლიტერატურით სუნთქავს და ისეთ ავტორებსაც კი დაგისახელებთ, რომელთაც მხოლოდ გუშინ შემოაღეს ქართული მწერლობის კარი. ოღონდ გულისტკივილით დასძენს, რომ მათ იგი პირადად არ იცნობს ისე, როგორც

თავისი თაობის მწერლებს, რომლებთანაც ერთად იგი 70 წლის განმავლობაში იზიარებდა ჩვენი ლიტერატურის ჰირ-ვარამს.

ახალი თაობა მხცოვან კრიტიკოსს იპოლიტე ვართაგავას მეტწილად იმ პაექრობიდან იცნობს, რომელმაც გამოიწვია ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე წერილი „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“. ვაჟა-ფშაველამ ამ წერილში თქვა თავისი სათქმელი და თავმდაბლურად მაგრამ მაინც გვაგრძნობინა, თუ როგორი საზომები უნდა მივუყენოთ „სტუმარ-მასპინძლისა“ და „ალუდა ქეთელაურის“ შემქმნელ პოეტს. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, გენიოსის დანახვა შეიძლება მხოლოდ იმ უშველებელი სარკმელიდან, რომლიდანაც მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეცლება, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე.

მაგრამ ამის გარეშეც იპ. ვართაგავას ნარკვევი: „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი“ თავის დროზე საინტერესო მოვლენა იყო და ერთ-ერთი პირველი ცდა ვაჟას შემოქმედების მონოგრაფიულად განხილვისა.

იპოლიტე ვართაგავა (გვარი ვართაგავა იგივეა, რაც ვახტანგაძე, როგორც ვარათრანგ, ვათა — ვახტანგი და ვატო) 1894 წლიდან იწყებს მოღვაწეობას, როცა ჯერ კიდევ თბილისის სემინარიაში სწავლობდა. იგი ინტენსიურად მოღვაწეობდა გ. წერეთლის „კვალში“ შემდეგ ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ და ზედიზედ აქვეყნებდა მძაფრ პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც დახატული იყო მაშინდელი საქართველოს მივარდნილი კუთხეების (სამეგრელო, სამურზაყანო) მძიმე სურათები. განა დასავიწყარია ის ბრძოლები, რომლებიც გადაიხადეს ილიამ, აკაკიმ, ნიკო ნიკოლაძემ, დავით ერისთავმა, იონა მეუნარგიამ, თედო ჟორდანიამ და სხვებმა იმ გადაგვარებულთა წინააღმდეგ, რომლებიც ცარიზმის ხელშეწყობით აღვიძებდნენ სეპარატულ მიდრეკილებებს. ამ ბრძოლებში იპ. ვართაგავას თავისი წვლილი აქვს შეტანილი. ამაზე მეტყველებს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა იმდროინდელ სამეგრელოს სკოლებში და აგრეთვე მისი პუბლიცისტური წერილები. 1894 წელს „კვალში“ დაიბეჭდა მთელი სერია წერილებისა „სამეგრელოს ვითარება“, რომლებშიც სამარცხვინო ბოძზე იყო გაკრული გადაგვარებულთა ერთ-ერთი ლიდერი, მასწავლებელი თადა აშორდია (სხვათა შორის, ეს ის თადა აშორდიაა, რომელმაც პროტესტი განაცხადა ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში ჩასვლის გამო, და შემდეგ პროვოკაციული ჭორებით აბეზღებდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს).

მაგრამ მთავარი სარბიელი იპ. ვართაგავასთვის მაინც ქართული მწერლობაა, მას ეკუთვნის საინტერესოდ დაწერილი „მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან“ (1909—1910 წწ.), „სიტყვიერების თეორია“ და ა. შ. მან დაწერა პირველი მონოგრაფია

შესანიშნავ, მაგრამ რატომღაც მივიწყებულ პოეტ გრიგოლ აბაშიძეზე; რამდენიმე წერილი მიუძღვნა აგრეთვე რაფიელ ერისთავის შემოქმედებას და ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა პოეტის ღრმა კავშირი ხალხურ პოეზიასთან. იპ. ვართაგავას, სხვათა შორის, ხშირად აღუნიშნავს, რომ კრიტიკოსი შორიდან, მხოლოდ წიგნებიდან არ უნდა შეჰყურებდეს მწერლობის განვითარებას. იგი ახლოს უნდა იდგეს მწერლებთან, პოეტებთან და მათთან ერთად უნდა ეწეოდეს ლიტერატურული ცხოვრების მძიმე ჯაპანს. კრიტიკოსს მწერალთან ახლო ნაცნობობა ხელს უწყობს მისი შემოქმედების კიდევ უფრო ღრმად შესწავლაში. მხცოვანი კრიტიკოსი ამის უამრავ მაგალითებს დაგისახელებთ. იპ. ვართაგავას შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონოგრაფია „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“ (1917 წ.) უეჭველად ასეთი მეგობრობის შედეგია. კრიტიკოსი საოცარი სითბოთი გვახედებს შიო მღვიმელის პოეტურ სამყაროში.

იპ. ვართაგავა ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მხცოვანი მწერალია და იგი თავის მეხსიერებით ატარებს გამოჩენილ ქართველ მწერალთა სახეებს, XIX და XX საუკუნის ლიტერატურულ მოვლენათა ცოცხალ სურათებს. თავის საინტერესო „მოგონებებში“ და „ქართველ მწერალთა სრლუეტებში“ მან დაიწყო ყოველივე ამის ქაღალდზე გადატანა და იმედია, რომ იგი ამ კეთილშობილურ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

1962 წ.

8. გიორგი ლეონიძე

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“...

ყოველ დიდ პოეტს უწინარეს ორი რამ ასაზრდოებს: გრძნობა მშობლიური ფესვისა და მისი პირადი ბედი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბედთანაა გადაჯაჭვული. გიორგი ლეონიძე სწორედ ასეთ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება.

ეს ორი მაცოცხლებელი ფერმენტი ანიჭებს მის ლექსს განუმეორებელ კოლორიტსა და ფართო მასშტაბურობას: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები, სიცოცხლეს ვერვის დავესესხები, თუ სამშობლოსგან გავიწირები“.

მშობლიური ქვეყნის ბედ-იღბალი მის ლექსებში მძაფრი ვნებებით არის განცდილი, ხოლო მისი წარსული ენერგიულ პოეტურ სიტყვაშია გაცოცხლებული. აქ ტანჯვასა და სიმძიმილს იმედიანი რწმენა

ენაცვლება. მისი აზრით, ქართველი კაცის შეუპოვარმა და უდრეკმა ხასიათმა გამოატარა ჩვენი ქვეყანა საუკუნეთა სიღრმეებს: „დაგვწვეს, დაგვდაგეს და ვერ წაიღეს თავისუფლების ამაყი სული“.

„თავისუფლების ამაყი სული“ ამ ლექსში შემთხვევით ფრაზას როდი წარმოადგენს. იგი მისი პოეზიის ერთი უმთავრესი მოტივია და ბოლომდე გასდევს მის ზეაწეულ, რომანტიკული მღელვარებით ახმიანებულ ლექსებს. ხალხის, სამშობლოს უკვდავების რწმენა დასადგურებულია თითქმის ყოველ ლექსში: „შენ ისევ დგეხარ, თუმცა სისხლის ზღვამ და ცეცხლის წვიმამ გადაგიარა, ყველას უნდოდა შენი გალეწვა, თვით დაილეწნენ, იქმნენ იავარ!“ სამშობლოს ბედი, წარსული და თანამედროვეობა პოეტის მსოფლშეგრძნების ქვაკუთხედია.

მის ფერადოვან და ხმიერ ლექსებს იმთავითვე გამორჩეული სიმტკიცე დაჰყვა. მან დიდი შემოქმედებითი გზა განვლო „ცისფერი ყანწების“ ორდენიდან ჩვენს დღეებამდე, მაგრამ გიორგი ლეონიძის პოეზიის შინაგანი თვისებები ერთხელ და სამუდამოდ შეურყეველი აღმოჩნდა. მის პოეტურ ხომალდს ყოველთვის საკუთარი გეზი ჰქონდა და მხოლოდ მისთვის სანუკვარი სივრცეებისაკენ ისწრაფოდა.

ანტონიმურ ცნებათა გარეშე ძნელია ლეონიძისეულ ღრმად ინდივიდუალურ პოეტურ ხელწერაზე საუბარი. ეპიური და ლირიკული საწყისები რაღაცნაირი უხილავი კავშირებით არიან გადახლართული, ვაჟკაცურ სულისკვეთებას აქ არ აკლია ის სიფაქიზე, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია პოეტურ იდუმალებაზე საუბარი. თემურლენგის ურდოების ველურ ყიჟინას მის ლექსებში ენაცვლება ლურჯთვალა იის პირველი გამოღვიძება, მშობლიური იორის „ზვირთთა ჩქერანი“.

მისი პოეტური ხილვები ფერადოვანია და სხვადასხვაგვარ ხმებს გამოსცემს. ამიტომ, მეტი რომ არ ვთქვათ, არ არის ზუსტი, როცა გიორგი ლეონიძის პოეტური ტალანტის დახასიათებისას ასე ხშირად მოისმის თითქმის ტრაფარეტად ქცეული სიტყვები: ომახიანი, ძლიერი, ენერგიული...

ასეთ შეფასებაში, რასაკვირველია, არის ჭეშმარიტების გარკვეული წილი. ზოგი მისი ლექსი, მართლაც, იმსახურებს ასეთ ეპითეტებს: „შორიდან რატომ მელამაზები, გული მაქვს გულზე დაჯახებული“, „მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ ლექსმა რომ დაიძგრიალოს“.

მაგრამ ასეთი დახასიათება ცალმხრივია და ამ შემთხვევაში უფრო ფორმისმიერ მხარეს ექცევა უმთავრესი ყურადღება. ასეთ დროს პოეტური ინტონაციების ძირითადი იერია წინ წამოწეული და არა მისი პოეზიის უმთავრესი შინაგანი თვისებები.

გიორგი ლეონიძის პოეზიის განსაკუთრებულ თვისებათა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, მართლაც, ღვთით მომადლებული ნიჭი სათქმელის უშუალოდ გამოხატვისა. მისი შედევრები თითქოს

ერთი ამოსუნთქვითაა შექმნილი და მკითხველიც ამ პირველქმნადობის განცდის სიხარულითაა აღვსილი. ამასთან, სწორედ ეს თვისება ფარავს, უწინარეს, მის ზეაწეულ, ენერგიული კილოთი ნაწერ ლექსებს უსაგნო მაღალფარდოვნების საშიშროებისაგან.

გულუბრყვილობა იქნება იმის დაშვება, რომ ყოველივე ეს მიამიტური უშუალობაა, ან ხალხური ინტონაციებიდან დაძრული ნაკადის ზეგავლენა, რომელსაც პოეტი საერთოდ დიდ ნდობას უცხადებს. მომნუსხველი მხატვრული ეფექტი მრავალწლოვან ძიებათა შედეგია და ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ, ამ სტრიქონების მიღმა ოსტატის რაოდენი ტანჯვა და რუდუნება იმალება. რთული მხატვრული აზროვნება აქ ის ფილტრია, რომელიც ბადებს ესოდენ მომხიბვლელ სისადავესა და უშუალობას:

ეს თოვლია თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ,
ეხურათ ხავერდები...
მინდა, ჩქარა ვუყვირო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!
ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

დაუთრგუნავი ძალა სიშაბუკისა, რომელშიც სინანულის ძირმწარე შხამიც ჟონავს, უუმაღლესი პოეტური ძალითაა გამჟღავნებული. მთავარი საიდუმლო კი ის არის, რომ პოეტური სათქმელის უშუალობაში მისი ავტორის დახვეწილი, არტისტული სული იმალება. უშუალობა აქ უკვე მაღალი პოეტური თვისების დონემდეა აღზევებული, რაც, თავის მხრივ, განუმეორებელ ლეონიძისეული ტვიფარით აღბეჭდავს მის დაუდგრომელ, მჩქეფარე ლექსებს: „გავღვიძებულვარ მეც სიყვარულით, მეც მარხევს მისი ქარი მჭუხარი, ვარდით ივსება ჩემთვის ქვეყანა, როცა ჩემთან ხარ სახემშუქარი“.

ყოველივე ამის გამო, მათ შორის ხალხური ინტონაციებით შეფერილი ლექსები, სხვაგვარ პოეტურ დონეზე მიგვანიშნებენ. ეს თანაბრად ეხება არა მარტო არტისტული მიმოხვრით დაწერილ სტრიქონებს: „როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია, მე მიეტირი ღამეს ზამბახებიანს და სიყვარულს ათაბაგის ქა-

ლისას", არამედ თითქოს უეცარი ამოძახილივით წარმოთქმულ ლექსებს: „ეს მთვარე ვიღამ შეკერა, ვინ არის მისი მკერავი? ეს გული ვიღამ დასხლიტა, ბურთივით გაუთქერავი? შენ დამარწიე, იორო, მაჩქეფე თავზე მირონი; დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად ეგ შენი სანაპირონი".

გიორგი ლეონიძე ფართო განათლებისა და ღრმა ინტელექტის მქონე პიროვნება იყო და მასთან საუბარშიც ეს არაერთხელ გვეგრძნია მის უმცროს მეგობრებს. მას ახალგაზრდებთან შემოქმედებითი კონტაქტის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. მაგრამ მე ყოველთვის მაოცებდა მისი ხასიათის ერთი თვისება. მას არ უყვარდა პოეზიაზე ჩაკირკიტებით საუბარი, მით უფრო, პოეტისაგან. უთქვამს კიდეც, ეს რა პოეტის საქმეა, ლექსი პოეტმა ყვავილებით მოჩითული მინდორივით მთლიანობაში უნდა აღიქვასო.

გემოვნება კი უტყუარი ჰქონდა. მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა, ხოლო ახალი ნიჭის ყოველი გაელვება პოეტის გულს სიხარულით ავსებდა. ახლაც მახსოვს მისი აღფრთოვანებული სახე ანა კალანდაძისა და მუხრან მაჭავარიანის ბრწყინვალე დებიუტის დღეებში.

იგი თანამედროვე ქართული და, საერთოდ, მსოფლიო პოეზიის დიდი დამფასებელი იყო განსაკუთრებულ მოწიწებას იჩენდა ჩვენი კლასიკური პოეზიისადმი, რაც კარგად ჩანს დიდი პოეტის მრავალრიცხოვან ლიტერატურულ გამოკვლევებშიც.

მოდერნისტული პოეზიის ძალთა კვეთებაში გამოვლილი (რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია და გარკვეული თვალსაზრისით ნაყოფიერიც აღმოჩნდა) იგი მაინც ტრადიციონალისტი დარჩა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

იგი „ცისფერ ყანწელთა" ორდენის ერთ-ერთი აქტიურ წევრად ითვლებოდა თავის დროზე. ჩემის აზრით, ეს მხოლოდ მოდური გატაცებით არ უნდა აიხსნას. მასთან, უწინარეს ყოვლისა ახალი ძიებები და სასტიკად მოძალებულ ეპიგონობასთან ბრძოლის ჟინი აახლოებდა. არც ის არის დასავიწყარი და ამას აქვს თავისი ფსიქოლოგიური გამართლება, რომ ქართველი სიმბოლისტები ნიჭითა და განათლებითაც გამოირჩეოდნენ ქართული ლიტერატურის იმჟამინდელ ფონზე. ეს მისთვის თავისებური სკოლაც იყო და მეტოქეობის მაღალი ასპარეზიც.

მაგრამ შინაგანი მიდრეკილებებით გიორგი ლეონიძის პოეზია ამ მიმდინარეობის ანტითეზა იყო და მას არასოდეს უღალატნია ჯანსაღი, ცხოვრებისეული ემოციებით დატვირთული პოეტური გზისათვის.

მშობლიური პოეტური კულტურის წიაღთან იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული და ეს ბევრს ავალებდა კიდეც. როგორც ჭეშმარიტმა შემოქმედმა, მან კარგად იცოდა, რომ მოწიწება და სიყვარული

არ გამორიცხავდა შეჯიბრს. წარსული პოეტური კულტურის ათვისება ახალ მხატვრულ ძიებათა საფანელია მხოლოდ.

ეს კავშირები სხვადასხვა ნიშნითა და სხვადასხვა ხარისხით გამჟღავნებულია კიდეც მის პოეტურ სიტყვაში. გიორგი ლეონიძის ზოგ ლექსში ლაღი და მიწიერი სინედლით გაჟღენთილი სტრიქონები ვაჟასეული შეუდრეკელი ტონალობითაა ახმიანებული: „გახელებული ხარი ვარ, გეშს ვიღებ ნიაქარზედა, მაჩვენეთ ჩემი ოცნება, რქა ზედ მივაფშვნა რქაზედა“.

რასაკვირველია, აქ ცალკეულ შეხვედრებზე თუ შეიძლება საუბარი, რადგან ფაქტიურად ვაჟასეული მითოლოგიური ნაკადი ერთგვარად უცხოა გიორგი ლეონიძისეულ პოეტურ ხილვებში, რომლებიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული იმპულსებითაა ნაკარნახევი. ვაჟასეული ამ შემთხვევაში უფრო ფორმისმიერი ელემენტების სახით იჩენს თავს და იქნებ ამას ორივე პოეტის ფოლკლორული ინტონაციებისაკენ ლტოლვა განაპირობებს.

საგულისხმო პარალელებს გვაწვდის ამ შემთხვევაში შედარება გრიგოლ ორბელიანთან, რაც, რამდენადაც მახსოვს, არც უნდა იყოს შენიშნული ქართულ კრიტიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ „ჩემო იარალის“ ავტორის ლაღი პოეტური ინტონაციები („თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“) და მისი ლექსების აშკარად გამოხატული არტისტული ელფერი (გავიხსენოთ თუნდაც ერთი ექსპრომტი: „სიყვარულმა მათქმევინა, თორემ მე ვინ, ლექსი ვინა“).

შორეულ წინამორბედთაგან კი მნიშვნელოვანია გორგი ლეონიძის შემოქმედებითი დამოკიდებულება დავით გურამიშვილთან, რაც ლეონიძის ერთ ლექსში პირდაპირაცაა გაცხადებული. ძველ ქართულ მწერლობაში სათქმელის უშუალოდ გამოხატვის ხელოვნებას ერთი პირველთაგანი სწორედ გურამიშვილი ფლობდა და, რაც განსაცვიფრებელია, ისეთ ლექსებშიც, რომლებიც ღრმა, მისტიური შინაარსით არიან დატვირთულნი. გურამიშვილმა სასულიერო ჰიმნებშიც ცოცხალი, ამქვეყნიური ნაკადი შეიტანა და პოეზიის ახალი გზები გაკაფა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ვაჟა-ფშაველაც თავის უპირველეს წინამორბედად სწორედ დავით გურამიშვილს მიიჩნევდა.

ქართული მწერლობა და ფოლკლორი (ეს კავშირები შედარებით უკეთაა დამუშავებული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში), ქართული სინამდვილე, რომელიც ასეთი სიღრმითაა განცდილი გიორგი ლეონიძის პოეზიაში, თითქოს ერთ მთლიანობადაა შენივთებული და უმძაფრესი შთაგონების სახითაა გამჟღავნებული. მის შედევრებში ლეგენდა და სინამდვილე, წარსული და თანამედროვეობა ისეთი ურღვევი ძაფებითაა გადახლართული, რომ ენებათა მარადიულობის

უმშვენიერეს განცდას აღვიძებენ მკითხველში — აი, უპირველესი თვისება, რაც, ჩემის აზრით, განუმეორებელ ელფერს ანიჭებს მის პოეტურ სიტყვას, ხოლო მის ავტორს გამოარჩევს თანამედროვე ქართული პოეზიის თაყვანცემათა შორის.

ამ ნიშნებითაა დაღდასმული მისი მოქალაქეობრივი პათოსით აღვსილი ლექსები, ისტორიზმის მძაფრი განცდა მსჭვალავს მის პოემებსა და ლექსების საკმაოდ დიდ ნაწილს. ღრმა ადამიანური ტრაგიზმის გრძნობა უცხო არ არის „ოლეს“ ავტორისათვის და აქაც იგი ძლიერი, მსუყე ფერებით წარმოგვისახავს „მარტოობის შხამით შიგნიდანვე გამომწვარ“ მარტოხეს. მინიშნებები ზუსტი და უცთომელია, ხოლო თანალმობის გრძნობა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს კეთილშობილური საწყისების უკვდავებას.

„ნინა ჭავჭავაძისა“ და „ციცარის“ ავტორი სილამაზის, მშვენიერ გრძნობათა დიდი ტრფიალია, ამასთან მის ლექსებში სიყვარული ბედისწერასავით გარდუვალია და მარადიულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ეს აზრი მას პირდაპირაცა აქვს გაცხადებული: „ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ, ათას წელს გაძლებს შენი მშვენება; შენ — სილამაზის ნაზო გრიგალო, შენგან აროდეს მომესვენება“ („ნინა ჭავჭავაძეს“), მაგრამ მისი პოეტური ხილვებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია ლეონიძისეული ინტიმური ლირიკის შედევრი „ყივჩაღის პაემანი“.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ცალკეული მოტივები და ასოციაციები აქ ისე მოულოდნელად ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ პოეტური სინტაქსის მეოხებით აღწევენ ლოგიკურ გამართლებას. დიდი გოეთე, როგორც ცნობილია, ამ საიდუმლოებას პოეზიის საკუთრებად მიიჩნევდა და აზროვნების ასეთ სახეობას ადამიანური ინტელექტის სრულიად განსაკუთრებულ გამოვლინებად თვლიდა.

„ყივჩაღის პაემანის“ უპირველესი პათოსი გმირულ საწყისებზე აღმოცენებული მარადიული სიყვარულის განცდაა. დრო და სამანები აქ ისეა დარღვეული, როგორც ნისლიანი მზერა სასიკვდილოდ დაჭრილი რაინდისა. თვითონ მოძალადე ყივჩაღის თემაც, რომელიც გამოძახილს ქართულ ეროვნულ ბალადაში ჰპოვებს, უსაზღვროდ აფართოებს მოქმედების არეს და საუკუნეთა სიღრმეში იძირება. ტრაგიკულის განცდა ფიქსირებულია პოეტური ფრაზით: „მაგრამ თითონაც დაიღუწება, დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად“, ხოლო დაუძლეველი მეტოქეობის გრძნობა სასურველი ქალისაკენ თავაწყვეტილი ლტოლვითაა გამოხატული: „ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, შემოვამტვერე გზები ტრიალი, მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ელეწე ტაძრები კელაპტრიანი!“

ბოლო სტრიქონში („ველწე ტაძრები კელაპტრიანი") პირველი თემა გაძლიერებულია ახალი მოტივით, რომელიც დამატებით ასოციაციებს ჰბადებს უცხო და უხეში ძალის მიერ წმიდათაწმინდის ხელყოფაზე მიგვანიშნებს საერთოდ — აძლიერებს ეროვნული ტრაგედიის განცდას. დამთრგუნველი ძალა უნდა განადგურდეს, თორემ იგი ყველას და ყველაფერს წალეკვით ემუქრება. ეს უკანასკნელი ძირითადი ხმა კონტრაპუნქტის მნიშვნელობას იძენს და თავს უყრის თავისთავად თითქოსდა დამოუკიდებელ მოტივებს. ხელმყოფელი რაინდის სიკვდილით აღძრული სინანულის გრძნობაც აქ ბუნებრივად ერწყმის წარმოსახული სურათის ერთგვარად მკაცრ ტონებს. პოეტური ალღო და ტაქტი ამ შემთხვევაშიც უცთომელია და შენდობის ჰუმანური მოტივითაა გამართლებული.

უნიკალურია ლექსის მხატვრული ქსოვილიც. პოეტის შთაგონებას აქ ბედნიერად ერწყმის გამოხატვის ფორმის არაჩვეულებრივი სრულყოფილებაც.

ექსპოზიცია შედარებით წყნარი და უშფოთველია, თხრობა გაცისკროვნებულია პოეტური სურათებით, მაგრამ აქვე ერთი პოეტური დეტალით მინიშნებულია შემდგომ განვითარებულ მოვლენათა დრამატიზმზე: „ისევ აღსდექი! მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს", რის შემდეგაც პოეტური სურათი სრულიად განსხვავებული ტემპითა და ენერგიული სტრიქონებითაა გადმოცემული.

საგულისხმო აქ ისიცაა, რომ ხალხური ბალადის შემოქმედებითად ათვისებული მოტივები ფოლკლორული პოეტიკის ხერხებით ჟონავენ ლექსის ქსოვილში და პირველივე სტრიქონებში პოეტური ფრაზები პარალელურ წყვილებად ლაგდებიან: „ყურღანებიდან გნოლი აფრინდა, ყაბარდოს ველი გადაიარა, ისევ აღსდექი, მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს", ან „ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა, შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას". პოეტური თხრობის ასეთი კილო, ძველ-ქართული ბალადის მსგავსად, ეპიურ ნაკადს აძლიერებს და ფართო მასშტაბურობას ანიჭებს პოეტურ სათქმელს.

უფრო ქვემოთ სტრიქონებს „შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას" ეხმიანება ერთგვარი სინანულის შემცველი პოეტური ფრაზები: „ნეტამც ბადაგი არ დამელია და იმ დღეს ხმალი არ ამელესა". პირველი ბიძგიც აქედან იწყება, რაც თავისთავად მოასწავებს შემდგომ დატრიალებული ძალთაკვეთების ტრაგიკულ აღსასრულს.

პოეტურ სურათებს აცხოველებს, მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ ლეონიძისათვის დამახასიათებელი მოულოდნელი სახეები, გაჟღენთილნი მიწიერი სურნელით: „როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,

ქართლის ხეობებს ასდით ნისლები". გრანდიოზული პოეტური სურათის ფონზე აქ ხელშესახებად იგრძნობა სისხლისაგან დაცლილი რაინდის უკანასკნელი ამოსუნთქვა და განშორების დიდი გულისტკივილი.

ლექსში ორგანულადაა მოხმობილი რუსთველური ფრაზები, მაგრამ მათი ფუნქცია მეტია, ვიდრე სამკაული ან მხოლოდ სტილისტიკური ხერხი. იგი ზუსტ ასოციაციებს აღძრავს და აძლიერებს განცდას სიყვარულის უკვდავებაზე, რომელიც რუსთველური სიყვარულის სახელითაა აღბეჭდილი ჩვენს ცნობიერებაში და საუკუნეებს წვდება. ამის გამო ასეთ გრძნობათა აპოთეოზად აღიქმება ლექსის ფინალური სტრიქონებიც:

მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

„ახალი პაემანის" მოლოდინი, ლექსში ჩაქსოვილი ცოცხალი განცდა თანამედროვეობის სულითაა აღბეჭდილი, რაც „ყივჩაღის პაემანის" მარადი სიშაბუკის გარანტიაა.

მდიდარი და ცხოვრებისეულია გიორგი ლეონიძის სახეთა სისტემა. მას, როგორც ჩანს, გაცნობიერებულიც ჰქონდა ის ურყევი ჭეშმარიტება, რომ პოეტის შთაგონებაში არ უნდა დაიძიროს ბავშვობისა და სიშაბუკის პირველი ხილვები, როცა შენში ფეთქავს ბუნების თანაზიარობის უკვდავი გრძნობა, ხოლო ყოველი გაზაფხული ახალი აღმოჩენების ჟრუანტელსა გვგვრის.

მან იცის, რომ ეს იშვიათი მადლია, რაც გაცხადებულია კიდეც მის ერთ უმშვენიერეს ლექსში: „შენი დრო იყო სიშაბუკისა, ვერ აიყარა შენი ყვავილი; სიშაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი". აქ არც უბერებელ სიშაბუკესა და არც მხოლოდ ჰაბუკური ცეცხლის უშრეტობაზეა საუბარი. წელთა სიმძიმე სიბრძნესთან ერთად ახალსა და ახალ თვისებებსაც ჰმატებს ჭეშმარიტ პოეტს. მთავარი ამ შემთხვევაში წარსულის არდავიწყებაა, როცა პოეტის წარმოსახვაში ყალიბდება პირველადი სახეები, სახეთა სისტემა. ადრეული ხილვები თავანკარა წყაროსავით სუფთაა და შეუმღვრეველი, ხოლო საკუთარი თავის შეცნობის გზაზე მიგნებული აღმოჩენები ლორთქო ბალახის პირველყოფილ სურნელებას ინარჩუნებენ. პირველადი სახეები პოეტის მუდმივი თანამგზავრები ხდებიან და მრავალფეროვანი ვარიაციების სახით იჩენენ თავს. პოეტის შთაგონებას ასეთ დროს უცთომელი მეხსიერება ასაზრდოებს, რის გარეშეც იგი განწირულია დასაშრტობად. გიორგი ლეონიძე ამ ღვთაებრივი ნიჭით უხვადაა დაჯილდოებული.

ამიტომ არის, რომ პოეტის ლექსებში გაზაფხულს რძის სუნი ასდის, ხოლო ცა — ატმებით მსხმოიარე და ჩახჩახაა. მთვარე გომბორის მთაზე შემოდგმული რძით გავსებულ ტაგანს აგონებს, ხოლო ცისკარი — ახალ ჩოხაში გამოკვართულ კოხტა ბიჭს. ბრდღვიალა კალმახს მის ლექსებში ჩითები მოსავს, ხოლო განთიადის სიხარულით აღვსილი პოეტი მიესალმება „დილას, რომელსაც ნისკარტით ეზიდებიან ჩიტები".

მსგავსი პოეტური ხილვები არასოდეს ტოვებდა პოეტის შთაგონებას, სიწრფელისა და „პირველადვე ქმნილის" მშვენებას ანიჭებდა მის რვალიერთ მტკიცე სტრიქონებს: „და უწმინდესი ტაძარი, არხზე წისქვილი პატარა, შენმა ტინებმა სიმაგრე ლექსებში გამომატანა" („იორის ღამე").

„პირველ მოწყვეტილ იების დღიდან" აღმოცენებულმა ამ ხილვებმა შემდეგ მას დიდებულ პოეტურ პროზაშიც გადაინაცვლა და შუქ-ელვარა სხივივით გაანათა ეს ყრმობის მოგონებათა ფურცლები: „კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწნავდე, ჩვენი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს, შიგ ჩემი ცისა და მიწის ღიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა". ეს სიტყვები მისი ცხოვრების მიმწუხრის ჟამსაა ნათქვამი და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს დიდ საიდუმლოზე.

რომანტიკული სულით აღზევებული გიორგი ლეონიძის ფერადოვანი ლექსი ქართველი კაცის სულიერი ენერგიის ამოუწურავ შესაძლებლობათა ახალი დადასტურებაა.

გიორგი ლეონიძე, ამასთან, ფართო დიაპაზონის შემოქმედი იყო და, როგორც ცნობილია, ჩვეული ძალისხმევით მუშაობდა ქართული სულიერი კულტურის სხვა უბნებშიც. ქვემოთ წარმოდგენილია ორი ნარკვევი, რომელთაგან ერთი გიორგი ლეონიძის გახმაურებული მოთხრობების კრებულს „ნატვრის ხეს" ეძღვნება და ეს ნარკვევი დაწერილია ადრე, ავტორის სიცოცხლეშივე, ხოლო მეორეში წარმოჩენილია პოეტის ღვაწლი ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლის საქმეში.

გიორგი ლეონიძის ცალკეული მოთხრობები როცა ერთ კრებულად აიკინძა, უფრო აშკარა შეიქნა, რომ წიგნში ერთიანი პოეტური სურათია გადმოცემული. აქ მოთხრობილ ამბებს კომპოზიციურად ჰკრავს გმირი, რომელიც ავტორის პერსონიფიცირებული სახეა. ჭაბუკი, მეოცნებე პოეტი (ასეა იგი წარმოდგენილი მოთხრობებში) გატაცებით, დიდი სიყვარულით გვიამბობს თავის სოფლის ადამიანებზე, მის ახლობლებზე. ისეთივე ცეცხლით იწვის, როგორც ნიავივით მსუბუქი მარიტა ან ნიშარძეულის წყალზე შეყვარებული ფორე, რომელმაც

უნიადაგო ოცნებას შეალია ახალგაზრდობა. მოგონებების სახით ნაამბობი უეჭველად სხვაგვარ ინტიმს ბადებს, თუმცა ეს მოთხრობები ბევრად სცილდებიან ჩვეულებრივ მოგონებათა ვიწრო ჩარჩოებს.

წიგნის სათაური „ნატვრის ხე“ კარგად გამოხატავს აქ მოთხრობილი ამბების შინაარსს. ყრმობის მოგონებები მარგალიტებივითაა ასხმული საოცნებო ნატვრის ხეზე. სიჭაბუკეში განცდილს ვერ შეჰხებია დროის მსახვრალი ხელი. პოეტის ნათელ მეხსიერებას ახალი სიცოცხლე მიუნიჭებია მათთვის. პატარძეული — სამშობლო პოეტისა, გარეკახეთის მშვენიერი კუთხე. ზოგს, მით უფრო, ქალაქის მკვიდრს, იქნებ, არც უნახავს ივრის წნორები ან ნინოწმინდის პალატები, მაგრამ ისინი კარგა ხანია ცნობილი გახადა თვითონ პოეტმა. პატარძეულის დილა პირველად გიორგი ლეონიძის ლექსებმა შემოიტანეს ჩვენს ცნობიერებაში:

პატარძეულის იები...
დილა ბროლშენაცები...

დილა ღმერთმოჩვენებული
შანთივით ჩამრჩა ხსოვნაში;
და ფიქრი მოჯერებული
პირველი სიტყვის პოვნაში.

გიორგი ლეონიძის ძალზე კოლორიტულ მოთხრობებს საინტერესო და მრავალფეროვანი გმირები ჰყავს. ვინ არიან ისინი? ჩვენი ქართული სოფლის უბრალო მკვიდრნი, ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთაც არ აქვთ ასპარეზი დიდი შემართებებისათვის. ამაზე ავტორს აქვს თავისი შეხედულება, რომელიც მხატვრულად ხორცშესხმულია თითქმის ყველა მოთხრობაში. მის მიერ წარმოსახული გმირები, ერთი შეხედვით, მართლაც პატარა ადამიანები, დიდი შინაგანი ძლიერებით გვხიბლავენ, სისპეტაკით ბრწყინავენ. თითქოს ყოველ მათგანში თვლემს ის დვრიტა, რომელიც საჭირო შემთხვევაში ნამდვილ სახალხო გმირებად აქცევთ მათ.

ავტორი ხშირად გვიყვება თავის თანასოფლელთა გულუბრყვილობაზე, მიამიტურ შეხედულებებზე, მაგრამ ისეთი რწმენით, ისე მოზომილად, რომ მკითხველი უნებურად თვითონაც იმსჭვალება დიდი თანაგრძნობით. თბილი იუმორითაა გადმოცემული ერთ მოთხრობაში ბუნბულა დალაქის ამბავი, რომელმაც მარტოდმარტომ გადაწყვიტა სამართლიანობის აღდგენა. მერე ვინ? თორმეტი შვილის მამამ, სიღარიბეში დაბეჩავებულმა ბუნბულამ. ვერავინ რომ ვერ აიყოლია, მარტო წავიდა ხელმწიფესთან საჩივლელად: ომი და სისხლისღვრა როგორ შეიძლებაო? აბა ვინ მიუშვებდა, ან როგორ მიაღწევდა ხელმწი-

ფის კარამდე უბირი ბუნჩულა. გამასხარავებული და გაპანღურებული უბრუნდება ნირწამხდარი დალაქი თავის სოფელს: „იყო კაცი თავმომწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა: მერე რისთვის? — კაცობრიობის გულისათვისო“, — ღიმილიანი სინანულით დასძენს ავტორი.

კრებულში რამდენიმე მოთხრობა ამავე თემაზეა გაშლილი. მაგალითად, მიამიტსა და საქვეყნო საქმისათვის აჯანყებულ ბუნბულას გარკვეული კუთხით ჰგვანან სხვა მოთხრობის გმირებიც: ფორე და ჩორეხი, რომელთა კეთილშობილური მიზნები თავიდანვე განწირულია. მათ არ უწერიათ განხორციელება. ფორესა და ჩორეხსაც ცხოვრების ალღო ღალატობთ. ეს იყო მათი უბედურება. სოფლისთვის იღვწოდნენ და სოფელს კი არ ესმოდა მათი. ფორეს ამბავი კრებულში პოეტურად არის გადმოცემული. ძველი სოფლის სიღატაკის მიზეზი აქ თითქოს სიმბოლურადაა აღქმული. ფორე წმინდა გიორგივით ნანატრი გმირია, რომელმაც წყალი უნდა მოუპოვოს ხალხს. სოფელი კი არ იბრძვის, არამედ ცხოვრობს და სიჯიუტით პასუხობს ბუნების ასეთ რისხვას. კარგად მიგნებული დეტალით აცხოველებს ავტორი ამ სურათს: „ბავშვებს არასდროს არ ენახათ ჩანჩქერი, არც ჩახრიალა, არც შადრევანი, არც უხვი წყლით გახარებული ბაღნარი, არც მტევნის ძუძუ, არც მზის ყანა! ეჰ, რა უსაწყურვილესი იყო სოფელი! ოჰ! რა ბრეს ადენდა ხორშაკი ქარი! სოფელი მტვერში ეხვეოდა; რასაც დასთესდნენ ბოსტანში, თიბათვის დამდეგს აიფშრუკებოდა, მკათათვეში ამტვერდებოდა.

— რაღადა სთესთ? — შეეკითხებოდი სოფლის დედაკაცებს.

— მაშ რა ვქნათ, სოფელს ხომ არ გავაციებთ, სირცხვილია!..

სიჭაბუკის ტრფიალად გადაექცა ფორეს ნიშარძეულის წყალი. მას უნდა გადაერჩინა უდაბნოდ ქცეული სოფელი, მშვენიერ წალკოტად ექცია. უნიადაგო და აუხდენელი იყო მისი ოცნება. სიღატაკით წელში გაწყვეტილ სოფელს არც სჯეროდა ფორეს გეგმისა და არც შეეძლო შორეული ნიშარძეულის წყლის გამოყვანა. სოფელმა ზურგი აქცია მეოცნებეს და იგი მარტო დარჩა. მოქმედებისა და ბრძოლისათვის დაბადებული ფორე უსარგებლო კაცის ცეცხლით იწვის. დიდი სიყვარულით, თანაგრძნობით არის დახატული მოთხრობაში მარტოშთენილი ფორე. იგი ოცნებით ცოცხლობს, სიზმრებში აღწევს თავის საწადელს. საგანგებოდ მინდა შევნიშნო, რომ მოთხრობის ერთ-ერთი ძლიერი ადგილია ფორეს ზმანება, რომელშიც გმირის მისტიკური ხილვაა გადმოცემული. ალბათ, ასევე წარმოედგინა უწყლო ქვეყნის მკვიდრს, ან უდაბნოში გადაკარგულ ბედუინს აღთქმული ქვეყანა.

სოფლის კოლორიტულ სურათებს აცხოველებს კიდევ ერთი პერსონაჟი, რომელიც ფორესავით რწმენის კაცია, ეს გახლავთ ჩორეხი— თითქმის ფანატიკოსი, გარდასულ დღეთა მგზნებარე ტრფიალი. ფორე

მომავალზე უნიადაგო ოცნებამ გადაიყოლა, ჩორეხს კი მზერა მხოლოდ წარსულისაკენ მიურბის.

გიორგი ლეონიძემ მოთხრობებში სხვა საინტერესო სახეებიც გაგვაცნო. ყველა ისინი საკუთარი ცხოვრებით, თავისებური ბუნებით გამოირჩევიან. ავტორს საღებავები არ დაუკლია მათთვის. სოფლის ბელადად „მოვლინებული“ ციციკორე შეურყეველი ხასიათის კაცია. სოფლის მეეტლე იაგორა სოფლიდან გაიქცა და სამუდამოდ დაკარგა ის ფესვი, რომელიც მშობლიურ მიწასთან აკავშირებდა. არაჩვეულებრივად კოლორიტულია ამბავი ორი მეზობლის ჩირიკისა და ჩიკოტელასი. რამდენი იუმორი, რამდენი სითბოა, როცა ავტორი გვიამბობს მათ უცნაურ, უმიზნო აყალმაყალზე.

ცალკე მინდა აღვნიშნო მოთხრობა „სახელის მილოცვა“, რომელიც საინტერესო ნახატით გამოირჩევა. მოთხრობის პირველი ნაწილი ძველი ისტორიული ქრონიკის ასოციაციას იწვევს. ენობრივი მასალაც სხვადასხვაგვარადაა შერჩეული. ავტორი ძველი მემატიანესავით სიტყვაძუნწია. ზოგად შტრიხებს იძლევა, მაგრამ ქრონიკა თანდათან ცოცხლდება, რეალური გმირები ავსებენ ასპარეზს. შალია ლასურაძე ძველ მეომართა ოჯახის შვილია, გვარის უკანასკნელი იმედი. ოსტატის ხელით არის დახატული დედა ჩახტაურა. უტეხი სულის ქართველი ქალი. იგი შალიას დავაჟკაცების მოლოდინით ცოცხლობს, აჰა, საცაა ეს დღეც უნდა დადგეს, სოფელმა უნდა დალოცოს და „ქარფეხა“ ცხენს უნდა შემოახტეს შალია ლასურაძე.

გიორგი ლეონიძე არ გვიამბობს, არამედ პოეტურ სურათებად ალაგებს ცალკეულ ნახატებს შალიასა და მისი დედის სამწუხარო თავგადასავლიდან. მე მხოლოდ ერთ ადგილს მოვიტან მოთხრობიდან, რათა მკითხველისათვის ნათელი გახდეს, თუ როგორ აღწევს მხატვრულ ეფექტს მწერალი: „...პირველი მსოფლიო ომის დროა, დეიდა ჩახტაურა ზის მარტოდმარტო შემპალ, ძველებურ აივანზე. კერას არ აციებს... ზის და წინდას ქსოვს... სამი ვაჟიდან ვითომდა შემორჩენილი ერთადერთი ვაჟიშვილი შალიასათვის, რომელიც სულ ამას წინათ დაეღუპა, მაგრამ ჩახტაურას არ სჯეროდა, ღრმად სწამს შვილის უკვდავება და ფოსტალიონს მკაცრი კილოთი ეტყვის:

— ენამც მოგტყდება, ენამცდარო! უკან წაიღე! ეს ქაღალდი იმასვე მიუტანე, ვინც გამოგატანა! შალია როდი მყავს მკვდარი! აღარ გაბედო ამის თქმა! — და ისევ განაგრძობს წინდის ქსოვას კიბის თავზე... წუთის შემდეგ, ჩახტაურა ისევ მრისხანე ხმას დააწევს შარაზე მიმავალ, განცვიფრებულ გუგუნას: აღარ გაბედო მაგნაირ შავი ქაღალდით აქ მოსვლა, თორემ ძაღლებს დაგაგლეჯინებ! სამახარობლოდ მოდი, სამახარობლოდ!“

უბრალო სასაუბრო კილოთია გადმოცემული ფსიქოლოგიურად ძლიერი და დამაჯერებელი სურათი. დედის გული ფანატიკურად ეურჩება მკაცრ სინამდვილეს, არ უნდა იწამოს უკანასკნელი იმედის ჩაქრობა. ფსიქოლოგიური სიმართლითაა გადაწყვეტილი გიორგი ლეონიძის მეორე საინტერესო მოთხრობა, რომელშიც გადმოცემულია მშვენიერი მარიტას და ჭაბუკი ნათელიძის უიღბლო სიყვარულის ამბავი. მარიტა სოფლის თვალია, ანკარა წყაროსავით სუფთა და სპეტაკი. პოეტურად ამაღლებული, რომანტიკული საღებავებითაა შესრულებული მისი სახე, მსუბუქი, ჰაეროვანი ტონებით. შინაგანი თრთოლვა და გამოუცნობი შიში ქვეტექსტად მისდევს მარიტას სახის განვითარებას. სად უნდა გაიხაროს ასეთმა ყვავილმა, როცა პოეტური ბუნების ადამიანები უხეში სინამდვილის მსხვერპლნი ხდებიან. ეს თემა ძალზე ახლობელია გ. ლეონიძისათვის. იგი სხვა მოთხრობებშიც არის წარმოსახული. ასეთია მარიტას ხვედრიც. ჭორებს აყოლილმა სოფელმა მარიტას არ აპატია ლტოლვა ჭეშმარიტი სიყვარულისაკენ. ხალხის დიდი სულიერი გარდატეხის ფსიქოლოგიურად მართალი სურათია დახატული, როცა მთელი სოფელი ეთხოვება მარიტას ცხედარს. აჭ კი საბოლოოდ იმარჯვებს მარიტა... „და სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთები გამოთხოვებისა და მიწის მიყრისა, იმ წამს, კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, კინაღამ ერთმანეთი გადათელეს და გათქერეს... რადგან ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს, ვერავინ... ვერავინ“...

მე მინდა კიდევ მივუბრუნდე მოთხრობას „სახელის მილოცვა“. ამ მოთხრობას ავტორი ამთავრებს სახალხო დღესასწაულის აღწერით. გიორგი ლეონიძე ქართული სოფლის, ჩვენი ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნეა. ეს ცოდნა საოცრად ამდიდრებს მის მოთხრობებს და ბევრად უფრო ფართო განზოგადების საშუალებას იძლევა. თავისთავად საინტერესო ეთნოგრაფიულ ჩანახატებში მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული სახეები მოქმედებენ. ლეონიძის ზოგ მოთხრობას ემჩნევა ავტორის გატაცება ეთნოგრაფიული აღწერებით. მაგრამ ჩემი აზრით, მეტწილად იგი ზიანს არ აყენებს მხატვრულ ქსოვილს, პირიქით, უფრო დამაჯერებელს და ცხოვრებისეულს ხდის მწერლის ნაამბობს. ამ მოთხრობაშიც თითქოს ეთნოგრაფიული სურათია გადმოცემული: მთელი სოფელი გამოსულა სასაფლაოზე. ხალხი ერთმანეთს ულოცავს „სახელის დღეს“.. სოფლელები დასტირიან მიცვალებულებს. ჩვენ ძველებს, ვისაც სახელი დაუტოვებია თავისი ვაჟკაცობით. თუ ზევით მოთხრობაში მემატიანის ძუნწი, ლაკონიური ენით მიდიოდა თხრობა, აქ პოეტი მდიდარი ხალხური ენით მეტყველებს. სახალხო დატირება პოეზიის სიმაღლემდეა აყვანილი.

„ხავსი და მობიბინე ბალახი ჰფარავს გმირთა საფლავებს...
ირგვლივ ფრთაგაშლილი გაზაფხული ფრიალებს...

— სახელი მომილოცნია, შვილო! — ყუჩად დასტიროდა შაოსანი დედაბერი ჯაფარაულის საფლავს და ღედაკაცები ზედ ზუზუნს აყოლებდნენ:

— განა შინ მოკვდი, ომის კარს მოკვდი! ხელთ ხმალი გეჭირა!

ხალხი მოვიდა, ღვთისოს ჩოქით სახელი მიულოცა.

— ჰაი, შე უდროოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა! — ჩასძახოდა პაპა ედიშერი მწყემს გაგნიას,— სვეტი ნათლისა დაგადგეს!“

ასეთი მხატვრული სურათითაა შემზადებული მგლოვიარე დედა ჩახტაურას შემოყვანა. მისი ხმაც ერთიან ნაკადად ერწყმის სახალხო მწუხარებას. ნუგეშად ჩაესმის ჩახტაურას, რომ მისი შალიაც სახალხო გმირად შეურაცხიათ. ლექსებიც გამოუთქვამთ: „შალიას სიკვდილისთვინა მაღლა ღმერთს მოსწყდა წელია! მთვარემ ჩაიცვა შავები, ვარსკვლავთ არ ედო ფერია!“ ასეთ დროს ზღვასავით დიდია და წყნარი სახალხო მწუხარება, თითქოს სადღაც ჰქრება შენი და ჩემი. მომშვიდებული, დაწყნარებული სახით ბრუნდება უკან დედა ჩახტაურა. სხვისთვისაც ჰყოფნის ღიმილიანი სიტყვა: „რა სახელიანი შვილი მყავდა! დახე, სოფელმა სახელი მიულოცა! თქვენც კარგები დაიზარდენით, ტყემლის ბოყვებო!“ — მიმართავდა იგი გზად შემოხვედრილ ბალღებს, მომავალ ვაჟკაცებს.

ეს მოთხრობა საინტერესოა მწერლის ოსტატობის თვალსაზრისითაც, კარგად ამხელს მასალისადმი ავტორის დამოკიდებულებას მახვილი პოეტური „სმენა“ ზუსტად ირჩევს შესაფერის მხატვრულ ქსოვილს. ზევითაც აღვნიშნე, რომ ამ მოთხრობებში ორი ფენა, ორი ნაკადია შემოკრილი. პირველი ნაწილი უფრო ფრაგმენტულია და გადმოცემულია ლასურაძეთა ძველი გვარის ამოწყვეტის ამბები. იგი ძველი ქრონიკის ლაპიდარული სტილით არის დამუშავებული. მოთხრობის ზემოაღნიშნული ფინალი ჰკრავს ამ ფრაგმენტულობას. ეს არის თითქმის ნატურალისტური სიზუსტით აღწერილი სცენა სახალხო გლოვისა, რომელსაც თავის ხმას უერთებს შალიას დედა, მწუხარე ჩახტაურა. მწერლის ენა აქ წყალუხვ მდინარესავით მოედინება, ხალხური თქმები, იდიომები ერთმანეთს ენაცვლებიან. ჭარბი საღებავები კოლორიტის სასიამოვნო განცდას გვანიჭებენ.

ასეთივე მხატვრული ხერხითაა შესრულებული მოთხრობა „ღვინჯუა“, რომელიც პირველად სხვა სათაურით გამოაქვეყნა ავტორმა („დაულეველი სადღეგრძელო“). თხრობის ხალხური ნაკადი, ჭარბი კოლორიტი, ძარღვიანი დედა-ქართული აქ კახეთის შემოდგომასავით მსუყე და მათრობელაა. მოთხრობის დედაბოძია განთქმული თამადა

ღვინჯუა, რომელიც გუთნის დედის პატიოსნებით ასრულებს გლეხური სუფრის მეთაურობასაც. სულ უბრალო ამბავზეა აგებული მოთხრობა. თამადობის რიგი და წესი წმინდა ზიარებასავით სწამდა ღვინჯუას. ისე არ ადგებოდა სუფრიდან, რომ ტრადიციული „საყოველადწმინდაო“ არ დაელია — „ვინც ბუდექართველია უამსადღეგრძელოდ არ უნდა ადგეს სუფრიდან! ჩვენი ქვეყნის პატივია! რა ნება გვაქვს მამაპაპური ანდერძი გავტეხოთ? მარტო შვილებსა და შვილიშვილებს კი არა, ბოლო ქართველებსაც უნდა გადავცეთო!“

ერთხელ ლამის უღალატა თამადობის წესს. ერთმა ყიამყრალმა თანამსუფრემ უსინდისო სიტყვა ესროლა და განაწყენებული ღვინჯუა „საყოველადწმინდაოს“ დაუღევლად ადგა სუფრიდან. ეს მიამიტური, გლეხური, გულუბრყვილობაზე დამყარებული კოლიზია ავტორს ისეთი რწმენით, თბილი იუმორით, მახვილად შერჩეული დეტალებით აქვს განვითარებული, რომ მკითხველი მთელი გულით განიცდის ღვინჯუას „გასაჭირს“. არაფერი მოულოდნელი აღარ არის იმაში, რომ საშინელ ქარბუქში მოხვედრილი ღვინჯუა უკან მიბრუნდება და წმინდად შეასრულებს თამადობის წესსა და რიგს — „საყოველადწმინდაოს“ სადღეგრძელოს არ მოაკლებს ნათლიმამის ოჯახს.

პლასტიკური ხატვის მადლი, სიტყვაქმნადობა და ულეველი საღებავები, როგორც ითქვა, გიორგი ლეონიძის ტალანტის ორგანული თვისებებია. ამ თვალსაზრისით, მისი მოთხრობებიც შესაფერის მხატვრულ სიმაღლეზე დგანან. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი ამავე მოთხრობიდან. მამაპაპური ქართული ლხინია გაჩაღებული ნათლიმამა თაყას გლეხურ დარბაზში. გულმართალი, ჯანსაღი, შრომაში გაკაჟებული გლეხები შემოსხდომიან ნათლობის სუფრას და თავიდანვე სიტკბო, გულითადობა გამეფდა. ხელმოსაჭიდი, როგორც იტყვიან „ხორკლიანია“ ავტორისეული თხრობა და იგი ატყვევებს მკითხველის თვალსა და გულს.

პლასტიკური სურათები ხალხური იუმორითაა შეზავებული, სუფრას შემოსხდომიან სხვადასხვა ბუნების, ხასიათისა, მეტსახელებით „შემკული“ თანასოფლელები. ავტორს თითო შტრიხი ყველასათვის ჰყოფნის. არ შეიძლება გულით არ გაგეცინოს, როცა ავტორი მსუნაგ თლოშიაურს ახასიათებს, ღორის ლურთები რომ ელანდებოდა ნიადაგ. ან კი „ტყავის ფეშტამალაფარებული ელამი კალატოზი ყიჭალა, სულ მთვრალი, კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსძახებდა: „მეეცათო!“ და მართლაც, ნავაგლახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოინგრეოდა. სოფელი მაინც მადლიერი იყო ყიჭალასი: — სხვა არც მაგ სიკეთეს გვიზამდაო“.

მოთხრობებში ახლებურად გამობრწყინდა გ. ლეონიძის პოეტური ენის შესაძლებლობები. მითიური ფარხადივით ვაჟკაცურად ებრძვის

პოეტი სიტყვის უზარმაზარ მთას, რომ ჯერ ხელუხლებელი ზოდები გადმოანგრიოს, გვაგრძნობინოს ქართული სიტყვის პირველყოფილი მშვენიერება. მე ვერ დავასახელებ უახლეს ქართულ პროზაში სხვა ისეთ ნაწარმოებს, სადაც სიტყვის ასეთი დიდი მოსავალი იდგეს. აქ შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა, თუ როგორ უშურველად აფრქვევს პოეტი ქართული სიტყვის მარგალიტებს. იგი უხვია და მისი სიტყვა, ერთი შეხედვით, შერჩევის გარეშე მოედინება, მაგრამ წუთიც და თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ეს სიტყვები აქ ზუსტად თავთავის ადგილას სხედან, უკვე ახალი სიცოცხლით სუნთქავენ. თანამედროვე პროზაში ისეთ შედარებით გაცვეთილ ხერხს, როგორიცაა გმირის დახასიათება ეპითეტებით, პოეტი ისე გაბედულად, მოჯარბებული რაოდენობით იყენებს, რომ მხოლოდ დიდი ოსტატობა შველის საქმეს. მარიტა — მწყაზარი, მოციმციმე ტრედონა, წყნარი, როგორც მაისის თეთრი წვიმა, ქალი, მტევანივით შემკობილი, ჩაკდემით მოსიარულე, ნაზი, როგორც ნიავი ვერხვში შეხიზნული და ა. შ. თითოეული სიტყვა ამავე დროს თავისი მშვენიერებით ბრწყინავს, ამიტომაც სრულიად იკარგება ფერების სიჭარბის გრძნობა.

გ. ლეონიძის მოთხრობებში სიმძიმის ცენტრი პოეტურ სიტყვაზეა გადატანილი. სიუჟეტი, კოლიზიები უკანა პლანზეა, ზოგ მოთხრობაში არც არის ცდა სიუჟეტის გასაშლელად. მაგრამ პოეტურ სიტყვას აქ ერწყმის მეორე მხატვრული ფენომენი, რომლითაც ბრწყინავს გ. ლეონიძის პროზა. ეს არის მხატვრის უტყუარი თვალი, ხასიათების საოცარი გრძნობა. გ. ლეონიძემ ქართველ მკითხველს გააცნო სახეების მრავალფეროვანი სამყარო. მონუმენტური სახეები, ეროვნული სულის ძიება ამ მოთხრობებს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებენ.

როგორც ზევითაც აღვნიშნე, გ. ლეონიძის მოთხრობების გარეგნული ფორმა ძალიან ჰგავს მოგონებებს. ზოგ შემთხვევაში შეინიშნება კიდევ დოკუმენტური პროზის ელემენტები, თუმცა უფრო ხშირად ავტორი თავს აღწევს ამგვარ ცდუნებას. მისი თხრობის სფეროში არ შემოდის ყოფითი დეტალები, წვრილმანი, კონკრეტული შინაარსის მქონე ამბები. მწერალი ძალზე დატვირთულია ყრმობის შთაბეჭდილებებით და ზოგჯერ ნაჩქარევად ცდილა ჯერ კიდევ მხატვრულად მოუმწიფებელი მასალის გამოტანას. მაგალითად, დაუმთავრებელი და ესკიზური მონახაზის შთაბეჭდილებას ტოვებს კრებულში მოთავსებული რამდენიმე მოთხრობა („ორი შემოხედვა", „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი"). მთელი მოთხრობაა მიძღვნილი ისეთი სახისადმი, რომელიც თავისთავად ძალზე კოლორიტულია და დაამშვენებდა რომელიმე მოთხრობის ცალკეულ ეპიზოდს, მაგრამ ცალკე აღებული ვერ უძლებს მხატვრულ დატვირთვას. ამის გამო თხრობა ჭიანურდება და მხატვრული ეფექტიც ნაკლებია. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ჭამ-

-პურა“, ან მეორე მოთხრობა „თალხია“. ჩემის აზრით, ავტორი ზოგჯერ ზედმეტად ერევა მხატვრულ თხრობაში, ეს კი უეჭველად იწვევს სტილის „ამოვარდნას“. ავტორი თვითონ არის ამ მოთხრობების პერსონაჟი და იგი მხატვრული ფუნქციის გარეშე არ უნდა დარჩეს.

მაგრამ ეს, მართლაც, უმნიშვნელო „ლაქები“ ოდნავადაც ვერ ანელებენ მთლიან შთაბეჭდილებას. მრავალფეროვანი ქართული სახეებითა და მადლიანი ქართული სიტყვით დამშვენებული გიორგი ლეონიძის ეს მოთხრობები, ეჭვს გარეშეა, უნიკალური მოვლენაა თანამედროვე ქართული პროზისა და ამასთან ახალი კუთხით გვაგრძნობინებენ მათი ავტორის დაუშრეტელ ტალანტს.

ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი გიორგი ლეონიძე პატრიოტული გზნებით დაწერილი ნარკვევებით გაესაუბრა ქართველ მკითხველს, განვლო ნახევარ საუკუნეზე მეტმა. დიდ პოეტს ჭაბუკობიდან გამოყოლილი ინტერესი კვლევა-ძიებისადმი ბოლომდე შემორჩა და დღეს მის ბრწყინვალე პოეტურ მემკვიდრეობას მხარს უმშვენებენ მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, ნაყოფი მძიმე და ბეჯითი შრომისა.

„ყივჩაღის პაემანისა“ და „ნინოწმინდის ღამის“ ავტორი ქართველი ხალხის წარსული ცხოვრების უბადლო მცოდნე იყო. ეს დიდი ცოდნა, კვლევა-ძიებით გატაცება საზრდოს აწვდიდა მისსავე შემოქმედებას, წარმოუდგენლად ამდიდრებდა მგოსნის პალიტრას. წარსული და დღევანდელობა ბუნებრივად იყო გადაჯაჭვული პოეტის ლირიკულ შედევრებში, ხოლო მისი ჰერიოკული პათოსით ახმიანებული ლექსები ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის ორგანული განცდის ნაყოფია:

პირველ მოწყვეტილ იების დღიდან
მე ვარ დამწვარი შენი მსახური...

სამშობლოსადმი, ქართული სიტყვისადმი დაუოკებელმა სიყვარულმა სხვა სარბიელზეც გამოავლინა მისი დიდი ნიჭი და მაძიებელი გონების უნარი.

ვისაც გადაუფურცლავს ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ჟურნალ-გაზეთების აწ გახუნებული ფურცლები, მას უეჭველად თვალში მოხვდება რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორი ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს დასტრიალებს თავს, აღწერს და ყველას მოუწოდებს, რომ როგორმე გადავარჩინოთ ძველი საქართველოს დიდების ეს უტყუარი მოწმეები. მათი ავტორია მაშინ სრულიად ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე, რომელიც მოკრძალებით ანდობს მკითხველს თავის გულისტკივილს. საგულისხმოა, რომ იგი ერთ-ერთ თავის პირველ წერილში დაწვრილებით აღწერს ნინოწმინდის დანგრეულ პალატებს,

ხოლო შემდეგ უკვე მოწიფულობის ასაკში მასვე უძღვნის თავის ლირიკულ შედევრს „ნინოწმინდის ღამეს“. პოეტური სიტყვით სამუდამოდ აღბეჭდავს მას ქართველი კაცის ცნობიერებაში.

მან დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის შესწავლის საშვილიშვილო საქმეში. დიაპაზონი, მართლაც, განსაცვიფრებელი იყო. ისტორიკოსი და მკვლევარი-ფილოლოგი ბედნიერად იყო შერწყმული მის გამოკვლევებში.

გიორგი ლეონიძე დიდი ინტერესით იკვლევდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს, სხვადასხვა ეპოქას. არაერთი საგულისხმო წერილი მიუძღვნა, მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან ეპოქას, როგორიც იყო საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების ხანა, ვახტანგ გორგასალს, ძველი მცხეთიდან დედაქალაქის თბილისში გადმოტანას და ა. შ. ამ ეპოქ-ს ღრმა ცოდნა გამოსჭვივის მისსავე შესანიშნავ პოემაში „სამგორი“, რომელშიც ასე ბრწყინვალედაა გაცოცხლებული ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა. გიორგი ლეონიძე ღრმად იყო გარკვეული ძველ ქართულ ეპიგრაფიკულ თუ ნარატიულ წყაროებში, თვითონაც არაერთი ძველი უნიკალური სიგელ-გუჯარი მოუპოვებია და გადაუცია ჩვენ წიგნთსაცავებისათვის.

მაგრამ მაინც უპირველეს წყაროდ და ძველი საქართველოს უძვირფასეს წიგნად იგი „ქართლის ცხოვრებას“ მიიჩნევდა და, ცნობილია, პოეტი-მკვლევარის გატაცება ქართული მატიანეებით. გიორგი ლეონიძის ახლობელთ კარგად ახსოვთ, რომ პოეტს ხშირად უყვარდა „ქართლის ცხოვრების“ ნიშანდობლივი ადგილების გახსენება, რომლებიც მას ზეპირადაც კი ახსოვდა. ეს სიყვარული „ქართლის ცხოვრებისადმი“, რომელსაც იგი ერთ ადგილას ხატოვნად „ქართლის მკვლელობის“ ისტორიას უწოდებს, მან თავის გამოკვლევებითა და რამდენიმე მშვენიერი ლექსით გამოხატა. ბრწყინვალეა, ამ თვალსაზრისით, გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსი, რომელიც სწორედ ქართული მატიანეებითაა შთაგონებული:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეჯავდენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!

გამოვეარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩხაა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენ აბრებს.
და მიხარიან, რომ ისევ დგეხარ!

უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი ნაწილი გიორგი ლეონიძის გამოკვლევებისა ეხება ე. წ. აღორძინების ეპოქას (XVII—XVIII სს.) და XIX საუკუნის პირველ ნახევარს, როდესაც სულიერი კულტურის ახალი გზების ძიება დაიწყო ჩვენში. აქ კარგად ჩანს ისტორიკოსისა და ფილოლოგის მახვილი თვალი. არჩილისა თუ ვახტანგის, სულხან-საბას, გურამიშვილისა თუ ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედების კვლევისას გიორგი ლეონიძე არაჩვეულებრივი სიცხადით, ისტორიკოსისათვის დამახასიათებელი თანმიმდევრობით აღადგენს აქ მოხსენიებულ მწერალთა ცხოვრების შესაბამის ეპოქებს და ჩვენ ისტორიოგრაფიას არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტის მოპოვებითა თუ მეცნიერული დასკვნებით ამდიდრებს.

თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი ნატრობდა, რომ ფეოდალური საქართველოს ჯერ კიდევ ბნელით მოცულ ისტორიას ჩვენ სრულყოფილად ვერ შევიცნობთ, თუ სოციალურ საკითხებთან ერთად მონოგრაფიულად არ შევისწავლით ქართველ ფეოდალთა გამოჩენილ სახელებისა თუ გვარების ისტორიას. გარეშე თუ შინაგან ისტორიულ მიზეზთა გამო ესა თუ ის ფეოდალური გვარი არ იყო მიჯაჭვული პირვანდელ ადგილზე, ერთი გვარი ცვლიდა მეორე გვარის მფლობელობას, ხდებოდა ძირეული გადანაცვლებანი, თორელთა სახლეულობის შთამომავალნი მესხეთიდან შუა ქართლში მკვიდრდებოდნენ, დადიანებს აღმოსავლეთ საქართველოშიც ჰქონდათ მამულები, ხოლო თმოგველები იძულებულნი იყვნენ უჯარმაში ეძიათ. ახალი საცხოვრისი. გიორგი ლეონიძე დიდ ინტერესს იჩენდა ამ საკითხებისადმი და მე პირად საუბრებშიაც არაერთხელ დავრწმუნებულვარ, თუ რა დიდძალი მასალა ჰქონდა დაგროვებული მკვლევარს ძველქართულ ფეოდალთა არა მარტო გამოკვლეულ, არამედ შედარებით მეორეხარისხოვან გვართა ისტორიისათვის. დიდის გულმოდგინებით აქვს მკვლევარს დამუშავებული და გამოქვეყნებული კიდეც ბარათაშვილ-ორბელიანების გვარის რთული ისტორია, მესხეთიდან ქართლში ჩამოსახლებულ ფანასკერტელ-ციციშვილთა გენეალოგია, გურამიშვილების წარმომავლობა (ასევე მესხეთიდან გადმოსული ზედგინიძეთა გვარიდან) თუ გაბაშვილთა გვარის რამდენადმე ლეგენდურ გადმოცემებზე დამყარებული გენეალოგიური შტო. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მკვლევარს ბევრი რამ ამ სფეროდან გამოუქვეყნებელი დარჩა და ალბათ მისი მდიდარი არქივიდან არაერთი საგულისხმო მასალა თუ ცალკეული დაკვირვება მოელის გამომზეურებას.

მაინც გიორგი ლეონიძის, როგორც მკვლევრის პროფილი, განპირობებულია მისთვის ყველაზე საყვარელი ობიექტით, ქართული მწერლობის შესწავლით. ამ თვალსაზრისით მისი ლიტერატურული ნაღვაწი არა მარტო მრავალრიცხოვანი, არამედ მნიშვნელოვანია და

მის გამოკვლევებს გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვინც კი ძველი თუ ახალი ქართული მწერლობის შესწავლით არის დაინტერესებული.

ლიტერატურის ისტორია როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში იცნობს არაერთ ფაქტს, როცა გამოჩენილი მწერლები გატაცებით მუშაობენ ლიტერატურათმცოდნეობის სხვადასხვა დარგში. როგორც ცნობილია, მეტწილ შემთხვევაში მათი დაკვირვებანი იმპრესიონისტული მანერით შესრულებულ ესეებს წარმოადგენენ და ამა თუ იმ მწერალზე მათი სუბიექტური შეხედულების, ხშირ შემთხვევაში მეტად ფასეულის, გადმოცემას შეიცავენ. გიორგი ლეონიძის წერილები თუ ნარკვევები პრინციპულად განსხვავებულ ხასიათს ატარებენ. იგი მაძიებელი მკვლევრის როლს ირჩევს და ახალ-ახალი ფაქტების გამოვლენით ცდილობს შესასწავლი მწერლის ცხოვრების ქრონიკის აღდგენას, მისი პიროვნების ყოველმხრივ დახასიათებას. მას ეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა, მით უფრო წარსული ეპოქების მწერალთათვის და სამართლიანად ფიქრობდა, რომ თანამედროვე ეტაპზე ამ კუთხით წარმართული კვლევა-ძიება უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა მომავალ თაობებს, რომელთათვის შესაძლოა უფრო ძნელადმოსაპოვებელი შეიქნეს ჩვენი დროის მკვლევარისათვის ჯერ კიდევ ხელმისაწვდომი ფაქტები.

გიორგი ლეონიძე სამართლიან საყვედურს გამოთქვამდა ლიტერატურის ზოგიერთ ისტორიკოსთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებდნენ ე. წ. შავ სამუშაოს და ამის გამო ან არ იცნობდნენ ფაქტიურ ვითარებას, ან კი სხვათა ნაკვლევის ვითომდა განზოგადების გზით ცდილობდნენ იოლად ფონს გასვლას. ასეთი „მკვლევარი“ ზოგიერთ ექიმსა ჰგავს, რომელსაც ავადმყოფი არ უყვარს და ყოველდღიური ჯაფისა და მკურნალობის ნაცვლად დიაგნოზის (ხშირ შემთხვევაში მცდარის) დასმით ათავებს საქმეს. თვით სინამდვილემ დაადასტურა, რომ სტამბის დაზგათა სუნის შეშრობამდეც კი დავიწყების საბურველი ელის ასეთი პრეტენზიით შექმნილ წიგნებს.

გიორგი ლეონიძის გამოკვლევები ღრმა და დაუზარელი კვლევა-ძიების ნაყოფია. ყოველ მის წერილში ჩანს საარქივო მასალის სიუხვე, მკვლევარის ალღო და მიგნების უნარი. მისთვის არ არსებობს დიდი თუ პატარა ფაქტი, ოღონდ იგი რაიმე კუთხით შუქს ჰფენდეს საკვლევ ობიექტს. მასალის დაუფლება და შემდეგ ფრთხილი მეცნიერული დასკვნების გამოტანა — აი, ერთადერთი სწორი გზა, როგორც ეს წარმოედგინა პოეტსა და მკვლევარს გიორგი ლეონიძეს.

სანიმუშოა ამ მხრივ გიორგი ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა სულხან-საბა ორბელიანზე. ხშირად მასალის სიუხვე და ერთი შეხედვით წვრილმანი ფაქტების გამომზეურება მკითხველის აღქმას ერთგვარად დაბრკოლებას უქმნის. მაგრამ ლეონიძისათვის ასეთი დაბრკო-

ლება ადვილი დასაძლევია. იგი კომპოზიციის და საერთოდ თხრობის შესანიშნავი ოსტატია, ეს მან თავის უკანასკნელი მოთხრობებითაც ბრწყინვალედ დაადასტურა, იგი ადვილად ახერხებს გამონახოს გზა მკითხველის გულისაკენ.

„მთელს საქართველოს მამად მიაჩნია", — უთქვამს ერთ უცხოელს სულხან-საბაზე. ამ დიდებული დახასიათებით იწყებს თავის მონოგრაფიას მკვლევარი და ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევს მთელ გამოკვლევას, რომლის ერთადერთი მიზანიც სწორედ ის არის, რომ თანამედროვე მკითხველის წინაშე წარმოაჩინოს სულხან-საბა ორბელიანის უკვდავი პიროვნება.

ახალი ფაქტების აღმოჩენითა და „ქილილა და დამანაში" ჩართული ანდერძების გონებამახვილური გააზრებით გიორგი ლეონიძემ მანამდე უცნობი შტრიხებით გაამდიდრა სულხან-საბას ბიოგრაფია. ახლებურადაა ამ გამოკვლევაში გაშუქებული სულხან-საბას დიდებული წიგნის „სიბრძნე სიცრუის" რთული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. კვლევის დღევანდელ ეტაპზე მართებული ჩანს დაკვირვება, რომ სულხანის რიგი არაკი, რომელთაც პარალელები ეძებნება სხვა ხალხების მწერლობაში, ზეპირი გზით ჩანს მიგრირებული და გაშუალებული ახალ ენობრივ წრეში. კიდევ უფრო ფასეულია გიორგი ლეონიძის დაკვირვება ფოლკლორთან „სიბრძნე სიცრუის" წიგნის ორმხრივ კავშირზე. რიგ შემთხვევაში, და ეს ფაქტებით არის ცხადყოფილი (ზღაპარი „მკაცრ მეფეზე", კერძოდ პერსონაჟის შირვანგის „შირვან-შაჰის" სახელიდან მომდინარეობა), თვით სულხანის წიგნს მოუსდენია გავლენა ხალხურ ზღაპრებზე და ეს მომენტი არ უნდა იქნეს დავიწყებული „სიბრძნე სიცრუის" წიგნის ფოლკლორული წყაროების ძიების დროს.

ამ გამოკვლევაში იხილა მზის სინათლე რამდენიმე ნაწყვეტმა სულხან-საბას ქადაგებათა კრებულიდან, რომელიც „სწავლანის" სახელწოდებითაა ცნობილი და მანამდე ქართველი მკითხველისათვის ფაქტიურად სრულიად უცნობი იყო.

გიორგი ლეონიძემ რამდენიმე საგულისხმო წერილი მიუძღვნა სულხან-საბას მოწაფესა და სულიერ მეგობარს, სახელოვან ქართველ სწავლულს ვახტანგ მეექვსეს. განსაკუთრებით ფასეულია გიორგი ლეონიძის გამოკვლევები ქართული კულტურის ისტორიაში ისეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორიცაა პირველი ქართული სტამბის დაარსება თბილისში. სრულიად ახალი ფაქტების გამომზეურებით და განსაკუთრებით რუმინეთში მიკვლეული მასალების საფუძველზე გიორგი ლეონიძემ მთელი სისრულით აღადგინა სტამბის დაარსების ისტორია და საბოლოოდ ცხადყო, რომ ვახტანგ VI-თან ერთად ამ დიდი საქმის მეთაურის პატივი ეკუთვნის რუმინეთში მოღვაწე შესანიშნავ

ქართველს ანთიმოზ ივერიელს, რომელსაც საქართველოში სტამბის გასამართავად გამოუგზავნია მისივე მოწაფე მიხაი უნგრო-ვლახელი. მკვლევარმა ახალი მასალებით თვალსაჩინო გახადა ორი დიდი პიროვნების ვახტანგ VI-ისა და ანთიმოზ ივერიელის მეგობრობა და ერთობლივი ღვაწლი საქართველოს კულტურული აღორძინების საქმეში.

აღორძინების ეპოქიდან (XVII—XVIII) სამი სახელოვანი პოეტი იქცევდა მკვლევრის ყურადღებას: ბესიკი, დავით გურამიშვილი და საიათნოვა. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია გიორგი ლეონიძის მშვენიერი მონოგრაფია ბესიკზე. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ გიორგი ლეონიძე ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი უველაზე გამოჩენილი მკვლევარია. მონოგრაფიის შესავალშივე ასე განსაზღვრავს თავის ამოცანას მკვლევარი: „ბესიკის პოეტური მემკვიდრეობიდან დღეს ბევრი რამ არის გაუგებარი... ბესიკის ზოგი ლექსი გაუგებარია მისი ბიოგრაფიის გარეშე. ჩვენ გვიყვარს ბესიკი,— დასძენს იგი, — მაგრამ ნაკლებად ვიცნობთ მის ცხოვრებას. ჩვენი სურვილი იყო, შეძლების მიხედვით აღგვედგინა ბესიკის ძვირფასი სახე".

დღეს, მართლაც, ჩვენ უფრო ახლოს გავეცანით ბესიკს, მის შემოქმედებას. ერთი დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი ამაში სწორედ გიორგი ლეონიძეს მიუძღვის. რომელი ერთი ჩამოითვალოს. გიორგი ლეონიძემ საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენა და ახალი მასალებითაც შეამაგრა ისტორია გაბაშვილთა გვარისა, რომელიც „ლურჯი მონასტრის" წარწერით თითქოს აბულასან ერისთავთ-ერისთავის მამის იობისაგან უნდა იღებდეს სათავეს. მკვლევარმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღადგინა გაბაშვილთა მრავალრიცხოვანი ოჯახის თავგადასავალი და მათი მოღვაწეობა ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერთა მეფის კარზე. ახლებურადაა დასმული და უარყოფილი ტრადიციული შეხედულება ბესიკის ტრფობის ობიექტზე, რომელიც მისი ბიოგრაფიის საკვანძო საკითხად იყო მანამდე ქცეული. სრულიად ახლებური გააზრება მიეცა ბესიკის რამდენიმე სატრფიალო ლექსს და ა. შ.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გიორგი ლეონიძემ დავით გურამიშვილის ცხოვრება-შემოქმედების შესწავლის საქმეში. აქ კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოვლინდა მისი როგორც მკვლევარ-მეცნიერის ძირითადი ნიშან-თვისება. ცალკეულ დეტალებზე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტებზე დაყრდნობით იგი აღადგენს იმ გარემოს, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება დავით გურამიშვილს საგურამო-ლამისყანიდან მოკიდებული უკრაინაში გატარებულ მის უკანასკნელ დღეებამდე, თხრობა წარმოებს პატარ-პატარა გამოკვლევებით (მაგალ. „მოსკოვში", „ერაჯ ჭალაშვილი", „დავით გურამიშვილი და გარაყანიძეები" და ა. შ.), რომლებიც ბუნებრივად ავსებენ, აგრძელებენ ერთ-

მანეთს და საბოლოოდ კი გურამიშვილის ცხოვრება-შემოქმედების ერთიან მწყობრ სურათს გვიხატავენ.

გიორგი ლეონიძემ ახლებურად გააშუქა, როგორც თვითონ უწოდებდა, მგოსან საიათნოვასთან დაკავშირებული რიგი საკითხი. სხვა მასალებთან ერთად გამოიყენა თეიმურაზისა და იოვანე ბაგრატიონების თხზულებებსა თუ მათ არქივებში დაცული ძვირფასი ცნობები და, მაგალითად, ეჭვმიუტანლად დაადასტურა, რომ საიათნოვა არც ეპისკოპოსი ყოფილა და არც ერეკლე მეფის კარის დიპლომატიური მოღვაწე, რომ იგი არა 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს მოუკლავთ, არამედ ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, როგორც ჩანს, 1801 წელს. დამაჯერებლად გააშუქა ერეკლეს სასახლიდან საიათნოვას დათხოვნის ამბავი, მისი თანამდებობა ამ სასახლეში (კარის საზანდარი) მგოსნის სახელწოდება და მისი ლექსების ბედი.

გიორგი ლეონიძე რუსთველოლოგიის ისტორიაში შევიდა, როგორც პოემის ერთი უნიკალური ხელნაწერის მოპოვებისა და საქართველოში ჩამოტანის ინიციატორი. მანვე პირველმა აღწერა იგი მეცნიერულად და სანიმუშო არქეოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა მას. მანვე დაადგინა როგორც მისი გადამწერის ვინაობა (იოსებ ტფილელი), ასევე გამოავლინა ხელნაწერის პირველი მფლობელი, რომლის სახელი უკვე გადაშლილი იყო ხელნაწერში. რუსთველოლოგიაში დღეს ეს ხელნაწერი თვით გიორგი ლეონიძისავე რეკომენდაციით მისი პირველი მფლობელის ზაზა ციციშვილის, ანუ „ზაზასეული“ ხელნაწერის სახელითაა ცნობილი.

მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის ღვაწლი ძველი ქართული ტექსტების გამოცემაში. ამ მხრივ მისი მოღვაწეობის ეს სფერო ჯერ კიდევ მოელის უფრო ღრმა შესწავლას. აქაც ადრევე გამოიჩინა თავი და სიჭაბუკის წლებშივე გამოსცა ქართული პოეტიკის ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა მამუკა ბარათაშვილის „ჟამნიკი“ (გამოიცა 1920 წ.).

აღსანიშნავია სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის ლეონიძისეული გამოცემა (1928 წ.), ფეშანგის პოემის „შაჰნავაზიანის“ პირველი (და საერთოდ ერთადერთი) მეცნიერული ტექსტის დადგენა (გამოსცა 1935 წ. ს. იორდანიშვილთან ერთად), მასვე ეკუთვნის შესანიშნავი გამოცემა იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანისა“ (1939 წ.) და ა. შ.

მისი ტექსტოლოგიური მუშაობისათვის დამახასიათებელია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ყველა ამ ტექსტს ამკობს საკმაოდ სოლიდური მეცნიერული აპარატურა და ვრცელი გამოკვლევები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სულხან-საბას, „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის, „შაჰნავაზიანისა“ თუ „დიდმოურავიანის“ ლეონიძისეული გამოცემები.

„შაჰნავაზიანზე“ დართულ ვრცელ გამოკვლევაში აღძრულია ჩვენი ძველი მწერლობის რიგი საკვანძო საკითხი, რომლებიც ეხებიან ახალი ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბებას, რაც არჩილსა და მის გარშემო შემოკრებილ ლიტერატურული წრის საქმიანობას უკავშირდება.

აქვე გარკვეულია პოემის ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. (ავტორის ვინაობა, დაწერის თარიღი, პოემაში ასახული ეპოქა და ა. შ.) აქ მიღებული დასკვნები საგულისხმოა და დღესაც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

ასევე, მის მიერ გამოცემულ „დიდმოურავიანს“ გ. ლეონიძემ სამეცნიერო აპარატურასთან ერთად დაურთო ვრცელი მონოგრაფია, რომელშიც ფართოდ განიხილა პოემის როგორც იდეური, ისე მხატვრული თავისებურებანი და მართებულად მიუთითა პოეტის ერთგვარ რომანტიკულ კილოზე, რაც ავტორის მიზანდასახულობამ განაპირობა (კერძოდ, იოსებ ტფილელი ცდილობდა გიორგი სააკაძის ყოველმხრივ რეაბილიტაციას მომდევნო თაობათა თვალში).

გ. ლეონიძემ ახალი მასალებისა და საბუთების მოპოვებით შეძლო პოეტის შესახებ დღემდე შემონახული, მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობების გამდიდრება და შევსება-შესწორება. კერძოდ, გ. ლეონიძის გამოკვლევამ ნათელყო, რომ ტრადიციული ცნობა, თითქოს „დიდმოურავიანის“ ავტორი იყო „ძის-ძე დიდი მოურავისა შვილი გიორგის-ძის სიაშისა“, არ შეეფერებოდა სინამდვილეს. მკვლევარმა ზოგი ახალი მასალის მოშველიებით (მათ შორის აღსანიშნავია სოციალური ტერმინის „მოდგამის“ ანალიზი) წამოაყენა ახალი, ჩვენის აზრით, საინტერესო ჰიპოთეზა, რომ იოსებ ტფილელი გიორგი სააკაძის ძმის ბაბათად ზედწოდებული შიოშის ვაჟი იყო და, ამდენად, პოემის მთავარი გმირის უახლოესი ნათესავი. ასევე ახალი მასალებია მოხმობილი ავტორის ვინაობის კიდევ უფრო დასაზუსტებლად (მისი ტფილელობა, ცხოვრების ბოლო წლები და სხვ.) და გადასინჯულია პოემის დათარიღების საკითხიც.

XIX საუკუნის მწერლობიდან გიორგი ლეონიძემ საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნა ივანე მაჩაბელს („მნათობი“, 1924 წ. № 2, 4, 5) და ერთ-ერთმა პირველთაგანმა წარმოაჩინა ივანე მაჩაბლის ღვაწლი სამშობლო ქვეყნისა და ლიტერატურის წინაშე. 1935 წელს გიორგი ლეონიძემ კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომლის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორიც თვითონვე იყო, თავი მოუყარა ძვირფას მასალებსა და დოკუმენტებს, რომლებიც აშუქებენ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ქართველ რომანტიკოსთაგან გიორგი ლეონიძის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და უკვე 30 წლებიდან

იგი აქვეყნებს საყურადღებო გამოკვლევებს ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის ეპოქაზე. ყველაზე საგულისხმოა მისი ვრცელი გამოკვლევა „ბარათაშვილის გარშემო“, რომელიც 1940 წელს დაიბეჭდა ლეონიძისავე ინიციატივით დაარსებულ „ლიტერატურულ მატიანეში“ (1—2). გიორგი ლეონიძე ამ წერილებში XIX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესანიშნავ მცოდნედ გვევლინება და თავის გამოკვლევაში პირდაპირ ხელშესახებად აღადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქას, ამავე ეპოქის კულტურულ ატმოსფეროს და ახალი დეტალებით ამდიდრებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შედარებით მწირ ბიოგრაფიას.

დაბადების თარიღის, თუ 1832 წლის შეთქმულებასთან ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულების სადავო საკითხების გარკვევასთან ერთად, ამ გამოკვლევაში, სხვათა შორის, პირველადაა გახსნილი ბარათაშვილის ყალბი პორტრეტის შექმნის ისტორია. საგულისხმოა აგრეთვე მასალები „მერანის“ შემოქმედებით ისტორიაზე და დიმიტრი ყიფიანის წერილის პირველი პუბლიკაცია, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ძალზე საინტერესო დახასიათებაა წარმოდგენილი. გიორგი ლეონიძის ვრცელი მონოგრაფია ერთვის აგრეთვე 1945 წელს გამოცემულ ნ. ბარათაშვილის ლექსების ერთ-ერთ კრებულს.

გიორგი ლეონიძის მრავალრიცხოვან წერილთა მარტო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მე მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ, რათა ერთგვარი წარმოდგენა მოგვცეს მის ფართო კულტურულ ინტერესებსა და კვლევა-ძიების დიაპაზონზე.

გიორგი ლეონიძე ქართული თეატრის დაუცხრომელი მოამაგე იყო და თეატრის ისტორიას წერილების მთელი სერია უძღვნა „ქართული თეატრის ქრონიკებს“ სახელწოდებით (1924 წ.). მასვე ეკუთვნის ნარკვევი ძველ-ქართველ მხატვრებზე, სადაც პირველად არის თავმოყრილი ძვირფასი ცნობები ძველ-ქართულ ფუნჯისა თუ ჭედური საქმის ოსტატებსა და ხუროთმოძღვრებზე („ლიტ. საქართველო“, 1939 წ.). გიორგი ლეონიძე ერთი იმ პირველთაგანია, რომელიც დაინტერესდა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებით. აღმოაჩინა ბევრი მისი ნამუშევარი (და გადასცა იგი ხელოვნების მუზეუმს, სულ 16 ცალი). და მომავალ თაობებს აღუდგინა ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების დაკარგული ფურცლები. გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის მრავალი წერილი, რომლებშიც ძირითადი თემაა ჩვენი ლიტერატურის ურთიერთობა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მწერლობასთან. საკითხის ასეთი კუთხით კვლევა მას ძალზე საჭიროდ მიაჩნდა და თავისი წვლილიც შეიტანა ჩვენი კულტურის ამ მნიშვნელოვან საქმეშიც.

გიორგი ლეონიძემ უმაგალითო მხნეობა გამოიჩინა და პრაქტიკულად არაერთ სასარგებლო საქმეს უმეთაურა ახალი ქართული კულ-

ტურის აღორძინებისათვის. სიჭაბუკეშივე გამოვლენილი სიყვარული სიძველეებისადმი მას არასოდეს შენელებია და დღეს შესამჩნევია გიორგი ლეონიძის ღვაწლი ქართული კულტურის ძეგლთა დაცვა-აღდგენაში. ლაღი და დაუოკებელი პოეტური ბუნება ხელს არ უშლიდა, რომ გადაედო სხვა საქმეები, სამაგალითო სიბეჯითით ეკვლია ძველი წიგნთსაცავები და მტვრიან ფოლიანტებში გამოეჩხრიკა ძვირფასი ცნობები. იგი სამუზეუმო საქმის მცოდნე და დიდი მოყვარული იყო. მისივე ინიციატივით გაიხსნა საქართველოში მწერალთა მუზეუმი და რამდენიმე მემორიალური სახლ-მუზეუმი. ამ საშვილიშვილო საქმეშიც განუზომელია ღვაწლი გიორგი ლეონიძისა.

ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენი ერის ცხოვრებაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება, რომელშიც თავისი გარკვეული წვლილი არ შეეტანოს გიორგი ლეონიძეს, რაიმე მნიშვნელოვანი თარიღი, რომელსაც იგი სიტყვით თუ საქმით არ გამოხმაურებოდეს.

დიდი აღტაცებით მოელოდა იგი ქართული კულტურის უდიდეს დღესასწაულს — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ამზადებდა კიდეც თავის ნობათს, ამ დღეებისადმი მიძღვნილს, მაგრამ 1966 წლის 9 აგვისტოს, როდესაც იუბილეს სულ რაღაც დღეები უკლდა, იგი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან.

გიორგი ლეონიძის ომახიანი სიტყვა უეჭველად დაამშვენებდა ჩვენი კულტურის ამ დაუვიწყარ დღესასწაულს.

სულხან-საბა ორბელიანის ერთი პირველი მკვლევარი გიორგი ლეონიძე კარგად იცნობდა თავისი დიდი წინამორბედის ანდერძად დატოვებულ სიტყვებს: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“.

გიორგი ლეონიძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ამ ანდერძის ბრწყინვალე დადასტურება იყო.

1963—1970წწ.

9. „შემოქმედებას სიახლე უყვარს“

(სიმონ ჩიქოვანი)

სიმონ ჩიქოვანის პოეტური გზა შეუპოვარი ძიებებითაა დატვირთული. ყველაფრიდან ჩანს, რომ ახალი მიჯნების გადალახვა მისთვის შინაგანი მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი. ბუნებრივია ისიც, რომ სიტყვასთან ჭიდილში პოეტი ზოგჯერ ზეამოცანის დაძლევას ცდილობ-

და და არც შემოქმედებითი მარცხის მწარე განცდას გაქცევია იგი: „მაგრამ, როდესაც თაეფურცელს გავშლი, რად მიმუნჯდება ცხელი ბაგენი, თუ ვარ მენავე, ცხოვრების ზღვაში ნავსადგურს რისთვის ვერ მივაგენი?“

ასეთი დაეჭვება, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მას ბოლომდე გაჰყვა. იქნებ ესეცაა ერთი მიზეზი, რომ საკუთარი თავის განმეორების უკურნებელი სნება იოტის წამისად არ მიჰკარებია პოეტის შთაგონებას; თაობები ენაცვლებოდნენ მის თვალწინ ერთმანეთს, ხოლო აზრით დატვირთული მისი პოეტური სიტყვა ნიადაგ მოწინავეთა შორის მიიკვლევდა გზას. სინამდვილის მხატვრული დაუფლების პროცესში იგი ყოველთვის პოეტურ ფორმათა სიახლეებისაკენ ისწრაფოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ასეთი ნდობით იკრიბებოდა მის გარშემო ქართული მწერლობის სრულიად ახალი ლიტერატურული ძალები. სწორედ ის თაობა, რომელიც ასე ღირსეულად ატარებს დღეს ქართული მწერლობის მძიმე უღელს.

სიმონ ჩიქოვანი ცხოვრობდა, სუნთქავდა პოეზიით, ლიტერატურით; გამუდმებულად ფიქრობდა, იწვოდა, ახალ შთაგონებას ეძიებდა, ხოლო ეს ისეთი გადამდები იყო, რომ მას ადვილად ვერ გადაურჩებოღა რაგინდარა ციცი და რაციონალიზმის მძიმე სენით დაავადებული პიროვნება — მისდაუნებურად, თუნდაც დროის გარკვეულ მონაკვეთში, მისი თანამოაზრე ხდებოდა.

ლიტერატურული კავშირების აღდგენა, ამა თუ იმ პოეტური ფაქტის შემოქმედებითი იმპულსების მიგნება, ურთულეს პროცესებში თავისებური მოდელების გამოვლენა მისი დაუძლეველი სტიქია იყო. იგი რაღაც არაჩვეულებრივი დინამიზმით, ზოგჯერ პარადოქსების მოშველიებით, ვულკანივით აფრქვევდა ახალ აზრებს, ესთეტიკურ იდეალებს, სრულიად მოულოდნელ ასოციაციებს, რომლითაც იგი აკავშირებდა სხვადასხვა ეპოქის თუ სულიერი წყობის შემოქმედთ. მხოლოდ ერთი ფაქტი: ძალზე საინტერესო ჩანდა, მაგალითად, მისი შეხედულებები; როცა წარმართულ შრეებთან მიმართების თვალსაზრისით პარალელებს ავლებდა ვაჟა-ფშაველასა და ველიმირ ხლებნიკოვს შორის. ნიშანდობლივია ისიც, რომ კრიტიციზმის გრძნობა მას ძალზე გამახვილებული ჰქონდა და ზოგჯერ თვითონვე თმობდა წლების მანძილზე ნალოლიავებ აზრსა და შეხედულებას.

სიმონ ჩიქოვანმა თავისი მრავალმხრივი ღვაწლით, როგორც პოეტმა, როგორც ლიტერატორმა და დაუღლელმა მოღვაწემ, ამის დავიწყება კი დიდი უსამართლობა იქნებოდა, დიდად შეუწყო ხელი არა შარტო მისი თანამედროვე, არამედ, განსაკუთრებით, მომდევნო თაობათა ლიტერატურული პოზიციების დაკრისტალებას.

მხოლოდ სიხარული შეიძლება მოგვგვაროს ჩვენ იმ ფაქტმა, რომ უფრო და უფრო ხშირად, პოეტურ ძიებებსა თუ ლიტერატურულ წერილებში არცთუ იშვიათად გამოსჭვივის სწორედ სიმონ ჩიქოვანისეული შეხედულებები, იგრძნობა აზროვნების წესის გავლენა. ეს უკანასკნელი კი ზოგჯერ ისე ბუნებრივად ხდება, რომ მხოლოდ საგანგებო დაკვირვება ამხელს, თუ საიდან იღებს სათავეს დღესაც ცოცხალი, თანამედროვეობის გრძნობით აღსილი ესა თუ ის აზრი თუ ლიტერატურული კონცეფცია.

„სულის თვისება: ჰმუნვა და ცრემლი"... ეს სტრიქონები ყველას კარგად ახსოვს სიმონ ჩიქოვანის საყოველთაოდ ცნობილი ლექსიდან: „არის სიყრმეს და სიმწიფეს შორის შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი". „სულის თვისება" პოეტს ადამიანის მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ბადალ ცნებად მიაჩნდა, ხოლო „ემოციური ფიქრისა" თუ „ფიქრიანი ემოციის" გარეშე ჰეშმარიტი პოეზია მას ვერ წარმოედგინა, „ბარათაშვილმა ფიქრები ლექსებად აქცია". რამდენადაც ვიცი, ეს ფიგურალური თქმა სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის. ამით ბარათაშვილის შემოქმედების ასე მარჯვე დახასიათებასთან ერთად მან გარკვეულად პოეზიაზე საკუთარი კონცეფციაც გაამჟღავნა.

მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ თვით ბატონი სიმონი საკუთარი „სულის თვისებას" თითქმის ერთნაირი გზნებით აქსოვდა სიტყვიერი ხელოვნების ყველა დარგში, რაშიც კი მას ფიქრისა თუ აზრის გაცხადება სურდა. ფიქრი და აზრი კი ისეთივე ულეელი ჰქონდა, როგორც ფერთა სიუხვით დატვირთული პოეტური სიტყვა.

ეს იყო ტიპიური თვისება მოაზროვნე, მაძიებელი ბუნებით დაჯილდოებული პიროვნებისა. მისი შეხედულებები კი განფენილია მის შინაგანი რეფლექსებით დატვირთულ ლექსებში, წერილებსა თუ საჯარო გამოსვლებში.

როგორ უცნაურად ჟღერდა, ალბათ, თანამედროვეთა შორის პოეტის პირველი „ორკესტრალური ლექსალობით" გახმიანებული ლექსები „ცირა" თუ „მეკამეჩეების ურმული", ან კოლხური პეიზაჟის ფონზე ძველი ტკივილების აშკარად ექსცენტრიული ფრაზებით ამეტყველება:

ბნელი ღამეა,
ჩრდილოეთიდან ზღვაური ზმუის.
ზუზუნებს ქარი, სიბნელეში ტყეც კი შრიალებს.
ციდან ელვები ნატეხებად ალვებზე სტყუის.
დამსკდარა მიწა, გაუვალი გზები მშრალია.
და დედა დარბის,

— დადაა, სიდუ უბერიაუუ,
ქარტეხილებით მუხის ძრონი შეირყევიან.
სიდუ გაყიდეს... ვინ გაყიდა საუბედუროდ
და დედის კიეილს ქარბუქი გადახვევია...

დღეს კი, როდესაც გონების თვალით აღვიქვამთ გარდასულ დღეებს, ბევრი რამ არცთუ უცნაურად გვეჩვენება, ხოლო ისტორიულ მოვლენათა შორის ლოგიკურ კავშირებს ვამყარებთ. უარყოფის პათოსით დამუხტული ქართული დეკადენტიზმის წიაღში... მისივე უარყოფის ახალი ლიტერატურული ნაკადი იღებდა სათავეს.

რასაკვირველია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოციან წლებში ჩვენ ლიტერატურულ ცხოვრებაში დატრიალებული ეს „ქარბორბალა" აშკარად ეხმიანებოდა რუსულ პოეზიაში ახალ-ახალი ლიტერატურული სკოლების მონაცვლეობას.

უარყოფის უარყოფას, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნაყოფოდ არ უნდა ჩაევლო და პირველ რიგში წარსული კულტურისადმი გონივრული პოზიციის დამკვიდრებას უწყობდა ხელს. დღეს თითქოს პარადოქსივით ჟღერს რეალობად ქცეული ფაქტი, რომ განსხვავებულ შემოქმედებით საფუძველზე აღმოცენებული მიმდინარეობები ბოლოს და ბოლოს მაინც ერთ ფოკუსში იყრიან თავს.

სიმონ ჩიქოვანი იმთავითვე მძაფრ ძიებათა ავანგარდში მოექცა.. მართლაც, როგორც ცნობილია, მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, ყველაზე დიდი დაფიქრების საგანი იყო და ბოლომდე დარჩა შემოქმედებითი დამოკიდებულება ჩვენს დიდ წარსულ მემკვიდრეობასთან.

ეს პრობლემა, რომელიც, მართლაც, მარადიულ საკითხთა რიგს განეკუთვნება, მისთვის, იმთავითვე, ძნელად დასაძლევი ვნებებით იყო აღბეჭდილი. პოეტის სულში კი ეს სიმძაფრე სწორედ იმან გამოიწვია, რომ მისი პირველი პოეტური ცდები, როგორც ითქვა, ქართულ მწერლობაში ფუტურისტული ნაკადის ყოვლისუარმყოფელ ატმოსფეროში ყალიბდებოდა, მოძრაობისა, რომლის ერთ-ერთი ლიდერთაგანიც თვითონვე იყო.

მაგრამ საცნაურია, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი უმალვე შემოქმედებითად გარდაუვალ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მისსავე ფუტურისტული ელფერით აღბეჭდილ ლექსებსა და ტრაქტატებთან.

რასაკვირველია, არც არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ამ გზაზე იყო ცალკეული რეციდივები, ზოგჯერ ჩავარდნებიც კი, მაგრამ შემდგომში მისთვის აგრე რიგად დამახასიათებელი სწორი თვალსაზრისი თანდათან მკაფიო ფორმებში ყალიბდებოდა.

მემკვიდრეობის უწყვეტი ჯაჭვის ღრმა შეცნობა სწორი ორიენტირის გამონახვასაც მოასწავებდა: „მე საქართველო გამხმარ მხრებზე

ფრთასავით მაძევს და გულის ფიცარს დაეწერა კითხვა მრავალი; ბარათაშვილის და ჭავჭავაძის — მე ვარ მოდგმა და პირდაპირი შთამომავალი". ამაზევე მეტყველებდა სიმონ ჩიქოვანის პირველი პოემები. უბრალოდ რომ გავიხსენოთ მათი სათაურები („ფიქრები მტკვრის პირას", „ბედი რესპუბლიკა") ან აქ დასმული საკითხები, აშკარა შეიქმნება, რომ მათში მძაფრ პოლემიკურ კილოსთან ერთად მაღალი ძალისხმევითაა გამოვლენილი წარსულის კულტურულ მემკვიდრეობასთან შინაგანი კავშირების ღრმა შეგრძნება.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ძიებათა ეს გზა თანდათან ახალ სივრცეებს იპყრობდა. იგი ესოდენ ძლიერად გამოვლინდა ეროვნული სულით დამუხტული პოეტის საუკეთესო ლექსებში: „ოი, მამულო, თუ დავინგრე, კვლავ აღმაშენე, სიკვდილს გამთიშე, ჩაგვერიე და გაგვაშველე...".

წარსულისა და აწმყოს შენივთებული კავშირის ასეთი შეგრძნების გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელია შინაგანი მღელვარებით აღბეჭდილი მსგავსი პოეტური სტრიქონების აღმოცენება. ამის უპირველესი დასტურია აგრეთვე სიმონ ჩიქოვანის სხვა ლირიკული ციკლები და, უწინარეს ყოვლისა, მისი შემოქმედების ერთი უპირველესი მიღწევა „სიმღერა დავით გურამიშვილზე".

ადრე იყო გამოთქმული სხვაგვარი მოსაზრებებიც, მაგრამ დღეს სრულიად ნათელია, რომ „სიმღერა დავით გურამიშვილზე" მრავალპლანიანი პოემაა და მას საფუძვლად უდევს დროთა კავშირის მაღალი შეგრძნება, სხვადასხვა ეპოქათა თუ თაობათა შორის უწყვეტი კავშირის კანონზომიერების კეთილშობილური თემა.

სიმონ ჩიქოვანი, მასთან საუბარში ჩვენ ეს ხშირად გვიგვრძნია, რაღაც სიბრალულის გრძნობით საუბრობდა მათზე, ვისაც არა აქვთ გაშინაგნებული უღრმესი კავშირები გარდასულ ეპოქებთან და მშობლიურ ნიადაგში ღრმად არა აქვთ ფესვი გადგმული. უფესვო ხე და უკუღმართად გადახნული მინდორი კი რა ნაყოფსაც გამოიღებს, ნახევარ დღესაც არ ეყოფა მშიერ კაცს საგზლად. მათი გზა დიდი ასპარეზისაკენ იმთავითვეა დახშული, ხოლო შემოქმედება, თუკი ოდნავ მაინც ღვივის ნაპერწკალი, დასაშრეტადაა განწირული.

სიმონ ჩიქოვანი ამასვე უკავშირებდა ისეთ კარდინალურ საკითხს, რომელიც ეხება ტრადიციისა და ნოვატორობის მარადიულ ურთიერთმიმართებას. მას სრულიად გარკვეული შეხედულება მოეპოვებოდა ამ საგანზე. პასუხს ამ საკითხზე ჩვენ არა მარტო მის პოეზიაში ვნახავთ, არამედ კიდევ უფრო მკვეთრად გამოსჭვივის იგი მაღალი პუბლიცისტური გზნებით დაწერილ ესეისტური ხასიათის წერილებში. საბედნიეროდ, ამ შეხედულებათა ფიქსირება მან მოასწრო კიდეც, ზოგიც მის ახლო მყოფ მეგობართა თუ ნაცნობთა მოგონებებმა შემოგვინახა.

ერთ-ერთ ჩემს ადრეულ წერილში, ამასთან დაკავშირებით, მოტანილია პოეტის ძალზე საგულისხმო ფრაზა. იგი ჩამიწერია ჩემს უბის წიგნაკში „მნათობის“ რედაქციაში გურამ ასათიანთან ერთად მორიგი სტუმრობის ჟამს, 1960 წლის თებერვლის თვეში. სხვადასხვა დროის ეს ჩანაწერები არცთუ ისე მცირეა და, ალბათ, მთლიანად შემდეგში გამოქვეყნდება, მაგრამ როგორი ხალისიანი რედაქტორი და მასპინძელი იყო სიმონ ჩიქოვანი, ეს კარგად მოეხსენებათ იმ მწერლებს, რომლებიც მისივე წაქეზებით პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს დგამდნენ იმხანად.

საუბარი, რასაკვირველია, ისევე, როგორც სხვა დროსაც, შეეხებოდა ქართულ მწერლობას, როგორც ძველს, ისე თანამედროვეს, ქართული მწერლობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის საქმეს (მისი ღვაწლი კი ამ მიმართულებით და საერთოდ კონტაქტების გაფართოების თვალსაზრისით, მართლაც, განუზომელი იყო), საუბარი შეეხო აგრეთვე იმ საკითხებსაც, რომლებიც ზემოთ ვახსენე.

მან, თითქოს ვიღაც უჩინარ მეტოქეს ეკამათებოდა, უცებ ხმამაღლა, მისთვის ჩვეული სიმძაფრით განაცხადა, რომ არ მიაჩნია მართებულად შეხედულება, თითქოს ნოვატორობა, ძიება ახალი გზებისა კლასიკოსებთან ბრძოლაში იწრთობოდეს. ნოვატორობა სწორედ ეპიგონობასთან ბრძოლაში ვაჟკაცდება და იგი უპირისპირდება არა კლასიკას, არამედ ამავე კლასიკის ეპიგონ მიმდევრებს, რომლებიც თავისი „შემოქმედებით“ ყველაზე უფრო აშიშვლებენ, ააშკარავებენ ყოველი ეპოქისათვის მასში იმთავითვე ჩამარხულ ნაკლოვანებებს.

აქ შორს წაგვიყვანდა ამ დებულების დამადასტურებელი ფაქტების მოტანა ქართული მწერლობის ისტორიიდან, ასეთი ფაქტები კი აშკარად არსებობენ, მაგრამ დავსძენ, რომ ეს შეხედულება, ჩემის აზრით, ძალზე ფასეულია. იგი ეხება არა მარტო ჩვენს მწერლობას, არამედ უნივერსალური თვალსაზრისითაც შეიცავს ძალზე საგულისხმო დაკვირვებას, და რაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია, ავლენს მისი ავტორის სააზროვნო მოვლენათა დიალექტიკური ანალიზის მისაბაძ უნარს.

* * *

„წეროს დარად წიგნში მდგარი, ლოცულობ და მოსთქვამ კიდეც, სოველი და ნაწვიმარი გლოვას ველარ განერიდე“ , — ასე იწყება სიმონ ჩიქოვანის პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელიც ამასთან მისი ავტორის სულიერ ბიოგრაფიად წარმოგვიდგება. წინამორბედთან სულიერი ნათესაობის ძიებისას გარდასახვის ეს ხერხი,

რომელიც ერთმა პირველთაგანმა თვით გურამიშვილმა გამოიყენა ბიბლიურ მოტივებზე დაყრდნობით, მაღალი ოსტატობით იქნა გახმიანებული სიმონ ჩიქოვანის „სიმღერაში“. მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ, თავის მხრით, სიმონ ჩიქოვანის „სიმღერამ“ მისცა გარკვეული ბიძგი ჩვენში ახალი ლირიკული ციკლების აღმოცენებას, რისი დავიწყებაც არცერთი თვალსაზრისით არ იქნება გამართლებული.

ამ პოემაში, როგორც სინთეზში, თავი მოიყარა ყოველივე მაღალმა და წმინდამ, რითაც სიმონ ჩიქოვანი ძვირფასია ჩვენთვის, რითაც მან აგრე რიგად შეუწყო ხელი ქართული პოეზიის ახალი ჰორიზონტების წარმოჩენას.

„გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღარი“... დიდი წინაპრის ეს სიტყვები ფართო შინარსს იძენს და ზუსტად ეხმიანება ყველას, ვისაც მიზანთა ერთობლიობა აკავშირებდა საკუთარი ხალხის მარადიულ ოცნებასთან. სიმონ ჩიქოვანიც ერთი მათგანია, ვინც ასეთი ღირსებებით ატარა პოეტისა და მამულიშვილის მძიმე და საპატიო ტვირთი.

1983 წ.

10. არმაზის მარადიული მკვიდრი

(ლევან გოთუას გახსენება)

სულ ათიოდე წელი თუ გავიდა, რაც სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ჩვენს შესანიშნავ მწერალს, დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს ლევან გოთუას.

იგი შედარებით ადრე გაშორდა წუთისოფელს. კვლავაც მრავალი ჩანაფიქრის განხორციელებას ნატრობდა... მაგრამ ვისაც მისგანვე მოუსმენია მისი ცხოვრებიდან თუნდაც რამდენიმე ეპიზოდი, იქნებ მისი ასე ნაადრევი განშორება არც გაჰკვირვებოდა. ცხოვრების გზაზე მას გამარჯვების სიხარულთან ერთად, სამწუხაროდ, დაუმსახურებელი გულისტკენაც არ მოჰკლებია, თუმცა იგი ყოველთვის მამაცურად იტანდა ბედის დარტყმებს... ჭირთა დათმენა კი სანაცვლოდ, როგორც მოგეხსენებათ, სიცოცხლისაგან დიდ საზღაურს მოითხოვს.

მან მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო, დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა და საზოგადო ასპარეზზეც არაერთი საშვილიშვილო საქმის წამოწყებაშიც შეიტანა თავისი წვლილი.

* * *

მე ახლაც მახსოვს ორმოციანი წლები, როცა მისი სახელი ასე ერთბაშად გახმაურდა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ზედიზედ დაიდგა მისი რამდენიმე პიესა. მათ შორის ერთი საუკეთესო იყო „ერეკლე მეორე“, რომელიც ასე თანხმიერი აღმოჩნდა ჩვენი ხალხის იმჟამინდელ განწყობილებასთან. ომის მრისხანე წლები, პიესაში ჩაქსოვილი დიდი ეროვნული სულისკვეთება, მშვენიერი დადგმა, ჩინებულ მსახიობთა მთელი თანავარსკვლავედი: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, ალექსანდრე ომიაძე... დაუვიწყარია ის წლები, დაუვიწყარია სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილებაც.

* * *

მაგრამ მაინც ლევან გოთუას მწერლური ავტორიტეტის მთავარი შენობა მის ჩინებულ პროზაულ ქმნილებებს ეყრდნობა. ქართულ სიტყვასთან ჭიდილში მან აქ ახალი სიმაღლეები დაიპყრო.

მწერლის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მხატვრულ პროზაში მან შედარებით გვიან მოსინჯა ძალა. როგორც ჩანს, ასეთი ნაბიჯისათვის იგი დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა. მართლაც, მისი პირველივე მოთხრობები „ყინწვისის ანგელოზი“ და „კრწანისის სევდა“ ცხოვრებანახული და გამოცდილი ოსტატის ხელითაა შესრულებული. აქედან მოკიდებული მისი შემოქმედება ახალ-ახალი შემოქმედებითი ძიებებითაა აღბეჭდილი — სულ მოკლე დროის მანძილზე ლევან გოთუამ სამართლიანად დაიკავა კუთვნილი ადგილი უპირველეს ქართველ ოსტატთა შორის.

* * *

თანამედროვე ისტორიულ რომანში მწერალი და ისტორიკოსი თითქოს ეჯიბრება ერთმანეთს. სხვაგვარად სერიოზულ შეღეგებზე საუბარი სრულიად ზედმეტი რამაა. ლევან გოთუა ყველა ნიშნით აკმაყოფილებდა ასეთ მკაცრ მოთხოვნას. მან ეს ჩინებულად ცხადყო კიდეც თავის ისტორიულ მოთხრობებსა და რომანებში.

მართლაც, ლევან გოთუას მწერლური შთაგონების მეტი ნაწილი მშობლიური ქვეყნის ისტორიის მხატვრულ შემეცნებას მიეძღვნა.

დღეს კარგად არის ცნობილი, თუ რა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია მან ამ მეტად რთულსა და მნიშვნელოვან შემოქმედებით ასპარეზზე.

მან არა მარტო ჩინებულად იცოდა საკუთარი ხალხის სისხლით დაწერილი ისტორია, არამედ მწერლის გუმანით გრძნობდა მის არსებით თავისებურებებს.

ლევან გოთუას ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხრობა „კრწანისის სევდა" მთავრდება ძალზე შთამბეჭდავი პოეტური სურათით. კრწანისის ტრაგედიის წლისთავი, წმიდათაწმიდა ქართულ მიწაზე მუხლი მოუყრია ორ მოხუცს: ბუჩუკურიანთ ბრმა ლომთათას, რომლის სამი ვაჟი დაეცა ბრძოლის ველზე და მისსავე სათაყვანებელ გმირს, მეფე ერეკლე მეორეს. ორივენი ერთნაირი ფიქრით არიან შეპყრობილნი, ორივენი ერთნაირად განიცდიან სამშობლო ქვეყნის უმძიმეს ხვედრს. ეს თემა შემთხვევით არ არის ლევან გოთუას ისტორიულ მოთხრობებსა თუ რომანებში. იგი ჯავარივით გასდევს მთელს მის შემოქმედებას და დასრულებულ ისტორიულ კონცეფციად ყალიბდება.

ეროვნული სულისკვეთება რომელიმე პიროვნების ან რომელიმე ფენის პრივილეგია არასოდეს ყოფილა. მამულის გრძნობა მხოლოდ მაშინ აღწევს თავის აპოგეას, გარდაიქმნება მრისხანე ძალად, როცა იგი საყოველთაოა და ერთნაირად ეუფლება დიდსა და პატარას, უბრალო ადამიანებსა და „ამა ქვეყნის რჩეულთ".

ლევან გოთუამ არაერთხელ სცადა ამ მნიშვნელოვანი ჰეშმარიტების მხატვრული დასაბუთება და კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულში.

ამიტომაც მითრიდატესა თუ კახთა მეფეების, ერეკლე მეორისა და გიორგი სააკაძის მხარდამხარ მის ვრცელ მხატვრულ ტილოებში ასე ცოცხლად არიან წარმოსახულნი სახალხო გმირები: ქოხსალამურა თუ შეუპოვარი დეკკაცი ლომთათა, ოქროპაპა თუ მეზარე ალავერდელი. საქვეყნო განსაცდელის ჟამს ყველა მათგანს ერთი მიზანსწრაფვა აერთიანებდა და, ალბათ, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო.

წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ხალხი თავისთავში ვერ აღმოაჩენდა იმ დაფარულ ძალებს, რამაც იგი გადაარჩინა სულიერსა და ფიზიკურ განადგურებას. ჩვენი ისტორიის ტრაგიკული ფურცლების მხატვრულ წარმოსახვასთან ერთად ოპტიმიზმი და მომავლის რწმენა არასოდეს ტოვებდა მწერლის შთაგონებას.

ლევან გოთუა თავისი ბუნებით რომანტიკული წყობის ადამიანი იყო და ეს თვისება სხვაგვარი სხივით აშუქებდა ენებაღელვით აღსავსე მის მხატვრულ ქმნილებებს. იგი რიგ შემთხვევაში არც იდეალიზაციის მაცთუნებელ ხერხებს გაურბოდა, მაგრამ აქაც მისი პირველი

მოკავშირე იყო უტყუარი მხატვრული ალღო და მოვლენათა მკაცრი ანალიზის უნარი. მწერალი მაინც ობიექტური ისტორიკოსის როლს ირჩევდა და შუქ-ჩრდილების განაწილებისას არ ღალატობდა ისტორიულ პერსპექტივას.

ლევან გოთუა „ქართლის ცხოვრების“ უბადლო მცოდნე იყო და, ალბათ, არაერთხელ დაუფიქრებია ძველი ქართველი ისტორიკოსის, მართლაც და, გონიერულ სიტყვებს: „ყამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუალახმა ვისთვისმე“. სხვათა საამებლად დაწერილ ისტორიას მხოლოდ ზიანი მოაქვს და სხვა არაფერი.

ამასთან მას არც ერთი პუნქტით არ სწამდა ისტორიაზე რაიმე სკეპტიკური თვალსაზრისი და ჩვენს წარსულ ცხოვრებაში აწმყოსა და მომავლისათვის ჰკუისსასწავლებელ მაგალითებს პოულობდა. ძლიერი, ეროვნული ხასიათების ძიებაში მას ღმეები გაუთენებია თეთრად და მისაბაძ გმირთა სახელების მდიდარი პანორამა წარმოგვიდგინა. რად ღირს თუნდაც მის მიერ წარმოსახული იგივე ლომთათა და ერეკლე მეორე ან სიბრძნით აღსავსე და რვალიერით მტკიცე მარიამ დედოფალი, დედა ლუარსაბ მეფისა, „გმირთა ვარ:მის“ ისტორიული სიმართლით აღბეჭდილი გმირთა სახეები, რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ.

მისი მწერლური თვალი ადვილად იშორებდა წინასწარ აღებულ რაიმე სქემას, ყოველგვარ სიყალბეს. ამის მეტყველი ნიმუშია მისი მოთხრობა „უგზო ქარავანი“, სადაც, მართლაც, იყო ერთგვარი საცთური, როცა სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შედგა სახელგანთქმული დიდი მოურავისა და გლეხი გორგასლის ვაჟის ბედ-იღბალი. საკუთარი სიცოცხლის ფასად გორგასალს ან შვილი უნდა ეხსნა ან დიდი მოურავი. რასაკვირველია, მამაშვილობის უწმინდესი გრძნობა გადასწონის ყოველივეს და, აქაც, მხატვრული სიმართლე ისევ და ისევ ავტორის მხარეზეა.

ლევან გოთუას მხატვრული საღებავები არ დაუშურებია, რათა ასევე ცოცხლად, ხელშესახებად წარმოესახა ჩვენი წარსული ცხოვრების მანკიერი მხარეები, გადაგვარებისა და დაცემის სურათები, ჩვენსავე ხასიათში ჩაბუდებული „პატარა კაცობის“ გულსატკენი თვისებები, რაც ყოველთვის უშლიდა ხელს ქვეყანას ზნეობრივი ამაღლებისაკენ ლტოლვაში.

ამ ნიშნით ლევან გოთუა ქართული სულის ევოლუციის ერთი ყველაზე თანმიმდევარი მკვლევარი შეიქნა. საქართველოს ისტორიის მხატვრულ შემეცნებაში მან სახელოვან წინამორბედთა კვალდაკვალ სრულიად საკუთარი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

მისი ისტორიული თხზულებები, ეს საგანგებოდ უნდა ითქვას, თანამედროვეობის სულითაა გაცოცხლებული და აქტიური ქმედების ძა-

ლას ინარჩუნებს. სწორედ ამ თვისებათა გამო „გმირთა ვარამის“ ავტორი თანამედროვე ისტორიული რომანის მიღწევათა თანაზიარად წარმოგვიდგება.

ლევან გოთუას ისტორიული მოთხრობები და რომანები სტრუქტურულ თავისებურებათა თვალსაზრისითაც მრავალ კითხვას აღძრავენ. მათზე საუბარი აქ შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ კი მაინც უნდა ითქვას: თითქმის ყველა მათგანი წინ წამოსწევს ადამიანური არსებობის რომელიმე მნიშვნელოვან მხარეს, მაგრამ როგორც წესი და ეს არის საგულისხმო, მწერლის ჩანაფიქრი არა მზამზარეულად, არამედ სწორედ მხატვრული დასაბუთების გზით აღწევს მკითხველის ცნობიერებაში. ასე ცოცხლდება ჩვენ თვალწინ გარდასულ დღეთა ძირითადი აზრი, რაც თავისთავად მეტყველებს მათი ავტორის მაღალ ოსტატობაზე.

ლევან გოთუა ქართული ენის დიდი ქომაგი იყო და ამ სფეროშიც მისი ძიებათა შედეგები სათანადოდ განსხვეულდა, არსებობის უფლება შეიძინა მის მოთხრობებსა და რომანებში. ცნობილია მისი ყოველდღიური ზრუნვა ქართველი ხალხის ამ უძვირფასესი საუნჯის მოვლა-პატრონობის საქმეში. ან საერთოდ ყოფილა განა იმ ხანებში რაიმე საქვეყნო საქმე, რომელიც დიდ მამულიშვილს გულთან არ მიეტანოს?

ასეთსავე ინტერესს აღვივებდა იგი ჩვენს ახალგაზრდობაში, როცა წერდა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო „მიჯაჭვული ამირანის“ მხარე, ძველთაძველი ქვეყანაა, ან იქნებ სწორედ ამიტომ, აქ უამრავი რამ არის საძიებელი, ხელახლად „აღმოსაჩენი“. საერთოდ, პირველსავალი საოცრებებით აღსავსე ამ მხარეში, ყოველ კლდეზე თუ ქედზე მოიპოვება ძველი, ჯერაც უკვლევი ძეგლი, მიუვალი ხელოვნური თუ ბუნებრივი გამოქვაბული, დაუპყრობელი თუ შეუსწავლელი მწვერვალი და მყინვარი.

მან მიიღო მონაწილეობა კაცხის საიდუმლოებათა ამოხსნაში, ქართველ მთამსელელებსა და ისტორიკოსებთან ერთად დაიპყრო გომარეთის, რკონისა და ქობთავის (უჯარმის მახლობლად) ძველი სახიზრები, სადაც აღმოჩნდა კიდეც უნიკალური ნივთები. საკმარისია აქ გავიხსენოთ თუნდაც ქართლში, თრეხვის გამოქვაბულში აღმოჩენილი წარწერიანი ქვაჯვარი, რომლითაც საბოლოოდ გაიშიფრა ქართული ისტორიის ერთ-ერთი მამამთავრის ლეონტი მროველის მოღვაწეობის თარიღები და კოორდინატები. ისიც საგულისხმოა, რომ ბატონმა ლევანმა ამ კეთილშობილური საქმით დააინტერესა არაერთი ახალგაზრდა, რომლებიც დღესაც ისეთივე მონდომებით აგრძელებენ კვლევაძიებას ამ მიმართულებით.

თავისი მოღვაწეობა ამ სფეროში მან დააგვირგვინა მშვენიერი წიგნით „მგზავრული კრიალოსანი“, რომელშიც მისთვის დამახასიათებე-

ლი ოსტატობით არის ფიქსირებული მრავალრიცხოვან მოგზაურობებში მიღებული დაუვიწყარი შთაბეჭდილებები.

•
• •

ბატონი ლევანი დღეს მცხეთის მახლობლად, ღვთივკურთხეულ არმაზის წიაღში განისვენებს. ნიშანდობლივია მისი უკანასკნელი არჩევანიც. აქ ყველაფერი სუნთქავს საქართველოს ძველი ისტორიით. სწორედ იმ წარსულით, რომლის მხატვრულ წარმოსახვასაც შესწირა მან საკუთარი სულიერი ცხოვრების უმთავრესი ნაწილი.

ძველთაძველ არმაზს დიახაც შვენის სახელოვანი მწერლისა და მეცნიერის წმინდა საფლავი.

1985 წ.

11. მაღლი მშობლიური ენისა

(გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

„მხოლოდ დედაენა არის ენა გულისა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოველად უძლურია. მხოლოდ დედაენაზე შეუძლია ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ".

იაკობ გოგებაშვილი.

გიორგი შატბერაშვილმა მრავალმხრივი, საგულისხმო მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას.

ჩინებულ პოეტს, ასევე ჩინებული მოთხრობებისა და მხატვრული ნარკვევების ავტორს, თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაშიც. მწერლის მხატვრულ შემოქმედებას მართლაც ღირსეულად უმშვენებს მხარს მისივე მშვენიერი გამოკვლევები ქართველი ხალხის სიტყვათშემოქმედების დიდ საიდუმლოზე.

ოჯახში ზოგი ერისათვის იბადება, ზოგი თავისთვის — ეს სიტყვები გიორგი შატბერაშვილს ეკუთვნის. თვითონაც სწორედ ასეთი ძნელად სავალი გზა აირჩია ცხოვრებაში.

ნიჭი და ძალა არ დაუკლია გიორგი შატბერაშვილს საქვეყნო საქმეებისათვის, ქართული სიტყვის დიდ ასპარეზზე მან საკუთარი კვალი

გაავლო, კვალი მნიშვნელოვანი და გამიზნული არა მხოლოდ დღევანდელი დღისათვის.

ყველაფერი ეს კი მწერალმა შექმნა დროის მცირე მონაკვეთში. გიორგი შატბერაშვილი, ჩვენდა სამწუხაროდ, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მყოფი განშორდა წუთისოფელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენით, სიტყვასთან ბრძოლის სურვილით ანთებული.

* * *

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან გამოჩნდა ჩვენს მწერლობაში გიორგი შატბერაშვილის სახელი. ადრეული სიჭაბუკის გულისნადები მან პოეტურ სტრიქონებს ანდო, ხოლო ლექსთა პირველი კრებული კი 1933 წელს დაიბეჭდა. იგი ამ დროს 23 წლისა იყო მხოლოდ, უნივერსიტეტიც ახლად ჰქონდა დამთავრებული.

ლექსებით დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ და შემდეგ მწერლობის თითქმის ყველა ჟანრში სცადა მან ძალა, ლექსისათვის არასოდეს უღალატნია: „მაინც არ ვცხრებით და ვმღერით ისე, თითქოს სიმღერა ჩვენი სისხლია, რადგან სიცოცხლე ამ ნათელ მზის ქვეშ ჩვენ უსიმღეროდ არ შეგვიძლია".

თუ გავიხსენებთ ამ წლებს, ღირებულებათა გადაფასების მტკივნეულ პროცესებს, აგრეთვე იმასაც, რომ ამ დროს საუკეთესო პოეტების მთელი ხომლი ამშვენებდა ქართული პოეზიის პარნასს, არჩევანის გაკეთება და არც საკუთარი ადგილის დამკვიდრება იყო ადვილი სრულიად ახალგაზრდა შემოქმედისათვის.

ასეთ დროს ზოგი ნგრევით იწყებს, ზოგი შენებით. პირდაპირ ძველ ანაგებზე მიაქვს აგური. მაგრამ მაინც, ეს თითქმის უნივერსალური კანონია, არჩევანის სისწორე ბოლოსდაბოლოს ისევ და ისევ შემოქმედების ხარისხით იზომება, რაც დაადასტურა კიდეც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ.

* * *

გიორგი შატბერაშვილი თავის პირველ პოეტურ ცდებში ტრადიციონალისტი დარჩა, თუმცა შეუპოვარ ძიებათა ჟინი ერთი წუთითაც არ მოჰკლებია მის პოეტურ ნიმუშებს.

როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს შეჰფერის, გაივლის ხანი და იგი მკაცრი კრიტერიუმებით შეაფასებს მათ. მომდევნო კრებულებში

არც კი შეაქვს, მხატვრის ესკიზებივით კუთხეში მიაწყობს ზოგ მათგანს.

საკუთარ თავთან ჯიუტ შერკინებაში იჭედებოდა მისი ლექსი. ხალასი, სუფთა, ვაუკაცურიცა და ნატიფ გრძნობათა მიმოხრაზე აგებული ერთდროულად. იგი ქართული ფოლკლორის ჩინებული მცოდნე იყო და გაითავისა კიდეც მამა-პაპათა მიერ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ინტონაციები. ან კი როგორ ორგანულად აჟღერდა ხალხურ კილოზე გაწყობილი მისი საუკეთესო ლექსები:

„ან შენ სად ხარ, ერთო ჭალო,
უმჯობესო ჭალთაგანა,
რად გაგვყარე სიყრმის სწორნი,
რად გვატარე განდაგანა?
სიყვარულის სამაია
არ იქნება სამთაგანა..."

წლების მანძილზე ახალ ფერებს იძენდა მხატვრის პალიტრა. ცხოვრების გამოცდილებას „არსად ქმნის" იდუმალებაზე დაფიქრება მოჰქონდა. ფილოსოფიური განსჯა თავისთავად კარნახობდა ლტოლვას მედიტაციური ფორმებისაკენ. პოეტური აღსარება თვითგამოხატვის ყველაზე ახლობელი საშუალება შეიქნა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს ძიებები და სინამდვილის მხატვრული დაუფლებისათვის ბრძოლა, თვისობრივად ახალ ნახტომს ამზადებდა პოეტის შემოქმედებაში.

ამის უტყუარი დასტურია გიორგი შატბერაშვილის ლირიკული პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა".

იგი დაიწერა სამოციანი წლების დასაწყისში. თვითონ პოეტი იმ დროს სიჭარმაგის ასაკში იმყოფებოდა და ახლაც ყველას კარგად გვახსოვს ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც პოემის გაცნობამ მოგვგვარა.

„ერთი პატარა გოგონას" ტრაგიკული აღსასრულის პოეტურ ქრონიკაში მწერალმა ფართო მასშტაბის, გლობალური საკითხები აღძრა, ხელშესახებად გვაგრძნობინა ვერდამშვიდების მტანჯველი ფიქრები, მაგრამ ისე, რომ ფილოსოფიური განსჯის ნაკადი ოდნავადაც ვერ თრგუნავს მხატვრულ ქსოვილს: „და როცა იგი დამსხვრეულ ფრთებით, გატეხილ შუბლით ჩვენ წინ ესვენა. მე გავიფიქრე ის არის ცაში, ის არც ყოფილა და მოგვეჩვენა". გალაკტიონის აღსასრული აქ ასოცირებულია პოემაში განვითარებულ ძირითად თემასთან და სხვა ანალოგიურ მოტივებთან ერთად ხაზგასმით წარმოაჩენს ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს. „ზაფხულის ღამის ქრონიკა", კიდევ ერთხელ და-

გვაფიქრებს სიცოცხლის დიდ საიდუმლოზე, ადამიანური თანალმობის უკვდავ გრძნობაზე.

„ქრონიკა“ როგორც ფორმით, ისე შინაარსით აშკარად ახალი სიტყვა იყო იმ დროს არა მხოლოდ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში. პოემისათვის ნიშანდობლივია რთული შინაგანი სტრუქტურა, ასოცირების თანამედროვე ხერხები, ინტონაციათა მრავალფეროვნება და, რაც მთავარია, ცალკეულ თემატიკურ მოტივთა დამორჩილება მხატვრული ლოგიკის მკაცრ საფუძველზე.

სამწუხაროდ, „ზაფხულის ღამის ქრონიკა“ ერთი უკანასკნელი პოეტური ქმნილება აღმოჩნდა, მისი ავტორი კი კვლავაც რამდენ ახალ სათქმელს ატარებდა ალბათ მომავალი პოეტური აღსარებისათვის.

გიორგი შატბერაშვილი ცხოვრებაშიც გამორჩეული პიროვნება იყო. თავმდაბალი, მოკრძალებული, მაგრამ როცა ვითარება ითხოვდა ჯიუტიცა და სიმართლისათვის შეუპოვარი მებრძოლი.

იქნებ ამ თვისებათა გამო შეიყვარეს იგი მისმა უმცროსმა მეგობრებმა, სწორედ იმ ახალგაზრდა მწერლებმა და ლიტერატორებმა, რომლებმაც სამოციან წლებში არაერთი სიახლე მოიტანეს ქართულ მწერლობაში.

მისი დამოკიდებულებაც მათ მიმართ სამაგალითო იყო, რწმენითა და გულისხმიერებით აღსავსე.

ცალკე თემაა აგრეთვე მწერლის ურთიერთობა ახალგაზრდა ჟურნალ „ცისკართან“, რომლის ერთი პირველი თანამშრომელი თვით გიორგი გახლდათ. როგორ იგერიებდა იგი მავანთა უსამართლო შემოტევებს, როგორ იცავდა ჩვენი მწერლობის ხვალინდელ დღეს.

სანიმუშოდ იკმარებდა, ეს სხვებსაც უთქვამს, მისი მეგობრობა, გურამ რჩეულიშვილთან, რომლის მრჩეველი და ხელდამსხმელიც გიორგი შატბერაშვილი იყო. მანვე უძღვნა ასე უდროოდ დაღუპულ ახალგაზრდა მწერალს მდუღარე გრძნობით აღსავსე წერილები, რომლებშიც პირველად ასე ხელშესახებად იყო წარმოჩენილი გურამ რჩეულიშვილის ტალანტის უტეხი ძალა.

ერთი სიტყვით, სულის კაცი იყო და არა ხორცის, რწმენის ერთგულებითაა აღსავსე მისი ცხოვრების გზაც! ნათელი ბიოგრაფია კი როგორ ამშვენებს ადამიანს — მით უფრო მწერალსა და საქვეყნო ასპარეზზე გამოსულ პიროვნებას.

გიორგი შატბერაშვილს ღრმად ჰქონდა შეთვისებული თითქოსდა სრულიად უბრალო ჭეშმარიტება: მაღალი ზნეობრივი პოზიცია არის

და ყოველთვის იქნება შემოქმედების ყველაზე საიმედო ბალავარი. იგი გადაჭრით ემიჯნებოდა იმათაც, ვინც ადვილად უმარჯვებდა აფრას ზურგქარს და საქვეყნო საქმეთათვის გარჯის ნაცვლად, ხმალამოღებული იბრძოდა საკუთარი სახელის მოსახვეჭად.

იგი უჩუმრად, ყოველგვარი ამბიციების გარეშე ეზიდებოდა მწერლური მოღვაწეობის მძიმე ტვირთს. აკი შედეგიც ასეთი შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

*
* *

პოეტური სათქმელის გამჟღავნებისათვის გიორგი შატბერაშვილმა მწერლობის სხვა ფორმებსაც მიმართა. ცნობილია, რომ მისი პირველი დრამატიული თხზულებებით დაინტერესდა თვით სანდრო ახმეტელი და პიესის დადგმა განახორციელა კიდეც 1933 წელს. მისი პიესები შემდეგაც იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გიორგი შატბერაშვილის მაღალი მწერლური ავტორიტეტი მაინც მის საუკეთესო მოთხრობებს ემყარება.

თხრობის იშვიათ ნიჭთან ერთად ბევრწილად ამას ხელი შეუწყო დიდმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, მით უფრო რომ ცხოვრების არც თუ გრძელ მანძილზე მას არც შეჰირვება და არც უსამართლო გულისტკენა არ დაკლებია. ჭირნახული კაცის სიტყვას რომ მაინც სხვა ფასი ადევს, ეს კიდევ ერთხელ განამტკიცა მისმა შემოქმედებამაც: „ამ ცეცხლში რომ არ გამოევლო სულს, არ გადასხმოდა მისი მდუღარე ხორცს — და გული არ გაციებულიყო ფოლადივით, არ გამომწვარიყო, რა მექნებოდა სათქმელი შვილებისათვის...“

მრავალფეროვანია გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზა. იგი ჩვენი ისტორიის უბადლო მცოდნე იყო და ხელშესახებად გააცოცხლა კიდეც წარსულის სურათები. ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის ეპოქათა წარმოსახვით ისტორიის ჰკუისსასწავლებელ გაკვეთილებზე მიანიშნებდა მკითხველს, ხოლო ერთ მხატვრულ ნარკვევში გულწრფელ წუხილს გამოხატავდა იმის გამო, რომ გიორგი სააკაძის სახელი ასე ძუნწად შემოინახა ხალხის მეხსიერებამ... იქნებ ამ ფაქტშიც იმალება ის საიდუმლო, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვეველი ბურუსით ფარავს მისი პიროვნების ავ-კარგს.

ერთ მის მოთხრობაში „საუკუნო საგზალი“ მან ასეთი მომხიბვლელი შტრიხებით დაგვიხატა ილია და ვაჟა, ილიას რედაქციის სულიერი ატმოსფერო, მისი თანამებრძოლები. მოთხრობას დვრიტად უძევს ვაჟა-ფშაველას პირველი ნაბიჯების გამო ილიას ცნობილი სიტყვები:

„არა, ჩვენ ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავდოთ!.. გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ“.

როგორი ინტიმითაა წარმოსახული ხანდაზმული ილიას სახე, მკაცრი და ამასთან პატიოსნებით განმტკიცებული დამოკიდებულება ახალგაზრდების მიმართ, ან ვაჟას მომხიბვლელი თავმდაბლობა და რიდი საქართველოს უპირველესი მოძღვრის მიმართ. თაობათა კავშირის რა ურყევი რწმენა აშუქებს მწერლის მთელს მონათხრობს.

მოთხრობების მთელი ციკლი მამალხინეზე, იუმორით აღსავსე და რწმენის მომგვრელი — არც ფუძე ქართველსა და არც ფუძე ქართულს ემუქრება გადაშენება. შეიძლება განა კარგი მოქართულე გულძვირი პიროვნება იყოს, ან ვინ უთარგმნიდა მწერალს „ანკესმოდებულ სიტყვას“, ვინ გაუნათებდა გზას ქართული სიტყვის გაუვალ ტევრში? მამალხინე ჭირში გაუტეხელი, გულმართალი კაცის ზოგად სახელად აღიბეჭდა მისი მოთხრობების ფურცლებზე.

სულიერი სინათლის კვალდაკვალ თხრობის ოსტატობა მშვენიერების გრძნობას აღვიძებს მკითხველში. მოთხრობაში, „ჩემს ძველ სახლში“, ამბავი თითქოს არც ვითარდება. იგი დამუხტულია მშობლებთან მომავალი შეხვედრის განცდით, იმ სიხარულით, რომლის მიზეზია ბრძოლის ველიდან ძმის მიერ გამოგზავნილი ბარათი, ახლა რომ გულის ჯიბეში უდევს.

კავთისხევიდან თვალადამდე კი გზა აღარ ილევა და ავტორის წარმოსახვაში ცოცხალ სურათებად ლაგდება მოსალოდნელი სცენები: ძველი სახლი, ფერდობზე მიყუჟული, სიხარულის პირველი ელდა: „მერე თავგზააბნეულნი დაიწყებენ ფარფატს ჩვენი დიდი სახლის ერთი ოთახიდან მეორეში. მეზობლები მოადგებიან კარს, მორიდებით შემოაღებენ, მოგვილოცავენ.

ჰაჰის არაყი გაჩნდება, ხილი...
კაკლის მურაბა დააყოლეთო...

განჯინასთან მიიჭრება დედა... სიჩქარით ქაშანურის ჯამს გადმოაგდებს, დაამსხვრევს. ზედაც არ დახედავს, ლურჯ ქილას გადმოიღებს, სუფრისაკენ გააქანებს თვალებგაბრწყინებული.

ასე ტკბილად დამიბერდითქო, შემომითვალე...

მამა ეშხში შევა, სუფრას აშლის. ქვევრი უნდა მოვხადო, მარანში ჩავიდეთო. მცირე ტაბლაზე თაფლის სანთლებს დაანთებს, გზას გაგვიშუქებს, მარანში ჩაგვიძღვება, მუხლებზე დაიჩოქებს, დატალახებული ქვევრს პირს მოარღვევს, სუფთად მოსწმენდს, სარქველს მოხდის, და რიხიანად დაიძახებს:

„წაფურა, ბიჭო, წაფურა მომიტანე, ჩემს ბიჭს რომ უყვარს... იმით დავლიოთ...“

ხელიდან ხელში გადადის წაფურა. მეზობლები ილოცებიან, სინათლის შუქი ანათებს მათ შეხურებულ სახეებს და ჩემი ძველი სახლის თავხეზე ჩამოკიდებულ ჩხებს, ჯაგნებს, აკიდოებს; უხარია თავხეს, ჩემი ძველი სახლის თავხეს...“

პლასტიკური ოსტატობით შესრულებული სურათები მწერლის წარმოსახვას რეალობად აქცევს.

მოთხრობის გმირი კი მხოლოდ ახლა უახლოვდება თავის ძველ სახლს და მკითხველიც ღრმადაა დარწმუნებული რომ ყველაფერი სწორედ ისე წარიმართება, როგორც ავტორის წინდაწინ გაჭრილ ფიქრებში... და იგი თითქოს თვითონვე აგრძელებს მონათხობს, მომავალი ტკბილქართული შეხვედრის თანამონაწილედ იგრძნობს თავს. აი, სწორედ აქ იმალება თხრობის მაღალი ოსტატობა, რომელსაც ასეთი ხელოვნებით ფლობდა ამ პატარა, მაგრამ შთამბეჭდავი მოთხრობის ავტორი.

მართლაც, გამოცდილი ოსტატის ხელი არ დაკლებია მის სხვა მოთხრობებსაც, რომელიც ასე შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

მაგრამ ასეა თუ ისე, მთავარი კი მაინც ის არის, რომ მის ყოველ მოთხრობასა თუ მხატვრულ ნარკვევს, როგორც წარსულზე, ისე თანამედროვეობაზე რაღაც მნიშვნელოვანის გამჟღავნება აქვს დაკისრებული. ეროვნული იქნება ეს, თუ საკაცობრიო. იგი, როგორც იტყვიან, ტყუილუბრალოდ არ ხარჯავდა ტყვია-წამალს... სათქმელიც ჰქონდა და იცოდა კიდეც ვისთვის და როგორ გაეზიარებინა საკუთარი გულისთქმა. მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ „საუკუნო საგზლის“ გარეშე არ დაუტოვებია მას თვით ცალკეული სტრიქონი და ცალკეული ფრაზაც კი.

ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული პროზის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილებაა სწორედ გიორგი შატბერაშვილის ერთ-ერთი ბოლო მოთხრობა „მკვდრის მზე“, რომელიც გამორჩეულია არა მხოლოდ მძაფრი პრობლემატიკით, არამედ მხატვრული ოსტატობის იშვიათი ხარისხით. ისევე როგორც „ზაფხულის ღამის ქრონიკაში“ მწერალი უვალი გზებით მიიწევდა წინ, რეალური და მისტიკური შრეების მონაცვლეობა აქ ულტრათანამედროვე მხატვრული ხერხებითაა გადაწყვეტილი და შემოქმედებითი წარმოსახვის მიჯნათა გაფართოების უსაზღვრო შესაძლებლობებზე მეტყველებს.

მაგრამ ყოველივე ეს ეროვნული სულის შემეცნების ღრმა ძიებაზეა დაფუძნებული. სახეთა მთელი წყება: როგორი ქართული, როგორი ძირძველი ხასიათები, რომელთა ჩამოყალიბებას საუკუნეთა მანძილზე მართლაც „ჟამთა სიავის“ გარდახდა სჭირდებოდა. ან დააკვირდით როგორი შინაგანი კავშირები იგრძნობა „მკვდრის მზის“ გმირებსა

და ილიას უკვდავ სახეთა შორის, რასაკვირველია მე აქ პირველ რიგში ილიას „ოთარაანთ ქვრივს“ ვგულისხმობ.

დაპირისპირების შეგნებულ გამძაფრებასთან ერთად, რა „მაღლადმხედი“ გონითაა აქ წარმოჩენილი დროთა კავშირი, მამაშვილობის მარად მფეთქავი თემა, ადამიანურ შესაძლებლობათა გარღვევის ურყევი რწმენა...

*
* *

ბატონი გიორგი მე შედარებით გვიან გავიცანი და დავუახლოვდი კიდეც. ალბათ იმავე თვისებათა გამო, რომლითაც იგი ასე უბრალოდ იკრებდა მის გარშემო უმცროს მეგობრებს.

ახლაც ყურში ჩამესმის მისი დინჯი ქართული, იუმორით დამშვენებული საუბარი. თვალწინ მიდგას მისი ფიქრიანი გამოხედვა. ქართულია, ხალხურია, ჩვენებურია ე. ი. ნაღდი და ეროვნულია. ასე უშუალოდ გამოხატავდა იგი თავის მსჯავრს, როცა მხატვრული ქმნილება თავისუფალი იყო მანერულობისაგან და თავისთავადობის ნიჭით იყო აღბეჭდილი. ხოლო სიახლეებსა და გამოხატვის ახალ ფორმებს რომ არ უფრთხოდა, განსაკუთრებით შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო წლებში, ეს მან უწინარეს საკუთარი მხატვრული ძიებებით ცხადყო არაერთხელ.

მისი სახელი კი ადრევე მსმენოდა და ისიც ქართული სიტყვის ისეთი მოჭირნახულისაგან, როგორიც იყო თედო სახოკია. მას ხშირად უთქვამს კიდეც. ახალ მწერალთა შორის პოხიერი ქართულით გიორგი შატბერაშვილი გამოირჩევა და ჩემს ხატოვან თქმათა ლექსიკონშიც არაერთი ნიმუში სწორედ მისი მოთხრობებიდან მაქვს ამოღებული ან პირადად მისგან გამიგონიაო. ისიც ცნობილი იყო ჩემთვის, რომ ქართული სიტყვის სიყვარულმა შემდეგში ძალზე დააახლოვა კიდეც მაშინ ახალგაზრდა გიორგი და მხცოვანი მწერალი თედო სახოკია.

შესაძლოა, რომ ყველამ არ იცოდეს ის ფაქტი, რომ თვითონ თედო სახოკიამაც ეს დიდი სამუშაო, რომელიც დაგვირგვინდა ქართული ხატოვანი ლექსიკონის შექმნით, წამოიწყო ჩვენი გამოჩენილი მწერლის ნიკო ლომოურის წაქეზებით სწორედ შიდა ქართლში, სოფელ ტირძნისში, სადაც თედო წლების მანძილზე ეწეოდა სახალხო მასწავლებლის მძიმე ჯაპანს. ერთ სოფელში შემოკრებილი ხატოვანი თქმებით დაიწყო და დაუდო საფუძვლად ლექსიკონს, რომელსაც შემდეგ წლების მანძილზე ამდიდრებდა ახალი მასალებით.

ასეთი იდეის სამაგალითოდ განხორციელების ნიმუშია გიორგი შატბერაშვილის მარადსახსოვარი წიგნი „თვალადური ლექსიკონის

ჭაშნიკიც". ვინ იცის, იქნებ მხცოვან ლექსიკოგრაფთან მეგობრობამ შთააგონა კიდეც ბატონ გიორგის წამოეწყო ეს საშვილიშვილო საქმე..

•
• •

ჩვენი ინტელიგენციის უფროსი თაობის რიგების შეთხელების შემდეგ სამწუხაროდ გაიშვიათდა ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც ქალაქთან ერთად არ გაუწყვეტიათ კავშირი სოფელთანაც, მომრავლდა ისეთებიც, ბალზაკის ერთი გმირისა არ იყოს, რომლებიც დაბეჯითებით მალავენ კიდეც თავის წარმოშობას და სოფლისაკენ გახედვაც კი არ უნდათ. კუდაბზიკობის სენით დაავადებულთ არც კი ესმით, თუ რა მძიმე ხვედრს უმზადებენ საკუთარ თავსაც და საკუთარ შთამომავლობასაც.

აქ ეს, არც თუ სანაქებო ამბავი, იმიტომ გავიხსენე, რომ ამ შემთხვევაში საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე. ბატონი გიორგი ქალაქელი იყო, თბილისში, ვერაზე გაიზარდა, მაგრამ იოტის წამისად არ გაუწყვეტია კავშირი დედა-სოფელთან, სადაც ბავშვობის საუკეთესო დღეები ჰქონდა გატარებული. ყოველივე ამან კი სულიერი მთლიანობით ალბეჭდა როგორც მისი პიროვნება, ისე მის შემოქმედებაც.

საგზლად თავანკარა ქართულით სავსე „ხურჯინი" გამოატანეს მწერალს მშობლიური კუთხიდან, შიდა ქართლის დიდებული სოფლებიდან: კავთისხევიდან, თვალადიდან, შუბათიდან... როგორი ფუძე-ქართულით ელვარებს კიდეც მისი ყოველი მონათხრობი თუ ლექსად გამართული ფრაზა. მისი მოთხრობების მეტი წილიც ხომ მამაპაპურ ქართულ სოფელს დასტრიალებს თავს, სადაც იგი ასეთი დაჟინებით ეძიებდა ქართული ხასიათის აუმღვრეველ სათავეებს.

•
• •

სიტყვა თავად არის ერის ისტორია და სულიერ შესაძლებლობათა ყველაზე უტყუარი საბუთი. ამიტომ იგი სხვა კუთხითაც ელოლიავებოდა ერის ამ უპირველეს საუნჯეს. თუ ვინმემ, პირველ რიგში ბატონმა გიორგიმ იცოდა, რომ სიტყვა ცოცხალ არსებას წააგავს: იბადება, იზრდება და უდიერი მოპყრობის შემთხვევაში ნაადრევად კვდება კიდეც.

გიორგი შატბერაშვილი ქართული სიტყვის მესაიდუმლე და, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, „მჩხრეკელი" იყო, ხოლო ძიებათა ამ

გზაზე იგი მაინც თავის ყველაზე დიდ მოძღვრად სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევდა. საალერსოდ „სიტყვის პაპა“ შეარქვა მწერალმა სახელოვან წინამორბედს და ერთგულად მისდევდა კიდეც მის ნათელ ანდერძს: „სამკურნალო ბალახებივით“ არჩევდა ხატოვან თქმებს და ასევე ხატოვანი, სანაქებო ქართულით განმარტავდა მის მიერვე მიკვლეულ, მეტწილ შემთხვევაში უსამართლოდ მივიწყებულ სიტყვებს.

ქართული მწერლობა ყოველთვის იყო და დარჩება კიდეც ქართული სიტყვის ყველაზე დიდ მოჭირნახულედ.

გიორგი შატბერაშვილიც ამ გზაზე ვიდოდა. ამიტომაც, იგი არა მხოლოდ იცავდა მას ხელმყოფთაგან, არამედ ასეთი დაჟინებით იკვლევდა მის სათავეებს. მის მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად ამის მეტყველი ნიმუშებია ავრე რიგად გახმაურებული მისივე წიგნები: „ნაფიქრი“, და ბოლოს, ნაშრომი, რომელსაც მან ასეთი მორიდებული სახელი „ჰაშნიკი“ უწოდა. ეს უკანასკნელი კი მართლაც განსაკუთრებულია, თავისი მნიშვნელობით აშკარად სცილდება ოდენ მეცნიერულ მიზნებს და მწერლისავე მხატვრული შემოქმედების კვალდაკვალ ასე თვალსაჩინოდ ამჟღავნებს თვით მისი ავტორის ხალას ნიჭიერებას.

მაგრამ აქ იმასაც დავსძენ, რომ ზოგ მის აშკარად მეცნიერული ხასიათის ლექსიკოგრაფიულ ნარკვევებსაც ამშვენებს ის უეჭველი ღირსება, რომელზედაც ზემოთ მე უკვე ვთქვი — ეს არის თხრობის იშვიათი ოსტატის ხელწერა. ნარკვევებში საოცარი ბუნებრიობით ერწყმის ერთმანეთს მწერალი და მეცნიერი.

ავტორი მკითხველს აწვდის არა მხოლოდ ძიებით მოპოვებულ შედეგებს, არამედ ჩვეული ოსტატობით მოუთხრობს ძიების გზაზე აღმართულ სხვადასხვა დაბრკოლებათა შესახებაც. მკითხველიც უნებურად თითქოს გაწეული კვლევა-ძიების მონაწილედ გრძნობს თავს და სიამოვნებით მიჰყვება ავტორს ძნელად სავალ ბილიკზე. რამდენი სიტყვა გააცოცხლა ან როგორი მახვილი დაკვირვებები შემოგვთავაზა მწერალმა, საკმარისია აქ მარტო სიტყვების — „ხარება“, „შეკვეთილი“, „ანაგულისა“ და სხვათა გახსენება ან დაკვირვება ცნობილ ხალხურ ლექსზე, რომლის ერთი, დროთა ვითარებაში წარყუნილი ადგილის მართებული აღდგენა, „კვირია-ცისკრის“ მანამდე მიჩქმალულ მითოლოგიურ იდენტიფიკაციაზე მიგვანიშნებს.

მწერალი რაღაც არაჩვეულებრივი გატაცებით სწავლობდა ჩვენი ხალხის ამ უძვირფასეს საუნჯეს. განსაკუთრებით კი, როგორც ითქვა, ცოცხალ სასაუბრო, ხალხურ მეტყველებას აკვირდებოდა, რომლის უნიკალური ნიმუშები მას მშობლიურ კავთისხევსა და თვალადში ჰქონდა დადასტურებული. ვრცელი ლექსიკონის შედგენასაც აპირებდა, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილის გასრულება მოასწრო ზემონახსენებ მის უკანასკნელ წიგნში.

* * *

ყოველი მწერალი, თუ კი ამ მაღალ სახელს იგი ბოლომდე ამართლებს, თავისი გმირებით, მისგანვე შექმნილი მხატვრული სახეებით სულდგმულობს.

გიორგი შატბერაშვილის მიერ წარმოსახულ მხატვრულ სამყაროში მე ასეთ გმირად ხიზამბარელი ფალავანი მეჩვენება, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ხიზამბარელს საჯილდაო ქვის მიწიდან მოწყვეტა. როგორი ინტიმითაა მოთხრობაში წარმოსახული მარტოდმთენილი ხიზამბარელის დიადი მიძინება. კლასიკური ქრონიკის უმკაცრესი სტილით შესრულებული ეს ეპიზოდი კი უწინარეს შემდეგზე მიგვანიშნებს: მხოლოდ თავგანწირვის, სისხლის ფასად არის შესაძლებელი შემოქმედების უმაღლესი ზღვარის დაძლევა...

არც ისაა დასავიწყებელი, რომ მწერლობას, საერთოდ, მხატვრულ სიტყვას, გაუსხლტელად მედინ მოვლენათა სამარადისოდ აღბეჭდვა აწევს ვალად... ადამიანი კიდეც ცოცხლობს და კიდეც კვდება ერთდროულად, ხოლო ჭეშმარიტი შემოქმედის თითქმის დაუძლეველი ამოცანაა, ჩაწვდეს ამ უღრმეს საიდუმლოს, აღნუსხოს სიკვდილ-სიცოცხლის ეს უწყვეტი მეტოქეობა.

გიორგი შატბერაშვილი თითქოს გუმანით გრძნობდა საკუთარი ეტლის საბედისწერო აჩქარებას და ხიზამბარელივით შეეჭიდა სიკვდილ-სიცოცხლის ამ დაუსრულებელი დიალოგის მხატვრულ ფიქსაციას. მის ქმნილებათაგან ამის დასტურია უწინარეს „მკვდრის მზე“, რომელიც მომავალი თაობებისათვისაც მისი ავტორის მწერლური უკვდავების მტკიცე ძეგლად აღიმართება.

1985 წ.

12. ეროვნული ხასიათების ძიებაში

(გრიგოლ აბაშიძის ისტორიული პროზა)

გრიგოლ აბაშიძის პირველივე რომანის „ლაშარელას“ გამოჩენას ქართველი მკითხველი თითქოსდა კანონზომიერი მოლოდინით შეხვდა. ასეთ მოლოდინს უეჭველად განამტკიცებდა მწერლის შემოქმედებაში გამოვლენილი სწრაფვა მოვლენათა ეპიკური ხერხებით გადმოცემისა, რაიც ლირიკულ ლექსების რამდენიმე ციკლთან ერთად განსაკუთრებით ახასიათებდა მის ისტორიულ პოემებს.

ისტორიზმის ღრმა განცდა „გიორგი მეექვსეს“ ავტორისათვის უცხო ხილი არასოდეს ყოფილა. ახალ ჟანრში ამ გამოცდილებამ მართლაც უმალვე იჩინა თავი.

„ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე“, დაბეჯითებით უნდა ითქვას, მწერლის მიერ ადრე ჩატარებულ მხატვრულ ძიებათა ლოგიკური შედეგია.

გრიგოლ აბაშიძე ოსტატურად ფლობს ყველა იმ ხერხებს, რაც თანამედროვე დონეზე მოეთხოვება მწერალს ისტორიული მასალის მხატვრული ათვისების პროცესში. მას კარგად მოეხსენება, რომ ისტორიულ რომანში მწერალი და მეცნიერი-ისტორიკოსი თითქოს ეჯიბრება ერთმანეთს. შთაგონებასა და მწერლურ ოსტატობას მხარს უნდა უმაგრებდეს ისტორიის ღრმა შემეცნება, ფაქტების ანალიზის ყოველმხრივი უნარი. ამ თვისებათაგან ერთ-ერთის უკმარობა გარდუვალი მარცხის მიზეზი ხდება. ჩვენ არც თუ იშვიათად ვყოფილვართ მოწმენი, რომ ასეთ დროს მხატვრულ სინამდვილეს შიშველი ფაქტების დემონსტრირება ცვლის ან კი მაღალფარდოვან სტილს ამოფარებული ფუჭი მორალისტიკა.

ისიც აღიარებული ფაქტია, რომ თანამედროვე ისტორიული რომანის თვისობრივი სიახლეები ძირითადად ერთ ასპექტში ვლინდება. ისტორიულ მასალას ასეთ დროს, ფაქტიურად აღარცა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა — აქ წარსულიც თანამედროვეობის პრობლემებითაა დატვირთული. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ამ დებულების საილუსტრაციოდ უმდიდრეს გამოცდილებას გვაწვდის. საკმარისია ამ შემთხვევაში ისეთი კოლოსების გახსენება, როგორებიც იყვნენ შექსპირი ან ტოლსტოი.

საბჭოთა ისტორიული რომანიც იმთავითვე წარსული მემკვიდრეობის მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობა. ისტორიული თემატიკის ათვისების ანალოგიურ გზაზე, როგორც ცნობილია, დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა მწერლობამაც.

გრიგოლ აბაშიძე ერთი იმათთაგანია, ვინც შესაშური ნაყოფიერებით მუშაობს ჩვენი მწერლობის ამ რთულსა და მეტად მნიშვნელოვან დარგში.

მისი ისტორიული რომანები, განსაკუთრებით კი რომანი ცოტნე დადიანზე გამოირჩევა ღრმა ეროვნული სულისკვეთებით და მხატვრულად საინტერესო ძიებებით. სწორედ ამ ნიშნებით იგი თანამედროვე ქართული ისტორიული პროზის ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ისტორიული რომანი უწინარეს ეროვნული ხასიათების წარმოჩენითაა ფასეული, რის გარეშეც იგი ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცდება უღიმღამო ქრონიკის ფარგლებს.

ცნობილია ლაბრიუერის თითქოსდა პარადოქსული აზრი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ეპოქებშიც კი ხასიათები უცვლელნი რჩებიან. რამდენადაც მეტია სიმართლე ამ დებულებაში, იმდენად მნიშვნელოვანია საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ეროვნული ხასიათების ძიება სწორედ ისტორიული რომანის ფურცლებზე.

რაც შეეხება მხატვრული ძიებისათვის მასალის შერჩევას, იგი თავისთავად მიგვანიშნებს ავტორის თვალსაზრისზე. შემოქმედებითი ძიების ამ გზაზე, როცა წარსულის ისტორიული გაკვეთილი მხატვრის შთაგონებაში ახალ ჟღერადობას იძენს. ეს საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, გრიგოლ აბაშიძე რომანების თემად ისეთ ისტორიულ ეპოქას ირჩევს, როცა ბეწვზე ეკიდა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამითაა გაპირობებული ის ფაქტიც, რომ მწერალმა ისტორიული რომანების შთელი სერია მიუძღვნა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე შძიმე, ტრაგიკულ ეპოქას.

როგორც ცნობილია, ამ ეპოქის ძირითადი ნიშანი ქართული სახელმწიფოს რღვევა და განადგურებაა. ერთი შეხედვით, მართლაც, განსაცვიფრებელი ფაქტია, ნაცვლად იმისა, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარის ზეობის ხანაში აგრერიგად წარმატებულ ქვეყანას ძლევამოსილად დაეძლია ახალი ისტორიული მიჯნა, სრულიად მოულოდნელად იგი საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ავტორის არჩევანიც ამ შემთხვევაში სავსებით გასაგებია. ქართველი ხალხი დიდი სულიერი გამოცდის წინაშე იდგა და, ამდენად, ისტორიის ეს მონაკვეთი მწერლის წინაშე დასმული მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად ძალზე შესაფერისი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ვინც არ უნდა იყოს იგი, მწერალი თუ ლიტერატურის მკვლევარი, საერთოდ, ყველა, ვინც ამ საკითხებს ეხება, მოვლენათა გონივრულ ანალიზთან ერთად მართებს თანამედროვე მედიევისტიკის, კერძოდ, კი, ქართული შუასაუკუნეების ისტორიის სათანადო ცოდნა.

ამ ფონზე დროისა და ქაღალდის უსაზმნო ხარჯვაა მხოლოდ, როცა ზოგიერთი სიახლის ამბიციით შეპყრობილი ავტორი, ზემოთ ნახსენები კატასტროფის მიზეზებზე მსჯელობისას დავით აღმაშენებლის განდიდების ხარჯზე თამარის უსაგნოდ დამცირებას ლამობს (ნუთუ საუკუნეთა მანძილზე ასე ცრუ ღირებულებებზე იყო დამყარებული

ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება?). დღეს ასევე მიამიტურ დონეზე შეიძლება განვიხილოთ ადრე გავრცელებული თვალსაზრისი, როცა თითქმის ბედისწერის დონეზე წყდებოდა ქართული სახელმწიფოს საშინელი განადგურების მიზეზი.

მხოლოდ ისტორიულ კანონზომიერებათა ღრმა ანალიზი, ეპოქათა მონაცვლეობის შინაგან პროცესებში წვდომა არის ერთადერთი საიმედო საფუძველი, რათა რეალურად წარმოვაჩინოთ არნახული აღზევების მწვერვალზე მყოფი ქვეყნის ასე ანაზდეული დამხობის მიზეზები. რასაკვირველია, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე პოლიტიკურ ძალთა გადანაცვლების ფაქტორები, რომელთა შორის უპირველესი მოვლენა გახლავთ მსოფლიო ასპარეზზე მონღოლთა ურდოების გამოჩენა.

გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ რომანებს ორიენტირად სწორედ ასეთი თვალსაზრისი გასდევს, რაც უეჭველად სწორ წარმოდგენას უქმნის მკითხველს იმჟამინდელი კატასტროფის რეალურ მიზეზებზე.

ეს იყო, მართლაც, არნახული დაცემის ეპოქა, ავტორისავე ცნობილი მეტაფორით „დიდი ღამე“, რომელმაც ჩვენი ხალხის შემდგომ ისტორიულ ცხოვრებასაც წარუშლელი დაღი დაამჩნია. ისტორიზმის თვალსაზრისით, საგულისხმოა აგრეთვე ერთი, ჩემის აზრით, მოსაწონი თვისება, რომელმაც ჯერ კიდევ პირველი რომანის „ლაშარელას“ ფურცლებზე იჩინა თავი. ავტორი ისტორიულ გმირებს, ნაცვლად ადრე შემუშავებული ტრადიციული აზრისა, მკაცრი კრიტერიუმებით აფასებს და ყოველნაირად ცდილობს, გაემიჯნოს ისტორიული პროცესის ყალბ იდეალიზაციას.

აქ პატარა წიაღსვლა. სულ ახლახან ჩვენმა ტელემაყურებელმა ნახა სერიებად წარმოდგენილი საინტერესო ფრანგული ფილმი „ხორცშესხმული სატანა“. იგი ეძღვნება XVIII საუკუნის დიდ განმანათლებელსა და ამასთან შეუბრალებელ სატირიკოსს ვოლტერს (ასეცაა იგი წარმოსახული ფილმში), რომლის დაუოკებელი ვნება გამოვლინდა საკუთარი ხალხის ზნეობრივი ამაღლებისა და მაღალი ისტორიული მისიის შეგნებისათვის ბრძოლაში. ასეთ დროს ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი არც ეროვნული წყლულების ჰიპერტროპირებულ ფორმებში გამოხატვას ერიდებოდა.

საგულისხმოა, რომ თავის ესეში, რომელიც ერთვის ბოლო რომანს „ცოტნე“, გრიგოლ აბაშიძე იმოწმებს სწორედ ვოლტერის, თუმცა ზედმეტად სკეპტიკურ, მაგრამ გარკვეულ ასპექტში სიმართლის შემცველ აზრს საფრანგეთის ისტორიულ წარსულზე: „კიდევ და კიდევ გვიხდება იმის აღიარება, რომ ისტორია არის ჯაჭვი დანაშაულობისა, სიგიჟისა და უბედურებისა, რომელთა შორის უდაბნოში აქა-იქ გაბნეული ოაზისებივით იშვიათად თუ შეხვდებით კეთილის მოქმედ ადამია-

ნებს ან ბედნიერ ეპოქას. სხვა ხალხებიც არ იყვნენ უფრო გონიერნი, მაგრამ არცერთ ერს მკვლელობითა და ბოროტმოქმედებით თავი ისე არ შეურცხვენია, როგორც საფრანგეთს".

მართლაც, დიდი ხელოვნებაა ისტორიული სიმართლის აღიარება, და, რასაკვირველია, არც ის არის დასავიწყებელი, თუ ვინ დაიმსახურებს სიმართლის, თუნდაც ასეთი მწარე სიმართლის, თქმის უფლებას.

ისტორია ია-ვარდებით მოფენილი სარბიელი არასოდეს ყოფილა, მით უფრო ისეთი ეპოქებში, როცა ერის ისტორიული ცხოვრება პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისის ფაზაში აღმოჩნდება.

გრიგოლ აბაშიძე, როგორც მხატვარი და მემატიანე, როგორც ითქვა, ასახვის საგნად სწორედ ასეთ მძიმე ეპოქას ირჩევს. მართლაც, სამივე ზემოთ დასახელებული რომანი ერის დაცემისა და სულიერი მერყეობის შემზარავ სურათებს გვიხატავს.

ისტორიის მკაცრი სინამდვილე თავის ნებას ახვევს არამცთუ ჩვეულებრივ, არამედ ერის რჩეულ ადამიანებსაც, რომელთაც ხალხის მეგზურობა აქვთ მინიჭებული. ვითარება მით უფრო დამძიმებულია, როცა ცხადად თუ უჩინრად მოქმედებს ძალდატანების გარეშე ძალა. თითქოს რაღაც გაიბზარა, გატყდა მტკიცე ეროვნულ შენობაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინამორბედ, შედარებით ბედნიერ ეპოქებში აღზევებული ამაყი ქართული სული მოუმზადებელი დაუხვდა ახალ დროს, მონღოლთა განუკითხავი ბატონობის ხანას.

ხოლო არაფერი ისე მწარე არ არის, ეს თითქმის უნივერსალური კანონია, როცა დამთრგუნველი ძალა უფრო დაბალი კულტურისა და ტრადიციის ხალხია, ვიდრე მის მიერვე დაპყრობილი ქვეყნები. აბა სხვა რას უნდა მიეწეროს ის უმაგალითო დაქვეითება, რომელიც მონღოლთა ბატონობის ხანას მოჰყვა საქართველოში. თითქმის არც ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტს ამ ეპოქისას ჩვენ არ ვიცნობთ.

კულტურული დაქვეითება კი ზნეობრივი გადაგვარების პირველი მაცნეა. გრიგოლ აბაშიძე პირუთვნელი ისტორიკოსის თვალით აღადგენს ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, დამცირებისა და ზნეობრივი გათახსირების შემაძრწუნებელ ფაქტებს, როცა პირადული მთლიანად ნთქავდა საზოგადოებრივ, სახელმწიფო ინტერესებს. გადაგვარების საშინელი სენი პირველად ერის თავკაცებს შეუჯდა და შემდგომ, რასაკვირველია, უკურნებელი ჭირივით მოედო ქვეყანას. თანამდებობისა თუ მიწის ერთი ნაგლეჯისათვის ყველაფერს თმობდნენ, პირმოთნეობისა და დამცირების სავალალო სურათებია აღწერილი „დიდ ღამესა" და „ცოტნეში". მონღოლთა უწიგნურ და ხეპრე ნოიონების ლაქიებად იქცნენ ის ადამიანები, რომლებიც გუშინ ერის წინამძღოლობას იჩემებდნენ: მთავარი ის იყო, ვინ ვის დაასწრებდა, პირმოთნეობაში ვინ ვის გადასძლევდა — ქვეყანა კი საშინელი სისწრა-

ფით ეშვებოდა განუკითხაობის ჭაობში. ეგარსლან ბაკურციხელის ნოინებთან სტუმრობის ეპიზოდი რომანში დამაფიქრებელ ასოციაციებს აღძრავს. შეუპოვარი და ერთ დროს საქვეყნო საქმეებში აქტიური პიროვნება, ზვიადი ფეოდალი რა ხერხს არ მიმართავს, რათა როგორმე თავი მოაწონოს ახალ პატრონებს, ქართველი პურღვინის მადლით მოხიბლოს ისინი, რომ ამით წყალობა გამოსტყუოს მათ, რასაკვირველია, ისევ და ისევ საკუთარი კეთილდღეობისათვის. მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი გზა არა მხოლოდ მაცთუნებელია, არამედ სახიფათოც. ერთ მაამებელს მეორე ცვლის (უხვ არჩევანს სთავაზობენ ამ მხრივ პირადი კეთილდღეობით დატყვევებული ქართველი ფეოდალები უზურპატორებს) და ეგარსლან ბაკურციხელიც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ტრაგიკულად ამთავრებს ზნეობრივად აგრერიგად შებღალულ სიცოცხლეს.

სასახლის კარზე გამეფებულ უზნეობას აგვიწერს ავტორი ამავე რომანში ჩართულ სხვა, მხატვრულად ძლიერად შესრულებულ, დამოუკიდებელ ნოველაში, რომლის მთავარი გმირია ასევე აღზევებული ფეოდალი თორღვა პანკელი.

საქვეყნო ინტერესებს აქ თრგუნავს წვრილმანი ინტრიგები, შური და მზაკვრობა. საკუთარ ვნებებს აყოლილი ქალები წყვეტენ საქვეყნო საქმეებს, რითაც ასე ოსტატურად სარგებლობენ პატარა სულის მქონე მედროვე ადამიანები. ხელისუფლებისაკენ უმოკლესი გზა კი ქალებს ვერ ასცდება. ასეთ დროს კი, ეს კარგადაა წარმოჩენილი რომანში, განუკითხაობის შემზარავი ატმოსფერო ბატონობს. ავტორის აზრით, ეს ისეთი სენია, რომელსაც, სხვა მიზეზებთან ერთად, დაღუპვის პირამდე მიჰყავს ქვეყანა. ნოველა „თორღვა პანკელი“ ამ თვალსაზრისით ერთგვარად ასრულებს მონღოლთა ბატონობის ეპოქის სოციალურსა თუ პოლიტიკურ სურათს.

მაგრამ სწორედ ეგევე ეპოქა სხვაგვარ ისტორიულ მაგალითებსაც გვაწვდის, არც შეიძლებოდა სხვანაირად. ქართველმა ხალხმა ბოლოს და ბოლოს თავისთავშივე აღმოაჩინა ის უდრეკი ძალებიც, რამაც იგი გადაარჩინა სულიერსა და ფიზიკურ განადგურებას. დიდმა შეჭირვებამ დიდი ნებისა და ზნეობის ადამიანებიც წარმოშვა, რომელთა ქველი საქმეები იმედის შუქად მიუძღოდა თანამემამულეებს. ისტორიამ სასოებით შემოგვინახა მათი სახელები. მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს ცოტნე დადიანის საარაკო თავდადების ამბავი.

გრიგოლ აბაშიძის რომანების და განსაკუთრებით კი ბოლო რომანის „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ უმთავრესი პათოსი სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ ჩვენი ხალხისათვის ამ უმძიმეს ეპოქაშივე აღმოაჩინოს მწერალმა მისაბაძი მაგალითები, მარადიულობით აღბეჭდილი ის თვისებები, რაც ამაღლებს და აკეთილ-

შობილებს ადამიანებს. ამითვე აიხსნება რომანის ავტორის განსაკუთრებული დაინტერესება ცოტნე დადიანის პიროვნებით.

ამ თემის დამუშავებისას მწერალს ჰყავს წინამორბედები. ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის ცნობილ ფაქტებს თავი რომ დავანებოთ, აქ საკმარისია „ჟამთააღმწერელის“ დიდებული მატიანის გახსენება.

მაგრამ აქ უეჭველად ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი, ამასთან, გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა მწერალს. ისევე, როგორც ძნელზე ძნელი ამოცანაა, ვთქვათ, მხატვრისა თუ მოქანდაკისათვის ისტორიაში უკვე ცნობილი პიროვნების მემორიალის შექმნა, ასევე რთული ამოცანის წინაშე იდგა ალბათ რომანის ავტორი, როცა ხალხის ხსოვნაში სამარადისოდ აღბეჭდილი გმირის ცხოვრების აღწერა დაისახა მიზნად. ასეთ დროს ბეწვის ხიდზე სიარული უწევს მწერალს, რომ რაიმე უცხო შტრიხით არ შებღალოს ხალხის სათაყვანებელი გმირის პიროვნება და ამასთან შთაბეროს ის ცხოველმყოფელი სული, რომლის გარეშეც ფერმკრთალი და დღენაკლულია ყოველი მხატვრული სახე.

ეს უმთავრესი მხატვრული ამოცანა, ჩემის აზრით, წარმატებით არის გადაწყვეტილი რომანში. მთავარი გმირის წარმოჩენისას საგულისხმოა ავტორის პოზიცია. მხატვრული დატვირთვა მან გმირის შინაგანი სამყაროს ევოლუციაზე გადაიტანა. ამით ავტორი გაემიჯნა ამავე თემის დამუშავებულ ადრეულ ნიმუშებს, სადაც ცოტნე იმთავითვე სახალხო გმირის ზოგადი ნიშნებით იყო აღბეჭდილი.

რომანში კი პირველ პლანზე გმირის სულიერი წრთობაა წამოწეული, რითაც ცოტნეს მხატვრულმა სახემ სასურველი დინამიზმი შეიძინა. ჩვეულებრივი, მეოცნებე ბავშვიდან რომანის ფურცლებზე მკითხველის თვალწინ იზრდება და ყალიბდება საქვეყნო იდეალებისათვის თავდადებული პიროვნება, რომელიც გადამწყვეტ მომენტში თითქმის ზეადამიანურ სიმტკიცეს იჩენს. ავტორისეულ კონცეფციას საფუძვლად უდევს აზრი, რომ ცხოვრება თავისთავად ისეთი ასპარეზია, სადაც ადამიანი ერთხელ მაინც აღმოჩნდება უდიდესი სულიერი გამოცდის წინაშე, მომენტის გრძნობა და თავისთავზე ამაღლება უპირველესი პირობაა ადამიანური ქველობის ამ დიად გზაზე. თუნდაც ერთერთის უკმარობა კი ნაცარტუტად აქცევს ყოველივეს. რასაკვირველია, ასეთი სიმაღლეების წვდომა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია და ცოტნეს სახით ავტორმა შეძლო ქართული ეროვნული ხასიათის სამაგალითო თვისებების მხატვრული დასაბუთება.

ჰეროიკა, რაინდული სული, რითაც გაჟღენთილია ჩვენი შველი მწერლობა, უწინარეს კი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლები ბუნებრივ გაგრძელებას ჰპოვებს „ცოტნეშიც“, ოღონდ ავტორი უფრო

სხვა შტრიხებს წამოწევს იდეალად დასახული გმირის ხატვისას. ცოტნე უფრო ზნეობრივი, სულიერი საწყისის პიროვნებად წარმოგვიდგება, რაც ასე ბეჯითადაა ხაზგასმული რომანში. ამიტომ არის, მაგალითად, ასე ხშირად მოხმობილი ამირანისა და ქრისტეს მარადიული სახეები, რაც ძალზე საინტერესო სიმბოლიური მინიშნებებით ამდიდრებს იმ ინტელექტუალურ სამყაროს, რომელშიც იწრთობოდა და გონებრივად ყალიბდებოდა რომანის უპირველესი გმირი. ყოველივე ეს კი, სხვა კომპონენტებთან ერთად, დამაჯერებელს ხდის გმირის სულიერი ფერისცვალების გზას.

მკითხველს უეჭველად სჯერა, რომ კოხტას შეთქმულებაც რომ არა, ცოტნე უსახელოდ არ დაამთავრებდა სიცოცხლეს, ასეთი ადამიანები ნიადაგ ეროვნული ღირსების სადარაჯოზე დგანან. რომანის ავტორის წარმატება უწინარეს ამ რწმენის განმტკიცებაშია საძიებელი. ისიც საგულისხმოა, რომ ცოტნე დადიანის სახეში ასე მძლავრად ღვივის ერთიანი საქართველოს სულისკვეთება, რამაც თავის აპოგეას სწორედ მის დიდ წინამორბედთა დავითისა და თამარის ეპოქაში მიაღწია.

* * *

რომანის კომპოზიციისა და საერთოდ მხატვრული სტრუქტურის თვალსაზრისით ძალზე საგულისხმოა გზადაგზა ჩართული ნოველები, რომელთა ზოგ თავისებურებაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი.

უნდა ითქვას, რომ ეს ნოველები რომანის მრავალწლიან ქსოვილში განსაკუთრებით გამოირჩევიან და მეტყველებენ ავტორის ჩინებულ ოსტატობაზე. ყოველ მათგანს რაღაც ერთი გარკვეული აზრი, იდეა აშუქებს და ამასთან ახალი შტრიხებით ამდიდრებენ რომანში წარმოდგენილ მხატვრულ სინამდვილეს.

ძალზე საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველი ნოველა „მე მოვკალ ჩაღატა“, რომელშიც აღწერილია სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტი მონღოლთა და ქართველთა ლაშქარს შორის (ქართველების ლაშქარი საქართველოდან შორს იძულებითი სამხედრო ბეგარის გამო მონღოლებთან ერთად უტევდნენ ალამუთის ციხე-სიმაგრეს). კონფლიქტის საბაბი შეიქმნა მონღოლთა ერთ-ერთი ნოინის ჩაღატას სიკვდილი. იგი საკუთარ კარავში იპოვეს ყელგამოღადრული. ეჭვი ქართველებზე მიიტანეს და საშინელი სისხლისღვრა მოჰყვებოდა ამ ამბავს, რომ თვით მკვლელი, ფანატიკოსი მულიდი ვინმე ბადრადინი არ გამოცხადებულიყო მონღოლთა ბანაკში.

აქ ნიშანდობლივი ისიცაა, რომ მიუხედავად ქართველთა ერთგული სამსახურისა, მონღოლები, ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ და პირ-

ველივე შემთხვევაში მზად იყვნენ გაეჟლიტათ ისინი. დამპყრობელთა. ფსიქოლოგია ასეთი იყო და იქნება ყოველთვის.

მწერალს ეს ეპიზოდი დასჭირდა, რათა კიდევ ერთხელ წარმოეჩინა ქართული ხასიათის სიმტკიცე, ერთსულოვნება, რაც მოსისხლე მტერსაც კი ხიბლავს. ამასთან, პირუთვნელი ისტორიკოსის პოზიციიდან ავტორი გვისაბუთებს, რომ არ არის სწორი შეხედულება, თითქოს ერის თავკაცები, ამ შემთხვევაში ქართველი მთავრები ყოველთვის, ღალატის გზას ადგნენ. გრიგოლ სურამელი და სხვა ქართველი ერისთავები მზად არიან, თუნდაც თავიანთი სიკვდილის ფასად გამოიხსნან თანამოძმეები, უბრალო ქართველი მოლაშქრეები.

ეს ეპიზოდი ერთგვარად ამზადებს მკითხველს ცოტნეს თავდადების აღსაქმელად. ამასთან ცხადყოფს იმასაც, რომ ცოტნე დადიანი ერთადერთი არ იყო ქართველთათვის ამ უმაგალითო ძნელბედობის ჟამს.

ეგევე ეპიზოდი მიგვანიშნებს აგრეთვე ავტორის სწორ თვალსაზრისზე, რომ შუასაუკუნეების მკვლევარი, რომელიც ეროვნული მოძრაობის წინა ხაზიდან გამოთიშავს თვით ფეოდალთა წარმომადგენლებს, აშკარად მეორე უკიდურესობაში ვარდება. იგი ვერ ერკვევა გარდასული ეპოქის მამოძრავებელ ძალთა რეალურ განლაგებაში.

ეროვნულ ხასიათებს ეროვნული მისიის შეცნობა ასაზრდოებს და სხვადასხვა ფორმით ეს აზრი არაერთგზისაა ხაზგასმული რომანში. შეიძლება გადამეტებულად ქრისტიანიზებულია, მაგრამ საგულისხმოა და ფაქტიურად რეალურ ვითარებას გამოხატავს შეხედულება, რომელიც გამოთქმულია თვით ცოტნეს აღმზრდელის ივლიანეს მიერ. აქ საუბარი შეეხება ქართული სახელმწიფოს მაღალ მისიას ახლო აღმოსავლეთში, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ბიზანტიის დაქვეითების შემდგომ თამარის ეპოქაში, რითაც ხაზგასმულია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო როლი იმჟამინდელ მოწინავე იდეოლოგიის განმტკიცებაში.

ქრისტიანობის დაცვა აქ სამართლიანობისათვის ბრძოლის შემადგენელ ნაწილად იყო გააზრებული კლასიკური ხანის ქართულ იდეოლოგიაში და ცოტნეც ამ დიდი მისიის შთაგონებით წვრთნიდა საკუთარ სულიერ ძალებს, რაც მან შემდეგ სრულიად სხვა ასპარეზზე გამოავლინა. რომანის ავტორის პათოსიც ზნეობრივი ამაღლებისაკენაა მიმართული და აღმოცენებულია ისტორიული გაკვეთილის ფართო გაგებაზე. ასევე საინტერესოა რომანში ხუროთმოძღვრისა და მხატვრის მახარებელის სახე. იგი შემოქმედის ეროვნულ მრწამსს განასახიერებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია დიდი და საყოველთაო ფასეულობათა შექმნა.

ჩემს ერთ ადრეულ წერილში (წარსულის დიადი გაკვეთილი, იხ. ჩვენ წიგნში: მარადიული სახეები, 1981 წ.) რომელიც ამავე საკითხებს

ეხება, კონკრეტული საუბარია ზოგიერთ იმ მხატვრულ მიგნებაზე, რაც გრიგოლ აბაშიძის ამ რომანის სტრუქტურულ თავისებურებებს განაპირობებს (ეს მოსაზრებები წარმოდგენილია სათანადო შენიშვნებთან ერთად). ოღონდ აქ დავსძენ, რომ მე საერთოდ ფუჭ საქმედ მიმაჩნია იმაზე დავა (რაც არც ისე იშვიათია ისტორიულ რომანზე მსჯელობისას), თუ რომელ ხერხს უნდა მიმართოს ავტორმა, სიმძიმის ცენტრი კოლორიტის დაცვაზე, გარეგანი აქსესუარების ზუსტ აღწერაზე უნდა გადაიტანოს, თუ გარდასული ეპოქის სურნელი ამავე ეპოქისათვის დამახასიათებელი სულისკვეთების გადმოცემით გვაგრძნობინოს. მთავარი კი მაინც მწერლის მხატვრული მიდრეკილებაა, რაც განაპირობებს კიდეც რეზულტატს — თანადროული ყღერა მიანიჭოს იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ამავე მიზნითაა გამოხმობილი ისტორიულ რომანში. გრიგოლ აბაშიძე წარმატებით ფლობს ამ ხელოვნებას, ტაქტი და ზომიერება ამის უპირველესი გარანტიაა.

დასასრულ, აქ მინდა შევჩერდე ერთ სიახლეზე, რომელიც აგრეთვე არის დამახასიათებელი თანამედროვე ისტორიული რომანის მოდერნიზაციის გზაზე. იგი უცხო არ არის „ცოტნეს“ ავტორისათვის. რომანში ალაგ-ალაგ ჩართულია ესეისტური ფორმით შესრულებული რამდენიმე ისტორიულ-კრიტიკული ნარკვევი.

ეს ნარკვევები ჩვენი ერის ტანჯვით აღსავსე ისტორიაზე ღრმა დაფიქრების შედეგია და ამასთან ახალი ასპექტებით ამდიდრებენ წარსული ცხოვრების აღქმას, ისტორიული გაკვეთილის ღრმა შემეცნებას. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ თვალსაზრისით რომანის ბოლო სიტყვა. მასში ავტორი აჯამებს იმ ისტორიულ კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს რომანს ცოტნე დადიანზე, პიროვნებაზე, რომლის მაღალი ზნეობა ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ე. წ. უცვლელ ფონდს განეკუთვნება. ფართო ერუდიციასთან ერთად ავტორის ბოლო სიტყვა კარგად ამხელს, თუ რა ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოა გაწეული, ვიდრე მწერალი ხელს მოჰკიდებდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ესოდენ მნიშვნელოვანი ეპოქის მხატვრულ გარდათქმას.

„ცოტნეს“ გამოქვეყნებიდან გავიდა თითქმის ათ წელზე მეტი. რომანი და მისი გმირები განაგრძობენ დამოუკიდებელ ცხოვრებას. კვლავდაკვლავ შეახსენებენ მკითხველს ჩვენი ისტორიის ღრმად შემეცნების აუცილებლობას. მის ადგილს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის გზაზე.

განვლილი წლების მანძილზე კი მისმა ავტორმა ახალ-ახალი საგულისხმო თხზულებებით გაამდიდრა ჩვენი მწერლობა. ყველაფრიდან ჩანს, რომ მწერალი, რომელიც ასეთი სულიერი მხნეობით მიუახლოვ-

და ადამიანური სიბრძნის ჰეშმარიტ ასაკს, კვლავაც ღრმა და დაფიქრებულ საუბარს გაუმართავს ჩვენს მკითხველს როგორც წარსულის, ისე აწმყოსა და მერმისის მტკივნეულ პრობლემებზე.

1983 წ.

13. რწმენის სიმაღლე

(რამდენიმე სიტყვა ნოდარ დუმბაძეზე)

ნოდარ დუმბაძე დღეს ქართული პროზის ერთი უპირველესი ოსტატთაგანია. როგორ ამშვენებენ მისი უკეთესი რომანები და მოთხრობები ბოლო ორი ათეული წლის ქართულ მწერლობას. რამდენი სითბო და სიხარული აგრძნობინეს მათ ჰეშმარიტი მწერლობის მოყვარულ მკითხველებს.

ნოდარ დუმბაძის ეჭვმიუტანელ შემოქმედებით გამარჯვებებთან დაკავშირებით მე მაგონდება ივან ბუნინის, ჩემის აზრით, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დაკვირვება.

მწერალმა, სულ ერთია, იგი რას აირჩევს აღწერის საგნად, უწინარეს ყოვლისა, უნდა იპოვოს ხმა, კილო. ამის შემდეგ კი თითქოს ყველაფერი ნათდება.

მართლაც, თუ შეიგრძენი ეს ხმა, მაშასადამე, იპოვნე რიტმი პროზისა ე. ი. მიაგენი მის ხმოვანებას, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ პროზაც ფლობს ისეთსავე შინაგან მელოდიას, როგორც ლექსი და მუსიკა.

ნოდარ დუმბაძის, როგორც პროზის ოსტატისა. ჩემი აზრით, პირველი დიდი აღმოჩენა ის იყო, რომ მან საოცარი სიზუსტით მიაგნო თხრობის შესაფერ კილოს. თითქოს მოხსნა ყოველგვარი პირობითობა და პირდაპირ, უშუალოდ გაგვაცნო მის არსებაში გარდატეხილი, ჩვენთვის კი მანამდე უცნობი სამყარო.

სათქმელი კი მას ამ დროისათვის საკმარისზე მეტი ჰქონდა დაგროვილი. იგი ხომ შედარებით გვიან შეება მისთვის მანამდე უცნობ დარგს. მანაც ისევე, როგორც ბევრმა მისმა თანამოკალმემ, პოეზიიდან პროზაში გადაინაცვლა. როგორც ჩანს, ეს მაშინ ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესის ერთ-ერთი გამოვლინებაც იყო.

ალბათ ამიტომაა, რომ მისი შემოქმედების პირველივე ნიმუშებს არ აკლია არც ცხოვრებისეული ცოდნა და არც საჭირო ოსტატობა. ნოდარ დუმბაძემ, შეიძლება ითქვას, ძალზე მოკლე დროში დიდი

მწერლური სახელი მოიხვეჭა. ეროვნული სულითა და ადამიანის სიყვარულით აღბეჭდილმა მისმა ქმნილებებმა დიდი ხანია გადალახეს ჩვენი ქვეყნის საზღვრები...

ჩვენ თვალწინ უცებ ამოიზარდა ახალი პოეტური სამყარო, რომელიც განსახლებულია ზნეობრივად სპეტაკი და მაღალი სულის მქონე ადამიანებით. ამის დასტური იყო უკვე მისი პირველივე რომანი „მე. ბებია, ილიკო და ილარიონი", რომელშიაც ნოდარ დუმბაძემ თითქმის ყველა მისი მწერლური თვისება ასე სრულყოფილად გამოავლინა.

ნოდარ დუმბაძეზე ბევრი დაწერილა და მომავალში, ალბათ, კიდევ უფრო მეტი დაიწერება — მისი მადლიანი ნიჭი სავსებით იმსახურებს ასეთ დიდ ყურადღებას. მაგრამ მე ვერ დავეთანხმები როგორღაც ძალზე გავრცელებულ აზრს, როცა მის რომანებსა და მოთხრობებსაც კი იუმორისტული ჟანრის ყალიბებში აქცევენ. ასეთ შეფასებაში მე ერთი წვამითაც არ ვხედავ რაიმე დამცირებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი არ ასახავს რეალურ ვითარებას.

სინამდვილის მხატვრული დაუფლება მის რომანებსა თუ მოთხრობებში სხვა მხატვრული ხერხებითაა გადაწყვეტილი და კომიკურ სიტუაციათა სიმრავლე სრულიადაც არ ქმნის რაიმე დომინანტს. ადამიანური ბირგრაფიები აქ უფრო ფართო პრიზმაშია გარდატეხილი და დრამატიზმის დიდ დოზას შეიცავენ. სიცილი და ცრემლი, მხიარულება და სევდა აქ ისევე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც დღეს ღამე და სიკვდილს — სიცოცხლე. მე არა მგონია, რომ დედა მის რომანებში, ბებიის მიცვალების სცენა ან დიდროს ტრაგიკული სახე (მიუხედავად იუმორისტული ელფერისა) რაიმე მინიშნებას იძლეოდეს ზემოთ მოტანილი დასკვნისათვის.

ნოდარ დუმბაძის რომანები და მოთხრობები ეს არის ტიპიური ლირიკული პროზა, რომელსაც დრამატიზმთან ერთად აგრერიგად ამშვენებს თბილი და მომხიბვლელი იუმორი — დასტური ავტორის კიდევ უფრო „სხვა რიგის" ნიჭისა.

ნოდარ დუმბაძის გმირები ხშირ შემთხვევაში მიამიტი და გულუბრყვილონი არიან, მაგრამ მეტწილად თანდაყოლილ იუმორთან ერთად მათ არ აკლიათ არც სიბრძნე და არც ცხოვრებისეული გამოცდილება. ამასთან, ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით, რომ ყოველი მათგანი ძველი და ჭირგამოვლილი ხალხის ღვიძლი შვილები არიან.

როგორც ფერადოვანი კოლორიტით, ისე ძალზე ცოცხალი დიალოგებით გამოირჩევიან ის ეპიზოდები, რომლებშიც ქართული სოფლის სურათებია გადმოცემული და მწერლის მეხსიერებას ასე უზადოდ შემოუნახავს ბავშვობის პირველ მოგონებასავით. მწერლის უმთავრესი ლირიკული გმირიც ხომ, მიუხედავად ქალაქში დამკვიდ-

რებისა, სოფელთან ურღვევ კავშირებს ამყარებენ, რაც თვით ავტორისავე სულიერი ბიოგრაფიის ზუსტი ანარეკლია.

ნოდარ დუმბაძის ყოველი სტრიქონი გულწრფელი აღსარებაა, რაც კიდევ ერთი ცალკე თემაა მისი შემოქმედების სწორი შეფასებისათვის. გულწრფელობა მან არა მხოლოდ სტილურ, არამედ რაღაც ნაირ რწმენის სიმაღლემდე აზიდა და ბოლომდე ენდობა კიდეც იგი ამ დროს საკუთარ თავს.

ნოდარ დუმბაძე უწინარეს ყოვლისა, შთაბეჭდილებების მწერალია და უცთომელ მეხსიერებას ფლობს. ამიტომაცაა ასეთი ცოცხალი და უშუალო, ხალხური იუმორით შეზავებული მისი დიალოგები თუ საერთოდ მის მიერ წარმოსახული მხატვრული სინამდვილე. მაგრამ ამასთან, და ეს არის ყველაზე ნიშანდობლივი, ცალკეული დეტალი თუ ერთი შეხედვით სულ უბრალო სახუმარო ტიპის ეპიზოდიც კი დატვირთულია ცხოვრებისეული სიბრძნით და განზოგადების დიდი ძალით. მსჯელობებით გატაცება და რეფლექსიაზე ძალდატანება (რაც სამწუხაროდ, აქა-იქ ზოგჯერ იჩენს თავს) ისეთივე უცხო სხეულია მის ფერადოვან პროზაში, როგორც ცინცხალ გლეხურ ტაბლაზე ქალაქიდან ჩამოტანილი მსუყე ნამცხვარი.

დასასრულ, რამდენად სასიხარულოა მისი ნიჭის პატივისმცემელთათვის ისიც, რომ მისმა ახალმა მშვენიერმა მოთხრობებმა, რომელთა შორის გამოვყოფდი „უმადურს“, „მზეს“, „ძაღლსა“ და „დიდროს“, ეჭვმიუტანლად გვაგრძნობინა მისი პალიტრის გაფართოება. ამასთან, ახლებურად დაგვანახვა „ქარტეხილთა ზღვისებრ მღელვარე“ ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული მწერალი-მოაზროვნე.

ნოდარ დუმბაძე დღეს ორმოცდაათი წლისაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ „წელთა კვეთება“ ერთი წუთითაც არ უცვლის მას ნირს. მან კარგად იცის, რომ დღეს მისი მშობლიური ხალხი მეტს მოითხოვს მისგან, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ დღევანდელიც აღარ იქნება საკმარისი.

ეს სრულიადაც არ არის რაიმე ამოჩემებული სიმკაცრე. სიყვარულთან ერთად ამაში დიდი ნდობაც გამოსჭვივის: მადლობა ღმერთს, ხალხი ადვილად არ სცდება თავის არჩევანში და არც არავის აპატიებს „ცთუნებათაკენ მიდრეკას“.

დაე, „მზე სიმართლისა“ იყოს მისი ხვალინდელი დღის წინამძღვარიც.

1978 წ.

14. სიახლეთა ძიების გზაზე

(არჩილ სულაკაური)

არჩილ სულაკაური ჩვენი თაობის სათავეებთან იდგა ყოველთვის არა მხოლოდ წლოვანებით, არამედ თავისი მნიშვნელობით და ეს პოზიცია მას შემდეგაც არ დაუკარგავს.

ომის შემდგომ თაობას კი მრავალი საზრუნავი ჰქონდა, სხვას რომ თავი დავანებოთ, მას უნდა შეევსო ჯერ ომამდე, ხოლო შემდეგ ომით გამოწვეული დანაკლისი ქართული ინტელიგენციისა, კერძოდ კი ქართული მწერლობის შეთხელებული რიგები.

რასაკვირველია, ესა თუ ის თაობა, მით უფრო მწერლობაში, მხოლოდ ასაკობრივი ცნება ვერასოდეს ყოფილა. მას უნდა აერთიანებდეს მსგავსი იდეალები და სიახლის დამკვიდრების პათოსი. ეს, როგორც იტყვიან, განხორციელდა და ამის უტყუარი მოწმეა უკანასკნელი ორი ათწლეულის ქართული მწერლობა, რომელიც თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა, ხოლო ხვალ ახალი და მრავალფეროვანი ლიტერატურული ძალებით აღორძინებული კიდევ უფრო დიდ პერსპექტივებს გვპირდება.

გუშინდელ დღესავით მახსოვს არჩილის დებიუტი ქართულ მწერლობაში, ჩვენი შეხვედრები, უნივერსიტეტი, მწერალთა სასახლე, არჩილის პატარა სახლი ჩუღურეთში. თითქოს არაფერი და ოცდაათმა წელმა სიზმარივით გაიქროლა იმ დღეებიდან მოკიდებული.

არჩილი დღეს სახელოვანი ქართველი მწერალია, საზოგადო მოღვაწე და ისევე, როგორც სიჭაბუკის წლებში, მას არ განელებია ჟინი ბრძოლისა, სწრაფვა სიახლეთა ძიებისაკენ.

აღსანიშნავია, რომ არჩილ სულაკაურს, როგორც პიროვნებას, მწერალს, იმთავითვე ჰქონდა ზოგი ის თვისება, რომელსაც სხვებისთვის წლები სჭირდება და მხოლოდ გამოცდილებასთან ერთად მოდის. არჩილის პირველივე გაცნობისთანავე, მე მომეჩვენა და ვგრძნობ, არც შევმცდარვარ, რომ მას უკვე მოესწრო თავისთავში დაეთრგუნა მოუმწიფებელი აზრებითა და საეჭვო განათლებით ფონს იოლად გასვლისაკენ მიდრეკილება, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი შემთხვევაა ახალგაზრდობის წლებში.

მის სიტყვას ყოველთვის ფასი ჰქონდა, რადგან ფიქრსა და დაკვირვებაზე იყო აღმოცენებული. ეს შესაშური თვისება ბეჭედივით აზის მის მშვენიერ ლექსებსა და ცხოვრებისეული ცოდნით გაჟღენთილ მოთხრობებს, მთელ მის შემოქმედებას.

სიტყვის ხელოვნებაში სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, მე მგონი, ეს საკამათო არ უნდა იყოს, უწინარეს, სერიოზულ განათლებაზე

უნდა იყოს დაფუძნებული. არჩილ სულაკაურის განათლების ხარისხის მაჩვენებელი იმთავითვე სწორედ ის იყო, რომ იგი არამარტო იცნობდა, არამედ მას ათვისებული, გაშინაგნებული ჰქონდა მისთვის სათაყვანებელ მწერალთა ქმნილებები და, რაც მთავარია, ყოველ მათგანთან ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი, ემოციური დამოკიდებულება. ყოველივე ამან, ეს ეჭვს გარეშეა, უმთავრესი გავლენა იქონია მისი მხატვრული აზროვნების დონეზე, სტილის შეგრძნებაზე, რაც მწერლური ოსტატობის ქვაკუთხედს შეადგენს.

არჩილ სულაკაურმა ქართული მწერლობის კარიბჭე ლექსებით შემოაღო. მისი ლექსების პირველი კრებული კი 1951 წელს გამოვიდა. მასთან ერთად სიხარულით ვფურცლავდით წიგნს მისი მეგობრებიც. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ყველა ჩვენთაგანმა ქართული ლიტერატურის, ქართული მწერლობის სხვადასხვა სფეროს მივაშურეთ და მაინც კარგად გვახსოვს მეგობრის პირველი წიგნი — დასტური აღიარებისა.

შემდეგ და შემდეგ ნათელი შეიქნა, რომ კრებულში ყველა ლექსი როდი იყო თანაბარი სიძლიერისა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ წიგნში არის რამდენიმე ისეთი ლექსი, რომელიც დღესაც ინარჩუნებს ღირებულებას, იმ თვისებებს ავლენს, რაც მომდევნო წლებში ასე ღონივრად იჩენს თავს არჩილ სულაკაურის პოეზიაში. „როცა საღამო შემოდის ლურჯად, მე მინდა ძვირფას ოცნებას მივყვე: თავდება ჩემი პატარა ქუჩა, ჩემი ბავშვობაც თავდება იქვე“. ეს სიტყვები ამ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდანაა და მასვე მხარს უმშვენებენ ლექსები „დედა“, „გმირი“, „საღამო ზღვაზე“, ომზე, სამშობლოზე, ინტიმური ლირიკის მშვენიერი ნიმუშები.

არჩილს ამ ხანებში ჰქონდა ინტონაციური ხასიათისა თუ ამღერებაზე აგებული ლექსები („ქართლის გზაზე“ და სხვ.), მაგრამ უმთავრესად იგი ღრმად მოფიქრებულ სახეს ენდობოდა, რომელშიაც განცდა აზრისმიერი, ზუსტი პოეტური ფრაზებით ელინდებოდა. კიდევ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა მის შემოქმედებაში მომდევნო წლები, როცა პოეტური სათქმელი უფრო მრავალფეროვანსა და მასშტაბურს ფორმებში გახმიანდა.

ეტაპური მნიშვნელობისაა, ჩემის აზრით, არჩილის პირველი მოთხრობები, რომლებიც 50-იან წლების მიწურულიდან ზედიზედ გამოქვეყნდა. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მისი ეს მოთხრობები აღმოცენდა იმ ახალ სახელებთან ერთად, რომელთაც ახალ ფსიქოლოგიურ დონეზე სცადეს მოვლენათა ანალიზი და ადამიანის ღრმა სულიერი შრეების წარმოსაჩენად ულტრათანამედროვე მოდელები მოსინჯეს. არჩილ სულაკაური ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის და ამგვარი ძიებათა კვალი სათანადოდ არის აღბეჭდილი მის პოეტურ პროზაში.

ამასთან, ჩემის აზრით, ისიც არ არის დასაიწყებელი, რომ გმირთა ემოციური წყობის გადმოცემის ხერხებითა და თხრობის ძალზე თავისებური მანერით ამ მოთხრობებმა (განსაკუთრებით, „ტალღები ნაპირისკენ მიისწრაფიან“, „მტრედები“, „აბელის დაბრუნება“) თავის დროზე ნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინა მისი თაობის სხვა მწერალთა შემოქმედებაზეც.

აქვე ისიც უნდა შევნიშნო, რომ არჩილ სულაკაურის პოეტურ თვისებას არ განსაზღვრავს სათქმელის ფორმა, ლექსშია იგი გამჟღავნებული თუ პროზაში. ამიტომ ყოველთვის უნიადაგოდ მეჩვენებოდა მსჯელობა იმაზე, როდის ან რატომ გადაინაცვლა მან პოეზიიდან პროზაში. მის საუკეთესო მოთხრობებში იგი უწინარეს ისევ და ისევ პოეტად წარმოგვიდგება. მე აქ ძირითადად ვგულისხმობ მთლიან მხატვრულ სურათს და არა მხოლოდ კონკრეტულ პოეტურ სახეებს, რომლებითაც მართლაც, ასე უხვია მისი პროზაული ქმნილებები. ამ მოთხრობებს მისხალითაც არ აკლია ე. წ. ცხოვრებისეული მასალა, პირიქით. ზოგჯერ მისი „შემოტევაც“ კი იგრძნობა, მაგრამ მწერალი არ ღალატობს საკუთარ ხელწერას და პოეტური თხრობის უზადო ნიმუშებს გვთავაზობს. ამის დასტურია აგრეთვე მისი შედარებით ბოლოდროინდელი ნამუშევარი „ლუკა“, რომელიც პოეტური პროზის საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობაში.

სულ ახლახან არჩილ სულაკაურმა ქართველ მკითხველს შესთავაზა ლექსების კრებული „ოთხივე მხრიდან“. აქ, მართლაც მისი ნიჭის წახნაგები მოჩანს. თვითგამოხატვის მძაფრ ჟინთან ერთად აშკარად იგრძნობა პოეტური ხედვის მეტი სიფართოვე, პლასტიკური სახეებისაკენ ლტოლვა. გონით განათებულ ამ მშვენიერ ლექსებში თითქმის ყოველი ფრაზა დატვირთულია ღრმა და მრავლისმეტყველი მინიშნებებით, რაც მათი ავტორის ოსტატობის ახალი საფეხურის ნათელი მახასიათებელია.

დინჯი, საუბარში თავშეკავებული, თბილი ღიმილით მომზირალი თვალები — ასეთივე დარჩა არჩილი თავის ნახევარსაუკუნოვან მიჯნაზეც. „ახლავე მივდგებ-მოვდგები, მაცალე ვიდრე მოვკვდები გადაგიხადო ვალი...“ მოვალეობის ამ დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა იგი ყოველთვის თავის ხალხს, მამულს, მშობლიურ მწერლობას. „მამულის სიყვარული განგების მიერ ბოძებული უდიდესი ნიჭია“. დაე, ეს მაღალი ნიჭი არ მოკლებოდეს მომავალშიც ჩვენს მეგობარსა და მწერალს არჩილ სულაკაურს.

1977 წ.

15. გამოსათხოვარი

(გურამ ასათიანის ხსოვნას)

გურამ ასათიანი თავის პროფესიაზე, შემოქმედებით მოწოდებაზე მხოლოდ იუმორით, თითქოსდა საკუთარი თავის დამამცირებელი რაიმე უცნაური ეპითეტით თუ უპასუხებდა ვისმეს. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც არ დაიმჩნევდა განაწყენებას, როცა ქართული მწერლობის რომელიმე „უხამსი სტუმარი“ კადნიერად შეეხებოდა იმ სფეროს, რომელსაც შინაგან ძალთა დაძაბვით ემსახურებოდა იგი წლების მანძილზე. შემწყნარებლობა ხომ ზედაპირულ ვნებათა დათრგუნვით მოპოვებული მაღალი სულიერი კატეგორიაა.

რეალურად კი იგი მხოლოდ და მხოლოდ ძნელი ამოცანების გადაწყვეტას ისახავდა მიზნად და კრიტიკოსის მაღალ მისიასაც სწორედ ამ მიმართულებით გაწეული შრომით აფასებდა. მსოფლიო კონტაქტის გათვალისწინების გარეშე ქართულ მწერლობაზე საუბარი ფუჭ ჩხირკედელობად მიაჩნდა და მოძალებული პროვინციალიზმის ერთი უპირველესი მოწინააღმდეგე იყო. კარგად გრძნობდა ამ სენის ტოტალურ შემოტევას, რომელიც ზოგჯერ ცრუმეცნიერული ნიღბითაა აღჭურვილი, ხოლო ზოგჯერ კი ე. წ. ჟურნალისტური „სიმსუბუქით“ აჭუჭყიანებს სულიერ ატმოსფეროს, გაგიკვირდებოდა კიდეც, ლიტერატურის წმინდა იდეალებისათვის ბრძოლაში გართული, როგორ იცლიდა წვრილფეხა ნადირთა შესამუსრავად, რომლებიც ტელევიზიის ეკრანიდან თუ ჟურნალ-გაზეთებიდან სარეველა ბალახებივით ურცხვად წამოყოფდნენ თავს. მისი მართალი სიტყვა ასეთ დროს გესლიანი და დაუნდობელი იყო.

გურამ ასათიანი, მართლაც, ელვარე ნიჭის პიროვნება იყო, ხოლო მისი შემოქმედება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სიტყვიერი ხელოვნების დარგებს შორის ყრუ სამანების გავლება უნიადაგო რამაა. მისი საუკეთესო წერილები თუ ესეისტური ჩანახატები თავისთავად მხატვრული ტილოებია, რომლებშიც ზოგჯერ კრიტიკული განხილვის ობიექტი ოდენ ბიძგის, მხატვრული იმპულსის დონეზე აღიქმება. მათში აშკარად დომინანტობს მისივე პიროვნული გამოცდილება და თვით სინამდვილიდან დაძრული შთაბეჭდილებები. მისი მაძიებელი გონება კი თანაბრად არჩევდა ძირითად ტენდენციებს და ამასთან ზუსტ დეტალებზე მინიშნებით ცხოვრებისეულ სუნთქვას ანიჭებდა საკუთარ სათქმელს. ამიტომაც ხიბლავდა იგი მკითხველს თხრობის ოსტატობით და ეს უკანასკნელიც ასეთი ნდობით მიჰყვებოდა მას მისმიერვე წარმოსახული მხატვრული სინამდვილის შეცნობის გზაზე. ეს სინამდვილე კი არც ისე მარტივი იყო და არც ერთხელ და სამუდამოდ

გარკვეული. იგი არასოდეს ამარტივებდა მწერლურ ამოცანას და ხშირად ამოუხსნელი პრობლემების დასმით აღიზიანებდა მკითხველის შთაგონებას. უფრო ზუსტად, ეს მისი ერთი ნაცადი ხერხი იყო, პრობლემათა ძიების გზაზე თანაზიარობის განცდით მუხტავდა მკითხველს და აქტიური აზროვნების დიდ სარბიელზე გამოჰყავდა იგი.

გურამ ასათიანის გახმაურებული წერილების ერთი საიდუმლოება, ჩემის აზრით, ესეც გახლავთ. ხოლო მათი ავტორის ესოდენ დიდი პოპულარობა ქართული კრიტიკული აზროვნების დიდი გამარჯვების აშკარა დასტური იყო.

ათეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა იგი როგორც მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი. თვალნათლივ იგრძნობოდა ზრდა და ფართო მასშტაბური პრობლემებით მისი დაინტერესება. ამის ერთი უპირველესი ნიმუშია მისი გვიანდელი წერილების სერია „სათავეებთან“, რომლებშიც გაბედულებასთან ერთად მახვილი დაკვირვების მთელი წყებაა წარმოდგენილი. გერონტი ქიქოძის საყოველთაოდ ცნობილი ესეს, „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“, კვალდაკვალ გურამ ასათიანის აღნიშნული წერილები ქართული ხასიათის ძიების მშვენიერი ცდაა და, ამასთან, აღბეჭდილია სიახლის ძალზე გამახვილებული გრძნობით. მსგავსი თვალთახედვით შექმნილი წერილების დამაჯერებელ იერს უეჭველად ისიც განამტკიცებს, რომ აქ ყოველი სტრიქონის მიღმა ასე მძლავრად გამოჩანს მოწიფულობის ჟამს მიღწეული მათივე ავტორის თვითდაკვირვების შეუბრალებელი ნიჭიერება. ჩვენი ხალხის გაუტეხელი სულისა და ესთეტიკურ ღირებულებათა შეცნობის უძნელეს გზაზე გურამ ასათიანის აღნიშნული წერილები, მე ამაში ღრმადა ვარ დარწმუნებული, მნიშვნელოვანი მოვლენაა ეროვნული ფსიქოლოგიის და კულტურის ძირითადი მახასიათებლების შესწავლის მიმართულებით.

გურამ ასათიანის უდრეკი ნება სიტყვასთან ჭიდილში გაიხარჯა. რა ადვილად იკითხება მისი ყოველი სტრიქონი, სტილის როგორი სიამე აჯადოებს მკითხველს და როგორ მწარედ ცდება ის, ვინც ამ სილაღეს მის მართლაცდა მაღალ ნიჭიერებას მიაწერს მხოლოდ. უძილო ღამეებში იწრთობოდა ძვირფასი მადანი (ეს მისი საყვარელი სიტყვაა), რომელსაც მისი ავტორის დაჟინებული ვნებით, რვალის სიმტკიცე უნდა გამოჰყოლოდა და აკი გამოჰყვა კიდეც!

კატასტროფა კი ასე უღმერთოდ უახლოვდებოდა თურმე. შემპარავი, როგორც სიყვარული, და დაუნდობელი, როგორც სიკვდილი. მაგრამ მან კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, რომ მისთვის, სილამაზე იყო ყველაზე დიდი სარწმუნოება, ხოლო არტისტიზმი — არსებობის ერთადერთი ფორმა. უფლებაც არ მოგვცა, რომ მის ახლობლებს თანაზიარობის რაიმე ნიშანწყალი გამოგვეხატა. საუბარი კი ეხებოდა მხო-

ლოდ საქმეს, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ხალხის ხვალინდელ დღეს. იმას, რაც ჯერ კიდევ არ გაკეთებულა და უნდა გაკეთდეს კი... მოუ-ლოდნელად იშორებდა მნახველთა უნებურ, ისარივით მწველ მზერას და თანდათან საკუთარ ფიქრებში იძირებოდა.

„სათავეების“ ავტორმა, როგორც ჩანს, ისიც შთააგონა საკუთარ თავს, რომ „სირცხვილ არს“ გადრეკა და სხვადქცევის გარდუვალ კა-ნონს უმორჩილებდა სიცოცხლის დიდი სიყვარულის მწველ გრძნო-ბას...

1982 წ.

16. დრო და სახელები

(ოტია პაჭკორიას კრიტიკული წერილების გამო)

ოტია პაჭკორიას წერილები ყურადღებას იქცევს მაღალი პროფე-სიონალიზმით, ღრმა და კონკრეტული ანალიზის იშვიათი უნარით.

ამ შთაბეჭდილებას უეჭველად განამტკიცებს კრიტიკოსის ახლა-ხან გამოსული წიგნი, რომელშიც ქართული მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია აღძრული.

მიგნებულად არის შერჩეული წიგნის სათაურიც: „დრო და სახე-ლები“ ისევე, როგორც დრო წარმოშობს ახალ სახელებს, ასევე ეს უკანასკნელნი აღბეჭდავენ მათივე წარმომშობი დროის დამახასიათე-ბელ ნიშნებს. მართლაც, ავტორი მთელი წიგნის მანძილზე ამ ერთია-ნობის ხელშესახებად წარმოჩენას ცდილობს. კრიტიკოსის პოზიციაც ამ მიმართულებით გაწეულ კვლევა-ძიებაში იკვეთება.

წიგნში ერთგან მოტანილია ანატოლ ფრანსის ირონიული შენიშვნა, რომ შედევრები ადვილად როდი იქმნება, ზოგიერთი ნაწარმოები შე-დევრად დროის თავაზიანობის გამო თუ გადაიქცევა. ოტია პაჭკორიას წიგნის ერთი უპირველესი ღირსება, ჩემის აზრით, ის არის, რომ ავ-ტორი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცდილობს ამაღლდეს „დროის თავაზიანობის“ საცთურისაგან და მხოლოდ მნიშვნელოვანისაკენ მი-აპყროს მკითხველის ყურადღება.

პრინციპულია ავტორის თვალსაზრისი, იგი, პირველ რიგში, ნა-წარმოების საბოლოო შედეგზე ამახვილებს ყურადღებას და არა მხო-ლოდ რომელიმე მხატვრულ დეტალზე, რომელიც თავისთავად შესაძ-ლოა კარგადაც იყოს დამუშავებული, მაგრამ მაინც ძირითადი ჩანა-ფიქრის მიღმა რჩებოდეს.

საგულისხმოა ავრეთვე მოსაზრება შემოქმედის როლზე, რომელიც თითქმის ყოველ წერილში გამოსჭვივის: „ჩვენ, უპირველეს ყოვლისა გვიზიდავს შედეგი-იდეა, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, წარმოსახვა რისი მეოხებითაც იქმნება ახალი რეალობა, ჩვენი ყოფის, ცხოვრების, მისწრაფებათა უკუფენა, სადაც შემოქმედი ერთიანად თავისუფლდება ცრუკდემამოსილებისაგან და ჰპოვებს მორალისტის, მოღვაწის წინადგომის უფლებებს".

ოტია პაჭკორიას წიგნი უმთავრესად ერთ პრობლემას დასტრიალებს თავს. როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანებში თანამედროვე ქართული პროზის საკითხების კვლევას რამდენიმე საინტერესო წიგნი თუ სპეციალური ხასიათის წერილი მიეძღვნა.

ეს ინტერესი სავსებით კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ იმ არაჩვეულებრივ აღმავლობას, რაც ამ სფეროში ხდება. ქართული პროზა ახალ სიმაღლეებს იპყრობს, ფართოვდება მისი ჰორიზონტი, თემატიკა და შესაბამისად, მხატვრული ხერხები. ომის შემდგომ თუ 60-იან წლებში გამოსულ თაობებს ახალი და ახალი სახელები უმშვენებენ მხარს. ერთი თვალის გადავლებაც გაგვახსენებს, რამდენი უაღრესად საიმედო, ღრმა ინდივიდუალობით აღბეჭდილი შემოქმედი შემოემატა ქართულ მწერლობას სულ ახლო ხანებში.

ყოველივე ეს მრავალფეროვნების სასურველ განცდას ბადებს და ამასთან კიდევ უფრო ღრმად დაგვაფიქრებს ქართული პროზის ხვალინდელ დღეზე, იმ პერსპექტივებზე, რომლებიც იბადებიან უკვე ფაქტებად ქცეული აღმავლობის წიაღში. თანამედროვე ქართულ მწერლობაში ეს იმდენად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროცესია, რომ იგი ჩვენი კრიტიკული აზრის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. როგორც იტყვიან, საგანი, მართლაც, ღირს ამად.

ოტია პაჭკორია წლების მანძილზე ერთი პირველთაგანი საგულდაგულოდ იკვლევს ამ საკითხებს, რაც ნაწილობრივ ასახულია კიდეც „დრო და სახელებში". მართალია, წიგნი ფაქტიურად სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილების კრებულს წარმოადგენს, მაგრამ იგი მკითხველის მიერ აღიქმება, როგორც ერთი მთლიანი. ასეთ შეგნებას იწვევს ავტორის დაჟინებული სწრაფვა გაერკვეს თანამედროვე პროზის ურთულეს პროცესებში, ხელშესახები გახადოს განმსაზღვრელი ტენდენციები.

ვიდრე კრებულში აღძრულ ზოგიერთ საკითხს შევეხებოდე, სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ის არაჩვეულებრივი შემოქმედებითი გზნება, რომლითაც დამუხტულია თითქმის ყოველი წერილი. ალბათ ამის გამოა, რომ აქ გამოთქმული შეხედულებები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ადვილად იკვლევენ გზას მკითხველისაკენ. მხატვრული ფაქტებისადმი პროფესიული მიდგომა არსად არ ჩრდილავს კრიტი-

კოსის ხელწერას, აშკარად საკუთარ სტილს. არც ერთი წერილი არ არის დაწერილი ერთგვაროვან თარგზე. ესეისტური წაკადი, ნარკვევი, პორტრეტი თუ წმინდა ანალიტიკურ მსჯელობებზე დაფუძნებული ცალკეული პასაჟები მიგნებულად არის შეზავებული თხრობის პროცესში.

დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით წიგნში მოთავსებული კრიტიკული ნარკვევი გურამ რჩეულიშვილზე. მწერალზე, რომლის საოცარმა შემართებამ, დღეს ეს უკვე აღიარებული ფაქტია, ღრმა კვალი დაამჩნია თანამედროვე ქართულ პროზას, საერთოდ, ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას. გურამ რჩეულიშვილის პიროვნულმა თვისებებმა, ადრე გაწყვეტილმა სიცოცხლემ კი, თავის მხრივ ხელი შეუწყო ახალი ლეგენდის აღმოცენებას. ლეგენდისა, რომელიც ჩვენს თვალწინ დაიბადა და რომლის გმირია დაუოკებელი ვნებებით დაღდასმული, მომავლისაკენ რწმენით მზირალი ჰაბუკი შემოქმედი.

ოტია პაჭკორიას არ უმტყუნა მხატვრულმა ალღომ, როცა საგანგებოდ უარყო მსჯელობათა ანალიტიკური გზა და ცოცხალი, ხელშესახები შტრიხებით შეეცადა მკითხველის წინაშე აღედგინა ადრე დაღუპული შემოქმედის სახე.

„იგი იდგა ანთებული, დაძაბული, ლაპარაკობდა ჩურჩულით და, როცა ხმამაღლა გავიცინე, უსიამოდ შეიშმუხნა, ჩემი სიცილი ფანჯრების მტვრევასავით არღვევდა საღამოს ფაქიზსა და მშვიდ მელოდიას.

შემდეგ ნაჩქარევად გამომემშვიდობა, წავიდა და ოდნავ აზიდული, ფართო ბეჭებით გაფლითა საღამოს სიმყუდროვე.

წავიდა და დამიტოვა ფიქრი“...

ლეგენდა ვერ იცოცხლებს იდუმალების შემცველი განცდის გარეშე და კრიტიკოსი სტრიქონებს შუა ყოველთვის სტოვებს საჭირო ხარვეზებს, ენდობა მკითხველის ფანტაზიას.

ეს ნარკვევი მოგონებების ფორმითაა შესრულებული, რის გამოც ერთგვარი მოკრძალებითაც შენიშნავს ავტორი. მაგრამ მოგონებათა ცალკეულ ეპიზოდებს შორის ჩაქსოვილია ისეთი მნიშვნელოვანი დაკვირვებები, აზრები, რომლებიც ძალზე ფასეულია ისეთი რთული შემოქმედის, როგორიც გურამ რჩეულიშვილია, კრიტიკული შეფასების საქმეში. მე მხოლოდ ორიოდე სიმუშს მოვიტან ნარკვევიდან იმის დასტურად, თუ რარიგ ხელშესახებად გრძნობს კრიტიკოსი დაკვირვების საგნად ქცეული შემოქმედის გულის ფეთქვას: „იგი მუდამ უტრიალებდა მთავარს და მე მჯეროდა, იგი ამ მთავარს იპოვნიდა, თვით მის ხასიათში იყო მთავარი — დაუცხრომელი ქმედებისკენ სწრაფვა, სიყვარული ადამიანის, ცხოვრების, მელოდიისა და ფერის. მე ვიცოდი მას ბოლო დროს უჭირდა წერა. ბევრს წერდა და უჭირდა. უფრო

და უფრო ხშირად გამოსჭვიოდა მის საუბარში ანალიზის, მიზეზთა ძიების ინტონაცია, მე ვხედავდი — ჩემს თვალწინ იბადებოდა ნამდვილი შემოქმედი და რომელ ჩვენთაგანს ძალუძს, არ იგრძნოს მთელი მშვენიერება ამ დაბადებისა...

მის მიერ შექმნილ ყოველ სტრიქონს ახლდა პერსპექტივის, მომავლის გრძნობა, ახალი სიღრმეებისა და ახალი სივრცეების ძიების ჟინი"... კრიტიკოსის ლაკონიურ დახასიათებებში მინიშნებულია მწერლის შემოქმედებისათვის ყველაზე ძირითადი და განმსაზღვრელი.

მძაფრი, დინამიური სტილით გამოირჩევა შედარებით მცირე მოცულობის წერილი გიორგი შატბერაშვილზე და ნოდარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი მხატვრული ნარკვევი. კარგად არის მინიშნებული გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების უძვირფასესი თვისება, სიახლის არაჩვეულებრივი გრძნობა. საგანგებოდ საუბრობს კრიტიკოსი „მკვდრის მზის" ავტორის მნიშვნელოვან როლზე, როცა შუახანს მიღწეულმა მწერალმა ჰაბუკური შემართება გამოავლინა. მხარში ამოუდგა ახალი გზების გამკაფავ ახალგაზრდებს. იგი არა მხოლოდ რჩევა-დარიგებით, არამედ საკუთარი შემოქმედებით განამტკიცებდა დიდ სულიერ კავშირს. მართლაც, „საოცარი იყო გიორგი შატბერაშვილის მეორედ დაბადება, ის შემობრუნება, რასაც ამ დაბრძენებულმა, თითქოს და საშუდამოდ ჩამოყალიბებულმა, უკვე ჩუმი ჭვრეტისა და დაბშულ განცდათა ხანს მიღწეულმა მწერალმა განიცადა.

საოცარი იყო ქართული სიტყვის უღრმესი შრეებიდან დაძრული მარადი წარმოდგენების თვისობრივად განახლება..."

ასევე რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხითაა გადმოცემული ნოდარ ჩხეიძის შემოქმედებითი პორტრეტი. მხოლოდ ორიოდე ფრაზა ოტია პაჭკორიას ნარკვევიდან, რომლებშიც კარგად მოჩანს ნოდარ ჩხეიძის ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ მისთვის ძალზე დამახასიათებელი ცხოვრების სტილი, დამოკიდებულება მხატვრული აქტებისადმი: ...იგი ყოველთვის ეძებდა გამოსავალს უნიჭოთათვის და ხსნას ნიჭიერთათვის... მას აღიზიანებდა სიტყვა „ავტორიტეტი" და თვითვე, ფეხის ყოველ გადადგმაზე ქმნიდა ახალ ლიტერატურულ ავტორიტეტებს. მერე, ცოტა არ იყოს, გაოცებული შესცქეროდა ამ თავის შექმნილებს" და ალბათ, მარტოდ დარჩენილი ირონიულადაც იღიმებოდა", ასეთი მიგნებული დეტალებითაა ამეტყველებული ჩვენგან უდროოდ წასული მეგობრის ნოდარ ჩხეიძის სახე.

როგორც ითქვა, წიგნის ძირითადი შინაარსი ქართული პროზის დღევანდელ ვითარებას ითვალისწინებს, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ დღევანდელობაზე საუბრისას არსად არ არის დავიწყებული ქართული პროზის დიდი ტრადიციები, ქართული სკოლა, ზრუნვა მის დახვეწაზე და საერთოდ აწმყოსა და მომავალზე. ხაზგასმით არის ნათქვა-

მი, რომ „მათ (ქართული პროზის დიდოსტატებმა) განვლეს „ევროპეიზმის“ მიღწევისა „ეროვნულის წიაღში ჩაღრმავების ურთულესი გზები“.

სიახლის შემჩნევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის თუნდაც ნაწილობრივ გადაწყვეტას. ეს კარგად ესმის „დრო და სახელების“ ავტორს და ყოველი ცალკეული კრიტიკული ანალიზის საგნად ქცეული ავტორის მაგალითზე ცდილობს გაერკვეს თანამედროვე პროზის ძირითად ტენდენციებში. ბოლოს და ბოლოს ახალი პროზა მხოლოდ უშუალო გაგრძელებაა ძველისა, თუ ახალი, თავისებური საფეხური, თვისებრივად ახალი ეტაპი, რომელიც სამყაროს მხატვრული ათვისების ახალ ფორმებს გულისხმობს.

საკვლევი საკითხებისადმი ფართო თვალთახედვით მიდგომას მიანიშნებს ის ფაქტი, რომ წიგნში კონსტანტინე გამსახურდიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და სხვათა გვერდით განხილულია ახალი თაობის ძალზე საინტერესო პროზაიკოსების გურამ რჩეულიშვილის, რევაზ ჭეიშვილის, ნოდარ წულეისკირის, გურამ გეგეშიძის, გივი მაღულარიას, ვლადიმერ სიხარულიძის შემოქმედება. რასაკვირველია, ეს სახელები არ ამოწურავს დღესდღეობით მოქმედ აქტიურ ძალებს, მაგრამ მათზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება უკვე ბევრს ამბობს. ოტია პაჭკორია ღრმად და თანმიმდევრულად იკვლევს წარმოდგენილ ავტორთა მხატვრულ აღქმისა და ოსტატობის საკითხებს. თავს უყრის დიდძალ კონკრეტულ მასალას მომავალი დიდი საუბრისათვის ქართული პროზის ჭეშმარიტი ტენდენციების გასარკვევად. ვიმეორებ — მომავალი საუბრისათვის, რადგან ცალკეულ ავტორთა შემოქმედებაზე, პროფესიულ, გონებამახვილ დაკვირვებებთან ერთად (ამის დასტურად საგულისხმო მაგალითების მოტანა შეიძლებოდა წიგნიდან) აქ ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი განმაზოგადებელი დასკვნები საერთოდ თანამედროვე ქართული პროზის უმთავრესი ნიშნებზე. მის მკვეთრ სიახლეებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე რასაკვირველია ეს უფრო სურვილია, ვიდრე საყვედური „დრო და სახელების“, ავტორის მიმართ.

აქვე საგანგებოდ მინდა შევნიშნო, რომ ოტია პაჭკორიას წიგნში ჩვენ ვერ ვიპოვით რაიმე გამკილავ უბრალო ნიუანსსაც კი თუნდაც იგი ამა თუ იმ ავტორის მხატვრული ოსტატობის სერიოზულ ხარვეზებს ეხებოდეს. ტაქტსა და ზომიერებას ქართული მწერლობის დიდი სიყვარული განაპირობებს, რითაც გამთბარია „დრო და სახელების“ თითქმის ყოველი ფურცელი.

ჩვენ ხშირად ვყოფილვართ მოწმენი იმისა, როცა ლიტერატურაში მძაფრი ვნებებით შემოსული ახალგაზრდა ავტორი რა მალე იძენს მშვრეტელის თვისებებს და მყუდრო სავანეს მიაშურებს. ოტია პაჭკო-

რიას წერილებში ხშირადაა ამ სავალალო „სენზე“ საუბარი და გაფრთხილებასავით ისმის კრიტიკოსის სიტყვები: „დღეს ბევრია უფლებამოსილი უკან მოიხედოს, ბევრი აღიარებული ოსტატიცაა და ივიწყებს, რომ ოსტატობა ერთგვარ კონსერვატულ ელემენტებსაც მოიცავს. შესაძლოა ზოგს ნაადრევად გაუჩნდა სურვილი, „გახდეს საკუთარი თავის ძეგლი...“

„დრო და სახელებში“ შეტანილია აგრეთვე ორი შესანიშნავი ნარკვევი ლათინური ამერიკის მწერლობასა და სტენდალზე. მთავარი ღირსება ისაა, რომ ორივე ნარკვევი, მიუხედავად თავისთავადი შემეცნებითი ღირებულებისა, უეჭველად ქმნიან გადამკვეთ ხაზებს იმ პრობლემებთან, რომლებიც შეადგენს „დრო და სახელების“ ძირითად შინაარსს.

ოტია პაჭკორიას წიგნი თანამედროვე კრიტიკული აზროვნების სასურველ დონეზე მეტყველებს.

1974 წ.

ფილოლოგიური ეტიუდები

1. ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი უცნობი ავტორი

დაფიქრება სიტყვაზე, სწრაფვა მის იდუმალ სამყაროში შესაღწევად ცივილიზაციის ადრეულ საფეხურიდანვე დადასტურებული ფაქტია. ამ საიდუმლოების ერთგვარი დასტური იყო, უთუოდ, როცა ძველთაგანვე სიტყვას მაგიურ ძალას ანიჭებდნენ. უძველეს წარმოდგენათა გამოძახილია აშკარად იოვანეს სახარების ცნობილი ფრაზა: „პირველითგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“ (1, 1). რა ეზოტერული აზრითაც არ უნდა განიმარტოს იოვანეს ეს სიტყვები, ფაქტია თვით „სიტყვის“, „ლოგოსის“ განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარება.

სიტყვათა მარაგის თავმოყრაც ადრევე დაუწყიათ და, მართლაც, ლექსიკონის შედგენა ამა თუ იმ ხალხის სულიერი სიმწიფის უტყუარი მაჩვენებელია.

ლექსიკონი სრულ წარმოდგენას გვიქმნის სიტყვათა მარაგის შემქმნელი ერის კულტურულ პროფილზე, ცივილიზაციის დონეზე, იმ გზაზე, რომელიც მან განვლო საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენს დღეებამდე.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ურყევი ჭეშმარიტებაა. ცნობილია, მაგალითად, რომ ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ესთეტს, როგორიც იყო თეოფილ გოტიე უსაზღვრო სიამოვნებას გვრიდა ლექსიკონების კითხვა. ანატოლ ფრანსი ლექსიკონს წიგნების წიგნად თვლიდა და მიაჩნდა, რომ ყოველ ლექსიკონში ერის სული და გონებაა ჩაქსოვილი, რომ იგი მისი შემქმნელის ბუნებისა და გენიის გამოვლენაა, რადგან ასეთ წიგნში კონდენსირებული სახითაა აღბეჭდილი წინაპართა ჩვენთა აზრები და სიხარული, გარჯა და სიმძიმილი...

ლექსიკონის უაღრესი მნიშვნელობა ასევე საფუძვლიანად ესმოდათ ძველ ქართველ მწიგნობრებს, როცა საუკუნიდან მოკიდებული ასე ინტენსიურად შეუდგნენ ქრისტიანული წიგნების თარგმნა-გავრცელების საქმეს.

ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი თუ იოანე პეტრიწი მთარგმნელობით მოღვაწეობასთან ერთად ქართულ მეცნიერულ ლექსიკოგრაფიასაც უყრიდნენ ბალავარს[1].

ლექსიკოლოგიური მუშაობისათვის განსაკუთრებული სტიმულის მიმცემი იყო ჩვენში ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარება, რომელიც, პირველ რიგში მიზნად ისახავდა სასულიერო ცნებათა თუ ცალკეულ რთულ ტერმინთა განმარტება-კომენტირებას (სხვათა შორის, ფორმალური თვალსაზრისით მათ კვალს გაჰყვა ვახტანგ VI, როცა ქმნიდა პირველ რუსთველოლოგიურ ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის განმარტებას“).

მაინც პირველი და თანმიმდევრული ლექსიკოგრაფის სახელი დიდმა სულხან-საბა ორბელიანმა დაიმკვიდრა ჩვენში. ამის მიზეზი უწინარეს შემდეგში უნდა დავინახოთ. ძველ ქართველ მწიგნობართაგან დაწყებული საქმე ჟამთა ვითარების გამო მომდევნო საუკუნეებში ერთგვარად შენელდა. ამასთან მათი მუშაობა სპეციფიკურ მიზნებს ისახავდა და, როგორც ითქვა, უფრო სასულიერო შინაარსის ცნებათა, საკუთარ სახელთა და ტერმინთა განმარტებებისაკენ იყო მიმართული.

ახალ საუკუნეებში, როცა შედარებით გამოცოცხლება დაეტყო ქართულ მწერლობას, ეს დიდი საქმე იტვირთა სწორედ ისეთი ტიტანური ძალისხმევის პიროვნებამ, როგორიც სულხან-საბა იყო. „სიტყვის პაპას“ კარგად ესმოდა, თუ რა ძნელსა და ქართული კულტურისათვის სასიცოცხლო საქმეს მოჰკიდა მან ხელი: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან (ვახტანგ მეექვსე — ს. ც.) „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზე გაერყვნათ...“

სულხან-საბამ ღირსეულად გაასრულა საშვილიშვილო საქმე და თავის ხალხს უძვირფასესი საუნჯე უანდერძა. და იგი გამოირჩევა არა მხოლოდ უნიკალური ლექსიკით, არამედ, როგორც არაერთგზის არის შენიშნული ჩვენს მეცნიერებაში „ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მიხედვითაც საბას ლექსიკონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმდროინდელი ფრანგული აკადემიური სალექსიკონო შრომები“[2].

---

[1] შდრ. მ ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, 1968.

[2] ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, შესავალი წერილი, გვ. 014.

სულხან-საბა მარტო არ ყოფილა ქართულ სიტყვასთან ამ შეუპოვარი ჰიდილის ჟამს. სხვებთან ერთად მას, პირველ რიგში, შველოდა და უმშვენებდა მხარს მისივე აღზრდილი და შემდეგ უახლოესი თანამებრძოლი ვახტანგ მეექვსე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ლექსიკონის სრულყოფის საქმეს. როგორც დღეს უკვე გარკვეულია, სულხან-საბას ლექსიკონის აღმოსავლური (კერძოდ კი სპარსული) მასალის სრულყოფაში მნიშვნელოვანია ვახტანგის წვლილიც.

გარდა ამისა, როგორც ითქვა, ვახტანგმა სათავე დაუდო აგრეთვე (რასაკვირველია, სულხან-საბასთან ერთად) ვეფხისტყაოსნის ლექსიკის შესწავლას და შემდგომში მთელი მიმართულებაც შექმნა ამ დარგში.

ამასთან დაკავშირებით გამოირკვა ძალზე მნიშვნელოვანი რამ, რომელიც ზუსტად გვიდასტურებს ამ ორი დიდი ქართველი სწავლულის ურთიერთმიმართებას.

1712 წლის ბეჭდური ვეფხისტყაოსნის აღდგენასა და ვახტანგის „ვეფხისტყაოსნის განმარტებაზე“ მუშაობისას აკაკი შანიძემ დაადგინა, რომ ვახტანგი ვეფხისტყაოსნის რიგი სიტყვების განმარტებისას ეყრდნობოდა სწორედ სულხან-საბას სწორუპოვარ ნაშრომს[3].

მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით წარმართულმა კვლევამ გამოავლინა ამ ურთიერთობის სხვა მხარეც. როგორც ცნობილია, ვახტანგის კომენტარების ბეჭდურად გამოქვეყნების შემდგომ (1712 წ.) სულხან-საბა კვლავაც განაგრძობდა თავის „სიტყვის კონაზე“ მუშაობას. მართლაც, სულხან-საბას გვიანდელ რედაქციებზე დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ შემდეგში თვით სულხან-საბა იყენებდა ვახტანგის კომენტარებს და ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციებში, რომლებმაც შემდგომში მოიპოვეს კანონიკური ავტორიტეტი, ზოგი სიტყვის განმარტება სიტყვა-სიტყვით აღებულია სწორედ ვახტანგის კომენტარებიდან (დაწვრ. იხ. ჩემი „ლიტერატურული წერილები“, 1966 წ., გვ. 87—97).

ეს ორი მომენტი მკაფიოდ ახასიათებს ამ ორი დიდი მოღვაწის მეცნიერული მუშაობის მეთოდებს და ჩვენ წინ გადაშლის მათი ურთიერთთანამშრომლობის დიდებულ სურათს.

---

[3] აკაკი შანიძე, ვახტანგი, როგორც ლექსიკოგრაფი, იხ. ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემა, აღდგენილი 1937 წ. აკაკი შანიძის მიერ, გვ. 368—370.

XIX საუკუნიდან, როგორც ცნობილია, იწყება ძალზე ინტენსიური მუშაობა როგორც ზოგადად ლექსიკოგრაფიის დარგში, ისე სპეციფიკურად ვეფხისტყაოსნის ლექსიკის შესწავლაზე. ამ თვალსაზრისით დაუვიწყარია თეიმურაზ ბაგრატიონის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების და სხვათა ღვაწლი.

მაგრამ ბოლო წლებში გაირკვა ისიც, რომ ვეფხისტყაოსნის ლექსიკაზე მუშაობა არ შეწყვეტილა ვახტანგის შემდგომ და XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან არაერთი საგულისხმო ნაშრომი შეიქმნა ამ მიმართულებით[4].

ქვემოთ, წინამდებარე წერილში მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე დაკვირვებას ერთ-ერთ ასეთ ნაშრომსა და მის აქამდე მეცნიერებაში უცნობ ავტორზე, რომელმაც, მართალია, ანონიმურად, მაგრამ მაინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.

მაგრამ აქვე წინასწარ გვინდა შევნიშნოთ შემდეგი. ზემოთ აღნიშნული ლექსიკონები, როგორც წესი, ერთვიან ამავე ხანებში ე. ი. XVIII, XIX საუკუნეში გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ნუსხებს, რომლებიც შეიცავენ ან 1712 წლის გამოცემის ანუ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ტექსტს ან კი მის შემდგომ განვითარებას, რომელთა წყაროები ამჟამად ცნობილია[5]. დადგენილია ისიც, რომ რედაქციულად ეს ლექსიკონები იყოფიან ორ ჯგუფად (A, B)[6], თუმცა ორივე ეს ჯგუფი საბოლოოდ მაინც ძირითად წყაროდ ისევ და ისევ სულხან-საბასა და ვახტანგის შრომებს იყენებენ.

რაც შეეხება იმ ხელნაწერულ ლექსიკონს, რომელიც ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია, იგი მათ შორის ერთი ყველაზე ადრეულია და ყველა ნიშნით ზემოთაღნიშნული A რედაქციის არქეტიპს წარმოადგენს.

ეს ხელნაწერი და მასზე დართული ლექსიკონი ფაქტიურად უცნობია ჩვენს მეცნიერებაში, თუ არ ჩავთვლით მოსე ჯანაშვილის მოკლე

---

[4] სარგის ცაიშვილი, რუსთაველი — გურამიშვილი, 1974, გვ. 68 — 111.

[5] სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, 1970 წ., ტ. I.

[6] ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ოზოლდა წაქაძემ სარგის ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1976. ტ. I.

აღწერილობას, რომელიც მოთავსებულია საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის III ტომში.

ხელნაწერის ვრცელი მეცნიერული დახასიათება წარმოდგენილი იყო ჩვენი ნაშრომის II ტომში (ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, 1970 წ.), სადაც დასკვნის სახით აღნიშნული იყო შემდეგი: ხელნაწერი, როგორც მინაწერებიდან ჩანს, შესრულებულია XVIII საუკუნის მიწურულს, ზუსტად 1790 წელს (ამასვე უჩერს მხარს ჰვირნიშნის ჩვენებაც). ე. ი. იგი თარიღით უსწრებს ამჟამად ჩვენთვის ცნობილ ვეფხისტყაოსნის ყველა ლექსიკონიან ნუსხას. აქვე შევნიშნავდით იმასაც, რომ ხელნაწერის ბოლოში დართული აკროსტიქიდან ჩანს ორი სახელი გიორგი და იოანე, მაგრამ რომელია მათ შორის ავტორი, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. სხვათაშორის ინტერესს მოკლებული არ არის ისიც, რომ ეს ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (A—855), თავის დროზე საეკლესიო მუზეუმში შემოსულა ჩვენი დიდი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ოჯახიდან.

ბოლო წლების არქეოგრაფიულმა ძიებამ ხელნაწერის თავგადასავლიდან ზოგ რამეს ნათელი მოჰფინა, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს უფრო არსებითად შევეხებოდე, აქ საჭიროა მკითხველმა იცოდეს ზოგი რამ თვით ამ ხელნაწერში წარმოდგენილი ლექსიკონის სტრუქტურისა და ლექსიკოგრაფიულ ღირსებათა გარშემო.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ხელნაწერი ყურადღებას იპყრობს არა მარტო თარიღით, არამედ თავისი სისრულითაც. აქ განმარტებულია ვეფხისტყაოსნის 700-მდე სიტყვა, რითაც იგი საგრძნობლად აღემატება თვით ვახტანგის განმარტებასაც კი.

ბუნებრივია, რომ A—855 ხელნაწერის შემსრულებელი გვერდს ვერ აუვლიდა სულხან-საბასა და ვახტანგის სპეციალურ ნაშრომს ვეფხისტყაოსნის ლექსიკაზე („თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“).

მართლაც, რიგი სიტყვის განმარტება აქ სწორედ აღნიშნულ წინამორბედთაგან მომდინარეობს. ასეთია, მაგალითად, სიტყვების „აზავერი“, „არმაღანი“, „ბედითი“ და სხვა სიტყვათა მნიშვნელობის გადმოცემა.

დამახასიათებელია მუშაობის მეთოდიც. იგი ხან საბას მიმართავს, ხან ვახტანგს, მაგრამ რიგ შემთხვევაში, როცა ყოყმანობს, ან კარგად არ ესმის სიტყვის მნიშვნელობა, ორივესგან სესხულობს სიტყვის განმარტებას.

უფრო კი ლექსიკონის ავტორს საბას „სიტყვის კონისაკენ“ უჭირავს მეტწილად თვალი, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგჯერ

ვახტანგის ნაშრომით აზუსტებდეს განსამარტავი სიტყვის შინაარსს (შდრ. სიტყვების „მარაგი“, „საგოგმანები“, „უაბაჩა“ და სხვათა განმარტებები)[7].

მაგრამ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება, A—855 ხელნაწერში წარმოდგენილი ლექსიკონის ავტორი მთლიანად იზიარებს სულხან-საბას მიერ დამკვიდრებულ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს. ვახტანგისაგან განსხვავებით, რომელმაც პოეძის სტროფული თანამიმდევრობით გამართა თავისი „განმარტება“, A—855 ხელნაწერში სალექსიკონო ერთეულები გამოტანილი და გაწყობილია ანბანის რიგზე, თანაც ძირითადად ისეთი წესით, როგორც ეს სულხან-საბას „სიტყვის კონაშია“. სხვათა შორის, შედარებამ ცხადჰყო ისიც, რომ აქ წყაროთა სიმძიმის ცენტრი როგორც რაოდენობით, ისე განმარტებათა იერითაც მეტწილად გადატანილია სწორედ სულხან-საბას სწორუპოვარ „სიტყვის კონაზე“.

მაგრამ მაინც A—855 ხელნაწერზე დართული ლექსიკონის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი ხშირ შემთხვევაში საკუთარ განმარტებებს გვაწვდის და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, საკმაოდ კარგსაც. თანაც არც ის არის დასავიწყებელი, რომ ზოგი სიტყვის განმარტება საერთოდ პირველი ცდაა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.

მრავალთაგან მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

ა) შ ე კ ვ ე თ ი ლ ი. ამ სიტყვამ ბოლო წლებში კვლავ მიიქცია ყურადღება ქართველ მკვლევართა შორის, რაშიც ერთი პირველი დამსახურება მიუძღვის ქართველ მწერალსა და ქართული სიტყვის დაუცხრომელ მაძიებელს გიორგი შატბერაშვილს.

ვეფხისტყაოსანში ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება: ტარიელი ამბობს ფრიდონთან პირველი შეხვედრის გამო „ამა ყმამან შ ე მ ი კ ვ ე თ ა, გული მისკენ მიმიბრუნდაო“ (სტრ. 609)[8]; ფატმანისა და ავთანდილის მომავალი „სამიჯნურო“ ეპიზოდის გადმოცემისას, გასაგები მიზეზების გამო, რუსთაველი შემდეგი სიტყვებით შეამზადებს მკითხველს: „სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის: გილიზღებს და შ ე გ ი კ ვ ე თ ე ბ ს, მიგინდობს და მოგენდობის“ (სტრ. 1081); იგივე ფატმანი უამბობს ავთანდილს, თუ როგორ მოი-

---

[7] აქ და ქვემოთაც განმარტებანი მომაქვს საბას ავტოგრაფული ნუსხებიდან, რადგან უფრო გამოჩნდება, თუ რომელს ეყრდნობა A—855 ხელნაწერის ლექსიკონის ავტორი (იხ. სულხან-საბას ლექსიკონის გამოცემა, ილ. აბულაძის რედაქციით).

[8] აქ და ქვემოთ თუ საგანგებო მითითება არაა, ტექსტის სათვალავი ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემითაა.

ხიბლა იგი მწუხარე ნესტან-დარეჯანის ხილვისას: „ზედა დავსვი ტახტ-სა ჩემსა, შ ე ვ ე კ ვ ე თ ე, გავესულეო“ (სტრ. 1138)[9].

გიორგი შატბერაშვილმა, როგორც ითქვა, მართებულად აღნიშნა, რომ ეს სიტყვა ვეფხისტყაოსნის ლექსიკონებში ძალზე ზოგადად, კონტექსტის მიხედვით იყო განმარტებული. მაგალით. დ. კარიჭაშვილი „შეკვეთა“ მოწონებას, შეყვარებას, სიყვარულით გამსჭვალვას ნიშნავს. იუსტინე აბულაძე: შეკვეთა — მოხიბლვა, შეჩენა, სულში ჩაძრომა, გულის მოგება. ა. შანიძე: მიზიდვა; შევეკვეთე — თავი შევაყვარე.

ცოცხალი მეტყველების მაგალითებით მწერალი სხვადასხვა დიალექტების მოხმობით აზუსტებს ამ სიტყვას. მოაქვს აგრეთვე ილია აბულაძის საგულისხმო განმარტება „ბალავარიანის“ მისეული გამოცემიდან, სადაც „შეკვეთილი („შეკუეთებული“) შეჩვეულს, შეთვისებულს უნდა ნიშნავდესო და ასევე უნდა განიმარტოს იგი ვეფხისტყაოსნის ტექსტშიო[10].

და მაინც მთავარი ისაა, რომ შატბერაშვილმა მკითხველის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არ ჩანს საბასთან, ხოლო ვახტანგ მეექვსე საერთოდ არ შეხებია მას. მწერლის აზრით, მისი პირველი განმარტება ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს. მართლაც, სწავლული ბატონიშვილის მიერ შედგენილ „ვეფხისტყაოსნის განმარტებაში“ ვკითხულობთ: შ ე ვ ე კ ვ ე თ ე — შევესაკუთრე ესრეთ, რომელ ვერღა მოვსცილდებოდი. გული და გონება სრულის ერთგულობით ვუძღვენ და შევესაკუთრე. „შევეკვეთე“ ამას ნიშნავს, რომელ ასე შეეჩვიოს გული თავის საყვარელსა, რომელ ერთიცა მინუტი არ შეეძლოს მისი მოშორება“[11].

თეიმურაზს, ჩემის აზრით, სულხან-საბას ლექსიკონის შემდგომი გავრცობის საფუძველზე მოუცია ვეფხისტყაოსნის საძიებელი სიტყვის.

---

[9] ვეფხისტყაოსანში არის აგრეთვე სხვა თითქოსდა მსგავსი სიტყვა, გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა შეწყალების შემდეგ ხატაელთა მეფეს: „ხარაჯა დასდევს შეჰკვეთეს, დრაჰკანი ასჯერ ასია“ (სტრ. 471), მაგრამ აქ „შეჰკვეთეს“ სხვა სიტყვაა და ნიშნავს. გადასახდელი დაადევს“, „დააკისრეს“, „დაავალეს“ და ა. შ. ამიტომაც სრულიად მართებულად, ა. შანიძემ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“ იგი ცალკე ერთეულად გამოჰყო.

[10] „ბალავარიანის“ ქართული რედაქციები, ილია აბულაძის რედაქციით, 1957, იხ. ბოლოში დართული ლექსიკონი.

[11] თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, 1960, გვ. 217; აქვე შეენიშნავ, რომ თეიმურაზის ეს განმარტება ხარვეზებითაა მოტანილი წიგნში: თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, გ. შარაძის რედაქც., 1979, გვ. 143.

ძირითადად სწორი განმარტება (შდრ. სულხან-საბას ლექსიკონის ბოლო რედაქციიდან: „შეეკვეთა — შეეჭრა, გინა შეესაკუთრა“).

მაგრამ ირკვევა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონზე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე ეს სიტყვა განუმარტავს ამ ხელნაწერში (A—855) მოთავსებული ლექსიკონის ავტორს და, რაც მთავარია, მართებულადაც. მას სალექსიკონო ერთეულად გააქვს სიტყვა „შემოიკვეთებს“ და მის ერთ-ერთ გაგებად მიაჩნია შემდეგი: „გული გულს რომ გაეწყოს“ ე. ი. გული გულს შეეჩვიოს, დაუახლოვდეს, სასურველი შეიქნეს და ა. შ. რაც ძირითადად სწორ წარმოდგენას გვიქმნის საძიებელი სიტყვის მნიშვნელობაზე.

ბ) „ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მაგრა მ ზ მ ე ლ ი“ (სტრ. 1077). წარმოდგენილ სტროფში საძიებელია და, ჩემის აზრით, დღესაც ბოლომდე გაურკვეველია სარითმო სიტყვა „მზმელი“. რისი თქმა უნდოდა ამით პოეტს?

აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვას არ განმარტავს ვახტანგი თავის კომენტარებში. არც სულხან-საბა იცნობს თავის ლექსიკონში ასეთ ფორმას. არ ეხება ამ სიტყვას თეიმურაზ ბაგრატიონიც.

თანამედროვე ლექსიკოგრაფთაგან იუსტინე აბულაძე ასე განმარტავდა ამ სიტყვას „მზმელი — მხიბლავი, თვალ-მაქცი, საყვარელი სანახავი, მოხდენილი“. ასე წერდა იგი ვეფხისტყაოსნის 1914 წლის გამოცემის ლექსიკონში, მაგრამ შემდეგ ეს სიტყვა მას რატომღაც აღარ შეუტანია ლექსიკონებში, რომლებიც ერთვოდა მომდევნო გამოცემებს.

ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველების ავტორს „მზმელი“ ესმის როგორც მოქმედი და აღნიშნავს, რომ იგი უდრის „მკვირცხლს, კისკასს, ცოცხალ ადამიანს“[12].

პოემის ბოლო გამოცემებში, რომელთაც ერთვის აკაკი შანიძის ლექსიკონი, განმარტებულია სწორედ ეს სიტყვა: „მზმელი — ხან-დაზმული“.

ილია აბულაძემ, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ 1959 წელს მართებულად შეიტანა ეჭვი ასეთ განმარტებაში. სპეციალურ წერილში ამ საკითხზე მეცნიერი აღნიშნავს: „ასეთი განმარტება დაეჭვებას იწვევს იმით, რომ აქ „არ-ყმაწვილი“ და „მზმელი“ (გაგებით „ხან-დაზმულისა“) ერთიმეორეს არის დაპირისპირებული და არა ერთმანეთის ამხსნელადაა მოყვანილი: თვალად, ე. ი. შესახედავად, მოხდენილი ფატმან ხათუნ არ იყო ახალგაზრდა, მაგრამ მზმელი იყოო. „მზმელი“ აქ, რა-

---

[12] ვეფხისტყაოსნის ფერთა მეტყველება, ბუენოს-აირესი, 1953, გვ. 161. შდრ. შ. ღ ლ ო ნ ტ ი, გამოკვლევა შაითელის „აბდულ-მესიაზე“, გაზ. ლიტ. საქართ., 1965, 12, III.

საკვირველია, „ხანდაზმული, არ-ყმაწვილი“ არაა. იგი მისგან განსხვავებულ რამეზე მიუთითებს, სხვა შინაარსის მატარებელი სიტყვა ჩანს“[13].

ზემოთ უკვე ითქვა ილია აბულაძის ამ შენიშვნების გამო, რომ იგი მართებული ჩანს, მაგრამ მე ვერ გავიზიარებ ამ სიტყვის ისეთ ინტერპრეტაციას, როგორსაც მეცნიერი თავად გვთავაზობს.

იგი ვერ უარყოფს იმას, რომ „მზმელისათვის ამოსავალი ზმა უნდა იყოს, მაგრამ ფიქრობს, რომ იქნებ ეს სიტყვა მოდიოდეს არა „ზმა“ ფუძიდან, არამედ მასთან ბგერულად ახლოს მდგომი სიტყვიდან „ზმნა“.

ამის შემდეგ კი ძიება სხვა მიმართულებას იღებს: „ზმნა“ სიტყვიდან ძველ-ქართულ ტექსტებში (განსაკუთრებით ბიბლიურ წიგნებში) მრავალგვარი ფორმებია ნაწარმოები და შინაარსიც თითქოს ნათელია. იგი „გრძნებას“, „ჯადოქრობას“, „მარჩიელობას“, „მისნობას“ უკავშირდება. აქედან კი დასკვნა: „ერთი სიტყვით „ზმნა“ და აქედან წარმოებული „მზმ/ნ/ელი“ პირველადი მნიშვნელობით „შეტყობა-შემტყობი“ თუ „ცნობა-მცნობელია“ ან „რჩევა-მრჩეველია“ თუ „მარჩიელობა-მარჩიელია“, ხოლო გადატანით: „მოხიბლვა-მომხიბლავია“, ან „მოჯადოება-მომჯადოებელი“ თუ „ჯადოქრობა-ჯადოქარი“ (ასეთივეაო მისი საბადლო სიტყვა სომხურსა და რუსულშიც).

უკანასკნელიო — დასძენს მეცნიერი — გადატანითი მნიშვნელობა დაცულია რუსთაველის ზემორემოყვანილ სტროფში ... სადაც „მზმელი“ აღნიშნავს „მომხიბლავს“ ანუ „ჯადოქარს, მომჯადოებელს“, რაც მაპირისპირებელი კავშირით არის შეერთებული წინა წევრთან: არ ყმაწვილი, მაგრა მზმელი“[14].

აღსანიშნავია, რომ ასეთივე გაგებაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში, სადაც მისი ავტორი ნოდარ ნათაძე აღნიშნავს: „მზმელი — მომჯადოებელი, მომხიბლავი“. აქვე მოტანილია ოდნავ სხვაგვარი გაგებაც, რომელიც წიგნის ავტორისათვის გაუზიარებია ალ. ჭინჭარაულს: „მზმელი — მოლაპარაკე, მოარშიყე“ (შდრ. აგრეთვე ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებს. იხ. მაცნე, 1982, № 1, გვ. 151).

რაც შეეხება ილია აბულაძის შეხედულებას, გარდა ზემოთ აღნიშნულისა („ზმა“ საწყისის შეცვლა „ზმნით“), აქაც იგივე შინაარსობრივ-ლოგიკური მომენტია დარღვეული, რასაც მკვლევარი უსაყვედურებ-

---

[13] ილ. აბულაძე, შრომები, II, 1976, გვ. 78.

[14] იქვე, გვ. 81. ასეთსავე გაგებას უჭერს მხარს ბ. დარჩიაც წერილში „ზმა“ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობისათვის ვეფხისტყაოსანში“, ძველი ქართ. მწერლობის საკითხები, 1968, ტ. III, გვ. 79.

და წინამორბედთ. მართლაც, არ ჩანს აუცილებელი, რომ მაპირისპირებელი კავშირით დაუკავშირდნენ ერთმანეთს: არ-ყმაწვილი, მაგრამ მზმელი, ჯადოქარი, მისანი და ა. შ.

ჯერ კიდევ 1974 წელს გამომცემლობა „ნაკადულის“ სერიაში „ქართული პოეზია“ ვეფხისტყაოსანს ერთვის ლექსიკონი, სადაც მე სიტყვა „მზმელის შესახებ ვწერ: „მზმელი — მკვირცხლი, მოქმედი, სიცოცხლით სავსე. შდრ. აგრეთვე „მენავემან მნახა ზმული“, თუმცა სიტყვას „მზმელი“ სხვაგვარადაც განმარტავენ. მზმელი — „მაქციერი, ცბიერი და ა. შ. რაც ამ შემთხვევაში უმართებულო ჩანს“.

აქ გარდა იმისა, რომ ჩემთვის ამოსავალი იყო სწორედ ის საწყისი, საიდანაც ჩანს ნაწარმოები ეს სიტყვა (ზმა, ზამ, შდრ. ვეფხისტყაოსანშივე: ზმა-ქმნა: „ჰაის“ „ჰზმიდი“ ან „ავთანდილ სჭვრეტს გაკვირვებით მათსა ეგრე ქცევა-ზმასა“, სტრ. 223), სადაც ქცევა და ზმა სინონიმური წყვილია.

ძალზე საგულისხმოა აგრეთვე პოემის მეორე ადგილი, სადაც ამავე შინაარსით დასტურდება სიტყვა „ზმული“. (იგი იმ ეპიზოდიდანაა, სადაც ტარიელი ისწრაფვის ნესტანის ძებნად: „ზღვის პირს მივე, ნავი დაძხვდა, ძენავემან მნახა ზმული“ (სტრ. 586). ე. ი. აქ „ზმული“, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ლექსიკონშია ახსნილი, ნიშნავს აჩქარებულს, ამოქმედებულს, მოსწრაფეს და ა. შ. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ზმული“ ასევეა გაგებული ნ. ნათაძის ზემოთაღნიშნულ ნაშრომში: „ზმული — მიმღეობაა ზმნისა „ზმა“ — კეთება. ნიშნავს, როგორც ჩანს, „ამოქმედებული“, „აქტიურად მოსაქმე“.

მაშასადამე, საძიებელ სტროფში: „ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მ ზ მ ე ლ ი“, საუბარია იმაზე, რომ თუმცა ფატმანი არ იყო ყმაწვილი, ახალგაზრდა, მაგრამ იყო მოქმედი, მოძრავი, ენერგიული, აქტიური და ა. შ. რაც, ჩემის აზრით, სავსებით შეეფერება კონტექსტს. აღსანიშნავია, რომ ამავე გაგებასთან შინაარსობლივად ახლოსაა სოლომონ იორდანიშვილის მიერ შესრულებული ბწკარედული თარგმანიც: «Фатьма-хатун была женщина очень недурная на вид, но молодящаяся».

ეს უველაფერი, ჩემის აზრით, ასე უნდა გავიგოთ, მაგრამ ძიებამ ცოტა არ იყოს გაგვიტაცა და დავივიწყეთ მთავარი საგანი: ლექსიკონი და მისი ავტორი. რას ფიქრობდა იგი ამ სიტყვაზე? მართლაც, A—855-ში ვკითხულობთ: „მზმელი — კაის უოფაქცევის და სიტყვისა“.

გარდა იმისა, რომ აქ საერთოდ პირველადაა ეს სიტყვა ახსნილი, მე ვფიქრობ, ეს შესრულებულია არცთუ ურიგოდ. ლექსიკონის ავტორის აზრით, ფატმან არც თუ მაინცადამაინც ახალგაზრდა უოფილა,

მაგრამ ამ ნაკლს ავსებდა თავის ყოფა-ქცევითა და სიტყვითო. ასეთი გაგება კი შორს არაა ამავე სიტყვით თანამედროვე კომენტატორთა შეხედულებებიდან და აშკარად მიუთითებს ლექსიკონის ავტორის სწორ ალღოზე.

გ) ვეფხისტყაოსანში რამდენიმეჯერ და თანაც სხვადასხვა ფორმით ნახსენებია სიტყვები: „მოვანება“, „მოსავანებელი“, „მონავანი“, „ნავანები“ და ა. შ. ვეფხისტყაოსნის უკანასკნელ ლექსიკონებში სიტყვა დაკავშირებულია მთვარის გავსებასთან, საერთოდ შუქის გაბრწყინვებასთან.

იუსტინე აბულაძე განმარტავდა: „მოვანება — მთვარის გავსება“. აკაკი შანიძემ, როგორც ჩანს, ეჭვი შეიტანა ასეთ განმარტებაში, როშელიც სათავეს სულხან-საბას ლექსიკონიდან იღებს. ეჭვის საფუძველს ქმნიდა თვით იუსტინე აბულაძის ადრეული ლექსიკონები, სადაც ეს სიტყვა და მისგან ნაწარმოები ფორმები სხვაგვარად იყო ახსნილი: „მოვანება — სტრ. 67, 2, 1367, 4, 1363, 4 (ძირი — სომხ. ვან — სახლი, სადგური, საბრძანებელი, მონასტერი, სავანე, ადგილი) აქედან იხ. ნავანები (სტრ. 443) და განმარტავდა ამ სიტყვასაც „დიდებულად გამოჩენებული, გინა გამობრწყინვებული“.

ასეთივე დასკვნამდე მივიდა ბოლო ხანებში ელგუჯა ხინთიბიძეც. შუასაუკუნეთა ასტროლოგიურ ცნებათა ანალიზის, კერძოდ, ცთომილთა სავანეების თეორიის გადმოცემის შემდგომ იგი, ჩემის აზრით, მართებულად დაასკვნის, რომ „მთვარის მოვანება ასტროლოგიური ტერმინია და აღნიშნავს მთვარის საკუთარ სადგომში, სავანეში შესვლას, მოვანება ახასიათებს არა მხოლოდ მთვარეს, არამედ დანარჩენ მნათობებსაც, მათ შორის მზეს. რადგანაც, ასტროლოგიური გაგებით, მოვანებული მნათობი გამოსცემს განსაკუთრებულ სიძლიერეს, მოვანებაც ასტრალურ სამყაროში ხილულ მოვლენას — მნათობიდან შუქის გადმოფრქვევას, ანუ მნათობის ირგვლივ შარავანდედის მოვლებას დაუკავშირდა. ასეთივე შინაარსისაა შესაბამისი ბერძნული და ლათინური ტერმინებიც. ქართულში მეორე გააზრებას (მთვარის გავსება — ს. ც.) პირველი არ გამოურიცხავს. ჩვენს ლიტერატურულ ძეგლებში მოვანებული მთვარე წარმოდგენილია, როგორც საკუთარ სადგომში მოსვენებული, ირგვლივ შუქგადმოფენილი სავსე მნათობი.

აღნიშნულ ასტროლოგიურ გაგებას ეყრდნობა რუსთველიც“[15] და, მართლაც, აღნიშნული სიტყვის ვარიერებით მხატვრულ სახეთა მთელ წყებას ქმნის.

---

[15] ელგუჯა ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, 1975, გვ. 44.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საგულისმხოა ის, რომ აღნიშნული ტერმინის სწორი გაგება, რომელსაც ვერ ვხვდებით ვერც საბასთან და ვერც ვახტანგთან, წარმოდგენილია სწორედ წინამდებარე ლექსიკონში. აქ ვკითხულობთ: „მოვანება — ადგილზედ, ბინაზედ მოსვლაა“, „ნავანები — ნაადგილები“, რაც საკმაო სიზუსტით გამოხატავს სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას, რომელმაც შემდეგ სხვა, მათ შორის, რასაკვირველია, გადატანითი, მნიშვნელობაც შეიძინა.

ამავე ხელნაწერიდან კი იგი პოემის სხვა ხელნაწერულ ლექსიკონებშიც გადავიდა, რაც აღნიშნული გვაქვს ჩვენ ზემოთდასახელებულ ნაშრომში[16].

დ) მიზეზი ჩემთვის უცნობია, მაგრამ როგორც ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში (და ალბათ შესაბამისად მეტყველებაში) ისეთი გავრცელებული სიტყვა, როგორიცაა „გვირაბი“ და რომელიც სხვათაშორის, ვეფხისტყაოსანშიც რამდენჯერმეა მოხსენიებული, არ განუმარტავს არც საბას და არც ვახტანგს.

აქამდე ცნობილი იყო, რომ პირველმა თეიმურაზ ბაგრატიონმა განმარტა იგი, თავის ზემოთაღნიშნულ ნაშრომში (გვ. 236, 254). მაგრამ ხელნაწერი ლექსიკონების შესწავლამ გამოავლინა, რომ სწორედ A—855-ში არის პირველად ქართულ ლექსიკოლოგიაში განმარტებული ეს სიტყვა: „გვირაბი — თაღი ღრმად ჩასავალ-ასავალი“.

საინტერესოა, რომ ამ სიტყვამ შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა, კერძოდ კი, იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა ჩვენში უცხო სიტყვის „ტონელის“ ნაცვლად. მის დამკვიდრებაში კი უპირველესი ღვაწლი მიუძღვით ილია ჭავჭავაძესა და მის გარშემო შემოკრებილ ქართული სიტყვის ქომაგთ. ასე აღდგა ამავე ხანებში და განიდევნა თავსმოხვეული სიტყვები: „კანალის“ ნაცვლად „არხი“, „ლაგერის“ ნაცვლად „ბანაკი“, „რელსის“ ნაცვლად „ლიანდაგი“, „ოჩერედის“ ნაცვლად „რიგი“, „რუდნიკის“ ნაცვლად „მაღარო“ და მრავალი სხვ.

ე) ასევე პირველად მიექცა ყურადღება ამ ლექსიკონში პოემის ცნობილ გამოთქმებს: „გაისქუშობს“ და „შეისხასობს“. ლექსიკონში ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „გაისქუშობს — გასვლაზედ გამწყრალია, შეისხასობს — გაისქუშობს, ვითომც შესვლაზედ მეფესთან თამამია და მხიარული, გამოსვლაზედ მწუხარე და გამწყრალიაო“.

---

[16] ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველი — გურამიშვილი, 1974, გვ. 87; სხვათა შორის, აღნიშნული ხელნაწერული ლექსიკონების მასალები, რომლებიც ინახება ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, გავაცანით ელგ. ხინთიბიძეს, რასაც ავტორი ზოგადად უფითებს კიდეც (იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 43).

მკითხველს შევახსენებ უბრალოდ, რომ ამ პოემის იმ ეპიზოდზეა საუბარი, როცა ავთანდილის მიერ შუამავლად მიგზავნილ ვეზირს როსტევანი ამ საქციელს თავხედობად ჩაუთვლის და შემოსწყრება. A—855 ხელნაწერის ლექსიკონის ავტორი, მე ვფიქრობ, საკმარისად სწორად განმარტავს პოემის ამ ძალზე უნიკალური ფრაზებით გადმოცემულ ეპიზოდს.

გაივლის თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი და თეიმურაზ ბაგრატიონი თავის „განმარტებაში“ დეტალურად შეეხება ამავე გამოთქმებს: „შეისხასობს — გაისქუშობს — შესვლაზედ მეფესთან რომ შევიდოდა დიახ კაცნიერად, ვითარცა მეფის მოხელეთა წესია. მეფის პალატში გამბედველობით შესვლა; გაის ქუშობს, მაგრამ მეფე რომ განურისხდა, მაშინ გაის, ესე იგი შემდგომ, გინა პალატიდამ გამოსვლაზე დიახ შეწუხებული გამოვიდა. ქუშობა — განრისხება და მწუხარება, გინა წყენა ერთად შეზავებული. გამქუშავი — გამწყრალი. შეის — ეს მარცვალი ნიშანია შემავლობისა, ხოლო გაის — გარე უკუნქცევისა“ (გვ. 104).

შედარება ცხადჰყოფს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი ამ შემთხვევაშიც (გარდა სულხან-საბას ნაშრომისა) განსაკუთრებულ ანგარიშს უწევს ხელნაწერულ ლექსიკონებს, რომელთა უშუალო წყარო სწორედ A—855 ხელნაწერი ჩანს.

ვ) თუ როგორი დაკვირვებით მუშაობს წყაროებზე და პოემის ცალკეულ სიტყვაზე ლექსიკონის ავტორი, ამაზე ერთ მაგალითს მოვიტან: ვახტანგი სულხან-საბას დაემყარა ვეფხისტყაოსნის სიტყვის „ჟღერა“ განმარტების დროს და ერთგვარი უზუსტობაც დაუშვა. ამის გამო ა. შანიძე თავის ზემოთ დასახელებულ გამოკვლევაში შენიშნავს: „ჟღერა“ ეტლთა სლვათ ხმა არისო, ამბობს სულხან-საბა და იმოწმებს ადგილს მეფეთა წიგნიდან (IV, 7, 6), სადაც ეტლების შესახებ მართლაც არის საუბარი. მაგრამ, როცა ვახტანგი ამბობს, რომ „ჟღერა ეტლთა სლვის ხმას ჰვიანო“, ეს სრულიად არ შეეფერება ვეფხისტყაოსნის 191-ე სტროფში მოყვანილ სიტყვებს, სადაც ეტლის ხსენება არსად არის“[17].

A—855 — ხელნაწერი ლექსიკონის ავტორი გვერდს უვლის ვახტანგის (და შესაბამისად სულხან-საბას) განმარტებას და აღნიშნავს: „ჟღერა — ეჟვნის ხმიანობა“, ხოლო მეორეგან განმარტავს ეჟვანსაც: „ეჟვანი — ილეკროს ხმიანობა, ბოჟიჟი“[18].

---

[17] ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, 1966, გვ. 56.

[18] შდრ. სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვის „ეჟვანი“ განმარტება. სიტყვაზე „ჟღერა“, რომელიც ზოგ ხელნაწერში შეცვლილია ფორმით „ჟერა“. იხ. ალ. ჭინჭარაული წიგნი „ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის საკითხები“, 1982, გვ. 252—258.

ზ) A—855-ე ხელნაწერი ლექსიკონის ავტორი ხშირად მიმართავს პირიანი ფორმების განმარტებას, გვიხსნის სპეციფიკურ გამოთქმებს, რომლებითაც ასე უხვია ვეფხისტყაოსანი. მხოლოდ ერთი ნიმუში. მაგალითად იგი განმარტავს ისეთ რთულად ნაწარმოებს ნასახელარ ზმნას, როგორიცაა „მიდია“ („ტარიელ ფატმანს უბრძანა: მე შენი თავი მიდია“). აქვე შევნიშნავ, რომ არც საბა, არც ვახტანგი ვეფხისტყაოსნის ამ სიტყვას არ განმარტავენ. რაც შეეხება ლექსიკონის ავტორს, იგი ამასთან დაკავშირებით წერს: „მიდია — დად გამიხდია“, თანაც აქვე შენიშნავს, რომ ეს სიტყვა შეიძლება გვეგონოს „მიდია — თავრიზის ქვეყანა“ ან ზღვის რომელიღაც ცხოველიო.

დავსძენ იმასაც, რომ შემდეგში ეს განმარტებები მთლიანად გადადიან მოგვიანო ხანის ვეფხისტყაოსანზე დართულ ლექსიკონებში, ხოლო აქედან კი, ისე, როგორც სხვა შემთხვევებზეც ვნახეთ, მათი კვალი დასტურდება თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომებშიც (და არა მარტო თეიმურაზის, თუმცა კვლევა ამ მიმართულებით ამჯერად შორს წაგვიყვანდა).

ფაქტია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად განსწავლულ ლექსიკოგრაფთან. ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომ

აქვე შევნიშნავ, რომ ალ. ჭინჭარაული აღნიშნავს, რომ პოემაში ეს ზმნა „ჟღერა“ სულ ორჯერ გვხვდებაო“ (გვ. 257). პოემის ცნობილი გამოცემებით, ჯერ კიდევ ვახტანგის გამოცემიდან მოკიდებული, ეს სიტყვა გვხვდება მესამეჯერაც, მაგალითად 1957 წლის გამოცემის 193-ე სტროფში ვკითხულობთ: „მინდორს აცორვებს ტაიჭსა, შეჟღერენით მონაწყენია“.

ამასთან მინდა აღვნიშნო შემდეგი: ისევე როგორც ა. შანიძე (იხ. პოემის 1966 წლის გამოცემა, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით), ალ. ჭინჭარაულიც მხარს უჭერს წაკითხვას „ჟერა“ და დასტურად მოაქვს კიდეც მაგალითები მთის კილოებიდან (იხ. დასახ. წიგნი, გვ. 257).

ჩემის აზრით, ასეთ გასწორებას ხელს უშლის შემდეგი გარემოება:

ა) ხელნაწერთა მონაცემები: თუ 488 და 791-ე სტროფებში მხოლოდ რამდენიმე და ისიც ერთი ტიპის რედაქციებში დასტურდება წაკითხვა „ჟერენ“, 193-ე სტროფში ყველა ხელნაწერი მხარს უჭერს ამაეე სიტყვის ტრადიციულ წაკითხვას „ჟღერას“.

ბ) მართალია, ისევე, როგორც მთის კილოებში უძველეს ძეგლებშიც დასტურდება წაკითხვა „ჟერენ“, მაგრამ უფრო ახალი ფორმის გაჩენა („ჟღერენ“), როგორც ჩანს, უფრო რუსთველის ეპოქიდან მაინც არ უნდა იყოს მოულოდნელი. აქვე დავსძენ იმასაც, რომ თვით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მონაცემებთან ერთად ამას მხარს უჭერს ქართული მწერლობის მომდევნო პერიოდის ძეგლებიც, რომელთაგან აქ ნიმუშების მოტანა ზედმეტი ჩანს. „შაჰ-ნამესა“ და „რუსუდანიანის“ ჩათვლით აქ ყველგან გვხვდება წაკითხვა „ჟერა“, „ჟღერენ“ და ა. შ.

გ) მკითხველმა იმასაც უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ რითმისა და გგერწერის თვალსაზრისით ამჟამად უფრო შესაფერისი ჩანს ტრადიციული წაკითხვა (შდრ. სარითმო ერთეულები: მღერა — ჟღერა — დღე-რა ან 791-ე სტროფში ალიტერაციული წყობა: „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“ და ა. შ.).

ვეფხისტყაოსნის ახალ ლექსიკოგრაფიულ შრომებსა და ვახტანგს შორის მაერთებელ ხიდად წარმოგვიდგება თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოთ ნახსენები ფუნდამენტური ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“.

ირკვევა, რომ საქმე მთლად ასე არ არის. შუალედურ პერიოდში, კერძოდ, XVIII საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ე. ი. თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომზე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე ძალზე ინტენსიური მუშაობა მიმიდნარეობდა პოემის ლექსიკის შესწავლის დარგში.

აღნიშნულ სამუშაოთა ცენტრში დგას სწორედ ხელნაწერი A—855, რომელიც როგორც თარიღით, ისე თავისი მნიშვნელობით წინ დგას ხელნაწერულ ლექსიკონთა შორის, რომლებიც ამავე პერიოდშია შექმნილი.

რასაკვირველია, ამას, პირველ რიგში, ცხადყოფს თვით ლექსიკონის თავისებურებათა წარმოჩენა. მისი ავტორი, როგორც ვნახეთ, არ უნდა იყოს ქართულ მწერლობასა და მეცნიერებაში შემთხვევითი კაცი.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის გამო, ლექსიკონის ავტორის ვინაობის გამოვლენა ცხოველ მეცნიერულ ინტერესს იწვევდეს. ამ მიმართულებით გადაიდგა კიდეც ნაბიჯი, როცა ამ რამდენიმე წლის წინ თავი მოვუყარეთ ამ ტიპის ხელნაწერულ ლექსიკონებს. საუბარია ამ საკითხზე აგრეთვე ჩვენს სპეციალურ წერილში ვეფხისტყაოსნის ძველ ლექსიკოგრაფებზე (იხ. რუსთაველი — გურამიშვილი, 1974, გვ. 68—111).

აღნიშნულ წერილში ჯერ კიდევ 1974 წელს ჩვენ ვწერდით: A—855 ხელნაწერი როგორც მინაწერებიდან ჩანს, შესრულებულია XVIII საუკუნის მიწურულს, ზუსტად 1790 წელს (ამასვე მხარს უჭერს ჭვირნიშნის ჩვენებაც). ე. ი. იგი თარიღით უსწრებს ამჟამად ჩვენთვის ცნობილ ვეფხისტყაოსნის ყველა ლექსიკონიან ნუსხას, ხელნაწერის ბოლოში დართული აკროსტიქიდან ჩანს ორი სახელი გიორგი და იოანე, მაგრამ რომელია მათ შორის გადამწერი ან საერთოდ თვით ამ ლექსიკონის ავტორი, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. ვერც ხელის შეჯერებამ XVIII საუკუნის როგორც ამ სახელის მქონე, ისე საერთოდ სხვა მოღვაწეთა ხელთან, რაიმე კონკრეტული შედეგი ვერ მოგვცა (გვ. 84).

მაგრამ მომდევნო წლებში საკითხის შემდგომმა შესწავლამ, მე ვფიქრობ, გარკვეული სინათლე შესძინა საძიებელ საკითხს.

ვიდრე ძიებას გავაგრძელებდეთ, მკითხველს მინდა გავაცნო ხელნაწერის ბოლოს, გადამწერისავე ხელით შესრულებული აკროსტიქი:

„გონება შენი სიბრძნით განათლებული
იქმნა რა ჩემგან შემეცნებულ, ოი ძმაო,
ოდეს მოგიძღვენ სიყვარული მყვარებელსა,
რომლისა ნიშნად, შენმან შემყვარებელმან
გიმკენ აღწერით შენგან შეყვარებულნი"[19].

აკროსტიქი მიძღვნითი ხასიათისაა. თავად ასოებში იკითხება გიორგი და იოანი. პირველი მათგანი ადრესატი ჩანს, მეორე კი თვით აკროსტიქის ავტორი და შესაბამისად თვით ხელნაწერის გადამწერიც. ძნელი არაა იმის დაშვებაც, რომ შესაძლოა, სწორედ ეგეთი იოანე იყოს ზემოთ არაერთგზის ნახსენები ლექსიკონის ავტორიც.

მაგრამ მაინც ვინ არის ეს იოანე? რომელმაც ასეთი ღვაწლი დასდო პოემის ლექსიკის შესწავლას?

და, აი აქ უნებლიედ წამოტივტივდა ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურული მისტიფიკაციის ამბავი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაახლოებით ამავე ხანებში.

გასული საუკუნის ოციან წლებში ხელნაწერების სახით გავრცელდა ვეფხისტყაოსნის ძალზე თავისებური რედაქცია.

რედაქციის ძირითადი თავისებურება ის იყო, რომ იგი შედგენილობით ბევრად მოკლე იყო, ვიდრე პოემის ვრცელი რედაქციები, მაგრამ ოდნავ უფრო ვრცელი, ვიდრე ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ანუ ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია.

ამ ტიპის რედაქციის გავრცელებას უწყობდა ხელს თვით მისი გადამწერისავე ძალზე ცნობისწადილის აღმძვრელი ანდერძი:

„სრულ იქმნა დიდება ღმერთსა ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადსა: — თუმცა იყუნეს წიგნნი ვეფხის-ტყაოსნობით ხმოჩილნი საქართველოსა შინა ბეჭდილნი და ხელწერილნიცა, გარნა ფრიად განრყუნილნი და არად სახმარნი. ამისთვის მისცემოდა გულს მოდგინება თავადს სტატსკის სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატეს-ძეს და მოეპოვება უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა, და ესე მე პეტრე ყარიბმან ლარაძემან მრავლითა შრომითა და ღუაწლის დადებითა მუნით გარდმოვსწერე იანვრის ა-სა (1) დღესა, ზყკზ წელსა (1727 წ.): ხელი მშრომელის მიწდების, ხოლო შრომილი მისი ჰშთებოდის".

---

[19] სარგის ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, ტ. I, 1984, გვ. 450, აქვე იხ. A—855 სრული აღწერილობა.

მაშასადამე, ანდერძით ვიგებთ, რომ თურმე ეს ხელნაწერი სამხრეთ საქართველოში, შორეულ არტანუჯის მხარეში მოუპოვებია გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს და იგი გადაუწერია შემდგომ პეტრე ლარაძეს.

ორივე ეს პირი კარგადაა ცნობილი ქართულ მწერლობაში, ოღონდ აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: როგორც ითქვა, პოემის ასეთი რედაქცია (ან, როგორც შემდეგ ეწოდა ჩვენს მეცნიერებაში „არტანუჯული ვარიანტი") გავრცელდა ხელნაწერების სახით და ზოგმა მათგანმა ჩვენამდე მოაღწია. (მათი სრული ნუსხა და მეცნიერული აღწერილობა იხ. ჩვენს წიგნში: წერილები და გამოკვლევები, ტ. I, 1984, გვ. 321—330, 489—503).

აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევართა ერთმა ნაწილმა გაიზიარა კიდეც „არტანუჯული ვარიანტის" სიძველე და მას პოემის ერთ-ერთ მოკლე და ძველ რედაქციად მიიჩნევდა. მათ შორის, სხვათაშორის, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისეთი მცოდნენი, როგორებიც იყვნენ იუსტინე აბულაძე, სარგის კაკაბაძე და სხვ[20].

პირველთაგანმა ეჭვი „არტანუჯის ვარიანტის" საეჭვო ღირსებებზე გამოთქვა ექვთიმე თაყაიშვილმა, როცა ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღწერა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ერთი ჯგუფი[21]. მანვე მიუთითა ხელნაწერში შემჩნეული გვიანდელი ენობრივი ფორმები (მათ შორის რუსულის გავლენით XVIII და XIX საუკუნეებში გავრცელებული ფორმები: „მეფა", „იგა", „ხელმწიფა" და ა. შ.).

ამავე საკითხს საყურადღებო გამოკვლევა უძღვნა ცნობილმა რუსთველოლოგმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა, რომელმაც თვით პეტრე ლარაძისეული ხელნაწერის ზოგ წყაროს მიაკვლია. მანვე აღნიშნა, რომ „არტანუჯის ვარიანტის" წარმომავლობის ლარაძისეული ვერსია უფრო ლეგენდაა ვიდრე სინამდვილე[22].

ალექსანდრე სარაჯიშვილის აღნიშნული გამოკვლევის მიუხედავად მკვლევართა ერთი ჯგუფი (იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე. ს. ყუბანეიშვილი და სხვ.) მაინც იხრებოდა იქითკენ, რომ პეტრე ლარაძის ანდერძი თითქოს უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო.

---

[20] იუსტინე აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 1926 წლის გამოცემის შესავალი გვ. XVIII. აქ იგი წერდა, რომ იგი „უნდა იყოს ერთადერთი უძველესი რედაქციათაგანი, რომლის საშუალებით, შესაძლებელია, დაახლოებით მაინც ვეფხისტყაოსნის ძველისძველი დედნის აღდგენა".

[21] ექვთიმე თაყაიშვილი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, 1908, გვ. 580—581 (რუს. ენაზე).

[22] ალექსანდრე სარაჯიშვილი, არტანუჯის ვარიანტი, ვეფხისტყაოსანი („ძველი საქართველო", ტ. IV).

უკანასკნელ წლებში ამავე საკითხებს შეეხო ალ. ბარამიძე, რომელმაც ზოგი ახალი საბუთების მოშველიებით განამტკიცა ალ. სარაჯიშვილის მოსაზრებები[23].

სპეციალური ნაშრომი ვუძღვენით ჩვენც პოემის აღნიშნულ ვარიანტს, სადაც დიდძალი მასალის მოშველიებით, მე ვფიქრობ, დასაბუთებულია ის, რომ პეტრე ლარაძემ გამოიყენა ვახტანგისეული გამოცემიდან გადაწერილი ერთ-ერთი ნუსხა (გადამწერი დავით რექტორი, იხ. H—1079), ტექსტში ჩართო ამავე ნუსხის აშიებზე მიწერილი ზემოთნახსენები გიორგი თუმანიშვილისეული ინტერპოლაციები (ჩანართები) და ასე შექმნა ე. წ. „არტანუჯული ვარიანტი“ ვეფხისტყაოსნისა.

მანვე, როგორც ჩანს, ხელნაწერის ღირსებათა განდიდების მიზნით შეთხზა ზემოთმოტანილი ლეგენდა ხელნაწერის დედნის სიძველისა და მისი არტანუჯის მხარეში მოპოვების შესახებ (აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე ლარაძის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო „არტანუჯელი“). შემდეგ კი, როგორც ითქვა, ჩვენს ნაშრომში, გარკვეულია ისიც, რომ სხვა ხელნაწერები შუალობით თუ უშუალოდ მომდინარეობენ პეტრე ლარაძის აღნიშნული ნუსხიდან (H—4732)[24].

პეტრეს ცნობათა საეჭვო ხასიათს განამტკიცებს ამავე H—4732 ხელნაწერზე დართული ლექსიკონის შესწავლაც. საგულისხმოა, რომ ამ ლექსიკონსაც ერთვის ანალოგიური ტიპის ანდერძი:

„განმარტება ლექსთა ამათ, რომელნიცა უხმარნია ბრძენსა მას შოთა რუსთველსა, თვისსა ამას შრომილსა ვეფხისტყაოსანსა შინა, რომელნიცა ვიეთაგანმე მძიმე საცნობელ და მისახდომ იქმნებიან, ამისთვის აქა ანბანსა ზედა ასხმულ არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თვისთა მხილველთაგან ადვილ მისახდომელად, ხოლო მრავალთა უწყინ და არად სახმარ არს მათთვის განმარტება ლექსთა. და ეს შრომა დაჰშთების მათთვის, რომელთაც სახმარ ექმნების. ესრეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“.

ბოლო წლებში გაირკვა ისიც, რომ ასევე ლეგენდაა ამ ლექსიკონის ანღერძის ლარაძისეული ცნობა მისი სიძველის შესახებ. ჩვენს მიერ ჩატარებულმა დეტალურმა შეჯერებამ გაარკვია, რომ პეტრე ლარაძე თავის ლექსიკონში ძირითადად ეყრდნობა სწორედ ჩვენთვის აშჯერად საინტერესო ხელნაწერულ ლექსიკონს A—855-ს, ხოლო

---

[23] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. III, 1952, გვ. 83.

[24] სარგის ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, ტ. I, 1984, გვ. 321—330.

თავის მხრით ურთავს რამდენიმე განმარტებას, რომელთა შესახებ ჩვენს სხვა ნაშრომშია საუბარი[25].

და აი, უნებლიედ კვლავ აღიძვრის საძიებელი საკითხიც.

პეტრე ლარაძე ლექსიკონისათვის ძირითად წყაროდ იყენებს ხელნაწერ A—855-ზე დართულ ლექსიკონს, რომლის გადამწერი (და, როგორც ჩანს, ავტორიც) არის ვინმე იოანე.

მაგრამ, აქ პირველ რიგში, სიტყვა უნდა მივცეთ ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც ერთი პირველთაგანი შეეხო პეტრე ლარაძის მოღვაწეობასა და XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის მიწურულს აგრე ცნობილ მწიგნობარ ლარაძეთა გვარს, მის ისტორიას, რომელიც მკვლევარს თვით მის მიერვე გამოქვეყნებულ სიგელ-გუჯრებიდან ამოუღია („საქართველოს სიძველენი", № 1 და ა. შ.).

„ლარაძეები შთამომავლობით იყვნენ მეგრელნი, ძველად გადმოსახლებულნი ქართლში და დასახლებულნი სომხით-საბარათიანოში. აქ მათ გაუშენებიათ ორი სოფელი — დიდი ეგრისი და პატარა ეგრისი. დიდი ეგრისი არის ორ ვერსზედ გომარეთიდგან თრიალეთის სა-პრისტაოში. ორის ვერსის სიშორეზედ დიდის ეგრისიდან იწყება მდინარე ზურტაკეტის ხრამი, რომელიც აქა ქციის ხრამზედ განიერია, ასე რომ ჩალმართის დაწყებიდგან წყლის პირამდე ხუთი ექვსი ვერსი იქნება. ამ ზურტაკეტის ნაპირს ყოფილა პატარა ეგრისი. პატარა ეგრისში დარჩენილია ეკლესია ლარაძიანთ აშენებული, სასახლის ნანგრევები და სხვა შენობები. აქ აღარავინ არ სცხოვრობს ამ ჟამად. სოფელი არ დარჩენილა აგრეთვე დიდ ეგრისშიც, სადაც პეტრე ლარაძის პაპის დროს სახლებულა ასი კომლი გლეხი. ამ ჟამად დიდს ეგრისში სახლობს მხოლოდ უკანასკნელი წარმომადგენელი ლარაძიანთ გვარისა კნეინა მართა ივანეს ასული შალიკაშვილისა: აქვეა ორი ძველი პატარა ეკლესია ქვისა. ერთი მათგანი, როგორც წარწერიდან სჩანს, აშენებულია პეტრეს მამის გიორგი მღვდლის მიერ, ხოლო მეორე უფრო ძველი უნდა იყოს.

როგორც სჩანს, სიგელებიდან მეფე ლუარსაბ მოწამის დროს (XVII საუკ. — ს. ც.) ყოფილან ლარაძეები დიდს ეგრისში"[26].

აქვე მოთხრობილია ძალზე საინტერესო ეპიზოდები ლარაძეთა ცხოვრებიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა პეტრე ლარაძის მამის გიორგი მღვდლის გმირობის ამბავი, როცა თეიმურაზ მეორის წინააღ-

---

[25] ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველი — გურამიშვილი, 1974, გვ. 89—90.

[26] ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968, გვ. 166—167, აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი სათაურით „ავტორი „საქართველოს ძველი დროის მოვ-გადასავლისა" მკვლევარმა გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1899 წელს გაზ. „ივერიაში", № 12, № 13.

მდეგ აღმდგარი აბდულ-ბეგი (ძე ვახტანგ VI-ის ძმის, იესე ბაგრატიონისა) გიორგისავე წინამძღოლობით არ შეუშვიათ ქვეშის ციხეში. გიორგის შეუთვლია თურმე რენეგატ აბდულა-ბეგისათვის: „ვინემდისინ მეფის თეიმურაზის და ამისი შვილის ირაკლის სახელი საქართველოში იხსენიება, ამ ციხეს ცოცხალი ვერ დაგანებებო“.

თეიმურაზ მეორემ დაუფასა ერთგულ ქვეშევრდომს ხელის გამოღება და სანაცვლოდ თურმე ტფილისში მიუბოძა ხარების ეკლესია, იქვე მდგარი სასახლითურთ (რომელიც მანამდე თეიმურაზ მეორის მიერ შერისხულ კათოლიკე-პატრებს ჰკუთვნებია).

აი, სწორედ ამ გიორგის შვილებია: დავითი, იოანე, იოსები და პეტრე.

მათ შორის, რასაკვირველია, როგორც ბიოგრაფიით, ისე შემოქმედებით განსაკუთრებით ცნობილი შეიქნა პეტრე ლარაძე. მისი ბიოგრაფიიდან მარტო ისიც იკმარებდა, რომ მან საკუთარი რისკითა და მოხერხებით სპარსეთიდან გამოაპარა იქ გახიზნული თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ შეურიგდა რუსეთის ხელისუფლებას და პეტერბურგში დაეფუძნა საცხოვრებლად. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია ისიც, რომ პირველ ხანებში მიუხედავად დიდი ამაგისა, იგი შერისხული იყო თავისი გაზრდილის თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ (ფიქრობენ, რომ, პირველ ხანებში მაინც, თეიმურაზი განიცდიდა სპარსეთიდან გამოპარვას და პეტრეს თვლიდა მისი ამ ნაბიჯის ინსპირატორად და მთავარმართებელ ტორმასოვის აგენტად). პეტრე პეტერბურგში ცხოვრობდა, პირველ ხანებში მაინც, შემდეგ კი მას საქართველოში ეხედავთ, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1837 წელს.

პეტრე ლარაძე იყო ცნობილი პოეტი, მწიგნობარი და კალიგრაფი. მის კალამს ეკუთვნის პოემა „დილარიანი“, რომელიც ვითომდა აწ დაკარგული კლასიკური „დილარგეთიანის“ აღდგენის ცდა იყო, ლექსთა კრებულები „მრავალფერყვავილოვანი“, „სახე-მგოსანი“ და სხვ. მის უეჭველ ავტორიტეტზე, როგორც პოეტზე, მეტყველებს ალ. ჭავჭავაძის ლექსიც, რომლის მხოლოდ ერთ ნაწყვეტს გავახსენებ მკითხველს: „თქვენცა იცნობთ პეტრე ყარიბს ძველნი კვალნი არ უგმიან; ლექსნი მისნი ტყუილნიცა სხვათა მართალთ ემჯობიან...“

პეტრეზე როგორც კალიგრაფზე ზემოთაც ითქვა, როცა ვეფხისტყაოსნის გადამწერებზე ვსაუბრობდით. ასევე მწიგნობრები, პოეტები და კალიგრაფები იყვნენ მისი ძმები და ახლობლები ლარაძეთა ოჯახიდან.

მაგალითად, ვეფხისტყაოსნის ერთი ხელნაწერი, სხვათაშორის იმავე ტიპისა, როგორიცაა „არტანუჯული ვარიანტი“, XIX საუკ. პირ-

ველ ნახევარში (30-იანი წლების შემდგომ) გადაუწერია კალიგრაფს იოანე იოსების ძე ლარაძეს. იგი, როგორც ყველაფრიდან ჩანს, უნდა იყოს სწორედ პეტრე ლარაძის უფროსი ძმის იოსების ვაჟი.

ყველაფერი ეს კი გვაფიქრებინებს, რომ იქნებ ხელნაწერის A—855 გადამწერი და მისი უნიკალური ლექსიკონის ავტორი ლარაძეთა ოჯახის შვილია. მით უფრო, რომ როგორც ვნახეთ, პეტრე ლარაძეს მის მიერ გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ნუსხაში (H—4732), რომელიც საფუძვლად დაედო არტანუჯული ვარიანტის გავრცელებას, შეუტანია ლექსიკონი, რომელიც ფაქტიურად სათაურს იღებს A—855 ხელნაწერიდან.

ხომ არ არის A—855-ის გადამწერი იოანე, რომელიც იხსენიება სწორედ ზემოთ მოტანილ აკროსტიქში, პეტრე ლარაძის უფროსი ძმა იოანე ლარაძე, რომელიც ასევე მწიგნობარი ჩანს და კალიგრაფობასთან ერთად ლექსებისა თუ აკროსტიქების წერასაც ეწყობოდა.

მაგალითად, ჩვენ ხელნაწერთსაცავებში შემონახულია კიდურწარწერებიანი ჰიმნი „ქრისტიშობის მილოცვა“, გადაწერილი 1790 წელს, რომლის გადამწერი და შესაძლოა ავტორიც არის იოანე ლარაძე (S—2588). სათაური გვაუწყებს, რომ იგი ეძღვნება ერეკლე მეორეს და. აღნიშნულია მიძღვნის ავტორიც: „კადრი მისისა უმაღლესობისადმი მეფის ირაკლისა იროიკოდ (ე. ი. სხვათა მჯობად — ს. ც.), რომლისა კიდურწერილნი იტყვიან ესრეთ: „ქრისტეს შობასა მოგილოცავ, მეფეო ირაკლი“, ნაქმი უკანასკნელისა მონისა იოანეს მიერ სამღუდელოსა დიაკონის ლარაძიანისა დღესა (. . .) წელთა 1790“.

ჰიმნი იწყება შემდეგი სიტყვებით:

„ქებად ქებადთა მხედთა თავის არა ბრძნად
რაულად ვიწყო სიტყვით ალქატ მქსეულობად...“

იოანე ლარაძის სახელთან დაკავშირებულია სხვა ხელნაწერებიც (მაგალ. S—516; S—4007 და სხვ.), მაგრამ ამჯერად მთავარია შემდეგი: ჩვენ შევუდარეთ ზემოთნახსენები ხელნაწერი S—2588, რომელშიც წარმოდგენილია ჰიმნი ქრისტეს შობაზე და ხელის შეჯერებამ, ჩემის აზრით, აშკარად ცხადყო, რომ A—855 და S—2588 ხელნაწერები შესრულებულია ერთი ხელით. იქნებ გარდა წერის ანალოგიური სისტემისა, ინტერესს არ იყოს მოკლებული ისიც, რომ ორივეს ჟრთიდაიგივე თარიღი (1790 წე) უზის, თანაც თარიღის აღნიშვნის წესიც (იხ. S—516) საერთო ჩანს იოანეს მიერ გადაწერილ ხელნაწერ-

თა ერთ რიგში (შუაში ორნამენტირებული ჯვარი და მის კიდურთა ზემოთ წლებისა და დღეების აღნიშვნა)[27].

მაშასადამე, მე ვფიქრობ, რომ სადაო არ უნდა ჩანდეს, რომ A—855 ხელნაწერში მოთავსებული ვეფხისტყაოსნის ლექსიკონის გადამწერია და ავტორიც უნდა იყოს პეტრე ლარაძის უფროსი ძმა იოანე გიორგის ძე ლარაძე.

როგორც ჩანს, ამ ხელნაწერზე დართული უფროსი ძმის მიერ შესრულებული ლექსიკონით, რომელიც იმ ხანად ალბათ ლარაძეთა ოჯახში ინახებოდა, უსარგებლია მოგვიანებით პეტრე ლარაძეს (მისი სიძველის ლეგენდაც შეუთხზავს. ამ დროს ე. ი. 1827 წელს, როცა პეტრემ შექმნა ე. წ. „არტანუჯული ვარიანტი", იოანე უკვე გარდაცვლილია), ხოლო აქედან კი მისი ავტორის ღვაწლის აღსანიშნავად იოანე ლარაძის დაკვირვებებმა ვეფხისტყაოსნის ლექსიკაზე თავი იჩინა ჯერ ხელნაწერულ ლექსიკონებში, შემდეგ კი თეიმურაზ ბაგრატიონისა და სხვა მკვლევართა სპეციალურ ნაშრომებში.

ერთი კი ცხადია, ჩვენს წინაშე წარმოსდგება სრულიად ახალი ლექსიკოგრაფი — იოანე გიორგის ძე ლარაძე, რომელმაც გააგრძელა და განავრცო სულხან-საბასა და ვახტანგ მეექვსის მიერ ვეფხისტყაოსნის ლექსიკის შესწავლა და მრავალი ახალი დაკვირვებით გაამდიდრა სახელოვან წინამორბედთა საქმე.

იოანე ლარაძის ლექსიკოგრაფიული მიგნებები და დაკვირვებანი, როგორც ვნახეთ, უკვალოდ არ გამქრალა და მომდევნო ლექსიკოგრაფთა შრომებს უეჭველად ატყვია მათი კვალი.

მიუხედავად ამისა, იოანე ლარაძის ამ უნიკალური ნაშრომის ყოველმხრივი შესწავლა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა და დარწმუნებული ვართ მისი ავტორი კუთვნილ ადგილს დაიჭერს ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში.

2. ძიებანი „დავითიანის" გარშემო

(შენიშვნები და პარალელები)

ძველ საქართველოს არ ჰყოლია რუსთველის შემდეგ ისეთი დიდი პოეტი, როგორც დავით გურამიშვილია. მისი ცხოვრება-შემოქმედება ემთხვევა ეპოქას, როცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა,

[27] ხელნაწერთა შეჯერების დროს ესწრებოდნენ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი აკად. ელ. მეტრეველი, თანამშრომლები ლ. ქაჯაია და ი. გაჩეჩილაძე.

ხოლო ქართველ მოღვაწეთა დასი, რომლის ერთი გამოჩენილი წევრიც იყო დავით გურამიშვილი, გადარჩენის გზას ეძიებდა. ასეთ დროს ოდნავი მოდუნებაც კი ეროვნულ გადაგვარებასა და კატასტროფას უდრიდა.

ქართველმა ხალხმა თავის თავში აღმოაჩინა ძალა, რათა საბოლოოდ განადგურებისაგან გადაერჩინა საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ძველი და თვითთმყოფი კულტურა.

დავით გურამიშვილი სწორედ ამ მღელვარე ეპოქის ღვიძლი შვილია, ხოლო მის პოეზიაში, როგორც პრიზმაში, წარმოსახულია გზაჯვარედინზე მდგომი ქვეყნის გაუტეხელი სული. ტრაგიკულ განცდასთან ერთად, რომელიც ასეთ სიმძაფრეს ანიჭებს მის პოეზიას, იგი იმედიანად უმზერდა მომავალს, ეძიებდა მშობლიური ქვეყნის გადარჩენის „სინათლის სხივს“ (ეს ერთი ყველაზე საყვარელი მეტაფორაა მის პოეზიაში).

ვერც სამკვიდროდან მოწყვეტამ, ვერც პირადმა ტრაგედიამ, რომელიც აგრერიგად იყო გადაჯაჭვული ქართველი ხალხის ბედთან, ვერ შეარყია და გატეხა პოეტის სულიერი მხნეობა.

მან საკუთარ თავში აღმოაჩინა გაუტეხელი რწმენა ადამიანთა მოდგმის უკვდავებისა და გაგვიმჟღავნა კიდეც იგი „დავითიანის“ უჭკნობ სტრიქონებში.

ქვემოთ, რასაკვირველია, ძირითად შტრიხებში საუბარია პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, წარმოდგენილია ზოგი შენიშვნა თუ ლიტერატურული პარალელი.

ეს დაკვირვებები ფაქტიურად შეადგენს ჩემი მონოგრაფიის რამდენიმე მომცრო ნაწყვეტს. [აქვე შევნიშნავთ, რომ მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი გამოქვეყნდა 1986 წელს სათაურით „დავით გურამიშვილი“].

ა) „სუხავის ჯარი მან შეჰმნა, ვით ისრემ ამალეკისა...“

გურამიშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი ხან მარტოდ შთენილი, ღრმა რელიგიური განწყობილებებით დატვირთული ადამიანია, ხან კი „ქართლის ჭირზე“ მწარედ დაფიქრებული პიროვნება, რომელიც მთელი არსებითაა შეძრული თავისი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედიის გამო. „დავითიანში“ პიროვნული და საზოგადოისე გაუთიშველად ერწყმის ერთმანეთს, რომ იგი აღიქმება, როგორც ერთიანი, მონუმენტური მხატვრული ქმნილება, თუმცა რეალურად

იგი სხვადასხვა თემატური რკალისა და სხვადასხვა დროს შექმნილ რამდენიმე პოემისა და ლექსთა ციკლებისაგან შედგება.

მხატვრული თუ თემატიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშკარად სპირიტუალისტური ძიებებით აღბეჭდილი ლექსების ერთი ნაწილი, რომელიც ავლენს პოეტის სისხლხორცეულ კავშირს ქართულ-ქრისტიანულ სასულიერო მწერლობასთან.

დღეს, საბედნიეროდ, აღარ ვდავობთ იმაზე, თუ ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების გრძელ გზაზე რა განუზომლად დიდი როლი ითამაშა ქრისტიანულმა კულტურამ. ჩვენი ხალხის იდეოლოგია, რომელსაც, რასაკვირველია, სხვა სულიერი ფაქტორებიც კვებავდა, წარმოუდგენელია ქრისტიანობის მიერ დამკვიდრებული ზნეობრივი თუ ეთიკური იდეალების ცხოველმყოფელი ნაკადის გარეშე. ისევე როგორც სხვაგან (აქ მეტწილად იგულისხმება დასავლური სამყარო), ქართული შუა საუკუნეებიც ქრისტიანული აღმსარებლობის ნიშნით ვითარდებოდა. მაგრამ აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აღმოსავლური“ წარმოშობისა, ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველივე დღეებიდან არასოდეს გამრუდებულა ქართული კულტურის ე. წ. „დასავლური“ ორიენტაცია. ეს ცხადად ემჩნევა ქართულ შუა საუკუნეებში შექმნილ როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის ძეგლებს. ასეთი ფართო თვალსაწიერის გარეშე წარმოუდგენელია ისეთ ქმნილებათა აღმოცენება, როგორიცაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, ქართული კედლის მხატვრობა. რომელი ერთი უნდა გავიხსენოთ. „ქართული მზერა“, როგორც ამას იტყოდა დიდი პოეტი, უკვე ამ ხანებიდანვე თავისთავში ითავსებს ძველ, ანტიკურ ტრადიციებთან ერთად მშვენიერების იმ ახალ ეთიკურ საწყისებს, რომელიც ქრისტიანულ კულტურასთანაა დაკავშირებული. რაც, ამასთან, ჩვენი კულტურის ფართო სარბიელზე გასვლას გულისხმობდა.

დავით გურამიშვილი ქართული გვიანი შუა საუკუნეების ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია და, ბუნებრივია, გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, მიმართება ქრისტიანულ კულტურასთან.

მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას შემდეგი: ქრისტიანული იდეოლოგიის ზემოქმედება ერთგვაროვანი არ ყოფილა ეპოქათა ცვალებადობის შესაბამისად. იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა და ეს ნათლად გამოვლინდა კიდეც როგორც V—XI საუკუნეებში, ისე ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში (XII—XIII საუკ.) ასევე დღეს დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ შემთხვევაში სასულიერო მწერლობის, კერძოდ კი, სასულიერო პოეზიის (ჰიმნოგრაფიის)

ზემოქმედებამ ახალი ძალით იფეთქა ე. წ. აღორძინების ეპოქაში (XVII—XVIII სს.) ღრმა რელიგიური განწყობილებები მძლავრი იდეოლოგიური ნაკადის სახით იჩენს თავს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (გავიხსენოთ ე. წ. „სოფლის მღურვის“ მოტივები და ა. შ.). გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ კრიზისთან ერთად ასეთ განწყობილებათა გაბატონებას ეროვნული კატასტროფის მუდმივ მიჯნაზე ყოფნაც აძლევდა ბიძგს.

გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსთაგან ზოგი ჩართულია „ქართლის ჭირის“ სხვადასხვა მონაკვეთებს შორის, რომელთაც პოეტი ხან მოთქმას, ხან კი გოდებას უწოდებს. ასეთი წიაღსვლებით პოეტი გარკვეულ აქცენტებს ანიჭებს პოემაში გადმოცემულ ისტორიულ მოვლენებს. ქართლისა თუ კახეთის აქ აღწერილი ძნელბედობა არ არის შემთხვევითი, სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზია სულიერი თუ ზნეობრივი დაცემა. ავტორის აზრით, ადამიანმა დაივიწყა თავისი წმინდა მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

ამიტომ ჩერდება უთუოდ პოეტი ქრისტეს ჯვარცმის მისტერიაზე. გოლგოთის მისტერიის მარადიული თემით ავტორის განზრახვაა, რომ ადამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენოს ზნეობრივი დაცემის სავალალო შედეგი, როცა მათ „ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო“. ხოლო სხვა ჰიმნებში სასოებით მიმართავს ხან სამების რომელიმე წევრს, ხან კი ღვთისმშობელს.

როგორც თვითონ „ქართლის ჭირში“, რომელშიც ამავე ეპოქის საქართველოს ისტორიულ ქრონიკებთან ერთად გადმოცემულია პოეტისავე ბიოგრაფიის სხვადასხვა ეპიზოდები, ისევე მთელ „დავითიანში“ აქა-იქ მოთავსებულია ისეთი ხასიათის სასულიერო ჰიმნებიც, რომლებიც თვით ავტორის პირად განცდებს ვამოხატავს და თავისი აღნაგობით მედიტაციური წყობით არიან აღბეჭდილნი.

პოეტის მაღალ სასულიერო განათლებას ამხელს ისიც, რომ მას ღრმად აქვს ნაგრძნობი ძველისა და ახალი აღთქმის შინაგანი კავშირი, როგორც ეს პირველთაგან გაშიფრული ჰქონდათ ჯერ კიდევ ქრისტიანული ეკლესიის წმინდა მამებს (გავიხსენოთ ნეტარი ავგუსტინე: „რაი არს ძველი აღთქმა, თუ არა დაფარვა (შენახვა) ახლისა, ხოლო რა არს ახალი — თუ არა გამოცხადება ძველისა“). გურამიშვილი ასეთ გარდასახვას ხშირად გადმოგვცემს ბიბლიიდანვე აღებული სიმბოლოებით, პოეტურ ენაზე მიგვანიშნებს, თუ ვით გარდამოვიდა ძველი დღე (მამა ღმერთი) ახალ დღეში (ახალი დღე ძე ღვთისა — ქრისტეა), ხოლო სხვა ჰიმნებში დავით წინასწარმეტყველისა და ქრისტეს მიმართება წარმოსახულია ერთი ცხოვრების ხისაგან აღმოცენებულ შტოთა

(შორჩთა) სიმბოლიკით, რითაც ასევე ძველი და ახალი აღთქმის ძირითად იდეათა უწყვეტობაა წარმოჩენილი.

პირველყოფილი ცოდვის, ადამიანური მიუსაფრობის და „ორ გემაგე“ (ცვალებადი) სოფლისადმი მდურვის მოტივები მძლავრი ნაკადის სახითაა შეჭრილი გურამიშვილის პოეზიაში. ფანტასტიურია პოეტის მისტიური ხილვები, ამასთან ყველა მათგანი ღრმადორიგინალური მხატვრული აზროვნების ნაყოფია. პოეტი მეტწილ შემთხვევაში თავს აღწევს საუკუნეთა მანძილზე ტრაფარეტად ქცეულ ტრადიციულ სახეთა ტყვეობას ან მათ განსხვავებული მიზანდასახულობით იყენებს. იგი, ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე აგებს სასულიერო შინაარსის პოეტურ სათქმელს, რაც უნიკალური მოვლენაა აღნიშნული მიმართულების მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

მაგრამ ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სწორედ ქრისტიანული მსოფლშეგრძნების წიაღში აღმოცენებულმა კონცეფციებმა მიანიჭა მის სულიერ ძიებებს ზნეობრივი სიმაღლე, ხოლო პოეტურ შთაგონებას იდუმალების ნანატრი განცდა.

დავით გურამიშვილის ღრმა კავშირები როგორც ბიბილური წიგნებთან, ისე საერთოდ ქართულ სასულიერო მწერლობასთან ამ ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართველ მეცნიერთა საფუძვლიანი შესწავლის საგნად გადაიქცა, და ასეთი კვლევის სათავეში ისევ და ისევ სასულიერო მწერლობის უდიდესი მცოდნე კორნელი კეკელიძე დგას. სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით კვლევა პოპულარული შეიქმნა ახალგაზრდა მკვლევართა შორისაც, ოღონდ ამასთან არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მართლაც „საყმაწვილო სენივით“ გავრცელდა მიდრეკილება, ანალოგიურ საკითხებზე მსჯელობისას ისეთი არაქართველი მკვლევარების მოხმობა, რომლებმაც ბევრად გვიან მიაქციეს ყურადღება მხატვრული მეტყველების არქეტიპებს ქრისტიანულ მწერლობაში. უფრო მეტიც, რატომღაც, იმავე მკვლევართა აღმოჩენად ითვლება ქრისტიანულ მწერლობაში ადამიანის პრობლემის დამუშავება, თითქოს ჩვენს სინამდვილეში ამ თემას პირველთაგანმა არ მიუძღვნა მონოგრაფია ჩვენმა სახელოვანმა ივანე ჯავახიშვილმა.

გურამიშვილზე უკანასკნელ ხანებში შესრულებულ ნაშრომებსაც ეხება „განათლებულობის“ ეს უკუღმართი მოდა და ისევ დიდი პოეტის სიტყვებს მოვიშველიებ მათი მისამართით: „ის ჩვენ პურსა ნუღარ გვაჭმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს“. მანამდე გაკეთებულის გათვალისწინება, შემდეგ ისევ შენს მიერვე მიკვლეული მხატვრული ფაქტების ანალიზი და განზოგადება არის ერთადერთი გზა, რომელ-

საც ბუნებრივად მოჰყვება სასურველი რეზულტატი მეცნიერულ კვლევა-ძიებაში.

ეს აქ იმიტომ გავიხსენე, რომ ჯერ კიდევ ნიკო მარმა, ხოლო შემდეგ სპეციალურად კორნელი კეკელიძემ წარმოაჩინეს ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი როლი ქართული საერო მწერლობის მხატვრული მეტყველების დახვეწა-განვითარებაში.

ასევე კორნელი კეკელიძემ დასვა საკითხი ქრისტიანული მწერლობისათვის ძირითადი მხატვრული ხერხის, კერძოდ, სიმბოლო-ალეგორიის უხვად გამოყენების შესახებ დავით გურამიშვილთან. მანვე ახსნა კიდეც ზოგიერთი მანამდე გაუგებარი ალეგორიული სახე, რომელსაც მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ტექსტის მართებული გაგებისათვის.

გურამიშვილის ხილულსა თუ უხილავ კავშირზე ქართულ სასულიერო მწერლობასთან და, კერძოდ, ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიასთან, სპეციალური ნაშრომები დაიწერა და, ალბათ, მომავალშიც გამოქვეყნდება. წარმოჩენილია, ხოლო ეს არის მართლაც უმთავრესი, თვით პოეტის ინდივიდუალური წვლილი და სასულიერო მოტივების დამუშავების ძალზე ორიგინალური მეთოდები. მათ აქ არსებითად აღარ შევეხები, ოღონდ ვაჩვენებ რამდენიმე პარალელს, რომელიც კიდევ უფრო აშკარად ამხელს ქართული პოეზიის უწყვეტ ტრადიციებს საუკუნეთა მანძილზე. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

დავით გურამიშვილის ერთ სასულიერო შინაარსის ლექსში „უკვდავების წყაროს იგავის ახსნა“, რომელიც ჩართულია „ქართლის ჭირის“ პირველივე თავებში, „ღვთის სიტყვის“, ქრისტეს მოვლინების მიზეზი და ადამიანთა დახსნისათვის თავის დადებისა და უმაღლესი ზნეობის მარადიული მაგალითია განმარტებული. ხოლო ქვემოთ კი ალვლენილია ქებათა-ქება პირველმიზეზის სახელზე:

მას აქებენ: ანგელოზნი, ცა,
ქვეყანა, ბნელ, ნათელნი,
ზღვა, ხმელეთი, ხე, ბალახნი,
მთა, ბორცვი, ტყე, ბაღნარ ველნი...

აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ X საუკუნის ბრწყინვალე ქართველი ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს ცნობილი „ანდერძი იადგარისა“, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით:

გუნდი იგი ზეცისანი შენ
წმიდასა წმიდათასა
განწყობითნი გიგალობენ!
მე, უღირსი შეგიერდები, რათა
ვიყო მათ თანაცე
შენგან უძაგ...

რასაკვირველია, აქ ზედმეტიცაა რაიმე უშუალო ზეგავლენაზე საუბარი, მაგრამ მთავარია ის, რომ ცნობილი ბიბლიური მოტივის დამუშავებისას სხვადასხვა ეპოქის ორივე ავტორი მხატვრული მეტყველების შემხვედრ ფენებს წარმოაჩენენ. ანალოგიური ვითარებაა აგრეთვე დავით გურამიშვილის ცნობილ მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის ჰიმნთან დაკავშირებით. პოეტის მხატვრული ფრაზა: „ვირემდეს განახლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი, იფქლი კალოზედ ეყარა განურჩეველი ბზიანი“, სადაც იგავური ენით გამოხატულია ახალი ცხოვრების მოლოდინი (ამ შემთხვევაში „ძე ღვთისას“), რათა ადამიანებს კეთილი განერჩიათ ბოროტისაგან, აშკარად ეხმაურება თუმც განსხვავებული ადრესატის მქონე, მაგრამ ასეთსავე სიმბოლიკის გამოყენებით შესრულებულ იოანე მტბევარის ჰიმნს ბასილისადმი („ვითარცა ღრუბელმა აღმოივსე სოფლისა იგი ბრძენთა მეცნიერება და განარჩიე იფქლი ღვარძლისაგან და შეჰკრიბე საუნჯეთა“). ასევე არაერთ პარალელურ გამოთქმას ვიპოვით გურამიშვილთან, რომლებიც დასტურდება ქართულ ჰიმნოგრაფიაში. (შდრ. მიქელ მოდრეკილი: „შეუხებელი, ქრისტე, მზე სიმართლისა“, აგრეთვე „მზესა მას სიმართლისა გვითხრობს“. A—144, იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი), მაგრამ ამასთან ცხადია ისიც, რომ მიუხედავად სახეთა გამოყენების ასეთი შეხვედრებისა. მათი თავდაპირველი წყაროების ძიებას ისევ და ისევ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან მივყავართ.

უფრო მეტიც, გურამიშვილი თავის მხრივ ამდიდრებს და ახალი ცნებები შემოაქვს აღნიშნულ სიმბოლურ სახეთა სალაროში. მაგალითად, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საფუძველზე ცხადი შეიქნა, რომ „დავითიანში“ ხშირად გამოყენებული მზეთა-მზის სახე, როგორც მამა ღმერთის, უფალთა-უფალი საბაოთის გამომხატველი, გურამიშვილმა პირველმა შემოიტანა სასულიერო ხასიათის ჰიმნებში. სასულიერო ჰიმნების მოდერნიზაციის გზაზე, როცა დიდმა პოეტმა უშურველად გაუღო კარი ხალხური მეტყველების ნაკადს, მან უეჭველად ეს სახეც ხალხურ პოეზიაში ანალოგიური მხატვრული გამოთქმების საფუძველზე შექმნა (ერთ ასეთ პირველწყაროდ თვით პოეტი ქართულ ფოლკლორში დადასტურებულ სახეგამოთქმას „ქალთა მზეს“ ასახელებს).

ზემოთ უკვე არაერთგზის ითქვა, რომ გურამიშვილი სასულიერო მწერლობისა და, კერძოდ, მისი საფუძველთა-საფუძვლის ძველი და ახალი აღთქმის უბადლო მცოდნე იყო და ეს კარგად ჩანს კიდეც მთელი „დავითიანის“ მანძილზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი „მხიარული ზაფხულის“ დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ბიბლიური სიუჟეტების ლექსად გადაღებას. ნაშრომში დავით გურამიშვილზე ჩვენ

ადრე შეეუდარეთ სათანადო ადგილები შესაქმეთა წიგნიდან, ფსალმუნიდან და ირკვევა, რომ პოეტი რიგ შემთხვევაში, რასაკვირველია, საჭიროებისდა მიხედვით, პარაფრაზის სიზუსტით ამუშავებს ბიბლიის ცალკეულ ადგილებს. ცხადია, რომ მის ოჯახურ ბიბლიოთეკას შორეულ უკრაინაში, სხვა წიგნებთან ერთად (რომელთა კვალიც კარგად ჩანს მის ნაწერებში) ამშვენებდა ბიბლიური ტექსტები თუ გამოცემა, რომელიც მისივე „დავითიანში“ აგრე ხშირად ნახსენებ ბაქარ ბატონიშვილის სახელთანაა საბოლოოდ დაკავშირებული.

ამიტომ ჩვენ „დავითიანის“ ტექსტის სხვადასხვა ადგილის გაშიფვრისა თუ კომენტარების დროს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, გავითვალისწინოთ პოეტის მაღალი განსწავლულობა საერთოდ, კერძოდ, სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგში. აქაც მხოლოდ ერთი მაგალითის მოტანით შემოვიფარგლები.

„ქართლის ჭირის“ ერთ-ერთ ბოლო თავში პოეტი გვიამბობს: თამაზ-ხანმა (შემდგომში სახელგანთქმულმა ნადირ-შაჰმა) გადასწყვიტა, რომ რუსებისათვის, მათ შორის, რუსეთში მყოფ ვახტანგ მეექვსისათვის, რომელიც ამ დროს სალაშქროდ ემზადებოდა, დაესწრო და დაერბია კასპიისპირეთი, შამახია, აგრეთვე ლეკთა ქვეყანა, საერთოდ მთელი აღმოსავლეთი კავკასია, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. აღნიშნული თავის 508-ე სტროფში ნაწილობრივ სწორედ ამ ამბებზეა საუბარი:

თამაზ-ხანს ესმა, ეოცა, იქმნა მკბენელი ნეკისა,
სუხავის ჯარი მან შექმნა,
ვით ისომ ამალეკისა,
ჯერ შამახია დალაშქრა, ქვეყანა მოსპო ლეკისა,
კელავ ხმა ასმინა განჯასა ოსმალოს კართა რეკისა.

თამაზ-ხანი აქ, როგორც ითქვა, ნადირ-შაჰია, რომელიც გაცეცხლებული (იქმნა მკბენელი ნეკისა) დაიძრა ირანის ჩრდილოეთის მეზობლებისაკენ. სუხავი, როგორც ეს მართებულად აქვს განმარტებული ვარლამ დონდუას, ლეკების ამ დროისათვის აბრაგობით სახელმოხვეჭილი ბელადი სურხაი-ხანია. შამახია აქ იგივე დღევანდელი შემახაა (აზერბაიჯანის სსრ), ხოლო განჯა კი ასევე დღევანდელი აზერბაიჯანის ქ. კიროვაბადი, ხოლო საუბარია იმაზე, რომ ნადირ-შაჰის ეს საომარი ოპერაცია კავკასიაში ოსმალთა ბატონობის პრეტენზიასაც უპირებდა ალაგმვას.

აქ გასარკვევია ხაზგასმული გამოთქმა, მით უფრო, რომ „დავითიანის“ 1955 წლის გამოცემაში, რომელსაც ერთვის ქ. კეკელიძის კომენტარები, მასზე არაფერია ნათქვამი. რაც შეეხება „დავითიანის“ 1931 წლის გამოცემას, რომელსაც ახლავს ს. იორდანიშვილის მიერ

შედგენილი ლექსიკონი და საკუთარ სახელთა ცნობარი ვკითხულობთ: „ამალეკი — ბიბლიური ერი, რომელიც საულმა (იზრაელის მეფემ) დაამარცხა". ეს ერთი შესედვით მართლაც ასეა და როგორც ცნობილია, ბიბლიაში მოთხრობილია ეპიზოდი, როცა ღვთის ჩაგონებით წინასწარმეტყველი სამოელი ავალებს ისრაელთა მეფე საულს, რათა მან შური იძიოს ამალეკთა მომთაბარე ტომზე, რომლებიც ადრე ეგვიპტიდან ლტოლვილ ებრაელებს გზაში ესხმოდნენ თავს (სამოელის სიტყვები საულის მიმართ: „ესრეთ მრქუა უფალმან საოთ, აწ შური ვაგო, რომელი უქმნა ამალეკ ისრაელსა, რაჟამ შეემთხვია იგი გზასა ზედა აღმომავალთა მათ ეგვიპტიდან"), საული იმარჯვებს და აღასრულებს (თუმცა არა ბოლომდე) ღვთის ნებას.

მაგრამ მკითხველი გაიხსენებს, რომ „დავითიანის" ზემოთმოტანილ ტექსტში პოეტი ასახელებს ისოს და არა საულს, ხოლო ისოს ვინაობა, საერთოდ, არაა განმარტებული აღნიშნულ ცნობარში (აქ სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით მითითებულია მხოლოდ ბიბლიური წინასწარმეტყველი ისო ზირაქი, იხ. „მხიარული ზაფხული", სტრ. 359, 360).

უნდა გვეფიქრა, რომ „ქართლის ჭირის" ზემოთმოტანილ ეპიზოდში პოეტს რაღაც უნებლიე ცთომილება მოსვლია და საულის ნაცვლად მოუხსენებია ბიბლიის სხვა პერსონაჟი. მაგრამ ირკვევა, და სწორედ იმის გამო, რომ პოეტი შესანიშნავად იცნობდა საღმრთო წიგნებს, „დავითიანის" ტექსტში აღნიშნულ ადგილას ყველაფერი რიგზეა. თავის პოეტურ შედარებაში, სადაც მოთარეშე ლეკების ლაშქარი მიმსგავსებულია ასევე ბიბლიით მტაცებელ ტომ ამალეკთან, იგი გულისხმობს ბიბლიის სრულიად სხვა ეპიზოდს. კერძოდ, ებრაელთა ისტორიის იმ პერიოდს, როცა მოსეს მეთაურობით ისინი ეგვიპტიდან აღთქმულ ქვეყანაში მოილტვოდნენ. აი, სწორედ ასეთი შეჭირვების დროს ამალეკის ტომი თავს ესხმოდა ფარაონისაგან ლტოლვილ ისრაელთ, ამის გამო მოსემ იხმო ისუ, ძე ნავესი და მას დაავალა ამალეკთა ტომთან ბრძოლის მეთაურობა. აქ არის სწორედ ის ცნობილი ეპიზოდი, როცა მოსე ბორცვზე მდგარი ზეაწეული კვერთხით ღვთაებრივ ძალას განასახიერებს, ხოლო ისუ, ძე ნავესი, ისრაელთა რჩეული ვაჟკაცებით ამარცხებს მომხვდურ ამალეკთა ჯარს (იხ. გამოსლვათა 17).

ამ შემთხვევაში დავით გურამიშვილის მიერ ასე მოხდენილად გამოყენებული მხატვრული შედარება, რომელიც სათავეს იღებს ძველი აღთქმიდან, ზუსტია და პირველწყაროთა ღრმა ცოდნას ემყარება.

როგორც ითქვა, სასულიერო მწერლობის, კერძოდ, კი სასულიერო პოეზიის აგრერიგად გათავისებამ გაამდიდრა პოეტის სულიერ ძიე-

ბათა არე, ხოლო მისი პოეზიის გმირი ზნეობრიობის მაღალ კატეგორიებს აზიარა.

მაგრამ მეცნიერებაში გურამიშვილის შესახებ ისიც არის დასაბუთებული, რომ „ქართლის ჭირის“ ავტორმა ქართული სასულიერო ლექსის თვისობრივად განსხვავებულ სახესხვაობას დაუდო სათავე.

გურამიშვილმა სასულიერო ჰიმნებში ცოცხალი, ამქვეყნიური ნაკადი შეიტანა და სხვაგვარად, ალბათ, მოულოდნელიც იყო. გურამიშვილი უწინარეს იყო დიდი პოეტი და შვილი თავისი ქვეყნისა. მისმა პოეტურმა ალღომ საბოლოოდ გაიმარჯვა ღრმა სულიერ წინააღმდეგობებზე. ნაცვლად ქრისტიანულ-მისტიკური ჭვრეტისა და მარადიული სასუფეველის ოდენ უშფოთველი მოლოდინისა, იგი ცხოვრებისეული ცეცხლით იწვოდა. გურამიშვილმა ეს დიდი გულისტკივილი გაგვიმჟღავნა საკუთარი შვილებივით საყვარელ სიმღერებში, რომლებსაც მომავალი ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის მეგობრებად იგულვებდა.

ბ) „მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით...“

დავით გურამიშვილის ლექსთა კრებული, რომელიც მოთავსებულია პოეტის ავტოგრაფულ ნუსხაში, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ზუსტად 1781—1787 წლებშია გასრულებული. ამავე ავტოგრაფული კრებულიდან ისიც ჩანს, რომ „დავითიანი“ — თავისი ძირითადი სახით უკვე ჩამოყალიბებული იყო 1774 წლისათვის. ავტოგრაფული ნუსხის ერთ-ერთ ბოლოში მოთავსებულ ლექსში „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“ პირდაპირ არის დასახელებული ამ, მართლაც, შემაჯამებელი ლექსის ზუსტი თარიღი 1774 წლის 20 ნოემბერი: „ესთქვი წელსა ათას შვიდასსამოცდათოთხმეტსა, თვესა ნოემბერსა, ოცდაცხრა გასულსა“, ეგეთე წელია ნაჩვენები ლექსის „კაცისა და საწუთროს ცილობა“ დაწერის თარიღად.

ლექსებს კი პოეტი სიჭაბუკიდანვე წერდა და სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელიცაა. მისი დიდი შთაგონება უშრეტი იყო, ხოლო პოეტური სათქმელი მშვილდივით მოზიდული. ერთ თავის საანდერძო ტიპის ლექსში იგი გვიმჟღავნებს, რომ მისი ბევრი ლექსი აქა-იქ ნათქვამია და აწ გაფანტულ „ობლებს“ „დავითიანში“ მოეუყარე თავიო („ამ ლექსთ თავი მოუყარე, საცა მეთქვა თვითო ობლად“).

ვინ იცის რამდენი ასეთი „წყობილი მარგალიტი“ დაეფანტა პოეტს, როცა იგი „დავითიანში“ შეეცადა ერთ მძივად აესხა ათეული წლების ნაამაგარი.

დავით გურამიშვილს კი მაშინდელი საქართველოს განათლებულ წრეებში, რომელთა მეტი წილი სწორედ რუსეთში ვახტანგის კარზე იყო თავმოყრილი, ყველაფრიდან ჩანს, კარგად იცნობდნენ როგორც პოეტსა და განათლებულ პიროვნებას. სხვაგვარად ძნელად წარმოსადგენია, მისვლისთანავე პოეტს საკმაოდ მაღალი სახელო (თანამდებობა) ჯაბადარბაშობა მიუბოძეს და იარაღის საწყობები ჩააბარეს (უნდა გავიხსენოთ, რომ ამ დროიდან ვახტანგი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა სამხრეთისაკენ მომავალი დიდი ლაშქრობისათვის ემზადებოდა).

პოეტი იმასაც დასძენს, რომ ვახტანგის კარს მოსკოვში ჯერ კიდევ არ აკლდა ზარ-ზეიმი და „ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა“. რომ იგიც იღებდა ამ სალაღობო ტურნირებში მონაწილეობას და თავმდაბლურად შენიშნავს მისი ერთი ასეთი გამარჯვების გამო:

„ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა, პირად მშლუსა, ტანად ხმელსა ვით ნუურიანს ხესა მრუდსა; რაც მე უთხარი, მას მიაჩხდის ვით ნარცეცხლა უკან კუდსა, ბევრჯელ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ჭუდსა“.

ლიტერატურაში დავით გურამიშვილის თხზულებათა გარშემო შენიშნულია შემდეგი: პოეტის ზოგი ლექსი უეჭველად ადრევე უნდა იყოს შექმნილი, მაგრამ მათი ზუსტი დათარიღება ამჟამად არ ხერხდება. მაგალითად ადრევეა შექმნილი ლექსის „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა“ მოკლე ვარიანტი (აქაც ლექსი იწყება სიტყვებით: „გასაგონია, მგონია, რაც თქმულა სავარგონია...“), რომელიც, როგორც, ალბათ, ქართული ლექსის ერთი თავისებური სახეობა, მასვე თავისი ხელით მიუწერია მამუკა ბარათაშვილის „ჯაშნიკზე“. მინაწერი შესრულებული უნდა იყოს დაახლოებით მე-18 საუკუნის ოცდაათიან წლებში, როცა ორივენი ვახტანგის კარზე მოღვაწეობდნენ მოსკოვში (იხ. ხელნაწერი S—1550, რომელიც ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

ასევე ზოგი ლექსის სალაღობო — თავშესაქცევარი ტონი აშკარად ამხელს, რომ ბევრი მათგანი სწორედ ამავე ხანებში, კერძოდ, მოსკოვში ყოფნის დროს არის შექმნილი (იხ. ლექსები ზმიანი შაირები“, „ამიცანად იგავი ასახსნელად ადვილი“ და ა. შ.).

მაგრამ ამასთან ვახტანგის, მისი ამალისა და თვით დავით გურამიშვილის გარშემო არსებული მასალებიდან ვიცით, ეს ხანა ე. ი. ოცდაათიანი წლები სხვადასხვა პერიპეტიებითაა აღსავსე. მოსკოვის ქართველობა ამ დროს ხან მოსკოვშია, ხან გზაზე, როცა ვახტანგი თავისი ქართული ლაშქრით სამხრეთისკენ დაიძრა, შემდეგ ისევ მოსკოვში, საბოლოოდ კი 1737 წლიდან (ამ დროს გარდაიცვალა ვახტანგი, რო-

გორც ცნობილია იგი, დაკრძალეს ასტრახანს, სადაც გაატარა მეფე-პოეტმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი უღიმღამო დღეები) მთელი ქართველობა ვინც კი რუსეთში დარჩა, ისევ მოსკოვში იყრის თავს და მოკლე ხანში იღებს რუსეთის ქვეშევრდომობას. ასე შეიქმნა, სხვათა შორის, ქართულ ჰუსართა ასეული, ხოლო შემდეგ პოლკი, რომელშიც ქართველების ერთ ნაწილთან ერთად წლების მანძილზე იხდიდა მხედრის მძიმე მოვალეობას დავით გურამიშვილიც.

რუსეთში ყოფნის პირველი პერიოდი, კერძოდ, 1734 წლამდე, როცა ვახტანგის კარზე ჯერ კიდევ ფეთქავდა იმედი ხვალინდელი დღისა, როგორც ცნობილია, ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო შემოქმედებითი შრომისათვის და მსგავსი პოეტური ტურნირებიც, რომელსაც აგვიწერს დავით გურამიშვილი, სწორედ ამ ხანებში იმართებოდა.

ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს გურამიშვილის ზემოთდასახელებული ლექსები, რომელთაგან ერთის დათარიღება, ჩემის აზრით, შესაძლებელია და თანაც ზედმიწევნით სიზუსტით.

საქმე ეხება ერთსტროფიან, პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით ძალზე რთულ ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით „მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით...“ და ეკუთვნის პოეტის მიერ შექმნილ „ზმიანი შაირების“ ციკლს (აქვე შევნიშნავ, რომ ძველ საქართველოში რუსეთის დედაქალაქი მეტწილად ამ ფორმის „მოსკო“ იხსენიება. იხ. სულხან-საბას ლექსიკონი, ვახტანგ მეექვსის „სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგი და ა. შ.).

რაც შეეხება თვით ამ ლექსს, რომელსაც მე ქვემოთ მოვიტან, მაჯამური რითმებითაა გამართული და გზადაგზა ზმებიც თვით ავტორის მიერაა გამოყოფილი სწორი ხაზებით. სიტყვათა ნაწილების შეერთებით ან გაყოფით „ზმებში“ აქ იკითხება სწორედ აღდგომისა და ხარების დღეებთან დაკავშირებული რიტუალური მნიშვნელობის სიტყვები:

მოსკოს ქალაქს მზეს ვე(ლოდით), და ვერ გნახეთ აქ (სუ დარო)! სოლ (აღ დგომა) გვირჩევნია, აქ სიცოცხლე გვაქვ (ს უდარო); კა (პას ქა) რ (სა მჭვალი) ეკრას, რას გეიშველი, ვთქვათ, (სუ დარო)! შენ გაჰკურნე მწუ (ხარება) ადგომავ და ქვავ-სუდარო!“.

როგორც ვხედავთ, აქ ხაზებს შორის იკითხება ლოდი, სუდარა, აღდგომა, პასქა, სამსჭვალი (ლურსმანი), ხარება და ა. შ. რითაც მინიშნებაა ზემოთაღნიშნულ საეკლესიო დღესასწაულებზე.

მაგრამ ამასთან ლექსში გამოსჭვივის სხვა რეალიებიც, რომლებიც გამოხატავენ წუხილს რუსეთში შეყოვნების გამო, მაშინ, როცა მთელი ქართველობა სალაშქროდ მოისწრაფოდა კასპიისპირებისაკენ, რაც სა-

ბოლოო ჯამში მათთვის სამშობლოში დაბრუნების ერთადერთი საშუალება იყო (შდრ. „სოლაღ დგომა გვირჩევნია...“ სოლაღი ციხე-სიმაგრე და დასაყრდენი პუნქტი იყო კასპიისპირეთში).

მაგრამ მაინც როდის დაიწერა ეს ლექსი? ამაზე შევძლებთ გავცეთ პასუხი, თუ დავაკვირდებით ამავე ლექსზე ავტორისავე მინაწერს (იხ. ავტოგრაფი, აგრეთვე გამოცემები): „ერთს დღეს აღდგომაც იყო და ხარებობაც, დიაღაც ციოდა მოსკოს და იმის მონასიბათ თქმული“.

როგორც ცნობილია, ხარებობა უძრავი დღესასწაულია და ძველი სტილით აღინიშნება 25 მარტს (სახარებით, ამ დღეს გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა ნაზარეთში ქალწულ მარიამს და ამცნო: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ — იხ. ლუკა, 1, 28). ხოლო აღდგომა კი მოძრავი დღესასწაულია და იგი გაზაფხულზე აღინიშნება ასევე ძველი სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე (იგი იანგარიშება გაზაფხულის ბუნიობის დღიდან და დაკავშირებულია მთვარის მოქცევასთან).

ამდენად, პერიოდულად ეს ორი დღესასწაული ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად, 1980 წელს, როცა დაიწერა წინამდებარე გამოკვლევა, იგი ერთი დღით უსწრებდა ხარებობას).

როგორც ზემოთაც ითქვა, გურამიშვილი 1730-იანი წლებიდან ვიდრე 1739 წლამდე დროგამოშვებით იმყოფებოდა მოსკოვში (შემდეგ კი იგი უკვე ქართველ ჰუსართა ასეულთან ერთად მონაწილეობს ყირიმის ომში). მაშასადამე, უნდა გავარკვიოთ თუ როდის დაემთხვა ამ წლებში ხარებობას აღდგომის დღესასწაული, და ნათელი შეიქმნება ლექსის დაწერის თარიღი. ამის დადგენა კი არც ისე ძნელია, თუმცა გურამიშვილის მკვლევართ აქამდე მისთვის ყურადღება რატომღაც არ მოუპყრიათ.

როგორც მუდმივი საეკლესიო კალენდრის მონაცემთა გაანგარიშებით ირკვევა, ამ ხანებში, კერძოდ, მე-18 საუკუნის ოცდაათიან წლებში, ხარებობის დღესასწაული აღდგომისას დაემთხვა 1733 წლის 25 მარტს (ძვ. სტ.).

ლექსი, როგორც ითქვა, ეპისპრომტს წარმოადგენს და, მაშასადამე, იგი იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როცა ვახტანგი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა მოსკოვში იმყოფებოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ სალაშქრო ნიშანს. ამასვე მოწმობს, როგორც ითქვა, მაჯამის მეორე სტრიქონში ნათქვამი ფრაზაც: „სოლაღს დგომა გვირჩევნია...“

ასეა თუ ისე, ამჟამად ჩვენ უკვე ვიცით დიდი პოეტის მიერ ადრე დაწერილ ლექსთაგან ერთის ზუსტი თარიღი — 1733 წელი 25 მარტი (ძვ. სტ.).

8) „სახით სიტყვა შვენიერო, სხიო მზეთა-მზის სახეო...“

„პოეზიისათვის განსაკუთრებით ძვირფასია წარსული“, — ვალერიან გაფრინდაშვილის ეს სიტყვები მოთავსებულია წერილში, რომელიც მან დავით გურამიშვილს მიუძღვნა („მეოცნებე ნიამორები“, 1920, IV). „დავითიანი“ მართლაც, გარდასულ დღეთა აღორძინებაა, ფიქსირებაა იმისა, რაც „ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების“.

მაგრამ ასეთ დროს პოეტს შემწედ ეკლინება სასულიერო პოეზიის ის დიდი გამოცდილება, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ცხოვრებისეული ფაქტებიდან დაძრული იმპულსების სულიერ ფაქტებამდე ამაღლება (სუბლიმირების ეს პროცესი უძირითადესი ხერხია გურამიშვილთან) სრულიად სხვა სიბრტყეზე წარმოგვისახავს ერთი შეხედვით ორდინალურ ამბავსა თუ შემთხვევას პოეტის ბიოგრაფიიდან.

ხდება შებრუნებითაც, თითქოს მხოლოდ რელიგიური გრძნობებია გამოთქმული ლექსში, რომელსაც აქ მოვიტან. პოეტური სახეების ერთი რიგიც აშკარად სასულიერო მწერლობიდან არის ნასესხები (მეტწილად სახარებიდან), მაგრამ მისი ქვეტექსტი აშკარად გამოსჭვივის სტრიქონთა შორის. სამოთხიდან გამოძევებული ცოდვისმოქმედი ადამიანის ზოგად ბიბლიურ მოტივს აქ ბუნებრივად ერწყმის კონკრეტული პიროვნების. ამ შემთხვევაში ავტორისეული, ღრმა სულიერი ტკივილები. მკვეთრად მოისმის „სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული...“ ადამიანის გოდება (აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, რომელსაც, სხვათა შორის, მშვენიერი გამოკვლევები უძღვნეს მეცნიერმა ქალებმა მანანა კაკაბაძემ და ლაურა გრიგოლაშვილმა).

გურამიშვილის მედიტაციურ ლექსს, რომელიც პირველ რიგში საკუთარი გამოცდილებიდან იღებს სათავეს. სწორედ ეს თვისება ანიჭებს არაჩვეულებრივ ემოციურ დატვირთვას: „ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე, ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი, ასეთი საქმე მე მოგიგვარე! გავხდი გლახაკი და დავრდომილი, თუმცა საწუთროს მოვიანგარე: ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი, საუნჯისაგან კარს გარე მდგარე, დავჰკარგე იგი ოქროს ბეჭედი, რომლით ნიშნულ არს ჩემი შვებადი, აწ მექცევიან ვანი გებ:დი მე საუკუნო განსვენებადი...“

ან პოეტის მომდევნო სიტყვები: „ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე, რომ არ შეიქნა ლამპარშრეტილი“. — როგორ თანამედროვედ ჟღერს ეს ლექსი — გალობა, თუმცა როგორც ითქვა, მისი თემაც და სახეთა სისტემაც აშკარად გვიმხელს მის ნათესაობას სასულიერო

პოეზიასთან (თვით ბოლო სახე „ლამპარშრეტილიც“ მოდის სახარების იგავიდან 10 სარძლოს შესახებ).

მაგრამ ამასთან ეს სხვადასხვა შრეებიდან მომდინარე სულიერ ნაკადთა ერთობლიობა, რაც არაჩვეულებრივ მხატვრულ ეფექტს ქმნის გურამიშვილთან, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს პოეტის შემოქმედების მკვლევართაგან.

ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინ სრულიად მართებულად შენიშნავდა კორნელი კეკელიძე, რომ „დავითიანში“ ხშირად გამოყენებულმა „ალეგორიულმა ხერხმა“ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გაუგებრობა დაბადოს არა მარტო პოეტის ბიოგრაფიაში, არამედ შემოქმედებით ლაბორატორიაშიც (ეტიუდები, ტ. IV, გვ. 165).

ეს მნიშვნელოვანი ნაკლი უეჭველად ახლდა გურამიშვილზე დაწერილ ადრეულ ნარკვევებს. დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამ მიმართულებით კვლევის საქმეში ბოლო ხანებში უეჭველად გადაიდგა ნაბიჯები, თუმცა „დავითიანის“ ბევრი ადგილი კვლავაც მოითხოვს დაკვირვებასა და შესაწავლას.

ერთ დროს თითქმის „ოფიციალურ აზრადაც“ კი იყო გამოცხადებული, მაგალითად, რომ დავით გურამიშვილი მიმართავს ე. წ. მისტიკურ-ალეგორიულ ხერხს სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად, რომ მის შემოქმედებაში „სატრფო“ იგივე სამშობლოა და ა. შ.

თითქმის ყველა ადრეულ გამოკვლევაში (და შემდეგაც) ეს აზრი ურყევად მეორდებოდა. ასევე გატარებული იყო იგი სახელმძღვანელოებშიც კი, რომლებიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა (და ბოლო წლებშიც დაიბეჭდა). გურამიშვილის ცნობილი ჰიმნი „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარ ნახა, იმის მოთქმა დავითისაგან“ და განსაკუთრებით ამავე ლექსის დასაწყისი სიტყვები გამოცხადებული იყო პატრიოტული ლირიკის აშკარა ნიმუშად. კერძოდ, იგულისხმებოდა შემდეგი სტრიქონები: „სახით სიტყვა შვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო! ვეძებე და შენი მზგავსი ძე აქ ვერცადა ვნახეო; გეაჯები ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო“. ამასთან, როგორც წესი, გურამიშვილის აღნიშნულ სტრიქონებს თავისი შინაარსით მიიჩნევდნენ აკაკის „განთიადის“ უეჭველ წინამორბედად, მაშინ, როცა ზემოდასახელებული ლექსი ტიპიურია „დავითიანში“ და გურამიშვილისათვის ჩვეულ, ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დამყარებული. აქ „სახით სიტყვა მშვენიერი“ ძე ღვთისაა, ქრისტეა (იხ. „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყვაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუჲ იგი“, სახარება, იოანე. I, 1), ხოლო „მზეთა-მზე“ თვით დავითისავე მეტყველებაში მამა ღმერთს აღნიშნავს, პოეტი თავის საგალობელში შესთხოვს უზენაესს, რომ იგი

არ დარჩეს მიუსაფარი, რომ მასაც არგუნოს ადგილი სამოთხეში, რაც ბოლო სტრიქონში პირდაპირაა კიდეც ნათქვამი: „ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო“.

ამაზე აქ საგანგებოდ იმიტომ შევჩერდი, რომ ეს მაგალითი ტიპიურია და ასეთი თვალსაზრისი პირდაპირ წამლეკავი იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ვრცელდებოდა არა მხოლოდ გურამიშვილზე. ფაქტიურად, „ალორძინების ხანის“ მთელი ქართული ლირიკა, რომელიც ქრისტიანული მწერლობისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ე. წ. საღვთო მიჯნურობისადმი იყო მიძღვნილი, პატრიოტულ ლირიკად იქნა გამოცხადებული. თითქოს თეიმურაზ პირველს, არჩილს, ვახტანგ მეექვსესა და დავით გურამიშვილს ვინმე უშლიდა ხელს, რომ პირდაპირ, ყოველგვარი ალეგორიული ფორმის გარეშე, გამოეხატათ თავისი ეროვნული გრძნობა და აკი გამოხატეს კიდეც დიდებულად. აქ მარტო ვახტანგის „რანი და მოვაკანისა...“ ან გურამიშვილის „მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდროს“ გახსენება იკმარებდა.

ამ მცდარი დასკვნების მიზეზი მსოფლშეგრძნების ე. წ. ქრისტიანული ნაკადის „უნებური“ თუ შეგნებული იგნორაცია იყო. რაც შეეხება კონკრეტულად ზემოთმოტანილ ფაქტებს, აქ ანალოგიის სრულიად უადგილო გამოყენებასთან გვაქვს საქმე, როცა მე-19 საუკუნისათვის დამახასიათებელი ალეგორიზმის ხერხები, რომლებშიც ფაქტიურად ინიღბებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ფორმები, მექანიკურად იქნა გადატანილი სულ სხვა ისტორიულ სინამდვილეში. რასაკვირველია, შედეგიც, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური მივიღეთ: პატრიოტული ლირიკის ნიმუშებად იყო მიჩნეული აშკარად სპირიტუალისტური ძიებებით აღბეჭდილი ლექსები.

ალბათ ამ საკითხებზე სხვა დროს უფრო არსებითად მოგვიხდება საუბარი, ოღონდ აქ შეენიშნავ, რომ სამწუხაროდ, „დავითიანის“ ტექსტის ასეთმა გაგებამ გურამიშვილის სხვა ენებზე თარგმანების საქმეშიც იჩინა თავი, რაც მომავალში უნდა გასწორდეს.

ასევე, როგორც ირკვევა, აღნიშნული თვალსაზრისი არ არის უცხო უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც, სადაც ისევ და ისევ საუბარია XVII—XVIII სს. ე. წ. პატრიოტულ-ალეგორიულ ლირიკაზე. მაგალითად, ასეთი აზრი დასკვნა-დებულების სახით გატარებულია რევაზ სირაძის ნაშრომში „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ (1978, გვ. 249 და ა. შ.). მით უფრო მოულოდნელი იყო ეს აღნიშნულ ნაშრომში, რადგან ავტორის მისამართით ჩვენს მიერ საჯაროდაც აღინიშნა ასეთი თვალსაზრისის მეთოდოლოგიური ნაკლოვანება.

დასკვნისათვის აქ კიდევ ერთხელ დავსძენ, რომ გურამიშვილის რთული პოეტური სამყაროს უკეთ შესწავლისათვის ზემოთ მინიშნებულ საკითხებზე ჩაღრმავებული მსჯელობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის კიდევ ერთი გადაუდებელი საქმეა.

დ) „დავითიანის" ერთი ადგილის გაგებისათვის

„ქართლის ჭირის" ფურცლებზე ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს დიდი მხატვარი და პირუთვნელი მემატიანე. „დავითიანის" ადრეული გამოცემის ერთ-ერთი მესვეური, მე-19 საუკუნის ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავდა, რომ „მასავით ნათლად და სიმართლით არც ერთ მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი" (დავითიანის 1881 წ. გამოც., გვ. V). მართლაც, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ჩვენი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი ისე არავის წარმოუსახავს, როგორც დავით გურამიშვილს. მთელი „დავითიანი" ამ უწმინდესი თემის დრამატული განცდის ნაყოფია. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ „ქართლის ჭირის" ასე ძლიერად გამოსახატავად გურამიშვილმა მიაგნო შესაფერ პოეტურ კილოს, მისი სადა და ამასთან ჭარბი კოლორიტით აღსავსე თხრობაში მახვილი მემატიანის თვალით აღდგენილია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა, როცა, პოეტის სიტყვით, „იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი".

დავით გურამიშვილის ღრმა პოეტურ შთაგონებას კვებავდა არაჩვეულებრივი მეხსიერება. „ქართლის ჭირის" აღწერისას ისეთი დეტალებია გაღმოცემული, რომ ცოცხლად წარმოგვიდგენს მთელი ეპოქის ხასიათს, ხოლო განზოგადება-დასკვნების დროსაც თავისი ღირსებებით იგი ბევრად აჭარბებს ყველა იმ ოფიციალურ მატიანეს, რომელიც ვახტანგ მეექვსის ეპოქას ეხება.

მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით „ქართლის ჭირის" უპირველესი თავისებურება მაინც ის არის, რომ გურამიშვილი საქართველოს ისტორიული სურათის გადმოცემისას საკუთარ თავგადასავალსაც მოგვითხრობს.

საქართველოს განსაცდელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მან საკუთარი ჭირიც დაურთო და ამით საოცარი უშუალობა მიანიჭა „ქართლის ჭირის" მღელვარე სტრიქონებს. აქ ეპოსი და ლირიკა თითქოს ერთმანეთს ენაცვლება და მხატვრული თვალსაზრისით ძალზე მომხიბლავ გარემოს ქმნის. საქართველოს ისტორიული პანორამის გადმოცემისას,

როგორც ზემოთაც ითქვა, ცალკეულ ეპიზოდებს გზადაგზა ლირიკული წიაღსვლები ენაცვლება, რაც ინტიმური ელფერით მოსავს პოემაში წარმოსახულ მხატვრულ სინამდვილეს (რაზეც ჩვენ საგანგებოდ გვაქვს საუბარი სხვა ნაშრომში).

მაგრამ თუ „დავითიანის“ თხრობითი მონაკვეთი, სადაც პოეტი საკუთარ თავგადასავალთან ერთად „ქართლის ჭირის“ ამბებს გადმოგვცემს, სტილურად ბევრად უფრო გამჭვირვალეა და კილოც უშუალო, ეს ნაკლებად ითქმის იმ ნაწილზე, რომელიც ასე ახლო დგას თავისი შინაარსით ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიის ნიმუშებთან.

აქ მკვლევარს ბეწვის ხიდზე მართებს სიარული, რათა გაარჩიოს რეალური და მისტიური პლანი, ტექსტი და ქვეტექსტი. ამის ერთი მაგალითი (-ხ. ლექსის დასაწყისი სიტყვები: „სახით სიტყვა შვენიერო...“) ზემოთაც ვაჩვენეთ, ხოლო არც ისე ცოტაა მაგალითები, როცა ლექსთა არასწორი გაგების საფუძველზე თვით პოეტის ბიოგრაფიული დეტალებიც კი გამრუდებულად იყო წარმოდგენილი. მაგალითად, დავითის ერთ ჰიმნში („დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამდურავი“) ნახსენებ ახალდაბას ხან სად და ხან სად ეძებდნენ და უკავშირებდნენ რუსულ-უკრაინულ ტოპონიმს (Новоселица). ასევე გაუგებარი იყო ამავე სტრიქონის სარითმო სიტყვაც „ბოლი“ და ა. შ. მაშინ, როცა აქ იგივური ხერხით ნათქვამია, რომ დადგა ჟამი ამ ქვეყნიდან (სააქაოდან) იმ ქვეყნად (საიქიოს) აღსვლისა: „ახალდაბას ნუღარ ხარო. მეძახიან ამო ბოლსა, აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა“. „ახალდაბა“ და „ბოლი“ სოფლებია ქსნის ხეობაში (რომელსაც ასე კარგად იცნობდა პოეტი), ერთი დაბლაა გაშენებული, ხოლო მეორე უფრო მაღლა და ასეთი დაპირისპირებით აღნიშნებულია ზემოთმოტანილი აზრი სააქაოდან საიქიოში წასვლისა.

ასე ესმით დღეს აღნიშნული ადგილი, მაგრამ „დავითიანის“ ზოგ ცალკეულ ადგილსა თუ ფრაზას, ჩემის აზრით, სჭირდება შემდგომი დაკვირვება.

პოემაში განსაკუთრებული მხატვრული ძალით გამოირჩევა ეპიზოდი, რომელშიც პოეტი, როგორც ითქვა, თითქმის კინემატოგრაფიული სიცხადით აგვიწერს თავის დატყვევების ამბავს. ამ ეპიზოდზე აქ არ შევჩერდები, რადგან იგი ისედაც კარგად მოეხსენება მკითხველს. ოღონდ აღვნიშნავ, რომ მთელი ლიტერატურა შეიქმნა იმის თაობაზე, თუ როგორ პირობებში ჰყავდათ ან ეყოლებოდათ პოეტი დატყვევებულ ლეკებს.

მაგრამ უმჯობესია მოეუსმინოთ დავით გურამიშვილის ცხოვრების შესწავლაზე ერთ ყველაზე დამაშვრალ მკვლევარს სოლომონ ყუბანეიშვილს: „ჩანს დავითი ბნელ ხაროში დაუმწყვდევიათ, ტყვეების ხაროში ჩაგდება ლეკებს წესად ჰქონიათ... საკვირველია, ამ მდგომა-

რეობაში მყოფმა დავითმა როგორ მოახერხა ღრმა და დახურულ ხაროდან ამოსვლა" („დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში", 1955, გვ. 33—34). წიგნის ავტორი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის. ამავე შეხედულებას გამოთქვამდა მასზე ადრე და შემდეგაც გურამიშვილის თითქმის ყველა მკვლევარი, რომელთა დასახელება აქ შორს წაგვიყვანდა.

ამასთან, ერთხმად, ანალოგიისათვის მოჰქონდათ შამილზე არსებული ლიტერატურა, ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის" სათანადო პასაჟები, ილია ორბელიანის დაღესტანში ტყვეობის დღიურები და მრავალი სხვ. სადაც კი საუბარია ლეკთაგან პატიმრებისა თუ ტყვეთა ხაროში (თანაც დახურულში) მოთავსებაზე.

რაც შეეხება თვით „დავითიანის" ტექსტს, დასტურად ზემოთქმულისა, ასახელებდნენ შემდეგ სტრიქონებს: „ბნელსა ვზივარ, გეაჯები სასინათლო ამიხვრიტო, ამოვსძვრე და გამოვიქეც, მოვიდე და შენა გპვრიტო"... („ქართლის ჭირი", სტრ. 335).

მაგრამ ლექსზე დაკვირვება გვიმხელს, რომ აქ არავითარ რეალურ ორმოზე არაა საუბარი. სხვათა შორის, ეს არის იგივე ჰიმნი, რომელსაც როგორც ზემოთ ვნახეთ, შეცდომით პატრიოტულ-ალეგორიული ლირიკის ნიმუშად მიიჩნევდნენ. ყველა სახე, რომელიც აქ მოტანილია, აშკარად მისტიური შინაარსისაა (შდრ. „სახით სიტყვა შვენიერო", „საყვარელო", „ტკბილო ცხოვრებისა წყარო" და ა. შ. მთელი ჰიმნი კი ღაღადისია პირველმიზეზისადმი, რომელიც იმედად, „საესავად" ეგულება მძიმე განსაცდელის ჟამს, „ურჯულო ქვეყანაში" მყოფ პოეტს).

ასევე ქრისტიანული სიმბოლიკის საფუძველზე აქ სიბნელე (თუ „ბნელში ჯდომა") გააზრებულია როგორც ამქვეყნიური ცოდვილი არსებობა და პოეტი გამოხატავს მარადიული სინათლისაკენ, ღვთაებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას („გეაჯები, სასინთალო ამიხვრიტო") და ძე ღვთისას სთხოვს მის მიმართაც გაიმეოროს ლაზარეს სასწაული („ვით ლაზარეს დამარხულსა „ღღეგ" — თავსა დამძახეო". იხ. იოანე, 11, 43; 12, 17 და ა. შ.).

სხვა არავითარი მინიშნება რეალურ ორმოზე, ხაროზე (თანაც, დახურულსა და უჰაეროზე) აქ ჩვენ არ გვხვდება, მაშინ, როცა წინა თავში ისეთი დეტალებიც კი არის გადმოცემული, თუ რას აჭმევდნენ ტყვეობაში პოეტს და როგორ „ახვრიტეს (ასვეს) ხინკლის წვენია".

აქვე შევნიშნავ, რომ რიგ სხვა ჰიმნში, ეს სწორედ გურამიშვილისეული მხატვრული ხერხია, სულიერი პლანი რეალურით არის შემაგრებული, რაც ზოგჯერ პოეტს თვითონვე აქვს ხაზგასმული. მაგალითად, იხ. ჰიმნი „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენი-

თურთ ღიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის შესხმა", სადაც რეალური ამბავი „ღიაში (ჭაობში) დაფლვა" გააზრებულია, როგორც ამქვეყნიური ცოდვილი არსებობა, საიდანაც დახსნას ითხოვს პოეტი, სუბლიმირების ასეთ ხერხზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რაც დამახასიათებელია გურამიშვილის ჰიმნების დიდი უმრავლესობისათვის.

მაგრამ სადაც „ბნელში ჯდომასა" და ორმოზეა საუბარი, ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აქ ყველგან რეალურ ფაქტებზეა საუბარი, თორემ ძალზე შევლახავთ პოეტის ჩანაფიქრს.

მართლაც, ზემოთმოტანილ ლექსზე, სადაც თითქოს საუბარია რეალურ ორმოზე, უფრო მკვეთრი მინიშნებანი გვაქვს სხვა ლექსებში, მაგრამ აქაც ასეთივე ვითარებაა. მაგალითად, ერთგან პოეტი ამბობს: „მოღი საძებრად, ვგდივარ სად მთხრებლად (ორმოში), გამკურნე პირი, მთხრებელს (ორმოს) ახსენ პირი, ალმომიყვანე!" (იხ. ჰიმნი ნე).

სხვათა შორის, „დავითიანში" არის სხვა ლექსიც, რომელიც იძლევა გასაღებს აღნიშნული პოეტური სახისათვის და პირდაპირაა ნათქვამი, თუ რა ორმოზე ანუ ხნარცვზეა, საერთოდ, მის ჰიმნებში საუბარი: „იესო წყემსო კეთილო, ჩემებრ წარწყმენდილთ მპოველო! ჩავარდი ცოდვის ხნარცვშია, ვსცადე და ვერ ამოველო" (ლვ. „უცხოთ ნახვის შიშით მუხლთმოჭრის დროს დავითის ლოცვა და გალობა").

ძე აქ მაგალითებს აღარ გავამრავლებ, ოღონდ დავსძენ, რომ „დავითიანის" კომენტირების დროს არის საპირისპირო შემთხვევები, როცა აქცენტი მხოლოდ სულიერ პლანზეა გადატანილი და იგნორირებულია რეალური პლანი, მაგრამ მათზე სხვა დროს მოგვიხდება საუბარი.

ერთი კი, ჩემის აზრით, ცხადია, ამ თუ იმ ადგილის გაშიფვრის დროს უნდა ვერიდოთ ზედმეტ ანალოგიებს და ტექსტში ვეცადოთ ამოვიკითხოთ ის, რისი თქმაც სურდა თვით ავტორს.

ე) ფხოვლელი იანვარასა და „ძალ-ძახეთის ჯვაროზის ამბავი"

I. „დავითიანში" პოეტის ტყვეობისა და ტყვეობიდან გაქცევის ეპიზოდებს, რომლებიც პლასტიკურად ნაწერ დეტალებთან ერთად საოცარი პოეტური ხილვებითაა გასხივოსნებული, აგვირგვინებს „სა„რუსეთოში" გასვლის სცენა.

აქ ერთ სტროფში, როგორც იტყვიან, საღებავის ერთი მოსმით, მეტყველადაა გადმოცემული ტყვეობიდან თავდახსნა, მოულოდნელ მფარველთა დარწმუნება, რომ იგი მათი მოყვარე — ქრისტიანია და

არა მომხდური — მტერი: — „წყალს გამიყვანეს ნავითა. საყდარში შემიყვანესო, დამაწერინეს პირჯვარი. ხატებსა მათაყვანესო: კვლავ მიხმეს სამდივნოშია, მაყვირეს, მაყაყანესო. მკითხეს: „ვინა ხარ, სად მიხვალ, რაჲ იყავ ლამისყანესო?“.

გასაგებია, თუ რატომ „აყვირეს და აყაყანეს იგი“, — იმათ ქართული არ იცოდნენ, ხოლო დავითმა რუსული და აი, ამ ეპიზოდში ნახსენებია ვინმე მოენე (თარჯიმანი) ფხოველი იანვარა, რომელიც მოუწვევია რუს-ყაზახს („სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოველი იანვარაო“).

როგორც ცნობილია, უკვე მე-17 საუკუნიდან მაინც დაღესტანში თუ ყიზლარში საქმიანობდნენ, ცხოვრობდნენ და კიდეც სახლდებოდნენ სხვადასხვა მიზეზით, მეტწილად კახეთიდან და თუშეთიდან გადასული ქართველები, აქვე ჰპოვა აგრეთვე თავშესაფარი პოლიტიკური თუ სხვა მიზეზით ემიგრაციაში მყოფმა ქართველ დიდგვაროვანთა არაერთმა წარმომადგენელმა (სხვათა შორის, სწორედ ყიზლარში დაიბადა შემდეგში სახელმოხვეჭილი სარდალი, ბოროდინოს გმირი, პეტრე ბაგრატიონი).

მაგრამ მაინც ვინ, ან საიდან იყო წარმოშობით ეს ქართველი კაცი, რომელიც შემწედ (და იქნებ მეგზურადაც) მოევლინა დავით გურამიშვილს?

ვინაობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ წარმომავლობაზე პასუხი გადაჭრითაა გაცემული. „დავითიანის“ 1931 წლის გამოცემის საკუთარ სახელთა ცნობარში (ავტორი ს. იორდანიშვილი) ვკითხულობთ: „იანვარა — ფხოველი (ფშაველი კაცის სახელი), თარჯიმანი, მოენე“. დაახლოებით მსგავსი განმარტებაა ივ. გიგინეიშვილის ლექსიკონშიც, რომელიც ერთვის „დავითიანის“ 1955 წლის გამოცემას: „ფხოველი— ფხოელი, ფხოვის მკვიდრი, ფშაველი“.

მაგრამ ჩემის აზრით, ასეთი განმარტება არ უნდა იყოს ზუსტი. დაეჭვებას იწვევს არა მხოლოდ ის, რომ, როგორც ისტორიულად ცნობილია, მეურნეობის წესისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ საუკუნეებში ფშაველები ნაკლებად მოძრაობდნენ კავკასიონის გადაღმა, ყიზლარის მიმართულებით, არამედ ჩვენთვის უცნობი თარჯიმანის წარმოავლობისა თუ ზედწოდების ფორმა: ფხოველი (ასეა ტექსტში).

ნაკლებ საფიქრებელია, რომ ამ დროს ე. ი. მე-18 საუკუნისათვის ფშაველ კაცს ზედწოდებად (ან წარმომავლობის მაჩვენებლად) ჰქონოდა ფშავ-ხევსურეთის ისტორიული სახელიდან „ფხოვიდან“ მომდინარე საკუთარი სახელი (სხვათა შორის თვით გურამიშვილი კარგად იცნობს ამ კუთხეს და მას „ფშავს“ უწოდებს. „იხ. „ქართლის ჭირი“ 313). ასევე საეჭვოა იგი მომდინარეობდეს ამავე კუთხის ძველი სოფ-

ლის „შუაფხოს“ სახელიდან, ორივე შემთხვევაში მაშინ გვექნებოდა „ფხოველი“ ან „შუაფხოელი“, ხოლო გურამიშვილთან, როგორც ვნახეთ, დადასტურებული გვაქვს განსხვავებული ფორმა „ფხოველელი“.

მაშასადამე, „ფხოველელი“ ბუნებრივად უნდა მომდინარეობდეს სახელიდან „ფხოველი“ (ე. ი. „ფხოველი“ — „ფხოველელი“ — „ფხოველელი“) და აქ მე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ ფაქტზე.

კახეთში ადრევე და დღესაც, მართლაც, არსებობს სოფელი ფხოველი.

ხოლო თუ საიდან გაჩნდა იგი კახეთში, ამაზე არსებობს კიდეც სპეციალური ლიტერატურა. როგორც ცნობილია, მთის მოსახლეობის ბარად მიგრაციის ბუნებრივი პროცესი ჩვენში ადრევეა დაწყებული და ამაზე მრავალი ცნობაც მოგვეპოვება. ისტორიკოსი დავით მუსხელიშვილი მონოგრაფიაში „უჯარმა“ (1966 წ.) აღწერს რა ასეთი მიგრაციის ტოტალურ პროცესს, ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ამას გარდა მთიელების ჩამოსახლების პირდაპირი მოწმობაა ისეთი სოფლები, როგორიცაა: ფშაველი (ფშაველნი) — ჭიჭაკვის ხევზე, ფხოველი (ფხოველნი) — ლაკბეს ხევში. ეს ექსპანსია დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებითაც. კერძოდ, ამის მოწმობაა, რომ გაღმამხარისა და შიგნიკახელები სალოცავად ხატობაში ივრის ხეობაში დადიან, ლაშარობისას — ხატხევში (ფშავში, იხ. ვ. ბარდაველიძის მასალები) და გიორგობას — ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესიაში (გვ. 40).

აღნიშნული სოფელი „ფხოველი“, როგორც ითქვა, დღესაც არსებობს კახეთში, გურჯაანის რაიონში, სადაც აწ გაკახელებული მთიელები ცხოვრობენ (სხვათა შორის, აქედანვეა ნაწარმოები კახეთში გავრცელებული გვარი ფხოველიშვილი, ხოლო მათი საგვარეულო გადმოცემით ისინი სწორედ კახეთში არსებული სოფლიდან, „ფხოველიდან“ არიან გამოსულნი).

ამდენად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფხოველელი იანვარა სწორედ კახეთიდან (ალბათ; თუშეთის ან ჭარ-ბელაქნის გზით) ყიზლარში წასული ქართველია, სწორედ ლაკბეს ხევზე მდებარე სოფელი ფხოველიდან, რასაც ჩემის აზრით, ენობრივი მონაცემებიც უჭერს მხარს.

ამას ხელს არ უშლის არც სახელი იანვარა, რომელიც, მართლაც, ძალზე გავრცელებულია ფშავში (იხ. აღ. ჭინჭარაულის მიერ შედგენილი ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი), რადგან ჩვენ ეს სახელი (მისგან ნაწარმოები გვარიც „იანვარაშვილი“) დავადასტურეთ აგრეთვე საკმაოდ ძველ საბუთებში და გავრცელებულია იგი საქართველოს ბარის რაიონებშიც. ამასთან შესაძლებელია ისიც, რომ მთიდან კახეთში ჩამოსახლებულთ ეტარებინოთ ძველი, მათთვის უკვე ტრადიციული სახელები.

II. „დავითიანი“ მე-18 საუკუნის საქართველოს არა მარტო მხატვრული მატეანეა, არამედ აქ დიდძალ მასალას იპოვის მკვლევარი როგორც ფოლკლორული, ისე ქართული ყოფის, ძველი საქართველოს სხვადასხვა ჩვეულების თუ საზოგადოდ ეთნოგრაფიული ფაქტების შესწავლისათვის.

ამჯერად კი მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ერთ, ჩემის აზრით, საინტერესო, მაგრამ ჩვენთვის უცნობ საკუთარ სახელსა თუ რიტუალზე, რომელიც ფიქსირებულია „დავითიანში“.

იგი დასტურდება ერთ-ერთი სასულიერო ხასიათის ლექსის სათაურში: „სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობას სანაცლოდ სათქმელი“. ლექსი ძირითადად დიდაქტიკურია და ავტორი არიგებს ახალგაზრდას, ყრმას, რომ იგი არ აჰყვეს წუთიერ ცთუნებათა გზას, რომელიც ნიადაგ უფსკრულის ნაპირს მიყვება. სიფრთხილეა საჭირო, რათა საბოლოოდ კაცი არ ჩავარდეს ცოდვის ორმოში (აქაც, როგორც ზემოთ, ისევ მისტიურ „ორმო-ხნარცვზეა“ საუბარი).

სათაურში კი პოეტი ჩვეულებრივ სთავაზობს მკითხველს, რომ სწორედ ისეთ ხალხურ კილოზე ე. ი. ქალ-კახეთის ჯვარობაზე რომ მღეროდნენ, შეასრულონ მისგან შეთხზული სასულიერო ხასიათის ლექსი (შდრ. აგრეთვე ლექსი: „ახა წმინდა კოპალეს“ სანაცლოდ სამღერალი“ და სხვ.).

მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს იგი ან რა იგულისხმება „ქალ-კახეთის ჯვარობაში“? (აქ რომ რაიმე უნებლიე ცთომილება არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ თვით ავტორის მიერ დართულ „ზანდუკში“ ასევე „ქალ-კახეთის ჯვარობაა“ დამოწმებული).

სამწუხაროდ, ამჟამად ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, მით უფრო, როგორც საკითხის შესწავლამ გაარკვია, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით „დავითიანი“ სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა (ისე კი ვინც „დავითიანს“ კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი ამ კუთხითაც გარკვეულ ინტერესს აღძრავს!).

მიუხედავად ამისა, მე მაინც გავუმჟღავნებ მკითხველს ზოგიერთ ვარაუდს. „ქალ-კახეთი“ იქნებ აწ დაკარგული ტოპონიმია ან უკეთ ხატის ადგილის სახელია საგურამოს (ისტორიული „ხერკის“), არაგვისპირისა ან ერწო-თიანეთის მხარეში, სადაც იმართებოდა ასეთი სახელწოდების წარმართული, ან ნახევრად წარმართული დღეობა, რომელსაც, ალბათ, დასწრებია კიდეც პოეტი (შდრ. „ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცვემდენ არ ავს ჯუბანსა“, სტრ. 324).

აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც: ყველაფრიდან ჩანს, რომ პოეტი ამ დღესასწაულს იგონებს მრავალი ათეული წლის შემდეგ შორეულ უკრაინაში. იქნებ აქ უბრალოდ გადასმულია შესიტყვების რიგი და

იგულისხმება „კახეთის ქალ-ჯვარობა“? ასეთი არც დღეობაა მოულოდნელი და არც ტოპონიმი. ხოლო ქალღვთაებასთან დაკავშირებული როგორც წარმართული, ისე ქრისტიანულად ტრანსფორმირებული კულტების შესახებ იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941, გვ. 6—34, აგრეთვე ქალთა სალოცავებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალები ს. მაკალათიას წიგნებში „ფშავი“, „ხევსურეთი“ და სხვ.

რაც შეეხება ამ ტიპის ტოპონიმს (ან ხატის ადგილს), ესეც გავრცელებული ჩანს საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, კი სწორედ საგურამოდან არც ისე შორეულ ადგილებში. მაგალითად, მთიულეთში დასტურდება ადგილის სახელები, რომლებიც მსგავს წარმოებას ამხელენ. მაგ. ქალთყანა სოფ. ჟოჟონთან, ქალციხენი სოფ. ყველიანთან, ქალთგორი სოფ. სეფესთან, (ეს მასალები მოგვაწოდა ენათმეცნიერმა გიგი ხორნაულმა), ასევე სულ ახლახან მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალ ნაწარმოებში „მთას დაუბრუნდა მთიელი“ თუშეთში დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი „ქალჯვარის ტყეები“ და ა. შ. სადაც თავდაპირველად ქალთა დამოუკიდებელი სალოცავების არსებობის გამო ჩნდებოდა მსგავსი სახელწოდებანი. [აღნიშნული წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოქანდაკე გოგი ოჩიაურმა ჩვენი ყურადღება მიაქცია სერგი მაკალათიას ერთ ცნობაზე, სადაც თუშეთში, ალატოვანი ხორხის გადაღმა დასტურდება ტოპონიმი „ქალჯვარი“. იხ. ს. მაკალათია, თუშეთი, 1933 წ., გვ. 215].

იქნებ ასეთი იმდროისათვის სახელგანთქმული „ქალჯვარობა“ იმართებოდა კახეთში, რომელიც ზემოაღნიშნული ფორმით შემორჩა პოეტის მეხსიერებას?

არის სხვა ვარაუდებიც. მათ შორის შესაძლოა, რომ აღნიშნულ ფრაზაში „ქალ-კახეთის ჯვარობა“ ნაგულისხმევია ქალების „სათქმელი“ სიმღერა: „ხმით ნატირლები“ ან მსგავსი რამ, რაც აგრეთვე საკულტო რიტუალების დროს სრულდებოდა. იქნებ მასვე მიუთითებდეს თვით სასიმღერო კილოც, რომელიც დადასტურებულია გურამიშვილთან („ყრმაჲ გონება უგუნური, აგონიარეო, თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიარეო“).

ასეა თუ ისე, ვფიქრობ, ამ საკითხით დაინტერესდებიან როგორც ქართულ ტოპონიმიკაზე, ისე ძველქართულ წარმართულ რიტუალებზე მომუშავე სპეციალისტები.

ამასთან, როგორც ზოგიერთმა დაკვირვებამ გვიჩვენა, „დავითიანის“ ყოველმხრივი შესწავლისათვის, იგი კი ამას ყოველმხრივ იმსახურებს, მომავლისათვის უფრო ფართო ხასიათის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო.

3) რამდენიმე შენიშვნა „დავითიანის" ტექსტოლოგიიდან

ყველაფრიდან ჩანს, რომ დავით გურამიშვილს თავისი ძირითადი თხზულებები მოგვიანებით შეუქმნია. ალბათ მას შემდეგ, როცა იგი 1759 წლიდან სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული საბოლოოდ დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. ალბათ წლების მანძილზე ბრძოლებსა და ტყეობაში თანდათან მწიფდებოდა ის დიდი პოეტური სათქმელი, რომელიც საბოლოოდ გამოიკვეთა „დავითიანის" ფურცლებზე. შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს იყო, ალბათ, ძალზე მტკივნეული მოლოდინი, რომელიც წინ უძღოდა „დავითიანის" საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

პოეტი ხელსაყრელ ვითარებას ელოდა, რათა ქაღალდზე გადაეტანა ყველაფერი, რაც ცხოვრების მიწურულს ჯერ კიდევ შემორჩა მის პოეტურ შთაგონებას, გამოეტანა პირუთვნელი მსჯავრი „მრუდი საწუთროს ჩალხის ტრიალის" გამო.

ანდერძნამაგის ტოლფას მის ერთ ლექსში „ამ წიგნის გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება" ძალზე მეტყველადაა გადმოცემული ეს მწველი შიში: „რაც დამრჩა, ვერ ესთქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა. ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა".

წიგნის ბედი ხშირ შემთხვევაში ავტორისას წააგავს. „დავითიანმა", შეიძლება ითქვას, რაღაც სასწაულებით გაიკვლია გზა. შორეული უკრაინიდან „დავითიანის" სამშობლოში ჩამოტანის პატივი, როგორც ვიცით ერეკლე მეორის ვაჟს, მირიან ბატონიშვილს ეკუთვნის.

მკითხველისათვის ნათელია, ალბათ, თუ რა კატასტროფა ელოდა გურამიშვილის შემოქმედებას, რომ მირიან ბატონიშვილს აღნიშნული ავტოგრაფი (მასშივე ჩართულ გურამიშვილისეულ ტექნიკურ გამოგონებებთან ერთად) დაღუპვისაგან არ გადაერჩინა. ამასთან ჩვენ არ გვექნებოდა „დავითიანის" თვით იმ მეორეხარისხოვან ნუსხათა უმეტესობა, რომელთაგან შედარებით სრული და უმჯობესი ისევ და ისევ ამავე ავტოგრაფიდან არიან გადაწერილნი.

ამჟამად დავით გურამიშვილის ათამდე შედარებით სრული გამოცემა არსებობს. მათ შორის მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევა 1931 წლის (ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით) და 1955 წლის გამოცემები (სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი. გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი ალ. ბარამიძე).

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ეს გამოცემა შუალობით თუ უშუალოდ ძირითადად აღნიშნულ ავტოგრაფულ ნუსხას ეყრდნობა.

1931 და განსაკუთრებით 1955 წლის გამოცემები აქა-იქ „დავითიანის“ მოგვიანო ნუსხების ვარიანტულ წაკითხვებსაც ითვალისწინებენ.

თუმცა „დავითიანის“ აკადემიური გამოცემის განხორციელებას მომავალში, ალბათ, კიდევ დიდი მუშაობა დასჭირდება. ეს აშკარად ცხადყო ქართველ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულმა ტექსტოლოგიურმა შენიშვნებმა (ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ს. იორდანიშვილის, კ. კეკელიძის, ვ. დონდუას, ივ. გიგინეიშვილის, ალ. ჭინჭარაულის და სხვ. მკვლევართა დაკვირვებები).

პოეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მზადდება პოეტის თხზულებათა ახალი გამოცემა, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ მკვლევართა შენიშვნებს. ამასთან გამოცემაში შეტანილია ზოგი ახალი ცვლილებაც, რომელთაგან აქ მოვიტანთ რამდენიმეს [იგულისხმება 1980 წელს „საბჭოთა საქართველოს მიერ გამოცემული გურამიშვილის თხზულებები. კრებული შეადგინა სარგის ცაიშვილმა, სარედაქციო კოლეგია: გრიგოლ აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, ელგუჯა მაღრაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩერქეზია, სარგის ცაიშვილი, შოთა ძიძიგური].

მაგრამ აქ წინასწარ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. მიუხედავად ზემოთქმულისა, რომ დღეს ჩვენ გვაქვს პოეტის ავტოგრაფი და „დავითიანის“ რამდენიმე არც თუ ურიგო ხელნაწერი, ტექსტის აღდგენას მაინც ეღობება სხვადასხვა ტიპის დაბრკოლება. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ძალზე მრავალფეროვანია პოეტის ენობრივი სამყარო. იგი, როგორც ზემოთაც ითქვა, მწიგნობრულისა და ხალხური, სასაუბრო მეტყველების მიჯნაზე იმყოფება. ეს თითქმის თანაბრად ეხება, როგორც მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურ ენობრივ მოვლენებს, ისე „დავითიანში“ გამოყენებულ ლექსიკას. პოეტის რიგი შემოქმედებითი თავისებურებანი, მისი სწრაფვა, რომ რთული, ფილოსოფიური ხასიათის ძიებები გამოხატოს სადა, საყოველთაოდ გასაგები ფორმებით, განაპირობებენ იმას, რომ ზოგჯერ მწიგნობრულ, სასულიერო მწერლობიდან მომდინარე ფორმებისა თუ ტერმინების გვერდით ბუნებრივად თანაარსებობენ ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებიდან შეთვისებული ენობრივი ფაქტები (რომელთა მეტი წილი, ბუნებრივია, პოეტის მშობლიური კუთხიდან, საარაგვოდან იღებს სათავეს). ამიტომ ტექსტის გააზრების დროს, მით უფრო, როცა ხელნაწერში შემთხვევითი ცთომილებაა, მკვლევარს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა ტექსტის აღდგენის დროს გაითვალისწინოს ეს სირთულეები.

დასტურად მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. გურამიშვილის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსში „ზუბოვკა“ დასკვნით სტროფებში მეორდება შემდეგი სტრიქონები:

ქვესკნე[ლ]სა ვარ, ვერა გხედავ,
მეგულვები ცადა,
გეჯვები, ნუ გამწირავ,
წაძღუანე მანდა!..

ავტოგრაფში ხაზგასმული სიტყვა წარმოდგენილია ასე „ქვესკნესა". „დავითიანის" გამომცემლებს სამართლიანად შეუმჩნევიათ, რომ აქ ცთომილებაა (ალბათ უნებური) და აღუდგენიათ იგი კვადრატული ფრჩხილების გამოყენებით. სიტყვიდან „ქვესკნელი" მიცემით ბრუნვაში გვექნება „ქვესკნელსა" და ასეც აღუდგენიათ იგი 1931 წლისა და 1955 წლის გამოცემებში. მართლაც, „ქვესკნელი" ძალზე გავრცელებული სიტყვაა და ასეც დასტურდება იგი ძველ, განსაკუთრებით სასულიერო შინაარსის ტექსტებში. აღსანიშნავია, რომ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი" სიტყვას „ქუესკნელი" სხვა ფორმით არ იცნობს. ეგევე ფორმა დასტურდება სულხან-საბასთანაც: „ქუესკნელი — ჯოჯოხეთი".

მაგრამ ირკვევა, რომ გურამიშვილთან გასათვალისწინებელია ზოგი სხვა მომენტიც. დიალექტურ მეტყველებაში, მათ შორის იმ კილოებში, რომლებიც ახლოსაა გურამიშვილის ენასთან, დასტურდება ამ სიტყვის პარალელური ფორმებიც: ქვესკნელი, ქვესკნეთი, ქვესკნი, რაც ტექსტის აღდგენის დროს აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში. მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. იმავე გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის" 31-ე სტროფში ასევე დიალექტური ფორმით და ასევე მიცემით ბრუნვაში სწორედ ზემოაღნიშნული სავარაუდო დაწერილობითაა იგი წარმოდგენილი:

არ ჩამოეხსნა კეკია ქარი,
სანამ არ ჩაძვრა ქვესკნეთს ზამთარი.

ასეთივე ფორმითაა ეგევე სიტყვა ლექსში „გალობა", რომელიც როგორც ავტოგრაფული ნუსხიდან ჩანს, პოეტის ერთ-ერთი გვიანდელი ნაწარმოებია და ზოგ სხვა ლექსთან ერთად საბოლოო რედაქტირების დროს არის ჩამატებული „დავითიანში". (ასევე დასტურდება გურამიშვილთან კვეცილი ფორმა ამავე სიტყვისა „ქვესკნი". იხ. 1955 წ. გამოც. გვ. 23, სტრ. 14, 4).

მაშასადამე, თუ აღნიშნული სიტყვის ავტოგრაფისეულ წაკითხვას „ქვესკნესა" უნებურ ცთომილებად ჩავთვლით და ეს, მართლაც, ასე ჩანს, მაშინ იგი უნდა აღვადგინოთ ისევე, როგორიც ნიშანდობლივია გურამიშვილის ენისათვის ე. ი. არა „ქვესკნელსა ვარ" არამედ ფორმით „ქვესკნე(თ)სა" ვარ, როგორც ეს „დავითიანის" ადრეულ გამოცემებშია. (შდრ. აგრეთვე „ქართლის ჭირის" 134-ე სტროფის პირველი

სტრიქონი: „ქვეყნად ძე მოკლეს უგბილთა, არ მამა ზესკნეთოვანი“ და ა. შ.).

მაგრამ არის რიგი შემთხვევები, როცა „დავითიანის“ ადრეულ გამოცემებში არასწორად მიუჩნევიათ ან უნებურ ცთომილებადაა ჩათვლილი ავტოგრაფის ესა თუ ის წაკითხვა. ასეთი არცთუ ცოტა შემთხვევა დასტურდება და ეს აღნიშნულია კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში. აქ მხოლოდ ასეთი ტიპის ერთ ახალ დაკვირვებას გავაცნობ მკითხველს.

„ქართლის ჭირის“ იმ თავში, სადაც ავტორი ქართველთა მიერ საცთურ გზაზე მიდრეკას აღნიშნავს, რაც ერთი უმთავრესი მიზეზი შეიქნა თავსდამტყდარ უბედურებათა, პოეტი დასძენს, რომ ყოველივე ამან ღვთის რისხვა გამოიწვიაო. 155-ე სტროფში ვკითხულობთ:

> მან ბრძენთა ბრძენმან რა ეს სცნა, ბრძანა აღება ხელისა,
> რისხვით გაშვება მის თემთა, გარდახდა საფარველისა,
> მ ი უ გ ო: რჯულთა გამრყვნელნო ახალისა და ძველისა!
> თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა!

ასე იკითხება ეს ადგილი 1931 და 1955 წლების გამოცემებში, მაგრამ ხაზგასმულ სიტყვასთან შენიშვნაა, რომელიც გვაუწყებს, რომ ავტოგრაფულ ნუსხაში დადასტურებული ყოფილა წაკითხვა „მოუგო“, რაც გამომცემელთ ასევე უნებურ ლაფსუსად მიუჩნევიათ.

მაგრამ. როგორც ჩანს, ავტოგრაფში ამ ადგილას ყველაფერი რიგზეა. აქ სიტყვა „მოუგო“ ძველი ქართულის კვალობაზეა წარმოდგენილი, როცა მნიშვნელობით გამიჯნული იყო „მოგება“ და „მიგება“ (შდრ. „სულხან-საბა“: „მოგება — პასუხის მოცემა“).

ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გურამიშვილი ზემოაღნიშნულ ეპიზოდში აშკარად ბიბლიურ თემას გადმოგვცემს და ლექსიკაცა და საერთოდ ენობრივი ფაქტურაც მწიგნობრული ხასიათის სტილისტური ნიშნებითაა აღბეჭდილი. მართლაც, სხვაგვარ ფორმებს არ იცნობს სახარება, მაგალითად „არას მოუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ?“ მარკოზ. 14, 69; „უკუეთუ გკითხო, ვერარაი მოიგოთ“, ლუკა, 22, 68 (ასევე სახარების გავლენითაა ამავე ეპიზოდში ხმარებული სიტყვა მოსპოლვა: „მოსპოლვად ყუედრებაი ჩემი კაცთა შორის“ ლ. 1, 25 და ა. შ.). ამდენად, არა მგონია აქ საჭოჭმანო იყოს, რომ უნდა აღდგეს ავტოგრაფული ხელნაწერის მართებული ფორმა. ზოგი ასეთი შემთხვევა, როგორც ითქვა, მითითებულია სხვა მკვლევართა მიერაც და, რასაკვირველია, ეს დაკვირვებანი უნდა აისახოს პოემის ახალ გამოცემაში (აისახა კიდეც 1980 წ. გამოცემაში).

„დავითიანის“ ჩვენს ხელთ არსებული ავტოგრაფული ნუსხა, როგორც ითქვა, მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებშია გასრულებული,

როცა პოეტი ღრმა სიბერეში იყო გადამდგარი. აკი წერს კიდეც: „ცალი თვალით ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედევდი. ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძლეო". 1931 და განსაკუთრებით 1955 წლის გამოცემათა მესვეურებმა ბევრი უნებლიე შეცდომა შეამჩნიეს და გაასწორეს კიდეც, დანაკლისი ასოები კვადრატული ფრჩხილებით აღადგინეს, ხოლო ზოგ შემთხვევაში დედნის მცდარი წაკითხვა სქოლიოში ჩაიტახეს, რაც მეცნიერული თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია.

მაგრამ ამ მიმართულებით ტექსტზე დაკვირვება შემდგომშიაც უნდა გაგრძელდეს. „დავითიანის" ზოგი ადგილი აშკარად დამახინჯებულია და სათანადო გაშიფვრას მოითხოვს. მხოლოდ ერთი მაგალითი „დავითიანის" უახლოეს გამოცემაზე მუშაობიდან (იგულისხმება 1980 წლის „დავითიანის" ზემოაღნიშნული გამოცემა):

„ქართლის ჭირში" 63-ე სტროფი იწყება სტრიქონით: „ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნაობ-ბინდობა"... ტექსტზე მუშაობისას ჩემი ეჭვი აღძრა კომპოზიტის „ნაობ-ბინდობა" პირველმა სიტყვამ. რას უნდა ნიშნავდეს აქ სიტყვა „ნაობ"? ეს კიდევ უფრო ცხადი შეიქმნა, როცა რუსულად ამ ადგილის პწკარედულ თარგმანზე მიდგა საქმე. 1955 წლის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებული არაა. ხოლო 1931 წლის ლექსიკონში სოლომონ იორდანიშვილს იგი ასე განუმარტავს: „ნაობ-ბინდობა" გავსება-კლება, დღის დადგომა და ღამის შემოსვლა". როგორც ჩანს იგი მკვლევარს კონტექსტის მიხედვით განუმარტავს, თუმცა ასეთი სიტყვა „ნაობი" ჩვენ ვერსად დავადასტურეთ. ფაქტია, რომ აქაც ტექსტის რაღაც უნებურ დამახინჯებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეს ჩემი ეჭვი გავუზიარე „დავითიანის" ახალი გამოცემის რედაქციის წევრსა და ლექსიკონის ავტორს ივანე გიგინეიშვილს, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ აქ, მართლაც, რაღაც უნებლიე ლაფსუსი უნდა ვიგულოთ. მანვე შემდეგში გამოთქვა, ჩემის აზრით, მართებული ვარაუდი: „ნაობ" ხომ არ არის სიტყვის „ნათობ" დამახინჯების შედეგი? ჩანს, „დავითიანის" ავტორს, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქ გამორჩენია ასო „თანი", რამაც სავსებით დაუკარგა სახე აღნიშნულ სიტყვას. მკვლევარის ვარაუდს სავსებით დაუჭირა მხარი შემდგომმა დაკვირვებამ. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს მთელი სტროფის მხატვრული სტრუქტურა: „ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნათობ-ბინდობა, ავდარობა თუ დარობა, ცის მოღრუბლვა და წმინდობა; ხან მოსწვავს ნამთა სიმცირე, ხან ალპობს ღვართა დიდობა, დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამად არა მაქვს მინდობა".

ბედის მუხანათური ცვალებადობა გურამიშვილს აქ კონტრასტული მხატვრული ხერხითა აქვს გადმოცემული. დაპირისპირებულ წყვილებს ქმნიან ნათელი და ბინდი, ავდარი და დარი, ღრუბლიანი და მოწმენდილი ცა, გვალვა და წვიმიანობა. ამდენად აქ თავდაპირველად, მართლაც უნდა ყოფილიყო სიტყვა „ნათობა“, რაც, როგორც ითქვა, დაპირისპირებულ წყვილს ქმნის სიტყვასთან „ბინდი“. ანალოგიური სახე — ფიგურა, სხვათა შორის, გურამიშვილს სხვა ადგილასაც აქვს: „ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰბია დღე ნათლიერი“, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ზემოთმოტანილი დაკვირვების მართებულობას. უფრო მეტიც, იმავე „ქართლის ჭირის“ 549-ე სტროფში დასტურდება სავსებით ანალოგიური ფრაზა: „ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია“. რასაკვირველია, ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ ახალ გამოცემაში კვადრატული ფრჩხილების წესით მაინც უნდა აღდგეს პოემის აშკარად დაზიანებული ადგილი.

ტექსტოლოგიური თვალსაზრისით „დავითიანის“ სხვა სირთულეთა შორის ცალკე აღსანიშნავია ე. წ. „მაჯამური“ გარითმვის წესით წარმოდგენილი სტროფები. მიუხედავად სინათლისა და სისადავისაკენ ბუნებრივი სწრაფვისა, „მაჯამათა“ სპეციფიკურობის გამო აქ მრავალგან ვპოულობთ ძნელად ამოსაშიფრ ადგილებს. ამ მიმართულებით კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ს. კეკელიძესა და სხვა ქართველ მკვლევარებს, რომელთა დაკვირვებების დიდი ნაწილი მართებული ჩანს და, რასაკვირველია, მათ ითვალისწინებს პოემის ზემოთაღნიშნული ახალი გამოცემა. ასევე ცალკე საკითხთა წრეს ქმნის „დავითიანში“ დადასტურებული პარალელურ ფორმათა სიუხვე („წყემსი“ და „მწყემსი“, „ხრმალი“ და „ხმალი“, „საწუთრო“ და „საწუთო“, „სიფთხილე“ და „სიფრთხილე“ და მრ. სხვ.). ორთოგრაფიული ნაირობა და მრავალი სხვა, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მისივე ეპოქისათვის დამახასიათებელი ენობრივი სიჩვრელით გამოირჩევა, ასევე მნიშვნელოვანია კომპოზიტთა დაწერილობის საკითხი, რომელთა უნიფიცირებაც ასევე აკადემიური გამოცემის მესვეურთა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

როგორც წინა წლების (განსაკუთრებით 1931 და 1955 წ.წ.), ისე ახალი გამოცემა, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ, რასაკვირველია, ნაწილობრივ თუ უპასუხებს „დავითიანის“ ტექსტოლოგიის ყველა საკითხს.

დავით გურამიშვილის თხზულებათა მეცნიერული თვალსაზრისით ყოვლისმომცველი აკადემიური ტექსტის გამოცემა ქართული ფილოლოგიის კიდევ ერთი აუცილებელი და საშური საქმეა.

1980 წ.

3. ღვაწლი ბესარიონ გაბაშვილისა

(შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

ბესარიონ გაბაშვილს ქართული ლირიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას თითქოს ბედმა არგუნა ეტვირთა ძველი ქართული მწერლობის ღირსება-ნაკლოვანებები და ყოფილიყო მისი უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი.

როგორც ცნობილია, XVI—XVIII საუკუნეები ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ძალზე რთული, მრავალი განსხვავებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური დინებებით აღსავსე ეპოქაა. ქვეყანა ამ ხანებში არაერთგზის მდგარა ეროვნული კატასტროფის წინაშე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენმა დიდებულმა მოღვაწეებმა მაინც გამონახეს სულიერი ძალები, რათა კვლავ განახლებულიყო შეწყვეტილი ინტელექტუალური ცხოვრება, გაღვივებულიყო ისტორიული ქარტეხილების გამო ნაცარწაყრილი განათლების კერა.

აღორძინებისათვის მართლაც რომ თავგანწირული ბრძოლა შეეხო ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს და, რა საკვირველია, პირველ ყოვლისა, ქართულ მწერლობას, რომელიც მტერთან მრავალსაუკუნოვან უთანასწორო ბრძოლაში ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე ირჩევდა დგომას.

სწორედ ამ ეპოქას ამშვენებს მთელი ხომლი ისეთი გამოჩენილი მწერლებისა, როგორიცაა თეიმურაზ პირველი და არჩილი, სულხან-საბა და ვახტანგ მეექვსე, გურამიშვილი და ბესიკი, ხოლო მათი სახელების ასე უბრალოდ ჩამოთვლა იმასაც კარგად ცხადყოფს, თუ რა მრავალმხრივი და ამასთან მაღალი რანგის მწერლობასთან გვაქვს საქმე ეპოქაში, რომელიც ჩვენში აღორძინების სახელითაა ცნობილი.

თუ არჩილმა და სულხან-საბამ სოციალურსა და ეთიკურ საკითხებზე დააფიქრა ქართველი მკითხველი, დავით გურამიშვილის ღრმად ინტელექტუალური პოეზია. ზოგადსაკაცობრიო სულიერ ძიებებთან ერთად უმთავრესად ეროვნულ ტკივილებს გამოხატავდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ჩვენი ხალხის ეროვნული სატკივარი ისეთი სიღრმითა და სიმძაფრით არავის წარმოუსახავს, როგორც ეს დავით გურამიშვილმა შეძლო.

ბესიკის პოეზია, რასაკვირველია, იცნობს ამ საკითხებს და რიგ შემთხვევაში მგოსანი ჩვეული პოეტური ძალით ამუშავებს კიდეც ამ თემებს. ამის დაუნახავობა აშკარა უსამართლობა იქნებოდა (ამის რეციდივები კი, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი იყო ჩვენში); მაგრამ მისი პოეზია მაინც უფრო სხვა მხრივ არის მიმართული. იგი სილამაზისა და ადამიანის მშვენიერ გრძნობათა დიდი მომღერალია. ბესიკს

არაჩვეულებრივად აქვს გამახვილებული სილამაზის, მხატვრული ფორმის გრძნობა. არტისტიზმი და სიტყვის ვირტუოზული დაუფლება მისი სტიქიაა, ხოლო პოეტის ლირიკული შედევრები სიყვარულის რომანტიკული განცდის შედეგია.

ამასთან, ბესიკს, როგორც პოეტს, ჰქონდა ერთი ისეთი ღირსებაც, რომელიც მის პოეზიას თავისებურ შნოსა და ლაზათს მატებდა: თავის ლექსებს მან თითქოს დაუბრუნა ძველი ლირიკის თვისებები და იგი კვლავ სიმღერა-მელოდიას დაუკავშირა. სხვათა შორის, ამ თვისებამაც განსაკუთრებით განაპირობა ბესიკის დიდი პოპულარობა მის თანამედროვეთა შორის. საკმარისია აქ გავიხსენოთ იოანე ბატონიშვილის სიტყვები: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოსი. მოშაირე — მჰსგავსი რუსთველისა, რომელმაც მრავალი საამო შაირი დასწერა“. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ „მან მრავალი შაირი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა... გააკეთა სხვათა და სხვათა ხმათა ზედან სიმღერისა ლექსები“, მაგრამ არსებითად ბესიკმა სრულიად გააქართულა სპარსულ-არაბული „მუხამბაზები“ თუ „მუსტაზადები“ და ახალი ფორმები შესძინა მშობლიურ პოეზიას. ბესიკის სახელი ერთგვარ მეტრად გადაიქცა მის თანამედროვეთა შორის და მას მიმბაძველების მთელი ზღვა აღმოუჩნდა. სამწუხაროდ, როგორც ეს საერთოდ ხდება, მიმბაძველთა ხელში დაკნინდა ბესიკის მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილი ლექსი და უხეირო, აღმოსავლური ორნამენტებით ზედმეტად დატვირთულ დარდიმანდულ „მონოლოგებად“ გადაიქცა.

რასაკვირველია, ამ მოვლენასაც ჰქონდა თავისი ღრმა მიზეზები. ბესიკთან ერთად ამოიწურა ძველი ქართული პოეზიის როგორც შინაარსი, ისე ფორმალური შესაძლებლობები. ძველი ქართული მწერლობის მასაზრდოებელი საფუძვლები ამ დროისათვის უკვე შერყეული იყო და ქვეყანა მნიშვნელოვანი ძვრების მოლოდინში იმყოფებოდა. ბესიკი, როგორც ითქვა, იყო ამ გარდამავალი დროით გამოწვეული ტკივილების უკანასკნელი დიდი მომღერალი და მისი შემოქმედების მთლიანობაში შეფასებისას ყოველივე ეს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს.

*
* *

ტიციან ტაბიძის პოეზიის მოყვარულთ, ალბათ, კარგად ახსოვთ მისი ცნობილი ლექსი „ქალდეას ქალაქები“, სადაც ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“. აქ გამოთქმულ აზრს

უეჭველად საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა ტიციანისა და, საერთოდ, „ცისფერყანწელთა“ ორდენის მესვეურთათვის. იგი აშკარად მიანიშნებდა მათ მცდელობას აღმოსავლური და დასავლური კულტურის სინთეზისა.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უმთავრესია ის ფაქტი, რომ ბესიკი ისეთ კონტექსტშია წარმოდგენილი, რომელიც აშკარად ავლენს ტიციანის თვალსაზრისს: ბესარიონ გაბაშვილი აღმოსავლური, კერძოდ კი, სპარსული ლირიკის ადეპტათაა დასახული ჩვენში.

ასეთივე შეხედულებები ბესიკზე ადრეც იყო გამოთქმული როგორც ქართველ მწერალთა მიერ, ისე ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაშიც. ბესიკის აშკარად გამოხატული მეტაფორული სტილი, პოეტური ორნამენტების სიჭარბე იქნებ მართლაც იძლევა საფუძველს ასეთი დასკვნის გამოტანისათვის, მაგრამ მისი პოეზიის უფრო ჩაძიებული „ჩხრეკა“, ჩემი აზრით, ბესიკის შემოქმედების სხვა მხარეებს წამოსწევს წინ.

მაგრამ ვიდრე მათ შესახებ ვიტყოდე ორიოდე სიტყვას, აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ აღმოსავლურთან კავშირს მეტწილად ბესიკის სატრფიალო ლირიკის სფეროში ხედავენ და ეს, ერთი შეხედვით, თითქოს მართებულიც ჩანს.

ლექსების ამ ციკლს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ პოეტისავე ცნობილი შედევრის „სევდის ბაღის“ სახელი. ამ ციკლის ლექსებია აგრეთვე „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა“, „ტანო-ტატანო“, „მე შეხმა ფიქრმა მიმარინდა“ და მრავალი სხვა. ისინი სხვადასხვა პოეტური ხერხით არიან შესრულებულნი, მაგრამ მათ აერთიანებს ამაღლებული სტილი და პოეტური მეტყველების ენერგიული პათოსი.

ლექსში „სევდის ბაღს შეველ“... უკვე პირველ ფრაზიდან მინიშნებულია, რომ აქ საუბარია პოეტურად გარდაქმნილ გარემოზე, სადაც ვარდ-ყვავილები მიჯნურისა და მისი მეგობრების მეტაფორული ეკვივალენტებია, ხოლო ლირიკული გმირი რაღაც იდუმალებით აღსავსე რომანტიკითაა გარემოსილი:

სევდის ბაღს შეველ შენაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავმომწონები,
ისარი მტყორცნა დასამონები...

მკითხველი დიდი მღელვარებით მიჰყვება ლირიკულ გმირს მშვენიერ, პოეტური სიმბოლოებით წარმოსახულ სამყაროში, ხოლო ასეთ განცდას აძლიერებს კიდევ ერთი მომენტი, რაც ბესიკის პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

მაგრამ აქ წინასწარ უნდა გავიხსენოთ შემდეგი: ქართული „აღორძინების ხანის“ ლირიკაში, როგორც წესი, სიყვარულის გრძნობა მისტიკური ჰვრეტის სფეროა. პოეზიაში წარმოსახულ სიყვარულს გამოცლილი აქვს კონკრეტულგრძნობადი მხარე. სატრფიალო ობიექტი მეტწილად რაღაც უხილავი, ხელშეუხები არსებაა, რომელიც ღვთაების ემანაციად (გამოსხივებად) ან კი თვით ღვთაებადაა წარმოდგენილი (ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, ნაწილობრივ — დავით გურამიშვილი და ა. შ.). მამუკას „ჰაშნიკში“ ასეთი შეხედულებაცაა ფიქსირებული: „მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიისა წმიდათა [ამბავი გალექსოს]“.

სიყვარულზე ასეთ შეხედულებას ჩვენს პოეზიაში ერთგვარი შემხვედრი წერტილები მოეპოვება საქვეყნოდ ცნობილ აღმოსავლურ, სუფიურ ლირიკასთან; პიროვნებათა შორის ნიადაგ ღმერთი დგას და სიყვარული უზენაესთან ამაღლების, მასთან თავდავიწყებული შერწყმის ერთადერთი გზაა. სპარსული ლირიკა, რომელიც თითქოს გვიხატავს წრეგადასული სიყვარულის ვნებიან სურათებს, ქვეტექსტით ყოველთვის გულისხმობს ღმერთთან მიახლების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღვთაებრივი თავდავიწყების გზების ძიებას. აქ ნიმუშად იკმარებდა მხოლოდ უდიდესი სპარსელი პოეტის ჯალალედინ რუმის (1207—1273) პოეზიის გახსენებაც კი. ამ პოეტის ლექსებში ხშირადაა საუბარი სიყვარულზე, ღვინოზე, თავდავიწყებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ მისტიკური ალეგორიაა.

ერთ ღაზელში (ლირიკული ლექსის სახეობა) სუფიური ტრფიალის კოდექსივით ჟღერს პოეტის სიტყვები: „სიყვარული — ზეცისკენ ლტოლვაა. მძაფრი, მრავალთ უმრავლესი კრეტსაბმელი გადაიხსნება. გზის სათავეში — სიცოცხლის გმობაა, ხოლო გზის ბოლოს — დაკარგული კვალი“. პიროვნულ არსებობაზე ხელის აღება, ეგზალტაციის გზით უმაღლესი ინტელექტუალური ჰვრეტა — აი, ამ პოეზიის უმთავრესი შემოქმედებითი კონცეფცია.

ჩვენშიც, კერძოდ — „აღორძინების ხანის“ ლირიკაში, როგორც ზემოთაც შევნიშნე, გვაქვს მსგავსი მისტიკური ჰვრეტით აღსილი პოეტური ქმნილებები. აკად. კორნელი კეკელიძემ სიყვარულის ასეთი თეორია დაუკავშირა კიდეც სუფიზმს, თუმცა, როგორც ახლა გარკვეულია, აქ უფრო გარეგნულ ანალოგიებზე თუ შეიძლება საუბარი, რადგან ასეთ მიმდინარეობას ქართულ მწერლობაში სხვა, კერძოდ, ქრისტიანული მისტიკის თეორიულ საფუძვლებზე აღმოცენებული შეხედულებები კვებავს (დაწერ. იხ. სარგის ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966 წ., გვ. 59—73).

ჩვენთვის ამ შემთხვევაში კი მთავარი მაინც სხვაა. საქმე ისაა, რომ ბესიკი თავისი შემოქმედებით ორივე ზემოაღნიშნული კონცეფციისაგან (სუფიური ლირიკა, ქრისტიანული მისტიკა) საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას.

„სევდის ბაღის“ ციკლის ლექსებში სიყვარული ყოველთვის გრძნობად — კონკრეტულ მხატვრულ სახეებშია წარმოდგენილი. მკითხველი უშუალოდ გრძნობს ისეთ ემოციურ ველს, რომელიც მიწიერ, ამქვეყნიურ ვნება-ღელვასთანაა დაკავშირებული, უფრო მეტიც, აქ ყოველ ნაბიჯზე ხელშესახებად იგრძნობა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს თვით ავტორის პოეტიზირებულ ბიოგრაფიასთან და, მიუხედავად ამაღლებული, მეტაფორული პოეტური ენისა, ეს მომენტი განსაკუთრებულ სიცხოველეს ანიჭებს ბესიკის ლექსებს.

ამავე ციკლში ბესიკს აქვს სხვა ინტონაციით შესრულებული ლექსებიც, რომლებიც მეტაფორული სიმბოლოების სანაცვლოდ წმინდა ლირიკული აღსარებით გამოხატავენ პოეტის განცდებს. ამ ლექსებში უშუალო მიმართვის ინტონაციები ჰარბობს: „მე შენმა ფიქრმა მიშარინდა, ჩაველ ჭირებსა: ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვჰგავ ნამჭირვებსა როდეს იქნება შემომხედო გულსა მწირებსა?“.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ძველი ქართული სატრფიალო ლირიკის შედევრი „ტანო ტატანო“. პოეტი აქ უკვე არღვევს ყოველგვარ პირობითობას და პირდაპირ აღწერს სატრფოს მშვენებას:

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!
ზილფო, კავებო, მომკლავებო, ვერსაკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო,
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთწამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

ამ ლექსში უშუალო, გრძნობად-კონკრეტული პოეტური გახცდა დიდ სიმაღლეს აღწევს. თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა იგი შექმნილი — მოულოდნელი სახეები ძვირფასი ქვებივით ელვარებენ და, მიუხედავად ფერთა სიჭარბისა, არსად არ უხეშდება ნატიფი პოეტური ქსოვილი.

მაგრამ აქვე შევნიშნავ იმასაც, რომ, სამწუხაროდ, ზოგი მკვლევარი ბესიკის პოეზიის ასეთ საგნობრიობას უკუღმართად ხსნიდა და მის ლექსებში ამაოდ ეძებდა ეროტიზმის კვალს. ანალოგიების ძიებათა მოჭარბებამ ბესიკის პოეზიას, სხვათა შორის, მეორე მცდარი „იარლიყიც“ მიაწება; ხშირად პარალელს ავლებენ ე. წ. ანაკრეონტულ პოეზიასთანაც. სხვას რომ თავი დავანებოთ, ბესიკის პოეზიისათვის უცხოა მსუბუქი, ფრივოლური გრძნობების აპოლოგია, მისთვის ასევე

უცხოა ღვინის კულტით გატაცება, რაც ძველი ანაკრეონტული პოეზიის ერთი უპირველესი ნიშანია.

როგორც ვნახეთ, ბესიკის ზემოაღნიშნული ერთი ციკლის ლექსები სხვადასხვა პოეტური ხერხითაა შესრულებული (მაგალითად, ერთი მხრივ, „სევდის ბაღს შეველ...“ და, მეორე მხრივ, „ტანო ტატანო“), მაგრამ მას სხვა თვისებებთან ერთად განსაკუთრებულად აკავშირებთ ერთი ნიშანი: მძაფრი დრამატიზმი. ბესიკის ლირიკული გმირი რეალური სიყვარულითაა გატაცებული, იგი არ არის აღმოსავლური ტიპის მჭვრეტელი, პასიური აღქმის მიჯნური, იგი აშკარად დრამატიზებული სახეა, რაც ფორმის მხრივ ვლინდება ლირიკული გმირის ენერგიულ პათოსში. მონოლოგი ამაღლებული, მძაფრი ტონისაა, მიუხედავად იმისა, ფინალი ოპტიმისტურია თუ უიმედო. დრამატული სიმძაფრე ბესიკის სატრფიალო ლირიკის ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა, რაც მის პოეზიას განასხვავებს აღმოსავლური ლირიკის ნიმუშებისაგან და განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს საერთოდ „აღორძინების ხანის“ ქართულ მწერლობაში.

ამდენად, თვით ბესიკის სატრფიალო პოეზიის ნიმუშებზე დაკვირვება აშკარად ცხადყოფს, რომ აღმოსავლური, კერძოდ კი, სპარსული ლირიკის ზეგავლენა ბესიკის შემოქმედებაზე უფრო ფორმისმიერ დონეზე ვლინდება; როგორც იდეურ-თემატური, ისე პოეტური კონცეფციის თვალსაზრისით ბესიკი აშკარად თავისთავად მხატვრულ სამყაროს ქმნის, რომელიც უპირატესად ეროვნულ ძირებთანაა დაკავშირებული.

ამ უკანასკნელ დებულებას განამტკიცებს ბესიკის შემოქმედების უბრალო მიმოხილვაც. გავიხსენოთ მისი ცნობილი პოემები „ასპინძისათვის“ ან „რუხის ომი“, რომლებშიც მხატვრულად წარმოსახულია ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის სურათები თუ ქართველ ტომთა ერთიანობის მაღალი შეგნება. ამ ხანის ქართველ განმანათლებლებთან ბესიკს აკავშირებს აშკარად გამოხატული დემოკრატიზმიც; პოეტი უბრალო ადამიანთა, მდაბიოთა წრის ცხოვრებით დაინტერესებას ამჟღავნებს („რძალ-დედამთილიანი“) და ა. შ.

ასევე აახლოებს ბესიკს „აღორძინების ხანის“ ქართველ მწერლებთან აშკარად გამოხატული ტრაგიკული პათოსი: „გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა, დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად...“ ეს დრამატიზმი, რომელიც მის სატრფიალო ლირიკაშიც იჩენს თავს, მარტო მისი პოეტური ენის თვისება როდია: ამ დრამატიზმს, მოვლენებთან გამძაფრებულ დამოკიდებულებას უეჭველად აქვს თავისი ღრმა საფუძვლები. პოეტი სოფელს უსამართლობას, გაუტანლობას უსაყვედურებს. მოვლენებისადმი ჩაღრმავებული, გარკვეული თვალსაზრისით ფილოსოფიური მიდგომა ხშირად აყვანილია

განსჯის დონეზე და სწორედ ამ ნიშნით ბესიკის ლირიკა სძლევს ვიწრო, ერთი განზომილების მქონე ჩარჩოებს: „რაც მიირეწა სოფელმან, ვერღა დავსთვალე ჰამრითა... მისი სიმწარე ყოველი გულს გარდამრთხძიან კაძრითა“. ხოლო სხვა ლექსში პოეტი პირდაპირ გვიმჟღავნებს საწუთროსადმი თავის დამოკიდებულებას: „ვარ უცხო ვინმე ყარიბი, ამა სიტყვისა მხმობელი, ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი“. აქ სიტყვა უნდა მივცეთ ჩვენი ძველი მწერლობის უბადლო მცოდნეს აკად. კორნელი კეკელიძეს: „ეს ყველაფერი არაა უბრალო, უშინაარსო დეკლარაცია, ამონაკვნესი გრძნობა — დაუკმაყოფილებელი შეყვარებული პოეტისა. კაცი, რომელიც ხედავდა თავისი ქვეყნის სოციალურსა და პოლიტიკურ რღვევას, რომელიც იძულებული იყო მისთვის საიმედო მზრუნველი ეძებნა ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, სხვას ვერას იტყოდა თუ არა:

ოი, სოფელო, პირდამყოფელო!
ოი, დრკუო, ცრუო, ოი, მრუდო, ცუდო!
ოი, შენსა პირსა, ვინ ეტრფის, ტირსა!
ჰაი, ჰაი, გიცან, ოი, ეშმაკო ზღუდო!

სინამდვილესთან ამგვარი დამოკიდებულებით ბესიკი ძალიან ჰგავს „აღორძინების ხანის“ სხვა პოეტებს, რომელთა შემოქმედება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთიანი გოდების ხმაა. ეროვნული ტკივილები მეტწილად მათ პირად უბედობას ემატებოდა, რაც სწორედ იმავე ხანებში ასე შთამბეჭდავად გამოხატა ასეთივე ტრაგიკული ბიოგრაფიის პოეტმა დავით გურამიშვილმა: „მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს... ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამომთხრელს, ამამბზარავს“. ცალკეულ თავდადებულ მოღვაწეთა ცდები ამაო იყო. თითქოს არც კი ჩანდა გზები ისტორიის ბედუკუღმართობის დასაძლევად... ბესიკი მთელი თავისი შემოქმედებით საქართველოს ისტორიაში ამ მღელვარე ეპოქის მხატვრულ მემატიანედ გვევლინება.

*
* *

აღორძინების ხანის მწერლობაში ბესიკი ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ხმის პოეტია. გზადაგზა ჩვენ ვახსენეთ ბესიკის პოეზიის ზოგი თავისებურება, თუ რა ახლოებს მას აღმოსავლურ პოეტიკასთან, ან — შემოქმედებითი კონცეფციით რამდენად დაკავშირებულია იგი ეროვნულ ძირებთან. რაც შეეხება პოეტურ ენას, იგი მსჯელობისათვის დიდ მასალას იძლევა. ჭარბ ორნამენტულ ქსოვილთან ერთად მისი საუკეთესო ლექსების უპირველესი ნიშანი კომპოზიციური დახ-

ვეწილობაა. მართლაც, კომპოზიციის გრძნობა ბესიკს ძალზე გამახვილებული აქვს. რასაკვირველია, აქ უნდა გვახსოვდეს, რომ კომპოზიციას არ განსაზღვრავს პოეტის მიერ შერჩეული ესა თუ ის საზომი ან ლექსთწყობის რომელიმე სახე. ლექსის კომპოზიცია, უწინარეს, პოეტის შინაგან სამყაროში იღებს სათავეს და ერთიან სახეში თუ ლირიკულ ამღერებაში ვლინდება. ყოველი ჰეშმარიტი პოეტური ნაწარმოების კომპოზიცია სახეთა მთლიანობასა და მხატვრული განცდის ერთიან გადაწყვეტას გულისხმობს. ამ მხრივ ბესიკის ლექსები სამაგალითო ოსტატობის ნიმუშად შეიძლება დაისახოს.

პოეტის ლირიკული შედევრის „სევდის ბაღს შეველ“... კომპოზიციური მთლიანობა მთავარ სახეს უკავშირდება. ლექსის მთავარი სახე კი აქ უზომოდ შეყვარებული მიჯნურია, რომელიც უცხო წალკოტში შებრალებას ითხოვს განრისხებული სატრფოსაგან. ხოლო მთელი ამ პოეტური სურათის სახეთა სისტემა, მეტაფორათა უჩვეულო გრადაცია მთავარი სახის, რომანტიკული გმირის ბუნების გახსნას ემსახურება. ასეთივე კომპოზიციური ერთობა ახასიათებს „სევდის ბაღის“ ციკლის სხვა ლექსებს, თუმცა, ისინი, როგორც ითქვა, განსხვავებული პოეტური ინტონაციებით არიან ამეტყველებულნი.

ბესიკი არაჩვეულებრივად ფლობს პოეტურ სემანტიკას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრით ძველ ქართულ პოეზიაში იგი რუსთველის ერთი ღირსეული მემკვიდრეა. ბესიკი ძირითადად მეტაფორული სტილის პოეტია და ამ თვალსაზრისით საკმარისადაც არის დავალებული თავისი დიდი წინაპრისაგან; მასთან არცთუ იშვიათად გვხვდება რუსთველური „მელნის ტბა“, „გიშრის ტევრი“ თუ ნაცნობი ასტრალური სახეები, მაგრამ ამასთან ბესიკი ახალ აღმოჩენებსაც გვთავაზობს. დღეს ბესიკის სახელითაა ცნობილი ისეთი მეტაფორები, როგორიცაა იგივე „სევდის ბაღი“, „ცრემლთა ისხარნი“, „შავნი შაშვნი“ (თვალები) და ა. შ. ბესიკი მეტაფორასთან ერთად ხშირად მიმართავს რუსთველთან შედარებით ნაკლებად გამოყენებულ პოეტურ ხერხს — პირდაპირი სახის შედარებებს: „შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულ მთვარეს“; განსაკუთრებით დამახასიათებელია უარყოფაზე აგებული გაშლილი შედარება: „შვიდნი ციურნი მოციმციმედ, არ შეგადარე“. ამ შემთხვევაში პოეტი ახლოს დგას უბრალო, ქალაქურ პოეზიასთან, რომელიც იმხანად თბილისში საკმარისად იყო ფრთაგაშლილი. ასევე ლაღად, უბრალო სასაუბრო კილოზე აგებდა სათქმელს თბილისის ამუღური პოეზიის ფალავანი საიათნოვა: „ნეტა არ დაღამდე, რა კარგი დღე ხარ“.

ბესიკმა კარგად იცის პოეტურად მიგნებული სიტყვის ძალა. თავის ადგილას ჩასმული, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სიტყვა სრულიად მოულოდნელ მხატვრულ ეფექტს ქმნის. ბესიკი სიტყვის, მხატვრული

ფრაზის ჰეშმარიტი ოსტატია და მისი ლექსებიდან ზოგი ადგილი განუმეორებელი მშვენებით ბრწყინავს: „ჰაერი ცივნამიანი, ჩემთვის აღარა მზიანი“...

სიტყვის ვირტუოზული ფლობა ალიტერაციათა გამოყენებაშიც ჩინებულად ჩანს. თავი რომ დავანებოთ მის „ანბანთქებებს“, სადაც ალიტერაცია თვითმიზანია, ბესიკის სხვა ლექსებიც დატვირთულია მოხდენილი ბგერწერით. ცნობილი ლექსი „ტანო ტატანო“ ალიტერაციული მეტყველების ერთ-ერთი დიდებული ნიმუშია; მხატვრულ ეპითეტთა საოცარ წყობასთან ერთად პოეტურ სურათს აძლიერებს ბგერათა არაჩვეულებრივი შეხამება: „ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო, ზილფო, კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო“, ან „ვაჲ, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო“.

როგორც ჩანს, ბესიკმა შემოიღო და დაამკვიდრა ჩვენში რამდენიმე ახალი საზომი. საქმე ისაა, რომ „აღორძინების ხანის“ მწერლობამ საბოლოოდ მაინც დაძლია ეპიკური პოემებისათვის შესაფერი საზომების ბატონობა და გზა გაუკაფა საზომთა მრავალფეროვნებას. როგორც მოსალოდნელი იყო, ბესიკმაც შეიტანა თავისი წვლილი ახალი ქართული ლექსის აღორძინებაში. მის სახელს უკავშირდება, მაგალითად, თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის ერთი მეტად საყურადღებო სახეობა, რომელიც ჩვენს მწერლობაში ბესიკურის სახელითაა ცნობილი. ლექსის მეტრული სქემა ასეთია: 5+4+5 (ტანო ტატანო+გულწამტანო+უცხოდ მარებო). ამ საზომმა შემდგომში დიდი გავრცელება ჰპოვა: თოთხმეტმარცვლიანი, ბესიკური საზომითაა დაწერილი შემდეგში ისეთი ლირიკული შედევრები, როგორიცაა ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“, გრ. ორბელიანის „ჩემს და ეფემიას“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური „მერანი“. ბესიკმა პირველმა გამოიყენა აგრეთვე 19 მარცვლიანი ახალი საზომი ლექსში „ცრემლთა მდინარე“.

ასეთივე კანონიზატორად გვევლინება ბესიკი ქართული ლექსის სტროფიკის დარგშიც. XVIII საუკუნეში ჩვენში დიდი გავრცელება ჰპოვა ე. წ. მუხამბაზურ-მუსტაზადურმა საზომებმა. როგორც ახლა ცნობილია, ზოგი ამგვარი სპარსულ-არაბული საზომი ჩვენში აზერბაიჯანის გზით შემოსულა და საქართველოში მათ გარკვეული სახეცვლილებები განუცდიათ. ბესიკის ავტორიტეტმა განსაკუთრებით განამტკიცა მომდევნო ხანის პოეზიაში მუხამბაზური საზომების გავრცელება. ბესიკური მუხამბაზის ტიპია, მაგალითად, ლექსები „ცრემლთა ისხარნი“, „მე შენი მგონე“ და ა. შ. თოთხმეტმარცვლიან ამ ლექსებს (5+4+5) აქვთ აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი გარითმვის წესი. პირველი სტროფი (ხუთ ტაეპოვანი) ერთ რითმაზეა გაწყობილი, რაც მეორდება სხვა სტროფების ყოველ მეხუთე ტაეპში.

ამასთან, როგორც ზევითაც ითქვა, ბესიკის ლექსები, აღმოსავლური ლირიკის ზოგი სახეობის კვალობაზე უეჭველად იმღერებოდა.

ბესიკის პოეზიამ განუზომელი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე მწერლობაზე. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ბესიკის დიდი პოეტური სახელი შემდეგაც ცოცხლობდა. ცნობილი ქართველი რომანტიკოსი ვახტანგ ორებლიანი სასოებით იგონებდა „სევდის ბაღის“ ავტორს ერთ თავის ლექსში: „აქა ისმენდნენ ბესიკისა ხმასა ციურსა“. ხოლო გიორგი ერისთავისდროინდელ ქართულ ლიტერატურულ სალონებში ეჭვსაც კი გამოთქვამდნენ, გამოუჩნდებოდა თუ არა ბესიკს ღირსეული მემკვიდრე: „ბესიკის ნაცვლად ვინ არისო, ვთქვათ, მომღერალი“.

ეს ეჭვი გააქარწყლა ქართული პოეზიის განვითარების შემდგომმა მსვლელობამ. ამის პირველი მაცნეები დიდი ქართველი რომანტიკოსები იყვნენ. მომდევნო ხანებში პოეტურ ღირებულებათაგან ბევრი რამ გადაფასდა, მაგრამ ბესიკის პოეტური წვლილი მარადჟამს დაიკავებს თავის ადგილს ჩვენი მწერლობის სახელოვან ისტორიაში.

1983 წ.

4. ფილოლოგიური შენიშვნები

ა) „პირველითგან იყო სიტყვაი...“

სალიტერატურო ენას მწერლობა ჰქმნის, მაგრამ ამასთან ისიც ხომ ფაქტია, რომ იშვიათია, ალბათ, ქართველი მწერალი თუ ლიტერატურის მკვლევარი, რომელსაც განსაკუთრებული ინტერესი არ გამოეჩინოს ქართული სიტყვის დაფარული შრეების მიმართ. ამითაც ისინი მხარში უდგანან ჩვენს სახელოვან ენათმეცნიერებს, რომელთა მიღწევები საერთოდ, კერძოდ კი, ლექსიკოლოგიის დარგში საყოველთაოდაა ცნობილი.

ქართული სიტყვის საიდუმლო წიაღში არაერთი საგულისხმო ექსკურსი ეკუთვნის მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძესა და დემნა შენგელაიას, ლევან გოთუასა და გიორგი შატბერაშვილს. რად ღირს თუნდაც მარადსახსოვარი მწერლისა და ეთნოგრაფის თედო სახოკიას ღვაწლი. მკითხველს გაახსენდება, ალბათ, მისი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რომელიც სამტომეულის სახით პირველად 1950—1955 წლებში გამოქვეყნდა.

ძველ-ქართულ ძეგლთა თუ თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე მუშაობის პროცესში, საერთოდ, ყოველდღიურ სასა-

უბრო ენაზე დაკვირვების ჟამს, ალბათ, ყოველ ჩვენთაგანს დაჰბადებია კითხვა რომელიმე სიტყვასთან დაკავშირებით. ზოგჯერ ვისმენთ და ჩვენ თვითონაც ჩავურთავთ ხოლმე საუბარში ამა თუ იმ გავრცელებულ ფიგურალურ გამოთქმას, მაგრამ შესაძლოა არც კი ვიცოდეთ, თუ რა უდევს მას საფუძვლად, ან რამ გამოიწვია გამოთქმის ასეთი სახით დაკრისტალება.

წლების მანძილზე გროვდება ასეთი საკითხები. ზოგი მათ მეხსიერებით ინახავს, ზოგი კი, ალბათ, ისევე, როგორც ამ სტრიქონების ავტორი, უბის წიგნაკს ანდობს ასეთ დაკვირვებებს.

ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოჩნდება, რომ მათი რიცხვი არც თუ ისე მცირეა. ქვემოთ, რასაკვირველია, დიდის მოკრძალებით მკითხველს შერჩევით ვთავაზობთ რამდენიმე დაკვირვებას. ზოგი მათგანი ეხება ცალკეულ სიტყვასა თუ გამოთქმას, ხოლო ზოგი საკუთარ სახელთა ამოხსნის ეტიმოლოგიური ხასიათის ცდას წარმოადგენს.

ბ) რას ნიშნავს გამოთქმა „ჰერის ახდა“

მკითხველი დამეთანხმება, რომ იგი, მართლაც, ერთ-ერთ ძალზე გავრცელებულ გამოთქმათა რიგს მიეკუთვნება. საერთოდ, ასეთი გამოთქმა მხიარულებას, საზეიმო თავყრილობას აღნიშნავს, განსაკუთრებით კი დაკავშირებულია მიცვალებულის მოხსენიების ერთ-ერთ უმთავრეს რიტუალთან. „ჰერის ახდა“, მეტწილ შემთხვევაში, წლისთავის ტოლფასი ცნებაა და გლოვის დამთავრების ნიშანს გამოხატავს.

შესიტყვების აზრი, მით უფრო, ფიგურალური გამოთქმის დონეზე, თითქმის ყველასათვის ნათელია. მაგრამ კითხვები სხვა კუთხიდან ისმის. მაინც რატომ დაუკავშირდა „ჰერის ახდა“ მიცვალებულის ხსენების ზემოაღნიშნულ რიტუალს? რომელ, აწ ჩვენთვის დაფარულ, რიტუალური აქტის აღსრულებას გამოხატავდა იგი? ხოლო შემდეგ კი, როგორც ვხედავთ, მყარ, ფრაზეოლოგიურ გამოთქმად შემორჩა იგი ჩვენს თანამედროვე მეტყველებას. ირკვევა, რომ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა არც თუ ისე იოლი საქმეა, და ვგონებ, არც არავის უცდია იგი.

მაგრამ ვიდრე საკუთარ ვარაუდს შემოგთავაზებდეთ, ურიგო არ იქნება ამ თვალსაზრისით ლექსიკონებსაც გადავავლოთ თვალი. ძველ ლექსიკონებში (მათ შორის, უწინარეს, სულხან-საბასთან) ასეთი გამოთქმა არაა დადასტურებული და მით უფრო არც ახსნილი. რატომღაც არ იცნობს მას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც“, თუმცა „ჰერთან“ დაკავშირებით აქ არა ერთი შესიტყვება და მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქმაა მოტანილი. ფიგურალურ გამოთქმათა

რიგში, მაგალითად, ნახსენებია „ჭერის გახარება“, „ჭერის გაცინება“ სათანადო საილუსტრაციო მასალითურთ, მაგრამ ცალკე გამოთქმაზე „ჭერის ახდა“ აქ არაა საუბარი.

მე მხოლოდ შემთხვევითობას უნდა მივაწერო ის ფაქტი, რომ ეს შესიტყვება არაა აგრეთვე წარმოდგენილი ისეთ შემაჯამებელი ტიპის საცნობარო ლექსიკონში, როგორიცაა ალ. ღლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“.

ყველაზე ვრცლად, თანაც, ეტიმოლოგიური შენიშვნების დართვით, აღნიშნულ გამოთქმაზე ჩერდება „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათას“ ავტორი თედო სახოკია. საკითხის ინტერესის გამო მოვიტან შედარებით ვრცელ ნაწყვეტს ამ ლექსიკონიდან: „ჭერის ახსნა“ — პრდ. სახლის ჭერის აშლა. ხტვ. ხმამაღალი მხიარულება, დიდი სიცილ-სიხარული. (მოტანილია სათანადო საილუსტრაციო მასალა ვასილ ბარნოვისა და სოფრომ მგალობლიშვილის თხზულებებიდან).

ქართლში მიცვალებულის წლის წირვაზე, — ნათქვამია შემდეგ ლექსიკონში, — მეზობლებს სადილს გაუმართავდნენ. სუფრაზე დასხდომისას ოჯახის უფროსი კაცი წამოდგებოდა და დამსწრეთ მიმართავდა: „აბა, ჭერი ავხადოთო! ამით ანიშნებდა ყველას: გვეყო გლოვა, ახლა ვიმხიარულოთ... გავაცინოთ ჭერიო! დამსწრენიც სამხიარულოს შემოსძახებდნენ: „იხარე, ჭერო, მოჰკვდი, მტერო“...

ეტიმოლოგია ამ თქმისა — დასძენს ბოლოს ლექსიკონის ავტორი — ასეთი უნდა იყოს. ჩვენებური სახლი, განსაკუთრებით გლეხისა, უფანჯრო იყო. ასეთი სახლიდან ხმა გარეთ რომ გამოსულიყო და სხვებსაც გაეგოთ მოქეიფეთა, „ჭერის ამხდელთა“ ღრეობა, უნდა ჭერი ახდილიყო. ძველად შეიძლება მართლაც ახდიდნენ ხოლმე ჭერსა...

ვიდრე ვიტყოდე, მართებულად მიმაჩნია თუ არა ზემოთმოტანილი ახსნა, მხოლოდ შევნიშნავ, რომ „ჭერის ახდის“ დაკავშირება ოდენ მხიარულებასთან მაინც მეორეული ჩანს და იგი, უწინარეს, ისევ და ისევ წლისთავის რიგს უნდა აღნიშნავდეს. სხვათა შორის, ამასვე ადასტურებს აგრეთვე სულ ახლახან გამოქვეყნებული ძალზე საყურადღებო ლექსიკონის მასალებიც (იხ. „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“, შემდგ. თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე).

აღნიშნულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ჭერს ახდიან — ოჯახის წევრის გარდაცვალების წლისთავზე, იმღერებენ გლოვის შეწყვეტის ნიშნად: „ეგენი როდიღა გლოვობენ, ჭა, უკვე ჭერი ახადეს (კავთისხევი)“. „ჭერის ახდა“ — წლისთავი რომ გახდება, გამართამენ წლისთავის წირვასა და თან იმხიარულებენ, კიდეც იმღერებენ, კიდეც ითამაშებენ, მაგას ეტყვიან ჭერის ახდასა (კავთისხევი)“.

მართლაც, წარმოდგენილი მასალები კიდევ ერთხელ მიგვანიშნებენ, რომ „ჭერის ახდა“ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული

გამოთქმა იყო. მაგრამ მის ასახსნელად ნაკლებ გასაზიარებელი ჩანს თედო სახოკიას ზემოთმოტანილი ვარაუდი. არ არის ნათელი, თუ რატომ ან რისთვის უნდა აეხადათ (აეშალათ) ასეთ დროს ჭერი. ასეთი ვარაუდი მით უფრო საჭიროა, რომ ასეთ რიტუალს, როგორც სპეციალური ლიტერატურის გაცნობა ადასტურებს, ქართული ეთნოგრაფიული ყოფა არ იცნობს.

საძიებელ გამოთქმაში სხვა რამ აზრი უნდა იმალებოდეს. იქნებ დროთა ვითარებაში, როგორც ხდება ხოლმე, სიტყვებმა იცვალეს ფერი ან მივიწყებული, ძნელად გასაგები სიტყვები უფრო ნაცნობმა სიტყვამ თუ გამოთქმამ შესცვალა. ასეა თუ ისე, იგი მეტ დაფიქრებასა და ჩაძიებულ ყურადღებას მოითხოვს.

ერთი რამ ამთავითვე ცხადია. გამოთქმა, როგორც აღვნიშნეთ, უწინარეს, მიცვალებულის სულის საოხად გაწეულ რიგს, ხარჯს უკავშირდება. იგი, მართლაც, ძველი და მყარი ტრადიცია ჩანს და ჩვენი ხალხის ერთ-ერთ განსაკუთრებულ თვისებათა წყებას განეკუთვნება. თუნდა ვალებში ჩავარდეს, მაგრამ ოჯახმა მიცვალებულის გაპატიოსნებას არაფერი არ უნდა დააკლოს. ეს იყო, მით უფრო ღარიბი ოჯახისათვის, მძიმე, მაგრამ წმიდათაწმიდა მოვალეობის აღსრულება. ყველაზე საძნელო წლისთავის ხარჯის გაწევა იყო. ვაჟა-ფშაველა ერთ თავის დიდებულ ეთნოგრაფიულ მოთხრობაში ასე ამთავრებს, როგორც მთაში იტყოდნენ, „წელთაობის“ მხატვრულ სურათს: „კარახელის ოჯახმა, მისმა ცოლ-შვილმა დიდი. მძიმე ტვირთი მოიგდებინა ზურგიდან, ფრიად საშიშარ, უძლეველ მტერთან ომი გადაიხადა. ეს მტერი, ეს ტვირთი თვით ჩვეულებაა, და გამარჯვებულიც გამოვიდა მტერს სძლია. ყველანი თავისუფლად, თითქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედნიერად ჰგრძნობდა თავს მეორეს დღეს, რომ თავიანთი მოვალეობა სრულიად უკლებლივ აასრულეს“...

ხოლო „წელთაობა“ ბოლოს და ბოლოს მაინც გლოვის დამთავრების, აღების რიტუალი იყო და აკი დადასტურებულიცაა ეს საძიებელი გამოთქმის („ჭერის ახდა“) მეორე ნაწილში. სხვაგვარად, მაგრამ იგივე აზრია გამოთქმული ერთი ხევსურული დალოცვის სიტყვებში, რომლებიც ასევე წლისთავთან დაკავშირებით ითქმოდა: „სამგლოვიარო ღმერთმა აგხადოსთ, მარხე ნუღარ მოგცეს, ნურც თავის სახლში და ნურც და-ძმა მოკეთეშიო“. სერგი მაკალათიას აღწერით, ასევე ნიშნად გლოვის დამთავრებისა ხევსურეთში დადასტურებულია მიცვალებულის „ტალავრის აბერტყვა“, რაც ანალოგიური რიტუალის კიდევ ერთი თავისებური სახეობაა („ხევსურეთი“, გვ. 214—215).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა თვით ამ სიტყვის „ახდა“ ძველი მნიშვნელობაც. იგი აღებას, ახდას, მოცილებას ნიშნავს

(შდრ. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, იხ. აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანთან: „აღჯდა — საფარველი აიღო“).

ბოლოს კი მაინც უნდა დავუბრუნდეთ საძიებელი გამოთქმის პირველ ნაწილს. მართლაც რა შუაშია ამ შემთხვევაში „ჰერი“? „ჰერი“ ძველი ქართულით ნიშნავს მრგვალ, შედარებით წვრილ მორებს, რომლებსაც მიჯრით აწყობდნენ და ამით ზემოდან სახურავს ტიხრავდნენ ოთახისაგან. ამიტომაც შეერქვა მას შემდეგ „ჰერი“ (შდრ. ნიკო ჩუბინაშვილი: „ჰერი“ — სართული სახლისა შიგნიდან, потолок; აგრეთვე ალ. ჭინჭარაული: „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“). სხვათა შორის, ქვემო იმერულ დიალექტში შემონახული სიტყვა „ჰერული“ მრგვალი მორებისაგან აგებულ ძელურ სახლს ნიშნავს (შდრ. მეგრული „ჯარგვალი“, რაც ზუსტად ასეთივე ტიპის ნაგებობას ეწოდება).

ყველაფერი ეს მართლაც ასეა, მაგრამ „ჰერის“ არც ერთი ეს მნიშვნელობა ვერ შიფრავს საძიებელ გამოთქმას და არც წლისთავის ზემოთაღნიშნულ რიტუალში შეაქვს რაიმე სიცხადე.

როგორც ჩანს, მე ამაში ექვი აღარც მეპარება, ამ სიტყვის („ჰერი“) ძირმა დგას მასთან ფონეტიკურად ახლო მდგომი სიტყვა „ჰირი“. ხოლო თვით ამ გამოთქმის თავდაპირველი სახე იქნებოდა არა „ჰერის ახდა“ არამედ „ჰირის ახდა“. რაც შეეხება თვით ასეთი შენაცვლების მიზეზს, ამასაც, ვფიქრობ, მოეპოვება თავისი ახსნა.

სიტყვა „ჰირმა“ დროთა ვითარებაში სხვა მნიშვნელობებიც შეიძინა, მაგრამ ოდითგან იგი უბედურებას, მწუხარებას ნიშნავდა მეტწილად. მართლაც, ასეა იგი განმარტებული ზემონახსენებ ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც: „ჰირი — მწუხარება, სალმობა, ტკივილი“ და ა. შ. (შდრ. სულხან-საბა ორბელიანი: „ჰირი — ბოროტი და ავი ედვას“).

„ჰირი“ სწორედ გარდაცვალების გამო აღძრულ მწუხარებას, ოჯახში მიცვალებულის ყოლასაც ნიშნავდა. ეს დადასტურებულია კიდეც ისეთ საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვებში, როგორიცაა „ჰირისუფალი“ ან მისი ბადალი სიტყვა „ჰირისპატრონი“, რომელიც უფრო მთის დიალექტებშია შემონახული (შდრ. ნაწყვეტი ცნობილი ხევსურული ლექსიდან: „მეწყალვი ჰირის პატრონო, ჰირის გონება ძნელია“, აგრეთვე ზემოდასახელებული „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“: „ჰირის პატრონი — მიცვალებულის პატრონი, ჰირისუფალი“ და ა. შ.).

მაშასადამე, „ჰირის ახდა“ აწ დაკარგული ძველთაძველი გამოთქმა ჩანს და იგი არც მეტი, არც ნაკლები ჰირის, მწუხარების დამთავრებას, გლოვის აღებას ნიშნავდა (შდრ. ზემოდამოწმებული ხევსურული დალოცვა: „სამგლოვიარო ღმერთმა აგხადოსთ“...).

ხოლო დროთა ვითარებაში, როცა თვით სიტყვამ „ჭირი" მნიშვნელობები იცვალა, ძველი შესიტყვება „ჭირის ახდა" შეერწყა ფონეტიკურად, და გარკვეული თვალსაზრისით შინაარსობრივადაც, მასთან ახლო მდგომ ფიგურალურ გამოთქმას „ჭერის ახდა", რაც მხიარულებას, ხმამაღალ ღრეობასა და საერთოდ ზეაწეულ საზეიმო განწყობილებას გამოხატავდა („სადაც ჭერი მაღალია, მეც იმისი მაყარიო").

ასეთია, ჩემის აზრით „ჭერის ახდის" დაფარული აზრი და ცვალებადობის გზა, რომელიც განვლო საძიებელმა გამოთქმამ.

გ) რამდენიმე ქართული საკუთარი სახელის ეტიმოლოგიის ცდა

წინასწარ შევნიშნავ, რომ გასაგები მიზეზების გამო, აქ მხოლოდ ორიოდე ასეთი ტიპის დაკვირვებაზე გვექნება საუბარი.

პირველი ეხება ჩვენი ქვეყნის ისეთი მშვენიერი კუთხის ტოპონიმებს, როგორიცაა ზემო გურია (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი). ამ მხარეში ხშირად მიხდება ყოფნა თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ იგი ჩემი დედულეთია (დედაჩემი ჯაყელთა ოჯახის შვილი იყო, რომლის არცთუ შორეული წინაპარი, მესხეთიდან ლტოლვილი, შეჰფარებია გურიის მთავარს). სწორედ ამ მხარეში ხშირი სტუმრობისას სიყმაწვილიდანვე შემორჩა ჩემს მეხსიერებას ადგილობრივი სოფლებისა თე ცალკეული ხევ-ხუვების დასახელებანი, მაუწყებელი ამ ადგილებში ქართველურ ტომთა უძველესი განსახლებისა.

ზოგი მათგანის ეტიმოლოგია დღესავით ნათელია (მაგ., ბუკისციხე, დაბლაციხე, ხევი, ზენობანი, ხიდისთავი, ნაბეღლავი, ქვენობანი და ა. შ.). ზოგს უფრო მეტი ჩაკვირვება სჭირდება და მათ გარშემო მაქვს კიდეც ჩემი მოსაზრებები (მაგალ., ერკეთის, კოხნარის და სხვათა გამო), მაგრამ ამჯერად მინდა უფრო არსებითად შევეხო ერთი სოფლის ტოპონიმს, რომელიც ამჟამად დაბლაციხის სასოფლო საბჭოშია შემოდის.

მისი სახელია „საყვავისტყე", ხოლო აქაურ მკვიდრთ, რამდენადაც ვიცი, ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ეს სახელი მართლაც ყვავთანაა დაკავშირებული. თუმცა შემიმჩნევია ისიც, რომ მაინცადამაინც არც სია მოვნებთ ამის ხაზგასმა.

მაგრამ ირკვევა, რომ მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. ჯერ ერთი სოფელი მთაში, ტყიან ადგილასაა ჩაბუდებული და შემოგარენიც ასე ვე ტყითაა დაფარული. ხოლო ყვავს აბა რა ესაქმება ტყეში და, მარ თლაც, არც ბინადრობს იგი ამ ადგილებში.

აღნიშნულ საკუთარ სახელში „საყვავისტყე" სრულიად სხვა ფუძ გამოსჩანს და ეს დაადასტურა კიდეც სათანადო კვლევა-ძიებამ.

საქმე ის არის, რომ თვით „საყვავე" დამოუკიდებელი, მაგრამ თანამედროვე მეტყველებაში შედარებით მივიწყებული სიტყვაა. იგი არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს სამშენებლო ხეს, მორს რომლებიც სახლის სახურავის მთავარ საყრდენებად გამოიყენებოდა. საყვავე იგივეა, რაც თავხე, მთავარი კოჭი, რომელიც სახლის სახურავის გასამართავად გაიდებოდა. შდრ. სულხან-საბა: „საყვავე — სართულის ზეითი ლატანი".

ასე რომ „საყვავისტყე" ნიშნავს ადგილს, სადაც თავხეებს ანუ საყვავეებს ამზადებდნენ და როგორც შემდგომში ადგილზევე გაირკვა, ამ მიდამოებში, რომლებიც ადრე კიდევ უფრო უღრანი ტყეებით იყო დაფარული, მართლაც ჭრიდნენ სამშენებლო მასალას. „საყვავისტყე" ისეთივე ტიპის ტოპონიმია, როგორც „საკოჭავი" (ბორჯომის რაიონი), სადაც სამშენებლო კოჭებს ამზადებდნენ, სათივე (ხაშურის რაიონი), საყავრე (გორის რაიონი), საძელე, საჩალე, საბოლოკე, საღანძრე და ა. შ. აქვე შევნიშნავ, რომ მოსალოდნელი იყო ასეთი ფორმაც „სასაყვავე", მაგრამ ერთნაირი ბგერების განმეორების გამო (პირველი „სა" მაწარმოებელია, მეორე კი ფუძისეული), როგორც ჩანს, მეტყველებაში უპირატესობა მიეცა შესიტყვებას „საყვავის ტყე", რაც ასევე ზუსტად გამოხატავს მის შინაარსს (სხვათა შორის ამ რამდენიმე წლის წინ აღნიშნული დაკვირვება გავაცანი აკადემიკოს ნიკო კეცხოველს, ქართული ტოპონიმების აღიარებულ მცოდნეს. ბატონმა ნიკომ უყოყმანოდ გაიზიარა ასეთი ეტიმოლოგია).

მაშასადამე, თუ „საყვავისტყის" მკვიდრნიც ირწმუნებენ ზემოთმოტანილ ვარაუდს, მაშინ დაე ირწმუნონ ისიც, რომ მათი მშვენიერი სოფლის სახელს არავითარი კავშირი არა აქვს ავადსახსენებელ ფრინველთან და იგი ძველთაძველი ქართული სიტყვის ფუძეზეა აღმოცენებული.

*
* *

ასეთივე რიგისაა ჩვენი დაკვირვებები ქართულ გვარ-სახელებზე, რომელთაგან აქ მხოლოდ ერთ მათგანს წარმოვადგენ (ცნობილია, ტოპონიმების კვლევასთან ერთად რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივანე ჯავახიშვილი გვარ-სახელების ეტიმოლოგიასა და მათი ერთი კუთხიდან მეორეში მიგრაციის საკითხებს).

ამჯერად საქმე ეხება საკმარისად ცნობილ გვარს, გვერდწითელს, რომელიც ზოგჯერ იწერება აგრეთვე ფორმით გვერწითელი.

აქ თითქოს ყველაფერი ნათელია. გვარი შედგება ორი სიტყვისაგან. გვერდი და წითელი, ხოლო ენობრივად ასეთი ტიპის წარმოებაცა

და გვარებიც მრავლადაა ჩვენში (შდრ. წითლიძე, წითლანაძე, იხ. აგრეთვე მეტსახელები: წითელლოყა, ცხვირწითელა, რომელთაგანაც ასევე იწარმოებოდა ხოლმე გვარები).

ალბათ მეც ასევე ჩავუვლიდი ამ გვარის ეტიმოლოგიას, რომ არა ლეგენდის მსგავსი გადმოცემა, რომელიც მიამბო თვით ამ გვარის ერთერთმა წარმომადგენელმა.

გვერდწითლების ბუდე-ადგილი ყოფილა ხაშურთან ახლოს მდებარე სოფელი ხცისი, რომელიც გაშენებულია მტკვრის ხეობაში (ვახუშტით მას ხცისის ხევი ეწოდება). მათ ერთ წინაპარს თავი გამოუჩენია რომელიღაც ბრძოლაში. თვითონაც მძიმედ დაუჭრიათ, ცალი მხარე მთლიანად სისხლით ჰქონია მოსვრილი, მაგრამ გამარჯვებულს სოფლამდე მაინც მოუტანია თავიო. გვერდწითლების გვარიც აქედან დაიბადაო.

ლამაზი ლეგენდაა, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ყოველ ასეთ გადმოცემაში ფანტაზია ჭარბობს რეალობას. მით უფრო, როცა ხალხურ ეტიმოლოგიასთან გვაქვს საქმე, ხოლო ასეთი ეტიმოლოგიების ფსიქოლოგიური საფუძველი ნათელია. ეს არის მისწრაფება, რათა ყველაფერი გააზრიანდეს, შინაარსი მიეცეს. ასე გადაიქცა ესტატე წმინდის სახელობის ეკლესია (და სოფელი) ერთაწმინდად, მეჯუდას ხევი მეჯვრისხევად, ძელი პატიოსანი „გრძელ პატიოსნად“ და ა. შ.

ეს ლეგენდა მეორედაც მოვისმინე, როცა ვათვალიერებდი წრომის დიდებულ მონასტერს და იქვე ახლო მდებარე ხცისშიაც მომიხდა ყოფნა. ლეგენდა აქ კიდევ უფრო „დაზუსტდა“. გვერდწითლების სახელოვან წინაპარს თურმე გმირობა ტაშისკარის ცნობილ ბრძოლაში გამოუჩენია, როცა ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით მუსრი გაავლეს თათარხანის ლაშქარსო.

მაგრამ აქვე ყურს მოხვდა არც თუ უმნიშვნელო დეტალი. ხცისი მტერისაგან აოხრებულა მრავალგზის და მასში მეტწილად ახლადჩამოსახლებულნი ცხოვრობენო. მათ შორის გვერდწითლებიცო.

ისიც გაირკვა, რომ ახალმოსახლეთა მიერ ხცისის შევსება მეტწილად სამხრეთით მდებარე მთიანეთიდან ხდებოდა. მე ვგულისხმობ არჯევანის ქედის ჩრდილოეთ კალთებს, სადაც ხეობების გავლით გადადიოდა გზა აგრეთვე გუჯარეთსა და ძველ ისტორიულ თორში (შემდეგ ამავე გზით გუჯარეთ-ბაკურიანის მიდამოებში გადიოდა და სახლდებოდა ოსური მოსახლეობაც).

და აი, იქვე ხცისიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, სამხრეთ მთიანეთში არის სოფელი გვერძინეთი (ვახუშტით „გვეძინი“. გვერძინი — გვეძინი კი ძველ ქართულად გარეულ მტრედს ნიშნავს: შდრ. სულხან-საბას ლექსიკონი), რომლის მოსახლეობა უკვე ადრიდანვე დაძრულა ბარისაკენ, მათ შორის სოფ. ხცისისკენაც.

როგორც ხდებოდა ხოლმე, სოფლის სახელიც თან მიჰყვებოდა გადასახლებულთ (ამის მაგალითები იმდენია, რომ ამით თავს არ შევაწყენ მკითხველს). შესაბამისად, გვერძნეთიდან ჩამოსახლებულ კაცს ქართული დიალექტის კვალობაზე შესაძლოა მიეღო ახალი გვარ-სახელი გვერძინეთელი — გვერძინთელი (მრავლობითი ფორმით: გვერძინთლები). გვერძინთელის გვერდწითლამდე გადაზრებისათვის კი ერთი ნაბიჯიღა რჩება, რაც ხალხური ეტიმოლოგიის წესისამებრ შემტკიცდა კიდეც ზემოთმოტანილი ლამაზი გადმოცემით.

დ) საიდან მომდინარეობს გამოთქმა „დედას პური“

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩემი უბის წიგნაკიდან ვარჩევ უფრო გავრცელებულ და თითქოს ყველასათვის გასაგებ სიტყვებსა და გამოთქმებს. „დედას პურიც“ მათ რიგს მიეკუთვნება. მართლაც, ეს გამოთქმა ისე ხშირად იხმარება (განსაკუთრებით ქართლ-კახურ მეტყველებაში) და თითქოს მის შინაარსიც იმდენად ნათელია, რომ იქნებ არც ღირდეს მასზე ასე საგანგებოდ შეჩერება.

მაგრამ ასეა კი? ირკვევა, რომ ამ გამოთქმაში სხვა აზრი უნდა იმალებოდეს და არა ის, რომელსაც ასე ხშირად მოისმენთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „დედას პური იგეთი პურია, დედა რო გამააცხობს შვილითვინა“. — არაერთხელ მომისმენია კახეთში და ეს აზრი განმტკიცებულია კიდეც. ზოგი იმასაც დაჰძენს, რომ ომში მიმავალთ უცხობდნენ დედები საუკეთესო შოთის პურებს და აქედან მოდის გამოთქმა „დედას პურიო“. ასეთი გააზრებით იგი ერთგვარად უკავშირდება მეორე ასევე გავრცელებულ გამოთქმას „დედას ბიჭი“, რასაც ნებიერად, დედის კალთისქვეშ გამოზრდილ ვაჟს ეძახდნენ თურმე. კახეთში ახლაც ყველას ახსოვს განთქმული მომღერალი ასაბიშვილი სოფელ შილდიდან, რომელსაც მთელი საქართველო „დედას ლევანას“ ეძახდა. გახსოვთ, ალბათ, ტიციან ტაბიძის ლექსიც: „ნეტავი სხვებიც წამოგეყვანათ. პოეტებს გელით სუფრა გაშლილი, შილდაში მღერის დედას ლევანა და ართანაში ყარალაშვილი“.

„დედას პურთან“, „დედას პურებთან“ დაკავშირებით საინტერესო ვითარებაა ჩვენს ლექსიკონებში. ოღონდ წინასწარ შევნიშნავ, რომ ეს გამოთქმა რატომღაც გამორჩენიათ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, სადაც „დედასთან“ დაკავშირებული მრავალი ფრაზა თუ შესიტყვებაა განმარტებული.

მეტი ცნობებია აღნიშნულ გამოთქმაზე დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში, თუმცა ერთგვაროვნება არც მათში ჩანს.

ალექსანდრე ღლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, როგორც მოსალოდნელი იყო, ცალკეა გატანილი ეს შესიტყვება, ოღონდ შემდეგი ფორმით: „დედოპური — ღვეზელი“, დამოწმებულია ბაბო წერეთლის მიერ გამოცემული ზემოიმერული ლექსიკონი.

უფრო ვრცლადაა მასზე საუბარი „ქართული დიალექტის ლექსიკონში“, რომელიც ზემოთაც ვახსენეთ: „დედას პური — წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარი თონის პური“. იქვე საილუსტრაციოდ მოტანილია ქართლის სოფლებში ჩაწერილი მასალა: „წმინდა პური რუა, კარქი, რუ არა ურევია რა შიგ წამლათა. იმაი ვეტყვით დედაი პურსა“. „თონის პურს ეტყვიან დედას პურს“, „კაციან ოჯახეფს რო მჭადიც ენატრებოდათ, მაგი ბალღები სუ დედას პურსა სჭამდნენ“ (ტექსტები ჩაწერილია საგურამოსა და წილკანში).

სხვაგვარი განმარტებანი ამ შესიტყვებისა მე არც შემხვედრია და ვგონებ არც არის ფიქსირებული. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ, ჩემის აზრით, არც ერთი ეს განმარტება არ უნდა იყოს მართებული.

ღვეზელი სულ სხვა რამაა და დედას პური კი სხვა. შდრ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, სადაც განმარტებულია ღვეზელი. ასევე არც ყოველგვარ თონის პურს და არც წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარს არ უნდა რქმეოდა თავიდან „დედას პური“ და აი, როგორც იტყვიან, ძაღლის თავიც აქ მარხია.

გამოთქმაში „დედას პური“ არც დედაშვილობაზე, როგორც ეს გააზრიანებულია დღეს და არც სხვა მისთანაზე არაა საუბარი. იგი თვით გამომცხვარი პურის ერთ სახეობას აღნიშნავდა თავდაპირველად.

იგი ეწოდებოდა ისეთ პურს, რომელიც საფუარზე, ხაშზე, ცხვებოდა. ახლა თუ გავიხსენებთ, რომ ასეთ საფუარს, ხაშს „დედა“ ეწოდებოდა, მაშინ საძიებელი საკითხიც თანდათან შეიძენს სინათლეს. მანამდე კი მკითხველს მოვაგონებ, რომ ასეთივე ტიპისაა და ისეთსავე ტექნოლოგიურ პროცესს გამოხატავს ანალოგიური გამოთქმები „მაწვნის დედა“, „კარაქის დედა“, „დედამკვდარი მაწონი“ (შდრ. აგრეთვე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც „დედა“ განმარტებულია აგრეთვე როგორც საფუარი, ხოლო საფუართან დაკავშირებით კი ნათქვამია „დამჟავებული პურის ცომი, რომელსაც ახალ ცომში ურევენ ასაფუებლად, ამოსაწევად, — ხაში და ა. შ.).

უსაფუარო პურის, ხმიადისაგან განსხვავებით საფუარზე ანუ დედაზე გამომცხვარ პურს, როგორც ჩანს, ამიტომაც ეწოდებოდა „დედას პური“, იგი თავის ხარისხითა და გემოთი სჯობდა ჩვეულებრივი წესით გამომცხვარ პურს. შემდეგ კი, როცა საერთოდ გავრცელდა ეს წესი

ე. ი. საფუარზე ცომის დაყენება, თანდათან მივიწყებას მიეცა სახელწოდების შინაარსი, რომელიც გამოარჩევდა ჩვეულებრივი პურისაგან „დედას პურს“.

ასე მიეცა დავიწყებას პირვანდელი შინაარსი და გამოთქმა „დედას პური“, როგორც ვნახეთ, უცნაურ ლეგენდებში გაეხვია.

1982 წ.

5. „არა ხმლითა მხოლოდ“...

ქართააღმწერლობა ჰეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალ-ახმა ვისთვისმე...

თანამედროვე ქართული მწერლობა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ისტორიული თემატიკისადმი, რაც ახლო წარსულის, ვგულისხმობ ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებს, მეტად საგულისხმო ტრადიციების აღორძინებაზე მიგვანიშნებს. თუ რა მიღწევები ჰქონდა ქართულ მწერლობას ისტორიული მასალის დაუფლების სფეროში, აქ მარტო ვასილ ბარნოვისა და კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის უბრალო გახსენებაც კი იკმარებდა.

ქართული მწერლობის განვითარების ახალ მიჯნებზე საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულის ყოველმხრივი ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია დაისახოს ხვალინდელი დღისაკენ მიმავალი მართალი გზები.

ქართული მწერლობა, ქართულ ისტორიოგრაფიასა და სხვა მომიჯნავე დარგებთან ერთად ამ მიმართულებით, მართლაც მძიმე და სკრუპულოზურ შრომას ეწევა. ჩვენ ხშირად ვართ იმის მოწმენიც, როცა მწერალი იყენებს არა მხოლოდ სხვათა მიერ მოპოვებულ მზამზარეულ ფაქტებს, არამედ თვითონვეა აღჭურვილი თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით და ისე მიიკვლევს გზას ისტორიული ცხოვრების დაფარული შრეების წარმოსაჩენად, ხდება პირიქითაც, როცა მეცნიერი თვითონვე მიმართავს მხატვრული განსახოვნების ხერხებს და „მწერლური თვალით“ აღადგენს გარდასულ დღეთა ცოცხალ სურათებს.

ეს დარგი ძალზე გავრცელებულია როგორც უცხოეთში, ისევე ჩვენშიც (განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში) და თავისი ფორმით მხატვრულ ნარკვევსა თუ, უფრო ზუსტად, ისტორიული ხასიათის ესეებს მოგვაგონებს. ისტორიულ მოვლენათა ღრმა ანალიზთან ერთად

ისტორიული კონცეფციების მართებულობა მათი გამარჯვების უცილობელი პირობაა.

ბოლო ხანებში, მათ შორის ვინც წარმატებით მუშაობს ამ ძალზე საინტერესო და ტევად ჟანრში, აშკარად გამოირჩევა მწერლისა და მეცნიერის თამაზ ნატროშვილის ისტორიული ხასიათის ნარკვევები.

მაგრამ ვიდრე მათზე ვიტყოდე ორიოდ სიტყვას, აქ პირველ რიგში ერთი სასიამოვნო ფაქტი უნდა აღინიშნოს. ავტორის თვალსაწიერი ფართოა, მასალები უხვი და მეტწილ შემთხვევაში სანდო. სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარე ცნობების გულდასმით შეჯერების გარეშე იგი იშვიათად გეთავაზობს დასკვნებს.

თამაზ ნატროშვილი დაბეჯითებით მიჰყვება იმ კეთილ ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ისეთმა წინამორბედებმა, როგორებიც იყვნენ: მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, მიხეილ თამარაშვილი, ხოლო გასული საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ეს დიდი მონაპოვარი იმ დროისათვის აშკარად ულტრათანამედროვე მეთოდების გამოყენებით სრულიად ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე წარმოაჩინა ივანე ჯავახიშვილის მონუმენტურმა შრომებმა.

უკვე ამ დროიდან ცხადი შეიქნა, რომ საქართველოს ნამდვილი ისტორია ვერ დაიწერებოდა ოდენ ქართული ნარატიული თუ სხვა ხასიათის წყაროებზე დაყრდნობით. ამიტომ იყო, რომ მიხეილ თამარაშვილის მარადსახსოვარ წიგნს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელიც ძირითადად უცხოურ წყაროებს ეყრდნობოდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსხვავებული რაკურსით აშუქებდა ჩვენს წარსულს, დიდმა ილიამ „მეორე ქართლის ცხოვრება“ უწოდა („ივერია“, 1902, № 254).

ანტიკური ხანიდან მოკიდებული ჩვენს ქვეყანას საკუთარი ადგილი ეკავა ახლო აღმოსავლეთის ხალხებს შორის, რომლებიც მაშინდელი მსოფლიოს მეწინავეთა შორის იმყოფებოდნენ. იგი კიდევ უფრო გაიზარდა შედარებით ახალ საუკუნეებში, როცა დიდ პოლიტიკურ ძვრებში უფრო აქტიურად ჩაება დასავლეთ ევროპა. აქ მარტო „ჯვაროსნულ ლაშქრობათა“ კათაკლიზმებით აღსავსე ისტორიის გახსენება იკმარებდა, რომლებმაც თავისი გამოძახილი ქართულ მატიანეებში ჰპოვეს.

„ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი (იგულისხმება ჯვაროსნები — ს. ც.). აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“ (ქართლ. ცხ. ტ. I, გვ. 326).

ეს სიტყვები დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ეკუთვნის და კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა ღრმად ესმოდათ იმჟამინდელ

ქართველ მოღვაწეებს და მწერლებს, რომ მე-12 საუკუნის ქართული სახელმწიფოს აღზევება იზოლირებული პროცესის ნაყოფი არ იყო.

უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში გამოვლენილია არაერთი როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური წყარო, რომელიც საპირისპირო ვითარებას გვამცნობს და ძლიერი ქართული სახელმწიფოს (განსაკუთრებით XI—XIII საუკუნეებში) მნიშვნელობას აღნიშნავს იმჟამინდელ მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე. ქართველ მეფეთა (დავით აღმაშენებელი და მისი მემკვიდრეები) საქმიანობას ეხება სწორედ მე-12 საუკუნის ფრანგი მწიგნობარი და სახელმწიფო მოღვაწე ანსელუსი (Ansellus), რომლის ერთ-ერთ წერილში ცხადად გამოსჭვივის უკვე ჩრდილში მიმდგარი ბიზანტიის ნაცვლად ქრისტიანული ქართული სახელმწიფოს როლი ახლო აღმოსავლეთის დიდ სარბიელზე: „ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა, სანამ იცოცხლა, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა; ის დავით, რომელს მისი წინაპრებივით, კასპის კარი — გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს — ეპირა და ედირაჯნა, რასაც შვილი მისიც აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მიდიელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი. ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“ (პირველი პუბლიკაცია ქართულად ზურაბ ავალიშვილისა, იხ. „ჯვაროსანთა დროიდან“, 1929, პარიზი, გვ. 29).

ისტორიული ვითარების შესაბამისად იცვლებოდა ჩვენი სახელმწიფოს როლი და ავტორიტეტი შუა საუკუნეთა მანძილზე, ხოლო ქართველი კაცი ნებით თუ უნებლიეთ ხან სად ამოჰყოფდა თავს და ხან სად.

ავტორის ხანგრძლივი ძიებათა შედეგს წარმოადგენს თამაზ ნატროშვილის წიგნი, რომელიც ახლახან მეორედ გამოვიდა გადამუშავებული და ახალი ნარკვევებით შევსებული. სათაურიც, ჩემს აზრით, მოხდენილადაა შერჩეული — „მაშრიყით მაღრიბამდე“. აქვე შევნიშნავ, რომ, როგორც ცნობილია, კონკრეტული მნიშვნელობის გარდა (მაგალითად „მაღრიბი“ ისტორიულად ჩრდილოეთ აფრიკის უკიდურესი დასავლეთის მხარის ქვეყნებს — ლიბიას, ტუნისს, ალჟირსა და მაროკოს ეწოდებოდა) ეს სახელები ფართო აზრითაც იხმარებოდა და ზოგადად აღმოსავლეთსა („მაშრეყ“) და დასავლეთს („მაღრებ“) ნიშნავდა. ასევითვე მნიშვნელობითაა მაშრიყ-მაღრიბი იმთავითვე დამკვიდრებული ჩვენს მეტყველებაში და ეგზოტიკური სამკაულებივით არცთუ იშვიათად გაიელვებს იგი ქართულ პოეზიაშიც („დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მაღრიბულისა“, ან „მაღრიბით მაშრიყამდისინ, ზღვით ცისკიდემდე იქების“).

სათაური გახაზავს გეოგრაფიული არეალის სიფართოვეს, თანაც შიგვანიშნებს ავტორის ჩანაფიქრზე: როგორც ქართული, ისე უცხო-

ური წყაროების მოშველიებით მეტი სიცხადით დაგვანახოს ჩვენი ქვეყნის წარსული, სახეები ჩვენთა წინაპართა, რომელთაგან ზოგი ისტორიული უკუღმართობის გამო სამშობლოს გადასარჩენად შორეულ მხარეებში იღვწოდა, ხოლო ზოგი კი სირცხვილნაჭამი, მოღალატის სახელით შორდებოდა საწუთროს.

წიგნში დიდძალი მასალაა თავმოყრილი: ზოგი ძველი, ზოგი ახალი, ზოგს უკვე იცნობდა ჩვენი ისტორიოგრაფია, ზოგი კი თვით წიგნის ავტორის მიერაა მიკვლეული, ან ახლებურად გაშიფრული და ყველაფერი ეს უკვე გამოცდილი ოსტატის ხელით შედუღაბებულია ერთ მთლიანობად. მკითხველის თვალწინ ნარკვევიდან ნარკვევში თანდათან იკვეთება ავტორის კონცეფცია, ჩემის აზრი, აშკარად მართებული თვალსაზრისი შუა-საუკუნეთა ქართული სახელმწიფოს ისტორიის ძირითად საკითხებზე, ალზევება-დაცემის მიზეზებზე, რომლებსაც განაპირობებდა არა მხოლოდ გაუთავებელი ექსპანსია აღმოსავლეთის მრისხანე ქვეყნებისაგან, არამედ თვით ჩვენი ქვეყნის „გულ-ღვიძლში“ ჩაბუდებული სნეულებანი, რასაკვირველია, ავტორი დროგამოშვებით უბრუნდება იმ ფაქტორებსაც, რომელთა გამოც უპერსპექტივო აღმოჩხდა აღმოსავლეთთან პოლიტიკური დაკავშირების ყოველგვარი ცდები, ან როგორც მართებულად ასკვნის ერთ ადგილას წიგნის ავტორი: „ისტორიულად შორდებოდნენ საქართველოს ისპაანი და სტამბული“.

თამაზ ნატროშვილი პროფესიით ისტორიკოსია, აღმოსავლეთმცოდნე და, ბუნებრივია, მის ნარკვევებში ჭარბობს მასალები, რომლებიც აშუქებენ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ურთიერთობას აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებთან (უშუალო წინამორბედთა შორის აქ აღსანიშნავია ვლადიმერ ფუთურიძის ღვაწლი, ან ნაშრომები ვალერიან გაბაშვილისა, რომელიც დღესაც წარმატებით უძღვება ამ დარგის ქართველ ისტორიკოსებს).

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ თამაზ ნატროშვილი წარმოდგენილ ნარკვევებში ქართული მწერლობის საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებს, რაც მკითხველში ინტერესთა მრავალფეროვნების სასიამოვნო განცდას იწვევს.

სხვა მრავალთა შორის ასეთი სტილითაა, მაგალითად, შესრულებული ნარკვევი „ქართული ლექსიკონი ყანდაარში“. აქ ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის ცნობები განუყრელად ერწყმის ერთმანეთს. ნარკვევისათვის „მთავარი გმირიც“ შესაფერი შეურჩევია მის ავტორს — მეფე და მწიგნობარი, მთელს აღმოსავლეთში სახელგანთქმული სარდალი გიორგი XI.

სულხან-საბას უკვდავი ლექსიკონის სათაოებთან გიორგი XI იდგა. ეს დადასტურებულია კიდეც დიდი ლექსიკოგრაფის ცნობილ

ანდერძნამაგში: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჰაბუკობის ჟამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან (იგულისხმება ვახტანგ მეექვსე — ს. ც.) ქართულად სიტყვის კონა უწოდა. ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ, ვახტანგ მეფის ბიძამ გიორგი მეფემ მაბრძანა ამისი ხელყოფა... და, რაოდენ ძალ-მედვა, აღვწერე“.

ლექსიკონის გასრულება ქართული კულტურის წარუშლელი მონაპოვარი იყო. მართლაც, როგორც ამას შენიშნავს წიგნის ავტორი, იგი დიდი ომის მოგებას უდრიდა და, ვინ იცის, ეგებ ალემატებოდა კიდეც. ქართული სიტყვები, ერთად რომ დარაზმულან, წელში გამართულნი და თავაწეულნი, რათა განდევნონ ქართულ ენაში ჩამოთესლილნი უცხო სიტყვები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯურის დამპყრობლების მიერ, თავის ზნე-ჩვეულებათა და წესთა ასამეტყველებლად, დასანერგავად. ქართველი ლექსიკოგრაფი მოთმინებით განმარტავდა, ესა და ეს სიტყვა სხვათა ენაა, ქართულად ესა და ეს ჰქვიაო (გვ. 280).

ამ დროს კი გიორგი მეთერთმეტე, „სიტყვის კონის“ პირველი შთამაგონებელი, ირანის შაჰის სამსახურად შორეულ ყანდაარში იმყოფებოდა.

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხელობა კი გამოცდილებით იცოდნენ, ამის გამო ისინი თავიანთი დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ ხოლმე. ამის წყალობით ისეთს ნიჭიერ სამხედრო პიროვნებებს, როგორიც მაგ. მეფე გიორგი XI იყო, უნებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომის დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ბელუჯისტანში, ხან სხვაგან, სადაც კი ამბოხება იფეთქებდა“.

გიორგი XI, ისე როგორც ზოგი მისი თანამემამულე, უსინდისო ღალატის მსხვერპლი შეიქნა და ისევ და ისევ მაშინდელი ირანის უნდილ ხელისუფალთა მიზეზით. მათ ყური არ ათხოვეს გიორგის გონივრულ რჩევას, რომელსაც შემდეგში კატასტროფა მოჰყვა.

გიორგი XI-ის საგმირო საქმენი, მართლაც, საარაკო იყო და როგორც ქართული, ისე იმდროინდელი უცხო წყაროები (კრუშინსკი, მამიკლერაკი, ჰანვეი) აღტაცებით მოგვითხრობენ მათზე. თამაზ ნატროშვილი სამართლიანად დასძენს, რომ ევროპელი მკითხველისათვის გიორგი XI წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პოპულარულ ფიგურას ქართველ მეფეთაგან (გვ. 281).

უსაზომოდ ბევრი ქართული სისხლი დაღვრილა უცხო მიწაზე, ზოგჯერ უსაგნოდ, ხოლო ზოგჯერ საკუთარი ქვეყნის საზიანოდაც. მაგრამ ისტორიამ შემოგვინახა იმის მაგალითებიც, როცა არცთუ უნაყოფოდ ჩაუვლია უცხოობაში გაწეულ ღვაწლსა და თავდადებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიული სიმართლის აღდგენას ათასი დაბრკოლება ეღობება წინ. სხვა მიზეზთა შორის ეს ზოგჯერ წყაროთა სიმწირით გამოიხატება, ხოლო ზოგჯერ აშკარად ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაციის სიუხვით. მარტო დიდი მოურავის პიროვნების ისტორიული შეფასების სიძნელეები ადასტურებს აქ გამოთქმულ მოსაზრებას.

ყველაფრიდან ჩანს, რომ წიგნის ავტორი კარგად გრძნობს ასეთი კვლევა-ძიების საჩოთირო მხარეებს. მსგავსი საკითხების მკვლევარს ბეწვის ხიდზე ცართებს სიარული, რომ ძველს ახალი უკუღმართი დასკვნები არ მიემატოს.

წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე“, მე ვფიქრობ, ამ მხრივაცაა სანიმუშო. ავტორი ობიექტური მემატიანის როლს ირჩევს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გონივრული ზომიერებით გამოთქვამს საკუთარ მსჯავრს ამა თუ იმ პიროვნების საქციელზე, ფაქტსა თუ მოვლენაზე.

ასეთი სტილითაა შესრულებული ნარკვევი გიორგი მეთერთმეტეზეც. მკითხველის თვალწინ გაივლის შეუპოვარი მეომრისა და მამულიშვილის, განათლებული პიროვნების გიორგი მეთერთმეტის ფათერაკებით აღსავსე ბიოგრაფია, მისი დაუსრულებელი ხეტიალი ირანაღღანეთის გადახრუკულ უდაბნოებში, სადაც სეხნია ჩხეიძის სიტყვით, „მას ადგილსა წყალი არა იყო“ და თუ იპოვებოდა, ისეთი ყოფილა, რომ „თქვენს მტერს მისცეს ის წყაროო“.

წიგნში ცალკე თავი ეძღვნება ცნობილ დიპლომატსა და მშფოთვარე მოგზაურს იოსებ ქართველს, რომლის ინფორმაციები განკუთრებით XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ირანზე საფუძვლად დაედო შემდეგში არაერთ ევროპულ წყაროს. (დაწვრ, იხ. ვ. გაბაშვილის ნაშრომი „იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის“, თსუ შრომები, ტ. 116, აღმოს. სერია V, 1965).

გიორგი მეთერთმეტე 1709 წლის 21 აპრილს მისგანვე არაერთგზის დამარცხებულმა ავღანთა ბელადმა მირ-ვეისმა მიიწვია და ამალითურთ მუხანათურად ამოჟლიტა. აი, სწორედ ეს იოსებ ქართველია ერთი მათგანი, ვინც დაწერილებით აგვიწერს საშინელი ღალატის ღამეს და გიორგი მეფის საარაკო გმირობას.

ძილ-ღვიძილში მყოფი მეფე არ შეუდრკა თურმე მირ-ვეისის რაზმს, ათამდე კაცი გამოასალმა კიდეც წუთისოფელს და ბოლოს დაეცა შუბებით გულგანგმირული.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ „აჰყარა ხატნი და ჯვარნი მეფესა მირვეიზ და ფსალმუნი, რომელსა იკითხვიდა ჟამსა მას, და წარმოუვლინა ყეენსა მეტყუელმან: ესრეთ გაცთუნებდა მეფე". ამით უნდოდა, როგორც ჩანს, მირ-ვეისს ემართლებინა თავი ირანის შაჰთან — ისლამი მხოლოდ ფარი იყო, ხოლო სულით გიორგი ქრისტიანად და ამდენად ბოლომდე ქართველად დარჩაო. ამ შემთხვევაში მირვეისი მართლაც არ ტყუოდა.

მაგრამ გიორგი, როგორც ითქვა, ამასთან წიგნის კაცი იყო და შორეულ ყანდაარში ლაშქრობის დროსაც ახერხებდა სწავლა-განათლებაზე ზრუნვას. ერთ თავის წერილში იგი ატყობინებდა თავის ბიძაშვილს სულხან-საბა ორბელიანს, თუ როგორ გაიტაცა იგი „სიტყვის კონის" წაკითხვამ: „ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვითაც გამოგეგზავნა! (გიორგი აქ გულისხმობს სულხანის ძმას ვახუშტი ორბელიანს, რომელიც ამავე ხანებში მოულოდნელად გარდაიცვალა ყანდაარის ლაშქრობაში — ს. ც.). მე ის მიამებოდა, შენმა მზემა, ასრევ მიამა და გავეწყევ, რომე თათრულს წიგნზედ მივდგარვარ და კიდეც ვისწავლე. ღამის ის გამაშობინოს ამისმა კითხვამ. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიაღ, კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყევ".

ასეთი შეფასება მისცა გიორგი მეფემ მისივე წაქეზებით წამოწყებულ შრომას, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანმა თითქმის მთელი ცხოვრება შეალია.

ეს ამბები აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ წიგნის ავტორი ასე ყოველი კუთხით იჩენს წადილს, რათა წარმოაჩინოს დიდი მამულიშვილის გიორგი მეთერთმეტის პიროვნება. გიორგი მეთერთმეტე წლების მანძილზე იქნევდა ხმალს ჯერ საქართველოში, რათა შეეკავებინა ყიზილბაშთა შემოტევა, ხოლო შემდეგ იძულებული შეიქნა გასცლოდა სამკვიდროს. აქაც გიორგი შეძლებისამებრ ქართულ საქმეს აკეთებდა.

...უცხო მხარეში დაღვრილმა სისხლმა, — დასძენს ამასთან დაკავშირებით წიგნის ავტორი, — მაინც გაუწია სამსახური სამშობლოს. გიორგი მეთერთმეტემ თავისი მოღვაწეობით სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე უშიშროება მოუხვეჭა ქართლსა და დაასვენა ქვეყანა ომებისაგან (გვ. 289).

მართლაც, არნახული წარმატებებით გამოირჩევა XVIII საუკ. პირველი ათწლეული საქართველოში, რომელიც სამართლიანად ვახტანგ მეექვსის სახელთანაა დაკავშირებული. გიორგი მეთერთმეტე ირანში, ხოლო მის მოადგილედ (ჯანიშინად) ქართლში დანიშნული ვახტანგ მეექვსე ერთმანეთისაგან შორს იმყოფებოდნენ, მაგრამ ბიძა-ძმისწულს აერთიანებდა მამულიშვილური ზრუნვა ქვეყნის სოციალური თუ კულტურული აღორძინებისათვის. მარტო ქართული სტამბის,

რომელშიც დაიბეჭდა პირველად „ევფხისტყაოსანი“, და ვახტანგის სამართლის წიგნების დასახელებაც საკმარისი იქნებოდა ამის დასტურად. აი, რას წერს ქართული კულტურის ამავე ხანის გამო ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ ლენგი: „სიმართლე რომ ითქვას, გამოღვიძების ეს პერიოდი ვერ შეედრება დავითისა და თამარის ოქროს ხანის მიღწევებს, მაგრამ ეს იყო ნამდვილი რენესანსი, ვერცხლის ხანა საქართველოს ცივილიზაციისა“.

თამაზ ნატროშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ისტორიის ტრაგიკული პიროვნების, დიდი მამულიშვილის გიორგი მეთერთმეტის უანგარო ღვაწლის წარმოჩენის საქმეში. ამასთან, მისივე ნარკვევი უეჭველად აღძრავს იმედს, რომ მომავალში გიორგი მეთერთმეტის ცხოვრება კიდევ უფრო ვრცელ მხატვრულსა თუ ისტორიულ ტილოებში დაისადგურებს.

* * *

შუა საუკუნეების აღმოსავლეთში საუკუნეთა მანძილზე მოქმედებდა საშინელი ფანატიზმით შეკავშირებული რელიგიური ორდენი, რომელიც ხან მულიდთა ხან კი ასასინთა სახელითაა ცნობილი. „მოლიდი („მულიდი“) არაბულიდან მომდინარე სიტყვაა და განდგომილს, ერეტიკოსს ან ქართული რელიგიური ტერმინოლოგიით მწვალებელს ნიშნავს (შდრ. „წვალება“ განწვალება, ერესი, განხეთქილება... „განწვალებული“ გაყოფილი „განწვალებულ არს ცხოვრებაი მორჩილთა და ურჩთაი სოფელსა ამას შინა“. იხ. „ბალავარიანი“, 1957, გვ. 71, ილ. აბულაძის გამოც.), ხოლო რაც შეეხება „ასასინს“, მას უკავშირებენ „ჰაშაშინს“ ანუ ჰაშიშის მწეველს, რადგან ამავე ორდენის მისტიკურ რიტუალებში ნარკოტიკების მიღება თავისებური ინიციაციის ერთ-ერთი გავრცელებული გზა იყო.

ასასინთა ორდენი თვით ისლამის გარემოში აღმოცენებული სექტის ისმაილიტთა განშტოებაა და მიღებული შეხედულებით ცალკე ორდენად გაფორმდა XI საუკუნის მიწურულს, ხოლო მისი ფუძემდებელია ჰასან საბაჰი, რომელმაც რეზიდენციად შეარჩია ჩრდილო-დასავლეთ ირანის მიუვალ მთებში აღმართული ციხესიმაგრე ალამუთი („ალუჰ-ამუთ“ ანუ არწივთა ბუდე).

მრავალზე მრავალი უცნაური ამბავი თუ ლეგენდა, ზოგი მართალი და ზოგი ნატყუარი, დაკავშირებულია ასასინ-მულიდების ორდენთან, რომელიც შემდგომში თითქმის მთელს მსოფლიოს მოედო. ამის მაგალითად ისიც იკმარებს, რომ ასასინთა მიერ ჩადენილი იდუმალებით მოცული ტერორისტული აქტების გამო თვით სიტყვა „ასასინი“ თით-

ქმის მთელს მსოფლიოში დაუნდობელი მკვლელის სინონიმად გადაიქცა.

თამაზ ნატროშვილის წიგნში რამდენიმე ძალზე საგულისხმო ნარკვევი ეძღვნება ასასინ-მულიდების ორდენსა და ორდენის წევრთა მიერ ჩადენილ ზოგჯერ, მართლაც, საარაკო საქმეებს. მათ შესახებ არსებობს დიდძალი ლიტერატურა, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ენებზე.

წიგნში „მაღრიბით მაშრიყამდე" მოტანილია ვენეციელი ისტორიკოსის მარინო სანუტოს ერთი მონათხრობი, რომელიც ჯვაროსანთა ეპოქას ეხება: „1194 წელს, დაზავების ჟამს, ანრი, შამპანის გრაფი და ნომინალური მეფე იერუსალიმისა, სტუმრად ეწვია სირიის ასასინთა მბრძანებელს. ერთხელ, სეირნობისას, მაღალი კოშკის თავზე დაინახეს თეთრებში ჩაცმული რამდენიმე ჰაბუკი, ასასინთა მბრძანებელი მიუბრუნდა ჯვაროსან გრაფს და ჰკითხა, ჰყავს თუ არა მასაც ასეთივე მორჩილი ქვეშევრდომები. პასუხისათვის არც კი დაუცდია, რაღაც ანიშნა ორს ამ ჰაბუკთაგან. ისინი მაშინვე გადმოეშვნენ კოშკიდან და, რა თქმა უნდა, მიწამდე სული არ ჩაჰყოლიათ" (გვ. 6).

ასეთ ჰაბუკებს, რომლებიც ფანატიკური ერთგულებით იყვნენ გაწვრთნილნი, ფიდაები ეწოდებოდა („ფიდაი" არაბულ ენაზე თავგანწირულს ნიშნავს) და მათი ხელით თითქმის შეუძლებელი, უცილო სიკვდილთან დაკავშირებული აქციები მოჰყავდათ სისრულეში მათ პატრონებს.

თამაზ ნატროშვილი თავის წიგნში საფუძვლიანად საუბრობს ასასინთა ორდენის რელიგიურ თავისებურებებზე და საინტერესო მაგალითებით აცოცხლებს გადმოცემულ ამბებს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ არის მკვლევარის მთავარი საზრუნავი. ყველაფერი ეს მას შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებით აინტერესებს. მართლაც, წარმოუდგენელია, რომ ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას შემხები წერტილები არ ჰქონოდა ჩვენს ქვეყანასთან, რომელიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, გეოგრაფიულადაც ახლოს მდებარეობდა მულიდ-ასასინთა გაერთიანების უმთავრეს ცენტრთან — ალამუთის ციხე-სიმაგრესთან.

ამ საკითხს მან სპეციალური ნარკვევიც კი მიუძღვნა, რომლის სათაური უკვე თავისთავად დადებით პასუხზე მეტყველებს (იხ. ნარკვევი „მშვენივრად იცნობდნენ მულიდებს"...). წინასწარ კი მკვლევარი არ ივიწყებს ჩვენი გამოჩენილი რომანისტის კონსტანტინე გამსახურდიას პოზიციას ამავე საკითხებზე. „საინტერესოა აღინიშნოს, — წერს წიგნის ავტორი, — რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი" რამდენიმე ადგილას არის აღწერილი, თუ როგორ ადევნებდნენ თვალს საქართველოს სამეფო კარზე მულიდების ამბოხებას

სელჩუკიანთა ბატონობის წინააღმდეგ და დაწვრილებით იციან მათი ყველაზე თვალსაჩინო აქციები. ასეთი სურათები მწერლის ლაღი ფანტაზიის ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არამედ ისტორიული სინამდვილის სავსებით ფხიზელსა და დამაჯერებელ წარმოსახვას, თუმცა ქართულსა და უცხოურ მატიანეებში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ამის თაობაზე და მკვლევარი იძულებულია მხოლოდ ვარაუდით დაკმაყოფილდეს“ (გვ. 66).

მაგრამ ერთია, იცნობდნენ თუ არა ჩვენში მულიდებს და მეორე, ისევე აქტიურად მოქმედებდნენ თუ არა ისინი საქართველოშიც, როგორც სხვა ქვეყნებში.

ძველ ქართულ წყაროებში პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ძნელია. აქ საკმარისი იქნება გავიხსენოთ, რომ მაგალითად, თამარის ისტორიკოსი, ავტორი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანისა“, როცა აღმოსავლეთში ეგრე რიგად ცნობილი ათაბაგისა და შემდეგ სულტნის ყიზილ-არსლანის იდუმალ მკვლელობაზე საუბრობს, მულიდებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იხსენიებს, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ მათ კარგად იცნობდნენ საქართველოს განათლებულ წრეებში (შდრ. „ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზილ-არსლან ათაბაგი, და აწ გასულტნებული, მუჰლიდთა მიერ“, ქართლ. ცხ. ტ. II, გვ. 62).

მულიდებია თითქოს მოხსენიებული „აბდულმესიანის“ 79-ე სტროფშიც („მულიდთა ცუდ ყვეს ბომონთ მოთხრობა“, იხ. ნ. მარის გამოც.), თუმცა არსებობს ამ ადგილის სხვაგვარი წაკითხვაც (შდრ. „აბდულმესიანი“, ივ. ლოლაშვ. გამოც. გვ. 238).

უფრო გვიან კი ჟამთააღმწერელი თავის მატიანეში დაწვრილებით ეხება მულიდებს და, თანაც თამარის ისტორიკოსისაგან განსხვავებით, რამდენჯერმე საგულდაგულოდ განმარტავს კიდეც ამ იდუმალებით შემოსილი სექტის წევრთა თვისებებს, შესაძლოა სწორედ იმის გამო, რომ მე-14 საუკუნეში, როცა იწერებოდა ჟამთააღმწერლის აღნიშნული მატიანე, შედარებით მეტი ცნობილი იყო მულიდ-ასასინების ისტორია. (შდრ. „რომელნი არიან კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან“... ქართ., ცხ. ტ. II, გვ. 208).

ჟამთააღმწერელი ამ შემთხვევაში აგვიწერს საქართველოს ისტორიის იმ ცნობილ ეპიზოდს, როცა მონღოლებთან ერთად ქართული ლაშქარი წლების მანძილზე იძულებული იყო მდგარიყო ალამუთის ციხე-სიმაგრის დასაპყრობად. კერძოდ კი აქ გადმოცემულია ჩაღატაიონინის საიდუმლო მკვლელობა, რომელიც დაბრალდა ლაშქარში მყოფ ქართველებს, რაც საშინელ ტრაგედიას უქადდა ქართველთა შედარებით მცირერიცხოვან რაზმს... რომ არა კიდევ უფრო უცნაური ფაქტი მკვლელის გამოცხადებისა, რომელმაც სიამაყით წარმოთქვა:

„მე ვარ მულიდი, მულიდთა შორის საჩინო“... ამ ამბით გაოცებული ქამთააღმწერელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მოვლენილ სასწაულს მიაწერს ქართველთა ხსნას გამოუვალი ვითარებიდან, მაშინ როცა თვით მულიდთა რწმენით, ყოველი მისი წევრის, ფიდაის, გზა ნეტარი სასუფეველისაკენ სწორედ ასეთ თავგანწირულ საქციელზე გადის.

თამაზ ნატროშვილის წიგნში არის პასუხი მეორე კითხვაზეც, რითაც ირკვევა, რომ მულიდები თავის ტერორისტულ აქტებს ახორციელებდნენ საქართველოს ტერიტორიაზეც. მართებულია ავტორის დებულება, რომ ისმაილიტელთა მოძრაობის შინაარსი და მიზნები ფაქტურად გამორიცხავდა კომპრომისს რომელიმე ხელისუფლებასთან, მაჰმადიანური იქნებოდა ეს თუ ქრისტიანული. რასაკვირველია, მულიდებისათვის მიუღებელი იყო ქართველ მეფეთა მტკიცე ხელისუფლების დამყარება თბილისში (იგულისხმება დავით აღმაშენებლის დროიდან).

წიგნში მეტწილად, აღმოსავლურ წყაროებზე დამყარებით, მოტანილია საგულისხმო ცნობები, რომელთა შორის აღსანიშნავია რაშიდ ედ-დინის თხზულება, სადაც გადმოცემულია მულიდი ფიდაის მიერ თბილისელი ყადის მკვლელობა 1139 წელს; ასევე საგულისხმოა დაკვირვება ქართველთა მიერ XIII საუკუნეში ირანში ჩატარებული ლაშქრობის მარშრუტისა, რომელიც გადიოდა თვით ალმუთის სახელმწიფოს საზღვრებთან, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის ზოგიერთ ადგილზე და ა. შ.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი წერილი სათაურით „არ ქაჯნია, კაცნიაო“, რომელიც რუსთველოლოგიაში ერთხელ უკვე აღძრულ საკითხს ეხება. 1931 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა კორნელი კეკელიძის ნარკვევი „ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ და დრო მისი დაწერისა“. ნარკვევის ზოგი დებულება, რომელიც ჩემის აზრით, მცდარი წინამძღვრებს ემყარებოდა. შემდეგში თვითვე უარყო დიდმა მეცნიერმა და რუსთველოლოგიის რიგ კარდინალურ საკითხზე ახლებური თვალსაზრისი წარმოადგინა.

მაგრამ მკვლევარის ზოგი დაკვირვება ამ ნაშრომში დღესაც გარკვეულ ინტერესს აღძრავს. კორნელი კეკელიძის მტკიცებით, მულიდების სახელმწიფო უნდა იყოს იგივე, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ მხატერულ სინამდვილეში განასახიერებს „ქაჯთა ქვეყანა“. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით კვლევა-ძიებისას, მკვლევარი, ჩემის აზრით, ზედმეტმა დეტალიზაციამ გაიტაცა, რაც ზოგი აშკარად მცდარი დებულების სათავედ იქცა. აქ მხოლოდ ერთ ნიმუშს მოვიტან ზემოაღნიშნული ნაშრომიდან. როგორც ცნობილია, 1256 წელს მონღოლების,

სპარსელებისა და ქართველთა ერთიანმა ლაშქარმა საბოლოოდ გატეხეს ალამუთის ციხე-სიმაგრე და ამით, ფაქტიურად, ბოლო მოუღეს მულიდ-ასასინთა თარეშს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია შუა საუკუნეთა ისტორიაში. კორნელი კეკელიძის აზრით, სწორედ ეს ამბავია თითქოს გარდასახული პოემის გმირების მიერ ჭაჯეთის დაპყრობის მხატვრულ ეპიზოდში, ხოლო აქედან კი უკიდურესი დასკვნა, რომლითაც „ვეფხისტყაოსნის“ თარიღმა თამარის ეპოქიდან XIII საუკუნის შუა წლების შემდგომ გადმოიწია.

რუსთველოლოგიის დღევანდელ ეტაპზე, როცა ამ მიმართულებით გარკვეულია არა ერთი საკითხი, ღია კარის მტვრევა იქნებოდა საწინააღმდეგოს მტკიცება, მით უფრო, რომ როგორც უკვე ითქვა, ამ ნაშრომის ბევრი დებულება შემდგომში თვით ავტორმაც უარყო. „ვეფხისტყაოსანს“ ისევე ვერ მოვწყვეტთ თამარის ეპოქას, როგორც ქართული მწერლობის კლასიკურ ხანას ვერ გადმოვიტანთ თუნდაც ნახევარი საუკუნით გვიან, როცა მონღოლთა პირველი ტალღიდან მოკიდებული ქვეყანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

მაგრამ ზემოაღნიშნულ დებულებაში მულიდთა შესახებ, მით უფრო ზოგი ახალი მასალის მოშველიების შემდგომ, ძნელია არ დავიხახოთ სიმართლის გარკვეული მარცვალი:

თამაზ ნატროშვილიც სწორედ ასეთ პოზიციას ირჩევს და, მე ვფიქრობ, არცთუ ურიგოდ, მართლაც, შეუძლებელია რუსთველს გარკვეული ინფორმაცია არ ჰქონოდა სულ ახლოს, საქართველოს გვერდით ისეთი სახელმწიფოს არსებობის შესახებ, როგორსაც წარმოადგენდა ალამუთის ანუ ასასინ-მულიდების ქვეყანა.

უცნაურ, ჯადოსნობით აღჭურვილ საქმეთა გამო მთელს აღმოსავლეთში მულიდები ფანტასტიკურ მოვლენათა რიგს მიეკუთვნებოდა, ამიტომ იყო, რომ, მაგალითად, მულიდების ერთ სამყოფელს სირიაში „ვადი ალ-ჯინ“ შეერქვა (ჯინთა ანუ არაბული ზღაპრების ავსულთა ველი), ხოლო სპარსულში „ასასინი“ ხშირად „შაითანის“ სინონიმად იხმარებოდა.

ამდენად სრულიადაც არ ჩანს მოულოდნელი, რომ ქართული მითოლოგიისა და მწერლობის (მაგალითად „ამირანდარეჯანიანი“) კუთვნილ „ქაჯთა“ მხატვრული სახე რუსთველს გაემდიდრებინა იმ კონკრეტული თვისებებით, რომელსაც მულიდთა ხელოვნება მოიცავდა (გაიხსენეთ პოემიდან „ქაჯთა“ თვისებების დახასიათება და თუნდაც ფრაზა: „მას გრძნეულსა ხელოვანსა“ ან დახასიათება: „ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი, კაცნი, გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელოვნებულნი“. შდრ. „ქართლის ცხოვრებიდან“: „დღესა ერთსა წარმოგზავნეს ალმუთელთა მულიდი ხელოვანი“ და ა. შ.).

ანალოგიების ძიებისას, აქვე უნდა შევნიშნო, ზოგი კონკრეტული ფაქტის ხელყოფას ვერც თამაზ ნატროშვილი გასცლია უდანაკარგოდ, მაგრამ დებულება, რომ ქაჯთა ერთ-ერთ სარწმუნო პროტოტიპად საგულვებელი ჩანს მულიდ-ასასინები და რომ „თვალსაჩინო მოდელად“ პოეტს, შესაძლოა, სწორედ მათი „გრძნება — ხელოვნებაზე“ დამყარებული თავგადასვლები გამოეყენებინა, კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე მისაღებ ჰიპოთეზად მეჩვენება.

მაგრამ აქვე იმასაც დავსძენ (რასაკვირველია, ეს არ ეხება მხოლოდ წიგნის ავტორს), რომ ყოველი ასეთი ტიპის ანალოგიების ძიების დროს ზომიერება გვმართებს, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სინამდვილე თავისთავადი რეალობაა, რომელიც არცერთი შტრიხითაც კი არ ეშვება ემპირიული ფაქტების დონემდე.

* * *

თამაზ ნატროშვილის წიგნში უხვი მასალებია წარმოდგენილი ჩვენი ისტორიის იმ მონაკვეთზე, რომელსაც პირობით შეიძლება ვუწოდოთ თეიმურაზ პირველისა და გიორგი სააკაძის ეპოქა. ეპოქა, როდესაც, მართლაც, სისხლის წვიმები წვიმდა და ცრემლის მდინარეები იღვრებოდა. „რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?! დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე!“, მაგრამ ეპოქის სურათი აშკარად მკრთალი იქნებოდა, რომ ჯერ მისივე სიცოცხლეში და შემდეგაც მას თავს არ დასტრიალებდეს შაჰ-აბასის საშინელი აჩრდილი. საქართველოს რომ შინაგანი ტკივილები ღრღნიდა, ესეც კარგად იცოდნენ მაშინდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა: „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლათ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი“, — წერდა ამ ეპოქის ერთი პირველი მემატიანე სეხნია ჩხეიძე.

ზურაბ არაგვის ზვიადი ერისთავი ამ ეპოქის ღვიძლი შვილი იყო, გმირიცა და ზოგჯერ მშიშარაც, ხან თითქოს პატრიოტიცა და ხან გამყიდველი, გაორებული სულის მქონე. მრავალჯერ შემზარავი ღალატის მოთავეც, თვითონაც დაუნდობელი ღალატის მსხვერპლი. მის ტრაგიკულ თავგადასავლში ბიბლიური სიბრძნის გაცხადებას ჰვრეტდა ბერი ეგნატაშვილი: „და აღსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: რომელმან აღიღოს, მახვილი, მახვილითაცა წარწყმდეს“.

ისტორიულ ასპარეზზე მოქმედი მრავალი გმირის პორტრეტია წარმოსახული წიგნის „მაშრიყით მაღრიბამდე“ ფურცლებზე —

შეტწილ შემთხვევაში საკითხის ცოდნითა და პირუთვნელად. სანიმუშოა ამ თვალსაზრისით ნარკვევი „სიკვდილიც ღალატიანი“, რომელიც ძირითადად მძვინვარე და მოუსვენარი ფეოდალის ზურაბ ერისთავისადმია მიძღვნილი. ქართულ და უცხოურ მატიანეთა ცნობებს აქ კოლორიტით აცხოველებს ფოლკორული პოეზიის ნიმუშები, რომლებიც ასე უხვად შემორჩა ჩვენი ხალხის მეხსიერებას. ხალხს, და განსაკუთრებით მთის მოსახლეობას, თავისი ანგარიშები ჰქონდა არაგვის ერისთავთან, რომელიც ნიადაგ მათ დათრგუნვასა და ხელში მოგდებას ცდილობდა: „ზურაბმ აიფრო ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო, ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი, უკბინა ძუძუზედაო“. ბალადებისა და ლექსების მოზრდილი ციკლია აგრეთვე შემონახული, რომლებშიც გადმოცემულია ზურაბის ღალატით სიკვდილი. არაფერია იმაში უცნაური, რომ ამ ლექსებში აქა-იქ აშკარად იგრძნობა ერთგვარი სინანული. ხალხი მკაცრიცაა და, ამასთან, ლმობიერი. ზურაბმა დაიმსახურა მათ თვალში სიკვდილი, თუნდაც ღალატიანი, მაგრამ მაინც ხომ ძლიერი ვაჟკაცი იყო, ხმლის ქნევით განთქმული მთელს აღმოსავლეთში. ხალხმა დედის ცრემლი არ დაამადლა დაუძინებელ მტერსაც კი: „ვინ მოგკლა შვილო, ზურაბო, ვინ შეგხსნა ხელნი გმირსაო... აღარვინ მეგოლვებოდა მამრევი ზურაბისაო“...

ისტორიულ წყაროებში და ცნობილ საისტორიო პოემებში დეტალურადაა გადმოცემული ზურაბის ვერაგული საქმეები (ამ შემთხვევაში მარტო სიმონ ქართლის მეფის სიკვდილი იკმარებდა) და საკუთარი სიმამრის, თეიმურაზ პირველის მიერ მისი ღალატით მოკვლევინება. ხალხურ პოეზიაში არც ეს ფაქტია მივიწყებული, ხოლო ერთ ლექსში წინასწარგანჭინებასავითაა ნათქვამი: „ზურაბო, ერისთვის შვილო, შვიდსამც წელსამც ხარ სნეული, მეშვიდე წელსამც მახკვდები სიმამრის ხელმარეული!“

* * *

და აი, აქ მე მინდა წიგნის ავტორისა და, საერთოდ, ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღება მივაპყრო ერთ საინტერესო ბალადაზე, რომელიც, ჩემის აზრით, რაღაცნაირად უკავშირდება ზურაბ არაგვის ერისთავზე გამოთქმულ ხალხურ ლექსებს.

საქმე ეხება თითქმის მთელს საქართველოში აგრე რიგად გავრცელებულ ფერხისულ სიმღერას „აიმ მთაზედა“, რომელშიც გადმოცემულია სიძე-სიმამრის ნადირობის ამბავი და სიმამრის მიერ ნადირობის ჟამს სასიძოს მოკვლა: „აიმ მთაზედა, თოვლიანზედა... ია დავთესე, ვარდი მოსულა; ირმისა ჯოგი შიგ შემოსულა: ნეტამც ეძოვნათ, არ

გაექელათ! სიძე-სიმამრი გულზე მოსულა, სიძე-სიმამრი მთას ნადირობდა, სტყორცნა სასიძომ — მოკლა ირემი, სიმამრმა სტყორცნა — მოკლა სასიძო"... (ტექსტი მომაქვს „ქართული ხალხური პოეზიის" მე-6 ტომის მიხედვით, ოღონდ დასაწყისი „ია" შეცვლილია ნაცვალსახელით „აიმ", რაც თავდაპირველი წაკითხვა ჩანს. წაკითხვას „აიმ მთაზედა" და მის სახესხვაობას აი(მ) მთაზედა, სხვათა შორის, მხარს უჭერს ლექსის რამდენიმე ჩანაწერი).

ზოგი ვარიანტით, ვარიანტები კი საკმარისი შემონახულა, თითქოს გაშიფრულია კიდეც სიძე-სიმამრის ვინაობა, მაგრამ მოვუსმინოთ ტექსტის შემდეგ სტრიქონებს: „—შვილო, დარეჯან, ქმარი მოგიკალ.— შენ, მამაჩემო, დარბაისელო, ისე მოკვდი, რომ არ მოისვენო. მომეცი წალდი, გზა გავიკაფო, მომეც სანთელი, გზა გავინათო"... (იხ. იქვე, გვ. 146).

აქ ორი რამაა განსაკუთრებით საყურადღებო. ქმარმოკლული ქალის სახელი ტექსტების ერთ რიგში წარმოდგენილია როგორც დარეჯანი, ხოლო თეიმურაზ პირველის ქალიშვილს და ზურაბ ერისთავის მეუღლეს სწორედ დარეჯანი ერქვა. თანაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დარეჯანის სახელი მეტწილად გვხვდება იმ რეგიონში ჩაწერილ ტექსტებში, სადაც დატრიალდა ზემოაღწერილი ტრაგედია: თეიმურაზის მიერ ზურაბის ღალატით სიკვდილი, რაც სხვა ხალხურ ლექსებშიც, როგორც ითქვა, დეტალურად არის აღწერილი.

რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრად გავლებაც კი, თითქოს ეს ბალადა, მართლაც მე-17 საუკუნეში შეიქმნა და აღწერს თეიმურაზ პირველისა და ზურაბ ერისთავის ეპოპეას.

ბალადას „აიმ მთაზედა" მშვენიერი გამოკვლევა მიუძღვნა თავის ცნობილ ნაშრომში „ქართული სამონადირეო ეპოსი" ელენე ვირსალაძემ, სადაც იგი ძველ, მაგ[illegible]ური ტექსტების ფონზე განიხილავს აღნიშნულ ბალადას (კერძოდ, იგი დალის მიერ დაღუპულ მონადირის ეპოსს უკავშირებს მათ) და აღნუსხავს კიდეც ბალადის ტექსტში აშკარად შემორჩენილ არქაულ პლასტებს, რომელთაგან ერთი რიგი წარმართული აზროვნების მხატვრული ნიშნებით არის აღბეჭდილი, ხოლო აქა-იქ ქრისტიანობის გავლენით შეჭრილი სახეებიც გამოსჩანს („სანთელი მამე, გზა გავინათო, საკმელი მამე, თავით უბოლო"). ღრმად არქაულ ფენას წარმოდგენილ ბალადაში ადრევე აღნიშნავდნენ აგრეთვე მიხეილ ჩიქოვანი და გიორგი კალანდაძე. ეს უკანასკნელი ჩვენს დრომდე მოღწეულ ტექტებს სატრფიალო და სამონადირო სიმღერების ერთგვარი შერწყმის ნიმუშად მიიჩნევს („ქართული ხალხური ბალადა").

აქვე დავსძენდი იმასაც, რომ არქაულობის ხერხემალს წარმოგვიჩენს თვით მთავარი კოლიზია, რომელიც სიძე-სიმამრის დაპირისპირე-

ბას შეიცავს და ტიპოლოგიური თვალსაზრისით საზოგადოებრივი ცხოვრების უძველეს შრეებს ავლენს: თემის, გვარის ბელადი „ადვილად“ არ თმობს საკუთარ პოზიციას და გზიდან იშორებს მის მომავალ შემცვლელს, მეტოქეს (იხ. ამ თვალსაზრისით ჯეიმზ ფრეზერის ეთნოლოგიურ-ფოლკლორისტული ხასიათის შრომები, სადაც დიდძალი მასალაა განხილული „მემკვიდრეობის“ უნივერსალურ თემასთან დაკავშირებით).

მაგრამ ფოლკლორულ ქმნილებათა უცილობელი კანონია ისიც, რომ აქ არქაული შრეების ერთგვარ კონსერვაციასთან ერთად, რაც ინვარიანტის სახით მეტნაკლებად დასტურდება მათში, საუკუნეთა მანძილზე ახალი ელემენტებით ივსება და გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. საგულისხმოა, რომ ამგვარ ცვლილებათა საკმარის ხვედრით წონას აღნიშნავდა კიდეც ელენე ვირსალაძე, როცა ზოგადად ეხებოდა თოლიანი მთის ბალადის ერთ-ერთ ნიმუშს. მართლაც, წერს მკვლევარი, ეს ტექსტი ძველი საფერხულოს ახალი გალექსვის, ახალი სტილით გადამუშავების ცდას წარმოადგენს. აქ უკვე ეს ლექსი ჩვეულებრივი საყოფიერო ლექსის ტონალობაშია გადაყვანილი და, მიუხედავად მრავალი ძველი მოტივის დაცვისა, გადატვირთულია საყოფიერო დეტალებით (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 109).

ხოლო ყოველივე ეს, ჩემის აზრით, მიგვმართავს იქით, რომ როგორც ჩანს, თოლიანი მთის უძველეს ბალადაში შეიჭრა შედარებით ახალი ისტორიული ფაქტი. ზოგადად სიმამრის დაპირისპირება დაკონკრეტდა თეიმურაზ-ზურაბის გახმაურებული კონფლიქტით, რომელსაც ზურაბ არაგვის ერისთავის დაღუპვა მოჰყვა.

ამ შემთხვევაში ანალოგიებისათვის მსოფლიო ფოლკლორის შორეული ფაქტების მოხმობა არც არის საჭირო. საკმარისია აქ მკითხველს შევახსენოთ ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე თამარ მეფისა, რომელშიც შერწყმულია როგორც წარმართულ ღვთაებათა, ისე „მარადი ქალწულის“ ქრისტიანული აზროვნებით აღბეჭდილი ნიშნები.

*
* *

ილია ჭავჭავაძე ხშირად და დაბეჯითებით აღნიშნავდა ხოლმე, რომ ქართველი ხალხი, რასაკვირველია, მარტო „მკლავითა და გულადობით“ ვერ შეძლებდა ისტორიის მძიმე ჯაჭანის ზიდვას.

თამაზ ნატროშვილის წიგნი იმითაც გამოირჩევა, რომ მის ფურცლებზე სახელმოხვეჭილ მეომრებთან ერთად საკმარისი ადგილი ეთ-

მობა შრომითს საქმიანობას როგორც ჩვენში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

„არა ხმლითა მხოლოდ"... ასეთი სათაური აქვს თამაზ ნატროშვილის წიგნში ერთ ნარკვევს. აქ განსაკუთრებით მკაფიოდაა წარმოჩენილი ზოგი ჩვენთვის მანამდე უცნობი ფაქტი, როცა არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის გარეთაც ქართველი კაცი გამოირჩეოდა ცოდნითა და გონიერებით, გარჯითა და მიწის მოვლა-პატრონობის ნიჭით.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელი მოგზაური ჰონ ფრაი ირანში, როცა ისპაანისაკენ ჰქონდა აღებული გეზი, შეხვედრია არაერთ, ბედის უკუღმართობის გამო აქ გადმოხვეწილ ქართველებს, რომელთა ხელობა მევენახეობა და საერთოდ, მიწათმოქმედება ყოფილა. ინგლისელ მოგზაურს შეუნიშნავს კიდეც მათ მიერ ქართული წესისამებრ ფერდობებზე გაშენებული ვაზის დიდებული ჯიშები.

ადრე, თავის სახელმოხვეჭილ გამოკვლევებში ქართული ვაზის ჯიშებზე იკვანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სპარსეთში ევროპელებს უნახავთ განსაკუთრებული, დახვეწილი ჯიშის ყურძენი სახელწოდებით „შირაზული". ამასთან მკვლევარი სავარაუდოდ დასძენს: აქ სუფიქსი „ული" იმაზე მიუთითებს, რომ მათ ასეთი სახელწოდება ირანში მცხოვრებ ქართველთაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებულიო.

მსგავსი ცნობები სხვაც ბევრია და მომავალში კიდევ აღმოჩნდება ალბათ ქართველი კაცის წვლილი მეზობელი ხალხების ცხოვრებაში ხელოვნების, მწიგნობრობისა თუ სხვადასხვა ხელობის დაუფლების საქმეში.

სხვა მრავალ, ზოგჯერ, მართლაც, გულისშემძვრელ ამბებს მოგვითხრობს წიგნის ავტორი და, რაც მთავარია, რიგი საკითხების მიმართ წიგნი მომავალში უფრო გაღრმავებული კვლევა-ძიების ინტერესებს უღვიძებს მკითხველს. თხრობაში გამოვლენილი თავმდაბლობა და იმპერატიული კილოს უარყოფა ამ შემთხვევაში წიგნის ავტორის ერთგული მოკავშირეა.

ნარკვევების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებულია თხრობის მოსაწონი ოსტატობით, რომელსაც არც ემოციურობა აკლია და არც მასალის დაუფლება. ამ თვალსაზრისით წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე" მკვეთრად ემიჯნება ყალბ ისტორიულ „ბელეტრისტიკას", რომელიც რაღაც კანონზომიერების ძალით სახადივით იფეთქებს ხოლმე. მხატვრულ თხრობას ასეთ დროს „დახუჭუჭებული" ფრაზებით გადმოცემული შიშველი მორალისტიკა ცელის, ხოლო ჭეშმარიტად მამუ-

ლიშვილური გრძნობების გაღვივებას უსაზომოდ ყალბი „თავმოწონება“.

ზოგ ჩვენგანს თითქოს აღარც კი ახსოვს დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, რომ „ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

თამაზ ნატროშვილის წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე“ ასეთი მართებული არჩევანის ნაყოფს წარმოადგენს.

1981 წ.

ქართული მეცნიერების სამსახურში

პირველი ქართველი აკადემიკოსი

(თეიმურაზ ბაგრატიონი)

თეიმურაზ ბაგრატიონმა თავის დროზე დიდი მეცნიერის სახელი მოიხვეჭა. იგი იყო დაკვირვებული ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, პოეტი და მთარგმნელი, ბიბლიოგრაფი, ნუმიზმატი და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ვეფხისტყაოსნის“ უბადლო მცოდნე. ამ თვალსაზრისით, იგი ერთ-ერთი პიონერთაგანია ჩვენში. მას კარგად ესმოდა, თუ რა ამოცანების წინაშე იდგა აღორძინების პროცესში მყოფი მეცნიერება. ქართული ეროვნული საუნჯენი გაბედულად უნდა გამოეტანათ მსოფლიო კულტურის სარბიელზე. წარმოეჩინათ მისი უძველესი ძირები. მთელი თავისი ცხოვრება მკვლევარმა სწორედ ამ კეთილშობილურ საქმეს მიუძღვნა. თეიმურაზ ბაგრატიონი მხედრად და მეომრად იყო თითქოს დაბადებული, მაგრამ როცა ვითარება შეიცვალა, იგი მეცნიერული შეუპოვრობით ღამეებს ათენებდა ძველ-ქართულ მატიანეთა ამოშიფვრაზე. ამაში ხელს უწყობდა დიდი ერუდიცია, დასავლური და აღმოსავლური ენების ცოდნა და ფართო მეცნიერული ინტერესები, ამიტომ წერდა ასე აღფრთოვანებით ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი, ჩვენი კულტურის დიდი მოამაგე მარი ბროსე: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვსთქვა სახელი თეიმურაზისა, რომელშიც შაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და ერცელ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობითს შრომაში ჰპოულობს კეთილშობილურ გასართობს, რომლის მიზანი არის — თვისის შრომით უკვდავჰყოს ხსენება თვისის ერისა, რომლის (თეიმურაზის) მდაბალ მოწაფედ მე — სვინდისის ქვეშ უნდა ვთქვა — აღვიარებ ჩემს თავსა“. სწორედ მარი ბროსეს წარდგინებით თეიმურაზ ბაგრატიონი 1837 წელს არჩეულ იქნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. პირველი ქართველი აკადემიკოსი ამავე დროს იყო წევრი პარიზისა და კოპენჰაგენის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებისა და

დიდ დახმარებას უწევდა ქართული კულტურით დაინტერესებულ ყველა უცხოელ მკვლევარს.

თეიმურაზ ბაგრატიონს საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. იგი ერეკლე მეორის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრია. თეიმურაზი, ძე საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი მე-12-ისა, დაიბადა 1782 წლის 23 აპრილს. ახლადშობილს ერეკლეს მამის თეიმურაზ მეორის სახელი უწოდეს (სწორედ ამ ხანებში შესრულებულა 20 წელი, რაც რუსეთს მიეცალა თეიმურაზ მეორე). გიორგი მე-12-ის უფროსი ვაჟები დავითი და იოანე. ხოლო შემდგომ ბაგრატი და თეიმურაზი მხნე მამულიშვილებად აღიზარდნენ და მხარში ამოუდგნენ მოხუც პაპას, ერეკლე მეორეს. ამ დროის მატიანეთა ფურცლებზე მაღი ვაჟკაცობის ამბებს ამოკითხავთ, მაგრამ მსნეობა და რაინდული თავდადება საქმეს ვეღარ შველოდა. არსებითად, ერეკლეს სიკვდილთან ერთად დამთავრდა საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთი, რუსეთთან კავშირმა იხსნა ქვეყანა თურქ-სპარს-ლეკთა თარეშისაგან და იგი განვითარების ახალ შარაგზაზე გამოვიდა.

სხვა ბატონიშვილთა მსგავსად, თეიმურაზი პირველ ხანებში ოპოზიციაში აღმოჩნდა და საკმაოდ აქტიურ ზომებსაც მიმართა. ჯერ ფარულად, ხოლო შემდგომ აშკარად გამოვიდა იგი საქართველოს სამეფოს გაუქმების წინააღმდეგ და ენერგიულად იბრძოდა მისი უფროსი ძმის დავითის გამეფებისათვის. რამდენიმე წელი მან სპარსეთში, ფათალი-შაჰის კარზე დაჰყო თავის ბიძა ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, მაგრამ ყველაფერს ამას კარგი პირი არ უჩანდა. სპარსეთსა და ასევე თურქეთს მხოლოდ თავისი მიზნები ამოძრავებდათ და პირველსავე შემთხვევაში მზად იყვნენ კვლავ აეწიოკებინათ ისედაც დარბეული ქვეყანა. 1810 წელს თეიმურაზი იმყოფებოდა ერევანთან აბასმირზას ლაშქარში და როგორც გამოცდილი მეომარი, სპარსთა არტილერიას სარდლობდა. თეიმურაზი ამ დროისათვის უკვე მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს. იგი ძალით გამოარღვევს სპარსთა ლაშქარს და საშობლოში ბრუნდება. სულ მალე მას პეტერბურგში ვხედავთ, სადაც ასე გულმოდგინედ შეუდგა მნიშვნელოვან მეცნიერულ მოღვაწეობას. პეტერბურგში გაატარა შემდგომი წლები და აქვე გარდაიცვალა 1846 წელს.

პირველ ხანებში თეიმურაზი ძირითადად, მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა და უცხოური ნაწარმოებების გადმოქართულებით ამდიდრებდა ჩვენს ლიტერატურას. როგორც ცნობილია, მან თარგმნა არისტოტელეს, ვოლტერის, პუშკინის და სხვათა თხზულებები, მაგრამ მისი ინტენსიური მეცნიერული მუშაობა დაიწყო 1831 წლიდან, როცა იგი გაეცნო (ჯერ მიწერ-მოწერით, ხოლო შემდეგ პირადად) მარი ბროსეს.

მარი ბროსესთან ურთიერთობამ ახალი მიმართულება მისცა თეიმურაზ ბაგრატიონის მუშაობას, ქართველოლოგიაში ერთ-ერთ უველაზე ავტორიტეტულ კონსულტანტად მარი ბროსეს თეიმურაზ ბაგრატიონი მიაჩნდა და, ამ საკითხებში თავს თეიმურაზის მოწაფედ თვლიდა. როგორც ცნობილია, თეიმურაზის ბევრი მოსაზრება ჩვენი ძველი კულტურის ამა თუ იმ საკითხზე მზამზარეულადაა შესული ბროსეს ქართველოლოგიურ შრომებში. ხოლო, თავის მხრივ, მ. ბროსე ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენდა თეიმურაზის მუშაობაზე და ჭეშმარიტად მეცნიერულ ასპექტში წარმართავდა მას. მათი მეგობრობა იყო შემოქმედებითი თანამშრომლობის იშვიათი ნიმუში. სწორედ მ. ბროსეს რჩევით თეიმურაზი მთელ თავის მეცნიერულ ძალას მოახმარს ორ უველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: ქართული ისტორიის, მწერლობის წყაროების კვლევასა და დიდი ეროვნული საუნჯის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას. ამ მუშაობის გვირგვინია თეიმურაზ ბაგრატიონის საყურადღებო გამოკვლევები: „ისტორია დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გიორგიისა“ და „განმარტება პოემისა „ვეფხისტყაოსნისა“.

„ივერიის ისტორია“ საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდს ეხება და თხრობა მოყვანილია მირიანის მეფობამდე (მე-4 საუკუნე). როგორც მოსალოდნელია, თეიმურაზ ბაგრატიონი „ივერიის ისტორიაში“ არ შემოფარგლულა მარტო ქართული მასალებით და თავის დროისათვის არა ერთი საყურადღებო საკითხი დაუსვამს.

აქვე ცალკე თავია მიძღვნილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისადმი, როგორიცაა ქართველთა საზღვარგარეთული კულტურული ცენტრების დაარსების ისტორია. კერძოდ, ჯვრის მონასტრისა და მასთან დაკავშირებით შოთა რუსთაველის პორტრეტის საკითხი და ა. შ.

რაც შეეხება თეიმურაზის მეორე კაპიტალურ შრომას „განმარტება პოემისა „ვეფხისტყაოსნისა“, იგი ღირსეულად უმშვენებს მხარს თავის წინამორბედის ვახტანგ მეექვსის შრომას: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც დაიბეჭდა 1712 წელს ვახტანგისავე დაარსებულ პირველ ქართულ სტამბაში და რომლითაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთველოლოგიას.

რუსთველოლოგიურ ძიებებს თეიმურაზ ბაგრატიონის სხვა შრომებშიც ეხვდებით და აღნიშნულ „განმარტებებთან“ ერთად მათში აღძრულია რუსთველოლოგიური პრობლემატიკის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. თეიმურაზ ბაგრატიონმა რუსთველოლოგიაში პირველმა აღძრა საკითხი პოემის შინაარსისა და ხასიათების თავისებურებათა გამო, რაც თავისთავად წყვეტდა საკითხს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ.

განსაცვიფრებელია თეიმურაზის მიხვედრა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონთან დაკავშირებით. მან პირველმა აღიარა, რომ უცხო სიტყვა-

თა ის დიდი მარაგი, რომელიც გვაქვს „ვეფხისტყაოსანში“, პირდაპირი სესხების ნიმუში როდია. ეს სიტყვები ადრევე დამკვიდრებულან ჩვენში და რუსთაველის პოემაში ქართული იერით აღბეჭდილნი შესულან.

არა ერთი საინტერესო საკითხი წამოაყენა თეიმურაზმა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის გარშემო. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მესხეთის რუსთავის ნაცვლად შოთას სამშობლოდ ჰერეთის რუსთავის ანუ ბოსტანქალაქის (დღევანდელი მეტალურგიული ქალაქი) წამოწევა სწორედ თეიმურაზ ბაგრატიონს მიეკუთვნება. „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით, სწორედ თეიმურაზმა წამოაყენა მოსაზრება ჰერეთის რუსთავისა და მისი მფლობელის შოთა კუპრის შესახებ, რომელიც მას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად მიაჩნდა.

მაგრამ თეიმურაზის შრომის „განმარტება პოემისა „ვეფხისტყაოსნისა“ მთავარი ღირსება მაინც მის ლექსიკოლოგიურ განმარტებებში უნდა დავინახოთ. აქ თავმოყრილია მკვლევარის მართლაც კოლოსალური ნაშრომი. თეიმურაზი აგრძელებს ვახტანგ VI ტრადიციას და სტროფულად, სიტყვა-სიტყვით მისდევს პოემის ბუნდოვანი ადგილების განმარტებას. თეიმურაზს მარტო სიტყვის ლექსიკოლოგიური მნიშვნელობა არ აინტერესებს. იგი მთლიანად ხსნის პოეტურ ფრაზებს, მეტაფორებს და დიდის შეუპოვრობით ცდილობს პოემის ძნელად გასაგები ადგილების ამოხსნას. მკვლევარს ზოგჯერ ჰყავს ამაში წინამორბედები სულხან-საბასა და უფრო კი ვახტანგ VI სახით, მაგრამ აქაც იგი ფაქიზად და დაკვირვებულად იქცევა: აზუსტებს მათ განმარტებებს, ხოლო აშკარა შეცდომების დროს არ ერიდება მათ გასწორებასაც. მაგრამ არც თუ იშვიათად, მას ყამირის გატანა უხდებოდა და უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აქ ჩანს ნამდვილი მაძიებელი მკვლევარის გონება.

თეიმურაზ ბაგრატიონმა დიდი სიყვარული ქართული კულტურისადმი გამოხატა იმითაც, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს. თავის დროზე მას ჰქონდა ქართული ხელნაწერების ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კოლექცია, რომელიც უსასყიდლოდ უანდერძა მეცნიერებათა აკადემიას.

მას ხშირად უყვარდა ძველი ფილოსოფოსის გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვების დამოწმება: „სჯობს საქმე უხმო, სიტყვასა უსაქმოსა...“ იგი თეითონ იყო ნიმუში თავმდაბლობით დამშვენებული მშრომელი მოღვაწისა და დიდი წვლილიც შეიტანა ქართული მეცნიერების წმინდა ტაძარში.

1962 წ.

ნიკო მარი

(რამდენიმე შტრიხი და მოსაზრება).

ნიკო მარი დიდზე დიდი სახელია როგორც ქართულ, ისე მსოფლიო მეცნიერებაში. ჩვენთვის კი განსაკუთრებულია ის ღვაწლი, რომელიც დასდო მან ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა ქართველთმეტყველება.

ახალ საუკუნეში, როცა ქართველი ერი ახალი ამოცანების წინაშე აღმოჩნდა, ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა ფართო მიზნებს ისახავდა. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მეობისა და ვინაობის დამამტკიცებელ საფუძვლებს ეძიებდა.

ნიკო მარს ასეთ ასპარეზზე ჰყავდა ღირსეული წინამორბედნი: თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ცაგარელი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი... XIX საუკუნის შუა წლებიდან „ვითარცა მხნენი ხარნი დაუღლელნი“ შეებნენ ეროვნული მეცნიერების აღორძინების საშვილიშვილო საქმეს.

მაგრამ ქართველოლოგიის, იგივე ქართველთმეტყველების თვისებრივად ახალ საფეხურზე შედგომა, ამის არ დანახვა კი დიდი უსამართლობა იქნება, უწინარეს დაკავშირებულია სწორედ ნიკო მარის სახელთან.

„ნიკო მარმა ქართული ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“. ეს სიტყვები ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და გულისხმობს ნიკო მარის ღვაწლს, როგორც ქართველოლოგიის მასშტაბების გაფართოებაში, ისე კვლევა-ძიების თვისობრივად ულტრა-თანამედროვე მეთოდების გამოყენებაში. მართლაც, დღეს იშვიათია ქართველოლოგიის რომელიმე დარგი, ისტორია იქნება ეს თუ ენათმეცნიერება, წერილობის ისტორია თუ ტექსტოლოგია, ხელოვნებისმცოდნეობა თუ არქეოლოგია, რომელთა განვითარებაში არა უბრალო, არამედ გარკვეულად პერსპექტივის შემცველი წვლილი არ ჰქონდეს შეტანილი ნიკო მარს.

ემპირიული მასალის დაუფლებასთან ერთად განზოგადებისა და ურთი შეხედვით მოულოდნელი დასკვნების გამოტანის უნარი ახასიათებდა ამ, მართლაც, კოლოსალური ენერგიის მკვლევარს. იგი დღეს თუ პირველ ბარს დაჰკრავდა ანისის მიდამოებს, ხვალ ტაო-კლარჯეთში ეძიებდა უნიკალურ სიძველეებს, დღეს თუ ლექციებით იყო დაკავებული პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხვალ მას ნახავდით რომელიმე საერთაშორისო კონგრესზე, სადაც ახალ, ჯერ კიდევ ჩანასახ ფორმებში

არსებულ თეორიებს აცნობდა მსმენელებს. მისი ასეთი დაუცხრომელი პრაქტიკული ქმედებით მოხიბლული, მისივე მოწაფე და ჩამოთვლილ საქმეთა თვითმხილველი აკაკი შანიძე წერს ერთ ადგილას: „პირდაპირ საოცარია, როგორ ასწრებდა ის ამდენის გაკეთებას, რაც გვიანდერძა". მართლაც, როგორც რუსთველი იტყოდა „ძალი შესწევდეს ქადილსა".

•

• •

წელს ნიკო მარის დაბადებიდან გავიდა 120 წელი. მეცნიერის ამ საიუბილეო თარიღს დიდი პატივისცემით აღნიშნავს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება, მწერლობა, მთელი ხალხი. ჯერ კიდევ მისივე სიცოცხლეში, ხოლო შემდეგ, კიდევ უფრო იზრდებოდა მისი აუტორიტეტი. ნიკო მარი ჩვენში ჭეშმარიტი მეცნიერის, საერთოდ მეცნიერების სინონიმადაც იქცა. ისიც სათქმელია, რომ მასთან დაკავშირებული ბევრი რამ ათასგვარი ლეგენდარული გადმოცემის ნისლშიც კი გაეხვია.

ალბათ ბევრი თქვენგანი შესწრებიხართ კიდეც ასეთ დიალოგს: მაინც რამდენი ენა იცოდა მარმა, ან რომელ ენებს უკეთ ფლობდა და იყენებდა თავის გამოკვლევებში?

ათი, ოცი, ოცდაათი! ასეთი პასუხი შემკითხველში ყოველთვის ეჭვს იწვევდა... მათ ვერ გადააჯერებდით, რომ ნიკო მარმა არ იცოდა მსოფლიოს რომელიმე მნიშვნელოვანი ენა... იქნებ ეს მართლაც ასე იყო...

მისი სკოლის, ხოლო შემდეგ ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზაზე დიდი მეგობრის ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ნიკოს ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს შეუსწავლია კლასიკური და თითქმის ყველა ძირითადი ევროპული ენა.

ერთი რამ კი უეჭველად ცხადია. ნიკო მარი უწინარეს ლინგვისტი იყო და საჭიროებისამებრ, თუ არ იცოდა, მყისვე სწავლობდა კიდეც იმ ენას, რომლის მონაცემების გათვალისწინება საჭირო იყო ენათა განვითარების კანონზომირებათა კვლევის საქმეში.

ცნობილი ფიზიკოსი, აკადემიკოსი აბრამ იოფე თავის მოგონებაში გადმოგვცემს ერთ, შემდეგ გახმაურებულ ფაქტს: პრაქტიკული საჭიროებისათვის ნიკო მარმა ერთ დღეში თურმე ისწავლა მისთვის მანამდე უცნობი ენა და საღამოჟამს, აბსოლუტური სრულყოფილებით ესაუბრებოდა მათსავე ენაზე მასთან მოსულ სტუმრებს, რომლებიც გაოცებით შეჰყურებდნენ მეცნიერს, რომელიც ასე კარგად ფლობდა მათ იშვიათ ენას — არ კი იცოდნენ, რომ ყველაფერი ეს ერთი დღის ძალისხმევის შედეგი იყო.

ლეგენდარული ცნობებითაა აღსავსე თვით ნიკო მარის ახლო თუ შორეულ წინაპართა თავგადასავალი. საიდან აღმოჩნდნენ ისინი მაინცადამაინც საქართველოში, რატომ აირჩიეს სამოღვაწეოდ შორეული საქართველო, ან როგორ მოხდა მათი დაფუძნება ჩვენს ქვეყანაში.

ნიკო მარის პირდაპირ შთამომავალთა გარდა დღეს რამდენიმე ქართული ოჯახი ატარებს ამ გვარს. სწორედ ნიკო მარის განაყოფ შტოს განეკუთვნება, მაგალითად, ცნობილი ქართველი მთამსვლელი, გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ივანე (იგივე კაკო) მარი და ა. შ.

მაგრამ დავუბრუნდეთ თვით მარების საქართველოში დაფუძნების ძველ ამბავს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ნიკო მარის ბიოგრაფიას და არც უინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისათვის. მით უფრო, რომ ბოლო ხანებში ზოგი ახალი რამ გახდა ცნობილი ამ მიმართულებით.

მარების ოჯახიდან პირველი, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში, იყო ნიკოს მამა იაკობ პატრიკის ძე მარი — მონტეგიო. იგი ტომით შოტლანდიელი ყოფილა და დაიბადა სოფელ ლუიუეში (ზოგი ცნობით 1793 წელს). მარების ოჯახში იგი უმცროსი შვილი იყო და ადგილობრივი წესისამებრ თავისი წილი მამული უფროსი ძმისთვის დაუთმია, რის სანაცვლოდ მაიორატის დაურღვევლად მისთვის ურგუნებიათ გარკვეული, როგორც ჩანს, არც თუ დიდი თანხა.

ამის შემდეგ იგი ბედის საძიებლად გამგზავრებულა უცხო ქვეყნებში და, როგორც ვნახავთ, მალე იგი რუსეთში (უფრო გვიან კი საქართველოში) იწყებს მოღვაწეობას.

ისიც ცნობილია, რომ მანამდე იგი რამდენიმე წელი იმყოფებოდა ესპანეთში, სადაც დაოჯახებულა და აქვე შეურთავს კიდეც ესპანელი ქალი ფაქუნდა ანტონიო.

შემდეგ კი, როგორც ითქვა, რუსეთში ჩამოდის და ერთხანს ოდესაში მსახურობს, ხოლო გასული საუკუნის ოციანი წლებიდან კი საქართველოში ცხოვრობს. იგი პროფესიით იყო სწავლული აგრონომი და ამასთან, პირველ ხანებში მაინც, კომერციული საქმიანობისათვის მიუყვია ხელი.

მაგრამ ძალიან მალე აქ იგი წააწყდა მძაფრ წინააღმდეგობას ადგილობრივი სომეხი სოვდაგრების მხრიდან. საქმე ისაა, რომ ამ ხანებში ვაჭრობის მონოპოლია მათ ხელში იყო მოქცეული და ჩამოსულ უცხოელს, ეს უკვე. დაკანონებული ჰქონდათ, მხოლოდ მათი მეშვეობით ეძლეოდა კომერციის უფლება. სხვანაირად, ჩამოსულთ ბითუმად უნდა

ეძლიათ მათთვის საქონელი, ხოლო ისინი ამ საქონელს საკუთარი შეხედულებითა და მათთვისვე ხელსაყრელ ფასებში ცალობით მიაწვდიდნენ მყიდველ მოსახლეობას. ერთი სიტყვით მოგების განაწილებაზე მიდგა საქმე და ჯანსაღი კონკურენციის დათრგუნვას ცდილობდნენ.

აქ უნებურად მაგონდება შედარებით უფრო ადრეული, მაგრამ ანალოგიური ფაქტი. ასევე ებრძოდნენ თბილისის ადგილობრივი სოვდაგრები პატრმისიონერებს, მათთვის პოტენციურ კონკურენტებს და, როგორც ცნობილია, მათ წინააღმდეგ სასტიკი სანქციები მიაღებინეს ერეკლე მეორის მამას — თეიმურაზ მეფეს. ეს სამარცხვინო ამბავი, სხვათა შორის, მოთხრობილი აქვს მიქელ თამარაშვილს თავის წიგნში: „ქათოლიკობის ისტორია საქართველოში“.

არსებობს დოკუმენტური ცნობა იმაზე, რომ სწორედ თბილისელი სოვდაგრების საჩივართა საფუძველზე გენერალ ველიამინოვს გამოუცია ბრძანება, რომლითაც იაკობ მარს ეკრძალებოდა დამოუკიდებელი გზით კომერციის წარმოება (ბრძანების თარიღია 1821 წელი, 8 ოქტომბერი).

სწორედ ამ დროიდან, როგორც ჩანს ამ უსიამოვნო ამბების გამო, იაკობ მარი საცხოვრებლად გადადის გურიაში, თავად მამია გურიელის კარზე, ხოლო როგორც სწავლული აგრონომი მოღვაწეობს დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში და გურია-იმერეთის სხვადასხვა კუთხეში.

*
* *

ჩოხატაურის რაიონში, მდინარე სუფსის აყოლებაზე მდებარეობს ჰავითა და მცენარეული საფარით გამორჩეული სოფლები: ბუკისციხე, დაბლაციხე, საყვავისტყე... სწორედ ეს მიდამოები შეურჩევია საცხოვრებლად მეურნეობის გასაშენებლად იაკობ მარს.

მაგრამ აქ გასახსენებელია ერთი საგულისხმო ეპიზოდი, რომელიც კარგად ამხელს იაკობ მარის ზნეობრივ სისპეტაკეს. გურიის მთავარს მამულები და მასთან რამდენიმე ყმა-ოჯახი პირველად ლანჩხუთის ახლო უბოძებია იაკობისათვის. მაგრამ თურმე იაკობს უარი უთქვამს ყმების ჩუქებაზე. მისი ასეთი ნაბიჯი, სხვათა შორის, საგანგებოდაა ხაზგასმული გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, სადაც საუბარია იაკობ მარის ადრეულ დამსახურებაზე: მარი „საქებად მოიქცა: იმას მთავარმა მამიამ შეაძლია რამოდენიმე კომლი კაცი კუთვნილი მამულებით, მაგრამ როგორც პატიოსანმა და სინდისიერმა კაცმა დამშვიდებით უარყო და უპასუხა: „მე სინდისი და მთელი (ჯანსაღი) ჭკუა ნებას არ მაძლევს, რომ ჩემისთანა კაცები მე მონებად მყავდესო“ (გაზ. „დროება“, 1874, № 421).

მაგრამ ირკვევა ისიც, რომ იმ ტიპის მეურნეობისათვის, რომლისთვისაც ემზადებოდა იაკობი, ეს ადგილები უვარგისი აღმოჩენილა და, როგორც ითქვა, ისევ გურიელის შემწეობით იგი დაფუძნებულა ჩოხატაურის მახლობლად მიხეილ ერისთავის მამულებში.

იაკობ მარის ოჯახი ამ ხანებში შედგებოდა მეუღლისა და ორი შვილისაგან: ქალი, რომლის სახელია ევგენია (შემდეგში იგივე მადამ ფაბრი, ევგენია ფავრი) და ვაჟი ივანე. სწორედ ამ ივანეს შთამომავალნი, მარების რამდენიმე ოჯახი აღმოცენდა ამ ადგილებში, შეერწყა ადგილობრივ მცხოვრებთ და თავისი სულისკვეთებით პირწმინდა ქართველებად მოგვევლინენ მომდევნო ხანებში.

თავის არც თუ უმნიშვნელო წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების საქმეში იაკობის ქალს მადამ ფაბრის. ვინც ჩვენი ქვეყნის ახლო ისტორიას ასე თუ ისე იცნობს, მას კარგად მოეხსენება XIX საუკუნის პირველ ნახევარში რა სავალალო ვითარება იყო სწავლა-განათლების დარგში. მით უფრო ეს ითქმის ქალთა განათლების სფეროზე.

და აი, ერთ-ერთ პირველ ქალთა პანსიონს თბილისში ჯერ კიდევ 1854 წელს სათავეში უდგას სწორედ იაკობის ქალიშვილი მადამ ფაბრი (იგივე ევგენია ფავრი). აქ სხვა საგნებთან ერთად ქართულ ენასა და უცხოური ენების დაუფლებაში წვრთნიდნენ თბილისელ ქალიშვილებს. სხვათა შორის ამ პანსიონის აღზრდილები იყვნენ ჩვენი გამოჩენილი ქართველი მწერლები ეკატერინე გაბაშვილი და ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. აქვე შევნიშნავ იმ სამწუხარო ფაქტსაც, რომ ზოგ სპეციალურ ნაშრომში საქართველოში განათლების ისტორიის საკითხებზე არ არის აღნიშნული, რომ მადამ ფაბრი იაკობის ქალიშვილი და ნიკო მარის უფროსი და იყო.

დავსძენ იმასაც, რომ მადამ ფაბრი სამოცდაათიან წლებში დაბრუნებულა ინგლისში, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან (არსებობს გადმოცემაც, რომ იგი ხშირად თურმე ჩამოდიოდა თავის მეორე სამშობლოში, ძმებისა და ძმისშვილების მოსანახულებლად).

რაც შეეხება თვით იაკობს, იგი თუმცა ოჯახით სოფელ დაბლაციხეში იყო დაფუძნებული, მეტწილად ქუთაისში მოღვაწეობდა. საქართველოში სოფლის მეურნეობის იშვიათ კულტურათა დანერგვის საქმეში, როგორც ირკვევა, ძალზე მნიშვნელოვანია იაკობის ღვაწლი და ამას ალბათ სათანადო დარგის სპეციალისტთა მეტი ყურადღება ეკუთვნის. იაკობ მარის მიერ ჩატარებულ ცდებს შორის აღსანიშნავია, რომ იგი წარმოგვიდგება როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოღვაწე საქართველოში ჩაის კულტურის მოშენებისათვის ბრძოლაში. სწორედ იაკობ მარის მიერ ჩოხატაურის მახლობლად სოფელ გორაში

(ამჟამად გორაბერეჟოული) მოშენებულმა ჩაის ბუჩქებმა განამტკიცა აზრი, რომ საქართველოში შესაძლებელია ჩაის ინტენსიური მეურნეობის განვითარება. მასვე ეკუთვნის ყირიმ-ოდესიდან ფილოქსერა-გამძლე ვაზის მომრავლება, თამბაქოს ტრაპეზუნტის ჯიშების გადმონერგვის ცდები და მრავალი სხვა.

ცნობილია აგრეთვე, რომ მისი ინიციატივითა და მზრუნველობით ჩაეყარა საფუძველი ქუთაისის ბულვარს და ოზურგეთის ტყე-პარკს. ქუთაისის ძველმოსახლეებს ახლაც კარგად ახსოვთ გადმოცემა იაკობ მარისეულ „ფერმებზე“. აქ უკვე გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან გამართული იყო საცდელი მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სადაც ეუფლებოდნენ აგრონომის პროფესიას დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდები. თუ რა მნიშვნელობისა იყო ასეთი ტიპის სასწავლებლის დაარსება იმ დროს, ეს კარგად ჩანს ილიას დაუვიწყარ სიტყვაში, რომელიც 1886 წელს მიუძღვნა მან წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას, რომელიც ბევრად უფრო გვიან ჩამოყალიბდა იაკობ მარის „ფერმებთან“ შედარებით. სხვათა შორის ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ „ფერმების“ ბაზაზე აღმოცენდა შემდეგ ქუთაისის სასოფლო ტექნიკუმი და ბოლოს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი... რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს.

და მაინც აქ პირველსავე კითხვას უნდა დავუბრუნდეთ. რატომ მაინცადამაინც რუსეთსა და შემდეგ საქართველოს მოაშურა შოტლანდიიდან იაკობმა?

ჩემის აზრით, ამას ჰქონდა გარკვეული ფსიქოლოგიური, თუ რაღაც მსგავსი რამ საფუძველი. ირკვევა ძალზე საგულისხმო ამბავი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იაკობი ინგლისშივე დაახლოებია თურმე ჩვენი ისტორიიდან კარგად ცნობილ პირს გრაფ (შემდეგ თავად) მიხეილ ვორონცოვს, რომელიც წლების მანძილზე იზრდებოდა ინგლისში, სადაც მამამისი სიმონ ვორონცოვი დიპლომატიურ სამსახურს ეწეოდა და ერთხანს იყო რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოში.

მიხეილსა და იაკობს აქ გაუცნიათ ერთმანეთი და არსებობს ცნობა, რომ მათ ერთად უსწავლიათ კიდეც უმაღლეს სასწავლებელში. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ურთიერთობა შეიქნა ერთგვარი იმპულსი, რათა ბედის საძიებლად დაძრულ იაკობს სწორედ რუსეთისაკენ აეღო გეზი.

მიხეილ ვორონცოვი, ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა ძველ რუსეთში, როგორც ცნობილია, 1844—1854 წლებში მოღვაწეობს საქართველოში, კერძოდ თბილისში კავკასიის მეფის ნაცვლისა და კავკასიის ჯარების მთავარსარდლის პოსტზე. ისიც ცნობილია, თუ რამდენად ტოლერანტული პოზიცია ეკავა მას ადგილობრივ მოსახლეო-

ბასთან ურთიერთობისას და რამდენ კულტურულ წამოწყებას უწვდიდა დახმარების ხელს საქართველოში ყოფნისას.

და, აი, ირკვევა კიდევ უფრო ფანტასტიური რამ. როგორც ჩანს, აქ საქართველოში კვლავ განახლებულა იაკობისა და მიხეილ ვორონცოვის ძველი მეგობრობა. გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან იაკობს, მის მიერ წამოწყებულ ესოდენ სასარგებლო საქმიანობაში, მხარში უდგას და ყოველმხრივ უწყობს ხელს (მათ შორის დაფინანსებით) სწორედ იაკობის ძველი ნაცნობი და მეგობარი მიხეილ ვორონცოვი. მრავალთაგან აქ მოვიტან მხოლოდ ერთ ამონაწერს ძველი დოკუმენტიდან, რომელშიც აშკარად ჩანს როგორც იაკობ მარის მოღვაწეობის ფართე სპექტრი, ისე მიხეილ ვორონცოვის როლი ამ საქმიანობაში: «Признавая полезным» — წერს კავკასიის მეფის ნაცვალი ვორონცოვი იაკობ მარს — чтобы все сады и питомники в Имеретии и по соседству, находились в главном заведывании одного сведущего и опытного лица, поручаю Вам инспекцию образцовых сельско-хозяйственных заведений и плантаций, как ныне существующих и вновь учреждаемых в вышеозначенных местностях.

В надежде что при исполнении возлогаемого мною Вам поручения, Вы окажите помощь разведеним, умножении и улучшении всякого рода растений: садовых, кормовых, древесных, плодовых, огородных, мануфактурных, красильных и проч. свойственных климату и почве земли поомянутой полосы...» აქვე საუბარია ისეთ საინტერესო წამოწყებებზე, როგორიცაა ქუთაისის ბულვარის გამშვენიერება, ვენახის ახალი ჯიშების მოშენება, სარწყავი სისტემის გაუმჯობესება, შორეული ტრაპიზონიდან ზეთის ხილის და სხვა კულტურულ მცენარეთა გადმონერგვა და ა. შ. აქვე აღნიშნულია იმ ფინანსურ დახმარებაზე, რომელსაც გაიღებდა სახელმწიფო ხაზინა ასეთი ფართო მასშტაბის საქმიანობის გასაშლელად. მართლაც, ამ იშვიათი საარქივო მასალიდან კიდევ უფრო ცხადი ხდება იაკობ მარის უანგარო წვლილი საქართველოში კულტურულ მცენარეთა მოშენება-დანერგვის საქმეში.

*

* *

იაკობი კიდევ უფრო სისხლხორცეულად დაუკავშირდა თავის ახალ სამშობლოს, როცა მეუღლის ფაქუნდა ანტონიოს გარდაცვალების შემდეგ შეირთო ქართველი ქალი — ალათი მაღულარია — შარაშიძის ქალი (როგორც იოსებ მეგრელიძე აღნიშნავს, შარაშიძე ალათის დედისეული გვარი ყოფილა).

1864 წელს იაკობსა და აღათის ეყოლათ ვაჟი — ნიკო, შემდეგში სახელგანთქმული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. თვით იაკობს კი ამის შემდეგ კიდევ ათი წელი უცხოვრია (გარდაიცვალა 1874 წელს). იგი დიდის პატივით დაუკრძალავთ თავისსავე სოფელში, რაც აღნიშნულია კიდეც ამავე წლის გაზეთ „დროების“ ნეკროლოგში.

ისიც აღსანიშნავია, რომ იაკობის დიდ დამსახურებათა გამო, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი სახელმწიფო ხარჯით მიუღიათ ჯერ გიმნაზიაში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში.

სწორედ ამ წლებიდან იწყებს იგი იმ ტ-ტანურ შრომას, რამაც იგი მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა შორის ჩააყენა.

* * *

ქუთაისის გიმნაზიის წარჩინებით გასრულების შემდეგ იგი სწავლის გასაგრძელებლად მიდის პეტერბურგში და საკუთარი მიზნების შესაბამისად ირჩევს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს (ქართველოლოგიის განხრით).

როგორც თვითონვე აღნიშნავს მეცნიერი, ქუთაისში ყოფნის წლებმა წარუშლელი კვალი დასტოვა მის პიროვნებაში, ეროვნული იდეალების ჩამოყალიბებაში და, რაც მთავარია, სწორედ აქ დაუახლოვდა იგი ბევრ, შემდეგში სახელოვან მამულიშვილს (ამასთან დაკავშირებით იხ. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები მისივე რჩეული ნაწერების პირველ ტომში, თბ. 1968 წ.).

ახალგაზრდა ნიკოს ნაბიჯი უმაღლესი განათლების შერჩევისას წარმატებული აღმოჩნდა. ეს იყო, მართლაც, ბედნიერი დამთხვევა. პეტერბურგის უნივერსიტეტი ამ დროს ერთი საუკეთესო სასწავლო-სამეცნიერო კერა იყო, ხოლო პეტერბურგის აკადემიას ორიენტალისტიკის დარგში ამშვენებდნენ ისეთი სახელები, როგორიცაა როზენი, ოლდენბურგი, ჟუკოვსკი, კოკოვცევი, დიაკონოვი, ლატიშევი და მრავალი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი. აქვე დავით ჩუბინაშვილის შემდეგ მოღვაწეობდა აგრეთვე გამოჩენილი ქართველოლოგი, ლინგვისტი და ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც განაგებდა ქართული სიტყვიერების კათედრას.

* * *

ნიკო მარზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. ბევრი კარგი და ბევრიც ცუდი. სამწუხაროდ, ორივე შემთხვევაში გადაჭარბებასაც ჰქონია ადგილი.

დიდ ხეს დიდი ნაფოტი სცვივაო. ნიკო მარის ვეებერთელა მემკვიდრეობაში კლასიკური სიმკაცრით შესრულებულ შრომებსა და გენიალური მიხვედრების გვერდით აშკარად შეიმჩნევა ნაჩქარევი დასკვნებიცა და აკვიატებული შეხედულებების რეციდივებიც.

ერთი რამ ცხადია. თანამედროვე და კერძოდ ქართულ-სომხური ფილოლოგიის დარგში ურყევია და სამომავლო პერსპექტივებს შეიცავს ნიკო მარის არაერთი, მართლაცდა კლასიკური ნაშრომი, ხოლო ლინგვისტიკის სფეროში ზოგი მისი მიხვედრა იქნებ უსწრებს კიდეც დღევანდელ ვითარებას და მათი ბოლომდე დამუშავება მომავალ თაობათა ხვედრია. ჭეშმარიტი მეცნიერება წარმოუდგენელია ინტუიციურ „გამოცხადებათა“ გარეშე და თუ ვინმე, სწორედ ნიკო მარი მიეკუთვნება ამ ტიპის მეცნიერთა მწყობრს.

არც ის არის დასავიწყარი, რომ ზოგჯერ ისტორიული ვითარებანი განაპირობებენ ცდომილებათა მთელ ჯაჭვს. ნიკო მარის ლინგვისტური თეორიების ერთი ნაწილი მუშავდებოდა ჩვენი საუკუნის ოციან წლებში. ეს იყო მთელი ეპოქა, როცა ჩვენი ახალი იდეოლოგიის დამკვიდრების ჟამს, ვულგარულ-სოციოლოგიის მომძლავრების შუქზე, არაერთი, მართლაც, უკუღმართი შეხედულება ცდილობდა გაბატონებას. ასე იყო მწერლობაში და საერთოდ სულიერი მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც. მადლობა ღმერთს, ბევრი რამ ამ თეორიებიდან დღეს ანაქრონიზმად ითვლება და მხოლოდ მწარე გაკვეთილად თუ გამოადგება მომავალ თაობებს.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს იმიტომ ითქვა, რომ, ჩემის აზრით, სწორედ ასეთი ისტორიული მიდგომა გვმართებს, როცა არც ისე შორეული წარსულის მემკვიდრეობას ვაფასებთ. ვფიქრობ, რომ სწორედ ამავე პოზიციებიდან უნდა შეფასდეს ის შუქ-ჩრდილები, რომლებიც უეჭველად ახლავს ნიკო მარის ესოდენ მნიშვნელოვან მემკვიდრეობას.

*
* *

პეტერბურგის სამეცნიერო სკოლამ, როგორც ითქვა, მძლავრი ბიძგი მისცა ნიჭითა და მონდომებით აღსავსე ახალგაზრდა მეცნიერს. იგი ღრუბელივით ისრუტავდა ამ სკოლის მიღწევებს.

უეჭველია, რომ სწორედ ამან განაპირობა, მკაცრ მეცნიერულ მეთოდების შემუშავებასთან ერთად, ის ფართო დიაპაზონი, რომლითაც გამოირჩევა ნიკო მარის მეცნიერული ინტერესები. როგორც კულტურის სფეროში, ისე განსაკუთრებით ლინგვისტურ კვლევა-ძიებაში მისი ყურადღების საგნად მსოფლიოს ყველა კონტინენტზე განსახლებული ეროვნებები იყო მოქცეული.

მაგრამ მის პიროვნებას მოღვაწეობის არცერთ ეტაპზე არ შეხებია კოსმოპოლიტიზმის უკურნებელი სენი. მისი ეროვნული პოზიცია ჯანსაღი და გამჭვირვალე იყო. აქ უეჭველია ილია ჭავჭავაძისა და მისთა თანამებრძოლთა კონცეფციების გავლენა, რომელთაც ახალგაზრდა მეცნიერი ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის კედლებში ეზიარა.

ეგევე პოზიცია სიმტკიცეს მატებდა აგრეთვე მას, როგორც მეცნიერს. მან ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ყველაზე უკეთ იცოდა და, რაც მთავარია, მთელი შინაგანი არსებით გრძნობდა იმ ენის სიღრმეებს, რომელიც მისთვის მშობლიური იყო.

„ეროვნული ენა — კულტურული აღორძინების ყველაზე მძლავრი ბერკეტია“ — ეს სიტყვები ეკუთვნის მარს. იგი მთელი თავის მეცნიერული თუ პრაქტიკული მოღვაწეობის მანძილზე ამ დებულების განმტკიცებისათვის იბრძოდა.

ქართული კულტურისა და ენის სიღრმეების კვლევამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჯერ კიდევ „დამარხულ არს ენაი ქართული“ და მისი როგორც კულტურულოგიური, ისე ენობრივი მონაცემების გარეშე გაღარიბდებოდა მსოფლიო კულტურის სათავეების კვლევა. ამ აზრს იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ავითარებდა და ცდილობდა კიდეც მის საყოველთაო აღიარებას.

აქ, მხოლოდ ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან. მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო კონგრესზე ნიკო მარი ჩვეულებისამებრ მოუწოდებდა თავის უცხოელ კოლეგებს, დროა, თუ დაგვიანებული არ არის, რომ მსოფლიოს სხვა სასწავლო ცენტრებში ისწავლებოდეს და შესაბამისად მეცნიერული კვლევის საგანი იყოს მდიდარი აგებულებისა და ძველი კულტურის მატარებელი ქართული ენაო.

ამასთან დაკავშირებით, სახელგანთქმულ ფრანგ ენათმეცნიერს ანტუან მეიეს მომხსენებლისათვის შეუნიშნავს, რომ თქვენ იქნებ აზვიადებთ ამ ენის მნიშვნელობას, რადგან იგი თქვენი მშობლიური ენააო. დამახასიათებელია აღნიშნულ რეპლიკაზე ნიკო მარის პასუხი: „მე ვსაუბრობ ქართულის დიდ მნიშვნელობაზე არა იმიტომ, რომ წარმოშობით ქართველი ვარ, არამედ თავად ქართული ენა არის თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიო მნიშვნელობის ენაო“.

ამ ეპიზოდთან მიმართებით დავსძენ, რომ რამდენად უკუღმართად მოჩანს ჩვენში ზოგი გამოხდომა, რომლებშიც ნიკო მარს არარსებულ ეროვნულ ნიღილიზმს უსაყვედურებდნენ. თითქოს ასეთი გამოხდომების პასუხია ერთი შენიშვნა, რომელიც ქართული კულტურისათვის ისეთ მარადსახსოვარ პიროვნებას ეკუთვნის, როგორიცაა ექვთიმე თაყაიშვილი: „სხვა ნიკო მარი ძნელად თუ ეღირსება ჩვენ ერს. ნიკო მარის გამოკვლევები ქვაკუთხედია ჩვენი ენის, ლიტერატურის და, საზოგადოდ წარსულის შესასწავლად“.

„მარტო კაცი ჭამაშიც ბრალიაო“. ნიკო მარს კარგად მოეხსენებოდა, რომ ქართული მეცნიერების აღორძინებისათვის საჭირო იყო ახალი და ყოველმხრივ მომზადებული სამეცნიერო ძალები დიდ შრომატევად სამუშაოსთან ერთად (ნიკო მარი ამასთან დაუცხრომელი მეცნიერ-ორგანიზატორი იყო და მრავალ წამოწყებათა მოთავე პეტერბურგის უნივერსიტეტში და სხვა, მის მიერვე დაარსებულ, სამეცნიერო ცენტრებში) მან იმთავითვე თავისთან მოიზიდა არაერთი საიმედო ახალგაზრდა მეცნიერი, შედეგები კი, მართლაც, შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, იუსტინე აბულაძე, ვუკოლ ბერიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი მათგანი დიდად არის დავალებული მარის მეცნიერული მზრუნველობით, მანვე მისცა მათ მიმართულება და გეზი მომავალ სამეცნიერო საქმიანობაში. ფაქტიურად, ეს იყო ის ძირითადი სამეცნიერო ბირთვი, რომელსაც დაემყარა შემდეგ აღორძინებული ქართული მეცნიერების ახალი შენობა. მარტო ამ ღვაწლის გამო, სხვას რომ თავი დავანებოთ, ალბათ უკვდავი იქნება ნიკო მარის დამსახურება ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში.

•

• •

რაც შეეხება ქართველოლოგიის ისეთ დარგს, როგორიცაა ქართული მწერლობის ისტორია, აქაც წყალგამყოფი მნიშვნელობისაა მისი ვრცელი მემკვიდრეობა. ალბათ, ისეთ გვერდს ვერ იპოვნის კაცი ლიტერატურის თანამედროვე ისტორიკოსთა ნაშრომებში, რომელშიც ასე თუ ისე, რასაკვირველია, მეცნიერული კრიტიციზმის ფარგლებში, არ იყოს საუბარი ნიკო მარის შრომებზე, ცალკეულ დაკვირვებასა თუ მიხვედრაზე.

მის მიერვეა პირველად, ან ხელმეორედ გამოცემული არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი ძველი ქართული მწერლობიდან და ყველაეს გამოცემა დღესაც სანიმუშოდ ითვლება. ნიკო მარმა თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ტექსტოლოგია და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ტექსტების გამოცემა დაუახლოვა საუკეთესო ევროპული გამოცემების დონეს. არსებითად ნიკო მარის ედიტორული ხასიათის კვლევა-ძიება სრულიად ახალი ეტაპი იყო ქართველოლოგიისათვის ეგოდენ მნიშვნელოვან საქმეში. სამაგალითოდ აქ იკმარებდა „ვეფხისტყაოსნისა“ და მეხოტბეთა ნიკო მარისეული პუბლიკაციები,

ან და ფაქტიურად მის მიერვე მოპოვებული და მეცნიერულად დადგენილი ტექსტი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“. ნიკო მარის ღვაწლი გიორგი მერჩულეს ტექსტის შესწავლის და გამოცემის საქმეში სამუდამოდ არის შესული ქართველთმეტყველების ოქროს ფონდში.

ნიკო მარმა ერთმა პირველთაგანმა დააინტერესა მსოფლიო მეცნიერება, როცა წარმოაჩინა ქართული მწერლობის მნიშვნელობა ბიზანტინისტიკის სფეროში. ქართულ მწერლობას შემონახული აღმოაჩნდა ბევრი ისეთი ძეგლი, რომელთა კვალი აღარ არსებობდა, ან მხოლოდ მათზე მინიშნებანი თუ მოეპოვებოდა თანამედროვე მეცნიერებას. როგორც ცნობილია, კორნელი კეკელიძისა და მის მოწაფეთა შრომებში ამ მიმართულებით კვლევამ დღეს განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

ნიკო მარი ერთი პირველთაგანი და თანაც რამდენჯერმე შეეხო ქართული კულტურის რეზონანსისათვის ისეთ საკვანძო საკითხს, როგორიცაა ქართული „ბალავარიანის“ საკითხი. ქართული „ბალავარიანის“ მსოფლიო ლიტერატურებში მიგრაციის დასაბუთება ერთი ურყევი წინამძღვარი აღმოჩნდა ქართული კულტურისადმი ნიღილიზმის სამწუხარო გამოვლინებათა წინააღმდეგ.

გენიალური მიხვედრებითაა დატვირთული ნიკო მარის ნაშრომი «Древнегрузинские одописцы». მის ხელთ აღმოჩნდა ფაქტიურად დამსხვრეული და განადგურებული ტექსტები კლასიკური ხანიდან. ნიკო მარმა დახელოვნებული მხატვარ-რესტავრატორის ინტუიციით კვლავ ოდინდელი სახე დაუბრუნა შავთელისა და განსაკუთრებით ჩახრუხაძის ტექსტებს. კარგად არის ცნობილი, თუ რა აღტაცებული წერილები უძღვნეს მაშინ და შემდეგაც ნიკო მარისეულ ნაშრომს აკაკი წერეთელმა, კიტა აბაშიძემ, მიხეილ წერეთელმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით კარიჭაშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ და სხვებმა.

პავლე ინგოროყვას სიტყვით: „ნიკო მარმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ჩახრუხაძის შესწავლას იმით, რომ მან შეძლო დაედგინა საზოგადო ხაზებში „თამარიანის“ ტექსტი, რომელიც საოცარის დამახინჯებით იყო მოღწეული. ნიკო მარმა პირდაპირ გენიალურის გონებამახვილობით აღმოაჩინა, რომ „თამარიანი“ არის ცალკე ლექსების კრება, და ამასთან მიაგნო ძირეულ რეალურ საზომს, რომლის მიხედვით მტკიცედ ირკვევა ცალკე ნაწარმოებთა ზოგადი ფარგლები“.

ხოლო უფრო ადრე ამასთან დაკავშირებით დავით კარიჭაშვილი პირდაპირ ასკვნიდა: „რაც ვერ ქმნა ვერავინ მეცხრამეტე საუკუნეში, ის გააკეთა ბატონმა ნიკო მარმა მეოცე საუკუნის დამდეგს“.

ასევე რთულია და მრავალი ასპექტის მომცველი ნიკო მარის რუსთველოლოგიური ნააზრევი. მისი შესწავლის ამოცანების განსაზღვრი-

სას „ვეფხისტყაოსანს“ იგი უცქეროდა როგორც არა მხოლოდ მხატვრულ ძეგლს და ეროვნული პოლიტიკის შუქზე განიხილავდა მის მნიშვნელობას: სწორედ ნიკო მარს ეკუთვნის სიტყვები: „ქართველების მიერ რუსთაველის სავსებით შეთვისება რეალურად შეაერთებს მთელს საქართველოს“.

რასაკვირველია, რუსთველოლოგიურ საკითხთა სირთულის გამო, მით უფრო ადრეულ ეტაპებზე, ნიკო მარის რიგი მოსაზრება დღეს გადასინჯვას მოითხოვს, ზოგი კი აშკარად მიუღებელია, მაგრამ სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიც იქნებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველმხრივ შესწავლას, მის მხატვრულ ფასეულობათა ბოლომდე წვდომას ალბათ კიდევ ბევრი და ბევრი თაობის თავგანწირული მუშაობა დასჭირდება...

და მაინც ნიკო მარმა აშკარად წინ წასწია რუსთაველის შესწავლის საქმე. მაგრამ ცალკეულ მიღწევათა ჩამოთვლის ნაცვლად აქ იქნებ უმჯობესი იყოს გავიხსენოთ დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები ამავე საგანზე: ნიკო მარის ცნობილმა გამოკვლევამ (დაიწერა 1910 წ.) „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების წამოყენებამ შოთა რუსთაველის მნიშვნელობის წინანდელი ვიწრო, მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლული, საზღვრები გადაულახა და ცხადჰყო ის ადგილი, რომელიც შესაძლებელია ქართველი მგოსნის უკვდავ ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში მიეკუთვნოს“.

ივანე ჯავახიშვილის ასეთი შეფასება მართებულიცაა და ამასთან ხაზს უსვამს ამ მიმართულებით მომავალი კვლევა-ძიების ძირითად პათოსს — რუსთაველის კუთვნილი ადგილის გამოვლენას მსოფლიო პოეტური კულტურის მრავალფეროვან ისტორიაში.

*
* *

როგორც ზემოთაც ითქვა, ამ დღეებში ქართველი ხალხი პატივისცემით აღნიშნავს დიდი მეცნიერის დაბადების 120 წლისთავს. სხვა ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია საიუბილეო სესია, რომელიც ჩატარდება ნიკო მარის მშობლიურ კუთხეში, ჩოხატაურში. აქ, სადაც მან გაატარა ბავშვობისა და სიყმაწვილის დღეები, სისხლხორცეულად იგრძნო მშობლიური მიწისა და ხალხის სიყვარული. ამ მადლით აღვსილი გაეშურა იგი სულიერი მოღვაწეობის ისეთ სარბიელზე, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე უნდა მოეტანა მშობლიური ხალხისათვის.

1985 წ.

3. საშვილიშვილოდ გადაეცემის...

(ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა)

ერთი ყველაზე ძვირფასი, რაც გასულმა საუკუნემ გვიანდერძა, ეს არის ზნეობრივად სპეტაკი და საქვეყნო საქმეებისათვის თავდადებული საზოგადო მოღვაწის ტიპი. თითქოს კვლავ აღდგა საუკუნეთა მანძილზე დარღვეული დროთა კავშირი — „უშიშარი, ვითარცა უხორცო“. რა საკვირველია, ამ მართლაც საოცარ სიტყვებში მარტო სახელოვანი მხედართმთავრები არ უგულისხმიათ ჩვენს ძველ მემატიანეებს. ასეთები იყვნენ, უეჭველად, ძველი ქართველი მწიგნობრები და „სიტყვის“ მუშაკნი, რწმენა და მამულიშვილობა, სიტყვა და საქმე მათთვის ხომ მარადის განუყრელი რამ იყო.

ამაოდ არ გარჯილან ილია ჭავჭავაძე და მისი სახელოვანი თანამებრძოლნი. XIX საუკუნემ, ახალი იდეალების დამკვიდრებასთან ერთად, როგორც ითქვა, საზოგადო მოღვაწეთა მთელი წყება წარმოაჩინა. მიზანთა სიმაღლე და საქვეყნო საქმისადმი უანგარო თავდადება ღვთაებრივი შუქით მოსავდა მათ ყოველ ნაბიჯს.

ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ორი საუკუნის მიჯნაზე გამოვიდა სამოღვაწეო სარბიელზე, ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული სახელია მათ შორის. მოკრძალებასთან ერთად, საქმისადმი ფანატიკური ერთგულება და ღრმა განსწავლულობა იყო მისი პიროვნული მთლიანობის საფუძველი.

ყოველგვარი ამბიცია და თვითდაჯერება ისევე უცხო იყო მისთვის, როგორც მცირეოდენი თავმოწონებაც კი, თუნდაც იმ საშვილიშვილო ღვაწლის გამო, რისი აღსრულებაც წილად არგუნა მას ბედმა და ჩვენი ქვეყნის მაშინდელმა ვითარებამ.

დღეს მისი სახელი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ხოლო მისი ყოველი გახსენება მეტყველი მაგალითია იმათთვის, ვინც ხვალ და ზეგ ხალხის სამსახურს გაიხდის თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად.

*
* . *

დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით მეცნიერის პირველი ნაბიჯებიც კი, როცა საფუძველი ეყრებოდა მის პიროვნებაში შემდგომ და შემდგომ კიდევ უფრო გაღვივებულ მიზანთა ერთგულებას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კანდიდატის დიპლომით აღჭურვილი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც ფართო სამეცნიერო ასპარეზი ელოდა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ირჩევს

უბრალო მასწავლებლის მძიმე უღელს და უკვე 1887 წლიდან უბრუნდება თავის მშობლიურ ქვეყანას. გაიელის წლები, და ეს ძალზე ნიშანდობლივია, ასევე წარმართავს თავის სამოღვაწეო გზას ივანე ჯავახიშვილი, შემდგომ აკაკი შანიძე და იმ ხანების სხვა ქართველი ახალგაზრდები, რომლებმაც განათლება პეტერბურგსა და სხვა სამეცნიერო კერებში მიიღეს.

როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაამტკიცა, ეს იყო ერთადერთი და სწორი არჩევანი. კულტურული თუ სამეცნიერო აღორძინებისათვის ბრძოლა მთლიანად აქ, საქართველოში მოქმედ სამეცნიერო ძალებს უნდა დაყრდნობოდა.

ექვთიმე თაყაიშვილი ამ დიდი მოძრაობის ერთი პირველი მეკვლე იყო და შემდგომ თავისი ცხოვრების გრძელ, თუმცა მძიმე გზაზე, იოტის წამისად არ გადახრილა ერთხელ და სამუდამოდ შთაგონებული მიზნიდან.

ახალ ვითარებაში, ფაქტიურად, ეს იყო გაგრძელება იმ გადაუდებელი საქმიანობისა, რომელიც წამოიწყო ილიამ და მის გარშემო შემოკრებილმა სახელოვანმა თაობამ. ისინი არა მხოლოდ იბრძოდნენ ჩვენი ერის გამოღვიძებისათვის, არამედ, როგორც ითქვა, ამზადებდნენ და საფუძველს უყრიდნენ ხვალინდელ დღეს.

ამის ნიმუშად იკმარებდა თვით ილიას დამოკიდებულება მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ექვთიმე თაყაიშვილისადმი. მისი თაოსნობით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ექვთიმე თაყაიშვილი დაუსწრებლად იქნა არჩეული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად. რასაკვირველია, ეს არ იყო რაიმე შემთხვევითი ფაქტი. ილია ჭავჭავაძის აზრით, სწორედ ასეთ, ყოველმხრივ მომზადებულ ახალგაზრდებს უნდა გაეგრძელებინათ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საშვილიშვილო საქმე. როგორც ყოველთვის, ილიას სამომავლო ჩანაფიქრიც ამ შემთხვევაშიც უცთომელი აღმოჩნდა, ექვთიმე თაყაიშვილმა შემდგომში მთელი თავისი მოღვაწეობით ღირსეული პატივი მიაგო კიდეც უპირველესი მოძღვრის ასეთ მაღალ ნდობას.

საქართველოში პეტერბურგიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა მეცნიერისათვის ცხადი შეიქნა ისიც, რომ მასზე დაკისრებული მამულიშვილური ვალის აღსრულებისათვის ოდენ პედაგოგიური ასპარეზი სრულიადაც არ იყო საკმარისი.

ასეც მოხდა. მასწავლებლობასთან ერთად, ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე, იგი მთელი არსებით ჩაება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მართლაც, ამ დროიდან მოკიდებული, ჩვენ ვერ ვნახავთ რაიმე საქველმოქმედო საქმესა თუ ახალ წამოწყებას, რომლის მონაწილე, ხოლო ზოგჯერ თაოსანიც, იგი არ ყოფილიყო. რო-

გორც იტყვიან ასეთ დროს, სამკალი დიდი იყო, ხოლო მომკალი კი მცირე.

დროის საოცრად მცირე მონაკვეთში პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდგომ ახალგაზრდა ექვთიმე თაყაიშვილი ინტენსიურად გაშლილი საზოგადოებრივი საქმიანობის ერთი ყველაზე აქტიური წევრი გახდა, ეს კი პატარა საქმე არ იყო იმ ხანებში, როცა ცხოვრებისა და შემოქმედების ზენიტში იმყოფებოდნენ თვით ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვა ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები.

მოკლე ავტობიოგრაფიაში თავისი შემოქმედებითი ცხოვრების აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით იგი ჩვეული თავმდაბლობით წერდა: „თბილისში ჩამოსვლისთანავე ამირჩიეს: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო კომიტეტისა და ქართული დრამატული საზოგადოების წევრად. ვიყავი წევრი რუსული არქეოლოგიური საზოგადოებისა, აღმოსავლეთის შესწავლის საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და სხვ. ვიყავი ერთი დამაარსებელთაგანი ქართული წიგნის გამომცემელი საზოგადოებისა და ფაქტიური ხელმძღვანელი კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტისა“.

რასაკვირველია, აქ მხოლოდ ჩამოთვლაა დაწესებულებათა, მაგრამ ვისაც ერთხელ მაინც ჩაუხედავს იმ ხანების ჟურნალ-გაზეთებში, ან გასცნობია საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას, იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდება ექვთიმე თაყაიშვილის სახელს, და, რაც მთავარია, მისთვის არ არსებობდა დიდი და მცირე საქმე, იგი არ თაკილობდა ე. წ. „შავ სამუშაოსაც“ კი, ოღონდ თავისი წვლილი შეეტანა აღორძინების გზაზე შემდგარი სწავლა-განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმიანობაში. ამიტომ ასე განსაკუთრებით აფასებდნენ მის ღვაწლს ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი, ხოლო, როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელი მას თავის სულიერ მემკვიდრედ იგულვებდა. სხვათა შორის, ექვთიმე თაყაიშვილის ასევე ადრევე მოპოვებულ ავტორიტეტს უნდა მიეწეროს ძირითადად ის ამბავიც, რომ აკაკიმ მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება ანდერძით დაუტოვა იმ დაწესებულებას, რომელსაც სწორედ ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა (ეს საგულისხმო ამბავი თბილი იუმორით მოთხრობილი აქვს თვით ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც პირველ ხანებში ეჭვის თვალითაც კი უყურებდა თურმე დიდი პოეტის ასეთ განზრახვას).

მაგრამ მაინც ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის სრულიად განსაკუთრებულია ის ღვაწლი, რომელიც, უწინარეს, სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. 1907 წელს მისი თაოსნობით ჩვენში დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ხოლო ყველაფერი ეს ხდებოდა ცარიზ-

მის მძვინვარე რეაქციის პირობებში და რაც ერთი შეხედვით თითქოს მოულოდნელი ჩანს, საზოგადოების ჩამოყალიბებას არ თანაუგრძნობდა ზოგი ჩვენი ცნობილი მოღვაწეც კი, რომელთაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გვერდით ზედმეტ დუბლირებად მიაჩნდათ ამ ტიპის ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება. რამდენი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა ამის გამო ექვთიმე თაყაიშვილს, როგორი საბუთიანობის მოხმობა, რათა თავისი გაეტანა და ჩვენში ამ დროისათვის უკვე საკმარისად მომწიფებული მეცნიერული მუშაობისათვის ახალი მდინარება მიეცა.

ამ შემთხვევაშიც პერსპექტიული აღმოჩნდა მისი ჩანაფიქრი. საზოგადოებამ (რომლის უცვლელი თავმჯდომარე ევროპაში გამგზავრებამდე თვით ექვთიმე ბრძანდებოდა) ყოველ მხრივ გაამართლა თავისი არსებობა, და თუ დღეს ჩვენ ასეთი სიამაყით ვსაუბრობთ თანამედროვე ქართველოლოგიის მრავალი დარგის წარმატებაზე, დიდი უსამართლობა იქნება იმის მივიწყება, რომ საიმედო საფუძვლები ასეთ ფართო მუშაობას სწორედ ამ საზოგადოების დაარსების წლებიდან ეყრება.

აქ მხოლოდ ერთი დეტალი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, რომ პირადული და სათავისო არაფერი გარეულა ამ საქმეში: წიგნში, რომელშიც შეტანილია ექვთიმე თაყაიშვილის ნაწერები და მოგონებანი, არის ასეთი საგულისხმო ეპიზოდი (რჩეული, ტ. I. გამოსაცემად მოამზადა ალ. ბარამიძემ, ხოლო თაყაიშვილის მოგონებათა გაძოძხეურებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აწ განსვენებულ მეცნიერს გიორგი ლომთათიძეს). იგი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ როგორი ზნეობის ადამიანები ედგნენ აღნიშნულ საზოგადოებას სათავეში. ექვთიმე თაყაიშვილმა ერთმა პირველთაგანმა იგრძნო, რომ ქართული მეცნიერების ცის კაბადონზე (მაპატიოს მკითხველმა ასეთი მაღალფარდოვნება) აღმობრწყინდა ახალი ელვარე ვარსკვლავი, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. იგი დაუკავშირდა ბატონ ივანეს, გააცნო ახალი საზოგადოების პერსპექტივები და გულითადად სთხოვა, რათა მას მონაწილეობა მიეღო საზოგადოების მუშაობაში. უფრო მეტიც, ექვთიმე ჩვეული მოკრძალებით სთავაზობდა მას საზოგადოების თავმჯდომარეობასაც. ნათელია ამ თხოვნის ქვეტექსტიც. ტრადიციისამებრ ექვთიმე ცდილობდა, რომ ივანე ჯავახიშვილიც მთლიანად საქართველოში გაშლილ მრავალმხრივ სამეცნიერო მუშაობაში ყოფილიყო ჩაბმული.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი: „მას შემდეგ, როცა ჩამოვიდა თბილისში, — წერს მოგონებათა ერთ ფრაგმენტში ექვთიმე თაყაიშვილი, — მე და ივანემ. ჩემთან მოსულმა, დაწვრილებით მოვილაპარაკეთ ჩემი წინადადების შესახებ. ის პრინციპულად ყველაფერში

დამთანხმდა, მაგრამ წარმოადგინა ერთი გარემოება, რომელიც მას დიდად აბრკოლებდა: თბილისში ვერ იშოვიდა იმ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც მისი კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი იყო. ამაზე ვუთხარი, რომ მას დროგამოშვებით მიეცემოდა საშუალება პეტერბურგში მივლინებისა და, ამას გარდა, შეეცდებოდით მისთვის საჭირო ახალი წიგნები გამოგვეწერა, რაც კი რამე გამოჩნდებოდა, ხოლო ძველ გამოცემათა გამონახვა და შეძენა მიგვენდო საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მეცნიერებისათვის. ივანემ ამაზედაც თანხმობა გამომიცხადა, ოღონდ, გადაჭრით უარი მითხრა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გაძღოლაზე. თავმჯდომარედ თქვენ უნდა დარჩეთო".

აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, ხოლო ეს პატარა ეპიზოდი თავისთავად მეტყველებს მათ პიროვნულ თვისებებსა და მიზანთა სწრაფვაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ ექვთიმეს პარიზში გამგზავრების შემდეგ იკისრა ივანე ჯავახიშვილმა საზოგადოების თავმჯდომარეობა, რათა ოდნავადაც არ მინავლებულიყო თაყაიშვილის მიერ ესოდენ დიდი გარჯით გაღვივებული სამეცნიერო კერა.

რადგან ივანე ჯავახიშვილზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე უნდა გავიხსენოთ შემდეგიც: ექვთიმე თაყაიშვილის მრავალფეროვან და თანამიმდევრულ საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრძოლას ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

თუ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩამოყალიბებისას მან თანადგომა სთხოვა სწორედ ივანე ჯავახიშვილს, აქ მოხდა პირიქით, იგი მთელი არსებით მხარში ამოუდგა სხვა ქართველ მოღვაწეთა კვალდაკვალ, ივანე ჯავახიშვილის საშვილიშვილო წამოწყებას. ეს მით უფრო, რომ ექვთიმე ერთი მათგანია, ვინც დიდი შრომა გასწია, ჯერ როგორც მასწავლებელმა, ხოლო შემდეგ გამგემ ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ზრდა-განვითარებისათვის, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა შემდეგ ჩვენი მეცნიერების უპირველესი პირმშო — ქართული უნივერსიტეტი. უფრო მეტიც, როგორც ცნობილია, იგი სწორედ ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით თავმჯდომარეობდა 1917 წელს უნივერსიტეტის დამფუძნებელ კრებას, რომელზედაც მომავალი უნივერსიტეტის წესდება და პერსპექტივები გააცნო დამსწრეთ თვით ივანე ჯავახიშვილმა.

განსაცვიფრებელია ექვთიმე თაყაიშვილის განუზომელი ღვაწლი ქართულ არქეოგრაფიაშიც. როგორც იტყვიან, მას ამ საქმეში, მართლაც. ლომის წილი უდევს. და თუ დღეს ჩვენს ხელნაწერთა საცავებში მანუსკრიპტების სახით უძვირფასესი განძია თავმოყრილი, მათ შეკრება-მოპოვებაში და ნაწილობრივ კატალოგიზაციაში უდიდესი ამაგი მიუძღვის სწორედ ექვთიმე თაყაიშვილს. სხვათაგან განსხვავე-

ბით, გაოცებას იწვევს ამ შემთხვევაშიც თვით ექვთიმე თაყაიშვილის თავმდაბლობა (რაც ასე კარგად ჩანს კიდეც მისივე მოგონებებში), როცა იგი, თითქოს აქ არაფერიაო, საქართველოს სრულიად მივარდნილ კუთხეებში პოულობდა და თავს უყრიდა ათეულ ხელნაწერებს, რომელთა შემდგომმა შესწავლამ სავსებით ახალი პერსპექტივები გადაუშალა წინ ჩვენს ფილოლოგიურ მეცნიერებას.

ჯერ კიდევ მოელის თავის დამფასებელს ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში. როგორც ცნობილია, პეტერბურგიდან ჩამოსული ექვთიმე, დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, ინტენსიურ მუშაობას იწყებს როგორც საისტორიო, ისე ქართული ფილოლოგიური მეცნიერების არაერთ დარგში. ამ დარგებში მეცნიერულ დაინტერესებას უმადლოდა, — და ეს არაერთგზის აღნიშნა კიდეც მან, — ორ გამოჩენილ პიროვნებას. ერთი მათგანი ნიკო მარი იყო, რომელთანაც ექვთიმეს აკავშირებდა ძველი მეგობრობა ქუთაისის გიმნაზიიდან და პეტერბურგში სტუდენტობის წლებიდან; მეორე კი სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ფუძემდებლური დამსახურებისათვის ესოდენ დიდი პატივით იხსენიებდა ხოლმე თვით ილია ჭავჭავაძე.

ექვთიმემ იმთავჯითვე კვლევა-ძიების საკუთარი კუთხე შეირჩია და მიზნად დაისახა ხელნაწერთა სისტემა-აღრიცხვასთან ერთად ძველქართული საისტორიო თუ სამწერლო ძეგლების ფილოლოგიური შესწავლა. რად ღირს მარტო მისი ჩინებული გამოკვლევები „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილებსა თუ ცალკეულ მატიანეებზე (იხ. „სამი ისტორიული ქრონიკა“, ტფ. 1890 წ.); ან „ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლისეული ვარიანტი“ (სამი დამატებითურთ ტფ. 1906 წ.), რომლებიც უპირატესად საკუთარ აღმოჩენებს ემყარებოდა და სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართული წყაროთმცოდნეობის დარგში.

არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა მანვე ქართულ სასულიერო თუ საერო მწერლობის ძეგლებს, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისი“, „ეეფხისტყაოსანი“, „ომაინიანი“, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, „როსტომიანი“, „კათალიკოზ ბაქარიანი“, „რუსუდანიანი“ და ა. შ. ასეთივე რუდუნებით იკვლევდა იგი ნათარგმნ ძეგლებსაც, რომელთაც გარკვეული როლი ითამაშეს ქართული მწერლობის განვითარების გზაზე (მაგალითად, გამოკვლევები „ბარამგურიანზე“, „ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიებზე, „თიმსარიანზე“ და ა. შ.). საკმარისია ითქვას, რომ მან აღმოაჩინა და ქართულ მწერლობას შესძინა ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა „იოსებზილიხანიანის“ უცნობი ვარიანტი. განსაკუთრებით კი აქ უნდა მოვიხსენიოთ „ხელმწიფის კარის გარიგება“,

რომლის აღმოჩენამაც ბევრი ბნელით მოცული საკითხი გაანათა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ამ შემთხვევაშიც იგი ჩვეული თავმდაბლობით შენიშნავს ერთგან, რომ თითქოს მას უფრო „შავი სამუშაო“, ტექსტების შესწავლა-გამოქვეყნება მიაჩნდა თავის მოვალეობად, ხოლო ფაქტების განზოგადება ხელეწიფებოდათ მხოლოდ ისეთ მეცნიერებს, როგორებიც იყვნენ დიმიტრი ბაქრაძე, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი და სხვა ამ ტიპის სწავლულნი.

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთლად ასე არ იყო საქმე. ის, რასაც, უწინარეს აკეთებდა ამ ხანებში ექვთიმე თაყაიშვილი, იყო ყველაზე საშური რამ და მალევე მოსაგვარებელიც. ჩვენი ძველი ძეგლების მეცნიერული „აღწერა-კატალოგიზაციის“ გარეშე შეუძლებელი იყო შემდგომი კვლევა-ძიება. მაგრამ ამასთან ისიც სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არც ერთი ნაშრომი, რომელსაც წლების მანძილზე აქვეყნებდა ექვთიმე თაყაიშვილი, არ იყო მოკლებული რაიმე ახალ დაკვირვებას, მეცნიერულ მიგნებას და ეს კარგად მოეხსენება მათ, ვინც კი დღეს ამ დარგებში მუშაობს.

მხოლოდ ერთი მაგალითი: იმ ხანებში ქართველ მეცნიერთა ღვაწლის დასაფასებლად, რაზეც ზემოთაც იყო გაკვრით საუბარი, უნდა მოვიგონოთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე უფრო ინტენსიურად გაჩაღდა ადრევე დაწყებული მუშაობა ქართულ ხელნაწერთა მოპოვება-სისტემატიზაციის საქმეში. ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ, ხოლო შემდეგ მოსე ჯანაშვილმა, აღწერეს საეკლესიო მუზეუმის ფონდის ხელნაწერები (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდი), რომელთა შორის „ვეფხისტყაოსნის“ არაერთი მნიშვნელოვანი ნუსხა იპოვებოდა. რაც შეეხება ექვთიმე თაყაიშვილს, მან მარტოდმარტომ ითავა, ასეთივე თვალსაზრისით დაემუშავებინა ხელნაწერთა ისეთი მდიდარი კოლექცია, როგორიც იყო „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერთა ფონდები (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი). მაგრამ ჩვეულებისამებრ მკვლევარი, როგორც იტყვიან, „მშრალი“ აღწერილობებით არ დაკმაყოფილდა და ამავე აღწერილობებში თავი მოუყარა მისთვის ცნობილ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერს (ეს იყო, სხვათა შორის, პოემის ხელნაწერთა პირველი თემატური აღწერილობა), შეუდარა ისინი ერთმანეთს და რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნაც გამოიტანა. ჩვენ სპეციალურ ნაშრომში ცალკე გვაქვს საუბარი თაყაიშვილის კვლევა-ძიებათა თავისებურებების შესახებ, ოღონდ აქ უნდა ითქვას შემდეგი: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შესწავლის საფუძველზე მან ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ვახტანგისეული გამოცემა (1712 წ.) კი არ იმეორებს რომელიმე უძველეს ხელნაწერს, არამედ

იგი ტექსტზე კრიტიკული მუშაობის ნაყოფი უნდა იყოსო. მკვლევარის აზრით, ვახტანგ მეექვსე შეეცადა გაეწმინდა „ვეფხისტყაოსანი“ იმ დანამატებისაგან, რომლებიც შეუძენია პოემას შედარებით ახალ დროებაში. ცნობილია, რომ ინტენსიური კვლევა-ძიების შემდგომ. რომელიც წამოიწყო აკაკი შანიძემ, ახალი მასალები იქნა მოპოვებული ამ მიმართულებით და ექვთიმე თაყაიშვილის მართებული ვარაუდიც სავსებით განმტკიცდა.

ამავე ნაშრომში მანვე პირველთაგანმა შეამჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. არტანუჯული ვარიანტის ზოგი თავისებურება (შედგენილობა, ორთოგრაფია და ა. შ.), რაიც აშკარა დაეჭვებას იწვევდა ამ ვარიანტის სიძველეზე გავრცელებული ლეგენდების საწინააღმდეგოდ.

ორივე ამ ვარაუდს, ხელნაწერთა მემკვიდრეობაში კარგ ორიენტირებასთან ერთად, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდგომში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის შესწავლისას მართებული გზის არჩევისათვის, რაც აღნიშნულია კიდეც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაგრამ მოკრძალება, რაზეც ზემოთაც არაერთხელ ითქვა, არ გამორიცხავს პრინციპულობას, რომლითაც ასე გამოირჩეოდა ექვთიმე თაყაიშვილი, როცა საქმე ეხებოდა საქვეყნო საქმეს, ან უხამსი ხელი შეეხებოდა, მისი აზრით, ღირსეულ პიროვნებას. იგი ასეთ დროს მკაცრი და დაუნდობელი იყო. (საკმარისია აქ გავიხსენოთ მწვავე პოლემიკური წერილები ნიკო მარის დასაცავად, ან წერილების სერია ფილოლოგიურ ტექსტთა გამოცემის პრინციპებზე და ა. შ.).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ამაგი, რომელიც მიუძღვის მას ქართული ისტორიული ძეგლებისა და სიძველეების აღნუსხვა-შესწავლის საქმეში. იგი აქაც ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა. ვინ ჩამოთვლის, რამდენი ასეთი ძეგლი გადაარჩინა მან, ხოლო ზოგი მათგანი დღეს მხოლოდ მისი აღწერილობითღა თუ არის ცნობილი.

მე არ მეგულება საქართველოში კუთხე-კუნჭული, სადაც იმ ხანებში ფეხი არ დაედგას ექვთიმე თაყაიშვილს, უცნობი ძეგლი არ შეესწავლოს ან რაიმე სიძველე არ ჩამოეტანოს იქიდან.

სხვა არაფერი არ არსებობდა იმ წლებში მისთვის, გრძნობდა, რომ დაყოვნება კატასტროფას უდრიდა. დღეს თუ აქ ნახავდით, ხვალ სულ სხვა მხარეს მიემგზავრებოდა, როგორც კი რაიმე ცნობას მოჰკრავდა ყურს.

ბევრს მაშინ არც ესმოდა მისი ასეთი ფანატიკური გატაცების მიზეზი, ახლობლებიც კი საყვედურს გამოთქვამდნენ: ეს ჩვენი ნასწავლი, განათლებული კაცი რას დაეხეტება აქეთ-იქით, ჩრჩილით დაჭმულ ნივთებსა და ქაღალდებს დასდევსო.

„ერთი ძმა მყავდა (ნიკო), ოზურგეთში ცხოვრობდა და იშვიათად ვხედავდი ხოლმე — ივონებდა შემდეგ ამ ციებ-ცხელების წლებს ბატონი ექვთიმე — ერთხელ დეპეშა მომცა, ავადა ვარო. მაგრამ ვერც მაშინ წავედი, ჩემი მუდმივი მოუცლელობის გამო. ოღონდ წამლები მივაშველე და თან ზომები მივიღე, რომ კარგ ექიმებს ემკურნალათ მისთვის. ნამეტანი ნაწყენი დამრჩა და მერე, რომ შევხვდი, მითხრა: „სულელი ვარ, ავადმყოფობა კი არ უნდა მეცნობებინა, არამედ უნდა მოძებნერა დეპეშით: «Найдена археологическая жестунка» და ვნახავდი, კისრისტეხით თუ არ ჩამოირბენდი ოზურგეთში!“

ჩვეული იუმორით გადმოცემულ ამ პატარა ეპიზოდშიც კარგად ჩანს იმ ხანებში მეცნიერის ცხოვრების წესი.

იგი თავის მიმოსვლას ზოგჯერ ექსკურსიას, ხოლო როცა მას ექსპედიციის ხასიათი ჰქონდა, „არქეოლოგიური მოგზაურობით“ სახელსდებდა. ყოველი ასეთი მიმოსვლა, როგორც ითქვა, კომპლექსურ მიზნებს ისახავდა და არ იფარგლებოდა ოდენ სიძველეების მოპოვებით.

მაინცდამაინც თუ დღევანდელი ტერმინოლოგიით ვიხელმძღვანელებთ, ეს მოგზაურობანი უფრო დაზვერვითი ხასიათისა იყო. ძეგლების აღწერასთან ერთად მკვლევარმა, როგორც იტყვიან, პირველი მიახლოებით მიანიშნა არქეოლოგიური თვალსაზრისით არაერთი საგულისხმო ობიექტი, სადაც დღეს ასეთი წარმატებით მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები.

სულ ახლახან ჩვენმა მკითხველმა მიიღო ვახტანგ ბერიძის ჩინებული ნაშრომი „ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა“, სადაც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თითქმის ყოველ გვერდზე დიდი პატივითაა მოხსენებული ექვთიმე თაყაიშვილი, ამ მხარეთა სიძველეების ერთი პირველი მკვლევარი.

ვახტანგ ბერიძე შენიშნავს აგრეთვე, რომ ეს ძეგლები, კერძოდ, კი ოშკი, ხახული, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი, გასაოცარი სიბეჯითითაა აღწერილ-აზომილი ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის მიერ და დღესაც პირველხარისხოვან მასალად ითვლება. მაგრამ რამდენი ისტორიული ძეგლი დაზიანდა ან იავარიქმნა შემდგომ ხანებში და მათ ნაცვლად დღეს მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობებიღა შემოგვრჩა. ეს იმთავითვე კარგად მოეხსენებოდა ბატონ ექვთიმეს და ამიტომ არცერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რათა კვლავ და კვლავ მოენახულებინა ძველი საქართველოს სამხრეთი პროვინციები (იხ. მისი მოგზაურობები, 1902, 1907 და 1917 წლებში).

გაივლის წლები და სწორედ ამასთან დაკავშირებით შემდეგ სიტყვებს შეიტანს ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებათა წიგნში: „რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა დავძინო, რომ მე ჩემი ათეული წლობით წარმოებული არქეოლოგიური მოგზაურობის დიდი ნაწილი

მოვანდომე ისტორიული საქართველოს სამხრეთ მხარეებს, რომლებიც მტრებისაგან სხვებზე უფრო იყვნენ განადგურებულნი, ხოლო იქაური ძეგლები უპატრონოდ და უმწეოდ დარჩენილიყვნენ, რაკი ძველი მოსახლეობა თითქმის გამქრალი იყო. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა (და ეს ანგარიშებშიც მაქვს ასახული), რომ ის განაპირა, ომიანობის მეწინავე კუთხეები კულტურულადაც ძალზე დაწინაურებულნი ყოფილან თავის დროზე. სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა საეკლესიო და სხვა შენობების (ხშირად მშვენიერი და რთულად ნაგების) ესოდენი სიმრავლე, რაც ძალაუნებურად იწვევს დიდ პატივისცემას მათი შემქმნელებისადმი... ახლა ძალიან მარჯვედ მოუკიდნიათ ამ ძეგლების შესწავლისათვის ხელი ჩვენს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და ხელოვნებათმცოდნეებს, რაც გასახარელია. იმ რაიონების ჯეროვანი კვლევა (მე ხომ მხოლოდ წინასწარულად მოვსინჯე იქაურობა), ძალიან შეგვივსებს წარმოდგენას ქართული კულტურის ისტორიის, მისი მრავალფეროვნების შესახებ...“

ხოლო ყველაფერი ეს ითავა კაცმა, რომელსაც მძიმე ფიზიკური ნაკლის გამო უჭირდა ასვლა უბრალო აღმართზეც კი და, არაერთხელ ხელში აყვანილს, ძლივს მოუხერხებია კლდეებზე ნაშენ ძეგლთა მონახულება. აბა, რა დაბრკოლება დაუდგებოდა წინ რწმენას, რომლითაც იყო აღვსილი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი!

ენით უთქმელია მისი დამსახურება ქართულ სიძველეთა საქართველოში დაბრუნების საქმეში. იყო წუთები, როცა იგი მარტოდმარტო ებრძოდა არა მხოლოდ უკეთურობის გზაზე დამდგარ ზოგიერთ პირს, არამედ მთელ სახელმწიფოებს, რათა ხელყოფისაგან დაეცვა ჩვენი ქვეყნის ეროვნული საუნჯე. ამაზე ბევრი რამ დაიწერა და მომავალშიც ბევრი რამ ითქმის. ფაქტია, რომ მან გაიმარჯვა უთანასწორო ბრძოლაში. მხოლოდ და მხოლოდ მისმა შეუპოვრობამ და უტეხმა რწმენამ გადაუნარჩუნა ქართველ ხალხს ფასდაუდებელი საგანძური ჩვენი კულტურისა, რომელიც 1921 წელს გაიტანეს საქართველოდან.

1945 წელს სულიერად მხნე, მაგრამ ჯანგატეხილი მოხუცი უძვირფასესი საუნჯით ხელდამშვენებული დაუბრუნდა თავის მიწაწყალს. არც დარჩენილ წლებში შეუწყვეტია მას ინტენსიური სამეცნიერო ძოღვაწეობა. თავს უყრიდა ან გამოსაცემად ამზადებდა ადრე დაწერილ ნაშრომებს, რომელთაც გასაგები მიზეზების გამო ჯერ დღის სინათლე არ ენახათ, თავისი ფიქრებით დაუბრუნდა იგი წარსულ დღეებს, მშობლიურ კუთხეს, ცხოვრების გზაზე შეხვედრილ ძვირფას სახეებს და ყოველივე ეს მის მშვენიერ მოგონებათა წიგნში გადაიტანა...

1953 წლის 21 თებერვალს ქართველი კაცის ჭირთამძლეობის მაგალითად ქცეული დიდი მამულიშვილი სამუდამოდ მიიბარა მშობლიურმა მიწამ.

1983 წ.

4. მოძღვართ მოძღვარი

(ივანე ჯავახიშვილი)

ქართული კულტურის ისტორიაში ივანე ჯავახიშვილის ტიტანური ღვაწლი მარადიულობის ნიშნით არის აღბეჭდილი. ყველაფრიდან ჩანს, რომ მან თითქოს იმთავითვე ირწმუნა ეს დიდი მისია და სათავეში ჩაუდგა აღორძინებულ ქართულ მეცნიერებას. შედეგები კი, მართლაც გრანდიოზული აღმოჩნდა და იგი თითქმის თანაბრად მიეკუთვნება ჩვენი მეცნიერების სხვადასხვა სფეროს. სიახლე, პირველ რიგში, მეცნიერების მკაცრი მეთოდების, მიზნებისა და ამოცანების გარკვევას გულისხმობდა.

მან, რასაკვირველია, დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე თვით მეცნიერული მუშაობის ფსიქოლოგიურსა თუ ემოციურ საფუძვლებს. საკმარისია ითქვას, რომ მამულიშვილობისა და მეცნიერების სრულიად ახალი თვალსაზრისი უწინარეს მან დაამკვიდრა ჩვენს ცნობიერებაში. იგი დაბეჯითებით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ფაქტების მშრალი აღნუსხვა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, კულტურის ჰეშმარიტ ისტორიკოსს გზას უნდა უნათებდეს მაღალი აზრი და დიდი მამულიშვილობა. ერის მესაიდუმლის როლი მხოლოდ მას ეკუთვნის, ვისაც ძალუძს ისტორიული ცხოვრების შინაგან კანონზომიერებათა წარმოჩენა და ანალიზი, რის მიღწევაც ემოციური დამოკიდებულების გარეშე მხოლოდ და მხოლოდ ფუჭი მცდელობაა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ისტორიული სურათის აღდგენისას ასევე სასტიკად ებრძოდა იგი ყოველგვარ მიკერძოებას, რადგან ცრუპატრიოტიზმსა და, როგორც თვით დიდი ისტორიკოსი ამბობდა, ყოყლოჩინობას ასეთ დროს მხოლოდ ზიანი მოაქვს.

გონიერი და დაუნჯებული კვლევა-ძიება თავისთავად გამორიცხავს ვიწრო სარბიელს და ამასთან მსოფლიო ისტორიის გამოცდილების პრიზმაში ატარებს კონკრეტული ხალხისა თუ ქვეყნის თავგადასავალს. ივანე ჯავახიშვილის ყოველი მეცნიერული ნაბიჯი ამ მიმართულებით მისაბაძი და სამაგალითოა.

ამიტომ იყო, რომ დიდი მეცნიერის პირველივე გამოკვლევები უკვე ახალ დონეს მოასწავებდა და ქართული კულტურის შესწავლის ახალ პერსპექტივებს გადაშლიდა. მან არამარტო ღრმა კვალი გაავლო ქართული მეცნიერების მანამდე ხელუხლებელ სივრცეებზე, არამედ თავისი ფუძემდებლური გამოკვლევებით, ეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, მოძღვართ-მოძღვარის სახელი დაიმკვიდრა ახალი ქართველოლოგიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან დარგში.

განსაცვიფრებელია ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია", წიგნი პირველი და მეორე, რომელიც ბეჭდურად 1913 წელს გამოქვეყნდა. ალბათ იშვიათია წიგნი, რომელსაც ასეთი გადამწყვეტი როლი შეესრულებინოს ქართველთმცოდნეობის რომელიმე დარგში. რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ აქამდე ქართული ისტორიოგრაფია მთვლემარე მდგომარეობაში იყო. მარი ბროსეს, თეიმურაზ ბაგრატიონს, პლატონ იოსელიანს, სულხან ბარათაშვილს თავი რომ დავანებოთ, შეუძლებელია აქ არ გავიხსენოთ დიმიტრი ბაქრაძის, ალექსანდრე ცაგარლის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და ხიკო მარის სახელები, რომელთა მაღალი ნიჭიერებით შესრულებულ შრომებში უკვე ისახებოდა საქართველოს მთლიანი ისტორიის ძირითადი კონტურები.

მაგრამ საკითხების სიღრმით, წყაროების უხვი მოშველიებითა და, რაც მთავარია, მკაცრი თანამიმდევრობით ივანე ჯავახიშვილის ეს მარადსახსოვარი ნაშრომი სრულიად ახალი სიტყვა იყო და საძირკველად დაედო ქართულ საისტორიო მეცნიერებათა შემდგომ დიდ აღმავლობას, რასაც მომდევნო წლებშიც ასე სახელოვნად უძღვებოდა თვით ამ წიგნის ავტორი.

პირველად ამ წიგნში მიმართა ივანე ჯავახიშვილმა კომპლექსური კვლევა-ძიების ხერხს, რომელიც შემაგრებული იყო ისტორიულ-შედარებითი, იმ დროისათვის სრულიად თანამედროვე, მეთოდით. აქ ნათლად გამოჩნდა ავტორის განსაცვიფრებელი ერუდიცია და მსოფლიო ისტორიული მეცნიერების მიღწევათა დაუფლების უნარი. საქართველოს ისტორია ახლებურად წარმოდგა მსოფლიო ისტორიულ კანონზომიერებათა ფონზე, თანაც იმ დამახასიათებელი და სპეციფიკური მომენტების წარმოჩენით, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ამა თუ იმ ხალხის ისტორიული ცხოვრება.

რად ღირს მარტო ამ წიგნის შესავალი თავები, სადაც განხილულია ქართველ ტომთა პრეისტორიული ხანა და მათი თანდათანობითი კონსოლიდაციის საკითხები. ავტორი საგანგებოდ ეხებოდა მონათესავე ქართველ ტომთა კილო-კავებსა და ერთ-ერთი პირველთაგანი აანალიზებდა ენობრივ მონაცემებს. ფაქტიურად ეს მონაკვეთი შეიქნა შემ-

დგომში ივანე ჯავახიშვილის დიდებული ნაშრომის საფუძვლად, რომელმაც ახალი მიმართულებანი წარმოშვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ადგილის გასარკვევად მსოფლიო ენათა სისტემებში. რასაკვირველია, აქ ვგულისხმობ დიდი მეცნიერის აგრეთვე ფუნდამენტურ მონოგრაფიას: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, რომელიც ასევე საქართველოს ისტორიის შესავლად იყო გააზრებული.

1913 წლის ზემოთდასახელებულ წიგნში განსაკუთრებით გამოირჩევა ის თავებიც, რომლებშიც თავმოყრილია ავტორის არაჩვეულებრივად მახვილი დაკვირვებები ქართულ წარმართობასა და მითოლოგიაზე, რომელიც ჩვენი ხალხის აზროვნების ისტორიის უღრმეს შრეებს წარმოაჩენს. ამ მიმართულებით ცალკეული ცდები მოეპოვება ა. ხახანაშვილსა და ნ. მარს, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის მიერ მოპოვებული შედეგები მონოგრაფიულ სისრულესთან ერთად ბევრად უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა. საკვირველი ის არის, რომ როგორც კვლევის მეთოდებით, ისე დასკვნებით ეს კვლევა-ძიება დღესაც გაუხუნარია და მას გვერდს ვერ აუვლის ძველი აზროვნების, ეთნოგრაფიისა თუ ფოლკლორის ვერც ერთი მკვლევარი.

ამ წიგნის უეჭველი დამსახურება იყო ისიც, რომ აქ პირველად მეცნიერული საბუთიანობით ყურადღება დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. სხვა მკვლევართა ადრეულ ნაშრომებში ამ ხარვეზის გამო ივანე ჯავახიშვილი გახცვიფრებული წერდა: „ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს“.

უნიკალურია ამ თვალსაზრისით ასეთივე სახის მისი მეორე ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც საგულისხმოა არამარტო წყაროების მახვილი გამოყენებით, არამედ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაზე მკაცრად რეალისტური მსჯავრითა და ისტორიული პერსპექტივის ღრმა გრძნობით.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მისივე სახელოვანი მოწაფის ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით ამ მეტად მნიშვნელოვანმა დარგმა შემდგომში ახალი წარმატებები მოიპოვა ჩვენში, რაც უწინარეს ივანე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

ივანე ჯავახიშვილის პირველი ნაშრომების თვალშისაცემი თავისებურება აშკარად გამორჩეული კრიტიკული პათოსი იყო და ეს დღეს სავსებით გასაგებია. მკვლევარს პასუხი უნდა გაეცა იმ ისტორიკოსთათვის, რომლებიც მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროპაგანდის-

ტულ მიზნებს ისახავდნენ და წარსულის გაზვიადების ხერხით იოლად გადიოდნენ ფონს. ყალბ ისტორიულ ბელეტრისტიკას იმ დროისათვის, მართლაც, დიდი გასავალი ჰქონდა.

ივ. ჯავახიშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ იგი პირველთაგანი გაემიჯნა ფსევდო-ისტორიულ ე. წ. გმირებსა და ზეკაცების ისტორიულ თხზულებათა ავტორებს და ნათლად ჩამოაყალიბა მეცნიერ-ისტორიკოსის რეალური მიზნები: „ისტორიკოსი — წერდა ჯერ კიდევ 1904 წელს სახელოვანი მეცნიერი — მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოარკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებისაგან იყო დამოკიდებული სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ, ან არადა ზნეობრივ-გონებრივი განვითარებისა და წარმატების მიმდინარეობა" და რომ მხოლოდ ასეთი კვლევა „მოუტანს ქართველ საზოგადოებას სარგებლობას, იმიტომ რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი".

ივანე ჯავახიშვილმა ბეჯითად დანერგა ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში ეს სწორი და თანამედროვე პოზიცია.

კრიტიკული მეთოდი მოიმარჯვა აგრეთვე მკვლევარმა ძველ ისტორიულ წყაროთა მიმართაც. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. ახალი ისტორია ძველ მატიანეთა ყოველმხრივ შესწავლა-შეფასებას უნდა დაფუძნებოდა. ფიქრობენ, რომ მკვლევარის ეს დამოკიდებულება ზოგჯერ ზედმეტად სკეპტიკურიც კი იყო, განსაკუთრებით კი „ქართლის ცხოვრების" ქრონიკების მიმართ. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ შემდეგ და შემდეგ მან თვითონვე ახლებურად წაიკითხა ძველი მატიანეები და უარყო კიდეც ამა თუ იმ წყაროს ვარგისიანობაზე ზედმეტად კრიტიკული თვალსაზრისი. ესეც დიდი მეცნიერის ერთ-ერთი სამაგალითო თვისება იყო, რადგან მეცნიერულ მუშაობაში ყოველგვარი სიჯიუტე მას მხოლოდ და მხოლოდ უვიცობის ფარად მიაჩნდა.

ჭეშმარიტი ისტორიკოსი უწინარეს იმ მამოძრავებელი ძალების აღმოჩენისაკენ ილტვის, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე წარმართავდნენ ერის ცხოვრებას. ეს დღეს აღიარებული და სახელმძღვანელო დებულებაა, მაგრამ ჩვენში მის დამკვიდრებას საკმაო ხანი დასჭირდა. ეროვნული თვითშემეცნების მწყობრ მეცნიერულ სისტემაში მოქცევა ერის ცხოვრებაში თვისობრივ ნახტომს მოასწავებს.

პირველი უამირის გატანა ამ მიმართულებით, და ეს ალბათ კანონზომიერიც იყო, წილად ხვდა ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს. სწორედ ილიას ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილი ფრაზა, რომ „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს". მაგრამ მაინც მთავარი ის არის,

რომ ილიამ თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში წარსულის გადააზრების მაღალი მეცნიერული მაგალითები წარმოადგინა და ისტორიული განვითარების დაფარულ მიზეზთა ძიება დაიწყო.

ივანე ჯავახიშვილმა, როგორც ცნობილია, ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინებში მკაცრი მეცნიერული წრთობა მიიღო და იგი ამას უმადლოდა ალ. ცაგარელს, ნ. მარსა და პეტერბურგის შესანიშნავ ჰუმანიტარულ სკოლას. მაგრამ, ჩემი აზრით, და ვფიქრობ რომ ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, იგი მემკვიდრეობის უხილავი ძაფებით ყველაზე უფრო სწორედ იმ ატმოსფეროსთან იყო დაკავშირებული, რომელიც დიდი ილიას გზნებითა და აზრებით სულდგმულობდა. ეროვნული სულისკვეთებით შეიარაღებისას ალბათ უკეთეს მოძღვარს ვერც ინატრებდა კაცი.

ივანე ჯავახიშვილის ეს დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძესთან კიდევ უფრო ნათელი შეიქნა, როცა მოგვიანებით გამოქვეყნდა საპროგრამო ხასიათის წერილი „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია".

ჯავახიშვილმა პირველმა მთელი სიდიადით წარმოადგინა თავისი დიდი მასწავლებლის ისტორიული კონცეფციები, რომლებიც ისტორიული განვითარების რეალისტურ შეფასებაზე იყვნენ დაფუძნებულნი. ილია მკაცრად აკრიტიკებდა „ქართლის ცხოვრების" მატიანეთა მიდრეკილებას ოფიციალურ მოვლენათა აღწერის გამო (ილიასავე სიტყვით: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული") და კარდინალურ საკითხად მიაჩნდა იმის გამოკვლევა, თუ რა შინაგანი ძალების დაძაბვით შეძლო საუკუნეთა მანძილზე ჩვენმა ხალხმა, გადაერჩინა თავისი არსებობა, კულტურა, ენა... ან რომელ ცთუნებას აჰყვა იგი ჭარტეხილებით აღსავსე ნარეკლიან გზაზე.

ამასთან დაკავშირებით ჯავახიშვილს მოჰყავდა ილიას ფრიად საგულისხმო სიტყვები, რომლებშიც ჩვენი ხალხის წარსულზე დაფიქრებასთან ერთად მომავლისაკენ მზირალი დიდი მოღვაწის ღაღადისი ისმოდა: „ჩვენს ერს ორი ათასი წელი მაინც უცხოვრია ისტორიული ცხოვრებით. ბევრიც მაგარი და უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამისი საბუთი თვალ-წინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა

ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამასთან ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენი ცხოვრების ფესვი, ჩვენი ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“

ივანე ჯავახიშვილი ღრმად თანაუგრძნობდა დიდ წინამორბედს და თავის მხრით დასძენდა: „რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გარკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება.

მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო“.

ივანე ჯავახიშვილი ასეთ მაღალ შეფასებასთან ერთად აღნიშნავდა, რომ ასევე ილიამ პირველთაგანმა კვლევის სიმძიმის ცენტრი სოციალურ და ეკონომიური საფუძვლების კვლევაზე გადაიტანა, რადგან ქართველი ხალხი, რასაკვირველია, მხოლოდ „მკლავითა და გულადობით“ ვერ შეძლებდა ისტორიის მძიმე ჰაპანის ზიდვას.

და ახალ ვითარებაში ეს „ძნელი საქმე“ უწინარეს სწორედ ივანე ჯავახიშვილმა იტვირთა, რითაც ასე ბრწყინვალედ სრულყო დიდი წინამორბედის ანდერძნამაგი.

„საქართველოს ისტორიის“ პირველი წიგნებიც, რომელსაც იგი ხვეწდა და აზუსტებდა წლების მანძილზე, ამის ნათელი დადასტურება იყო. სოციალური, ეკონომიური თუ კულტურული ფაქტორების ერთობლივი ანალიზით ივანე ჯავახიშვილმა, როგორც იტყვიან, პირველი მიახლოებით, აღადგინა ქართველი ხალხის ისტორიის მეცნიერული სურათი.

სხვას რომ თავი დავანებოთ, სწორედ ივანე ჯავახიშვილის დამსახურებაა, რომ ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას დღეს ახალი მიღწევები მოეპოვება საქართველოს წინა ფეოდალურ ეპოქაზე, კერძოდ, კი გვაროვნული წყობილების ხასიათსა და ფორმებზე.

მთელ ახლო აღმოსავლეთში ქართული ფეოდალიზმის უნიკალური ფორმის, პატრონყმობის, შინაგანი დინამიკის აღმოჩენა და ზუსტი დახასიათებაც პირველად ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებშია წარმოდგენილი, რაც შემდგომში განავითარეს მისმა სახელოვანმა მოწაფეებმა სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა და ისტორიკოსთა ახალმა თაობებმა.

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, დავითისა თუ განსაკუთრებით თამარ მეფის ეპოქის მეცნიერული ანალიზი, მრავალზე მრავალი ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენის ახლებური გააზრება, მისი დიდი მემკვიდრეობის პირუთვნელ შეფასებას ალბათ ჯერ კიდევ დიდი დრო და მუშაობა დასჭირდება...

ივანე ჯავახიშვილის, როგორც მკვლევარ ისტორიკოსის ერთი შესაშური თვისება ისიც იყო, რომ იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ კონკრეტული ანალიზით, ვიწრო „მეცნიერული“ სამანებით. მისი დიდი ტალანტი ფართო განზოგადოებისაკენ ისწრაფვოდა. გაბედული აზრები, შორსმიმავალი დასკვნები მისი დაუოკებელი სტიქია იყო. იგი ბევრად უფრო მეტს ჰვრეტდა და შინაგან კავშირებს ალადგენდა თითქოსდა სავსებით დაშორიშორებულ მოვლენათა შორის. ასე იყო თითქმის ყოველ დარგში, რომელსაც კი მისი ნათელი გონება შეჰხებია.

ამ თვალსაზრისით განუზომელია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მკვლევარის ფუძემდებლური მონოგრაფია „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, რომელშიც სრულიად ახალი კუთხით იყო შესწავლილი ძველი ქართული ისტორიული ბელეტრისტიკა.

საგულისხმო ის არის, რომ დიდი ისტორიკოსი ამ ძეგლებს მარტო წყაროთმცოდნეობის თვალით როდი უცქეროდა, თუმცა ეს საკითხები მას ჩვეული სკრუპულოზური დაკვირვების საგნადა აქვს ქცეული. ძეგლების ყოველმხრივი განხილვა კიდევ ერთხელ ამჟღავნებდა მისი ავტორის მხატვრულ გემოვნებასა და ალღოს. ივანე ჯავახიშვილმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება, მაგალითად, „შუშანიკის წამების“ მხატვრულ დონეს და ე. წ. საერო ნაკადს, რითაც ეს თხზულება უნიკალურია შუა საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში. დღესაც სახელმძღვანელოდ ითვლება ძეგლის ჯავახიშვილისეული შეფასება, რომლიდანაც მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიტან: იაკობ ხუცესის თხზულებაში მისივე თანამედროვე ყოფა-ცხოვრება „ისე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, ისე უშუალოდ თანსდევს ამბის მიმდინარეობას, რომ მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი იშლება ამასთან „განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ის გულწრფელობა, უშუალობა და ბუნებრივობა, რომლითაც იაკობ ხუცესის მოთხრობის კილოა გამსჭვალული თავიდგან ბოლომდის. ამის წყალობით აქ მაშინდელი ყოფა-ცხოვრება მთელი თავისი ღირსებანაკლოვანებებით გვეხატება და არც ერთხელ ყალბი და განზრახ თუ უნებლიეთ გაზვიადებული და დაუჯერებელი სულიერი მდგომარეობის აღწერილობა არ გვხვდება. თვით წამების მთავარი გმირის და მოქმედი პირის წმიდა შუშანიკის პირადი ხასიათის ზოგიერთი უსია-

შოვნა თვისების, განსაკუთრებით სიფიცხისა და თავშეუკავებლობის დამალვაც კი იაკობ ხუცესს ფიქრად არ მოსდის, რაც ამგვარი თხზულებისათვის იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს".

ივანე ჯავახიშვილმა ასევე სხვაგვარად წაიკითხა ძველი ქართული კულტურის დიდებული ძეგლი გიორგი მერჩულეს თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა" და პირველმა აღნიშნა, რომ მისი ავტორი არა მხოლოდ სასულიერო მიზნებით იფარგლებოდა, არამედ, „სულ სხვა მიმართულების კაცი იყო". როგორც ცნობილია, ამ დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კლასიკური ხანის საერო მწერლობის ეროვნული წინამძღვრების ძიების დროს.

შესაძლოა ყველას არ ახსოვდეს ან „უნებლიეთ" ივიწყებდეს, რომ სწორედ ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1913 წელს გარკვეული საბუთებით წამოაყენა ჰიპოთეზა „ქართული რენესანსის" შესახებ, რის ერთ-ერთ ფაქტორად მას ანტიკურ კულტურასთან უშუალო დაკავშირება მიაჩნდა: „ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელ ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ე. წ. „რენესანსი" წარმოშვა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე მე-12 საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა".

ზედმეტად მიმაჩნია აქ იმის მტკიცება, თუ რა ბიძგის მიმცემი შეიქნა შემდგომში ეს დებულება ქართული კულტურის მკვლევართათვის, რომლის სათავეში იდგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე.

ძველ ქართულ მწერლობაში იშვიათია დიდი თუ პატარა ძეგლი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი რაღაცნაირი კუთხით მაინც არ შეხებოდა. რასაკვირველია, მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანი ნიადაგ იყო შოთა რუსთაველი და მისი პოემა. ჯავახიშვილი როგორც რუსთველოლოგი, ეს დღეს ძალზე მნიშვნელოვანი კვლევის საგანია და კარგად წარმოაჩენს, თუ როგორი სიფრთხილით, ფაქიზი დამოკიდებულებით ვითარდებოდა მკვლევარის შეხედულებები „ვეფხისტყაოსნის" გარშემო. ასე შემუშავდა მეცნიერის ღრმად ეროვნული კონცეფცია, რომელიც მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოაქვეყნა. ასევე ურყევი აღმოჩნდა მის მიერ გაზიარებული დებულება, რომ რუსთველის პოემა კლასიკური ეპოქის პირმშოა, რასაც იგი მრავალრიცხოვანი საბუთიანობით განამტკიცებდა. რუსთველის მაღალი იდეალების, ძმობა-თანასწორობის იდეების უპირველესი წყარო აღმავლობის ეპოქის ქართულ სინამდვილეშია საძიებელი.

რად ღირს მარტო იმ დიდი მუშაობის გახსენება, რომელიც მაშინ უკვე ხანდაზმულმა მეცნიერმა გასწია რუსთაველის პირველი იუბილეს

დღეებში, რომლის ერთ-ერთი გვირგვინი შოთა რუსთველისადმი მიძღვნილი გამოფენა და მუზეუმის დაარსება იყო. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი, დაუშრეტელი ენერგია, უფართოესი ცოდნა და ერუდიცია. რა დასანანია, რომ დღეს აღარ არსებობს მისი მაღალი გონით შექმნილი დიდი ექსპოზიცია, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენდა ძველი ქართული სულიერი თუ მატერიალური კულტურის თვალშეუდგამ დონეს მსოფლიო მასშტაბით.

ივანე ჯავახიშვილი ქართული პალეოგრაფიის პირველი მეცნიერული მკვლევარია, ხოლო მისი შეხედულებები ქართული ანბანის წარმოშობა-ევოლუციაზე დღესაც, ჩემის აზრით, ყველაზე პერსპექტიულ სამუშაო ჰიპოთეზად უნდა ჩაითვალოს. ქართული სამართლის ისტორია, წყაროთმცოდნეობა, დიპლომატიკა, მუსიკის ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ხელოვნების ისტორია... რომელი ერთი დარგი უნდა გავიხსენოთ, რომელსაც იგი არსებითად არ შეხებია, რათა საფუძველი ჩაეყარა ერთობლივი ქართული კულტურის ისტორიისათვის. იგი რაღაცნაირად ანსახიერებდა იმ ინტელექტუალურ ცენტრს, რომელშიც თავს იყრიდა ყველაფერი კარგი და ძვირფასი, რაც ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია.

საზოგადოებრივ ასპარეზზეც ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. აქაც იგი აუჩქარებელი, დინჯი და წინასწარ მოფიქრებული ნაბიჯებით მიიწევდა წინ. მაგალითად, იგი იმთავითვე არ აჰყვა მაცთუნებელ წინადადებას. როგორც ცნობილია, როცა ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში გამოითქვა მოსაზრება საქართველოში აკადემიის დაარსების შესახებ, მას არც შეჰპარვია ეჭვი, რომ ეს შენობის ზემოდან დაწყების უნიადაგო ცდა იყო. დრომ გაამართლა დიდი მეცნიერის სკეპსისი.

ახალი ქართული მეცნიერების აღორძინების საძირკველი ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში უნდა ჩაყრილიყო, რაც თავისთავად გულისხმობდა შემდეგში ისეთი დიდი სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბებას, როგორიც დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაა.

ვინ არ იცის დღეს, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში უპირველესი პატივი ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. და არა მარტო უნივერსიტეტის... იშვიათია დღეს საქართველოში კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულება, რომლის ჩამოყალიბება-აღორძინებაში მისი უანგარო ღვაწლიც არ ერიოს...

ქართველი ხალხის ცნობიერებაში ივანე ჯავახიშვილის სახელი მამულიშვილობის, მაღალი მეცნიერების, არაჩვეულებრივი თავმდაბლობის, სისპეტაკისა და გონიერების განსახიერებაა. შეუძლებელია ამაში რაიმე კონიუნქტურის ნატამალიც კი იყოს. ასეთ ერთიან შეფა-

სებაში ხალხი არასოდეს შემცდარა. ივანე ჯავახიშვილის ნათელი ხსოვნა მხოლოდ და მხოლოდ მოწიწებისა და თაყვანების საგანი იქნება მარადჟამ.

1976 წ.

5. აფხაზი მწერლისა და მეცნიერის გახსენება

(დავით ჩქოტუა)

დავით ჩქოტუა XIX საუკუნის აფხაზური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი იყო პირველი სწავლული აფხაზთაგანი, რომელმაც განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო და ერის აღორძინების დიდ საგანმანათლებლო ასპარეზზე უშურველი მოღვაწეობით ისახელა თავი. დავით ჩქოტუა ქართველ სამოციანელთა უმცროსი თანამედროვე იყო და მათი კეთილშობილური იდეების თანამოზიარე. მრავალრიცხოვან საგანმანათლებლო მიმართულების წერილებთან ერთად მასვე ეკუთვნის მშვენიერი ნაშრომი „ვეფხის ტყაოსანზე", რითაც ახალი ფურცელი შემატა ქართველი და აფხაზი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, ერთობლივი ცხოვრებით განმტკიცებულ მეგობრობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამწერლო თუ სამეცნიერო სარბიელზე პირველი გამოჩენისთანავე მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თანამედროვეთა შორის, ახალგაზრდა სწავლულს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ...

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს... მტრისას მისი გამოცანა!.." დიდი აკაკის ეს სიტყვები თითქოს ზედგამოჭრილია დავით ჩქოტუაზეც, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა მთელი ის უკუღმართობა, რაც ცარიზმის პოლიტიკის მუდმივი თანამგზავრი იყო.

ჩვენს დროში ამ მართლაც უსამართლოდ მივიწყებულ მოღვაწეს, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი ქომაგები გამოუჩნდნენ ქართველთა აფხაზ მწერალთა და მეცნიერთა შორის. განსაკუთრებულია ამ თვალსაზრისით აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ღვაწლი.

როგორც ცნობილია, ქართულ-აფხაზურმა თემამ გასაგები მიზეზების გამო საპატიო ადგილი დაიმკვიდრა გამოჩენილი ისტორიკოსის ნაშრომებში. ასეთ დროს, უეჭველია, გადამწყვეტი როლი შეასრულა არა მარტო მეცნიერის უტყუარმა ალღომ, არამედ ოჯახურმა გარემომ

და საკუთარმა ბიოგრაფიამ. ისტორიკოსის მამა, ნიკო ჯანაშია, აფხაზური კულტურის შესწავლის ერთი პიონერთაგანი იყო, ხოლო თვით სიმონ ჯანაშიამ სიყმაწვილის საუკეთესო წლები სწორედ აფხაზეთში გაატარა.

ამიტომაც, როგორც მეცნიერმა, მან არა მარტო იცოდა, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მთელი არსებით გრძნობდა, რამდენად ფაქიზ მოპყრობას ითხოვდა ზემოაღნიშნული პრობლემა, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ისე მისი ერთ-ერთი თანამოძმე აფხაზი ხალხის ისტორიის მართებული გაშუქებისათვის.

სანიმუშოდ იკმარებდა ვრცელი მონოგრაფია გიორგი შარვაშიძეზე, რომელიც წინ უძღვის მისივე რედაქციით გამოცემულ შარვაშიძის თხზულებათა კრებულს (1946 წ.). არჩევანი უცთომელი აღმოჩნდა, რადგან მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე გიორგი შარვაშიძე იყო სწორედ ის ფიგურა, რომელიც იშვიათი ღირსებით ატარებდა ყველა თვისებას, რაც დღესაც სამაგალითოა და ამასთან ხაზგასმით მიგვანიშნებს ორი მოძმე ხალხის მსგავს ისტორიულ ბედ-იღბალს, უღრმესი პატივისცემით გამსჭველულ მეგობრობას.

ასეთი მაღალი პოზიციიდან აფასებს დღეს გიორგი შარვაშიძეს ჩვენი თანამედროვეობა. მართლაც, „როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გიორგი შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა დედა, რომელმაც შობა, და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოჰკვება. მას მათთვის არ უღალატნია მათი სიღარიბისა და დამცირების დროს და ცხოვრების გზის დასასრულამდე შეინარჩუნა რწმენა, რომ ორივეს ბედნიერი მომავალი ელოდა“. ეს ხატოვანი სიტყვები ჩვენს დიდებულ მწერალს გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის და საოცარი სიზუსტით გამოხატავს გიორგი შარვაშიძის ისტორიულ-კულტურულ პროფილს.

რაც შეეხება სიმონ ჯანაშიას მონოგრაფიას გიორგი შარვაშიძეზე, დიახაც, არ გახლავთ იგი ოდენ მეცნიერული ფარგლებით შემოსაზღვრული გამოკვლევა. არსებითად ჩვენს წინაშეა შესაშური ბელეტრისტული ოსტატობით მოთხრობლი აფხაზეთის სამთავროს სისხლიანი აღსასრული, ხოლო წიგნის მთავარი გმირია ისეთი მშფოთვარე პიროვნება, როგორიც იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიდი ილიას და აკაკის უმცროსი თანამებრძოლი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე გიორგი შარვაშიძე.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საგულისხმოა ისიც, რომ სწორედ გიორგი შარვაშიძის გარშემო არსებული ისტორიულ-კულტურული გარემოს აღსადგენად გაწეული კვლევა-ძიების პროცესში სიმონ ჯანაშიამ წარმოაჩინა კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო პიროვნება — დავით ზურაბის ძე ჩქოტუა, თვით გიორგისავე ძიძიშვილი და თავის დროზე

ასევე ქართული მწერლობის სარბიელზე მოღვაწე აფხაზი მეცნიერი და ლიტერატორი.

მანვე მიუძღვნა დავით ჩქოტუას მცირე ნარკვევი და გამოაქვეყნა აგრეთვე „ვეფხისტყაოსანზე“ ჩქოტუასავე ნაშრომის ფრაგმენტი, რომელიც რაღაც სასწაულებრივად გადარჩენია სრულ განადგურებას.

დავით ჩქოტუას, როგორც ახლა გარკვეულია, ეკუთვნის არაერთი ნაშრომი როგორც ქართული და აფხაზური კულტურის, მწერლობის, ეთნოგრაფიის, ისე საზოგადოდ საგანმანათლებლო საკითხების გარშემო. თავისი განსაკუთრებული ღირსებებით მაინც გამოირჩევა მისი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ ვიდრე უფრო დაწვრილებით შევეხებოდე ამ, მართლაც, უნიკალურ რუსთველოლოგიურ ნარკვევს, მინდა ორიოდე სიტყვით მაინც შევახსენო მკითხველს დავით ჩქოტუას ტრაგიკული ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდი, მით უფრო, რომ მათ პირდაპირი კავშირი მოეპოვებათ თვით აღნიშნული ნარკვევის წარმოშობის ასევე უცნაურ თავგადასავალთან.

დავით ჩქოტუა დაიბადა ისტორიული სამურზაყანოს სოფელ საბერიოში (ამჟამად გალის რაიონი) 1849 წლის 11 იანვარს. მამა, ზურაბ მანუჩარის ძე ჩქოტუა, საკმაოდ შეძლებული თავადი, რუსეთის მთავრობის მიერ გენერლის ჩინით იყო დაჯილდოებული. დავითის (მისი მეორე სახელი მანუჩარ, მოფერებით მანჩა) დედა კი დადიანის ქალი იყო. ისედაც აღზევებული ჩქოტუების ოჯახისათვის დიდ პატივად ითვლებოდა ისიც, რომ სახლის უფროსი ზურაბ ჩქოტუა ძველი წესსამებრ არჩეული იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძის შვილების აღმზრდელად.

ასე იყო, გიორგი შარვაშიძე და დავით ჩქოტუა ძიძიშვილობის უწმინდესი ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი. ერთადაც იზრდებოდნენ (დავითი სულ სამი წლით იყო მასზე უმცროსი) და, როგორც მათი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ორივეს შინაური განათლებაც ქართულ-აფხაზურ კულტურასა და ადათ-წესებზე იყო დაფუძნებული. ოჯახურ წრეშივე გაეცნო იგი პირველად „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც შემდეგში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მის ჯვარცმულ ცხოვრებაში უპირველეს სალბუნად მოევლინა.

ქართულ გარემოსთან კიდევ უფრო დაახლოების წლებად იქცა ის ხანა, როცა იგი სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, შეიძინა მრავალი მეგობარი, რომელთაგანაც ზოგი მომავალში მოწინავე ქართული საზოგადოების ღირსეული წევრი შეიქნა.

განათლების სრულყოფის მიზნით 1869—1875 წლებში დავითი სწავლობდა ჯერ ოდესის, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტებში. ჯერ საბუნებისმეტყველო განყოფილებას ირჩევს (გეოლოგია-

ძიხერალოგიის განხრით), პეტერბურგის უნივერსიტეტის ბოლო ორი წელი კი იგი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე ამავე წლებიდან დავითი ძალზე აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესაში და სამართლიანად იხვეჭს განათლებული, ნიჭიერი ჟურნალისტისა და მწერლის სახელს. იგი, მაგალითად, პეტერბურგიდანვე სისტემატურად ამარაგებდა კორეს-პონდენციებით გაზეთ „დროებას“, რომელსაც იმ დროს სერგეი მესხი რედაქტორობდა. იგი თავიდანვე ბეჯითად მიჰყვებოდა ილია ჭავჭავაძის დაკვალულ გზას, რომელიც არსებითად გამორიცხავდა ყოველგვარ ცალმხრივობას. ახალგაზრდა მეცნიერი ისევე ზრუნავდა ქართული კულტურის აღორძინებისათვის, როგორც თვით გამოჩენილი ქართველი სამოციანელები იღვწოდნენ აფხაზეთის უკეთესი მერმისისათვის.

ავადმყოფობის და უფრო იმ დაუოკებელი სურვილის გამო, რომ აქ, ახლოს მყოფი მეტად გამოადგება ეროვნული თუ სოციალური ჩაგვრით განაწამებ მშობლიურ ხალხს, იგი საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში და მთელი გატაცებით ეკიდება სამწერლო თუ სამეცნიერო მოღვაწეობას.

დავითის თბილისში დაფუძნებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ 1875 წელს აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი მამულების მმართველად მიიწვია იგი თავის ძიძიშვილმა და უახლოესმა პიროვნებამ გიორგი შარვაშიძემ. არსებითად საქმე ეხებოდა კავკასიის ახალი ისტორიიდან კარგად ცნობილი მეფისნაცვლის მ. ს. ვორონცოვის პირადი ექიმის ერასტი ანდრეევსკის ქალიშვილების ელენე და ნინო ანდრეევსკაიების სამემკვიდრეო მამულებს, ხოლო მათ შორის უფროსი ელენე ანდრეევსკაია გიორგი შარვაშიძის მეუღლე იყო. საგულისხმოა ისიც, რომ თვით ერასტი ანდრეევსკის მეუღლე იყო ჩინებული საზოგადო მოღვაწე და მსახიობი ბარბარე თუმანიშვილი, რომელიც, ადრე იმითაც იყო სხვათა შორის ცნობილი, რომ, მთავარ როლებს ასრულებდა გიორგი ერისთავის გახმაურებულ პიესებში.

ახალი თანამდებობა, რომელიც მყუდრო ცხოვრებასა და შემოქმედებისათვის თავისუფალ დროს უქადდა ჩქოტუას, სრულიად მოულოდნელად მისი მომავალი ტრაგიკული ცხოვრების მიზეზი შეიქმნა.

მტკვრის პირას მდებარე ანდრეევსკების სახლში, სადაც ცხოვრობდა აგრეთვე დავით ჩქოტუაც, 1876 წლის 22 ივლისს დატრიალდა საბედისწერო ამბავი. როგორც ჩანს, ბანაობის დროს მტკვარში დაიხრჩო გიორგი შარვაშიძის ცოლისდა ნინო ანდრეევსკაია. იგი მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს მეთევზეებმა თბილისის ქვემოთ, მტკვრის თავთხელ წყლებში.

მეფის ხელისუფლებამ საბრალდებულო სკამზე დასვა ანდრეევსკაიას სახლში მყოფი ყველა მსახური, ხოლო განსაკუთრებული

იერიში მიიტანა თვით დავით ჩქოტუაზე, მათი აზრით, თითქოსდა ამ საზარელი დანაშაულის საგულვებელ მოთავეზე.

ეს საქმე გახმაურდა და წლების მანძილზე გრძელდებოდა. სხვათა შორის, შემდეგში ცალკე ტომადაც კი გამოიცა ნინო ანდრეევსკაიას საქმე. დავით ჩქოტუას მხარში ამოუდგა თვით გიორგი შარვაშიძე, რომელიც ამ დროს ქუთაისში იმყოფებოდა. იცავდნენ მის სახელს როგორც ქართველი, ისე რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, არავის სჯეროდა, ვინც კი დაახლოებით მაინც იცნობდა მაღალი ზნეობითა და განათლებით გამორჩეულ დავითს, რომ მას არამცთუ ხელი აღემართა, არამედ ფიქრშიც კი გაევლო ასეთი შემზარავი რამ. ისიც ცნობილია, რომ ასეთივე აზრისანი იყვნენ დავითზე თვით ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და მრავალი სხვა საზოგადო მოღვაწე.

მაგრამ მეფის მთავრობის ოფიციოზი და სასამართლო კი მაინც არაფერს უწევდა ანგარიშს. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი მოძიება ხელშესახებს არაფერს იძლეოდა, მათი აზრით, თითქოსდა ბრალდებულ დავით ჩქოტუას მიუსაჯეს 20 წლის საკატორღო სამუშაო და სამუდამო გადასახლება ციმბირში. ასევე ულმობელი აღმოჩნდა სასამართლო სხვა ე. წ. ბრალდებულთა მიმართ, რომელთაგან ორს გამოძიების დროს წამებით ამოხადეს სული. უსამართლო განაჩენის დარღვევას არც უმაღლეს ინსტანციებში გადატანილმა კასაციამ უშველა.

დავითს საქმის ცოდნით იცავდა, მაგალითად, ისეთი ცნობილი იურისტი, როგორიც იყო ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანი. დავითის უდანაშაულობაზე მეტყველებდა მსგავს საქმეთა გამოცდილი ექსპერტის პროფესორ ი. მ. სოროკინის გამოკვლევაც „მკვლელობა თუ შემთხვევითი უბედურება“, სადაც მწყობრად იყო გადმოცემული მოვლენათა მსვლელობა, საიდანაც ჩანდა, რომ ნინო ანდრეევსკაია მორიგი ბანაობის დროს გაიტაცა მდინარემ (ტანსაცმელიც კი ხელუხლებლად, ერთიმეორეზე მიწყობით ელაგა მტკვრის პირას).

სხვათა შორის, დაცვაში მონაწილეობა მიიღო რუსეთში მცხოვრებმა, ეროვნებით პოლონელმა, გამოჩენილმა იურისტმა და შესანიშნავმა მწერალმა ვლადიმერ სპასოვიჩმაც, რომელიც ცნობილია არა მხოლოდ ჩინებული სახელმძღვანელოებითა და გამოკვლევებით იურისპრუდენციაში, არამედ ბრწყინვალე წერილებით შექსპირზე, ბაირონზე, მიცკევიჩსა და სლავური ლიტერატურის არაერთ წარმომადგენელზე.

აღსანიშნავია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვა სამოციანელებიც სპასოვიჩს თავიანთ ერთ ყველაზე ალიარებულ მოძღვრად თვლიდნენ.

საგულისხმოა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ერთი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის გიგა ყიფშიძის ცნობა, რომელიც ილიას სტუდენტობის წლებს და სწორედ ვლადიმერ სპასოვიჩის, პირველ, მართლაც, უცნაურ გაცნობას ეხება: „არა ერთხელ, — წერს გიგა ყიფშიძე, — უამბნია ილიას ერთი ანეკდოტის მსგავსი რამ პეტერბურგში ცხოვრების ნიმუშად, მაშინდელი სტუდენტობის განუკითხველის უარყოფითის მიმართულებისა და მათივე გაწბილებისა.

ერთხელ ერთს იაფ კუხმისტერსკში ვსადილობდით, — უამბნია მისთვის ილიას, — ახალი ქართველი სტუდენტები, ვასილიევის კუნძულზედ, იქავ უნივერსიტეტის ახლოს და რაღაც იურიდიულ საგანზედ ჩამოგვივარდა ბაასი. როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია ერთი ახალგაზრდა რუსიცა, რომელიც იმავე საერთო სასადილო მაგიდას უჯდა და სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით, ცხარედ შევეკამათეთ და არა დავუთმეთ რა; თუმცა კი მეტად გარკვევითა და ნათლად განმარტა საკამათო საგანი. მეორე დღეს — შევხვედოთ და ის კაცი კათედრაზე კია გამოჭიმული უნივერსიტეტში და ლექციასა კითხულობს. ვიკითხეთ მისი ვინაობა და პირკატა კი გვეცა, როცა გვითხრეს, სპასოვიჩია, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენციისაო“. ილია შემდეგში უფრო ახლო გაეცნო სპასოვიჩის მოღვაწეობას და, როგორც ითქვა, მთელი ცხოვრების მანძილზე გაიყოლა მისდამი უღრმესი პატივისცემა.

და აი, სწორედ სპასოვიჩმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა, რომელიც გამორჩეულია როგორც აზრთა ლოგიკით, ისე მოქალაქეობრივი პათოსით და, როგორც იტყვიან, ქვა-ქვაზე არ დატოვა მოწინააღმდეგეთა საბუთებიდან. სხვათა შორის, აღნიშნულ ღირსებათა გამო სპასოვიჩის ეს სიტყვა ვითარცა ნიმუში, შევიდა არაერთ კრებულში, სადაც მოთავსებულია გამოჩენილ იურისტთა რჩეული გამოსვლები, რომლებიც დღესაც სამაგალითოდ ითვლება.

მაგრამ, როგორც ითქვა, ვერც სპასოვიჩის გამოსვლამ შეაბრუნა საქმის ვითარება. „ნინო ანდრეევსკაიას საქმე“, როგორც უსამართლო განაჩენის ნიმუში, სხვათა შორის, სამუდამო გულისტკივილად გაჰყვა მრავალნაცად იურისტს, რაც მან მოგვიანებით წერილობით გამოხატა კიდეც მის თხზულებათა კრებულში დანართის სახით: «По тифлисскому делу не могу доныне отрешиться от глубочайшего убеждения, что оно кончилось печальною ошибкой, что пострадали невинные люди, указанные заблуждающейся народною молвой».

მაინც რამ გამოიწვია ასეთი განუკითხავი ზეწოლა მეფის ხელისუფალთა მიერ, რაც შემაგრებული იყო ცრუმოწმეთა ჩვენებებითა

და წინასწარ დარხეული ჰორებით? ჯერ კიდევ მაშინვე, ხოლო შემდეგ უფრო ნათელი შეიქნა ამის მიზეზები.

თვით ჩქოტუას დამცველი ნ. ორბელიანი აღნიშნავდა, რომ, როგორც ჩანს, „ასეთი იყო მითითება ზევიდან“, ხოლო სიმონ ჯანაშიას შენიშვნით, მთელი ეს ფარსი მიმდინარეობდა „უმაღლეს ხელისუფალთა ინსპირაციის თანახმად“.

უმთავრესი მიზანი კი ერთი იყო, რომელიც პოლიტიკურ სფეროში ინაცვლებდა. ფაქტობრივად მთელ ამ ვეებერთელა სასამართლო პროცესს შეფარვით პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. როგორმე უნდა დამტკიცებულიყო, რომ დავით ჩქოტუა მოქმედებდა სწორედ თვით გიორგი შარვაშიძის კარნახით, რათა ამ უკანასკნელს ხელთ ეგდო ცოლისდის — ნინო ანდრეევსკაიას კუთვნილი მემკვიდრეობაც. ამით, რასაკვირველია, ჩირქი ეცხებოდა ცარიზმის მოძულე ისეთ ავტორიტეტულ პიროვნებას, როგორიც იმ დროს აფხაზთა უკანასკნელი მთავრის შვილიშვილი გიორგი შარვაშიძე იყო. ყველაფრიდან ჩანს ისიც, რომ ამ საქმის გამწვავებაში პირადად იყო გარეული კავკასიის იმდროინდელი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელმაც ჯერ გადააყენა და შემდეგ პატიმრობაში მოუღო ბოლო აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძეს (1864 წ.), ხოლო მერე მთელი ცხოვრების მანძილზე სდევნიდა მიხეილისავე ვაჟს, აფხაზთა სამთავრო ტახტის უკანასკნელ პრეტენდენტს გიორგი შარვაშიძეს. სწორედ ამ უთანასწორო პოლიტიკური ცილობის მსხვერპლი შეიქნა მართლაც „უდანაშაულო დამნაშავე“ მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით ჩქოტუა.

დავით ჩქოტუას ცხოვრებაში დადგა უმძიმესი დღეები. მაგრამ როგორც ზნესრულ ადამიანებს სჩვევიათ, მიუსაფრობაშიც მას ღირსეულად ეჭირა თავი და პატიმართა შორის „პირთა დათმენის“ მისაბაძ მაგალითად იყო მიჩნეული. ჩვენამდე მოაღწია მისმა პირადმა წერილებმა გადასახლებიდან, რომელთა შორის თავისი მრავალმხრივი შინაარსით გამოირჩევა წერილები ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის, შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის რექტორის ვასილ პეტრიაშვილის სახელზე, რომელთანაც ოდესის უნივერსიტეტში ერთად გატარებული სტუდენტური წლები აკავშირებდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვასილ პეტრიაშვილი მატერიალურ და ზნეობრივ შემწეობას არ აკლებდა ბედისაგან ასე უღვთოდ განწირულ სიყრმის მეგობარს. ამაზე მეტყველებს, სხვათა შორის, დავითის ერთი საპასუხო წერილიც: „თუ მე კვლავ ვარსებობ ზნეობრივი და გონებრივი სიცოცხლით და არ გავბოროტებულვარ ცხოვრების, ადამიანებისა და თვით საკუთარი თავის მიმართ, ამას უნდა ვუმადლოდე შენს მეგობრობას, რომელიც დასაყრდენია ჩემგვარ უბედურებაში ჩა-

ვარდნილი კაცისათვის, ყოველივე ეს კი შესაძლებელია დააფასო მაშინ, როცა ნამდვილად გრძნობ ასეთი შემწეობის საჭიროებასა და აუცილებლობას".

ვასილ პეტრიაშვილისა და დავით ჩქოტუას ეს უანგარო მეგობრობა მართლაც რაოდენ მაღლა დგას ყოველგვარ ეროვნულ, ნაციონალურ კარჩაკეტილობასა და შეზღუდულობაზე.

დავითის პიროვნული თვისებების შესაცნობად საგულისხმოა შემდეგიც: არც ზემოაღნიშნულ და არც სხვათა მიმართ მოწერილ წერილებში უბრალო მინიშნებაც კი არსად გვხვდება, რაიმე უბრალო საყვედურიც კი ვინმეს მიმართ, თუმცა მან კარგად იცოდა, თუ ვისთვის განწონილი მოწამლული ისრით იყო იგი დაკოდილი. ერთ წერილში გაჟონილი მისი ფიქრებიც: „საწყალი ნინა ერასტოვნა! რომ შეეძლოს იმის შეტყობა, თუ რამდენი ადამიანი გაუბედურდა მისი მიზეზით", მხოლოდ ერთხელ კიდევ მიუთითებს ჩაუდენელი დანაშაულის აუტანლად მძიმე ტვირთზე.

მაგრამ დავით ჩქოტუას ცხოვრების მაგალითზე კვლავ უნდა ვირწმუნოთ ჭეშმარიტება, რომ შემოქმედი პიროვნების ფიზიკური მოსპობაა შესაძლებელი და არა ზნეობრივი.

იგი აქაც ინტელექტუალური ცხოვრებით ცხოვრობს. შოულობს თითო-ოროლა წიგნს, სწავლობს უცხო ენებს და, რაც მთავარია, დღენიადაგ ჩაჰკირკიტებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", წიგნს, რომელიც სიბრძნისა და გონიერების უშრეტ წყაროდ მიიჩნია და საკუთარი ტანჯვისა და განსაცდელის სამუდამო თანაზიარად გაიხადა: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა". ვინ იცის, მის ტანჯვითა და წამებით აღსავსე გზაზე რამდენჯერ და რაგვარი კუთხით ამოტივტივდებოდა „ვეფხისტყაოსნის" ეს უკვდავი სტრიქონები. მაგრამ იგი „ვეფხისტყაოსანს" კითხულობდა არა მარტო სულიერი წონასწორობის აღსადგენად, არამედ სწავლობდა კიდეც მსოფლიო მწერლობის სხვა გიგანტებთან მიმართებაში. ხოლო შემდეგ თავის სამუშაო რვეულში მწყობრად ალაგებდა პოემის მრავალგზისი კითხვით წამოჭრილ დაკვირვებებს.

ოცდაშვიდი წელი გაატარა დავითმა გადასახლებაში და მხოლოდ 1906 წელს, სამოც წელს მიახლოებული, უკვე ჯანგატეხილი მოხუცი დაბრუნდა სამშობლოში.

შორეული ციმბირიდან ჩამოსულმა და სნეულებით დაუძლურებულმა დავითმა (როგორც გადმოგვცემენ, მას კუჭის წყლული აწუხებდა) აღარ ისურვა დაბრუნებოდა აქტიურ სამოღვაწეო სარბიელს,

გაასაჩუქრა საკუთარი მამულები და იქვე, მისი მშობლიური საბერიოს მახლობლად, ენგურის პირას დაესახლა პატარა გლეხურ ჯარგვალში. იგი არ თაკილობდა დიდსა და მცირეს და მისი განსწავლულობა-გონიერებით მოხიბლული თანასოფლელები მას ერთ ყველაზე საპატიო სტუმრად მიიჩნევდნენ საკუთარ ოჯახებში.

ამ წლების მანძილზე იგი სამწერლო და სამეცნიერო მუშაობით იყო გართული და გაასრულა კიდეც გადასახლებაში წამოწყებული 800 გვერდის მოცულობის კაპიტალური ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე". ელოდა ჟამს, როცა მისი მრავალჭირნახული ნაამაგარი სარგებლობას მოუტანდა მის მშობლიურ ხალხს.

მაგრამ, როგორც ცნობილი გამოთქმა ღაღადებს, წიგნის ბედი მეტწილად ავტორისას წააგავს. მის მაგალითზე კიდევ ერთხელ გაცხადდა ეს ჭეშმარიტება. უმაგალითო ხვედრი ერგო მის ნაშრომსაც „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. მოხუც დავითს 1920 წელს იგი გასაცნობად გადაუცია თბილისში მსახიობთა კავშირისათვის. ძალზე მოსწონებიათ კიდეც და განუზრახავთ უმალ მისი ბეჭდურად გამოქვეყნება. ამ ფაქტს სხვებთან ერთად ადასტურებდა ჩვენი გამოჩენილი მწერალი შალვა დადიანიც. სხვათა შორის, ინტერესს მოკლებული არ არის ის გარემოებაც, რომ თვით შალვა დადიანი მოხიბლული იყო დავით ჩქოტუას პიროვნებით და იგი პროტოტიპად დაუდო კიდეც მთავარი პერსონაჟის ვამეხის სახეს მის ცნობილ რომანში „გვირგვილიანების ოჯახი".

მაგრამ შემდეგ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. ნაშრომი, რომელიც მანქანაზე იყო გადაღებული და დასაბეჭდად გამზადებული, მოულოდნელად სადღაც გაქრა. უგზო-უკვლოდ დაიკარგა, როგორც ჩანს, სხვა ცალებიც, რომლებიც, ალბათ მისივე არქივთან ერთად დაიღუპა და ამ მიმართულებით გაწეული ძიებაც ჯერჯერობით უნაყოფოდ დამთავრდა.

ჩვენს ხელთ არის მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილი აღნიშნული ნაშრომის ორი მცირე ფრაგმენტი, რომელიც აღმოჩნდა თბილისში დავითისავე ძმისშვილის, რ. ნ. ჩქოტუას ოჯახში. მისი პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის სიმონ ჯანაშიას.

როგორც ჩანს, ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ კონსპექტურ მონახაზს, რომელიც ავტორს წაუკითხავს 1917 წელს ზუგდიდში მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე. შესრულებულია იგი რუსულ ენაზე.

პირველი ფრაგმენტის სათაურია „ვეფხისტყაოსანი და მისი გმირები", ხოლო მეორე ეხება პოემისავე გმირების მსოფლმხედველობას. ორივე ეს ნაშრომი გამოირჩევა მასალის ღრმა დაუფლებით და ანალიზის კულტურით. ავტორი ამჟღავნებს ქართული მწერლობის, მითო-

ლოგიისა და კულტურის თავისი დროისათვის მართლაც საფუძვლიან ცოდნას.

ვინც რუსთველოლოგიის ისტორიას ოდნავ მაინც იცნობს, შეუძლებელია არ განაცვიფროს ავტორის სწორმა პოზიციამ და კვლევის პერსპექტიულმა მიმართულებამ. ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში, რასაკვირველია, თითო-ოროლა ნაშრომის გამოკლებით, როცა ზოგი მკვლევარი გატაცებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური წყაროს აშკარად უსაგნო ძიებით, დავით ჩქოტუა ღრმად და საფუძვლიანად იკვლევს პოემ-ს მშობლიურ ფესვებს და ქართული მითოლოგიის, ფოლკლორული მასალის გამომზეურებით საყურადღებო დასკვნებს გვთავაზობს. ავტორის მართებული დებულებით, „ვეფხისტყაოსანი“ აშკარად ამყოვნებს მემკვიდრეობით კავშირებს როგორც წინარე ლიტერატურულ ძეგლებთან (მაგალითად, „ამირანდარეჯანიანი“ და სხვ.), ისე ქართულ ხალხურ ეპოსთან, ოღონდ იგი აღიქმება, როგორც სრულიად ახალი საფეხური ფილოსოფიურ თუ ესთეტიკურ ღირებულებათა წარმოჩენის დონით. მკვლევარს მოაქვს უხვი მასალა ლიტერატურული ძეგლებიდან და განსაკუთრებით ქართული მითოლოგიიდან თუ ფოლკლორიდან (პოემის დევები, ქაჯები, ცალკეული ფოლკლორული მოტივების ანარეკლი და ა. შ.), მაგრამ ამასთან ემიჯნება, და სრულიად სამართლიანადაც, იმ მეცნიერთ (მაგ., ალ. ხახანაშვილი და სხვ.), რომელთაც გამარტივებულად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს მიმართება და მზამზარეული მიგრაციის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ნაშრომში ამ ხასიათის არაერთი საკითხია აღძრული და დღესაც იმსახურებს შეუნელებელ ყურადღებას.

განსაცვიფრებელია ამასთან ავტორის დაკვირვებული მზერა, როცა იგი პოემის გმირებში ულტრაქართულ ხასიათებს შეიცნობს. ან კი სილამაზის კულტის რუსთველისეული გაგების ანალიზი, რომელიც ასე ხაზგასმითაა წარმოჩენილი მთელი პოემის მანძილზე. დავით ჩქოტუა ამ შემთხვევაში თითქოსდა აგრძელებს კიდეც დიდი ილიას ანდერძივით დადებულ სიტყვას, რომ „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჰკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა“.

მაგრამ, ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ორი მცირე ფრაგმენტის უბრალო თვალისგადავლება უკვე აშკარად გვარწმუნებს, თუ რამდენად ფასეული იქნებოდა, ალბათ, დავით ჩქოტუას ვრცელი, აწ დაკარგული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“.

დავით ჩქოტუა ერთი პირველთაგანია აფხაზ მეგობართა შორის, რომელიც ასეთი სიყვარულით მოეკიდა „ქართველების გულის საუნჯეს“ და დღეს, როცა აფხაზეთში ასეთი პოპულარობით სარგებლობს

„ვეფხისტყაოსანი“, როცა აფხაზურ ენაზე მოიპოვება პოემის შესანიშნავი თარგმანები (დ. გულია, ბ. შინკუბა, მ. ლასურია), მით უფრო დაუვიწყარია დავით ჩქოტუას მრავალ განსაცდელს გამოტარებული ძვირფასი ნაშრომი შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე.

დავით ჩქოტუას ღვაწლის გამომზეურებაში ბოლო ხანებში თავიანთი წვლილი შეიტანეს როგორც ქართველმა, ისე აფხაზეთში მომუშავე მეცნიერებმა და მწერლებმა. მწერალმა სოლომონ ცაიშვილმა ერთმა პირველთაგანმა მიუძღვნა ვრცელი ნარკვევი დავით ჩქოტუას ცხოვრებასა და შემოქმედებას (1949 წ.), საგულისხმოა და მასალების სიუხვით გამოირჩევა ო. ჭურღულიას მონოგრაფია დავით ჩქოტუაზე (1969 წ.). დიდი ღვაწლი დასდო შ. გოზალიშვილმა დავით ჩქოტუას ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლას. საინტერესო წერილები ეკუთვნით ამავე საგანზე ალ. ბარამიძეს, გ. იმედაშვილს, ალ. კალანდაძეს, ი. მეგრელიძეს, ნ. შონიასა და სხვებს. მისი ნაკვალევის ძიებას არაერთხელ დაბრუნებია ამ სტრიქონების ავტორიც. მართლაც, სპეციალური ხასიათის კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა ზოგი რამ დავით ჩქოტუას ცხოვრების ბოლო წლებიდან (იგი გარდაიცვალა ნახევარი საუკუნის წინ, დაახლოებით ოცდაათიანი წლების დასაწყისში და დაკრძალულია მისი შობლიურ სოფელ საბერიოში, ხოლო მწერლის არქივი, რომლის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს, წაუღიათ მის ახლობლებს მწერლისა და მეცნიერის გარდაცვალების შემდგომ).

მაგრამ მაინც პირდაპირობით უნდა ითქვას ისიც, რომ ჯერ კიდევ ვალში ვართ ამ შესანიშნავი მწერლისა და პიროვნების წინაშე. რასაკვირველია, უნდა გაგრძელდეს ჩაძიებული კვლევა — როგორც აწ დაკარგული ნაშრომის მოსაპოვებლად, ისე მისი ცხოვრების ჯერ კიდევ უცნობი ეპიზოდების აღსადგენად.

დაყოვნებას არ ითმენს მისი მემკვიდრეობის ყოველმხრივი შესწავლაც. ამისათვის კი, ჩემის აზრით, საჭიროა, რაც შეიძლება, სწრაფად აღინუსხოს და გამოსაცემად შეიკრიბოს ავტორის დიდძალი წერილები, რომლებიც გაფანტულია გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართულ პრესაში. ითარგმნოს და ქართულად უნდა გამოქვეყნდეს სწავლულის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და განსაკუთრებით კის უნიკალური ფრაგმენტები, რომლებიც რუსულადაა შესრულებული და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს ეხება. ეს ხომ კიდევ ერთი დაუვიწყარი ფურცლებია ქართველი და აფხაზი ხალხის მტკიცე და ურყევი მეგობრობისა.

მრავალტანჯული ღვაწლის განსასვენებელი ადგილიც, სადაც მის პატივსაცემად თავს მოიყრიან, ალბათ, მისი ღვაწლის დამ-

ფასებლები, რომელთა რიცხვი უამრავია როგორც აფხაზ, ისე ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შორის.

ვისი და ისევ რუსთველის სიტყვები უნდა მოვიხმოთ ამ შემთხვევაშიც: „არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“...

1982 წ.

6. სახელოვანი მეცნიერის დიდი მემკვიდრეობა

(კორნელი კეკელიძის მეცნიერული გზა)

კორნელი კეკელიძე, საყოველთაო აღიარებით, სამართლიანად ითვლება ახალი ქართული ფილოლოგიის მამამთავრად.

თითქმის შვიდი ათეული წლის მანძილზე კორნელი კეკელიძემ ძლიერი მხრებით ზიდა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მძიმე ტვირთი და უძვირფასესი მემკვიდრეობა დაუტოვა ჩვენს მომავალ თაობებს.

კორნელი კეკელიძე იმ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნიეს ახალი ქართული კულტურის აღორძინება. ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, აი, ის თავდადებული რაინდები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია ქართული სამეცნიერო აზრის დიდებული კერის — უნივერსიტეტის დაარსებაში. თვითონ კორნელი კეკელიძე დღიდან უხივერსიტეტის დაარსებისა ხელმძღვანელობდა იმ მნიშვნელოვან უბანს, რომელსაც ძველი ქართული მწერლობა ეწოდება.

კორნელი სამსონის ძე კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 2 თებერვალს, სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი). იგი ჯერ სწავლობდა ჭუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ გადმოდის თბილისის სასულიერო სემინარიაში. კ. კეკელიძე სემინარიაშივე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობითა და ნიჭიერებით. ინტერესი სამშობლოს წარსულისადმი მას იმთავითვე გაეღვიძა და როგორც თვითონვე აღნიშნავს ერთ თავის წერილში, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მასწავლებლებს პოლიევქტ კვიცარიძეს და ცნობილ ისტორიკოსს თედო ჟორდანიას. კორნელი კეკელიძემ წარმატებით დაასრულა სემინარია და ფიქრობდა სწავლის გაგრძელებას პეტერბურგში, სადაც ამ დროს უკვე არსებობდა ქართველოლოგთა შესანიშნავი სკოლა (ალ. ცაგარელი, ნ. მარი და სხვ.), მაგრამ ხელმოკლეობამ მას გზა გადაუღობა. 1900 წლისათვის „სახელ-

მწიფო ხარჯით“ იგი მიემგზავრება იმდროინდელი რუსეთის მეორე სამეცნიერო კერაში, კიევის სასულიერო აკადემიაში. აქ გაიარა მან სემინარიული წვრთნა და აქვე მიიღო მან პირველი მეცნიერული ნათლობაც. ახალგაზრდა მკვლევარი საფუძვლიანად გაეცნო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ქრისტიან ხალხთა სულიერი კულტურის მონაპოვრებს და კარგად იგრძნო, თუ შესწავლის თვალსაზრისით რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა. სწორედ ამ წლებში გამოაქვეყნა ნ. მარმა თავისი წერილი „იერუსალიმსა და სინაზე მუშაობის წინასწარი ანგარიში“, რამაც ახალი ჰორიზონტები დაუსახა ქართველთმცოდნეობას. დასავლეთ ევროპულ მეცნიერთათვის ამავე შრომით ამოიზარდა სრულიად უცნობი კულტურული სამყარო, რომელიც თავის წიაღში უძვირფასეს საუნჯეს ინახავდა. ამასთან დაკავშირებით შემდეგი სიტყვები წარმოთქვა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰარნაკმა: „როგორც ირკვევა, უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხის, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯე“.

ახალგაზრდა მეცნიერი კორნელი კეკელიძე სხვაგვარად ჭვრეტდა ქართული მეცნიერების მომავალს და ეროვნულ ძალებს ანიჭებდა გადამწყვეტ როლს. შემდგომში ასე იხსენებდა იგი ჰარნაკის ამ მოწოდებას: „ჩვენი მდიდარი კულტურის შესწავლა, ჰარნაკის აზრით, მხოლოდ გერმანელი მეცნიერებისაგან იყო მოსალოდნელი. მე კი ვფიქრობდი ჯერ კიდევ მაშინ, რომ ეს საქმე, პირველ ყოვლისა, უნდა თვით ქართველებმა იკისრონ; რომ თუ ვისმეს შეუძლია ეს, პირველ რიგში ქართველ მეცნიერებს. ამისათვის საჭირო არაა, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი სწერდა ერთხელ აკად. მ. ბროსეს, ევროპელებს ველოდოთ. ამ გარემოებამაც წარმართა ჩემი სამეცნიერო ინტერესები, მე განვიზრახე ჩემი წვლილიც შემეტანა ამ დიდ, თავისთავად საჭირო და აუცილებელ საქმეში“.

მართლაც, ახალგაზრდა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ, კიევის სასულიერო აკადემიის კედლებშივე დაისახა მიზნად, რომ მზის სინათლეზე გამოეტანა ძველი ქართული მწერლობის უნიკალური ძეგლები და ამით თავისი წვლილი შეეტანა ჩვენი ხალხის ეროვნულ გამოღვიძებაში. მისი პირველი შრომაც ამ საკითხებს მიეძღვნა. 1904 წლიდან იგი სწავლობს მაშინდელ ქართულ სიძველეთსაცავებში გადარჩენილ ხელნაწერებს და უკვე 1908 წელს კიევის აკადემიის სამეცნიერო საბ-

ჰოს წარმოუდგენს სამაგისტრო დისერტაციას: „ქართული ლიტურგიკული ძეგლები და მათი სამეცნიერო მნიშვნელობა“.

ცნობილი რუსი მეცნიერები ნ. პეტროვი, ა. დმიტრიევსკი, ა. გლაგოლევი და სხვანი აღფრთოვანებულ რეცენზიებს უძღვნიან ახალგაზრდა მკვლევარის ფუნდამენტალურ ნაშრომს და პირდაპირ აღიარებენ, რომ კორნელი კეკელიძის სახით წარმოგვიდგა დიდი ერუდიციითა და ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი. სწორედ ამავე წლებში კორნელი კეკელიძეს კიევის აკადემიამ შესთავაზა კათედრა, რაც ფრიად დიდი პატივი იყო ახალგაზრდა მეცნიერისათვის. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მან უარი განაცხადა ამ საპატიო თანამდებობაზე. იგი აქ, თავისსავე სამშობლოში, ახლოს თავის შესასწავლ ობიექტებთან არჩევდა მუშაობას და ფიქრობდა, რომ სწორედ ამ გზით იგი მეტ სარგებლობას მოუტანდა როგორც მეცნიერებას, ისე სამშობლოს.

კორნელი კეკელიძე პრაქტიკულ მოღვაწეობას აკადემიის დამთავრებისთანავე იწყებს, იგი 1905 წლიდან ასწავლიდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში. ხოლო 1916 წელს, უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი, ინიშნება თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართველ პედაგოგს ნიშნავენ ამ თანამდებობაზე. მკვლევარი-მეცნიერის მოღვაწეობა კიდევ უფრო გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ. კორნელი კეკელიძე წლების მანძილზე მუშაობდა პასუხსაგებ სამეცნიერო-ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, როგორც უნივერსიტეტში, ისევე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში; 10 წელი იყო ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, 5 წელი მუშაობდა უნივერსიტეტის პრორექტორად ხოლო წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე. კორნელი კეკელიძე უკანასკნელ დღეებამდე ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ლიტერატურის კათედრას და დიდ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში.

მაგრამ კორნელი კეკელიძის უპირველესი მოწოდება მაინც მეცნიერული მუშაობა იყო და იგი პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად განსაკუთრებულად დიდ დროს უთმობს კვლევა-ძიებას. არაჩვეულებრივად დიდი ერუდიცია, განსაცვიფრებელი მეცნიერული ალღო და თავისი საქმისადმი თითქმის ფანატიზმამდე ასული სიყვარული აძლევდა საშუალებას, რომ წინასწარ ეგრძნო და გადაეწყვიტა ურთულესი პრობლემები. იშვიათია ისეთი დარგი ჩვენი წარსული კულტურის სფეროდან, რომელსაც არ შეხებოდეს იგი და ღრმა კვალი არ გაევ-

ლოს. შესანიშნავ ტექსტოლოგს გამოქვეყნებული აქვს ძველი მწერლობის ძვირფასი ძეგლები. მახვილი დაკვირვებები მოეპოვება ძველი ქართული ენის თავისებურებებზე. საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქართული სამართლის საკითხებზე და ამასთან რამდენიმე ურთულესი ტერმინი გახსნილი და ამოშიფრული. კორნელი კეკელიძე ამავე დროს ბრწყინვალე ისტორიკოსია. მან ფუნდამენტალური შრომები მიუძღვნა ძველ ქართულ მატიანეებს, მათი წყაროების საკითხებს და პრაქტიკულადაც შეეცადა შუქი მოეფინა უძველესი საისტორიო ძეგლებისათვის. საკმარისია აღინიშნოს მეცნიერის ღვაწლი თამარის შესანიშნავი, მაგრამ ჩვენამდე სასტიკად დამახინჯებული ისტორიის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი...“) აღდგენა-გამოცემის საქმეში. ეს არის ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის იშვიათი ნიმუში. აღნიშნული ტექსტის აღდგენით მკვლევარმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიულ მეცნიერებას. ეს უძნელესი ტექსტი მან ამავე დროს თარგმნა და ხელმისაწვდომი გახადა რუსი და დასავლეთევროპული ისტორიკოსებისთვისაც. კორნელი კეკელიძის, როგორც ისტორიკოსის, დასახასიათებლად საკმარისია დავასახელოთ მისი ისეთი საყურადღებო ნაშრომები, როგორიც არის: „ქართული ... ერა და ეორტალოგიური წელიწადი“, „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, „ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია“, „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხი ძველს ქართულ მწერლობაში“ და ა. შ.

მაგრამ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, როგორც გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარი, ჩვენ ძირითადად წარმოგვიდგება იმ დარგში, რომელსაც ეწოდება ძველი ქართული მწერლობის ისტორია.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საკითხები, როცა სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა კორნელი კეკელიძე, მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის გამო, მართებულად შენიშნავდა 1889 წელს გამოჩენილი ქართველი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი: „ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშავება ახლა იმყოფება, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულს, ანუ სტატისტიკურ პერიოდში“. ამას ემატებოდა შემდეგი, ერთი შეხედვით, საკვირველი ფაქტი. ამავე ალექსანდრე ცაგარლის, ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის წყალობით მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის შედარებით უკეთ იყო მოგვარებული საზღვარგარეთული ძველი ქართული სამწერლობო კერების (ათონის, იერუსალიმის, სინას მთის) ქართული ხელნაწერი კოლექციების აღრიცხვა და აღწერილობა, ვიდრე საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავების ფონდებისა (ალ. ბარამიძე).

ძველი ქართული მწერლობის მკვლევარს ძნელი გზით უხდებოდა წინსვლა. მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერს — კორნელი კეკელიძეს სრუ-

ლიად არ აშინებდა ასეთი ვითარება. განსაცვიფრებელი ენერგიით შეუდგა იგი საშვილიშვილო საქმეს — ძველი ქართული მწერლობის მთლიანი კურსის შედგენას.

პირველ რიგში აუცილებელი იყო ძველი ქართული მწერლობის ზღვა მასალის მოწესრიგება, კატალოგიზაცია და ერთ სისტემაში მოყვანა. სწორედ ამით დაიწყო ახალგაზრდა მეცნიერმა თავისი მეცნიერული საქმიანობა. მისი პირველი, მაგრამ ფუნდამენტური შრომა, რომელიც მან სამაგისტროდ წარადგინა, ასეთი ხასიათისაა და ყურადღებას იპყრობდა ზღვა მასალის გამოყენებით. ემპირიულ კვლევასთან ერთად ამავე ნაშრომში უკვე კარგად მოჩანდა მეცნიერული ალღო და სწრაფვა განმაზოგადებელი დასკვნებისაკენ. ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, პროფ. დმიტრიევსკიმ თავმოყრილი მასალის სიუხვისა და მაღალი მეცნიერული თვისებათა გამო ამ ნაშრომს ჰეშმარიტად მონუმენტური უწოდა და სასულიერო მწერლობის დარგში ძვირფას განძად აღიარა.

აღწერა-კატალოგიზაციასთან ერთად კორნელი კეკელიძე ბეჯდური გზით აქვეყნებდა სრულიად უცნობ უნიკალურ ძეგლებს და პარალელურად მუშაობდა ძველი ქართული მწერლობის ბნელით მოცული საკითხების მონოგრაფიულ შესწავლაზე.

კ. კეკელიძე იმ პიონერთაგანია, რომელმაც ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლას წარუმძღვარა გამოკვლევები, რომლებშიც გარკვეულია ძველქართული ქრისტიანული მწერლობის აღმოცენების რეალური პირობები. მანვე მართებულად განსაზღვრა ამ მწერლობის განვითარების ძირითადი პერიოდები. კ. კეკელიძის მრავალფეროვან ძრომებში დეტალურადაა შესწავლილი აგრეთვე ის კულტურულ-ლიტერატურული საგანმანათლებლო კერები, რომლებმაც ესოდენ შეუწყეს ხელი ქართული სამწერლო კულტურის ყოველმხრივ გაფურჩქვნასა და აღორძინებას. კორნელი კეკელიძემ ყველას დაანახა, რომ ქართული მასალების, დიდძალი ხელნაწერთა კოლექციების შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო მსოფლიო ქრისტიანული მწერლობის მართალი სურათის აღდგენა. ამის გამო მკვლევარი არა ერთხელ შენიშნავდა, რომ „არცერთ ნაშრომს, რომელიც კი ძველი საქრისტიანო-საეკლესიო მწერლობის ამა თუ იმ საკითხების შესწავლას ეძღვნება, სათანადო საკითხის ყოველმხრივად გაშუქებისა და გამოკვლევის თვალსაზრისით არ შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო პრეტენზია ქართული ხელნაწერი საგანძურებით შემონახული ცნობების გარეშე“. ამიტომ იყო, რომ კორნელი კეკელიძემ დიდი ენერგია და დრო შესწირა საქართველოში დაცულ ხელნაწერთა აღწერას, სისტემაში მოყვანას. მისი გამოკვლევები მუდამ ეყრდნობოდა პირველწყაროთა კრიტიკულ შესწავლას. საკმარისია აღინიშნოს შესანიშნავი გამოცემები უძვირფასესი ძეგლებისა „იერუსალიმის განჩინება“ და „ძველი ქართული არქიერა-

ტიკონი", რომელთა გამოსვლამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია მაშინდელ საზეცნიერო წრეებში. „иерусалимის განჩინება („Иерусалимский канонарь") უნიკალური ძეგლია ძველი ქრისტიანული კულტურისა და პალესტინის ისტორიის შესასწავლად. ამ ძეგლის გამოცემას და მასზე დართულ გამოკვლევას მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა მეცნიერებმა პ. პეეტერსმა, ი. კარაბინოვმა, ნ. მარმა და სხვ. საგულისხმოა ნ. მარის სიტყვები, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი მეცნიერები მოღვაწეობენ, იგრძნობა უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაო: „В городе, где основание университета считается несвоевременным в виду предполагаемой незрелости туземного общества, появляется книга, составленная туземцем, которая особенно живо заставляет сожалеть об отсутствии там университета. Задуман труд, серьезный по отвлеченности темы и по важности новооткрытого текста, проникнутый искренним стремлением к строго научной трактовке предмета и выполненный автором, хорошо ориентированным как в специальной литературе, так и в разнообразных источниках, дающих ему возможность искусно разъяснять и комментировать трудные места текста; в труде попутно сделаны существенные поправки к принятым в использованных работах утверждениям".

საგულისხმოა, რომ ნ. მარი შემდეგში აღფრთოვანებით ხვდებოდა ახალგაზრდა მეცნიერის გამოკვლევებს და ყოველმხრივ უწყობდა ხელს სამეცნიერო მუშაობაში. ნ. მარის წარდგინებითა და რეკომენდაციით ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს მიენდო. მაგალითად, ისეთი საპასუხისმგებლო სერიის გამოცემა, როგორიცაა „წმიდათა ცხოვრების ქართული ტექსტები" (1918 წელს გამოვიდა ამ სერიის პირველი გამოცემა „კიმენის" სახელწოდებით).

კორნელი კეკელიძის პირველ გაბედულ ნაბიჯებს გამოეხმაურა მისი ერთ-ერთი შთამაგონებელი და მასწავლებელი ისტორიკოსი თედო ჟორდანია. „მივიღე ძვირფასი საჩუქარი, — წერდა იგი თავის მოწაფეს, — თქვენი ახალი წიგნი „Иерусалимский канонарь". თვალი გადავავლე და მადლობა შევსწირე ღმერთს, რომელმაც აღმისრულა მე ჩემი წადილი: როგორც იყო ამ ბოლო ჟამს მოგვევლინა ქართველებს გამჭრიახი, საქმიანი და მცოდნე გამომძიებელი ქართული ხელნაწერების... თქვენი მეცადინეობა, ახალგაზრდობა, ნიჭი, ცოდნა, სიყვარული მეცნიერებისადმი ჭეშმარიტს, უმწიკვლო შუქს მოჰფენს ჩვენს ისტორიას".

რაც უფრო ულრმავდებოდა ახალგაზრდა მეცნიერი ქართულ მასალებს, მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ ამ მასალებზე

დაყრდნობით შესაძლო იყო არა მარტო ქართული აზროვნების ისტორიის შესწავლა, არამედ მეზობელ ხალხთა ზოგი ბნელით მოცული საკითხების ამოშიფრვაც. კორნელი კეკელიძე ფართო თვალსაზრისით იკვლევდა ამ მასალებს; მისი აზრით, ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინააზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, სახელდობრ სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და (დასავლეთ) ევროპულთან. ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულა და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა.

კ. კეკელიძემ ქართული ხელნაწერების გამოყენებით გაარკვია ბერძნული ლიტერატურის ბიზანტიური პერიოდის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და ამითაც ნათელყო ქართული მასალების სერიოზული მნიშვნელობა მსოფლიო მეცნიერებისათვის.

კორნელი კეკელიძის ღვაწლის აღნუსხვის დროს ხშირად ახსენებენ გამოკვლევას, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა შექმნა. ეს არის მისი ცნობილი ნაშრომი, „Симеон Метафраст по грузинским источникам". ამ შრომასთან ერთად. კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ქართულ ხელნაწერებში აღმოჩენილი ეფრემ მცირეს „მოსახსენებელი", რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ ბიზანტიური პერიოდის დიდი მოღვაწის, მსოფლიო ლიტერატურის მეტად მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, სვიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის ზუსტი თარიღები. ამასთან, ირკვევა, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ სვიმეონის კუთვნილებად. როგორც ცნობილია, სვიმეონმა გადაამეტაფრასა სექტემბერ-იანვრის თვეების ჰაგიოგრაფიული ძეგლები, მაგრამ არ ჩანდა თუ ვინ განავრცო სხვა თვეების წმიდათა ცხოვრებანი. კ. კეკელიძეს წილად ხვდა აღმოეჩინა სვიმეონის საქმეთა გამგრძელებელი-მწერალი. ქართულ მასალებში აღმოჩნდა მანამდე უცნობი მწერლის იოანე ქსიფილინოსის ანდერძი, რომლითაც ნათელი გახდა ერთ-ერთი ბუნდოვანი მონაკვეთი ბიზანტიური მწერლობისა, იოანე ქსიფილინოსს ჩაუტარებია მეტად შრომატევადი სამუშაო და ბოლომდე მიუყვანია „წმიდათა ცხოვრების" რედაქციათა გადამუშავების საქმე. საგულისხმოა ის ფაქტიც, — დასძენდა ამის გამო მკვლევარი. — რომ ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შემონახულა, ქართულად მთლიანად არის დაცული. ასე, რომ, შესაძლებელი გახდა საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი დიდი ხარვეზის ამოვსებაო.

ცნობილია ის დიდი გამოხმაურება, რომელიც კ. კეკელიძის ამ შრომამ გამოიწვია, აკადემიკოსმა ლატიშევმა „დიდი აღმოჩენა" უწოდა ამ შრომას და აღფრთოვანებული რეცენზიაც მიუძღვნა. უკვე ამ დროს

ძ. კეკელიძის შრომებმა ფართო აღიარება ჰპოვა სამეცნიერო წრეებში და მათი ავტორი ქრისტიანული კულტურისა და მწერლობის საიმედო მკვლევარად მიიჩნიეს. ამიტომ ნ. მარის წარდგინება ასე ერთხმად მოიწონა 1915 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ და კ. კეკელიძეს დაევალა ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების სისტემური გამოცემა. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ნ. მარის შემდეგი სიტყვები: „Когда речь зашла об исполнителе предначертанной серии, не могло быть двух мнений и все остановились на том, что для этого предприятия должен быть привлечен К. С. Кекелидзе. Кроме основательной научной подготовки, сотрудничество его сделали неизбежным и его последние работы, помещавшиеся в „Христианском Востоке“ и в „Bibliotheca Armeno-Georgica“ по грузинской агиографической литературе. В них сказывается уже опытный агиолог, прекрасно знающий с одной стороны, родную литературу и научные запросы по житейным памятникам, с другой — усвоивший в совершенстве всю теорию грузинского языка, необходимую для ученого издателя древнегрузинских текстов“. როგორც მოხსენებული იყო, კ. კეკელიძე დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ამ წინადადებას: что касается столь лестного для меня предложения взять на себя издание грузинского текста Жития святых, то предложение это совпало с заветною моею мечтою“. მანვე შეადგინა გამოცემათა ამ სერიის მეტად ორიგინალური გეგმაც.

გამოცემა უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილად: პირველ ნაწილში შეიდოდა ე. წ. მარტივი, კომენური ტექსტები, მეორეში მეტაფრასული ხასიათის ცხოვრებანი, ხოლო მესამე ნაწილში დაიბეჭდებოდა ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი. ამ დიდი მასშტაბის წამოწყებას, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტიურად 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა გამოვიდა პირველი ტომი კომენური ტექსტებისა.

ისევე, როგორც წინა შრომებმა, ამ გამოცემამაც მსწრაფლ მიიპყრო მეცნიერთა ფართო წრეების ყურადღება. ცნობილმა ორიენტალისტმა და ჰაგიოლოგმა პეეტერსმა დადებითი რეცენზია უძღვნა წიგნს და ამასთან დაიწყო ნაწილ-ნაწილ თარგმანი ლათინურ ენაზე კ. კეკელიძის მიერ გამოცემულ უნიკალური ძეგლებისა.

აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძის შესანიშნავმა გამოკვლევებმა, რომლებიც ამ წლებში ქვეყნდებოდა ქართულ, რუსულ, უცხოურ ენებზე და ქართული ტექსტების მეცნიერულმა გამოცემებმა დიდად შეუწყო ხელი იმ დაინტერესებას, რომელსაც იჩენენ რუსი და უცხოელი მეცნიერები ქართული კულტურისადმი.

მასალის შერჩევისას კ. კეკელიძეს ტექსტების მხოლოდ ფილოლოგიური მხარე არ აინტერესებდა. მისი მიზანი იყო გამოეცა ცხოვრება-მარტვილობანი იმ წმინდანებისა, რომელნიც ჰაგიოგრაფიაში ცნობილნი არ არიან, ან ისეთებისა, რომლებიც თუმცა არიან ცნობილნი, მაგრამ არ გვქონდა მათი ცხოვრების აღწერა და, დასასრულ, ისეთი ტექსტები, რომლებიც ქართულად განსხვავებული რედაქციით არსებობენ.

კ. კეკელიძე დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი ლიტერატურულ-ისტორიული საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ვეყრდნობით მეცნიერულად დადგენილ საიმედო ტექსტებსო. იგი შენიშნავდა ერთ თავის წერილში, რომ „სადავო არაა, ძველი ტექსტების გამოცემისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. საქმე ისაა, რომ არასწორად წაკითხული და გაგებული ტექსტის საფუძველზე ხშირად ყალბი და შეუწყნარებელი დასკვნები კეთდება და უნიადაგო თეორიები ითხზვება ამა თუ იმ საკითხის შესახებ“. ქართული ენის ღრმა, მეცნიერული ცოდნა, დიდი ფილოლოგიური ერუდიცია, განსაკუთრებული დაკვირვების უნარი და დიდი შრომისმოყვარეობა იყო ის საწინდარი, რომლის გამოც მის მიერ გამოცემული ტექტები უეჭველ ნდობას იმსახურებენ.

ბერძნულიდან ნათარგმნ ქართულ ძეგლებს კ. კეკელიძემ უძღვნა საგანგებო გამოკვლევები, რომლებითაც ნათელყო არა მარტო ქართული, არამედ ბიზანტიური კულტურის მრავალი ბუნდოვანი საკითხი. საკმარისია აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის შრომების შედეგად მეცნიერება გამდიდრდა მასალებით, მსოფლიოში ისეთი ცნობილ პიროვნებათა შესახებ, როგორიცაა მაგალითად, სვიმონ ლოღოთეტი, იოანე ქსიფილინოსი, იოანე დამასკელი, პეტრე კაპადოკიელი, სვიმონ მესვეტე, ტიმოთე ანტიოქელი, საბა პალესტინელი, პეტრე იერუსალიმელი, მიტროფანე სმირნელი და მრავალი სხვა. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, კ. კეკელიძის დიდი დამსახურებაა მსოფლიო მეცნიერების წინაშე ისიც, რომ მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულ მწერლობას თარგმანების სახით შემოუნახავს მსოფლიო მნიშვნელობის ბევრი ძეგლი, რომელთა დედნები ამჟამად დაკარგულად ითვლება. კ. კეკელიძის საოცრად შრომატევადი გამოკვლევა „უცხო ავტორები ძველ-ქართულ ლიტერატურაში“ არის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც, როგორც სამაგიდო წიგნი და გზამკვლევი, დასჭირდება ყველას, ვინც კი დაინტერესდება ქრისტიანული კულტურის კვლევის საკითხებით.

კ. კეკელიძე პრინციპულად სვამდა საკითხს. ძველი ქართული კულტურის საკითხების კვლევის დროს არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ და მხოლოდ ქართული ორიგინალური თხზულებებით. ძველი კულტურის საერთო სურათისა და ხასიათის დასადგენად დიდი ყურად-

ღება უნდა დაეთმოს ნათარგმნ ლიტერატურასაც. რადგან ეს უკანასკნელი ერთგვარი ბარომეტრია კულტურული დონის დასადგენად. ქ. კეკელიძეს ნათარგმნი ლიტერატურა ეროვნული მწერლობის ისტორიის ორგანულ ნაწილად მიაჩნდა: „ქართველი ხალხი არასოდეს არ ყოფილა კულტურულად შემოზღუდული; ის ყოველთვის კურსში იყო იმ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებისა, რომელნიც ამა თუ იმ დროს აღელვებდნენ კაცობრიობას". როგორც ერთ შესანიშნავ გამოკვლევაში („მთარგმნელობითი მეთოდი ძველქართულ ლიტერატურაში...") ნაჩვენები აქვს, თარგმანის ეს პროცესი მექანიკური არასოდეს ყოფილა. ქართველი ხალხი შემოქმედებითად ითვისებდა ყოველივე საუკეთესოს, არჩევდა იმ თხზულებებს, რომლებიც უფრო ახლოს იდგა მის სულიერ მოთხოვნილებებთან. მართებულად შენიშნავს ამის გამო კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ ერთ შრომაში ალექსანდრე ბარამიძე: „ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა. ითარგმნება ის, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა, ხოლო შერჩევას აწარმოებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეციფიკა... ასე რომ, თუ ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, ეს იმიტომ, რომ იმაში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირბოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე".

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქ. კეკელიძის გამოკვლევათა შემდგომ ნათელი გახდა თავისებური მეთოდი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ძველი ქართველი მთარგმნელები. ეს იყო ე. წ. თავისუფალი თარგმანის ტრადიცია ანუ გიორგი ათონელის სიტყვით რომ ვთქვათ, მეთოდი „შემატება-კლებისა". ქართველი მთარგმნელები ეროვნულ სულს ანიჭებდნენ უცხო სამყაროდან წამოსულ თხზულებებს.

ძველი ქართული და კერძოდ, სასულიერო მწერლობის ფართო თვალსაზრისით კვლევამ ქ. კეკელიძე ერთ-ერთი პირველთაგანი მიიყვანა იმის აღიარებამდე, რომ სხვა ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. რომ, მაგალითად, ქართულ-ბიზანტიური კულტურული თანამშრომლობა საურთიერთო იყო და ქართველებსაც შეუტანიათ თავიანთი წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში. საკმარისია აქ გავიხსენოთ ექვთიმე ათონელი, რომელსაც ბერძნულ ენაზე შეუქმნია ორიგინალური თხზულებები, ანდა ამავე მწერლის განუზომელი ღვაწლი „სიბრძნე ბალავარისა" და „აბუკურას" ბერძნულად თარგმნის საქმეში. ქართულიდან ბერძნულად თარგმნილი „სიბრძნე ბალავარისა" მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილება გახდა.

ფასდაუდებელია აკად. კორნელი კეკელიძის ღვაწლი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობის შესწავლის სფეროში. თავისი ბრწყინვალე გამოკვლევებით მან საფუძვლიანად ნათელყო, რომ სასულიერო მწერლობა საუკუნეთა მანძილზე (მე-5 — მე-11) იყო ერთადერთი სფერო, რომელშიც წერილობით ფორმდებოდა ქართველი ხალხის ფიქრი და ზრახვა, რომ სასულიერო მწერლობაში დაისვა ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც აუცილებელი იყო ეროვნული თვალსაზრისის შემუშავებისათვისა და ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

კორნელი კეკელიძის მოღვაწეობაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, როდესაც იგი თავის დიდ სამეცნიერო მუშაობას უკავშირებს ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს და სათავეში უდგება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. კვლევით მუშაობასთან ერთად გამოჩენილი მეცნიერი დიდი გულისყურით ეპყრობოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას და, შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი არის უპირველესი მოძღვარი და მასწავლებელი ამ დარგში მომუშავე მეცნიერებისა, რომლებიც დღეს ემსახურებიან ქართული კულტურის ჯეროვნად შესწავლას.

უნივერსიტეტის დაარსების რამდენიმე წლის შემდეგ გამოდის კორნელი კეკელიძის ფუნდამენტური შრომები — ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი და მეორე ტომები. ეს იყო ჩვენი მეცნიერების დიდი მონაპოვარი. აღნიშნულ ტომებში კორნელი კეკელიძემ თავი მოუყარა მის მიერვე გაწეული კვლევა-ძიების შედეგებს და შექმნა ძველი ქართული ლიტერატურის ერთი მთლიანი კურსი. თუ მანამდე კორნელი კეკელიძე გვევლინებოდა როგორც ძველ-ქართული ძეგლების აღწერა-მოწესრიგების ინიციატორი, აღნიშნული ტომების გამოსვლით იგი საფუძველს უყრის სრულიად ახალ ეტაპს ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. კერძოდ, საქმე ეხება მეცნიერების სფეროების გაფართოებას და ფილოლოგიურ კვლევასთან ერთად განმაზოგადებელი სახის მონოგრაფიების დამუშავებას. ამ ტომების გამოსვლამ ნათელი გახადა ისიც, რომ კორნელი კეკელიძე არის არა მარტო სასულიერო მწერლობის, არამედ ძველი ქართული საერო მწერლობის უბადლო მცოდნე. კ. კეკელიძე წლების მანძილზე ხვეწდა და ამუშავებდა, ახალი მასალებით ავსებდა თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ფუძემდებელ ტომებს.

სასულიერო მწერლობა რამდენიმე ძირითად დარგს მოიცავს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „წმინდათა ცხოვრებას“ ანუ ჰაგიოგრაფიას. ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მიზანდასახულობის თავისებურებათა გამო მწერლობის ეს ჟანრი ბევრად

უფრო მძლავრად ავლენდა მათი ავტორების მხატვრულ მიდრეკილებებს, ამიტომ ჰაგიოგრაფიული თხზულებანი ყველაზე უფრო განეკუთვნებიან მხატვრული ლიტერატურის სფეროს (ჰიმნოგრაფიასთან ერთად). კორნელი კეკელიძე, მართლაც, ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კვლევისას არასოდეს არ იფარგლებოდა მხოლოდ ისტორიულ-ფილოლოგიური ინტერესებით და მხატვრულ-ლიტერატურული კუთხითაც განიხილავდა ქართულ ორიგინალურ თხზულებებს. ასეთი ტიპის უამრავ ნაშრომთა შორის საკმარისია დასახელებულ იქნას ბრწყინვალე მონოგრაფია: „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. 1. იოანე საბანისძე, 2. ბასილ ზარზმელი“ (1935 წ.), კ. კეკელიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ ტიპის ძეგლთა შორის მხატვრული ნაკადის გამოწვლილვას და ამ უკანასკნელს შესაფერ ახსნას აძლევდა ქართული მხატვრული აზროვნების განვითარების პროცესში. ასევე განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა გამოჩენილი მეცნიერი მდიდარი ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის ნიმუშებს. როგორც ცნობილია, მან გაარკვია ჰიმნოგრაფიაში ხმარებული მრავალი საცილობელი ტერმინი, დაადგინა ქართული სასულიერო პოეზიის ხასიათი და განვითარების გზები.

კორნელი კეკელიძემ საინტერესო გამოკვლევები უძღვნა ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა, ქართული მწერლობის საწყისებსა და აღმოცენების პირობებს, ქრისტიანობის გავრცელების პირველ ნაბიჯებსა და ა. შ. მის ერთერთ ვრცელ შრომაში: „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“. აღდგენილია ქართული კულტურის ის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, როცა ფეხს იდგამდა, იმ დროისათვის, პროგრესული, ქრისტიანული იდეოლოგია. საგულისხმოა, რომ ამ შრომას მრავალი რეცენზია მიეძღვნა უცხოურ პრესაში და მთლიანად ითარგმნა გერმანულ ენაზე.

თუ სასულიერო მწერლობის ერთიანი კურსის შედგენის დროს კორნელი კეკელიძე უპირატესად საკუთარ კვლევაძიების შედეგებს ეყრდნობოდა, ეს მთლიანად არ ითქმის საერო მწერლობის შესახებაც. აქ მას შედარებით უკეთესი ვითარება დაუხვდა, პლ. იოსელიანის, ა. ცაგარელის, ა. ხახანაშვილის, ნ. მარის, მ. ჯანაშვილის და სხვათა ცალკეულ შრომებში გაშუქებული იყო საერო მწერლობის რიგი საკითხი. მაგრამ ნამდვილად მეცნიერული და განმაზოგადებელი კურსის შექმნის პატივი მაინც კორნელი კეკელიძეს ეკუთვნის.

კორნელი კეკელიძე წლების მანძილზე იკვლევდა ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთმიმართების პრობლემას. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დამაჯერებლად გაარკვია, რომ არ

შეიძლება ამ ორ სხვადასხვა მიმდინარეობას შორის გაუვალი უფსკრულის დადება, როგორც ამას სჩადის ზოგი მკვლევარი.

სასულიერო მწერლობამ შესაფერი ლიტერატურული ნიადაგი შეუქმნა საერო მწერლობას, დაამუშავა მხატვრული ფორმები და სიუჟეტები, რომლებიც შემდგომ თავისებურად გადამუშავდა საერო მწერლობაში. დასასრულ, სასულიერო მწერლობაში დაიხვეწა ბრწყინვალე სალიტერატურო ენა, რომელმაც შემდეგ მოგვცა მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ძეგლები. სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთობა არ იყო უმტკივნეულო პროცესი, მაგრამ, მისი აზრით ჰეშმარიტი მკვლევარის ამოცანაა დაინახოს არა მარტო წინააღმდეგობანი, არამედ ის ძირითადი მარცვალი, რაც სასულიერო მწერლობამ უანდერძა საერო ლიტერატურას.

კორნელი კეკელიძემ მრავალზე მრავალი შრომა უძღვნა ქართულ კლასიკურ მწერლობასა და მის უმთავრეს წარმომადგენლებს: შოთა რუსთაველს, მოსე ხონელს, სარგის თმოგველს, შავთელსა და ჩახრუხაძეს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ მისი შრომები შოთა რუსთაველსა და მოსე ხონელზე. საკმარისია აქ დავასახელოთ ზოგი მისი რუსთველოლოგიური შრომის მხოლოდ სათაური, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თუ რა ფართო საკითხების წრე აინტერესებდა მკვლევარს: 1. პერსონალური ალეგორიები ვეფხისტყაოსანში: ნესტან-ტარიელი და თამარ-სოსლანი, თინათინი და თამარი, 2. ზაზასეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა, 3. ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა, 4. რუსთაველის სადაურობის და სახელისათვის, 5. რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი და ა. შ.

კ. კეკელიძე თავის შრომებში აყენებდა დებულებას, რომ რუსთაველი ქართული აღორძინების პირმშოა და ვეფხისტყაოსანი გამსჭვალულია მაღალი ჰუმანისტური მსოფლშეგრძნებით: „საქართველოში ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში იწყება ის მოძრაობა, რამაც შემდეგ დასავლეთ ევროპაში წარმოშვა ეგრეთწოდებული რენესანსი. ევროპული აღორძინების ეპოქის მოღვაწეებთან შედარებით რუსთაველმა რამდენიმე საუკუნით ადრე ფართოდ და დიდი სიძლიერით გამოხატა ის ჰუმანისტური იდეები, რითაც იგი ენათესავება ევროპის რენესანსის საუკეთესო წარმომადგენლებს“.

ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც ეჭვმიუტანლად დაასაბუთა კ. კეკელიძემ, ეხებოდა რუსთაველის რელიგიურ აღმსარებლობას. მისი აზრით, რუსთაველის რელიგია მხოლოდდამხოლოდ ქრისტიანულია, იგი ამ ნიადაგზე დგას და აქედან ჰვრეტს სამყაროს. მაგრამ ამასთან აქვე ხაზგასმულია ის გარემოება, რომ „რუსთაველი ცდილობს მაღლა იდგეს ყოველგვარ საეკლესიო-კონფესიურ პარტი-

კულარიზმზე“ და იგი არაა შეზღუდული დოგმატური ქრისტიანობის ჩარჩოებით.

მსოფლმხედველობის საკითხების კვლევასთან ერთად, კ. კეკელიძეს შეუთვნის ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებული არა ერთი საყურადღებო დეტალის გარკვევა. მისი შრომები ვეფხისტყაოსანზე რუსთველოლოგიის ძვირფასი საუნჯეა.

კორნელი კეკელიძე დიდი გულმოდგინებით იკვლევდა ფოლკლორისტიკის საკითხებს. ეს საკითხები მას უწინარეს ლიტერატურასთან მიმართებაში აინტერესებდა, მაგრამ კვლევის პროცესში იგი ეხებოდა თვით ფოლკლორისტიკის საკვანძო საკითხებსაც. მართებულად შენიშნავდა ამის გამო ქს. სიხარულიძე: „ღვაწლმოსილმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ ქართული ხალხური შემოქმედების ბევრ რთულ საკითხსაც მოჰფინა სინათლე. კორნელი კეკელიძის მდიდარსა და მრავალფეროვან მეცნიერულ პროდუქციაში დასმულია და გადაჭრილია ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის დიდი მნიშვნელობის თეორიული საკითხები. მათ შორის: ქართული ხალხური სიტყვიერების ადგილი მსოფლიო ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებაში; ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობა; მხატვრულ ნაწარმოებთა სიუჟეტის მსგავსება და ხალხთა კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საკითხი; ხალხურ ნაწარმოებთა ტრადიცია საქართველოში, მათი შემსრულებლები და შესრულების წესები და სხვ. მაღალ მეცნიერულ და პრინციპულ სიმაღლეზე აყვანილი ყველა ეს საკითხი კ. კეკელიძის ნაშრომებში ემსახურება მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიის სრულყოფილად წარმოდგენას“. ფართო ერუდიციითა და გონებამახვილური მიგნებებით იქცევს ყურადღებას კ. კეკელიძის ამ ხასიათის შრომები: 1. ბარამ-გურიანის ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში. 2. ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის. 3. ორი მოხეტიალე სიუჟეტისათვის ქართულს ფოლკლორსა და მწერლობაში. 4. გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველს საქართველოში და ა. შ.

განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე მისი შრომები ხალხურ „ტარიელიანზე“, მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანზე“, სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისაზე“ და ა. შ. თუ, მისი აზრით, ხალხური „ტარიელიანი“ აშკარად ვეფხისტყაოსნიდან მოდის, ხოლო „სიბრძნე-სიცრუისა“ ფოლკლორულ მასალებზეა დაფუძნებული, სრულიად თავისებური ვითარება გვაქვს მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანში“.

ხალხური ამირანიანის გავლენა აშკარად იგრძნობა ლიტერატურულ „ამირან-დარეჯანიანზე“. მოსე ხონელის მიერ ხალხური ამირანიანი სხვა საგმირო ამბებთან შერწყმის შედეგად გარდაქმნილია საგმირო-სარაინდო ხასიათის ნაწარმოებად. მაგრამ შემდეგში ეს ურთიერთობა

საპირისპირო ხასიათს ღებულობს და ხალხურ ამირანიანზე უკუმოქმედებს ლიტერატურული „ამირან-დარეჯანიანი“. ეს არის რთული და ფრიად საინტერესო პროცესი ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობიდან. კ. კეკელიძემ დიდი წვლილი შეიტანა ამ პრობლემების მეცნიერულ გადაწყვეტაში.

კორნელი კეკელიძე წარმატებით აგრძელებდა სასარგებლო საქმიანობას, რომელიც მისმა წინამორბედმა მოღვაწეებმა წამოიწყეს (დ. ბაქრაძე, მიხეილ საბინინი, მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი და სხვ.). იგი თარგმნის და რუსულ ენაზე აქვეყნებს ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებს, როგორიცაა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, იოანე საბანისძის „აბო ტფილელი“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ა. შ. როგორც აღვნიშნეთ, დიდი მეცნიერის არა ერთი გამოკვლევა თარგმნილია რუსულ და უცხოურ ენებზე. მისი ღრმად მეცნიერული შრომები დიდი ავტორიტეტით სარგებლობს აღმოსავლეთის ლიტერატურით დაინტერესებულ წრეებში, ხოლო კაპიტალური წიგნის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი ამას წინათ მთლიანად ითარგმნა გერმანულ ენაზე.

კორნელი კეკელიძე იყო არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მკვლევარი. მის კალამს ეკუთვნის 300-ზე მეტი გამოკვლევა და 20-მდე სქელტანიანი წიგნი. იგი არა მარტო თავის გამოკვლევებით, არამედ თავისი უმწიკვლო პიროვნებითაც უზარმაზარ გავლენას ახდენდა ჩვენს მეცნიერულ ცხოვრებაზე. მეცნიერის უპირველეს მოწოდებად მას ჭეშმარიტების ძიება მიაჩნდა და დაუნდობლად აკრიტიკებდა ყველა იმათ, ვინც იოლი, სენსაციური გზებით ცდილობდა სახელის მოხვეჭას.

სამაგალითო იყო მისი ენერგია და სულიერი მხნეობა. განსვენებულ მეცნიერს უკანასკნელ დღეებამდე არ შეუწყვეტია მეცნიერული აზროვნება და მიუხედავად ჯანდაზმულობისა, იმედიანად უცქეროდა მომავალს. ეეებერთელა ტომები, რამდენიმე ასეული გამოკვლევა, მრავალრიცხოვანი მოწაფეები და იგი მაინც ჯერ კიდევ არ თვლიდა ვალმოხდილად თავს მშობლიური მეცნიერების წინაშე. დიდი პიროვნების თავმდაბლობა ისევე ამშვენებდა მას, როგორც მის ბიბლიურად მშვიდ სახეს პირველი თოვლივით სპეტაკი თმა.

1963 წ.

7. აკაკი შანიძე

როდესაც აკაკი შანიძის დიდ ღვაწლზე ვსაუბრობთ. უნებურად გვახსენდება X საუკუნის ქართველი მწერლის იოანე-ზოსიმეს ტრაქტატი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ჩვენს საუკუნეში აკაკი შანიძე ერთი პირველთაგანია მათ შორის, ვინც ესოდენ დიდი შრომა და სიყვარული ჩააქსოვა ქართველი ხალხის ყველაზე ძვირფასი საუნჯის — ქართული ენის შესწავლის საქმეს.

ქართული ენის კვლევა-ძიებას დღეს დიდი ისტორია მოეპოვება, მაგრამ აკაკი შანიძის ღვაწლი მაინც სრულიად განსაკუთრებულია. იგი არის ახალი ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის ავტორი. ამის დასტურია მისი კაპიტალური ნაშრომი „ქართული გრამატიკის საფუძვლები", რომელშიაც თითქმის ყველა მაგისტრალური ხაზით წარმოჩენილი და ახსნილია ქართული ენის რთული და თავისებური ბუნება. „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა" გამოქვეყნებისთანავე ერთბაშად ახალ სიმაღლეზე ასწია ქართული ენის კვლევის დონე, რაც აღიარებულია არამარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში.

საგულისხმო ის არის, რომ მეტწილ შემთხვევაში დიდი მეცნიერს თვითონვე უხდებოდა ყამირის გატეხვა, ახალი ფაქტებისა და მასალების მოპოვება, რათა მასზე დაყრდნობით შეექმნა ყოველმხრივ სანდო და უტყუარი განმაზოგადებელი ნაშრომი — ქართული ენის მეცნიერული კურსი.

მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ენის აღნაგობის სრულიად ახალი პლასტების მიგნება და ზუსტი მეცნიერული ანალიზი. ქართული ენის შესწავლის კონკრეტულ მაგალითზე მან დაადგინა არაერთი გრამატიკული კატეგორია, რომელმაც შემდგომში არსებობის უფლება მოიპოვა და საყურადღებოა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

არიან მეცნიერები, რომლებიც სათავეს უდებენ ახალ მეცნიერულ იდეებსა და ძირითადი მონახაზის მიხედვით განსაზღვრავენ მომავალი მუშაობის მიმართულებას. აკაკი შანიძე მის მიერვე დაწყებული საქმის წინამორბედიცაა და განმახორციელებელიც, წლების მანძილზე ჩვენს თვალწინ იხვეწებოდა და მდიდრდებოდა მისი უპირველესი ნაშრომი „ქართული გრამატიკის საფუძვლები". ეს, მართლაც მეცნიერული გმირობის იშვიათი მაგალითია.

აკაკი შანიძეს ღრმად სწამს, რომ ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ იგი თვითგამოხატვის უიდუმალესი ფორმაა და მასში, როგორც პრიზმაში, გარდატეხილია მისი შემქმნელი ერის ხასიათი, ფსიქოლოგია და ისტორიული წარსული. ერის გენია უწინარეს სწორედ ენაში ვლინდება.

ამიტომ რიგ შემთხვევაში ენობრივი ფაქტების ახსნისას, უკმარი ხდება მეცნიერული თვალი და აქ კიდევ რაღაც „მეექვსე გრძნობის" მსგავსი, თუნდაც მას ინტუიცია ეწოდოს, აუცილებელი რამ არის. აკაკი შანიძე ყოველმხრივ შემკულია ასეთი მადლით და ღრმა მეცნი-

ერულ ანალიზთან ერთად მის ნაშრომებს უცთომელი გუმანიც ამშვენებს. იგი ქართული ენის ჭეშმარიტი მესაიდუმლეა და, როგორც იტყვიან, საცეცებით გრძნობს მის ყოველ მიმოხრას. მან, მართლაც, ბევრი რამ წინასწარ იგრძნო და განსჭვრიტა, რაც დაადასტურა კიდეც შემდგომმა კვლევა-ძიებებმა. მე ამ ფაქტებს აქ აღარ ჩამოვთვლი, იგი დღეს საყოველთაოდაა ცნობილი.

ივანე ჯავახიშვილის უპირველესი მოწაფე და შემდეგ კი თანამოსაგრე მუშაობის სტილითაც ღირსეულად აგრძელებს მოძღვართმოძღვრის კვლევა-ძიების მეთოდებს. იგი ფართო დიაპაზონის მეცნიერია და მისი ინტერესების სფეროში შემოდის ქართველმცოდნეობის თითქმის ყოველი დარგი.

მე აქ არ ვეგულისხმობ მარტო უმთავრესი ნაშრომების ენციკლოპედიურ ხასიათს. მაგალითად, იგივე „გრამატიკის საფუძვლები“, რომელსაც ერთი წამითაც არ აკლია ზუსტი და მკაცრი დეფინიციები, ამავე დროს დატვირთულია უამრავი ინფორმაციით, დაკვირვებებით, მახვილგონივრული შენიშვნებით ეროვნულ მეცნიერებათა არაერთი დარგიდან და ფაქტიურად ქართული ენის ისტორია განხილულია არა იზოლირებულად, არამედ ერთობლიობაში ჩვენი სულიერი კულტურის განვითარების ძირითად ეტაპებთან. ისტორიის, ყოფის, მწერლობისა თუ ფოლკლორის როგორი ცოდნა ჩანს თუნდაც იმ ეტიმოლოგიებში, რომელიც ამ წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე, თითქოსდა სხვათაშორის არის მიმოფანტული. მარტო ეს ეტიმოლოგიები, რომელთაგან ზოგი შეკუმშული სახით მაღალი რანგის მეცნიერული გამოკვლევაა, ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონის მოზრდილ ტომს შეადგენდა.

მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მაინც ის არის, რომ აკაკი შანიძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ქართველური ენების სტრუქტურასა და ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში, არამედ, როგორც ითქვა, ქართველთმცოდნეობის სხვადასხვა დარგს წარუშლელად ატყვია კვალი მისი მაღალი მეცნიერული აზრისა.

რად ღირს თუნდაც დიდი მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ხალხური პოეზია“ (ტ. I, ხევსურული, 1931 წ.), რომელმაც სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა ქართველი ხალხის პოეტური გენიის წარმოჩენის საქმეში. წიგნი, თუ შეიძლება ითქვას, სინთეზური ხასიათისაა და მასში ბედნიერად არის შერწყმული შესანიშნავი ლინგვისტის, დიალექტოლოგისა და ბრწყინვალე ფოლკლორისტის ვეებერთელა შრომა.

მან ეს დიდი ჩანაფიქრი სიჭაბუკეში წამოიწყო, როცა ფშავ-ხევსურეთის კილოების შესწავლას მიჰყო ხელი ნიკო მარის რჩევითა და

ხელმძღვანელობით (მე დარწმუნებული ვარ, რომ ძველი ქართული ენის არაერთი თვისება, რომელიც თავანკარა წყაროსავითაა შემონახული ჩვენი მთის ამ, მართლაც, კურთხეულ მიწაზე, მისთვის პირველად აქ შეიქნა ცხადი და შემდეგ ეს დიდი პრაქტიკული ცოდნა დაედო საფუძვლად მომდევნო ხანის ლინგვისტურ ძიებებს ქართველური ენების ძირითადი თეორიული საკითხების დამუშავების დროს). როგორც მასალის მოპოვების, ფიქსირებისა და მეცნიერული კომენტირების მხრივ ეს წიგნი განსაცვიფრებელია და მეთოდოლოგიის მხრივაც დღესაც სანიმუშოა თანამედროვე ფოლკორისტიკაში.

ამ წიგნის უკვდავებისათვის მარტო „ვეფხისა და მოყმის“ ბალადის სხვადასხვა შრეების აღმოჩენა და მეცნიერული ანალიზიც იკმარებდა.

ბატონი აკაკის მეცნიერული გატაცების საგანი ყოველთვის იყო და რჩება შოთა რუსთაველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი, ქართველი კაცის სიბრძნისა და პოეტური გენიის უპირველესი გამოხატულება.

ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგია მისი რუსთველოლოგიური კვლევის ძირითადი სფეროა და, მართლაც, განუზომელია ამ დარგშიც მისი მეცნიერული წვლილი. მან იმთავითვე იგრძნო, და, როგორც ცნობილია, დღეს თანამედროვე მეცნიერებაში ეს საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ტექსტოლოგიური საკითხების მოგვარების გარეშე ამაოა ყოველგვარი გარჯა და „შორს მიმავალი დასკვნებით“ გატაცება. შორს რომ არ წავიდეთ, ეს დაადასტურა მე-19 საუკუნის მსოფლიო კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლამ და მით უფრო ეს ეხება ისეთ ძეგლს, რომელთანაც ჩვენ საუკუნეები გვაშორებს.

პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი ის იყო, რომ ბატონმა აკაკიმ ერთმა პირველთაგანმა განჭვრიტა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტების (პოემამ კი მრავალი და განსხვავებული ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე) განვითარების გზაზე წყალგამყოფი ხაზი გადიოდა პირველი რუსთველოლოგის ვახტანგ VI შრომასთან, რომლის შედეგიც იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა (1712 წ.).

მან აღადგინა ეს გამოცემა და დააგვირგვინა იგი ბრწყინვალე აღმოჩენით. დოკუმენტურად დადასტურდა, რომ ვახტანგმა შეიმუშავა პოემის თავისებური ტექსტი და საფუძველი ჩაუყარა მის მეცნიერულ გამოცემას. ამასთან ნათელი შეიქმნა, რომ ჩვენ უფრო თამამად უნდა მივიდეთ პოემის პირველწყაროებთან, კერძოდ კი ხელნაწერებთან, რადგან სწორედ მათ ფარგლებშია საძიებელი პოემის ავთენტიკური ტექსტი. დღეისათვის ამ სფეროში ბევრი რამ უფრო ნათელი შეიქნა, მაგრამ აკაკი შანიძის ფუძემდებლური ნაშრომი, რომელიც ასეთი სწორი პერსპექტივით გამოირჩევა, ყოველთვის შეინარჩუნებს თავის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას.

აკაკი შანიძემ დიდებულად განაგრძო სულხან-საბასა და ვახტანგ მეექვსის ლექსიკოლოგიური ძიებები არამარტო ლექსიკოლოგიაში საერთოდ, არამედ, კონკრეტულად, ვეფხისტყაოსნის ლექსიკის საკითხებშიც, პოემის არაერთი ბუნდოვანი ადგილის გაშიფვრა და საერთოდ ენობრივი სტრუქტურის მოწესრიგებისათვის ზრუნვა მისი ერთერთი დიდი დამსახურებაა, რაც აგრერიგად ემჩნევა ბოლო ათეული წლების გამოცემებს, რომელთა დადგენაში იგი ყოველთვის თავკაცის მძიმე ტვირთს ეზიდებოდა.

აკაკი შანიძე თავისი საოცარი ბუნებით, ემოციური წყობით, ხასიათის თვისებებით ქართველი კაცის ჭეშმარიტად მაღალი ღირსებების მატარებელია. მან შეურყვნელად შემოინახა ცხოვრების ასეთ დიდ გზაზე მშობლიური ადგილებიდან გამოყოლილი სითბო და მადლი. ამიტომ არის, რომ მის ყოველ სიტყვას მეცნიერულ ძალასთან ერთად მოუშორებლად თან ახლავს „მიწის სინედლე“, განუმეორებელი ელფერი და ქართული იუმორი. იგი სახუმარო ლექსებისა და კაფიების დიდი ოსტატიცაა, ხოლო მის მახვილ სმენასა და მეხსიერებას შემოუნახავს არაერთი ძველი და სირთულით განთქმული გურული სიმღერა. შრომაში და ცხოვრებაშიც მას უბერებელი სიხალისე შემორჩა და მას თანაბრად უნაწილებს ყველას, ვისაც კი აქვს საშუალება იყოს მისი სიახლოვის ღირსი.

იგი ნიმუშია ეროვნული სულისკვეთების დამუხტული მეცნიერისა და, ალბათ, ეს ანიჭებდა მას ესოდენ დიდი ძალისხმევის უნარს როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, რომლის გვირგვინია მისი თავდადება ეროვნული უნივერსიტეტის აღორძინების საშვილიშვილო საქმეებში.

ბედნიერებაა ასეთი დიდი რუდუნებით ემსახურო მშობლიური კულტურის წმინდათაწმინდა საქმეს.

ბედნიერებაა როცა თვითონვე ხედავ შენს მიერვე დაძრული საქმეების აღორძინებასა და გაფურჩქვნას.

აკაკი შანიძის დიდი მეცნიერული ტალანტი და მეცნიერული გმირობა, მართლაც, არის ამ დიდი ადამიანური ბედნიერების ღირსი.

1977 წ.

8. ვუკოლ ბერიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი*

ვუკოლ ბერიძე ღრმად განსწავლული ფილოლოგი იყო. მაღალ ნიჭიერებასთან ერთად ეს განაპირობა სამეცნიერო სკოლამ, რომელიც

* წინასიტყვა წიგნისა: ვუკოლ ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის კომენტარი“, 1974 წ.

ახალგაზრდობაში გაიარა. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1908—1912 წლებში, იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. აღსანიშნავია, რომ მან წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება უმალ ვერ შეძლო და ერთხანს სახალხო მასწავლებლობას ეწეოდა.

პეტერბურგში ჩასული 25 წლის ვუკოლ ბერიძე გატაცებით ჩაება სწავლასა და მეცნიერულ საქმიანობაში. ამ მხრივ ფასდაუდებელია გამოჩენილი მეცნიერის ნიკო მარის ღვაწლი, რომელმაც შემოიკრიბა მომავალ ქართველოლოგთა საიმედო ძალები. ახალგაზრდობასთან მუშაობის მრავალფეროვან ფორმებთან ერთად, ნიკო მარისათვის დამახასიათებელი იყო ისიც, რომ იგი თავის მოწაფეებს სტუდენტობიდანვე აბამდა მეცნიერულ საქმიანობაში, ინდივიდუალურ მიდრეკილებათა შესაბამისად ეძებდა მათთვის საკვლევ ობიექტებსა და პრობლემებს. სწორედ ნიკო მარის ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებშივე დაამუშავა ვუკოლ ბერიძემ ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, როგორიცაა „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, რომელიც 1912 წელსავე გამოიცა პეტერბურგში. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნაშრომი ერთ-ერთი პირველთაგანია საერთოდ ქართული დიალექტოლოგიის ისტორიაში.

ნიკო მარისავე თაოსნობით და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოამზადეს მომავალი მუშაობისათვის ისეთი საჭირო ნაშრომი, როგორიცაა „Грузинская библиография“ (დაიბეჭდა 1916 წელს), რომლის ერთ-ერთი ავტორი ვუკოლ ბერიძეც იყო. ერთი სიტყვით, პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლა ღონიერი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. და, მართლაც, როგორც ცნობილია, აქ გამოიწრთო და კვლევის სრულიად ახალი მეთოდებით აღიჭურვა მეცნიერთა მრავალრიცხოვანი თაობა, რომელსაც ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორიცაა დიდი ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე. სწორედ ამ თაობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნული მეცნიერების აღორძინების საქმეში. ვუკოლ ბერიძე ამ ბრწყინვალე პლეადის ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო.

ვუკოლ ბერიძის, როგორც მეცნიერის, დახასიათების დროს, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ერთი შესაშური თვისება: ძველ ქართველ მოღვაწეთა მსგავსად იგი არ იზღუდებოდა ერთი რომელიმე დარგით და კვლევა-ძიებას ფართო თვალთახედვით წარმართავდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დილეტანტიზმის სახიფათო გზა მისთვის სრულიად გამორიცხული იყო. მკაცრი მეცნიერული სკოლა და შესაფერისი ერუდიცია ამის საიმედო გარანტია იყო.

ვუკოლ ბერიძემ 80 წელი იცოცხლა (გარდაიცვალა 1963 წელს), მისი ცხოვრება არ იყო ია-ვარდებით მოფენილი, ჰქონდა უმძიმესი წლებიც, მაგრამ იგი სულიერ მხნეობას არასოდეს არ ჰკარგავდა, თავისი ხალხის მომავალს რწმენით შეჰყურებდა. ცხოვრების დიდ გზაზე მას ერთი წუთითაც არ გაუგდია ხელიდან მეცნიერის კალამი, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი და ზრუნვა ქართველი ხალხის კულტურული აღორძინების ნათელ პერსპექტივებზე.

ახლა, როდესაც თვალს ვავლებთ მის ნაღვაწს, ეს არის მართლაც დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც ყოველმხრივესა და დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს.

მაგრამ მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მრავალმხრივობისა, მეცნიერის გატაცების განსაკუთრებული საგანი მაინც ქართული ლექსიკოლოგია და ქართული კულტურის ყველაზე დიდი ნიშანსვეტი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" იყო.

დაწყებული 1912 წლიდან ვუკოლ ბერიძემ არა ერთი საგულისხმო ნაშრომი გამოაქვეყნა ქართველური ენების შესწავლის ხაზით, დიალექტოლოგიაში და განსაკუთრებით კი დარგში, რომელიც ტერმინოლოგიის საფუძვლებს ეხებოდა. როგორც ცნობილია, ტერმინოლოგიური დარგის შესაფერ მეცნიერულ დონეზე წარმართვა აღორძინებული ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანა იყო. ქართული ტერმინოლოგიის განახლების გარეშე საერთოდ შეუძლებელიც კია რაიმე სერიოზული საუბარი ზოგადად ქართული მეცნიერების განვითარებაზე. მით უფრო, ჩვენს საუკუნეში, რომელიც ახალ-ახალ მეცნიერებათა წარმოქმნისა და ინფორმაციის მოზღვავების ნიშნით ვითარდება.

ვუკოლ ბერიძე ამ საშვილიშვილო საქმის ერთ-ერთი აღიარებული ფუძემდებელია ჩვენში. დაუფასებელია მისი წვლილი ტერმინოლოგიის მოუგვარებელი საკითხების როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ გადაწყვეტაში.

ახალ ტერმინთა შექმნა-დამკვიდრების დროს მრავალი ცთუნება წამოყოფს თავს. ერთ-ერთი მათგანია ყოვლად მიუღებელი, შეზღუდული თვალსაზრისი, როცა ამა თუ იმ ენაზე ახალი ტერმინების საგანძურად მხოლოდ საკუთარი ენობრივი წიაღია მიჩნეული, რაც ხელოვნურობასთან ერთად ფაქტიურად მსოფლიო ცივილიზაციისაგან იზოლაციას თუ უწყობს ხელს. ვუკოლ ბერიძე პრინციპულად ემიჯნებოდა საკითხის ასეთ დასმას და ფართო პროგრამას სახავდა ამ მიმართულებით: „ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა, — წერდა იგი ჯერ კიდევ 1926 წელს, — საჭირო არაა, უცხოური ფუძეების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მათი თარგმნა". რასაკვირველია, ეს სრულიად არ გამორიცხავდა ძველ ქართულ უნიკალურ ტერ-

შინთა აღდგენას, თუ ახალ ტერმინთა შექმნის შესაძლებლობას. ტაქტი და ზომიერება ყველაზე საჭირო იარაღი იყო ამ დარგში წარმატებული მუშაობისათვის.

თვითონ ვუკოლ ბერიძე ერთი პირველთაგანი იძლეოდა ასეთი მუშაობის სამაგალითო ნიმუშებს და დღეს დამკვიდრებული არა ერთი, უკვე საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგებში სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული: „ვუკოლ ბერიძის სტიქია, — წერს ამის გამო შოთა ძიძიგური, — ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედებაა. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სხვადასხვა დარგის მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა, და, საერთოდ, ლექსიკოლოგიის დისციპლინის მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარება. ვუკოლ ბერიძეს ჰქონდა უტყუარი ენობრივი ალღო და დაჯილდოებული იყო სიტყვის ფაქიზი, შეუმცდარი ანალიზის ნიშვიათი უნარით“. ვუკოლ ბერიძე პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ჩვენში ამ მუშაობას და წლების მანძილზე იყო ამ დარგში მომუშავე კომისიისა თუ სპეციალური განყოფილების მეთაური. ნიშვიათია დღეს ძრავალრიცხოვან ტერმინოლოგიურ ლექსიკონთაგან რომელიმე, რომელსაც მისი მზრუნველი ხელი არ ეტყობოდეს. მარტო ეს ღვაწლიც დაამშვენებდა ყოველი დიდი მამულიშვილის სახელს.

ვუკოლ ბერიძე სიყმაწვილიდანვე შეება ქართული ფილოლოგიის ისეთ ურთულეს უბანს, როგორიც რუსთველოლოგიაა და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ მან ამ დარგის განვითარებაშიც შეიტანა საკუთარი წვლილი.

1911 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტი ვუკოლ ბერიძე ქუთაისში (გაზ. „კოლხიდა“, № 111) აქვეყნებს წერილს „ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“, რომელშიც შესწავლილია მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი ერთ-ერთი ნუსხა პოემისა. წერილი საყურადღებოა იმით, რომ იგი არ იფარგლება მეცნიერულ-ტექნიკური აღწერილობით და ხელნაწერის მონაცემებზე დაკვირვებით სვამს რუსთველოლოგიური მეცნიერებისათვის საინტერესო სხვა საკითხებსაც. მაგალითად, მაშინ ახალგაზრდა მკვლევარი პრინციპულად ემიჯნება პოემის სიუჟეტის მაძიებელთა ამაო შრომას, რაც მხოლოდ და მხოლოდ პოემის მე-9 სტროფის უმართებულო ანალიზზე იყო დამყარებული. კვლევა-ძიების სიმძიმის ცენტრი, მისი აზრით, უშუალოდ პოემის მხატვრულ-ისტორიულ თავისებურებათა შესწავლაზე უნდა იქნას გადატანილი, რაც თავისთავად მოგვცემს გასაღებს პოემის შეფასებისას. აქვე იგი ეხება პოემის ტექსტოლოგიის მტკივნეულ საკითხებსაც, რაც ამ დროისათვის, მართლაც, სრულიად გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. აქ საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ხელნაწერის აღწერისას მკვლევარმა მიუთითა მის მიერ

შესწავლილი ხელნაწერის ზოგ რედაქციულ თავისებურებაზე, რაც დაადასტურა კიდეც შემდგომმა კვლევა-ძიებამ.

საკმაოდ უცნაურ ფაქტად მოჩანს ერთი გარემოება. ვუკოლ ბერიძე, როგორც ეს მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, თავიდანვე დიდად იყო დაინტერესებული ვეფხისტყაოსნით, კერძოდ, ცხოველ მონაწილეობას იღებდა ნიკო მარის რუსთველოლოგიურ სემინარებში (სხვათა შორის, იგონებენ ნიკო მარის მომდევნო ხანის მოწაფეები, დიდ მეცნიერს არა ერთხელ გაუხსენებია ეს ფაქტები და უთქვამს: „პეტერბურგის უნივერსიტეტის რუსთველოლოგიის სემინარში წამოყენებული მრავალი ვუკოლისებური გონებამახვილური ინტერპრეტაცია პოემის ძნელი ადგილებისა ჭკუაში დამჯდომია და კვლევა-ძიებაში გამომიყენებია“-ო), იგი ერთ-ერთი კონსულტანტი ყოფილა მარჯორი უორდროპის თარგმანის 1912 წლის გამოცემის დროს და ა. შ. მაგრამ გადიოდა წლები და მკვლევარი თითქმის არც ერთი წერილითა თუ გამოკვლევით აღარ გამოხმაურებია რუსთველოლოგიურ საკითხებს.

ვუკოლ ბერიძე რუსთველოლოგიურ დარგში ძალზე ინტენსიურ მუშაობას იწყებს მხოლოდ 30-იანი წლებიდან (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, 1970 წ., გვ. 261) და მკვლევარის საგულისხმო ნაშრომები რუსთველოლოგიაში სწორედ ამ ხანებშია შექმნილი. ამავე ნაშრომებიდან ისიც ცხადი ჩანს, რომ ვუკოლ ბერიძე არც წინა წლებში (ე. ი. 30-იან წლებამდე) ჩამოშორებია საყვარელ საქმეს და იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემზადებოდა უფრო ნაყოფიერი მეცნიერული ნაბიჯებისათვის, რის დადასტურებაცაა მისივე სიცოცხლეში გამოქვეყნებული „რუსთველოლოგიური ეტიუდები“, სადაც თავმოყრილია მკვლევარის რჩეული ნაწერები.

ვუკოლ ბერიძის რუსთველოლოგიური კვლევისათვის დამახასიათებელია ე. წ. ლიტერატურულ-ფილოლოგიური მეთოდის მომარჯვება, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჩვენში ნიკო მარი იყო. ლიტერატურულ ძიებებს აქ ორგანულად ერწყმის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური შტუდიები, რის აუცილებლობა გაპირობებულია თვით პოემის შესწავლის თავისებურებათა გამო. ვეფხისტყაოსნის მთლიანობაში შესწავლას სხვა მონაცემებთან ერთად (ისტორიული, სოციალური, კულტურული) საფუძვლად უნდა დაედოს ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ღრმა და მრავალმხრივი კვლევა-ძიება.

საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ვუკოლ ბერიძის ისეთი წერილები, როგორიცაა „ვეფხისტყაოსნის ერთი თავისებურება“, „ვეფხისტყაოსნის გარშემო“, „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი“, „საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“, „ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის“, „შერი და მიშერი ვეფხისტყაოსანში“, „ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის“ და ა. შ. ამ წიგნში არა ერთ

შახვილ შენიშვნას იპოვის მკითხველი და სწორ ინფორმაციას მიიღებს იმ სირთულეებზე, რაც ახლავს პოემის ტექსტისა თუ მხატვრული სახის გაგებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ვუკოლ ბერიძის ვრცელი წერილი ვეფხისტყაოსნის კონსტანტინე ჭიჭინაძისეულ გამოცემაზე, რომელშიც მკაცრ და სამართლიან შენიშვნებთან ერთად, პოემის ტექსტის აღდგენის ფართო პროგრამაა მოხაზული. აღსანიშნავია, რომ მკვლევარის ბევრი შენიშვნა პოემის ამა თუ იმ საკითხზე დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ვუკოლ ბერიძე თავის წერილებში ეხებოდა პოემის შესწავლის არა ერთ საკითხს, როგორიცაა ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, მხატვრული ხერხების თავისებურებანი, მსოფლმხედველობისა და პოეტიკის საკითხები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილები: „К вопросу о мировоззрении Руставели“, „შოთას პოეტიკისათვის“, „რუსთაველის შაირი“ და სხვა.

დღეს, როცა ახლებურად ისმის ქართული კლასიკური ლექსის თავისებურებათა საკითხები, ვუკოლ ბერიძის დაკვირვებები საგულისხმო და ანგარიშგასაწევი ჩანს, მას ეკუთვნის ვრცელი წერილი „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს პოემის ავტორის ღრმა კავშირებს ქართული კულტურის უღრმეს შრეებთან.

ვუკოლ ბერიძემ არა ერთი საგულისხმო წერილი მიუძღვნა რუსთველოლოგიის ისტორიას და წარმოაჩინა ამ დარგის განვითარებაში წინამორბედთა დიდი ღვაწლი (მაგ. ვახტანგ VI, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი და სხვა).

ვუკოლ ბერიძის რუსთველოლოგიური მუშაობის შეფასებისას უნდა გავიხსენოთ მისი წვლილი პოემის ერთ-ერთი საგულისხმო გამოცემის მომზადებაში, რომელიც სხვადასხვა სახით დაიბეჭდა 1937 წლის იუბილის დღეებში. ვუკოლ ბერიძე იყო ამ გამოცემათა სარედაქციო კომისიის ერთ-ერთი აქტიური წევრი.

მაგრამ გამოირკვა, რომ ის, რაც უკვე გამოქვეყნებულია, მთლიანად არ ასახავს შესანიშნავი რუსთველოლოგის მუშაობას ამ დარგში. განსვენებული მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ვრცელი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის განმარტება“. როგორც ნაშრომის ტექსტზე დაკვირვება ამხელს, მას ეს დიდი და შრომატევადი მუშაობა შეუსრულებია 1937—1950 წლებში. (კერძოდ, ამას მოწმობს წყაროთა მინიშნებანი და თვით პოემის ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია 1937 წლის გამოცემით). შემდეგ მას, როგორც ჩანს, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, შეუწყვეტია მუშაობა და ნაშრომი დაუმთავრებელი ჩანს.

ვეფხისტყაოსნის პირველ კომენტატორთა (ვახტანგი, თეიმურაზ ბაგრატიონი) მსგავსად, აქ თანმიყოლებით განმარტებულია პოემის ტექსტი და ცალკეული სტროფების მიხედვით წარმოდგენილია ტექსტოლოგიური თუ სხვა სახის ფილოლოგიურ-ლიტერატურული დაკვირვებანი. „განმარტება“, რომელიც ემყარება 1937 წლის გამოცემის ტექსტს, წყდება 1212 სტროფის კომენტარით. ჩვენ ეს ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ გურამ შარაძესთან ერთად მოვამზადეთ (დედნის გადმოწერაში გვეხმარებოდა ვეფხისტყაოსნის კომისიის თანამშრომელი ნანი წაქაძე) ამ რამდენიმე წლის წინ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მხოლოდ ამჯერად ხერხდება მისი გამოქვეყნება.

ვუკოლ ბერიძის „ვეფხისტყაოსნის განმარტება“ იბეჭდება უცვლელად, ისე, როგორც მის ავტორს ჰქონდა წარმოდგენილი. რასაკვირველია, რიგ შემთხვევაში ავტორისეული ზოგი მოსაზრება დღეს გადასინჯვას მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ამგვარი კომენტარებისაგან თავი შევიკავეთ. გასწორებულია აშკარა ლაფსუსები, ხოლო რიგ შემთხვევაში დაზუსტებული და შევსებულია წყაროთა მათითებელი.

ჩვენი აზრით, ამ სახითაც „ვეფხისტყაოსნის განმარტება“ არა მარტო ნათლად წარმოაჩენს ვუკოლ ბერიძის ღვაწლსა და რუდუნებას უკვდავი პოემის მიმართ, არამედ დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივი შესწავლის საშვილიშვილო საქმით.

1974 წ.

9. ქართული კულტურის ამაგდარი მემატიანე

(ლევან ასათიანის გახსენება)

ლევან ასათიანის ღვაწლი მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. იგი, სამწუხაროდ, ნაადრევად წავიდა ჩვენგან და ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. 55 წელი მკვლევარისათვის ხომ სიმწიფის ასაკია (იგი გარდაიცვალა 1955 წელს, 55 წლისა). მან მაინც ბევრი მოასწრო და საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. რამდენიმე მონოგრაფია XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსებზე, მშვენიერი გამოკვლევები და კრიტიკული წერილები. მზის სინათლეს ელის აგრეთვე მის არქივში თუ უბის წიგნაკებში შემორჩენილი არა ერთი მახვილი შენიშვნა და მოგონებანი

ჩვენს თანამედროვე მწერლებზე, რომელთა უმეტესობასთან მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა.

მაგრამ ეს მისი მოღვაწეობის ერთი მხარეა, ლევან ასათიანი არ იყო მხოლოდ კაბინეტის ბინადარი, მშვიდი და ვნებადაცლილი მუშაკი წიგნისა. ოციანი წლებიდან მოკიდებული ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში იშვიათად მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი, მხურვალე ძოხაწილეობა რომ არ მიეღოს. იგი ბრძოლისა და მოქმედების კაცი იყო. და თავის ყოველდღიურ საქმიანობაშიც ასევე ენერგიულად იღვწოდა. წლების მანძილზე ჟურნალ „მნათობის“ ერთი მეთაურთაგანი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის აქტიური თანამშრომელი, ყოველდღიურ კვლევა-ძიებასთან ერთად დიდი მონდომებით მუშაობდა, რათა მკითხველს მიეღო ქართველ კლასიკოსთა სრულყოფილი გამოცემები. იგი დიდ ინტერესს იჩენდა აგრეთვე ჩვენი კულტურისათვის ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისადმი, როგორიცაა თეატრი და მაშინ ჯერ კიდევ ახლადფეხადგმული კინემატოგრაფია.

მრავალმხრივობა, როგორც ჩანს, მისი შემოქმედებითი ბუნება იყო. იგი ამით უეჭველად ენათესავებოდა გასული საუკუნის ჩვენ დიდებულ მოღვაწეებს, რომელთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაც გაიხადა მან კვლევა-ძიების უმთავრეს საგნად. ლევან ასათიანს განსაკუთრებით იზიდავდა ბარათაშვილის, ვაჟას, ილიასა და აკაკის ეპოქა და სავსებით იზიარებდა შეხედულებას, რომ ამ ბრწყინვალე ეპოქამ ჩაუყარა საფუძველი ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ახალ დიდ აღმავლობას.

რევოლუციის შემდეგ, ოციან წლებში, როგორც ცნობილია, ასპარეზზე გამოდის ახალი, მრავალმხრივ განათლებული ინტელიგენცია, რომელთაგან მეტი წილი ახლადდაარსებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ. ლევან ასათიანმაც იგივე გზა განვლო და უკვე ოციანი წლებიდან იწყებს ინტენსიურ მოღვაწეობას არჩეულ სარბიელზე, აქვეყნებს რამდენიმე გამოკვლევას ქართული მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ორიგინალური გამოკვლევა „ვოლტერიანობა საქართველოში“, რომელიც შემდეგ, 1933 წელს ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა. იგი ამ წიგნში ძველი საქართველოს უკანასკნელ დღეებს ეხება, როცა ახალი კულტურული ნაკადი (ილიას ტერმინით „ევროპეიზმი“), ძალზე მცირე დოზით, მაგრამ მაინც იჭრება ჩვენში.

ლევან ასათიანი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ეს იყო თუმცა დაგვიანებული, მაგრამ მაცოცხლებელი სიო და გულისტკივილით დასძენდა დაგვიანების გამო, რომ „ასეთია ყოველთვის ბედი იმ ხალხისა, რომელიც უამთა ტრიალის წყალობით ჩამორჩა ისტორიის დიდ ქარავანს“. თავისი გამოკვლევით ლ. ასათიანმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ

ჩვენს რომანტიკოსებს („ევროპეიზმს“ ჩვენში ძირითადად მათ სახელს უკავშირებენ) ჰყავდათ ამ საქმეში თავისი წინამორბედნი, რომ ძველი საქართველოს ბოლო ათეული წლების მოღვაწეებს უკვე თვალი ეჭირათ ევროპული იდეებისაკენ და თუმცა ოდნავ გაუბედავად, მაინც გარკვეულად ცდილობდნენ მათ ათვისებასა და გავრცელებას.

ამ მცირე ფორმის წიგნში მკვლევარმა თავი მოუყარა საგულისხმო ცხობებს და დაადგინა საინტერესო სურათი. XVIII საუკუნის მიწურულის ქართველ მოღვაწეთა შეხედულებებში აშკარად ისმის ნაგვიანევი ექო ფრანგი განმანათლებლებისა, მონტესკიე, რუსო და განსაკუთრებით ვოლტერი მათთვის ნაცნობი სახელებია. სხვა კუთხით წარმოდგა წიგნში ამ ხანის საინტერესო ქართველი სწავლულნი: დავით ბატონიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, დავით ციციშვილი და სხვები. დიდი ტაქტითა და ზომიერებით არის წარმოსახული მათი ცხოვრების არაერთი საგულისხმო ფურცელი.

არ შეიძლება სიმპათიით არ განეწყოს მკითხველი, როცა ეცნობა ლევან ასათიანის მონოგრაფიას „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“. ლ. ასათიანი ამ საკითხების ერთი პირველი მკვლევართაგანია და გაუკვალავი გზებით უხდებოდა სვლა. „ქალის როლი ჩვენი წარსულის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში, — წერდა ავტორი, — ჯერ სათანადოდ არა გვაქვს შესწავლილი და შეფასებული“, და, ცოტა არ იყოს, ეს, მართლაც, განსაცვიფრებელი ჩანდა დიდებული თამარის სამშობლოში.

ბევრ მტერ-მოყვარეს უვლია წარსულში საქართველოს გზებზე. ასეთ შემთხვევაში, როგორც მოსალოდნელიცაა, მათი თვალსაზრისი უმეტესად ეგზოტიკური იყო. ხოლო აღწერილობანი გარეგნული მშვენების გადმოცემით იფარგლებოდნენ. საქართველოს „მშვენიერთა სავანეს“ უწოდებდნენ, ხოლო ქართველი ქალის სილამაზის ამბავი მათგანვე მიმოეფინა მთელ დასავლეთს. ტიპიურია ერთი მოგზაურის სიტყვები, რომ „ქართველი ქალების უმეტესი ნაწილისათვის ბუნებას მიუნიჭებია ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არ იპოვებაო“.

ლ. ასათიანმა იმავე მოგზაურთა ცნობებიდან თუ ძველქართული წერილობითი წყაროებიდან დიდი შრომითა და გარჯით ამოკრიბა, თავი მოუყარა ზოგ მანამდეც ცნობილ, ხოლო ხშირ შემთხვევაში დიდძალ უცხობ მასალას და საყოველთაოდ თვალსაჩინო გახადა ჩვენი სახელოვანი ქალების დიდი ღვაწლი. მარტო აკვნის რწევითა და იავნანურით არ იფარგლებოდა მათი ცხოვრება. მამაკაცებთან ერთად ქართველი ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის შექმნაში. ისეთი ჟამიც მდგარა ჩვენში, რომ ვისღა ეცალა სწავლა-განათლებისათვის. მკითხველს მოაგონდება, ალბათ, გურამიშვილის სიტყვები: „სულ გარს მტრად გვადგა თურქ-

ყიზილბაში; მით იკლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დაელამა წიგნნი წარსტყვენნა! დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები, ჩემის დროს ყრმანი უწვრთელ-უცები". ცოდნა ქართული წერა-კითხვისა, ქართული ანბანი, ეს საუნჯე ჩვენი ერისა, ხშირად შეუფარებიათ სწორედ ქართველ ქალებს. არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც საკმაო ხანი დაყო საქართველოში, შენიშნავს ერთ ადგილას, რომ „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი, ისე რომ, თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლადო".

ძაგრაძ ძკვლევარს აქცენტი უფრო შემოქმედებით მხარეზე გაუააქვს, რადგან, მისივე სიტყვებით, მარტო წერა-კითხვის ცოდნითა და მათი კითხვაგადამწერლობით არ ამოიწურება ქალების როლი. მათი ინტერესები და შემოქმედებითი უნარი ფართო გასაქანს პოულობდა, უფრო ღრმად იჭრებოდა ჩვენი კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ქალები — საუკეთესო მკითხველნი და მცოდნენი ჩვენი პოეტური ძეგლებისა, ქალები საუცხოო ინტერპრეტატორები და დეკლამატორები ქართული კლასიკური მხატვრული ქმნილებებისა, ხშირად თვითონვე წარმოსდგებიან ორიგინალურ ოსტატებად, პოეტურ ქმნილებათა ავტორებად.

წიგნის დიდი ნაწილიც სწორედ ქართველ პოეტ ქალებს ეძღვნება. მკვლევარი წარმატებით ახერხებს მათ გარდასულ სახეთა გაცოცხლებას. ჩვენი პოეზიის ისტორიაში დღეს უკვე კუთვნილი ადგილი უჭირავთ სახელოვან პოეტ ქალებს, ქეთევანს, მარიამ-მაკრინს, მანანას, სალომეს და მაია გაბაონს, მარიამ, ქეთევან და თეკლა ბატონიშვილებს. მათი მამულიშვილური სევდით გამსჭვალული პოეტური სტრიქონები დღესაც ცოცხლობენ და ამაში დიდზე დიდია მათი პირველი მკვლევარისა და დამფასებლის ლ. ასათიანის ღვაწლი.

ლ. ასათიანმა, როგორც ზემოთაც ვახსენე, ქართველ რომანტიკოსებსა და ჩვენში მათ წინამორბედებს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია 1946 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნებული ნარკვევი „გრიგოლ ორბელიანი". მე მგონი, საკმათო არაა, რომ არა მხოლოდ რომანტიკოსთა, არამედ XIX საუკუნის მთელ ქართულ მწერლობაში გრიგოლ ორბელიანი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა. გრიგოლზე მანამდეც დაწერილა ვრცელი ნარკვევები, მონოგრაფიები, მაგრამ ლევან ასათიანის წიგნის ერთი უდავო ღირსება ისიც იყო, რომ აქ გენერალი, მაღალი რანგის მოხელე არ ჩრდილავს პოეტ გრიგოლ ორბელიანს, დიდ მამულიშვილს, ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ პირველ ბრწყინვალე წარმომადგენელს, რომელმაც — „მამულის სიყვარულის ღრმა კვალი დაამჩნევინა ჩვენს გულში" (ილია).

სანიმუშოა ამ მხრივ პოემა „სადღეგრძელოს“ ანალიზი და დიდი პატრიოტული აღმაფრენით დაწერილი ლექსის „იარალი“ შემოქმედებითი თავგადასავლის გადმოცემა. ავტორი საგანგებოდ ჩერდება პოეტის ოცნებით ნათქვამ სიტყვაზე: „ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?, რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს“.

ლ. ასათიანის მართებული შენიშვნით, აქ წარმოდგენილი იდეური კონცეფცია ეროვნული გმირის მოლოდინისა შემდეგში ახალი ძალით ახმიანდება ილია ჭავჭავაძის ლექსში „ბაზალეთის ტბა“ და აკაკის ლირიკულ შედევრებში.

ხომ ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანმა ქართველ რომანტიკოსთაგან ყველაზე უფრო ღრმად იგრძნო ბუნების თავისთავადობა და პირველთაგანი ჩასწვდა ბუნების პლასტიკურად წარმოსახვის ოსტატობას. როგორც თავის დროზე იონა მეუნარგია წერდა: „აქ ორბელიანის ლირა მიიღებს ეპიურ ხასიათს და სწვდება უმაღლეს პოეზიას“. გრიგოლ ორბელიანის პოეზიის სხვა ნიშანთვისებებთან ერთად ეს მომენტი განსაკუთრებით არის ხაზგასმული, ახალი დაკვირვებით გამდიდრებული ლ. ასათიანის ნარკვევში. „საქართველოს მთის გრანდიოზული სურათი ქართულ პოეზიაში, — დაასკვნის მკვლევარი, — მთელი თავისი მომხიბლაობით პირველად გრიგოლ ორბელიანმა გამოაჩინა“. „საღამო გამოსალმებისას“ ავტორი, გარკვეული თვალსაზრისით, მართლაც, ვაჟა-ფშაველას ერთი უეჭველი წინამორბედთაგანია.

ლ. ასათიანის ნარკვევებსა თუ წერილებში თვალნათლივ იგრძნობა კარგი ფილოლოგიური გაწვრთნილობა, დახვეწილი მხატვრული გემოვნება. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, სამწუხაროდ, იშვიათი ხილია და ზოგი ჩვენი მკვლევარი-მეცნიერის აქილევსის ქუსლი, როცა ერთხაირი პათოსით საუბრობენ რომელიმე პოეტურ შედევრსა თუ რომელიღაც უნიჭო ავტორის კალმის ნაცოდვილარზე.

მართალია, ლ. ასათიანი მაინცდამაინც არ იყო გატაცებული მხატვრული ფორმის კვლევით, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რომელ მხატვრულ ქმნილებას წამოსწევდა წინ, ან როგორი კუთხით განიხილავდა მას, კარგად ჩანს მკვლევარისა და ლიტერატორის მხატვრული ალღო და პოეტური ქმნილების დაფასების უნარი.

გარდა ამისა, მას, როგორც მკვლევარს, ლიტერატურის ისტორიკოსს, მომადლებული ჰქონდა ფაქტებისა თუ მოვლენათა საინტერესოდ წარმოსახვის ნიჭი, თხრობის ოსტატობა, რომლის გარეშეც ვერც ერთი ნაშრომი, თუნდაც მაღალი მეცნიერული შედეგებით აღსავსე, ვერ მიაღწევს მკითხველის გულამდე. ვერ გახდება მისი საყვარელი წიგნი. ლ. ასათიანის ნაწერები მშვენიერი ქართულითაც გამოირჩევა, სიტყვასთან ჰიდილი მისი სტილია იყო.

უნდა აქვე ითქვას, რომ მკვლევრისა და ლიტერატორის ლ. ასათიანის ზემოთ აღნიშნული თვისებები მკაფიოდ გამოჩნდა მის მონუმენტურ მონოგრაფიაში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“. აკაკი წერეთელი ილიასთან ერთად ეს თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნეა და გასაგებია, თუ რა რთულ ამოცანას შეჰიდებია მკვლევარი. ლ. ასათიანის პირველი ლიტერატურული ნაბიჯების გაცნობისთანავე საჩინო ზდება, თუ როგორ თანდათანობით (იგი წლების მანძილზე აქვეყნებდა წერილებს) ბეჯითი კვლევა-ძიების საფუძველზე ემზადებოდა სანუკვარი ოცნების განხორციელებისათვის. მონოგრაფია პირველად გამოქვეყნდა 1940 წელს, ხოლო 1953 წელს დაიბეჭდა წიგნის შევსებულ-შესწორებული გამოცემა.

ეს არის ფართო გეგმით ჩაფიქრებული თხზულება და სავსებით გამორიცხავს ბუკვალურად გაგებული „ცხოვრების“ ვიწრო ჩარჩოებს. ფაქტიურად ჩვენ თვალწინ იშლება დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფია, ხოლო მისი პიროვნების თანდათანობითი ევოლუციის ჩვენებასთან ერთად გადმოცემულია მთელი XIX საუკუნის სულიერი ცხოვრების ფართო პანორამა.

მე აქ ზედმეტად მიმაჩნია ამ წიგნის შინაარსის, მრავალფეროვანი პასაჟების გადმოცემა. დღეს იგი სამაგიდო წიგნად ითვლება ყველა იმათთვის, ვისაც თუნდაც რაიმე კუთხით ინტერესი გამოუჩენია ჩვენი წინამორბედი დიდი საუკუნისადმი, მაგრამ, როგორც ფაქტს, აღვნიშნავ, რომ ამ წიგნმა გამოსვლისთანავე უეჭველად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა აკაკისა და ილიას ეპოქაზე. უფრო ღრმად ჩაგვახედა დიდი მგოსნის სულიერ სამყაროში, ბრძოლითა და ტკივილებით აღსავსე დიდ გზაზე, რომელიც განვლო აკაკი წერეთელმა მისი პირველი პოეტური ცდებიდან მოკიდებული, ახალი საუკუნის ათიან წლებამდე, როცა ქართველმა ხალხმა იგი დიდების გვირგვინით შემოსა და მგოსნის უმაღლესი პატივი მიანიჭა.

„საიდუმლო ბარათის“ და „განთიადის“ ავტორის რთული პიროვნული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის თავისებურებანი გაშუქებულია თითქმის ყველა კუთხიდან, სათანადო მეცნიერული სიღრმითა და ტაქტით. საკმარისია გავიხსენოთ, მაგალითად, ერთი შეხედვით ისეთი უცნაური ფაქტი, როცა ახალთაობის ერთ-ერთი მეთაურთაგანი აკაკი მიუხედავად პრინციპული პოზიციისა, თანამშრომლობს არა ილიას ახლად დაარსებულ ჟურნალში, არამედ ივანე კერესელიძის „ცისკარში“. აკაკის, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემწყნარებლური დამოკიდებულება ჰქონდა ძველი თაობის რამდენიმე წარმომადგენელთან. მაგ. ბარბარე ჯორჯაძესთან, ალექსანდრე ორბელიანთან და სხვ. აკაკი მათ ძველი საქართველოს ცოცხალ რელიქვიად აღიქვამდა და მათი მოკვეთა პოეტს საერთო ეროვნული საქმისათვის საზიანო მოვლენად მიაჩნდა. აკაკის

ცალკეული უთანხმოებანი, ან კი აკაკისა და ილიას რამდენიმე შეკამათება, რომელთა შორის ჯეფხისტყაოსნის შეფასების საკითხს ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს და ა. შ. ლ. ასათიანის წიგნში ყველა ამ ხასიათის მოვლენა ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებითაა ახსნილი და ნაჩვენებია, რომ როგორც აკაკის, ისე ილიას და საერთოდ აღნიშნული ეპოქის მესვეურთ, მიუხედავად ცალკეულ საკითხებში გარკვეული წინააღმდეგობისა, ამოძრავებდათ უწმინდესი მისია, რომელიც ჩვენი ხალხის სოციალურსა და ეროვნულ აღორძინებას უკავშირდებოდა.

არც ერთი ცხოვრებისეული ფაქტი, რომელიც მკვლევარს ყურადღების საგნად უქცევია, არ არის ცალკე, იზოლირებულად გადმოცემული. ყველგან მინიშნებულია მათი უშუალო კავშირი თვით პოეტის შემოქმედებით ევოლუციასთან. აღდგენილია მხატვრული ზრდის ყველა საეტაპო მომენტი, მნიშვნელოვან ქმნილებათა შემოქმედებითი ისტორია. შეუძლებელია მკითხველმა გატაცებით არ ჩაიკითხოს მონათხრობი აკაკის პირველ პოეტურ ცდებზე, იმ დიდ რეზონანსზე, რომელიც გამოიწვია პოეტის პირველმა ლექსებმა, რომელთა შორის მარგალიტად ბრწყინავს „საიდუმლო ბარათი“. მკვლევარი ასეთი სიტყვებით ამთავრებს ამ ლექსის მხატვრული ისტორიის გადმოცემას: „თითქმის ერთი საუკუნეა მას მღერის ქართველი ახალგაზრდობა, როგორც მიჯნურის პირველ სიმღერას, იგი სუნთქავს მარად უჭკნობი სიახლით, იმ მომხიბლავი სურნელებით, რომელიც ახლავს ყოველ გაზაფხულს, მწვანით მოსილ მდელოს, იგი სავსეა გულწრფელობით, უდიდესი ლირიზმით, ინტიმურობით, ამღერების უშუალობით“. „სალამურისა“ და შემდეგ „აღმართ-აღმართ“, „განთიადის“ და სხვა ლირიკული შედევრების ისტორიის მოთხრობით ხელშესახებად არის წარმოდგენილი დიდი პოეტის იდეური კონცეფციის თანდათანობითი ჩამოყალიბება და მხატვრული ოსტატობის ზრდა, რომელიც შემდეგ ქართველმა ხალხმა აღიქვა, როგორც დიდი ეროვნული ტკივილებით აღბეჭდილი ერთი მთლიანი ღაღადისი, ხოლო პოეტის სიტყვებს: „ჩემი ხატია სამშობლო — სახატე მთელი ქვეყანა“ — სამუდამო ნდობა გამოუცხადა.

პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა უმთავრესი საკითხის ღრმა მეცნიერულ გაშუქებასთან ერთად განსაკუთრებით საყურადღებოა დაკვირვება წარსულის უშუალო განცდაზე, რაც ეპიურ სიმაღლეს ანიჭებს აკაკის ისტორიულ პოემებსა თუ მოთხრობებს. აკაკის ხალხურობის საფუძველზე, აკაკის პოზიციაზე ენის საკითხებში და ა. შ., როგორც ზემოთაც ვთქვი, ლ. ასათიანის ამ წიგნს მომხიბლაობას ჰმატებს თხრობის შესაშური ოსტატობა. წიგნი კომპოზიციურად სადაა და ავტორს რაიმე გართულებისათვის არ მიუმართავს. არ გაუტაცნია მხატვრულ ეფექტებს. აქ თანმიმდევრულადაა მოთხრობილი პოეტის

ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტები და ავტორი ცალკეული თავის დასაწყისშივე გვაცნობს გასაშუქებლად წამოყენებული საკითხის მნიშვნელობას. იწვევს მკითხველის ინტერესს და შემდეგ ამომწურავად აწვდის პასუხს თავშივე წამოყენებულ კითხვებზე. ლ. ასათიანის წიგნი „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ ამასთან დაზღვეულია ყოველგვარი ყალბი პათეტიკისაგან, ე. წ. მხატვრულობის პრეტენზიულობისაგან, რაც სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი თანამგზავრია ანალოგიური ტიპის თხზულებათათვის.

ლ. ასათიანი ჩვენი თანამედროვე იყო, ჩვენი დღევანდელი მწერლობის ერთი აქტიური მოღვაწეთაგანი, თანამედროვეობის სულითაა აღბეჭდილი ყველა მისი გამოკვლევა, რომელიც ახლო თუ შორეულ წარსულს ეძღვნება. მასვე ეკუთვნის ძალზე საგულისხმო ნარკვევები მეზობელ ხალხებთან ლიტერატურულ ურთიერთობებზე. ამ საკითხებს მან რამდენიმე გამოკვლევა და წიგნი მიუძღვნა და უნდა ითქვას, რომ იგი ამ კეთილშობილური საქმის ერთი პიონერთაგანია ჩვენში. ლ. ასათიანი ავტორია საინტერესო ვრცელი წერილებისა მის თანამედროვე მწერლებზე, მხატვრებსა თუ ხელოვნების მოღვაწეებზე და ხშირ შემთხვევაში მისი შეფასებანი ზუსტი და უცთომელია.

ლ. ასათიანი მჭიდრო მეგობრობით იყო დაკავშირებული ქართველ, რუს თუ სხვა ხალხების გამოჩენილ მწერლებთან, მოღვაწეებთან. ასევითვე დიდი სიყვარული აკავშირებდა მას მომდევნო ლიტერატურულ თაობებთან. როგორც ნამდვილ მამულიშვილს შეჰფერის, მამობრივ მზრუნველობას იჩენდა მათდამი, ყოველმხრივ ხელს უწყობდა იმ ძნელად სავალ გზაზე, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის სამსახური ჰქვია.

ლ. ასათიანმა თავისი პიროვნებით, ცხოვრებითა და უანგარო შრომით წარუშლელი კვალი დატოვა. როგორც იტყვიან, ჭეშმარიტ ღვაწლს ქომაგი არ სჭირდება. მომავალ თაობებს მისივე წიგნები შეახსენებენ მათ ავტორს — ჩინებულ მკვლევარსა და ლიტერატორს — ლევან ასათიანს.

1975 წ.

10. მეცნიერების მაღალი მწვერვალები

(გიორგი წერეთელი)

მე და ჩემი მეგობრები სკოლის მოსწავლეები ვიყავით, როცა გიორგი წერეთლის სახელი რაღაც ლეგენდარული სახით წარმოგვიდგა. ჩვენ მხოლოდ ბუნდოვნად გაგვეგონა, რომ არსებობდა მანამდე ამოუ-

შიფრავი წარწერები მცხეთაში და ისინი ქართველმა მეცნიერმა ამოხსნა, მსოფლიო კულტურის კუთვნილებად აქცია. მის სახელი დიდ მეცნიერთა — ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის გვერდით იხსენიებოდა ხშირად და არ კი ვიცოდით, რომ გიორგი წერეთელი მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ორმოც წელს არც კი იყო მიღწეული. „არმაზის ბილინგვის“ საიდუმლოებათა ამოცნობამ მას უკვე ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი მიაკუთვნა ახალ ქართულ მეცნიერებაში.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ტიტანური ძალისხმევით, მიზანსწრაფული შრომით, მან მეცნიერების დიდი სიმაღლეები დაიპყრო. მსოფლიო ასპარეზზე სახელი მოუხვეჭა საბჭოურ მეცნიერებას, ღრმა და ფუნდამენტური გამოკვლევებით შეურყეველი ავტორიტეტი დაიმსახურა ორიენტალისტიკის დარგში.

გიორგი წერეთელმა ამასთან სახელი გაითქვა, როგორც დიდმა მეცნიერ-ორგანიზატორმა, გამოჩენილი რუსი მეცნიერის ი. კრაჩკოვსკის უპირველესი მოწაფე თვითონ გადაიქცა ახალი ორიენტალისტიკის მეთაურად. ფაქტიურად მან შექმნა აგრეთვე ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა, რომელიც დღეს ასე აღიარებულია მთელს საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. დასაბამი მისცა ახალ ლინგვისტიკურ მიმართულებებს, ახალ იდეებს.

გიორგი წერეთელს მის ახლობელ მოწაფეთა შორის ხშირად უყვარდა თავისი მოძღვრის ი. კრაჩკოვსკის სიტყვების გახსენება: ნამდვილი მოწაფე ის კი არ არის, ვინც მხოლოდ ჰბაძავს, ან კი იმეორებს თავის მასწავლებელს, არამედ ვინც შემოქმედებითად აგრძელებს მის იდეებს და შემდეგ თვითონვე ქმნის ახალ მიმართულებებს, სვამს და ავითარებს ახალ პრობლემებს. ამ ნიშნით წარმართავდა იგი თავის მუშაობას უმცროს კოლეგებთან და ზრდიდა კიდეც ახალ შესანიშნავ მეცნიერულ კადრებს.

განსაცვიფრებელია მისი ერუდიცია, ფართო ინტერესები. როგორც ცნობილია, მან არა ერთი ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა არაბულ კულტურას, ენასა და ფოლკლორს. იგი არაბული ცივილიზაციის ერთი უპირველესი მცოდნეთაგანი იყო ჩვენი დროის მეცნიერთა შორის. სხვათა შორის, მის ერთ ბრწყინვალე გამოსვლას არაბულ ენაზე უცხოელ მეცნიერთა დიდ ფორუმზე დაესწრო გამოჩენილი რუსი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი და თავისი დიდი აღტაცება შესანიშნავად აღწერა კიდეც მის ერთ ცნობილ დოკუმენტურ მოთხრობაში.

ასევე მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ებრაისტიკასა და არაბისტიკაში, იგი წარმატებით იკვლევდა ახლო აღმოსავლეთის ენებსა და დამწერლობათა ისტორიას. ასევე ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართველოლოგიაში და ზოგად ლინგვისტიკაში... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მე პირადად მომისმენია მისი მოხსენებები ზოგადი ლინგვის-

ტიკის სფეროდან, რომელშიც ათეულ ენათა მონაცემები იყო გათვალისწინებული, რომელთაგან დიდ ნაწილს იგი პრაქტიკულადაც ფლობდა.

გიორგი წერეთელი დიდი ეროვნული სულისკვეთებით იყო აღვსილი და ამასთან, საუკეთესოდ უხამებდა თავის მუშაობაში ეროვნულსა და საერთაშორისოს, ცდილობდა მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის კუთვნილებად ექცია ჩვენი ხალხის შემოქმედებითი აზრისა თუ მეცნიერების მიღწევები. მას ღრმად სწამდა, რომ მეცნიერი მანქანას, რობოტს არ უნდა მიემსგავსოს. მთავარია არა მხოლოდ სწრაფვა მეცნიერული აღმოჩენებისაკენ, ჭეშმარიტ მეცნიერს გზას უნდა უნათებდეს თავისი ხალხის დიდი სიყვარული.

ამიტომ იგი ზოგად პრობლემათა არეალში ყოველთვის ეძებდა ისეთ კუთხესაც, საიდანაც ახალი შუქი მოეფინებოდა ჩვენი ხალხის ეროვნული კულტურის კვლევას.

ამ მხრივ მისაბაძი იყო და სავსებით ახლებური მიდგომით გამოირჩეოდა მეცნიერების ბრწყინვალე მოხსენება 1947 წელს: „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“, რომელმაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია და საკითხთა ახალი ასპექტები წამოჭრა.

გიორგი წერეთელმა რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა ქართული კულტურისათვის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა ქართული დამწერლობის წარმოშობა. იგი ამ საკითხებს, და ეს იყო განსაკუთრებულად ფასეული, არა იზოლირებულად, არამედ ახლო აღმოსავლეთის დამწერლობებთან მჭიდრო კავშირში სწავლობდა, რაშიც მას, პირველ რიგში, ამ ენებში დიდი განსწავლულობა უნათებდა გზას. ივანე ჯავახიშვილის შემდეგ მან განავითარა და წამოაყენა ახალი ჰიპოთეზა ქართული ანბანის წარმომავლობაზე. კონკრეტულ პროტოტიპთა მინიშნებასთან ერთად აქ უმთავრესი მაინც მეთოდოლოგიური მხარე იყო. ქართული ანბანის ერთბაშად შექმნაზე საუბარი ფსევდო მეცნიერულ მარჩიელობად მიაჩნდა. ქართული ანბანის რეტროსპექტული შესწავლა, მისი აზრით, ქართული დამწერლობის ჭეშმარიტი სათავეების აღმოჩენის ყველაზე საიმედო გზაა.

სკრუპულოზური კვლევითა და მახვილი მიგნებებით სამაგალითოა აგრეთვე გ. წერეთლის გამოკვლევა „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“. როგორც ეს აღიარებულია, მეცნიერმა მკაცრი ანალიზისა და დიდძალი ისტორიული მასალის გამოყენების საფუძველზე დაამტკიცა, რომ პალესტინის წარწერები თითქმის ნახევარ საუკუნეზე ძეტით წინ უსწრებს მანამდე უძველესად მიჩნეულ ბოლნისისა და მცხეთის ქართულ წარწერებს.

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის სხვაზე საგულისხმო ის არის, რომ გიორგი წერეთელი მსოფლიო, და პირველ რიგში, ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე იყო. მას გულწრფელ სიხარულს გვრიდა დღევანდელი ქართული მწერლობის ყოველი წარმატება. ქართული მწერლობის დიდი სიყვარული მან იმითაც დაამტკიცა, რომ მეცნიერული შესწავლის საგნად ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებიდანვე შოთა რუსთაველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი გაიხადა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1938 წელს (ენიმკის მოამბე, 111) გამოქვეყნებული გამოკვლევა „ნესტანდარეჯანი" შუა აზიის ფოლკლორში". როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის" ავტორი მხატვრული ამოცანის შესაბამისად (მოქმედების ფართო გეოგრაფიულ არეებზე გაშლა) ქართულ სახელებთან ერთად (მაგ. ტარიელი, თინათინი და სხვ.) ზოგი პერსონაჟისათვის უცხოურ სახელებსაც იყენებს. ნიკო მარი, სრულიად მართებულად, აღმოსავლურ სამყაროს (კერძოდ, ამჯერად სპარსულის მეშვეობით) უკავშირებდა, მაგალითად, ნესტან-დარეჯანის სახელს. სპარსული გამოთქმით „ნისტ ანდარე-ჯაჰან" ნიშნავს შეუდარებელს, მსოფლიოში მსგავსი რომ არ ჰყავს ისეთ მზეთუნახავს. გიორგი წერეთელი, შუა აზიის არაბული დიალექტების უბრწყინვალესი მცოდნე, ადასტურებს აღნიშნულ წერილში, რომ ასეთი სახელი სრულიად სხვა ტიპის სიუჟეტში გავრცელებული ყოფილა შუა-აზიის ფოლკლორშიც და აქაც იგი მზეთუნახავისა და ზეციური სილამაზის მქონე არსების სახელია. მას არაბული სამყაროდან მოაქვს სხვა მაგალითებიც (განსაკუთრებით საინტერესოა, კ. ი. ჩაიკინის ცნობები მე-13 საუკუნის არაბ მწერალთან ასეთივე სახელის დადასტურების გამო) და სამართლიანად ასკვნის, რომ აღმოსავლურ სახელთა გამოყენების ეს ხერხი არავითარ კავშირშია სიუჟეტის ე. წ. „სესხების" თეორიასთან, რადგან რუსთაველის პოემა თავისი იდეური ჩანაფიქრითა და ფორმით უაღრესად ქართული მოვლენაა.

რუსთველოლოგიურ საკითხებზე მუშაობა შემდეგში კიდევ უფრო ინსტენსიურ ხასიათს იღებს. ბოლოს, შეიძლება ითქვას, ძალზე ნაყოფიერი წლები მან ძირითადად ვეფხისტყაოსნის ფილოლოგიურ შესწავლას მიუძღვნა. და, როგორც მოსალოდნელი იყო, ღრმა კვალი დაამჩნია პოემის მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს. აქ მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ თეორიული ხასიათის წერილები ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიის საკითხებზე, არამედ მისი შესანიშნავი ცალკეული გამოკვლევები, რუსთველოლოგიური შტუდიები, რომლებშიც კიდევ ერთხელ გამოჩნდა მეცნიერის უდიდეს ერუდიციასთან შერწყმული მახვილი კვლევა-ძიების უნარი.

განსაკუთრებით ფასეულია ამ თვლსაზრისით ტექსტოლოგიური თუ ლექსიკოლოგიური დაკვირვებები, რომელთაგან დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს.

ვახტანგისეულ გამოცემაში, როგორც ცნობილია, ასე იკითხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მესამე სტროფი:

„ვის შვენის ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიშველისა,
— მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ თმა-გიშერისა,
„მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა ხ შ ი რ ი ს ა?
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა, მირთმა ხამს მართ მ შ ი ე რ ი ს ა“.

ნიკო მარმა პირველთაგანმა აღნიშნა, რომ აშკარად დამახინჯებული იყო ამ სტროფის მესამე და მეოთხე სარითმო სიტყვები. საგულისხმოა, რომ ამ ადგილს ვახტანგის გამოცემისებურად კითხულობდნენ მომდევნო გამოცემებშიც. მაგალითად, დ. კარიჭაშვილი 1903 წლის გამოცემაში (ვახტანგის კომენტარზე დაყრდნობით) ასე განმარტავდა მეოთხე სტრიქონს: „მის მაცქერალთ მხოლოდ ყანდის (შაჭრის) ჭამა დასჭირდებათ, მშივრებიც რომ იყვნენო“.

ხ. ძარისავე შენიშვნით, ამ სტრიქონებში დარღვეულია სარითმო ერთეულებიც (დარღვეული იყო საყრდენ თანხმოვანზე გაწყობილი რითმა შ ე რ ი ს ა-შ ი რ ი ს ა) და შეასწორა კიდეც — „მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შ ე რ ი ს ა, მისთა მჭვრეტელთა ყანდისა, შირთმა ხამს მართ და შ ე რ ი ს ა“.

მაგრამ ბოლო სტრიქონის „და შერისა“ აშკარად ხელოვნურია. კავშირი დ ა აქ შუაზე ჰყოფს მ ა რ თ და შ ე რ ი-ს შესიტყვებას, არც ამ ბოლო სიტყვის შ ე რ ი ს მარისეული გაგებაა რუსთველისათვის დამახასიათებელი (სპარს. შერი — რძე): და ასეც რომ გავიგოთ ეს სიტყვა, სტრიქონი აზრობრივად მაინც გაუმართავი გამოდის.

ხელნაწერები კი ამ დროს იძლევიან საშუალებას ასე გაიმართოს სტრიქონი: „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მ ი შ ე რ ი ს ა“. ამჟამად არსებობს ამ ადგილის სხვადასხვა გაგება: მაგალითად, იუსტინე აბულაძე მას ორად ჰყოფდა: „მი შერისა“ და „მი“ ზმნისწინათ მიაჩნდა, რაც რუსთველისათვის დამახასიათებელი ხერხია. ზმნა „მირთმა“ განმეორებულია „მი“ ზმნისწინით, ვუკოლ ბერიძე ეთანხმება პირველი „შერის“ რჩეულად გაგებას (1904 წლის „მოამბის“ მეხუთე ნომერში ეს შენიშნა კირიონ ეპისკოპოსმა და სულხან-საბას განმარტება მოიშველია: შერი—რჩეულიაო), მაგრამ ვ. ბერიძე მომდევნო სტრიქონში „მიშერს“ ერთ სიტყვად კითხულობს: „მიშერი“ ე. ი. მისრული, ეგვიპტურიო და აქედან სტრიქონის აზრი: „მისთა მჭვრეტელთა მართებთ, რომ მას ეგვიპტური ყანდი მიართვან“, თუმცა

მისრულიდან მიშერის წარმოება არც ისე ბუნებრივი ჩანს პოემის ენისათვის.

გიორგი წერეთელმა ჯერ სპეციალურ მოხსენებაში (წაკითხული იყო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე) ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხებზე, ხოლო შემდეგ გამოკვლევაში შენიშნა, რომ მართებული ჩანს თვით ხელნაწერთაგან ნაანდერძევი წაკითხვა:

მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?

მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა.

„ხოტბა შერისა“ აქ აღმოსავლური (უფრო არაბული) პოეტიკის ტექნიკური ტერმინის (ხუტბა შეერ) გადმოცემაა და რჩეულ ლექსს, რჩეული ქების შესხმას ნიშნავს, ხოლო მიშერი ასევე არაბულ-სპარსული სამყაროდან ნასესხები სიტყვაა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა: გოლეული თაფლი, რაც ზუსტად ეთანხმება კონტექსტს: „არ ვიცი შევკადრო (გავუბედო) მას რჩეული ლექსების შესხმა? მისი მნახველნი მას ყანდს (ყანდს კი არა) მართლაც გოლეულ თაფლს უნდა უძღვნიდნენო““. ასე გაიმართა აღნიშნული ადგილი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ 1966 წელს გამოქვეყნებულ ვეფხისტყაოსნის გამოცემაში და შემდეგ სხვა გამოცემებშიც.

გიორგი წერეთელი ანგარიშს უწევდა არა მარტო კონტექსტს, არამედ სიტყვის ისტორიას, დაწერილობის ტრადიციას, ხოლო ესა თუ ის სიტყვა თუ უცხო წარმომავლობისაა, მისი იმიგრირების გზასა და ეპოქას. სანიმუშოა ამ თვალსაზრისით პოემაში ხშირად ხმარებული სიტყვა „ბადახში“. ადრეულ გამოცემებში იგი „ბალახშ“ ფორმით იყო წარმოდგენილი, მაგრამ ქართველიშვილისეული (1888 წ.) გამოცემიდან მოკიდებული იგი შეიცვალა დაწერილობით „ბადახში“ (ბადახშანი მხარე სამხრეთ შუა აზიაში, აქედან ბადახში — ბადახშანური ლალი).

ნიკო მარი შენიშნავდა ამასთან დაკავშირებით, რომ იქნებ ნაადრევი იყო „ბალახშის“ შეცვლა „ბადახშით“, რადგან ორივე ფორმა მართებულია და საძიებელია, თუ რა გზით დამკვიდრდა იგი ქართულს მეტყველებაშიო (XII, 1910, გვ. 17).

ეს შენიშვნა უფრო ფასეული აღმოჩნდა დღეს, რადგან კვლავ დაისვა ამ სიტყვის თავდაპირველი ფორმის აღდგენის საკითხი. ძველქართულ ძეგლთა ამ თვალსაზრისით შესწავლა გვიჩვენებს, რომ დიდი უმრავლესობა ავტორებისა მოკიდებული კლასიკური ხანიდან იცნობს ფორმას „ბალახში“. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ მიიყვანა თეიმურაზ ბაგრატიონი დასკვნამდე, რომ „ბალახში — ჩვენებურად ეწოდების, სპარსულად ბადახშ ანუ ლალი-ბადახშ სახელდებისო“.

გიორგი წერეთელმა ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, მე ვფიქრობ, საბოლოო სიტყვა თქვა ამ სიტყვის სწორი დაწერილობის თაობაზე: „თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვის ისტორიის შესწავლას ტექსტის სწორი აღდგენისათვის, ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან. ეს სიტყვა არის „ბალახში“. იგი ვეფხისტყაოსანში ხშირად გვხვდება, როგორც ეპითეტი ბაგეების აღსანიშნავად ისევე როგორც ამას სპარსულ პოეზიაში აქვს ადგილი. ჩვეულებრივ, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, ისევე როგორც ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებში, იგი „ბალახშის“ ფორმით გვხვდება, მაგრამ ზოგჯერ „ბადახშიც“ იხმარება. ვეფხისტყაოსნის მთელ რიგ გამოცემებში „ბადახშია“ მიღებული იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ სპარსულ სალიტერატურო ენაში ეს ფორმაა გავრცელებული. მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არაბულსა და სპარსულში გავრცელებულია არა მხოლოდ „ბადახში და ბადახშანი“, არამედ „ბალახში“ და „ბალახშანი“. დღეს უკვე ცნობილია, რომ სპარსულში „ბადახშის“ გვერდით არსებობდა მისი მეორე ფორმა „ბალახში“ და სწორედ ეს ფორმა იყო გავრცელებული ხალხში, ცოცხალ მეტყველებაში. სწორედ ეს ფორმა შეძოვიდა ქართულშიც და იმდენად გავრცელდა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს იგი ქართული ჰგონია. იგივე ფორმაა გავრცელებული სხვა ენებშიც: ფრანგულში Balais „ბალე“, ინგლისურში Balas „ბალას“ და ა. შ. ეს ფორმა (ლ-ბგერით) მომდინარეობს სპარსული ხალხური „ბალახშიდან“ და არა „ბადახშიდან“. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართულშიც ეს ფორმაა შემოსული და საჭირო არაა რუსთველის ტექსტში ის სალიტერატურო სპარსულის ნორმის მიხედვით გადავაქეთოთ“ (ჟურნ. „მაცნე“, 1966 წ. № 5).

მართლაც, დაწერილობა „ბალახში“ განხორციელდა ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემებში, როგორიცაა, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და საიუბილეო გამოცემები.

ტექსტზე მუშაობისას, ეს მისი აგრერიგად მისაბაძი თვისება იყო, იგი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა და უკიდურესად ერიდებოდა ტექსტოლოგიურ ჩარევას, კონიექტურას. აღნიშნავდა კიდეც, რომ „ხშირად ის, რაც ერთი შეხედვით გაუგებარი და გაუმართავი ჩანს, დეტალური შესწავლის შემდეგ სრულებით ბუნებრივი და გასაგები აღმოჩნდება ხოლმეო“. მან, მართლაც, გამოიკვლია და ე. წ. კონიექტურისაგან დაიცვა კიდეც პოემის არაერთი ძველი წაკითხვა, რაც ზოგ მკვლევართა შორის გაუგებრობას ჰბადებდა (ზოგი ასეთი ადგილის შესახებ იხ. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე დართული ბოლოსიტყვაობა,

1966 წელი, გვ. 315—319). მასვე ეკუთვნის ყოველმხრივი განმარტება ისეთი სიტყვებისა პოემიდან, როგორიცაა მიჯნური, ობოლი მარგალიტი, მინა, რუბი და მრავალი სხვა.

მაგრამ რუსთველოლოგიის დარგში მის დამსახურებათა შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს შემდეგი. სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნისა. ამასთან პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი ყველაზე თანმიმდევრულად და დიდი შემოქმედებითი გატაცებით შეუდგა პოემის ტექსტზე მუშაობას და არც ერთი წუთითაც არ გარიდებია თვით „შავ სამუშაოთა“ შესრულებასაც კი. სწორედ მან წამოაყენა რიგი ახალი მეთოდოლოგიური პრინციპი და მუშაობის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც საფუძვლად დაედო ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის შემუშავებას, რომლის პირველი ნაბიჯები, მისივე უშუალო ხელმძღვანელობით, უკვე გადადგმულია. ამ საშვილიშვილო საქმის გასრულება გიორგი წერეთლის მარადსახსოვარ სახელთან იქნება პირველ რიგში დაკავშირებული.

სრულიად ახალი სიტყვაა ქართული ლექსთმცოდნეობის ისტორიაში გიორგი წერეთლის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, რომელიც წინ უძღვის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მისივე ხელმძღვანელობით მომზადებულ წიგნს. ამ ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც და მომავალში ალბათ, უფრო ნათლად გამოჩნდება მისი უეჭველი ღირსებები. დავსძენ მხოლოდ, რომ ნაშრომში ქართული ლექსის ბუნება, და ეს არის უმთავრესი, აქ უწინარეს ქართულ ენობრივ სამყაროსთან უმჭიდროეს კავშირშია შესწავლილი. ამით კი ისახება ახალი პერსპექტივები და კვლევა-ძიების სრულყოფილი მეთოდოლოგია.

გიორგი წერეთელი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე (გარდაიცვალა 1973 წელს) აღსავსე იყო ახალი იდეებით, შემოქმედებითი ენერგიით, „ძალიც შესწევდა ქადილისა“ და აი, ამ დროს სრულიად მოულოდნელად ულმობელმა სენმა ლოგინად ჩააგდო...

გიორგი წერეთელი თავისი პიროვნული ღირსებებით, მეცნიერული ძალით ერთ-ერთი უნიკალური მოვლენა იყო ქართულ და არა მარტო ქართულ მეცნიერებაში. ასეთები, მართლაც, რომ იშვიათად იბადებიან.

1974 წ.

11. ალექსანდრე ბარამიძე

„სადაცა არ ბრძოლაი, მუნცა არ პატივი
და, სადაცა ღუაწლი, მუნცა გვირგვინი".
იოანე ოქროპირი

სახელოვან მეცნიერსა და მამულიშვილს ალექსანდრე ბარამიძეს შეუსრულდა დაბადებიდან ოთხმოცი წელი. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც იგი ასეთი უშრეტი ენერგიით ემსახურება საშვილიშვილო საქმეს — ქართველი ხალხის უმდიდრესი კულტურის შესწავლასა და გამომზეურებას.

ათეული წლები ჩამოთავდა შრომასა და ძიებაში, ფიქრსა და ზრუნვაში. და დღეს მისი უმცროსი კოლეგები, მოწაფეები, მისი ნიჭისა და ღვაწლის პატივისმცემლები, სიამოვნებით ვაცნობთ თვალს შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის სპეტაკსა და უანგარო ცხოვრებას.

წინასწარ კი შევნიშნავ, რომ მეცნიერის ბიოგრაფია თუმცა არ ყოფილა დატვირთული რაღაც განსაკუთრებული ქარტეხილებით, საწუთისოფლო ტკივილი და უმადურების მსახვრალი ხელი არ დაჰკლებია მას ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით მეცნიერის მოგონებები, რომლებიც დროგამოშვებით ქვეყნდებოდა ამ რამდენიმე წლის წინ ჟურნალ „მნათობში". საგულისხმო ცნობებთან ერთად, რომლებიც თანამედროვე ქართული კულტურის საკითხებს შეეხება, მკითხველი მათში თვალნათლივ დაინახავს, რომ „დათმენა" და „პირში არ გატეხა" ისევე სჭირდება წიგნის კაცს, როგორც მამულიშვილობის ყოველგვარ ასპარეზზე გამოსულ პიროვნებას. აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის ცხოვრების გზა საქვეყნო საქმეთათვის თაყდადებული ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითია. ქვემოთ, ვიდრე შევეხებოდე მის მეცნიერულ ღვაწლს, ორიოდე სიტყვით მინდა შევახსენო მკითხველს ჩვენი იუბილარის მიერ განვლილი გზა.

* * *

დაბა ლანჩხუთს სამხრეთით ჩამოუდის პატარა ხევისწყალა ორაგვის ღელე, რომლის აყოლებაზე მდებარეობს ასევე პატარა სოფელი ჯუნჯუღათი, სადაც 1902 წლის 27 მარტს სოფლის მასწავლებლის ოჯახში დაიბადა ალექსანდრე ბარამიძე. ოფიციალურ დოკუმენტებში, მეცნიერზე დაწერილ ბიოგრაფიებში თქვენ ამ პატარა სოფლის სახელს ვეღარ შეხვდებით, იგი მეზობელი სოფლისათვის შეუერთებიათ შემდეგში.

პირველდაწყებითი განათლება მომავალ მეცნიერს აქვე, დაბა ლანჩხუთში, მიუღია. ერთ დროს სწავლობდა ფოთში, ხოლო საშუალო სკოლა მან 1920 წელს ხაშურში დაამთავრა.

მისდა საბედნიეროდ, ამ დროს არსებობის უკვე რამდენიმე წელს ითვლიდა დიდებული კერა ჩვენი კულტურისა — ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტი. სკოლის დამთავრებისთანავე ალექსანდრე ბარამიძე შედის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელსაც წარმატებით ამთავრეს 1925 წელს, სწორედ ამ ხანებში იგი უკავშირდება ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე ელიაშვილის ჩინებულ ოჯახს, რომლის ქალიშვილი ნინო ივანეს ასული ელიაშვილი მისი ცხოვრების განუყრელი მეგობარი შეიქნა.

სულ მალე ნიჭიერ ახალგაზრდა მკვლევარს უნივერსიტეტში იწვევენ პროფესორობისათვის მოსამზადებლად, 1927 წლიდან იგი კორნელი კეკელიძის მიერ დაარსებული ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტია, 1932 წლიდან — დოცენტი. ალექსანდრე ბარამიძე უკვე ამ დროიდან კითხულობდა ლექციების კურსს ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში.

1936 წლის 7 მარტს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“ და იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

თავაუღებელ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ალ. ბარამიძე წლების მანძილზე მუშაობდა და მუშაობს სხვადასხვა თანამდებობებზე ქართულ სამეცნიერო კერებში. 1944—1945 წლებში იგი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანია, 1945—1949 წლებში კი — პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში.

1962 წლიდან, მისი დიდი მასწავლებლის კორნელი კეკელიძის გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე ბარამიძე უძღვება უნივერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის კათედრას.

პირველი დღიდან, როცა 1942 წელს დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ალექსანდრე ბარამიძე ამ ინსტიტუტის თანამშრომელია. ჯერ ხელმძღვანელობს ახალი ქართული, ხოლო შემდეგ ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებას. 1957—1966 წლებში იგი რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია, ხოლო 1966 წლიდან ინიშნება ამავე ინსტიტუტის დირექტორად და დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს ინსტიტუტში გაშლილ დიდ სამეცნიერო მუშაობას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იგი არ იფარგლებოდა მარტო უნივერსიტეტითა და მეცნიერებათა აკადემიით. ალ. ბარამიძე წლების მანძილზე მუშაობდა და კითხულობდა მეცნიერულ კურსებს ქუთაისის, გორის, თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მუშაობდა საქარ-

თველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების (დღეს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი) უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საფუძველი აღნიშნულ განყოფილებაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა მეცნიერულ აღწერა-სისტემატიზაციას.

1968 წლიდან იგი მთავარი რედაქტორია ქართველოლოგიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემისა, როგორიცაა ჟურნალი „მაცნე". აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში ჟურნალმა „მაცნემ" დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

დაარსების დღიდან (1962 წ.) ალექსანდრე ბარამიძე, როგორც მთავარი რედაქციის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს ფართოდ გაშლილ სამუშაოებში, რომლებიც ტარდება ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში და მიმართულია პოემის საუკუნეთა მანძილზე დამახინჯებული ტექსტის აღდგენისაკენ. 1973 წლიდან კი იგი უკვე სათავეში ჩაუდგა მთავარ რედაქციას და როგორც მთავარი რედაქტორი მძიმე და შრომატევადი სარედაქციო სამუშაოებს ხელმძღვანელობს.

ალექსანდრე ბარამიძე, ამასთან, ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. საკმარისია ითქვას, რომ იგი წლების მანძილზე საზოგადოება „ცოდნის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია. 1970-იანი წლებიდან იგი თავმჯდომარეობს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს ფილიალს და ა. შ.

1946 წელს ალექსანდრე ბარამიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი ამავე წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1953 —1955 წლებში ასრულებს აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობას. 1960 წელს იგი, როგორც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთი მეთაურთაგანი, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

*
* *

ალექსანდრე ბარამიძემ დიდი წვლილი შეიტანა საზოგადოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში და მისი როგორც მეცნიერის, ლიტერატურის ისტორიკოსის, დიაპაზონი ამ თვალსაზრისით ძალზე ფართოა.

მაგრამ მაინც თავისი კვლევა-ძიების უმთავრეს საგნად მეცნიერმა აირჩია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძნე-

ლესი და ნაკლებად შესწავლილი უბანი, რომელსაც მიღებული პერიოდიზაციით ძველი ქართული მწერლობა ეწოდება.

ეს კი მოღვაწეობის ისეთი ასპარეზია, რომელიც ნიჭის, გარჯისა და ღრმა განსწავლულობასთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულ მიზანსწრაფვას, დიდ გატაცებას. ალექსანდრე ბარამიძე, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ამ თვისებებით უხვად არის დაჯილდოებული.

იგი ღირსეული მოწაფე და გამგრძელებელია ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე კოჰორტისა, რომელთაც ჩვენი საუკუნის დამდეგიდან წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნიეს ქართული მეცნიერების აღორძინება. ამ დიდი მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფი, როგორც ცნობილია, ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო. სწორედ აქ აღიზარდა, პირველი წრთობა მიიღო ახალგაზრდა მეცნიერთა იმ თაობამ, რომელიც შემდგომში ასეთი წარმატებით გაუძღვა ქართული მეცნიერების სხვადასხვა მნიშვნელოვან უბანს.

ალექსანდრე ბარამიძე, დღეს სახელმოხვეჭილი მეცნიერი, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი აღზრდილთაგანი, წინამორბედთა კვალდაკვალ შეუბღალავი ღირსებით ეწევა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მძიმე ჯაპანს.

ხშირ შემთხვევაში პირველი გამარჯვება მომავალ წარმატებათა საწინდარი ხდება. ალექსანდრე ბარამიძის ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოქვეყნებულ პირველ ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და იუსტინე აბულაძე. ახალგაზრდა მეცნიერი მაშინვე მიიჩნიეს საიმედო მეცნიერულ ძალად, რომელსაც ხელეწიფებოდა გაბედულად შებმოდა ქართული კულტურის ისეთი რთული უბნის შესწავლას, როგორსაც ძველი ქართული მწერლობა წარმოადგენს.

ხელდასხმა რომ უცთომელი გამოდგა, ამას თვალნათლივ ამტკიცებს ალექსანდრე ბარამიძის მთელი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა, ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა მან თანამედროვე ქართული ფილოლოგიის, კერძოდ კი, ლიტერატურათმცოდნეობის წარმატება-განვითარების საქმეში.

ძველ ქართულ მწერლობას ყოველთვის ჰყავდა თავისი მესვეურები, ძველად და ახლო წარსულშიც. მაგრამ მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე მისი შესწავლა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში განხორციელდა. როგორც ცნობილია, ძველი ქართული მწერლობა V—XVIII საუკუნეებს მოიცავს და მას, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ამშვენებს ისეთი სახელები, როგორებიც არიან იაკობ ცურტაველი და გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, არსენ

იყალთოელი და პეტრიწი, ჩახრუხაძე და რუსთაველი, სულხან-საბა და ვახტანგ მეექვსე, გურამიშვილი და ბესიკი.

ძველი ქართული მწერლობა არაჩვეულებრივად რთულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების მთელ კომპლექსებს მოიცავს და მის შესწავლაში ფასდაუდებელი წვლილი გაიღო დიდმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ. მას ღირსეულად დაუმშვენა მხარი მისმავე მოწაფემ ალექსანდრე ბარამიძემ და, როგორც ეს ჭეშმარიტ მემკვიდრეთა წესია, არა მხოლოდ განაგრძო წამოწყებული საქმეები, არამედ თვითონვე დაუდო სათავე არაერთ ახალ მიმართულებას ამ დარგში.

მან მეცნიერული კვლევის საგნად უპირატესად ქართული საერო მწერლობა გაიხადა, რომელიც მე-11 საუკუნიდან იწყებს აღორძინებას და ერთ-ერთ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში. ალექსანდრე ბარამიძემ კორნელი კეკელიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული მწერლობის ერთიანი მეცნიერული კურსის შექმნა-ჩამოყალიბებას, რომელიც დღესაც სანიმუშოდ ითვლება და თარგმნილია კიდეც სხვა ხალხთა ენებზეც.

ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული კურსის შექმნას წინ უძღოდა დიდი და შრომატევადი სამუშაოები, რომელთა ერთი დიდი წილის შესრულების პატივი სწორედ მეცნიერის სახელთანაა დაკავშირებული, სანიმუშოდ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს გავიხსენებ.

ალექსანდრე ბარამიძემ არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ქართული საერო მწერლობის თავისებურებებსა და წარმოშობის მიზეზებს, რაც დღესაც ერთ-ერთი საკვანძო პრობლემად ითვლება. სულ სხვაგვარად ისმოდა იგი გასული საუკუნის ბოლო ათეულ წლებში (იხ. ნ. მარის ცნობილი ნაშრომი «Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы», ЖМНП, 1899, № XII, გვ. 222—253) და სხვაგვარად ისმის დღეს, როცა წინააღმდეგ ადრე გამოთქმული მცდარი კონცეფციებისა, წარმოჩენილია ქართული საერო მწერლობის აღმოცენების რეალური მიზეზები და ეროვნული ფესვები. ალექსანდრე ბარამიძემ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, გარკვეული წვლილი შეიტანა თავისი შრომებით ზემოთ დასახელებული პრობლემის შემდგომ დამუშავებაში.

მახვილი დაკვირვებებით გამოირჩევა მკვლევარის ნაშრომები ქართული კლასიკური მწერლობის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა ჩახრუხაძის „თამარიანი" და „აბდულმესიანი", რომელიც იოანე შავთელს მიეწერება. განსაკუთრებით ფასეულია მკვლევრის დასკვნები ამ უკანასკნელი ძეგლის შესახებ. იგი აქ საკუთარ დაკვირვებებს ეყრდნობა

და განამტკიცებს ტრადიციულ შეხედულებას „აბდულმესიანის“ ქების ობიექტზე. რომ ძეგლი ეძღვნება თამარ მეფესა და დავით სოსლანს, რაც დღესდღეობით აღიარებულ დებულებად ითვლება.

ალექსანდრე ბარამიძე ერთი პირველთაგანია ქართველ მკვლევართა შორის, რომელმაც იმთავითვე ობიექტური მიდგომა გამოიჩინა და ღრმად, მეცნიერულად შეაფასა „ვისრამიანის“ სარგის თმოგველისეული ბრწყინვალე თარგმანი. აღნიშნა ისიც, რომ ამ თარგმანმა გარკვეულ ღირსებათა გამო ორიგინალური ძეგლის ტოლფასი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული პროზის შემდგომ განვითარებაზე.

გადაშწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მკვლევარს ძველი ქართული მწერლობის ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ძეგლზე, როგორიცაა საგმირო-სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“. აღსანიშნავია, რომ თვით ნიკო მარისვე სიცოცხლეში ალექსანდრე ბარამიძემ უარყო და დაასაბუთა კიდეც მანამდე აღიარებული ნიკო მარის შეხედულება ძეგლის ორიგინალობის თაობაზე, ახლებურად გაარკვია „ამირანდარეჯანიანის“ შედგენილობისა და ლიტერატურული წყაროების საკითხი.

მკვლევარმა მონოგრაფიული ნაშრომები მიუძღვნა ძველი ქართული მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ავტორს. წლების მანძილზე მუშაობდა თეიმურაზ I, არჩილის, სულხან-საბას, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესიკის ბიოგრაფიის უცნობი ფურცლების ამოსაშიფრად, ყოველმხრივ იკვლევდა მათ შემოქმედებას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან, რაც უკვე თავისთავად მოასწავებდა სიახლეს ამ მიმართულებით (განსაკუთრებით ფასეულია მკვლევარის ღვაწლი გურამიშვილისა და ბესიკის ყოველმხრივი შესწავლის, აგრეთვე ე. წ. აღორძინების ხანის მწერალთა თხზულებების მეცნიერულად გამოცემის საქმეში).

ალქსანდრე ბარამიძის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული კონცეფციის შემდგომ ახლებურად იხსნება გვიანფეოდალურ საქართველოში არსებული ლიტეერატურული თუ სხვა სახის იდეოლოგიური ბრძოლების შინაარსი, თეიმურაზ პირველისა და არჩილის პოეტური მემკვიდრეობის თავისებურებანი. თეორიული ასპექტით იქცევს ყურადღებას დაკვირვებები „ადრეული რეალიზმის“ საწყისებზე, რაც ჩვენში არჩილის ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება. შეიძლება დაჭეჯითებით ითქვას, რომ თუ ჩვენმა მეცნიერებამ დღეს ბევრად მეტი იცის ქართული მწერლობის ე. წ. „აღორძინების ეპოქაზე“ (XI-XV, XVII-XVIII სს.), ამ საქმეში ფუძემდებლური ღვაწლი სწორედ ალექსანდრე ბარამიძეს მიუძღვის.

ფართო ერუდიცია, განსწავლულობა აღმოსავლურ მწერლობაში მკვლევარს ხელს უწყობდა წარმატებით ეკვლია ლიტერატურული

ურთიერთობანი (განსაკუთრებით ქართულ-სპარსული, ქართულ-აზერბაიჯანული და ა. შ.) და საყოველთაო აღიარებით იგი ამ დარგის ერთ-ერთი პიონერთაგანია ჩვენში. მისი ღრმა რწმენით (და მკვლევარმა ეს საქმითაც განამტკიცა), ამ ხაზით წარმართული კვლევა ოღონდაც სცილდება ოდენ ლიტერატურის სფეროს და აღიქმება ხალხთა ძმობა-დაახლოების კეთილშობილურ ფაქტორად, რადგან ეროვნულ შეზღუდულობასა და იზოლაციისაკენ სწრაფვას, მართლაც, არც ერთი ეროვნებისათვის არ მოუტანია სარგებელი.

ცნობილია ალექსანდრე ბარამიძის საგულისხმო ნარკვევები და წერილები ქართულ-რუსულ, ქართულ-უკრაინულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ, ქართულ-ტაჯიკურ თუ ქართულ-უზბეკურ ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროდან. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა ალექსანდრე ბარამიძის ფუნდამენტური ნაშრომი და წერილების მთელი სერია ფირდოუსის „შაჰნამეს“ გარშემო, აგრეთვე ამავე ძეგლის ქართულ ვერსიებზე, რომლებიც ჩვენში „როსტომიანის“ სახელითაა ცნობილი.

მეცნიერი ახალგაზრდობის წლებიდანვე დაინტერესდა მსოფლიოში ისეთი სახელგანთქმული ძეგლით, როგორიცაა „ანვარი სოჰაილი“ ანუ „ქილილა და დამანა“. ამ ძეგლს საგულისხმო თავგადასავალი მოეპოვება ქართულ მწერლობაშიც და ქართულ მიმოქცევაში მისი მოხვედრა, როგორც ცნობილია, მიეწერება ისეთ დიდ სახელებს, როგორებიც იყვნენ ვახტანგ მეექვსე და სულხან-საბა ორბელიანი.

„ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ალექსანდრე ბარამიძემ გადაწყვიტა არა ერთი მანამდე ბნელით მოცული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი და ნათელი გახადა ამ შესანიშნავი ძეგლების ჩვენში გავრცელების ლიტერატურული ისტორია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ უკანასკნელი ნაშრომისათვის 1936 წელს ალექსანდრე ბარამიძეს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროდან მნიშვნელოვანია გამოკვლევები „საიათნოვაზე“, „რუსუდანიანის“ ლიტერატურულ წყაროებზე, „ხოსროვშირინიანის“ ქართულ ვერსიებზე, აგრეთვე წერილები ფირდოუსიზე, ნიზამიზე, ალიშერ ნავოისა და აღმოსავლეთის სხვა გამოჩენილ მწერლებზე.

სახელოვანმა მეცნიერმა შესანიშნავი შრომები, გამოკვლევები მიუძღვნა კლასიკური ხანის თითქმის ყველა ძეგლს, მაგრამ მაინც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ბარამიძის, როგორც მეცნიერისა და მკვლევრის, განსაკუთრებული სიყვარულისა და გატაცების საგანია რუსთაველის უკვდავი პოემა.

მრავალზე მრავალი გამოკვლევა უძღვნა მეცნიერმა ვეფხისტყაოსანს და თითქმის არ დარჩენილა რუსთველოლოგიის სფეროდან რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას.

*
* *

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გამოქვეყნდა ალექსანდრე ბარამიძის პირველი რუსთველოლოგიური ხასიათის ნაშრომი. მე აქ ვგულისხმობ თავისი დროისათვის ძალზე საჭირო გამოკვლევას „ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის“ (უნივერსიტეტის მოამბე, 1928, ტ. IX). მასში წყაროების ჩაძიებული კვლევით სამართლიანად იყო უარყოფილი იმ ხანებში გახმაურებული ნაშრომის „რუსთველიანას“ რამდენიმე ძირითადი დებულება. უკვე ამ გამოკვლევაში ჩანდა ავტორის სანიმუშო მეთოდოლოგია, პრინციპული პოზიცია.

აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნო მისი როგორც მკვლევარ-რუსთველოლოგის ერთი დამახასიათებელი თვისება. იგი არასოდეს არ მორიდებია ე. წ. „შავ სამუშაოს“, ამასთან, ყოველი დასკვნა მის ნაშრომებში დამყარებული იყო წყაროთა ყოველმხრივი შესწავლის შედეგებზე.

სამაგალითოა კვლევის დიაპაზონიც. იგი ერთნაირი წარმატებით იკვლევდა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიის ურთულეს საკითხებს, ისე პოემის მხატვრულ კონსტრუქციას და მისი ავტორის მსოფლმხედველობას.

მეცნიერი წლების მანძილზე სწავლობდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მდიდარ მემკვიდრეობას და დაწვრილებით აღწერა კიდეც რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი. მას საკუთარი და სრულიად დამაჯერებელი მოსაზრებები აქვს გამოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი პლასტების დათარიღების თაობაზე და პოემის სიუჟეტის შედგენილობის საკითხებზე.

თავისთავად კი რუსთველოლოგია კომპლექსური დარგია და სცილდება კიდეც ლიტერატურის მეცნიერების ფარგლებს. იგი ისტორიის, ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის ისტორიის მიჯნაზეა მოთავსებული. ამდენად გასაგებია, თუ რა ფართო თვალთახედვა სჭირდება მეცნიერს, რომელსაც მიზნად რუსთველოლოგიური საკითხების კვლევა დაუსახავს. „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი თანაბრად უნდა ერკვეოდეს როგორც კონკრეტულად ქართველოლოგიის მომიჯნავე დარგებში, ასევე საერთოდ შუა საუკუნეთა კულტურის სპეციფიკურ საკითხებში, ამასთან იგი უნდა ითვალისწინებდეს მეზობელ ხალხთა სულიერი კულ-

ტურის მონაპოვართ, შეეძლოს როგორც უშუალო კავშირების აღმოჩენა, ისე ტიპოლოგიური კვლევის მეთოდების მომარჯვება.

ალექსანდრე ბარამიძე ყოველმხრივ მზადმყოფი შეეჭიდა რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას და თავისი კვალიც დაამჩნია მას. შეიძლება ითქვას, რომ იგი პარალელურად ვითარდებოდა როგორც მკვლევარი რუსთველოლოგიის აღმავლობასთან ერთად და ამასთან თვითონაც შეჰქონდა საპატიო წვლილი ქართული კულტურისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში.

ძნელია აქ, თუნდაც ორიოდე სიტყვით, ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომლებიც განხილულია მეცნიერის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში.

პირველ რიგში აღსანიშნავია მისი საგულისხმო ნაშრომები, რომლებიც ეხებიან პოემის სოციალურ გარემოს, ტიპაჟსა და „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრეს იდეურ მოტივებს. აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ეს ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში და ალექსანდრე ბარამიძე ამ მიმართულებით ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა კვალს. ნაშრომების ავტორი არა მხოლოდ აღადგენდა მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიულ სურათს და უპირისპირებდა მას პოემის მხატვრულ სინამდვილეს, არამედ იკვლევდა ცალკეულ სპეციფიკურ საკითხებს თვით საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან და, რიგ შემთხვევაში, წარმატებით იყენებდა სწორედ პოემის მონაცემებს. მაგალითისათვის, აქ საკმარისია გავიხსენოთ მეცნიერის ნაშრომი ქართულ შუა საუკუნეთა ისეთი სოციალური ტერმინის თაობაზე, როგორიცაა „საკარგავი“ (პირველად დაიბეჭდა წიგნში „შოთა რუსთაველი“, 1958 წ. და დიდი გამოხმაურება გამოიწვია ქართველ ისტორიკოსთა, აგრეთვე სამართლის მცოდნეთა შორის (შდრ. შ. მესხია, „საკარგავის მნიშვნელობისათვის“, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, 1961 წ.). „ვეფხისტყაოსნის“ სოციალური გარემოსა და მასში დადასტურებული რეალიების მართებული ანალიზი დამაჯერებლად არკვევს აღნიშნული სოციალური ტერმინის ზუსტ შინაარსს (საკარგავი — საგამგეო, მეფის მოხელეთათვის მიცემული სამფლობელო სამსახურის ფასად, იგივეა რაც საკარგყმო), რასაც ამავე ეპოქის სხვა ისტორიულ წყაროთა მონაცემებიც უჭერს მხარს.

ფასეულია ავტორის ნაშრომები „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის თავისებურებათა გარშემო. მკვლევარი ამ შემთხვევაშიც უკუაგდებს მხატვრული ფაქტების იზოლირებული შესწავლის მეთოდს და ყოველ ცალკეულ შემთხვევას პოემის მთლიანობასთან მიმართებაში განიხილავს, არკვევს მის მხატვრულ ფუნქციას. პოემის მეტაფორული სტილის შესწავლის დროს მკვლევარი მარჯვედ ითვალისწინებს აგრეთვე

აღმოსავლური პოეტიკის მონაცემებს, რომლებთანაც „ვეფხისტყაოსანი“ საგულისხმო შეხების წერტილებს ამჟღავნებს. ალექსანდრე ბარამიძემ პოემის მხატვრული ენის კვლევისას არაერთ საინტერესო მხატვრულ ხერხს მიაქცია ყურადღება და სპეციალური შესწავლის საგნად გაიხადა.

მკვლევარმა რამდენიმე ნაშრომი უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. მათ შორის აღსანიშნავია ცალკეული გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე, შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხებზე, ძეგლის დაწერის თარიღზე და ა. შ. ძალზე ფასეულია ავტორის მახვილგონივრული დაკვირვებები პოემის დაწერის თარიღზე და პროლოგის ცნობილ მეტაფორულ ფრაზაზე („თამარს ვაქებდით მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული“). ამ უკანასკნელის არასწორმა ინტერპრეტაციამ, მისმა მოწყვეტამ პოემის საერთო მეტაფორული აზროვნების წესიდან, როგორც ცნობილია, არაერთი გაუგებრობა დაბადა, ხოლო ზოგიერთმა უცხოელმა მკვლევარმა უკანასკნელ წლებში (მაგ. დ. ლანგი) პოემის ტრადიციული თარიღის რევიზიაც კი სცადა. ნაშრომში „პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი“ ალექსანდრე ბარამიძემ ღრმა და დამაჯერებელი პასუხი გასცა აღნიშნულ მკვლევართ. დიდძალი მასალის მოშველიებით ცხადყო, რომ პოემის დაწერის ტრადიციული შეხედულება (პოემა დაიწერა თამარისა და დავით სოსლანის ზეობის ხანაში, დაახლოებით 1189—1207 წლებში) მტკიცე საბუთიანობას ემყარება.

ასევე ერთი შეხედვით თითქოს არც ისე რთულია საკითხი, თუ ეპიკურ თხზულებათა რომელ ჟანრს განეკუთვნება რუსთაველის პოემა. „ვეფხისტყაოსანი“ მრავალფეროვანი მოტივებით აღსავსე რთულ-პლანიანი ეპიკური თხზულებაა, რომლისთვისაც არაა უცხო ლირიკული შრეები და ცალკეული წიაღსვლები. ეპიკური ჟანრის განვითარებაში წარშობილ მრავალ სიახლესთან ერთად, მასში გადმონაშთის სახით დასტურდება აგრეთვე ძველი ეპოსისათვის დამახასიათებელი არაერთი ელემენტი თუ მითოლოგიური შეფერილობის მქონე მოტივი. ყოველივე ეს კი იწვევდა და დღესაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარნი ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან პოემის ჟანრობრივი დეფინიციის საკითხში.

ალექსანდრე ბარამიძე არაერთხელ შეჰხებია აღნიშნულ საკითხს, ხოლო ბოლო წლებში კლასიკურ ეპოქათა თხზულებების ჟანრობრივ მიმოხილვასთან ერთად, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის განსაზღვრას (პირველად დაიბეჭდა 1966 წელს საიუბილეო კრებულში „შოთა რუსთაველი“).

ავტორი თავისი დასკვნებით უარყოფს სხვა მკვლევართა მიერ ამ საგანზე ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებითაც პოემა ხან

-აღმოსავლური ტიპის „რომანტიკულ ეპოსად“ ცხადდება, ხან „რომან-ტიკულ პოემად“ ან „ნაციონალურ რომანტიკულ ეპოსად“. ასევე, ბოლომდავად საგულისხმო შეხვედრებისა, „ვეფხისტყაოსანი“ გარკვეულად შორდება დასავლურ რაინდულ რომანს და, როგორც ეს ხატოვნად აქვს ნათქვამი ცნობილ ინგლისელ ლიტერატორს მორის ბოვრას, შოთა რუსთველს, მართლაც, საკუთარი გეზი აქვს აღებული მსოფლიო პოეზიის დიდ შარაგზაზე.

აღნიშნულ ნაშრომში ალექსანდრე ბარამიძე გვთავაზობს, ჩემი აზრით, კვლევის თანამედროვე ეტაპზე სრულიად მისაღებ განსაზღვრას, რომ თავისი უმთავრესი ნიშნებით „ვეფხისტყაოსანი“ რომანტიკულ-გმირული პოემაა და, ამასთან, უანრობრივად თანამედროვე რომანის ერთი საგულვებელი წინამორბედი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ავტორის ნაშრომები, რომლებშიც მიმოხილულია „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები (სიყვარული და ქალის თაყვანისცემა, ძმობა-მეგობრობა, ძმადნაფიცობა და ა. შ.), რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები და „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილი ჰუმანიზმის ძირითადი ნიშნები.

ავტორი განუხრელად ატარებს თავის ნაშრომებში აზრს რუსთველის მსოფლმხედველობრივი მრწამსის გამომუშავებაში ქრისტიანული იდეოლოგიის მნიშვნელობაზე. ხაზგასმულია „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგიის აშკარად ეროვნული სულისკვეთება. ასევე დიდძალი დაკვირვებებია წარმოდგენილი ნაშრომებში, რომლებიც სპეციალურად იკვლევენ „ვეფხისტყაოსნის“ მრავალფეროვან ტიპაჟს.

ალექსანდრე ბარამიძის რუსთველოლოგიური ნააზრევი იმითაც გამოირჩევა, რომ მან ერთმა პირველთაგანმა სცადა „ვეფხისტყაოსნის“, როგორც მხატვრული ძეგლის, ტიპოლოგიური დახასიათება საშუალო საუკუნეების ამავე ხასიათის მსოფლიოს (როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის) მხატვრულ ქმნილებებთან შეპირისპირებით და ამ თვალსაზრისით საგულისხმო დაკვირვებები წარმოგვიდგინა.

ალექსანდრე ბარამიძის მრავალწლოვანი რუსთველოლოგიური კვლევის შეჯამებაა ვრცელი მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ (პირველად გამოიცა 1958 წელს, მეორედ შევსებული და გადამუშავებული სახით 1975 წელს). კვლევა-ძიების მასშტაბით, ფართო ინფორმაციით, განზოგადოებული დასკვნებით აღნიშნულმა მონოგრაფიამ დიდი აღიარება ჰპოვა როგორც სპეციალისტთა შორის, ასევე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, ფაქტიურად იგი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია და ამ ეტაპზე რუსთველოლოგიის მეცნიერულ კურსს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისითაც წიგნი ქართველოლოგიის ძვირფასი შენაძენია.

ალექსანდრე ბარამიძის, როგორც გამოჩენილი მკვლევარისა და რუსთველოლოგის, დახასიათება არ იქნება სრული, თუ არ აღვნიშნეთ მისი მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმის ყველა თანამედროვე მეცნიერულ გამოცემაში. ხოლო უკანასკნელ წლებში, როგორც ითქვა, მეცნიერი ხელმძღვანელობს მთავარ რედაქციას, რომელიც მიზნად ისახავს „ვეფხისტყაოსნის“ სრული კორპუსის ანუ აკადემიური ტექსტის გამოცემას, რაც ამჟამად არც ისე შორეული მომავლის საქმეა.

ასევე მკვლევარი ყოველთვის დიდ გულისყურს იჩენდა და იჩენს ქართული კულტურის და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებულ უცხოელ მეგობართა მიმართ. როგორც ცნობილია, პოემის არაერთი თარგმანი უცხო ენაზე შესრულდა მისი უშუალო კონსულტაციით, სხვადასხვა სახის მეცნიერული რეკომენდაციის გამოყენების შედეგად.

დასასრულს, ალექსანდრე ბარამიძის ფართო მეცნიერულ ინტერესებზე მეტყველებს ისიც, რომ მან არაერთი წერილი და გამოკვლევა მიუძღვნა მე-19 საუკუნისა და თანამედროვე მწერლობის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. იგი მხურვალე ინტერესს იჩენს თანამედროვე ქართული მწერლობისადმი და გულით ახარებს მისი ყოველი ახალი გამარჯვება.

*
* *

ვინც ბატონ ალექსანდრეს ახლოს იცნობს, მისთვის სავსებით ნათელია, თუ როგორ მიაღწია მან ასეთ დიდ წარმატებას. იგი მთელი არსებით შთაგონებულია თავისი საქმით. მართლაც გასაოცარი და მისაბაძია მეცნიერის ნაყოფიერება. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ასეული გამოკვლევა და წერილი, ცალკეული ვრცელი მონოგრაფიები და ნარკვევების შვიდი ტომი, რომლებიც დღეს უსაჭიროეს სამაგიდო წიგნებად ითვლება ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია საქართველოს კულტურული წარსულით, მისი სახელოვანი ისტორიით. მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი მისი მრავალი ნაშრომი დღეს თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, ხოლო მათი ავტორი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის მეცნიერულ წრეებში.

მუშაობის სტილითა და საქმისადმი ერთგულებით სანიმუშოა ალექსანდრე ბარამიძის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა. მან, როგორც მეცნიერ ხელმძღვანელმა, დიდი წვლილი შეი-

ტანა მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადების საქ-
მეში. იშვიათია დღეს ქართულ ფილოლოგიაში მომუშავე მკვლევარი
თუ მასწავლებელი, რომელსაც არ მოესმინოს ალექსანდრე ბარამიძის
საინტერესო ლექციები, მოხსენებები.

ლექციებზე ტკბილმოუბარი, საჯარო პაექრობაში მკაცრი და ბო-
ლომდე დაუზოგავი პოლემისტია. მას მეცნიერული სინდისი და პრინ-
ციპულობა კარნახობს, რომ ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯს მხურვა-
ლედ მიესალმოს, ხოლო გზა გადაუჭრას, ამხილოს ფსევდო-მეცნიერუ-
ლი „გამოკვლევები". ამას იგი სრულიად სამართლიანად, მეცნიერების
განვითარების აუცილებელ პირობად თვლის.

წლების მანძილზე უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატუ-
რის კათედრის გამგე, ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ქართუ-
ლი ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, არაერთი
კულტურული წამოწყების მეთაური და მონაწილე ჩვეული ენერგიითა
და პრინციპულობით უძღვება ჩვენი კულტურის მნიშვნელოვან უბ-
ნებს. კვლავაც აღვსილია სურვილით, რათა მომავალშიც ასეთივე თავ-
დადებით ემსახუროს თავის მშობლიურ ხალხს, ჩვენს ახალგაზრდო-
ბას — ერის იმედსა და მომავალს.

საბელოვან მეცნიერსა და მამულიშვილს 80 წელი შეუსრულდა.
ეს კი ისეთი სოლიდური ასაკია, რომ თითქოს თავისთავად უნდა ით-
ქვას ფრაზები „მხცოვანი მეცნიერი", „ხანდაზმული" და ა. შ. მაგრამ
ალექსანდრე ბარამიძის მიმართ ასეთი ეპითეტები აშკარად ნაადრევი
ჩანს. როგორც შესახედავად, ისე გუნება-განწყობილებით იგი ბევ-
რად უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. მას შემორჩენილი აქვს
ძველებური ხალისი და ცხოველი ინტერესი ყველაფრის მიმართ, რაც
დღეს ხდება ჩვენში თუ მის ფარგლებს გარეთ. ამაზე მეტყველებს აგ-
რეთვე მისი საოცარი აქტივობა ყოველგვარ საზოგადო საქმიანობაში
და არაჩვეულებრივი ნაყოფიერება მეცნიერულ მუშაობაში. საკმარი-
სია ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში ალექსანდრე ბარამიძემ გამოა-
ქვეყნა რამდენიმე ათეული წერილი და გამოკვლევა, რომელთა ერთი
ნაწილი შესულია ახლახან გამოქვეყნებულ შესანიშნავ წიგნში „ძვე-
ლი ქართული მწერლობის პრობლემები" (1981 წ.).

რომელი ერთი გავიხსენო? ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან,
ისღა დაგვრჩენია, რომ ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილ
მკვლევარს ალექსანდრე ბარამიძეს ვუსურვოთ ძველ-ქართული მძლე-
ობა და დიდხანს სიცოცხლე თავისი ხალხისა და მამულის საკეთილ-
დღეოდ.

1983 წ.

12. ღვაწლი უჩინარი, მაგრამ მნიშვნელოვანი...

(სახალხო მასწავლებელი ვასილ აბდუშელიშვილი)

თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე შორეულ წარსულს, ერთი შეხედვით უცნაურ რასმე შევამჩნევთ: როგორც ცნობილია, ძე-19 საუკუნის, განსაკუთრებით კი მისი, ბოლო მეოთხედიდან, რუსეთსა და მთელს ცივილიზებულ ევროპას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოედვნენ“ სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდები. სად არ ნახავთ მათ, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში?! ხოლო ასეთ ადგილებში რაძდენიმე ქართველი მაინც თუ მოიყრიდა ერთად თავს, მყისვე იქმნებოდა პატარა საქართველოები, ე. წ. „ქართველთა სათვისტომოების“ სახით. ერთობლივად ებრძოდნენ ისინი სიძნელეებს, რომლებიც, ბუნებრივია, არ აკლდათ „უცხოებაში“ ყოფნის ჟამს.

მაგრამ ხიშანდობლივი აქ უფრო სხვა რამ იყო. განათლების ასეთი მაღალი საფეხურის დაუფლების შემდგომ, როგორც წესი, მათში არ იღვიძებდა რაიმე განსაკუთრებული პატივმოყვარეობა. ისინი არ თაკილობდნენ სულ უბრალო თანამდებობასაც კი, როგორც ქალაქად, ისე საქართველოს მიყარდნილ კუთხეებში, ოღონდ თავისი წვლილი შეეტანათ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეში. სხვათა შორის, ასე გრძელდებოდა შემდეგაც, როცა ჩვენში უკვე არსდებოდა მაღალი რანგის კულტურული თუ სამეცნიერო ცენტრები.

აი, მართლაც, ვინ იყვნენ შემმარიტი „სახალხო მასწავლებლები“, „სახალხო ექიმები“ და საერთოდ, „სახალხო მოღვაწეები“, თუმცა ასეთ ტიტულებზე იმ ხანებში არც არავინ ფიქრობდა.

ბევრი მათგანის სახელი დღეს ჩვენ არც კი ვიცით, თუმცა ცხადია, რომ სწორედ მათ მხრებზე გადაიარა იმ მძიმე ტვირთმა, რომლის ზიდვაც აუცილებელი იყო მშობლიური ქვეყნის შემდგომი აღორძინებისათვის.

არც ისე დიდი ხნის წინ შეიძლება შემთხვევით შეგეცლოთ რომელიმე შორეული სოფლის პატარა აფთიაქში და, სრულიად მოულოდნელად, თქვენ გამოგეგებებოდათ მოხუცი პროვიზორი... მაღალი კულტურით აშკარად დაღდასმული თავაზიანი ღიმილით. საუბარიც მყისვე ისეთ სფეროებს შეეხებოდა, რომელიც უკვე გულიხსმობდა ვანათლების გარკვეულ დონეს. საამო საუბარში ისიც გაირკვეოდა, რომ მას ციურიხში ან დერპტში ან კი რუსეთის რომელიღაც დიდ ქალაქში ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება.

მე თვით მოვსწრებივარ და ახლოს ვიცნობდი ერთ ასეთ პიროვნებას, სახელგანთქმულ დოსტაქარს ილია ეგნატეს ძე ჯაშს, რომელსაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაუმთავრებია იურიევის სახელგანთქმუ-

ლი უხიერსიტეტი წარჩინების დიპლომით (რაც, თითქმის უპრეცენდენტო შემთხვევა იყო უცხოელთათვის), მაგრამ მისივე დაჟინებით მხოლოდ რიგით ექიმად განწესებულა დაბა სამტრედიაში. იგი ათეული წლების მახძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა სამტრედიის მიმდებარე სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს. ჩვენს საბელოვან მეცხიერს აკაკი შანიძეს, რომელიც წარმოშობით ამ კუთხიდანაა, უამბია ჩემთვის, რომ, როცა ჩვენი სოფლიდან ჩოხატაურის მიმართულებით ჩაივლიდა ილია ჯაშის ეტლი, ყველა გრძნობდა, რომ სადმე მძიმე ავადმყოფი ებრძოდა სიკვდილს ან რაიმე საშინელი სახადი მძვინვარებდა ახლომახლო. აბა, ისე ცნობილ დასტაქარს უბრალო სატკივარზე ვინ შეაწუხებდაო. — მოსახლეობამ კარგად იცოდა მისი ღირსება და გახსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ კიდეც.

რიცხვით კიდევ უფრო მეტნი იყვნენ ასეთივე ტიპის სახალხო მასწავლებლები. მაგრამ მაინც მთავარი ის იყო, რომ თითქმის არც ერთი მათგანი, სოფლად ყოფნისას თუ ქალაქად მუშაობის დროს, არ იფარგლებოდა მარტო საკუთარი პროფესიით და ყოველ მათგანს, როგორც იტყვიან, განათლების სხივი შეჰქონდა უბრალო, მშრომელი ადამიანების ოჯახში.

თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ჯერ მაინც ძალზე ცოტა რამ ვიცით მათ უჩინარსა და უანგარო ღვაწლზე, რაც, თავისთავად, ჩვენი ქვეყნის უახლოესი კულტურის ისტორიის შესწავლის ერთი აშკარად ჯერ კიდევ დაუძლეველი ხარვეზია.

ყოველივე ზემოთქმული კი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ, აი, ჩემ წინ დევს წიგნი, რომელიც აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ მაინც აძოვსების, ჩემის აზრით, ძალზე წარმატებული ცდაა, მისი სათაურია „მიღვწიან, მომიგონებენ“... იგი ამ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაკადულმა“ (1980 წ.).

წიგნი ეძღვნება სახელოვან მამულიშვილსა და მასწავლებელს ვასილ აბდუშელიშვილს, ხოლო წიგნის ავტორია თვით ვასილ აბდუშელიშვილის ძმისწული და მისივე აღზრდილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ანთროპოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი.

ძე აქ წიგნის დაწვრილებით რეცენზირებას არ ვაპირებ, რადგან მას ისედაც სიამოვნებით წაიკითხავს ჩვენი ახლო წარსული კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი, ოღონდ ის კი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა ნამდვილი მხატვრული ოსტატობით შესრულებული მონათხრობი ერთ-ერთ ზემოაღნიშნული ტიპის სახელოვან მოღვაწეზე, მათემატიკის მასწავლებელ ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილზე — პიროვნებაზე, რომელიც თითქმის ხახევარი საუკუნის მანძილზე ასე ბეჯითად, საქმის ფანატიკური სიყვარულით ემსახურებოდა ჩვენში ისეთი საჭირო და მნიშვნე-

ლოვახი დარგების შესწავლა-აღორძინებას, როგორიც არის მათემატიკური მეცნიერებები.

ვასილ აბდუშელიშვილს, იშვიათ აღმზრდელსა და მასწავლებელს, ძალზე კოლორიტულ პიროვნებას, კარგად იცნობდნენ ჩვენში (განსაკუთრებით, დღევანდელი თბილისის უფროსი თაობის წარმომადგენლები), თუნდაც იმის გამო, რომ მის მოწაფეთა რიცხვი რამდენიმე ათასეულსაც კი აჭარბებს და აქედან ისიც ნათელია, თუ რა წვლილი აქვს მას შეტანილი დღევანდელი ქართული ტექნიკური განათლების აღორძინების საქმეში.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაა, და ეს კარგადაა წარმოჩენილი აღნიშნულ წიგნში, ვასილ აბდუშელიშვილი იყო ჭეშმარიტი პედაგოგი, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი და სრულყოფილი გაგებით. იგი ასწავლიდა არა მხოლოდ საგანს, ასეთ შემთხვევაში მათემატიკური დარგის მეცნიერულ საფუძვლებს, არამედ ნერგავდა იმ თვისებებს, რომელთა გარეშეც ადამიანი „ვერ კაცობს“ და ვერც ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ პიროვნებად. პედაგოგებად რომ იბადებიან, ალბათ, გრძნობდა კიდეც ამას ვასილ აბდუშელიშვილი, როცა მან, უცხოეთში სწავლამიღებულმა ახალგაზრდამ, უარყო სამეცნიერო კარიერა და საშუალო სკოლაში მასწავლებლის მძიმე ჯაპანი ირჩია. მოღვაწეობდა სწორედ იქ, სადაც ყალიბდება უწინარეს ადამიანი და სადაც ყველაზე უფრო სჭირდება მას ხელის შეშველება ცხოვრების რთულსა და სახიფათო გზაზე.

აი, ეს აზრი უძევს საფუძვლად მალხაზ აბდუშელიშვილის მიერ გადმოცემულ ბიოგრაფიულ ფაქტებს და წიგნის ერთი მთავარი ღირსებაც სწორედ ფართო თვალსაწიერია. აქ თხრობა არ იფარგლება მხოლოდ იმით, თუ როგორ ასწავლიდა ან როგორი მკაცრი (მაგრამ სამართლიანი) მასწავლებელი იყო თვით ვასილ აბდუშელიშვილი. ან როგორი ოსტატობით ფლობდა იგი მათემატიკის ურთულეს დარგებს. დიდი ყურადღება ეთმობა თვით იმ გარემოს, იმ ატმოსფეროს, რომელშიც იზრდებოდა და სულიერად იწრთობოდა მომავალი საზოგადო მოღვაწე და სახალხო მასწავლებელი ვასილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი.

ეს არის წიგნის ერთი საუკეთესო მონაკვეთი. იშვიათი ცოდნითა და რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით (ეს იგრძნობა თვით სტრიქონთა შორისაც) არის აღდგენილი წიგნში მე-19 საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლების სულიერი ატმოსფერო, ჩვენი ცხობილი მოღვაწეებისა თუ უბრალო მშრომელი ადამიანების სახეები, ტკბილი და ტრადიციული ძველქართული ოჯახები, ზემო იმერეთის კურთხეული მსარე...

აქ უნებლიეთ მაგონდება გერონტი ქიქოძის სიტყვები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სწორედ ამავე კუთხეს ეხება: „იშვიათია, ალბათ, ადგი-

ლი, — წერდა ბატონი გერონტი ერთ თავის ნარკვევში, — სადაც ეთხიურად ქართველი ერი ასე სუფთად იყოს დაცული, როგორც ეს ყვირილასა და წყალწითელას ხეობებში. ასეთი წმინდა ქართულით მეტყველებდეს და საუცხოო ჭონას მღეროდეს. აქ მოსახლეობამ ბოლო დრომდე "შეინარჩუნა თავისი ძველი სტუმართმოყვარეობა, თავისი ძველი სიმღერები და ადათები". სულ ბოლო დრომდე ეს ერთი ყველაზე პატრიარქალური კუთხე იყო დასავლეთ საქართველოში.

წიგნში მშვენიერ ეპიზოდებს გაეცნობა მკითხველი ზემო იმერეთის (კერძოდ, ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის შალაურის) ცხოვრებიდან, ფერადოვანი ჩანახატებია თვით აბდუშელიშვილების დიდი ოჯახის ისტორიიდან, რომელმაც არაერთი ღირსეული პიროვნება აღუზარდა ჩვენს ქვეყანას (საოჯახო არქივიდან საყურადღებოა აბდუშელიშვილების წარმომავლობის საბუთები და დაკავშირება სამხრეთ საქართველოს გამოჩენილი გვარის ჯაყელთა სახლეულობასთან და ა. შ.).

ძხატვრის თვალითაა აღდგენილი აწ მივიწყებული ეთნოგრაფიული ყოფის დეტალები და, როგორც ითქვა, მთელი ის გარემო, რომელშიც იზრდებოდა და საქვეყნო ასპარეზისათვის მწიფდებოდა მომავალი სახალხო ძოღვაწე და უსპეტაკესი პიროვნება ვასილ აბდუშელიშვილი.

ძართლაც, ძომხიბლავია, ხოლო ეს საგანგებოდ უნდა ითქვას, ძშრალ, ძწიგნობრულ კალაპოტს აცდენილი ქართულით ამეტყველებული მოხათხრობი, რომელსაც არც იუმორი აკლია და არც ცხოვრებისეული სიმკაცრის შეგნება. ამასთან, ნიშანდობლივია რაღაც ფატალურობის შეგრძნება, როცა ჩვენს თვალწინ შეუბრალებელი ისტორიული კახოხზომიერებით იკვეთება ნიკო ლორთქიფანიძისეული „დანგრეული ბუდეების" თემა, აბდუშელიშვილების პატრიარქალური ოჯახის თანდათანობით რღვევის სურათები.

ასეთივე განცდითაა დამუხტული თხრობა, რომელშიც წიგნის მთავარი გმირის შეძდგომი ცხოვრებაა წარმოდგენილი: თბილისი, საგანძანათლებლო მოღვაწეობა, მეგობართა წრე და თავისი საქმით გატაცებული მონოლითური პიროვნება — ვასილ აბდუშელიშვილი.

მე აქ შევწყვეტდი საუბარს ამ კარგსა და სასარგებლო წიგნზე, რომ არაერთი აუცილებელი რამ, რომლის აღნიშვნა, ჩემი აზრით, უფრო ძიგვაახლოვებს თვით წიგნის კიდევ ერთ თავისებურებასთან. წიგნს ჰყავს ძეორე, ასევე აშკარად გამოხატული გმირი — იგი თვით მისი ავტორი ძალხაზ აბდუშელიშვილია. მისი თანაარსებობა იგრძნობა წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე, რადგან ყოველი ეპიზოდი რაღაცნაირად თითქოს გაშუალებულია მის მიერ. ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს მხატვრული დამაჯერებლობის სასიამოვნო ეფექტს, რომლის გარეშეც, როგორც ხდება ხოლმე, ასეთი წიგნი მშრალ ქრონიკას უფრო

დაეძსგავსებოდა და არა მხატვრულ მონათხრობს საყვარელ და მარად-სახსოვარ ადამიანებზე.

წიგნის პათოსი კი არცერთი წამით არ ტოვებს მკითხველს: სწორედ ასეთი ჩუმი და უანგარო ადამიანები ედგნენ ბურჯებად ქვეყანას ჩვენი ისტორიის ჟამთა სრბოლაში. მალხაზ აბდუშელიშვილის მიერ მკითხველისათვის შეთავაზებული ნაშრომის მსგავსი წიგნები კი ერთხელ კიდევ განაძტკიცებენ ჩვენს ისტორიაზე ზემოაღნიშნულ ერთადერთსა და მართებულ თვალსაზრისს.

1982 წ.

13. მეცხრე მთაც გადავიარე*

(ნიკო კეცხოველის გარდაცვალების გამო)

ბატონ ნიკოს ერთ-ერთი ბოლო წიგნის სათაურია „მკერდში დაჭრილი ბუნება", ხოლო ყდაზე ეროზიის მავნე ქმედებით დასერილი, მოტიტვლებული ხევ-ხუვებია გამოხატული. წიგნი ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემებს ეხება, მაგრამ აქ მკითხველი ვერცერთ სტრიქონს ვერ იპოვნის, რომელიც მხოლოდ „ცივი განსჯის" ნაყოფი იყოს. სათაურიც ხომ ავტორისავე ხელწერას ამჟღავნებს — „მკერდში დაჭრილი ბუნება". ბატონი ნიკო ქართული ხატოვანი სიტყვის დიდი ტრფიალი იყო.

ნიკო კეცხოველი ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ძოლვაწეობის საკუთარი გზა ჰქონდა იმთავითვე მინიშნებული და არც გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან. ისევე როგორც ქართული სიტყვის სამსახური, არც მეცნიერება უქცევია მას ოდენ პროფესიად. ეს იყო მისი სიცოცხლე, ასეთი იყო მისი პიროვნული არსებობის ფორმა. იგი საკუთარ მადანს ეძებდა და საკუთარი საგზლით ხელდაბეჭებული გაშორდა კიდეც, კაცთათვის არცთუ მაინცადამაინც დალხენილ წუთისოფელს.

გამორჩეული იყო იგი თავისი აღნაგობითაც, ახოვანი და ტანად ძლიერი, უდრეკ სხეულს ბოლომდე მამაცური მიხრა-მოხრით ატარებ-

---

* წერილი, რომლის თანაავტორია არჩილ სულაკაური, გამოქვეყნდა ნიკო კეცხოველის გარდაცვალების გამო ჟურნალ „მნათობში" (1982 წ. № 12).

და. სახე — მკაცრი, კუშტიც კი, თუმცა მხოლოდ იმათთვის, ვინც მას უფრო შორიდან იცნობდა. ბატონი ნიკოს ერთი ღიმილიანი შემოხედვა კი საბოლოოდ გააქარწყლებდა ყველა იმ ლეგენდას, რომელიც მისი თითქოსდა სიმკაცრის გამო შექმნილა ჯერ კიდევ უნივერსიტეტის რექტორობის დროიდან მოკიდებული. ახალ-ახალ თაობებთან მისი მეგობრობაც ხომ სამაგალითო იყო და ვით ნორჩ ნერგებს ყოველდღიურ ზრუნვას არ აკლებდა მათ.

ერთი სიტყვით, ბუნების ღვიძლი შვილი იყო და ხოგაის მინდიასავით ესმოდა კიდეც მისი. აქეთკენ წარმართა მან იმთავითვე თავისი დიდი ნიჭი და უნარი. მთელი არსებით სურდა, რომ ყოველ ჩვენთაგანში გაბატკიცებულიყო მამა-პაპათაგან გადმოცემული სიბრძნე: მხოლოდ ბუნებასთან, გარე სამყაროსთან ერთიანობით არის შესაძლებელი ადამიანურ ბედნიერებათა ნამდვილი სივრცეების მოხილვა.

ახლა კი ყველას როგორ გვატკინა გული. როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ ხოლმე ასეთ დროს, ბრალია ბატონი ნიკოს გარდაცვალება!

ხუგეშად კი მაინც ის გვაქვს, რომ იგი ვალმოხდილი განშორდა სამშობლო ქვეყანას, თავის ხალხს, თავის ახლობლებს!

ნიკო კეცხოველი, მართლაც, წელგაუხრელი იღვწოდა ათეული წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის მრავალმხრივი აღორძინების დიდ სარბიელზე. რამდენი საქვეყნო საქმის წამოწყება და გასრულებაა მის სახელთან დაკავშირებული, რამდენ საშვილიშვილო ჩანაფიქრს მიეცა ძისივე ძალისხმევით სამომავალო გზა.

დარწმუნებული ვართ იმაშიც, რომ მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები ასევე სახელოვნად გააგრძელებენ ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ სასარგებლო მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ასევე შეუპოვარი აღმოჩხდებიან დედა ბუნების მოვლა-პატრონობის წმიდათაწმიდა საქმეში.

მაგრამ ბატონ ნიკოს ჰყავს კიდევ ერთი დიდი ჰირისუფალი. ეს არის თანამედროვე ქართული მწერლობა, რომლის ერთი დამამშვენებელიც თვითონვე ბრძანდებოდა. მისი მეგობრობაც მწერალთა მომდევნო თაობებთან ხომ ასეთივე სამაგალითო იყო. ბევრს ჩვენთაგანს უშუალოდ უგრძვნია მისი გულის სითბო და მზრუნველი ხელი.

სანაქებო მამულიშვილის, გამოჩენილი მეცნიერისა და ქართული სიტყვის დიდი მოამაგის ნიკო კეცხოველის სახელი სამუდამოდ დამკვიდრდება მათ სახელებთან ერთად, ვის ხსოვნასაც ასეთი პატივისცემით შეინახავს ჩვენი შთამომავლობა.

1982 წ.

14. ძველი ქართული კულტურის სამსახურში

(გაიოზ იმედაშვილი)

შოთა რუსთაველის შემოქმედებით დაინტერესებული მრავალრიცხოვანი მკითხველი კარგად იცნობს გაიოზ იმედაშვილს — ძველი ქართული პოეტური კულტურის დაუღალავ მკვლევარს. ათეული წლები მიუძღვნა მან ვეფხისტყაოსნის საკითხების კვლევა-ძიებას. შედეგიც ხელშესახები და შთამბეჭდავია. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი პირველხარისხოვანი გამოკვლევა და ცალკე წიგნებად გამოქვეყნებული რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი.

სიყმაწვილიდანვე მისი ინტერესები ქართული მწერლობისაკენ იყო შიძართული. ამაში, რასაკვირველია, უპირველესი როლი მისმა ოჯახურმა წრემ ითამაშა. იმედაშვილების ოჯახი ათიანი წლებიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. გაიოზ იმედაშვილის მამა იყო ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი იოსებ იმედაშვილი, ყოველივე ამან, უეჭველად, განსაზღვრა მომავალი მკვლევარის არჩევანი. ოციანი წლებიდან იგი სისტემატურად აქვეყნებს წერილებს ქართული ლიტერატურისა თუ ხელოვნების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

გაიოზ იმედაშვილის ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი. იგი, როგორც ახლადდაარსებული ქართული უნივერსიტეტის ერთერთი პირველი მსმენელი, 1929 წელს ამთავრებს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს, მაგრამ მეცნიერული მუშაობის ნაცვლად, პირველ ხანებში, ირჩევს მასწავლებლის პროფესიას. თითქმის ათი წლის მანძილზე იგი ქართლ-კახეთის სხვადასხვა სოფლებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, მუშაობდა სტილისტად ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებში. მან ასეთი გზა მომავალი მუშაობისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნია და არცთუ უსაფუძვლოდ. მხოლოდ ამის შემდეგ პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი იგი მთლიანად დაუბრუნდა მეცნიერების სარბიელს, მშობლიურ უნივერსიტეტს.

იგი ახლაც განსაკუთრებული სითბოთი იგონებს ძვირფას მასწავლებლებს ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძესა და იუსტინე აბულაძეს. უნივერსიტეტში მიიღო მან მკაცრი მეცნიერული წრთობა, აქვე განისაზღვრა პრობლემათა ის წრე, რომელიც აირჩია მან კვლევა-ძიების სფეროდ. ამ ხანებიდან მოკიდებული იგი ბეჯითად და თანმიმდევრულად იკვლევს ძველი ქართული მწერლობისა და განსაკუთრებით კი ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებულ საკითხებს.

გ. იმედაშვილი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც გაბოაქვეყნა უაღრესად საგულისხმო წიგნი „რუსთველოლოგია“ (1941 წ.), რომელშიც ისტორიულ-კრიტიკულ მიმოხილვასთან ერთად შეჯამებული იყო მანამდე ამ დარგში მიღწეული შედეგები, აღნუსხული იყო ძირითადი ისტორიული ეტაპები და უმთავრესი პრობლემატიკა. აქ გამოჩნდა იგი, როგორც პროფესიონალი-რუსთველოლოგი, რომელსაც შეეძლო ქართული ფილოლოგიის ამ ურთულეს დარგში წარმატებით მუშაობა.

გაიოზ იმედაშვილი წლების მანძილზე იკვლევდა და ასაბუთებდა რუსთაველის ღრმა კავშირს ეროვნული კულტურის ძირებთან. ვინც რუსთველოლოგიის ისტორიას იცნობს, კარგად მოეხსენება ამ პრობლემის მნიშვნელობა. ამ მხრივ ძალზე ფასეულია გაიოზ იმედაშვილის, მართლაც, ჩინებული გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში“ (1944).

ამ მიმართულებით მანამდე გაკეთებული იყო ზოგი რამ, მაგრამ ასე სრულად, თანამედროვე მეცნიერების დონეზე ეს საკითხები არ იყო დამუშავებული.

დღეს სამაგიდო წიგნად ითვლება გაიოზ იმედაშვილის მონუმენტური ნაშრომი „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“, რომელიც შეიცავს ვრცელ ბიბლიოგრაფიულ ანოტაციებს 1712 წლიდან ჩვენი დროის 60-იან წლებამდე. ჩვენს სამეცნიერო წრეებში აღიარებულია ამ ნაშრომის მაღალი ღირსებები. „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“ შორს სცილდება ჩვეულებრივ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს. აქ ყოველი ცალკეული სტატია გამოკვლევაა, რომელშიც წარმოჩენილია აღწერის საგნად ქცეული ნაშრომების ძირითადი დებულებები. ასეთი ტიპის ბიბლიოგრაფიული საძიებლის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ-ფილოლოგს ძალუძს.

გაიოზ იმედაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო გამოჩენილი მეცნიერისა და რუსთველოლოგის თეიმურაზ ბაგრატიონის მემკვიდრეობის შესწავლას. მზის შუქზე გამოიტანა მეცნიერის მანამდე უცნობი საინტერესო დაკვირვებები ვეფხისტყაოსნის ტექსტსა და ლექსიკაზე. გამოავლინა თეიმურაზის, მართლაც, განსაცვიფრებელი მიგნებები ქართული ლექსის ბუნებაზე, რასაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა. გაიოზ იმედაშვილმა გამოაქვეყნა აგრეთვე თეიმურაზის ერთ-ერთი უმთავრესი ნაშრომი: „ვეფხისტყაოსნის განმარტება“.

1968 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მკვლევარის ვრცელი მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა“, რომელიც მოიცავს საკითხების ფართო წრეს. მიუხედავად ზოგი სადავო დებულებისა, წიგნი ყურადღებას იპყრობს საკითხების ორიგინალური გადაწყვეტით.

ფაქტიურად, აღნიშნული მონოგრაფია ერთგვარად აჯამებს თვით ავტორისაგან გაწეული კვლევა-ძიების შედეგებს.

საინტერესო გამოკვლევები უძღვნა გაიოზ იმედაშვილმა ძველი ქართული მწერლობის ძირითად ეპიკურ ძეგლებს („ამირანდარეჯანიანი", „ვისრამიანი", „სეილანიანი" და სხვ.), ამ ძეგლების მხატვრულ თავისებურებებს (სიუჟეტისა და კომპოზიციის კონსტრუქციები, მოტივების მხატვრული ფუნქცია, ეპიკურ ჟანრთა სტილური თავისებურებანი და ა. შ.) საგულისხმოა აგრეთვე მისი ერთ-ერთი ადრეული გაძოკვლევა „ვისრამიანისა" და „ტრისტან და იზოლდას" ურთიერთობის საკითხებზე.

გაიოზ იმედაშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შესწავლის საგნად გაიხადა ქართული საგალობლების პოეტიკისა და მეტყველების საკითხები. საგალობელთა პოეტური ეხის, კომპოზიციისა თუ სხვა მხატვრული კომპონენტების ანალიზთან ერთად აქ გამოთქმულია საგულისხმო მოსაზრებები თვით საგალობელთა ლექსთწყობის თავისებურებაზე. ამ ნაშრომის გამო მის ავტორს 1962 წელს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

გაიოზ იმედაშვილი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით, ყოველთვის ახლო იდგა თანამედროვე ქართულ მწერლობასთან. ახარებდა მისი წინსვლა და ხშირ შემთხვევაში კრიტიკული წერილებითაც გამოხმაურებია ცალკეულ ავტორთა შემოქმედებას (ახლახან ჟურნალ „ცისკარში" მან საინტერესო წერილი უძღვნა ჭაბუა ამირეჯიბის შესანიშნავ რომანს „დათა თუთაშხია").

შრომასა და გარჯაში განვლო შვიდმა ათეულმა წელმა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გაიოზ იმედაშვილი დღესაც წარმატებით აგრძელებს ძველი ქართული კულტურის შესწავლისათვის აგრერიგად საჭირო მეცნიერულ მოღვაწეობას.

1976 წ.

15. „ნიშატნი საჩანგდაფენი"

უკანასკნელად ივანე გიგინეიშვილი ვნახე 1981 წლის 25 ნოემბერს „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე. არც მხნეობა აკლდა, კამათის დროსაც ძველებური ტემპერამენტი და შეუპოვრობა..., თითქოს არც წლები გასულა და არც მოულოდნელი აღსასრული იყო მოახლოებული...

ივანე გიგინეიშვილმა, მართლაც, დიდი ამაგი დასდო ქართული სალიტერატურო ენის შესწავლას. ისიც ცნობილია, რომ კვლევის ობიექტად იგი მეტწილად მხატვრულ ძეგლებს ირჩევდა. საგულისხმოა მისი დაკვირვებები „რუსუდანიანის“, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და თანამედროვე ქართველ მწერალთა ენაზე. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ენის კვლევას, ეს იყო მისი მუდმივი გატაცების საგანი დღიდან პირველი მეცნიერული ნაბიჯებისა ბოლო ამოსუნთქვამდე.

თუ ფილოლოგია, როგორც ეს დღეს ჩვენ გვესმის, ტექსტში ჩამარხული აზრის ამოხსნას ემსახურება, ეს ამოცანა ბევრად რთულდება, როცა იგი მხატვრული ძეგლის ენის შესწავლას ისახავს მიზნად.

თვითგამოხატვის წადილში იჩენს თავს მწერლის ღრმად ინდივიდუალიზებული ენის სტიქიონი. თანამედროვე ლინგვოსტილისტიკამ დიდიხანია დაგმო მწერლის ენის ნიველირებული კვლევის ძველი მეთოდები და ფართოდ მოფიქრებული, კომპლექსური მიდგომით ითხოვს მწერლის ენის თავისებურებათა წარმოჩენას.

ივანე გიგინეიშვილმა სხვებთან ერთად ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიმართა კვლევის ზოგ ასეთ ხერხს და გამოყენებითი ფილოლოგიის, თანამედროვე ტექსტოლოგიური მეცნიერების მეთოდების მომარჯვებით საინტერესო ტექსტოლოგიური ნაშრომები შექმნა.

ამის ჩინებული ნიმუშია მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ (1975 წ.). წიგნში თავმოყრილია რუსთველის ენის გარშემო არაერთი საგულისხმო დაკვირვება და ტექსტის კრიტიკის მრავალმხრივ შესაძლებლობათა გამოყენებით გამოირჩევა.

რაც შეეხება თვით წიგნის ფურცლებზე გაშლილი კვლევა-ძიების ხასიათს, იგი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სხვაა ე. წ. მექანისტური და სრულიად სხვა — შემოქმედებითი ტექსტოლოგია. ეს უკანასკნელი, ფაქტიურად, წარმოადგენს ძეგლისა და მისი ეპოქის ყოველმხრივი შესწავლის ერთ-ერთ დამამთავრებელ ფაზას. სხვაგვარად, დღევანდელი გაგებით, ტექსტის კრიტიკა ვერ უპასუხებს მის წინაშე დასმულ რთულ ამოცანას.

•
• •

ივანე გიგინეიშვილი ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. ამასთან მრავალ სანაქებო ადამიანურ თვისებებთან ერთად იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივად მახვილი ჭკუით. ასეთი იყო იგი ცხოვრებაშიც და მეცნიერულ მოღვა-

წეობაშიც. ეს ყოველ ნაბიჯზე ეტყობა მის გამოკვლევებსა თუ ცალკეულ დაკვირვებებს. სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიცაა. აზრთა ლოგიკას დაფარულის ძიებისა და მოვლენათა ინტუიტური განჭვრეტის უნარიც უნდა უკაფავდეს გზას. ზოგჯერ ერთი შეხედვით უბრალო ტექსტოლოგიური მანევრი და ერთბაშად თითქოს ყველაფერი ნათდება. მხოლოდ ერთი მაგალითი და ისიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიის სფეროდან.

საქმე ეხება ფრაზას „ნიშატნი საჩანგდაფენი“, რომლის გამართვა და აღდგენა უწინარეს სწორედ ივანე გიგინეიშვილის დამსახურებაა. ეს გამოთქმა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემიდან (ე. წ. ვახტანგისეული გამოცემა, 1712 წ.) მოკიდებული იბეჭდებოდა უცნაური ფორმით: „ნიშაგნი ნაჩანგდაფენი“. იგი მოთავსებულია სტროფში, სადაც ტარიელი და ნესტანი ემშვიდობებიან ზღვათა მეფეს: „უთქვენოდ მყოფთა არ გვინდან ნიშაგნი ნაჩანგდაფენი“.

სხვა მკვლევრები ფიქრობდნენ სტრიქონის ამოხსნასა და გამართვას, მაგრამ წარუმატებლად.

მათი აზრით, აქ „ნიშაგნი“ (მხოლობითში „ნიშაგი“) სპარსული სამუსიკო იარაღის გაქართულებული ფორმაა (გარდა აკაკი შანიძისა, რომელმაც ბოლომდე არ გაიზიარა ასეთი განმარტება და პოემაზე დართულ 1957 წლის ლექსიკონში იგი კითხვის ნიშნით აღნიშნა, ხოლო პ. ინგოროყვამ მანამდე თავის გამოცემაში იგი შეცვალა სიტყვით „ნიშატნი“).

რაც შეეხება „ნაჩანგდაფენს“ იგი რთულ კომპოზიტად იქნა მიჩნეული: „ნა“ — სალამური, ლერწამი, „ჩანგი“ — სიმებიანი საკრავი და „დაფე“ იგივე „დაფი“, დოლი, დაირა და ა. შ.

გარდა იმისა, რომ „ნიშაგნი“ უმართებულო ფორმა ჩანს (მას არც იცნობს სხვა ადგილას პოემა), კონტექსტისათვის საეჭვო ჩანდა ზემოთქმული კომპოზიტი „ნა-ჩანგ-დაფენი“, სადაც ხელოვნურია აგრეთვე ფორმა „დაფე“.

ივ. გიგინეიშვილმა ერთი შეხედვით სრულიად უბრალოდ გადაწყვიტა ეს საკითხი. ასეთი წაკითხვა „ნიშაგნი ნაჩანგდაფენი“ მან ვახტანგისეული გამოცემის მექანიკურ ცთომილებად მიიჩნია, რაც დაადასტურა კიდეც პოემის ხელნაწერებმა, რომელთაც სრულიად სამართლიანად ასეთ ნდობას უცხადებდა მკვლევარი. ხელნაწერების მიხედვით ფრაზამ ასეთი სახე მიიღო „ნიშატნი საჩანგდაფენი“.

„ნიშატი“ არაბული სამყაროდან ნასესხები სიტყვაა და მხიარულებას, სიხარულს ნიშნავს. იგი რამდენჯერმე გვხვდება როგორც თვით ვეფხისტყაოსანში, ისე ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიც. გასაგები შეიქნა სიტყვა „საჩანგდაფე“, რომელიც **სა-ე** კონფიქსით ნაწარმოები კომპოზიტის მრავლობითი ფორმაა (სა-ჩანგ-დაფ-ე-ნი).

აღდგა აშკარად რუსთველური ენისათვის ეგოდენ დამახასიათებელი გამოთქმა „ნიშატნი საჩანგდაფენი“, ხოლო სტრიქონი ნიშნავს: უთქვენოდ მყოფთ საჩანგდაფო (ჩანგისა და დაფის დაკვრა რომ მართებს) ისეთი მხიარულება არ გვინდაო, სხვაგვარად, რა ფასი ექნებაო უთქვენოდ გადახდილ ზეიმსო.

პოემის ამ ადგილის გამართვასა და გააზრებაში, როგორც ითქვა, აშკარაა განსვენებული მეცნიერის წვლილი.

*
* *

დასასრულ, სიამოვნებით ვიგონებ იმ დღეებს, როცა ათეული წლების მანძილზე მის გვერდიგვერდ მიხდებოდა მუშაობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენაზე. მინახავს იგი პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის სხვადასხვა სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობაში. იგი ყოველთვის იყო ღირსეული ღირსეულთა შორის. მისი სახით ყოველთვის იგრძნობოდა ჩვენი საენათმეცნიერო სკოლის მტკიცე აზროვნების სტილი...

ისევე როგორც სხვა სფეროში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიაშიაც მას კიდევ ბევრი დარჩა გამოუქვეყნებელი, ხოლო ზემოთ აღნიშნული წიგნი მეცნიერის შეხედულებათა მხოლოდ ერთ ნაწილს თუ გამოხატავს.

ქართველი მკითხველი გაისად მიიღებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის მასობრივ გამოცემას, ხოლო მომდევნო წლებიდან კი თვით აკადემიური ტექსტის ათტომეულს ნაკვეთების სახით (ტექსტი ვარიანტებით, კომენტარები, ლექსიკონი).

სამწუხაროდ, მეცნიერი ვეღარ მოესწრო ამ გამოცემათა განხორციელებას. ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ აქ ჩამოთვლილ გამოცემებში სათანადო გამოხატულებას პოვებს ივანე გიგინეიშვილის ნათელი აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენის საშვილიშვილო საქმეში..

პუბლიცისტური წერილები

1. თუშეთის ბედი

თუშეთის ნახვა მხოლოდ 1963 წელს შევძელი, მგონი, აგვისტოს პირველ ნახევარში. მანამდე კი მოვლილი მქონდა პამირისა და ევროპის მთიანეთი, მინახავს ჰინდუკუშების ფერხთ დაფენილი ხეობები, ხოლო კავკასიონის მწვერვალებსა და უღელტეხილებს არაერთხელ ვწვევივარ.

მაგრამ , როგორც ჩანს, ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს ახალი მოულოდნელობისათვის და ეს ეხება ცხოვრების თითქმის ყოველ სფეროს.

ჩვენი ვერტმფრენი კალიასავით მიიკვლევდა გზას ალაზნის სათავეებისაკენ და სიმაღლის პირველივე დაუფლებისთანავე მე და ჩემს მეგობრებს განცვიფრების ოხვრა წამოგვცდა: „საღამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის, მიდამოს სდებია. გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? — ეს ჩემი სამშობლო მთებია!“

ხშირი და მელნისფერი ტყით დაფარული, შედარებით ნაზი და ძმაძვიდი კონტურების მქონე მთების სარტყელი გარშემო შემოსჯარვია ხალიჩასავით დაფენილ მწვანე ახოებს, კორდებსა და სათიბებს, ხოლო დაბლა ვერცხლის ზოლებად მოსჩანდა ათასნაირად დაკლაკნილი ალაზნები, როგორც აქ მთის მდინარეებს ეძახიან. და მაინც ყოველივე ამას გრანდიოზულ იერს ანიჭებდა ჩრდილოეთის საზღვარზე თითქოსდა საიმედო ბურჯებად მდგარნი მრისხანე, თოვლიანი მწვერვალები, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ცამდე ატყორცნილნი თებულოსა და ქომიტოს მაღალი მთები.

ბუნების თავისთავადსა და ველურ სილამაზეს ისე არაფერი ამშვენებს, როგორც კვალი ადამიანის ნახელავისა, ბუნებისა და ადამიანის თანაზიარობის უტყუარი მაცნე. თითქოს საგანგებოდ აქა-იქ ჩახატული პატარა სოფლები, ხშირი, მიჯრილი ნაგებობებით, რომელთა შუაში, თითქმის როგორც წესი, აღმართულია დედა ციხე — თავის დროზე ალბათ ნუგეში და იმედი მათივე აღმაშენებლებისა. მტერსა და მომხდურს აბა რა გამოლევდა ამ ზღაპრულსა და მდიდარ ქვეყანაში.

ომალოში ჩასულნი (ომალო მთა-თუშეთის ერთგვარი საყრდენი სოფელია) ჩვენ უმალ მოვხვდით საოცარ გარემოცვაში. გარს გვეხვივნენ ლაღი, სიცოცხლით სავსე მთიელები, ცნობისმოყვარენი და გონიერნი, ყველანი გულღიად თავიანთ სამსახურს გვთავაზობდნენ, უნდოდათ, რაც შეიძლება მეტი გვენახა იმ მცირე დროში, რომელიც ჩვენ ხელთ იყო (აქ სექტემბერი მკაცრი იცის და ცხვარ-მეცხვარეებიც უკვე ამ დროისათვის ბარში ეშვებიან).

ჩვენი შეგზურობა იკისრა შესანიშნავმა ვაჟკაცმა ლევან ციხელიშვილმა. მით უფრო, რომ მას თავადაც სამსახურებრივი მოვალეობის გამო უნდა მოენახულებინა მეცხვარეთა ბინები და დაედგინა ბარში დაშვების სამზადისის მდგომარეობა.

სტუმართაგან ჩვენ ოთხნი ვიყავით (არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი, ნოდარ ებრალიძე და მე) და სულ მცირე დროში, მართლაც, ფორსირებული წესით, მოვიარეთ თუშეთის სამი თემი: პირიქითა თუშეთი, წოვათა და გომეწარი. ხოლო მეოთხე თემი ჩაღმა ვინახულე უფრო გვიან, როცა ვესწრებოდით სახალხო დღეობას, რომელიც ეძღვნებოდა ლეკთაგან აკლებული სოფლების: შენაქოსა და დიკლოში დაღუპულთა ხსოვნას. აქ გავიცანით ზოგი ადგილობრივი, ხოლო ზოგი ჩვენსავით ბარიდან ამოსული თუშები, რომელთა შორის ვაჟკაცური იერითა და ენერგიული სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდა კოსტა ჯამრულიძე — ალვანის საბჭოთა მეურნეობის მაშინდელი თავკაცი.

წაკითხულსა და გაგონილს, როგორც იტყვიან, ნახულმა დიდად გადააჭარბა. აქაური ბუნებითა და ადამიანებით მოხიბლულნი, საკმაო აურაცხელი შთაბეჭდილებებით (რომელთაც ალბათ მომავალში უფრო დაწვრილებით აღვწერთ) ვბრუნდებოდით უკან...

ბაგრამ სიხარულს დიდი სიმძიმილი და სევდაც ახლდა თან. ფიქრიანი სევდა თუშეთის ხვალინდელ დღეზე...

თუშეთი კი, შეიძლება ეს ნათქვამი ვისმე მკაცრად მოეჩვენოს, ფაქტიურად აღარ არსებობს. არსებობს ისტორიული თუშეთი, საკმარისად ვრცელი ტერიტორია, ხოლო მის ბინადართა რაოდენობა დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, 15—20 კომლამდე ძლივს აღწევს. მისი მოსახლეობა აყრილა და მათი მეტი წილი ახმეტის რაიონის ბარის სოფლებშია მიმოფანტული (თუშეთის მოსახლეობის კომპაქტურობით გამოირჩევა მხოლოდ ამავე რაიონის ორი სოფელი: ზემო და ქვემო ალვნები).

ბართლაც, შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე უპატრონოდ მიტოვებული თუშეთის ულამაზესი სოფლები, ჩაქცეული ჰერხოები, თვალდათხრილი სახლები, რომელთაც უკაცრიელობის მაჩვენებელი შამბნარი დაუფლებია. ამ განწყობილებითაა, ალბათ, შთაგონე-

ბული არჩილ სულაკაურის ერთი ლექსის სტრიქონები: „ქარები კოშკებს, როგორც ძვლებს ხრავენ და მკერდზე მკერდით მაწვება ღამე“...

ისტორიული უსამართლობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ თითქოს ეს გულისდამაღონებელი პროცესი გუშინ ან გუშინწინ დაიწყო. ზემოდან ქვემოთ ბარისაკენ თუშთა მიგრაცია, უფრო შორს რომ არ წავიდეთ, უკვე XVI საუკუნიდან დადასტურებული ფაქტია. ახლაც არსებობს თუშთა შორის მოგონება იმის თაობაზე, რომ კახთა მეფე ლევანძა (1520—1574 წწ.) ერთმა პირველთაგანმა გაუხსნა თავისუფალი გზა თუშეთს ალაზნის დაბლობისაკენ. ვახუშტის ეს ფაქტი, მართლაც, ფიქსირებული აქვს თავის „ქართლის ცხოვრებაში“: „და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა (თუშნი), არამედ ალუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულება ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა“ (ტ. IV, გვ. 573).

არის სხვა გადმოცემებიც, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბახტრიოხის აღების ეპოპეა (1659 წ.) და თუშთათვის ახლანდელი ალვახის ველის დამოების ბოძება, ასევე თეიმურაზ II-სა და ერეკლეს მიერ ამავე ტერიტორიის თუშთათვის კუთვნილების საბოლოო დასტური.

თუშეთის თემების ერთმა ნაწილმა უკვე ამ ხანებიდან დაიწყო, პირობით რომ ვიხმაროთ ეს ტერმინი, „მომთაბარეობა“ და მხოლოდ ზაფხულობით აკითხავდა თავის ძველ საცხოვრისს, ხოლო ზოგიერთი თემები კი თითქმის ბოლო ათეულ წლებამდე არ თმობდნენ მამა-პაპისეულ ადგილებს (რასაკვირველია, ამას განაპირობებდა ამ თემთა განსხვავებული მეურნეობის წესები და რიგი სხვა ფაქტორებიც).

და აი, დღეს ჩვენ მართლაც, უსიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. დაიცალა და უკაცრიელი გახდა საუკუნეთა მანძილზე სისხლითა და ოფლით მორწყული საქართველოს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ძხარე და ამას შეიძლება ხვალ კიდევ უფრო სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი დიალოგი, რომლის მონაწილენი იყვნენ ნოდარ დუმბაძე (ისიც ჩვენთან ერთად იყო მეორედ თუშეთში მოგზაურობის დროს) და ორი ახალგაზრდა ლეკი, რომლებსაც საქონელი და ცხვარი გადმოერეკათ მთა-თუშეთში. შეკითხვაზე, თუ რამ გაბოიწვია მათი ეს ნაბიჯი, მათ მშვიდად და სრულიად აუღელვებლად უპასუხეს: ამ მშვენიერ ადგილებს უკაცობა არ უხდება და მიწას თუ არ უპატრონე, ეს ძველთაგან ნათქვამია, თვითონვე გაიჩენს ახალ პატრონებსო.

მე მგონი ამ საუბარს განზოგადება არ სჭირდება. ისედაც ნათელია ყველაფერი.

თუშეთის ბედი უნდა გვაღელვებდეს და გვაღელვებს ყველას. ამაზე არაერთგზის თქმულა და დაწერილა კიდეც. ჩვენი პარტია და მთავრობა უკახასკნელ ხანებში მეტი ენერგიულობით იღვწის ამ საქმის მოსაგვარებლად. ხომ საოცარია, მაგრამ ფაქტს ვერსაით წაუვალთ, რომ აძდენხანს თუშეთში სამანქანო გზაც კი არ იყო და ეს უპატიებელი ჩაძორჩენა მხოლოდ ახლა სწორდება. რამდენადაც ვიცი, ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს გზის შეკაფვა თუშეთის უღელტეხილზე და ეს, მართლაც, ერთი დიდი ნაბიჯი იქნება თუშეთის ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად.

ამ პრობლემას კი მრავალი წახნაგი და მრავალი დიდი თუ მცირე ძოსაგვარებელი საკითხი ახლავს. მას დაუნჯებული ფიქრი და ერთობლივი თვალსაზრისის შემუშავება სჭირდება. თუშეთის ხვალინდელი აღორძინება გონივრულ საფუძვლებზე უნდა იქნას დამყარებული.

რაც შეეხება წინამდებარე წერილის პათოსს, იგი ამჯერად შთაგონებულია ფილმით, რომელიც მოამზადა და ახლახან მაყურებელს შესთავაზა ტელეფილმების სტუდიამ. ვგულისხმობ სამ სერიად წარმოდგენილ ფილმს „თუში მეცხვარე“ (დამდგმელი რეჟისორი: სოსო ჩხაიძე, სცენარის ავტორები: ამირან ჭიჭინაძე, დევი ივანოვი-ჩიქოვანი, ვალერიან სულაკაური და სოსო ჩხაიძე, დამდგმელი ოპერატორი: ირაკლი ონოფრიშვილი, მხატვარი ვახტანგ რურუა, კომპოზიტორი გურამ ბზვანელი).

წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ ეს არ არის რიგითი, ჩვეულებრივი ფილმი, რომელთა გამოჩენა ეკრანზე ჩვენში ასევე ჩვეულებრივ და ზოგჯერ საკმაოდ „მშვიდ“ ემოციებს აღძრავს.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა ჭეშმარიტი ძხატერული ქმნილება. ეს არის ღრმად მოფიქრებული დიდებული ეპოპეა დღევანდელ თუშეთზე, მის მშრომელ ადამიანებზე, ჩვენი ცხოვრების ავ-კარგზე.

პირველი და უმთავრესი ღირსება, რომელიც ესოდენ თვალშისაცემია, სიმართლის არაჩვეულებრივი გრძნობაა, რომელიც ერთი წუთითაც არ ტოვებს მაყურებელს. არავითარი ფალში, გულჩვილობის არავითარი ხასახი, ფერები მკაცრია და ზუსტი. დიდი, ადამიანური სიკეთე და კეთილშობილება რაღაც გამოუცნობი ძალით შიგნიდან ანათებს ყოველ კადრს, ყოველ ეპიზოდსა თუ ცალკეულ დეტალს.

თითქმის უბრალო ეპიზოდია ფილმში ჭედილას დაკარგვის ამბავი. გუძახით ხვდებიან მწყემსები, რომ ეს მათ მეზობლად მომუშავე გეოლოგების „ნაეშმაკარია“. აბა, დააკვირდით მკაცრი და თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული ბრიგადის თავკაცის გიორგის სიტყვებს: არა უშავს, ეგენიც ხომ საერთო საქმეს აკეთებენ და ალალი იყოს მათ-

თვის ეს ჰედილაცო. არავითარი ოფიციალურობა, პირიქით, მხოლოდ დიდი შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობა კარნახობს მას ასეთ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება პატარა ობოლი ბიჭის ზურიკოს ინტერნატში მიბარების სცენას, ეს ისეთ მხატვრულ დონეზეა გადაწყვეტილი, რომ თვით ყველაზე გულქვა ადამიანშიც აღძრავს თანაგრძნობის უკეთილშობილეს გრძნობას. ეს სცენა სულ ორიოდე შტრიხითაა გადმოცემული, ბაგრამ ჩვენ მოწმენი ვხდებით ახალი, ძლიერი ხასიათის დაბადებისა, სევდასთან ერთად სიხარულის მომგვრელ ემოციებსაც იწვევს — პატარა ბიჭი დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და ჯიუტად (ხასიათის ეს თვისებაც კარგადაა მინიშნებული ფილმის ავტორების მიერ) უსათუოდ გამოვა ადამიანური ცხოვრების ნათელ გზაზე.

შე გამაოცა ავტორების მხატვრულმა ალღომ, ანალიზის უნარმა. არავითარი სწორხაზოვნება, ისინი შინაგანად გრძნობენ და განიცდიან ცხოვრების მრავალფეროვნებას, ჭირსა და ლხინს, ადამიანურ ტკივილებსა და სიხარულს. ყველა პერსონაჟი ცხოვრებისეულია, ყველა ხასიათი დამოუკიდებელია და ყოველ პიროვნებას საკუთარი ბიოგრაფია, საკუთარი თავგადასავალი მოეპოვება, მაგრამ წარმოსახული სურათი მაინც ერთი მთლიანობაა და ერთი უმთავრესი მიზნისაკენ მიგვმართავს: შრომა და გარჯა, საქმისადმი თავდადება უამრავ მსხვერპლს მოითხოვს, ბაგრამ ჩვენს ცხოვრებას აღავსებს დიდი შინაარსით, ადამიანური ბედნიერების დიდი მადლით.

ამიტომ გაბედულად არის შემოტანილი ფილმში უამრავი მოტივი, განსხვავებული თემები და თითქმის ყველა მათგანზე ავტორებს დამაჯერებელი პასუხი მოეპოვებათ, არცერთი მოტივი დაუსრულებელი არ რჩება. ალბათ, ასეთი გაბედულების გარეშე მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა და ავტორებიც თამამად მიაბიჯებენ ჭეშმარიტი შემოქმედების ამ ბეწვის ხიდზე. ერთი შეხედვით თითქოს დუნე თხრობა (ესეც ცხოვრებისეული სიმართლითაა ნაკარნახები) სავსეა შინაგანი რიტმით, განწყობილებათა ცვალებადობით, რაც, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო გახაპირობებს ცხოველ ინტერესს, მაყურებელს აღელვებს თითოეული გმირის ბედი, მათი თავგადასავალი და ყველა ის პრობლემა, რომელიც ასეთი სიმართლითაა მოწოდებული მთელი ფილმის (ფილმი კი თითქმის სამ საათს გრძელდება) მანძილზე.

ერთ-ერთ ძალზე გამოკვეთილ სიუჟეტურ ხაზს ფილმში წარმოადგენს ლექსოს თავგადასავალი. აქვე შევნიშნავთ, რომ მას ძალზე საინტერესო და ძოზომილი ხერხებით განასახიერებს მსახიობი ირაკლი ხიზანიშვილი. ლექსო პროფესიით მძღოლია და უსიამოვნო შემთხვევის გამო იძულებითი წესით ერთი წლით სამუშაოდ მოხვდება მწყემსების ერთ-ერთ ბრიგადაში. არც მწყემსებს ეხატებათ გულზე დროებით შე-

შოკედლებული, მათთვის შემთხვევითი კაცი, რომელმაც უნდა დაიკავოს მათი მთაში დაღუპული მეგობრის პატარა ზურიკოს მამის ადგილი. ეს ერთი ყველაზე საგულისხმო კოლიზიაა და მას ფილმში გარკვეული სიმძაფრე შემოაქვს. ლექსო შინაგანად სუფთა და მთლიანი პიროვნებაა და არც ცდილობს რაიმე გარეგნული ეფექტით მიიპყროს ყურადღება. მისი გამარჯვებაც ამან განაპირობა. გონიერ და ცხოვრებისეული ალღოთი უხვად დაჯილდოებულ მწყემსებს ეს შეუმჩნეველი რა რჩებათ. ლექსო მათ ნდობასა და სიყვარულს დაიმსახურებს და ერთი წლის თავზე ისინი სინანულით შორდებიან ერთმანეთს. აქ იყო ერთგვარი ცთუნება, რომ ავტორებს ლექსო აქვე დაეტოვებინათ, მაგრამ დაირღვეოდა ის შინაგანი ჰარმონია, რაც ფილმის ძირითადი სტილური ნიშანია. ლექსოს უკვე არჩეული აქვს თავისი ცხოვრების გზა, თავისი პროფესია და იგი ბოლომდე არ უმტყუნებს მას, ესეც მისი ხასიათის თვისებაა.

მაგრამ ლექსოს სახეს ფილმში ერთი დიდი დატვირთვაც აქვს. მაყურებელი ბევრ რამეს მისი თვალებით, მწყემსებთან მისი ურთიერთობის ფონზე ჭვრეტს. გაშუალების ეს ხერხიც, რაც ფილმის ავტორთა ერთ-ერთი საინტერესო მიგნებაა, საოცრად ამდიდრებს ჩვენს შთაბეჭდილებას ფილმის გმირებზე, გულმართალ და გამრჯე ადამიანებზე, რომელთაც ცხოვრების ასეთი მკაცრი გზა აურჩევიათ.

სიტყვამ მოიტანა და აქვე აღვნიშნავ ფილმის ავტორების კიდევ ერთ გაბედულ ნაბიჯზე. თითქმის ყველა მთავარ გმირს თვითონ ალვანელი მწყემსები განასახიერებენ. რა თქმა უნდა, ეს ერთადერთი გზა არაა ცხოვრებისეული სიმართლის ასეთი ილუზიის შესაქმნელად. მაგრამ ერთ-ერთი რომ არის, ამას თვითონ ეს ფილმიც განამტკიცებს. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, უდრეკი ხასიათისაა იობი ბართიშვილის გიორგი, მწყემსების ბრიგადის მეთაური (გაიხსენეთ როგორი შეუპოვარია იგი უფროსების წინაშეც, როცა საქმე ეხება ფარების დროულად გადარეკვის საქმეს), ოპტიმისტური სულითა და იუმორითაა დაჯილდოებული ბაგრატის კოლორიტული ფიგურა (პლატო ოსორაული), რომელიც ნიადაგ მზადაა ახალ-ახალი ოინები წამოიწყოს (იუმორით სავსეა, მაგალითად, ის სცენა, როცა არაყს გამოსტყუებს და ძაღლებს შიუსევს ყიაფყრალსა და უხამს მძღოლს), რამდენი პოეზიაა თანდილას სახე'ში (პანტო თათარაიძე), მის დამოკიდებულებაში პატარა ობოლ ბიჭთან, ან კი „მიწის ყივილის" დაუთრგუნავ გრძნობაში, როცა იგი საშუალო განსვენებისათვის მიაშურებს მამა-პაპისეულ „ძვალთ შესალაგს". სკულპტურულ დონეზეა გადაწყვეტილი მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი მწყემსის არჩილას სახე (არჩილ ბუქურიძე), რომელთაც ძხარს უმშვენებენ ასევე ინდივიდუალური შტრიხებით აღბეჭდილი სა-

ხეები: ტირიფონა (ტირიფონ ვარდიძე), გოგია (გოგე ბუქვაიძე) და მრავალი სხვანი და სხვანი.

რაც შეეხება პატარა ზურიკოს (რამაზ სულაკაური), რომელშიც ასე საოცრადაა შერწყმული ბალღური მიამიტობა და ნაადრევად მოსული ხასიათის მკაცრი შტრიხები, მე ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრე, ფილმში იგი ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ პორტრეტს ქმნის, რაც პატარა მსახიობისა და რეჟისორის, მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რაღაც შინაგან კონტაქტზე დამყარებული დიდი ერთობლივი მუშაობის ნაყოფია.

ახლა უხვი იუმორით გაჟღენთილი სცენები, საოცარი ლექსიკა, ძუხწი და ლაკონიური მეტყველება, რომელსაც აგრერიგად უხდება შეურყვნელი თუშური კილო — ყველაფერი ამხელს ბრძოლასა და შრომაში გამოკვერილი ადამიანების თანდაყოლილ პოეტურ ბუნებას.

განსაკუთრებით გამოვყოფდი ცხვრის ქურდებთან შეჯახების სცენას, რომელიც მძაფრი, დინამიური კადრებითაა გადაწყვეტილი და ისევ იუმორი, რომელიც ენაცვლება ზიზღსა და მრისხანებას. მიწასთან ასწორებს ამ წუწკი, მშიშარა არაკაცების მდაბალ ზნეობას.

ძასობრივი სცენები მთა-თუშეთში, შეულამაზებელი ბუნებრივი კადრები და ფილმის ავტორების მიერ გამოვლენილი ეთნოგრაფიული ყოფის დიდი ცოდნა, ზრდის და ამაღლებს ფილმის შემეცნებით მხარეს.

ცალკე უნდა გამოიყოს ბრაკონიერობასთან, ჩვენი ცხოვრების ამ საშინელ სენთან, ბრძოლის ეპიზოდები, რომელსაც აგვირგვინებს ბაგრატის გამძვინვარება გზააბნეულ და უქნარა შვილზე, რომელიც მუსრს ავლებს მთათუშეთის მშვენებას, უნიკალური ჯიშის ნიამორებსა და ჯიხვებს. ეს თემაც ასევე დასრულებულია და ავსებს ფილმის საერთოდ პრობლემურ ხასიათს.

სიმძიმის ცენტრი, — მე ეს ფილმის გამარჯვების ერთ-ერთ საფუძვლად მიმაჩნია, — სამართლიანად არის გადატანილი თუში მეცხვარეების ძძიძე, მაგრამ ამასთან ჰეროიკით სავსე ცხოვრებაზე. და სხვანაირად, ალბათ, წარმოუდგენელიც იქნებოდა. თუშეთი და მეცხვარეობა ეს თითქმის განუყოფელი ცნებებია, ასე იყო ისტორიულად, ასეა დღესაც, როცა ტრადიციისამებრ ერთ-ერთ პირველ სადღეგრძელოს „ცხვარ-ძეცხვარისას“ სვამენ. ამ რთულმა, მეურნეობის კოლექტიურმა დარგმა თავისი ღრმა კვალი დაამჩნია თუშთა ხასიათს, მაღალი ზნეობრივი ნორმების დამკვიდრებას. მეცხვარეობა მათთვის მარტო ხელობა, ლუკმა-პურისთვის ბრძოლა როდია, ეს მათთვის მთელი ცხოვრებაა, არსებობის წესია. ამას გვაგრძნობინებს პირველივე კადრები, პირველივე ტიტრი, როცა მაყურებელი ეცნობა ერთ ძველ, სევდისმომგვრელ გაძოხათქვაძს: „მგზავრს თურმე მკვდარი ტოროლა უნახავს: შე საწყალო, რა თუშ მეცხვარესავით გზაზე მომკვდარხარო“...

შეცხვარეობის განვითარება არა მარტო საჭირო და მომგებიანი დარგია, არამედ თუშეთის აღორძინების ხვალინდელი დღე. ასე მიდიან ავტორები განმაზოგადებელი დასკვნებისაკენ, მიდიან ჯიუტად, ცხოვრებისეული სიმართლის კარნახით.

მათ არ აშინებთ შუქ-ჩრდილები, ახალი ცხოვრების სიკეთესთან ერთად. როცა აშკარად იგრძნობა მათ მიმართ გამოწვდილი მზრუნველი ხელი, ისინი თამამად გვიჩვენებენ ცალკეულ მანკიერებებსაც, თითქოსდა შეუმჩნეველი შტრიხებით, უბრალო საუბრებშიც ავლენენ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხებს, რომელთაც მოგვარება სჭირდება.

მაგალითად, აქა-იქ ძუნწად, თითქოსდა სიტყვამ მოიტანაო, ისმის საუბარი პირად ცხვარზე და, მართლაც, და რა მოხდა, რომ საზოგადოებრივ ფარებში, რასაკვირველია ზოშიერების დაცვით, ერიოს მათი პირადი ცხვარიც. ჩვენ ხომ ვიცნობით ამ გამრჯე, ცხოვრებასთან ბრძოლაში გაძობრძმედილ ადამიანებს (მარტო რად ღირს დაუვიწყარი კადრები ცხვრის ფარებით თოვლიანი უღელტეხილის გადალახვისა) და ვიცნობით მათ ბოლომდე. პირადი და საზოგადოებრივის შერწყმა ხომ მეტ დაინტერესებას, მეტ სარგებელს მოგვიტანს, არ შეთხელდება მეცხვარეთა რიგები, რის ნიშნებიც, სამწუხაროდ, დღეს აშკარაა. ასევე დაურიდებლადაა ნაჩვენები ფილმში გულგრილობის ზოგიერთი ეპიზოდი, რაც ასეთ ზიანს აყენებს საერთოდ ჩვენს ცხოვრებას და, კერძოდ, იმ საქმეს, რომელსაც თავგამეტებით ემსახურებიან ფილმის გმირები.

თუშეთის ხვალინდელ დღეზე ფიქრი, მთელი ამ ფილმის უმთავრესი ლეიტმოტივია და მკაცრი მხატვრული ხერხებით კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს პრობლემის სიმწვავეს, რომელზედაც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

თუშეთის პრობლემა კი გადაუჭრელი არაა. ყველას მოეხსენება ახალ ვითარებაში რა გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს ასევე დიდებული კუთხის სვანეთის აღორძინებისათვის. სპეციფიური პირობების გათვალისწინება, ეკონომიური თვალსაზრისით გააზრებული სპეციალიზაცია, კულტურულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ნივთიერ დახმარებასთან ერთად რასაკვირველია, ახალ პერსპექტივებს ასახავს ოდინდელი მთა-თუშეთის ათვისება-აღორძინებისაკენ. დარწმუნებული ვარ ამ საშვილიშვილო საქმის დაჩქარებაში ეს მშვენიერი ფილმიც თავის წვლილს შეიტანს.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენე ფილმის გადამღები კოლექტივი, სცენარის ავტორები, რეჟისორი, მსახიობები, თვით ალვანელი მწყემსები (შაპატიონ მათ თუ ყველანი აქ ვერ მოვიხსენიე გასაგები მიზეზების გამო), ცალკე აღნიშვნის ღირსია ფილმის ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, რომელსაც ასეთი მოზომილი და მხატვრული თვალი აქვს,

შესახიშნავი მხატვარი (ვახტანგ რურუა) და ფილმის ძალზე პოეტური მუსიკა, რომელიც ხალხურ მოტივებზე დამყარებით შეუქმნია ჩვენ ცნობილ კომპოზიტორს გურამ ბზვანელს.

მაგრამ რეჟისორის სოსო ჩხაიძის ღვაწლი აქ იმდენად გამოკვეთილად ჩანს, რომ მასზე სპეციალური საუბარია საჭირო, რაც ჩვენი დღევანდელი წერილის ფარგლებს სცილდება. მან, მართლაც, მიაგნო რაღაც ისეთ საიდუმლოს, რომელიც ეჭვს არ ტოვებს მის დიდ რეჟისორულ ნიჭიერებაზე, შრომის არაჩვეულებრივ უნარზე და მხატვრული სიმართლის მახვილ გრძნობაზე, რაც თავიდათავია ყოველგვარი შემოქმედებისა.

მე მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ტელე-ფილმების სტუდიას, მთელს კოლექტივს, ყველას ვინც ხელი შეუწყო ამ პოეტური და მართალი ფილმის დაბადებას, ისიც ვისურვო, რომ ამ ფილმმა იხილოს ჩვენი კინო-დარბაზების დიდი ეკრანი, რათა მთელი ძალით აღელდეს ფილმში ჩაქსოვილი პოეზია და მაღალი აზრი.

1977 წ.

2. მამაცთა სპორტის სახელოვანი თარიღი

(საბჭოთა ალპინიზმის სამოცი წლისთავი)

თუ რატომ იზიდავს ადამიანს მთები, ან რა უდევს საფუძვლად ასეთ „გახუკურხებელ“ გატაცებას, ამაზე ერთგანზომილებიან პასუხს თქვენ ვერსად იპოვით. მთებისაკენ ჯიუტი სწრაფვა არც თვითმიზანია და არც ოდენ საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილი, როგორც ეს ზოგჯერ წარმოუდგენიათ ხოლმე. ასევე უკუსაგდებია საკმარისად გავრცელებული აშკარად გულუბრყვილო შეხედულება, რომელსაც ალპინისტური ქმედების მიზანი მხოლოდ სიმაღლიდან დანახული პანორამის დონემდე დაჰყავს (თითქოს, კოსმიურ აპარატებს თავი რომ დავანებოთ, თვითმფრინავიდან ან ვერტმფრენიდან ცუდად მოსჩანდეს უსაზღვრო სივრცეები).

უნდა გვახსოვდეს, რომ პიროვნების სრულყოფა საკუთარი თავის აღმოჩენიდან იწყება. ადამიანი დაჟინებით ეძიებდა და ეძიებს ამ გზას, ხოლო მის დასაძლევად იგი ადამიანური მოღვაწეობის განსხვავებულ სფეროს ირჩევს. თუ ადამიანური გარჯის სხვადასხვა დონეს არ მივაქცევთ გახსაკუთრებულ ყურადღებას, კარგი გუთნისდედა ისეთივე სიამოვნებით გადმოხედავს მის მიერ ლიანდაგივით გაკვალულ სვრელს,

როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი სულ ახლახან მისგანვე დამთავრებულ მხატვრულ ქმნილებას.

ალპინიზმი, როგორც სპორტული მოღვაწეობის ერთ-ერთი უნიკალური სახეობა, ჭარბად შეიცავს სწორედ ისეთ თვისებებს, რომელიც ადამიანში აღვიძებს წინააღმდეგობათა გადალახვის მთელმარე ძალებს. ვიცით კი კარგად ვის რა შეგვიძლია? სად ძევს ჩვენი მორალური თუ ფიზიკური ძალების ზღვარი? იძლევა კი ცხოვრება ყოველთვის იმის საშუალებას, რომ შევამოწმოთ საკუთარი შესაძლებლობები, რათა უფრო გაბედულად შევებრძოლოთ იმ ამოცანების გადაჭრას, რასაც შემდეგში თვით ცხოვრება შემოგვთავაზებს?

ამ თვალსაზრისით ალპინიზმი, რომელშიც ერთგვარად კონცენტრირებულია მრავალგვარი წინააღმდეგობა, ერთ-ერთი საუკეთესო სკოლაა. იგი ადამიანში საოცრად აკაჟებს ნებისყოფას, ზრდის მორალურსა და ეთიკურ თვისებებს, აყალიბებს მის ხასიათს.

ალპინიზმი კლდეებზე უმიზნო ცოცვა როდია, მაშინ ალპინიზმით გატაცებული ადამიანის ყოველი ნაბიჯი რობოტის მექანიკურ ქმედებას დაემსგავსებოდა. ბრძოლის ესთეტიკასთან ერთად იგი საოცრად ანვითარებს ბუნებასთან სიახლოვის უძვირფასეს გრძნობას, მასთან თანაზიარობის განცდას, რაც ესოდენ სჭირდება, მაგრამ ხშირად აკლია თანამედროვე ადამიანს. გზა ჭეშმარიტი ჰუმანიზმისაკენ ხომ ბუნებასთან ურთიერთობით იწყება. ცნობილი კანადელი მწერალი და ბუნების მკვლევარი ფარლი მოუეტი საოცრად შესძრა თურმე ერთი მეთევზის თითქოსდა უბრალო ნათქვამმა: „ადამიანები ვერ შესძლებენ მშვიდობიან არსებობას ამ ჩვენს დედამიწაზე, ვიდრე არ ისწავლიან ურთიერთობას თვით დედამიწასთან“. ამიტომაც ნამდვილი მთამსველი არასოდეს ირონიით არ იხსენიებს მის მიერ დაპყრობილ მწვერვალს. იგი მას ძხოლოდ და მხოლოდ თავის გულღია მასპინძლად თვლის, რომელიც ღირსეულთა შორის ღირსეულს უხსნის თავის კარიბჭეს. იქნებ მკითხველს არ ახსოვდეს ის ფაქტი, თუ როგორი მოწიწებით განშორდა დიდებულ ჯომოლუნგმას მისი პირველი დამპყრობი თენსინგ ნორგეი.

ალპინიზმი ასევე ადამიანურ ურთიერთობათა დიდებული სკოლაა. რაძდენად ძვირფასი და ახლობელი ხდება ადამიანი, რომელიც შენთან ერთად, შენს გვერდით მოაბიჯებს მთის მწვერვალისაკენ, ერთმანეთის იმედით როგორ რისკზე მიდიან ერთი მიზნით შედუღაბებული ადამიანები. ალპინიზმი ამასთან საოცრად ინტერნაციონალური მოღვაწეობის სფეროა. ჩვენი მეგობრობა რუს, უკრაინელ თუ უზბეკ ამხანაგებთან ლიტონი ლოზუნგი რომ არ არის, რამდენჯერ დაუმტკიცებიათ ეს ჩვენ მთამსველებს, როდესაც გაჭირვების პირველივე ნიშანზე მიუტოვებიათ საკუთარი საქმე და უანგარო, საკუთარი სიცოცხლის ფასად,

ძნარში აშოდგომიან ხიფათში ჩავარდნილ ამხანაგებს. საბჭოთა ალპინიზმის ისტორია ამის უამრავ მაგალითებს შეიცავს.

კიდევ ერთი თავისებურება ალპინიზმისა მისი კომპლექსურობაა. საუკეთესო შემთხვევაში აქ ერთმანეთს ერწყმიან ფიზიკური და ინტელექტუალური ძონაცემები. გამორიცხულია, რომ კლდის რთულ მონაკვეთზე ან ყინულის კლდეებზე სიარული შეძლოს ფიზიკურად სუსტმა სპორტსმენმა, რომელიც სათანადოდ ვერ ფლობს საკუთარ სხეულს, არ არის კოორდინირებული სივრცეში. ამასთან მარშრუტის შერჩევა და ძალთა განაწილება გონების მაღალ დაძაბულობას ითხოვს. ალპინისტური ჭიდილი ხომ რაიმე მცირე და წინასწარ ზუსტად განსაზღვრულ, როგორც იტყვიან, ჰერმეტულ გარემოში არ ხდება. ალპინისტი ელემენტარულ დონეზე მაინც უნდა ფლობდეს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებას. იცოდეს როგორი ტიპის კლდისა თუ ყინვარდხილების გადალახვა მოუწევს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. იგი კარგად უნდა ერკვეოდეს სამოქმედო ადგილმდებარეობაში და სწორი ორიენტაციის შერჩევის წესებს უნდა იყოს დაუფლებული. მართალია, ხუმრობით ითქმის ხოლმე, რომ ალპინიზმი იწყება იქიდან, სადაც თავდება ტურიზმი, მაგრამ ხომ ნათელია, რომ კარგი ალპინისტი კარგი ტურისტიც უნდა იყოს, რადგან უშუალო ალპინისტურ მარშრუტამდე მას დიდი მთიანი მასივების გადალახვა უწევდა და ამჟამადაც უწევს. ერთი სიტყვით იმას, ვისაც უნდა, რომ მაღალი რანგის ალპინისტად ჩამოყალიბდეს, მით უფრო დღეს, როცა ალპინიზმმა ტექნიკური და პროფესიული სრულყოფის არნახულ დონეს მიაღწია, იგი ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული სპორტსმენი უნდა იყოს.

ალპინიზმი საყოველთაო აღიარებით მამაცთა სპორტია და ამასთან დიდ გამოცდილებას სძენს მისით გატაცებულ პიროვნებას. შორს რომ არ წავიდეთ, ეს ხომ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დადასტურდა დიდ სამამულო ომში. საბჭოთა და მათ შორის ქართველმა ალპინისტებმა მართლაც ღირსეული წვლილი შეიტანეს სამამულო ომის ისტორიაში, რათა ფაშისტების ურდოებს, მათ შორის მათ მრისხანე სამთო დივიზიებს არ გადმოელახათ კავკასიონის წმინდათაწმინდა უღელტეხილები — ჩვენმა მთავრობამ, უმაღლესმა მთავარსარდლობამ შესაფერისად აღნიშნეს ამ საქვეყნო საქმეში მათი უანგარო ღვაწლი.

იმ თვისებათა გამო, რომელიც მე ზემოთ აღვნიშნე, მთამსვლური ძოძრაობა, როგორც ადამიანის გარკვეული შინაგანი მისწრაფება, ბევრად ადრე უნდა აღმოცენებულიყო. ასევე ვარაუდობენ მსოფლიოს თითქმის ყველა მთიანეთის მკვლევარ-ისტორიკოსებიც. როგორც სხვაგან ისევე ჩვენშიც, კავკასიონზეც, რასაკვირველია, ადრევე უნდა ყოფილიყო მწვერვალთა დაპყრობის ცდები, მაგრამ ფაქტია, რომ მათ შესახებ ისტორიამ მეტად ბუნდოვანი ცნობები შემოგვინახა. მაგალი-

თად, არის ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲐ, რომ ჯერ კიდევ ერეკლე მეფის დროს ვიღაც იოსებ მოხევე მარტო ასულა მყინვარწვერზე, რაც დადასტურებულია კიდეც იოანე ბაგრატიონის დიდებულ წიგნში „ქალმასობა“. ქართლში ბრუტსაბძელას წვერზე (რომელსაც ადგილობრივ მკვიდრნი იალბუზსაც ეძახიან) ნაპოვნია ადამიანის ყოფნის ძალზე ადრეული კვალი და ა. შ. მაგრამ, როგორც ითქვა, ალპინიზმი როგორც სპორტულ-ორგანიზაციული ფორმა ახალი საუკუნეების პირმშოა და სპორტული მოძრაობის აღორძინებასთანაა დაკავშირებული.

მართლაც, როგორც აღიარებულია, სპორტული ალპინიზმის წელთაღრიცხვის ათვლა მსოფლიოში 1786 წლით იწყება, როცა ალპების უმაღლეს მწვერვალზე მონ-ბლანზე (4810 მეტრი) მოეწყო გამიზნული ექსპედიცია. მწვერვალზე ავიდნენ ადგილობრივი მცხოვრები ჟაკ-ზალი და ექიმი პიკარი (სხვათა შორის ტერმინიც „ალპინიზმი“, რომელიც ისტორიულიცაა და ზუსტად გამოხატავს საქმის ვითარებას, სწორედ აქედან იღებს სათავეს).

რაც შეეხება საბჭოთა ალპინიზმს, რომლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს დღეს ჩვენი ქვეყანა, იგი მხოლოდ 60 წლისაა.

მის პირველ ნაბიჯებს მხურვალედ დაუჭირა მხარი მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ნორჩმა საბჭოთა სახელმწიფომ, იცოდა რა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის საქმეში.

შედეგები კი, მართლაც, განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. მაგალითად, მასობრივობის თვალსაზრისით ჩვენი ალპინიზმი დღეს ერთი ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში. ხოლო, რაც შეეხება სპორტულ მიღწევებს, ამ მიმართულებითაც საბჭოთა ალპინიზმმა დიდიხანია მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის ერთ ყველაზე მხიშვნელოვან ნიშანსვეტად იქცა მასობრივი ასვლა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ევერესტზე (8848), რომელიც განხორციელდა 1982 წელს.

ისევე როგორც ბესარიონ ბელინსკი წერდა, რომ კავკასია და კერძოდ, საქართველო შეიქნა რუსული პოეზიის პარნასი, ასევე საბჭოთა ალპინიზმში კავკასიონის პირმშოა, ხოლო ამ დიდი მოძრაობის პიონერებად, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ქართველი მთამსვლელები მოგვევლინენ.

როგორც ცნობილია, 1923 წელს მოეწყო ორი მასობრივი და ყოველმხრივ ორგანიზებული ასვლა მყინვარწვერზე. პირველმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შემდეგში გამოჩენილი მეცნიერი და ქართული სპორტის განვითარების დიდი მოამაგე გიორგი ნიკოლაზე, 28 აგვისტოს მიაღწია მწვერვალს. რამდენიმე დღის შემდეგ კი (3 სექტემბერი) ოდნავ სხვა მარშრუტით მწვერვალი დაიპყრო სა-

მეცნიერო ექსპედიციამ პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით.

ამასთან უნდა აღინიშნოს უმთავრესი გარემოებაც: უკვე ამ პირველსავე ლაშქრობაში ჩანდა ის ძირითადი ნიშნები, რაც ასე მკვეთრად გამოარჩევს საბჭოთა ალპინიზმს მსოფლიო მასშტაბით. ჯგუფი წარმოადგენდა ორგანიზებულ, ერთიან კოლექტივს და შედგებოდა 18 ძოხაწილისაგან, რაც იმ დროისათვის მასობრივი ასვლის უმაგალითო შემთხვევა იყო. ყურადღებას იქცევდა ის გარემოებაც, რომ მწვერვალზე ამსვლელთა შორის იყო ხუთი ქალი.

საყოველთაო აღიარებით კი, როგორც აღვნიშნეთ, ეს პირველი ქართული ექსპედიცია შეიქნა საბჭოთა ალპინიზმის დასაბამი და ამ დღიდან მისი განვითარება, მართლაც, გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ.

ქართული ალპინიზმის ისტორიისათვის ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც. ქართული ალპინიზმის სათავეებთან იდგნენ სახელოვანი ქართველი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. მათ წინასწარვე ღრმად ჰქონდათ გააზრებული ალპინიზმის, როგორც მაღალი სპორტულ-კულტურული მოძრაობის, პერსპექტივები ისეთი ბუნებრივი ძოხაცეძების მქონე ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო. დრომ, განვლილმა 60 წელმა ბრწყინვალედ დაადასტურა მათი კეთილშობილური ჩანაფიქრი.

მაგრამ ერთია იყო რომელიმე დიდი საქმის თაოსანი და მეორე — ასევე სახელოვნად აგრძელებდე ერთხელვე წამოწყებულ მოღვაწეობას. ქართველი ალპინისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შემდეგშიაც არაერთგზის მოგვევლინენ როგორც ეტაპური მნიშვნელობის გამარჯვებათა ავტორები.

საკმარისია აქ გავიხსენოთ უკვე ოცდაათიანი წლებიდან ქართული ალპიხიზმის რამდენიმე ბრწყინვალე ასვლა, რომელიც დაკავშირებულია ამ წლების ქართული ალპინიზმის უცვლელი ლიდერის ალიოშა ჯაფარიძის სახელთან. მის მიერ განხორციელებული პირველი საბჭოთა ლაშქრობა ტექნიკურად ისეთ რთულ მწვერვალზე, როგორიცაა უშბა (1934 წ.) თავის დროზე შეფასებული იყო როგორც საბჭოთა ალპინიზმის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება. მისივე სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ცენტრალური კავკასიონის გიგანტური ტრავერსის ჩატარება (წურუნგალიდან შხარას მასივამდე), რომელიც ასევე ეტაპური იყო მთელი საბჭოთა ალპინიზმის განვითარების გზაზე (1940 წ.).

ასევე თვისობრივად ახალ ნაბიჯად იყო აღმული ტექნიკურად ისეთი რთული მწვერვალების, როგორიცაა უშბისა და შხელდის მრისხანე ბასტიონები, ერთობლივი ტრავერსი, რომელიც განახორციელა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის ივანე (კაკო) მარის ჯგუფმა 1950 წელს.

როგორც ცნობილია, ჩვენს საუკუნეში ალპინიზმი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. პირველი — ეს არის ტექნიკურად რთული აღწერილობების და კედლების დაძლევა. საბჭოთა ალპინიზმი მხოლოდ პირველ ხაბიჯებს დგამდა, როცა ამ სახეობამ ალპებში დიდ განვითარებას მიაღწია. უშბის დაპყრობა ამ მხრით პირველი სერიოზული განაცხადი იყო. ალპინიზმის მეორე მიმართულება, შეიძლება ითქვას, ჩვენი, საბჭოთა ალპინიზმის პირმშოა. ესაა მწვერვალთა მასივების ერთობლივი გადასვლები ანუ ტრავერსები. ბოლო ხანებში როგორც მსოფლიოში, ისე საბჭოთა ალპინიზმში დიდი გამოცოცხლება დაეტყო მესამე მიმართულებას — ეს გახლავთ ბრძოლა 7 და 8 ათასმეტრიანი აღწერილობების დასაპყრობად, რასაც ალპინისტები მაღალსიმაღლოვან ასვლებს უწოდებენ.

ქართველი მთამსვლელები აქ ჩამოთვლილ სამივე დარგში მოღვაწეობდნენ და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე მათ არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ზემოთაღნიშნულ სამივე კლასში. ეს მით უფრო ნათელი შეიქნა, როცა ჩვენში შემოღებულ იქნა სპეციალური ხასიათის კონკურსები. რამდენიმე ათეულ მეორე და მესამე ადგილის მოპოვებას თავი რომ დავანებოთ, საკმარისი იქნება უბრალოდ იმის აღნიშვნაც, რომ ამ წლების მანძილზე ქართველმა მთამსვლელებმა ათჯერ მოიპოვეს პირველი ადგილი ყველა კლასში და ათეულობით დაიმსახურეს უმაღლესი სპორტული ჯილდო — ოქროს მედლები. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისინი დიდიხანია გასცდენ კავკასიონის ასპარეზს და ასევე წარმატებით მოღვაწეობენ პამირისა თუ ტიანშანის გიგანტურ მთიანეთში.

ქართული ალპინიზმი დღეს როგორც ტაქტიკურად ისე ტექნიკურად თვისობრივად ახალ, პროფესიულად თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას. ასეთი გამარჯვებებიც ყოველივე ამის ბუნებრივი შედეგია. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ გამარჯვებათა ავტორები არიან როგორც შუა ხნის, ისე სრულიად ახალგაზრდა მთამსვლელები, რომლებიც აშშვენებენ დღეს არამარტო ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა ალპინისტურ მოძრაობას. ისიც უნდა ითქვას, რომ მაინც ალპინიზმი მეტად რთული და ამასთან სახიფათო სპორტული ასპარეზია და ჩვენ მომავალში ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ყოველგვარი ბრმა შემთხვევა, რომელიც მთებთან ჭიდილს თუდამ სდევდა და სდევს თან. შეუპოვარ ბრძოლაში, სამწუხაროდ, იყო დანაკლისიც და მე დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობები დიდი პატივისცემით შეინახავენ მათ წმინდა სახელებს.

ბრწყინვალე გამარჯვებებთან ერთად, როგორც ითქვა, ქართულმა ალპინიზმმა მოგვცა ჩვენ ათეულობით უმაღლესი კლასის მთამსვლე-

ლები, რომლებიც უყოყმანოდ დაამშვენებენ როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიო ალპინისტური მოღვაწეობის ფართო ასპარეზს. მე აქ მხოლოდ დავასახელებ გამოჩენილ ქართველ მთამსვლელს ალიოშა ჯაფარიძეს. ტექნიკური ასვლების დიდ მესაიდუმლეს, „კლდის ვეფხვს“ მიხეილ ხერგიანს და ქართულ სიმაღლოვანი ასვლების უპირველეს მებაირახტრეს ჯუმბერ მეძმარიაშვილს. დიახ, ამ სამი სახელოვანი ალპინისტის მოხსენიებაც კმარა, რათა სიამაყით ვილაპარაკოთ ქართული ალპინიზმის პრესტიჟზე როგორც ჩვენში, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

ქართული ალპინიზმის მესვეურთაგან მთამსვლელობა, როგორც ითქვა, იმთავითვე იყო ჩაფიქრებული. როგორც ფართო საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ისინი შეიქნენ ჩვენში გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორები. მთამსვლელობამ მისცა შემდგომი ბიძგი საქართველოში ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებას.

არც ის არის დასავიწყებელი, რომ გარდა მასობრივი ალპინიზმის გაფართოებისა (გავიხსენოთ თუნდაც ჩვენში ერთ დროს განვითარებული ალპინიადების კულტურა) და სპორტული მიღწევებისა, ქართველი მთამსვლელები მრავალჯერ დახმარებიან სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს მთიანეთის შესწავლა-ათვისების საქმეში. გეოგრაფები იქნებოდნენ ისინი თუ გეოლოგები ან ტოპოგრაფები. მთამსვლელები ქმედით დახმარებას უწევდნენ მაგალითად, ჩვენ ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს უძველესი მღვიმეებისა და სახიზარების გამოვლინებაში. ქართველმა ალპინისტებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს ბუნებრივი და მიწისქვეშა (კარსტული) გამოქვაბულების შესწავლა... რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ. და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო ფაქტიც, რომ სწორედ ქართული ალპინიზმის საფუძველზე აღმოცენდა ისეთი მნიშვნელოვანი სპორტული მოძრაობა, როგორიც კლდეზე ცოცვაა, რომელმაც უკანასკნელ წლებში დიდი ნაბიჯები გადადგა წინ.

ქართული ალპინიზმის 60 წლისთავი, მართლაც მნიშვნელოვანი თარიღია ქართული სპორტული და ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაში. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვავლებთ თვალს მის სახელოვან გზას, მაგრამ ამასთან, როგორც ჩანს თანამედროვეობას შეჰფერის, არ უნდა დავხუჭოთ თვალი ზოგიერთ აშკარა ხარვეზებზე, რომლებიც უეჭველად გვაქვს და რომელთა გამოსწორება ყველა ჩვენთაგანის ვალია. საშწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩვენ ჩამოვრჩებით მასობრივი ალპინიზმის დანერგვაში და ეს მაშინ, როცა ათასობით ახალგაზრდა ნატრობს, რათა შეუერთდეს ალპინისტური მოძრაობის რიგებს. ტოტალურ გადახალისებას მოითხოვს ქართული ალპინიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დღევანდელი ვითარება, რაც პირველ რიგში

თვით, ალპინიზმის დღევანდელ მესვეურთა, მეტი რომ არ ვთქვათ, ორგანიზაციული დაუდევრობის მიზეზითაა გამოწვეული. ალპინიზმის განვითარებაში აქ აღნიშნულ და სხვა არსებით ნაკლოვანებებზე სულ ახლახან შედგა პრინციპული საუბარი ცენტრალურ კომიტეტში და დასახულია ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის ახალმა ხელმძღვანელობამ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე უკვე გადადგა კიდეც რეალური ნაბიჯები, რათა ქართულმა ალპინიზმმა ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი აღმავლობის გზაზე ღირსეულად შეასრულოს ჩვენი ახალგაზრდობის სპორტული აღზრდის მაღალი მისია.

1983 წ.

ბუბა

(ალმაცქირ კვიციანის გახსენება)

პირველად მას 25 წლის წინათ 1952 წელს შევხვდი სვანეთში, როცა სრულიად ახალგაზრდა მთამსვლელები შორიდან ვუთვალთვალებდით და ვზვერავდით მრისხანე უშბას, ჩვენს მომავალ „მეტოქეს“.

თუმცა მისი სახელი ადრევე გვქონდა გაგონილი, აბა ვინ არ იცნობდა სვანეთში სახელგანთქმულ მონადირესა და მთამსვლელს — ალმაცქირ კვიციანს, რომელსაც ახლაც ბავშვობიდანვე შერქმეულ სასიყვარულო სახელს, ბუბას ეძახდნენ.

ბუბა ჩვენ სოფელ მაზერში, მისი დის ნინო კვიციანის ოჯახში გავიცანით, ოჯახში, რომელმაც განუზომელი ამაგი დასდო ქართული ალპინიზმის განვითარებას.

ეს შეხვედრა მოულოდნელიც აღმოჩნდა და სასიამოვნოც. ჩვენს შორის ყველაზე ტანმორჩილი ჯუმბერ მეძმარიაშვილი, შემდეგ აღიარებული მთამსვლელი, პირველთაგანი შეეგება ასევე მომცრო ტანის, მკვრივი აგებულების ვაჟკაცს, რომელიც რაღაც საოცრად მსუბუქი ნაბიჯებით გვიახლოვდებოდა. ალმაცქირზე შორით-გაგონილის შემდეგ, ჩემთვის ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა მისი გარეგნობა, ჯუმბერი კი სიხარულით აღვსილი მოუძღოდა ჩვენსკენ ბუბას და ხუმრობით, თვითონაც ტანმორჩილი თითქოს ნიშნისმოგებით ღიღინებდა მის მიერ ოდნავ გადასხვაფერებული ცნობილი ლექსის სტრიქონებს: „თუში ვარ ტანად დაბალი, კიდეც ვჯობივარ სხვასაო“.

ბუბა შაშინ სამოც წელს იყო თითქმის მიახლოებული, მაგრამ დროის მსახვრალ ხელს ვერაფერი ევნო მისი ჯანმრთელობისათვის. ჩვენს წინაშე იდგა ჯერ კიდევ სრულიად ჭარმაგი ვაჟკაცი. ღიმილი და ძზერა რაღაც თბილი, ბავშვური ჰქონდა, რაც საკვირველად ალღობდა ბზით დაღარული კუნთოვანი სახის მკაცრ გამომეტყველებას.

იგი ამასთან საამო მოსაუბრეც აღმოჩნდა, ქართული ოდნავ უჭირდა, სიტყვებს თითქოს ეძებდა, მაგრამ ყოველთვის ამბობდა მთავარსა და ძხი'ძვხელოვანს. სულ მალე ნინომ ვახშამზე მიგვიწვია და როგორც ხდება ხოლმე ჩვენს საუბარს რაღაც ინტიმი და უშუალობა შეემატა...

შე ახლაც მიკვირს როგორ ადვილად, უშურველად გაგვიღო გულის კარი ალმაცქირმა ჯერ კიდევ უცხო, მასზე თითქმის მეოთხედი საუკუნით უმცროს მეგობრებს, ეს ხომ დიდბუნებოვან ადამიანთა უეჭველი თვისებაა და თანაც არც ის არის დასავიწყი, რომ ალმაცქირსა და ჩვენ გვაერთიანებდა ერთი მიზანი, ერთი სულისკვეთება — მთებთან ჰიდილი, რომელსაც ისევ და ისევ ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების გამოცდა უდევს საფუძვლად:

ძას "შემდეგ ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. არც მე და, არც ჩემს მეგობრებს ბიჯიც არ გადაგვიდგამს, რომ რჩევა-დარიგება არ გვეკითხა სვანეთის დიდი მესაიდუმლე ალმაცქირ კვიციანისათვის. რასაკვირველია, ჩვენ ამ შემთხვევაში გამონაკლისები არ ვიყავით.

ძინდა გავიხსენო ერთ-ერთი ეპიზოდი ჩვენი მეგობრობიდან. 1952 წელს ჩვენმა ჯგუფმა, რასაკვირველია, წინა წლების გამოცდილების საფუძველზე, "ევუტიეთ მრისხანე უშბას. სულ ოთხნი ვიყავით: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თორნიკე ტატიშვილი, მარინე უთმელიძე და მე (სხვათა "შორის ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული ჯგუფი და თახაც ქართველი მთამსვლელი ქალი პირველად მონაწილეობდა უშბის ორიენტ მწვერვალის ტრავერსში).

როგორც ადრე, ახლაც ჩვენი მეთვალყურეობა ალმაცქირმა იკისრა. ძაზერ"ში ახსოვთ, თუ როგორ აღმართა უზარმაზარი ჰოგრიტი ბუბამ და ხიადაგ თვალმოუშორებლივ გასცქეროდა უშბის მწვერვალებს.

უაძიხდობამ კიდევ უფრო გაართულა ჩვენი მარშრუტი და მხოლოდ მე"შვიდე დღეს გადმოვდექით სამხრეთ უშბაზე. საიდანაც ხელისგულივით ჩანს მთელი სვანეთი. საღამოს ჩვენს ნიშანზე (მაშინ რაკეტებით იძლეოდნენ ნიშანს) ვეებერთელა კოცონი აინთო მაზერის ბოლოს, ნინო კვიციანის სახლის წინ მეგობრები მოუთმენლად ელოდნენ ჩვენს დაბრუნებას.

უამინდობამ კვლავ შეგვაყოვნა. საგზლის უკანასკნელი ნარჩენებიც "შეშოგველია და მ"შიერ-მწყურვალნი დავე"შვით უშბის კედლებზე. წინ "შედარებით უ"შიშარი, მაგრამ მაინც დიდი გზა გვედო სოფლამდე. გაძარჯვების სიხარულით აღვსილნი ბედს შეგუებულნი ვიყავით...

ამ დროს შორით, სქელ ნისლში, შევნიშნეთ ადამიანის ფიგურა, რომელის გამყინავი ხმით რაღაცას გვანიშნებდა. რასაკვირველია, იგი ალმაცქირი აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში ჩვენ ალმაცქირის ხურჯინზე გაშლილ სუფრას მივუსხედით. ბუბამ კარგად იცოდა ჩვენი გასაჭირი, ამიტომ ბარტოდმარტოს გადმოულახავს მოკლეზე მაზერის პიკის ე. წ. ორკბილა და ორი დღე გველოდებოდა თურმე უშბის ძირას ყინულოვანი ლარის სათავეში.

ალმაცქირ კვიციანი ერთი მათგანია, ვინც ყამირი გატეხა კავკასიონის დაპყრობაში და თავისი წვლილი შეიტანა მთამსვლელობაში ახალი, ჯახსაღი ფსიქოლოგიის დამკვიდრებაში. იგი ერთი პირველთაგანი აჰოუდგა მხარში ალიოშა ჯაფარიძეს და მასთან ერთად მონაწილეობდა უშბაზე — პირველი საბჭოთა ასვლის მომზადების საქმეში. აი რას წერდა ამის თაობაზე ალიოშა ჯაფარიძე 1930 წელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალმაცქირ კვიციანზე: „უველაფერი ეს (იგულისხმება პირველი ასვლები თეთნულდზე და სხვა მწვერვალებზე) ცხადია, აჰარ იყო საჭიროებელია იმისა, რომ სვანეთის ახალგაზრდობა აღარ იზიარებს ამ ძველ ჩეხედულებებს უმაღლეს მწვერვალთა მიუღწევლობის შესახებ, მათ ცრუმორწმუნეობას და მაღალი მთების ცხოვრებით დიდად არის დაინტერესებული.

და ჩვენი პატარა ჯგუფი მონადირე-მთამსვლელებისა, რომელთა შორის არ შეიძლია არ მოვათავსო ალმაცქირ კვიციანი, უნდა გახდეს ახლო მომავალში იმ ბირთვად, რომლის გარშემოც დაირაზმებიან ძლიერი რიგები მთამსვლელებისა ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომელხიც უფრო მეტი სიადვილით შეძლებენ კავკასიონის უველა მწვერვალის დაპყრობას“.

ალიოშა ჯაფარიძის ეს სიტყვები დრომ სავსებით დაადასტურა.

ალმაცქირს ფეხით ჰქონდა დავლილი სვანეთის ჭიუხები და უღელტეხილები. დიდ სამამულო ომში ქართველ ალპინისტებთან ერთად მონაწილეობდა კავკასიონის დაცვაში. მას არაერთ მწვერვალზე შეუდგამს ფეხი (თუმცა იგი ამის აღრიცხვას არც აწარმოებდა). სულ ბოლო დრომდე ემსახურებოდა სამთო ტურისტულ მარშრუტებს. მაგრამ წარმოიდგინეთ, მოხდა ისე, რომ იგი არ იყო ნამყოფი უშბაზე, რომლისკენ ძისასვლელი ბილიკები ხელისგულივით იცოდა...

და აი, ხანდაზმულობაში მან ეს ოცნებაც აისრულა. 70 წელს გადაცილებული ალმაცქირი 1968 წელს ჩრდილოეთ უშბის ალპინიადაში მიიწვია ჩვენმა გამოჩენილმა მთამსვლელმა მიხეილ ხერგიანმა და ბუბამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო თავისი უბერებელი ოსტატობა.

...ჩვენი დამეგობრების წლიდან დიდმა დრომ განვლო. ზოგ ჩვენთაგანს აქტიური სპორტი ძვირფას მოგონებადღა შემორჩა. შეხვედრე-

ბიც იშვიათი შეიქნა და აი, ამ ზაფხულს სამეცნიერო მივლინებით კვლავ ვეწვიე სვანეთს და რასაკვირველია, მის მშობლიურ სოფელსაც.

80 წელს გადაცილებული ალმაცქირი ისევ მხნედ და ვაჟკაცურად გაბრიყვურებოდა. შომხიბლავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, თანასოფლელებთან ერთად ძველებურად მთაში მიემართებოდა სამუშაოდ. გული არ უთმენდა, სვანეთის ახალი აღმავლობა მასაც დიდი იმედით ალავსებდა და თავისი სიხარული გამიზიარა კიდეც. გულღია მასპინძელი შრომასა და გარჯაში არ ჩამორჩებოდა ახალგაზრდებს, ბუბა ხომ ყოველთვის და ყველაფერში სამაგალითო იყო.

ვინ იფიქრებდა, რომ ეს შეხვედრა ბოლო იქნებოდა, სულ რამდენიმე დღის წინ საშწუხარო ამბავი შევიტყვე. ჩვეულებრივ სათიბად წასული ალმაცქირი შინ აღარ დაბრუნებულა, მაღლა სათიბიდან წამოსული იგი თურმე კლდეზე გადაიჩეხა.

როგორც ჩანს, დაუძლურება და ჩვეულებრივი სიკვდილი არ ეწერა მთების ლაღ შვილს, ალმაცქირ კვიციანს.

1976 წ.

РЕЗЮМЕ

Представленный сборник Саргиса Цаишвили фактически является продолжением статей и исследований, изданных в виде томов в 1984 и 1985 годах (Саргис Цаишвили, История текста «Витязя в тигровой шкуре», рукописи «Витязя в тигровой шкуре», 1984; Древнегрузинская литература, 1985).

Книга состоит из нескольких разделов. В первый раздел вошли статьи и исследования, посвященные грузинским писателям XIX века. В первых двух очерках рассмотрены творчество Николоза Бараташвили и особенности грузинского романтизма, отношение поэта как к традициям национальной поэзии, так и к литературным течениям аналогичного характера в Европе и в России.

Последующие пять очерков касаются Ильи Чавчавадзе, признанного лидера национально-освободительного движения, первый очерк общего характера, в нем показаны большие заслуги И. Чавчавадзе в деле обновления грузинской литературы и общественной мысли, в становлении критического реализма и демократизации грузинского литературного языка. В последующих очерках представлены отдельные наблюдения над историей творчества поэта, материалы к биографии поэта и т. д. Здесь же напечатан очерк «Илья Чавчавадзе и Георг Брендес», в котором рассмотрены вопросы, интересные с типо-

логической точки зрения, среди них — вопросы разработки национальной концепции, значение культурного прогресса для малочисленных народов и т. д.

В нескольких очерках говорится также о творчестве такого самобытного писателя и мыслителя как Важа-Пшавела, о мифологическом потоке в его поэтических творениях и о тех особенностях поэтического перевоплощения, которые делают уникальным его вклад в сокровищницу мировой поэзии.

Второй раздел полностью посвящен грузинской поэзии XX века. Здесь так же, как и при обзоре грузинской литературы XIX века, показаны особенности единого литературного процесса, идейно-художественные проблемы, которые связаны с тем новым, что принес с собой XX век, благодаря которому грузинская литература вступила на новый путь развития. Представлены наблюдения над новыми формами грузинской поэзии и грузинской прозы, что сближает грузинскую литературу с достижениями мировой литературы. Здесь же говорится о таких представителях грузинской литературы XX века, как Галактион Табидзе, Лео Киачели, Нико Лордкипанидзе, Константинэ Гамсахурдиа, Тициан Табидзе, Георгий Леонидзе и о ряде представителей сравнительно молодого поколения выдающихся писателей.

В последующем разделе — «Филологические этюды» представлены труды, посвященные отдельным вопросам грузинской литературы, наблюдения из творческой истории, вопросы, касающиеся литературного языка и лексикологии.

Отдельная часть посвящена выдающимся исследователям грузинского языка и литературы, показан их вклад в дело развития современной грузинской филологии.

Сборник завершается несколькими очерками публицистического характера, в которых рассмотрены актуальные вопросы из жизни современной Грузии.

სარჩევი

XIX საუკუნის ქართული მწერლობა

1. „მერანი“ და მისი ავტორი 3
2. წიგნი — გახსენება 14
3. ვახტანგ ორბელიანი 18
4. ნარკვევი ილია ჭავჭავაძეზე 21
   ა) ილია ჭავჭავაძე 21
   ბ) „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა...“ 31
   გ) „მრავალნი არიან ჩინებულ...“ 39
   დ) ილია ჭავჭავაძე და გეორგ ბრანდესი (რამდენიმე შენიშვნა და პარალელი) 43
   ე) ილია ჭავჭავაძის გვარის ისტორიიდან (რამდენიმე ცნობა და ვარაუდი) 50
5. წერილები ვაჟა-ფშაველაზე 62
   ა) ვაჟა-ფშაველას სიბრძნის სამყაროში 62
   ბ) ვაჟაური მოტივები 78
   გ) ვაჟა-ფშაველა (პარალელები და შენიშვნები) 83

XX საუკუნის ქართული მწერლობა

1. გალაკტიონი, „ჭერ ლექსი მწვავდა, მერე მზე“ (რამდენიმე შტრიხი გალაკტიონის შემოქმედებით წყაროებზე) 89
2. დიდი სიმართლის ფასი (რამდენიმე შტრიხი ლეო ქიაჩელის შემოქმედებიდან) 101
3. სიტყვა ნიკო ლორთქიფანიძეზე 112
4. მწერლის დიდი მისია (კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა) . 115
5. ტიციან ტაბიძის პოეტური ღვაწლი 124
6. ეროვნული საუნჯის სამსახურში (თედო სახოკია) 145
7. იპოლიტე ვართაგავა (ეტიუდი) 155
8. გიორგი ლეონიძე (მშობელ მიწაში მიდგას ფესვები) 157
9. „შემოქმედებას სიახლე უყვარს“ (სიმონ ჩიქოვანი) 182
10. არმაზის მარადიული მკვიდრი (ლევან გოთუას გახსენება) 188
11. მადლი მშობლიური ენისა (გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის) 193
12. ეროვნული ხასიათების ძიებაში (გრიგოლ აბაშიძის ისტორიული პროზა) 203
13. რწმენის სიმაღლე (რამდენიმე სიტყვა ნოდარ დუმბაძეზე) 213
14. სიახლეთა ძიების გზაზე (არჩილ სულაკაური) 216
15. გამოსათხოვარი (გურამ ასათიანის ხსოვნას) 219
16. დრო და სახელები (ოტია პაჭკორიას კრიტიკული წერილების გამო) . . . 221

ფილოლოგიური ეტიუდები

1. ძველი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი უცნობი ავტორი 227
2. ძიებანი „დავითიანის“ გარშემო (შენიშვნები და პარალელები) 248
   ა) „სუხვის ჯარი მან შექმნა, ვით ისომ ამალეკისა...“ 249
   ბ) „მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით...“ 257
   გ) „სახით სტუყვა შვენიერო, სხიო მზეთა-მზის სახეო...“ 261
   დ) „დავითიანის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის 264
   ე) ფხოველი იანვარასა და „ქალ-კახეთის ჯვარობის ამბავი“ . . . 267
   ვ) რამდენიმე შენიშვნა „დავითიანის“ ტექსტოლოგიიდან 272
3. ღვაწლი ბესარიონ გაბაშვილისა (შემოქმედებითი პორტრეტისათვის) . 278
4. ფილოლოგიური შენიშვნები 287
   ა) „პირველითგან იყო სიტყვაი...“ 287
   ბ) რას ნიშნავს გამოთქმა „პერის ახდა“ 288
   გ) რამდენიმე ქართული საკუთარი სახელის ეტიმოლოგიის ცდა . . 292
   დ) საიდან მომდინარეობს გამოთქმა „დედას პური“ 295
5. „არა ხმლითა მხოლოდ...“ 297

ქართული მეცნიერების სამსახურში

1. პირველი ქართველი აკადემიკოსი (თეიმურაზ ბაგრატიონი) 315
2. ნიკო მარი (რამდენიმე შტრიხი და მოსაზრება) 319
3. საშვილიშვილოდ გადაცემის... (ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა) . . . 332
4. მოძღვართ მოძღვარი (ივანე ჯავახიშვილი) 342
5. აფხაზი მწერლისა და მეცნიერის გახსენება (დავით ჩქოტუა) 351
6. სახელოვანი მეცნიერის დიდი მემკვიდრეობა (კორნელი კეკელიძის მეცნიერული გზა) 362
7. აკაკი შანიძე 376
8. ეუკოლ ბერიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი 380
9. ქართული კულტურის ამაგდარი მემატიანე (ლევან ასათიანის გახსენება) 386
10. მეცნიერების მაღალი მწვერვალები (გიორგი წერეთელი) 393
11. ალექსანდრე ბარამიძე 401
12. ღვაწლი უჩინარი, მაგრამ მნიშვნელოვანი (სახალხო მასწავლებელი ვასილ აბდუშელიშვილი) 414
13. მეცხრე მთაც გადავიარე... (ნიკო კეცხოველის გარდაცვალების გამო) 418
14. ძველი ქართული კულტურის სამსახურში (გაიოზ იმედაშვილი) . . . 420
15. „ნიშატნი საჩანგდაფენი“ 422

პუბლიცისტური წერილები

1. თუშეთის ბედი 426
2. მამაცთა სპორტის სახელოვანი თარიღი (საბჭოთა ალპინიზმის სამოცი წლისთავი) 434
3. ბუბა (ალმაცქირ კვიციანის გახსენება) 441
რეზიუმე რუსულ ენაზე 444

САРГИС СОЛОМОНОВИЧ ЦАИШВИЛИ

ПРЕДШЕСТВЕННИКИ И СОВРЕМЕННИКИ

(Статьи и исследования)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

სბ 3129

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ბათიაშვილი
მხატვარი ც. გაჩეჩილაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ე. ჩიხლაძე

გადაეცა წარმოებას 26. 2. 1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 9. 1986;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 28.0; პირ. საღ. გატ. 28,0;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,5;
უე 01266; ტირაჟი 15 000; შეკვეთა № 2253
ფასი 2 მან. 95 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19